ნოდარ წულეისკირი

აფთრები

რომანი

გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი

© ნოდარ წულეისკირი, 2013
© გამომცემლობა „ინტელექტი", 2013

ISBN 978-9941-446-67-2

პირველი ნაწილი

ვარლამ არავიძის დაკრძალვა

ვარლამ არავიძე გარდაიცვალა.

არავიძეთა ცისფერი რკინის კარიბჭე გააღეს და ღიად დატოვეს. კარიბჭეო, ვამბობ, რადგან ჩვეულებრივ ჭიშკარს ის არ ჰგავდა, ჩვეულებრივი, სხვათა მსგავსი ამ არე-მარეში არაფერი იყო.

სოფლის ბოლოს, ნაკრძალის ზონაში, არავიძეთა სასახლე იდგა. დიდი გალავნით გარსშემოზღუდული და რკინის თაღოვანი კარიბ-ჭით დაგვირგვინებული.

კარიბჭიდან სასახლის კიბემდე, მწვანე თალარის გაყოლებით ძვირფასი ხალიჩები დააგეს მიწაზე. სასახლის მაღალი კიბე და ფართო აივანი ყვავილებით მორთეს. შავი ძაძა უწარწეროდ გად-მოფინეს ბირკულებზე და შავი ბაფთები სასახლის ჭერის საყრდენ ბოძებს შეაბეს.

სიკვდილმა გაახსენა სოფელს ვარლამ არავიძე. ყველას მიერ, თვით სიკვდილის მიერ მივიწყებული, კი არ მოკვდა, გაცოცხლდა თითქოს. ვარლამ არავიძე გარდაიცვალაო, სოფელმაც გაიგო და ქალაქმაც.

არავიძეთა სახლეული კარგა ხანია ელოდა ვარლამის თვალის დახუჭვას, როცა ეს დღე, ბოლოს და ბოლოს, დადგა, მისი მიწაში ჩამარხვა გაჭირდა. ვარლამის ერთადერთ შვილს – აბელს – შინა-ურობაში აბიას, სასახელოდ უნდა დაემარხა მამა. ვარლამ არავიძე ოცი წლის წინ რომ გარდაცვლილიყო, მთელ დედამიწაზე თუ არა, მის პატარ სოფელ-კუთხეში არავსა და არავიძეთში საყოველთაო გლოვა გამოცხადდებოდა, შავებს ჩაიცვამდა დიდი და პატარა, თვით დედაქალაქში – არავში გამოფენდნენ შავ დროშებს, „მა-გრამ ის დრო წავიდა“ – ფიქრობდა კუბოს თავთან მდგარი ვარ-ლამის ერთადერთი ვაჟიშვილი აბია. სახეზე ღრმა მწუხარება აღ-

ბეჭდოდა, დინჯად და ღირსეულად ართმევდა ხელს მოსამძიმრეთ, დროდადრო კარიბჭისკენ გაიხედავდა და თვალს შეავლებდა ეზოში ახალ შემოსულ მოტირალთ, თან საათს დახედავდა.

„არ მოვიდა“ – გაიფიქრა შეშფოთებულმა ერთხელაც, კუბოსთან მსხდომ შავით მოსილ ქალებში თავისი მეუღლე, ცისმარე მოძებნა თვალებით, თითქოს მისგან ნუგეშს ელოდა. „არ მოვიდა“ – შეაფეთა ასევე შეშფოთებულ-შეშინებული თვალები ცისმარემ ქმარს.

ხალხი კი მოდიოდა და მოდიოდა. ცნობისწადილი მეტი იყო, ვიდრე გლოვა და მწუხარება.

სამი დღე იდო ცხედარი ზალაში ისე, აბია ვერც პანაშვიდებს ნიშნავდა და ვერც დასაფლავების დღეს, კუბოც კი ვერ შეუკვეთა.

ვარლამ არავიძის დასაფლავებას მარტო ივსიხი ნესტორის ძე ვერ გადაწყვეტდა, ლოდინი გაჭიანურდა, ბოლოს და ბოლოს აღირსეს და ვარლამ არავიძის პატივით დაკრძალვა ბრძანეს, ოღონდ არა არავში, როგორც ეს აბიას უნდოდა, არამედ არავიძეთში, სოფელში.

საიდან მოვიდა ეს ბრძანება, ვინ ბრძანა, ვინ გადაწყვიტა?.. – ამის თაობაზე აბიამ არაფერი იცოდა და არც ამბის მომტანს შეეძლო მინიშნებით მაინც რაიმე ეთქვა.

გაზეთში ნეკროლოგი გამოქვეყნდა. ნეკროლოგს ხელს აწერდა „ამხანაგების ჯგუფი“. აბიას აზრით, თავშეკავებულად წერდნენ ვარლამზე ამხანაგები, ვარლამ არავიძე მეტის ღირსი იყო.

ასე იყო თუ ისე, ნეკროლოგი გაზეთში გამოქვეყნდა, ეს ბევრს ნიშნავდა, აბიას ხელ-ფეხი გაეხსნა, მამას წესისამებრ დაასაფლავებდა. მართალია, ქალაქში დასაფლავება სხვა იყო და სოფელში სხვა, აბიას აზრით, მაგრამ რაკი ასე ბრძანეს, ასე იყო საჭირო.

ოღონდ აბიას ეთქვა და ბიჭები გაუჩენელს გააჩენდნენ, შეუძლებელს შეძლებდნენ, მოუსწრებს მოასწრებდნენ.

აბიამ დილით რომ დანიშნა დასაფლავების დღე, ჭირისგამრიგეთ საღამოს თითქმის ყველაფერი მზად ჰქონდათ. მუხის კუბოც მოიტანეს და ეზოში ხუთასკაციანი ქელეხის სუფრაც გაშალეს, მუსიკოსები იქირავეს და მესაფლავეებიც შეარჩიეს...

აბიას არავიძეთი და მთელი არავი, პატივს სცემდა, მის დანინაურებას ყოველდღე მოელოდნენ, მამამისის, ვარლამ არავიძის

შიში არავს და არავიძეთში ჯერაც ძველი თოვლივით იდო. ვარ-
ლამის გამო აბიასაც განსაკუთრებული რიდითა და კრძალვით
შესცქეროდნენ. არავინ იცოდა, ხვალ რას იზამდა აბია. მართალია,
აბიას მამის სახელი და დიდება აკლდა, მაგრამ ის მაინც ვარლამის
შვილი იყო. კვიცი გვარზე ხტოდა – ხვალ-ზეგ ეგებ მთელ არავს
დაპატრონებოდა, – ნინასწარ იჭერდნენ თადარიგს აბიას ნაც-
ნობ-მეგობრები, – ხელს არავის გაანძრევინებდნენ, სასახელოდ
ჩადებდნენ ვარლამს სამარეში, აბიას სხვა რამ ადარდებდა და აშ-
ფოთებდა – მოვიდოდა თუ არა დასაფლავებაზე ივსიხი ნესტორის
ძე?

ივსიხი თავის ჭეშმარიტ მემკვიდრედ აბიას თვლიდა, მის შემ-
დეგ არავსა და არავიძეთს აბია უნდა ჩადგომოდა სათავეში: ივსი-
ხის ეს საჯაროდ ჰქონდა ნათქვამი. აბია და მისი მეუღლე ქალბა-
ტონი ცისმარე მოუთმენლად მოელოდნენ იმ დღეს, როცა ივსიხი
პენსიაში გავიდოდა და მის ადგილას აბია გამოიჭიმებოდა. თუ
ვარლამის დასაფლავებაზე ივსიხი არ მოვიდოდა, ეს „არ მოს-
ვლა“ ავის მაუწყებელი იქნებოდა. რატომ არ უნდა მოსულიყო
ვარლამის დასაფლავებაზე ივსიხი ნესტორის ძე? რატომ დაიბადა
ეჭვი? ეჭვი დაიბადა იმ დღეს, როცა ვარლამი გარდაიცვალა. აბიამ
ივსიხისთან კაცი აფრინა და ვარლამის გარდაცვალება შეატყობი-
ნა. კაცი მართლაც გაფრინდა ივსიხისთან, მაგრამ მობრუნება და
ამბის მოტანა გაუჭირდა. ასე და ისეო, მიეედიო, დიდი პატივით
მიმიღოვო – ჰყვებოდა ამბის მიმტან-მომტანი, – თქვენო, ბატონო
აბიავ, სიყვარულით მოგიკითხათო... ამის შემდეგ აბუნდოვანებ-
და სათქმელს, რაღაცას არეულ-დარეულად ჰყვებოდა, ახლა ხომ
იცით, რა დროა, ფრთხილად უნდა ვიყოთო...

ვერას გზით, ვერა ხერხით აბიამ იმ კაცს სიტყვა ვერ დააცდენი-
ნა, თუ რას ამბობდა ვარლამზე და ვარლამის დაკრძალვაზე ივსიხი
ნესტორის ძე.

წესით და რიგით ივსიხის თვითონ უნდა გამოეგზავნა კაცი,
ვინც ვარლამის დაკრძალვას გაუძღვებოდა. ეს ასე არ მოხდა.
ეჭვიც ამან დაბადა. სამწუხარო და სავალალო ის იყო, რომ ეჭვი
მართლდებოდა. ივსიხი ნესტორის ძე ვარლამის დასაფლავებაზე
არ აპირებდა მოსვლას.

თანდათან აივსო მოტირალებით სასახლის აივანი და ეზო, კარიბჭესთან და კარიბჭის გადაღმაც, შარაგზაზეც, მოჯარდა ხალხი.

ჩამოვიდნენ მთებიდან, ბარიდან, ქალაქებიდან, სოფლებიდან...

ჭირისგამრიგენი, მოწესენი, დამტირებელნი, ქელეხის მსახურნი, ეზოში ტრიალებდნენ და ბეჯითად უძღვებოდნენ ტირილს.

ღვინისაგან წამოჭარხლებული, ოდნავ ფეხარეული მოწესენი შორიდან ჩამოსულ სტუმრებში ტრიალებდნენ და სეფისკენ ეპატიჟებოდნენ.

დამტირებლები ჭიშკართან ხვდებოდნენ ახლადმოსულთ და ტანის მოხდენილი რხევით, ხელების ოდნავი შეტოკებით, პატივისცემას გამოხატავდნენ სტუმართა მობრძანების გამო, მიაცილებდნენ და მოაცილებდნენ ჩამოსულთ.

– თორნიკე სად არის! – თანგულია! – იკითხა უცებ აბიამ და ნელში გასწორდა, მოსამძიმრეთა შესახვედრად მოემზადა. ეზოში არავიდან ჩამოსული ხელმძღვანელები შემოჰყვნენ მოტირალთ.

ხალხი მიდგა-მოდგა და საპატიო სტუმრებს განგებისად თავმოდრეკით შეხვდნენ.

აბიამ შორიდანვე, ეზოში შემოსვლისთანავე, შეამჩნია, რომ ივსიხი ნესტორის ძე არ იყო მოსულთა შორის, გული ჩასწყდა, ისედაც მწუხარე სახე სულ მთლად ჩამოექუფრა.

– სად წავიდა თანგულია, მომიყვანეთ აქ! – გასძახა შავით მოსილ ქალებს აბიამ.

გვერდითი ოთახის კარი გაიღო და ოჩოფეხებზე შემდგარივით, გრძელფეხება, ნელში ოდნავ ნახრილი ბიჭი შემოვიდა ზალასაცხედროში და მამას სწრაფად ამოუდგა მხარში. ეს გახლდათ არავიძეთა ნაშიერი – თორნიკე, შინაურობაში – თანგულია.

არავიდან ჩამოსულებმა ხალხის ცოცხალი დერეფანი ჩქარი ნაბიჯებით გაიარეს, დამტირებლები მათ კარიბჭესთან შეეგებნენ და ცოცხალი დერეფნის გაწევ-გაწევით კიბემდე მიჰყვნენ.

არავიდან ჩამოსულებს თეთრი კოსტუმები ეცვათ. თეთრი კოსტუმი ყველას როდი ეცვა არავსა და არავიძეთში. აქაური გლეხკაცის სამოსი ოდითგან ღართი და კვართი ყოფილა. შიგნით კვართი ეცვათ, გარეთ ღართი ემოსათ. დღეს, რაღა თქმა უნდა, კვართსა და ღართს არავინ დაგიდევდათ, ზოგს ამერიკული ჯინსი ეცვა, ზოგ-

საც აფრიკული ჭრელი პერანგი, არავიძეთში ისეთ გლეხკაცსაც ნახავდით, მექსიკური სომბრერო რომ ეხურა, მაგრამ იმ თეთრი კოსტუმის ჩაცმა, არავიდან ჩამოსულებს რომ ეცვათ, ყველა არაველი ჭაბუკის ოცნება იყო. თეთრკოსტუმიანებს თავიანთი თერძი ჰყავდათ და თავიანთი თეთრი მაუდის საქსოვი საამქრო ჰქონდათ.

ასეთი კოსტუმები მხოლოდ მათ ეცვათ. თეთრკოსტუმიანები არავიძეთა მსახურები იყვნენ, ასე იყო ეს დადგენილი ამ კუთხე-მიდამოში, არავიძეთა მსახურთ კი არავისძენი პატივსა და თაყვანს მიაგებდნენ.

აბიასაც ეცვა ის თეთრი კოსტუმი, ოღონდ შავი არშია ეკეთა მარჯვენა მკლავზე გლოვის ნიშნად.

თეთრკოსტუმიანები ზალაში შემოლაგდნენ, შემოუარეს ცხედარს ირგვლივ, თავი დაუქნიეს შავით მოსილ ჭირისუფლებს და სათითაოდ ჩამოართვეს აბიას ხელი, ზოგი მათგანი გადაეხვია კიდეც. აბიას ცრემლი მოერია, მეგობრების თანაგრძნობამ გული აუჩუყა.

ერთი თეთრკოსტუმიანი შეჩერდა და ხმადაბლა უთხრა:

– ავადაა.

იგულისხმებოდა ივსიხი ნესტორის ძე. აბიას გაუხარდა. გულის სიღრმეში იმედიც კი მოეცა. უნდოდა ეკითხა: „ვინ გითხრა, თუ თვითონ დაგირეკაო?.." მაგრამ თავი შეიკავა, სულსწრაფობა არ შემატყონო, მადლობა გადაუხადა სტუმრებს თანაგრძნობისათვის.

ლხინში და ქორწილში გადამეხადოსო, გააყოლა ყველას.

თეთრკოსტუმიანები აივანზე გამოვიდნენ, იქ სკამები იდგა, შორიდან ჩამოსული სტუმრები ისხდნენ და ხმადაბლა მუსაიფობდნენ, თეთრკოსტუმიანები რომ დაინახეს, წამოუდგნენ ფეხზე და მიესალმნენ, თან კედელ-კედელ შეუმჩნევლად და მორიდებულად გაეცალნენ იქაურობას.

აივანი სულ მთლად დაიცალა. არავის უთქვამს მათთვის, ნადითო, უნებურად გაიკრიფნენ.

თეთრკოსტუმიანების მოსვლა მის ნიშანი იყო, რომ ცხედარს მალე გამოასვენებდნენ. ეზოში ჭირისმოზიარენი ჯგუფ-ჯგუფად, კუთხე-კუთხე იდგნენ. ზოგი ცნობისმოყვარე, სასახლის სამზადისა, სასიმინდის უკან, ხეხილის ბაღის ბოლოს, ცალკე მდგარ თავ-

შესაფარში, როგორც ვარლამი ეძახდა ამ რკინის ხუხულას, მიმდგარიყო და არავიძეებს ხმადაბლა ქირდავდა.

– აი, იმ ბუნკერში ამოხდა სული, – ბერიკაცი ნაბდისქუდიან, წვერმოშვებულ მოხუცს შორიდან უჩვენებდა ვარლამ არავიძის თავშესაფარს. შვილიშვილი რომ ჰყავთ ერთი, თანგულია, ხომ გინახავს? – ა, იმის მეტს არავის იკარებდა თურმე, არ ენდობოდა არავის. შვილზე და რძალზეც ეჭვიანობდა, მომწამლავენო – დაიმწყვდია თავი... ააფრინა ბოლოს, აფსუს ვარლამ არავიძე!..

– კი, იმ ბიჭის ხელში მოკვდაო, – ასე ამბობენ, – დაუდასტურა მოხუცმა.

– იმის ხელში, ჰო, ის ბიჭი ნამდვილად კარგი ჰყავთ არავიძეებს. ისეთებს ღმერთი აჩენს...

თავშესაფარი ეკლიანი მავთულით იყო შემოღობილი. ღობის გადაღმა არავიძეთა ავი ძაღლი ჰყეფდა, ძაღლი ჯაჭვით იყო დაბმული და თავშესაფრის არე-მარეზე ადამიანს თვალს რომ მოკრავდა, ტოტზე დგებოდა, ავად იღრინებოდა შორიდან.

ცნობისმოყვარენი თავშესაფარს არ ელეოდა, ვინც სამძიმრისთვის მოვიდა, აქეთ ყველამ გამოისეირნა, ვითომ სხვათაშორის, ვითომ ისე, დროის გასაყვანად, მობაასობდნენ. ცალი თვალით იქით, რკინის თავშესაფრისკენ იყურებოდნენ, თან ათასგვარ ჭორს თხზავდნენ ვარლამ არავიძეზე, მის წარსულზე, აბიაზე, ცისმარეზე, თანგულიაზეც კი.

თეთრკოსტუმიანების მოსვლისთანავე შემცხადებლები ნელა დაიძრნენ წინა ეზოსაკენ. მიცვალებულს მალე გამოასვენებდნენ, შესახვედრად ემზადებოდნენ. წამით შეწყდა სამგლოვიარო მუსიკა. თმაქოჩორა ბიჭმა გამოიტანა პირველი თაიგული.

– მოითმინეთ! – ამოიჭრა აივანზე ნოვე – მთავარი ჭირისგამრიგე. აივანზე კვლავ მოეყარა ხალხს თავი, თეთრკოსტუმიანები ეზოში ჩასულიყვნენ. ნოვემ ხალხი მიარღ-მოარღვია და აბიასთან მივიდა.

– აბიავ, ბატონო, ვიცი რომ თქვენც არა გწამთ არაფერი, ვარლამსაც არ სწამდა, ჩვენც არა ვართ მთლად ყრუები. ჩვენც არა გვწამს, მაგრამ წესი წესია, ნუ დავარღვევთ მამა-პაპურ წესსა და რიგს... გავიყვანოთ ჭირისუფლები და დავხუროთ კარები.

– კი ბატონო, – უთხრა აბიამ ნოვეს – ჭირისგამრიგე შენ ხარ და გააკეთე ისე, როგორც საჭიროა.

ნოვემ ჭირისუფალი ქალების გაყვანა ბრძანა. აბია აივანზე გადადგა, ზენონს ეძებდა. ზენონს სიტყვის წარმოთქმა ევალა. რამე სისულელე არ წამოროშოსო, წინასწარ უნდა გაეგო, რის თქმას აპირებდა.

ზენონი აბიას თანამშრომელი იყო. სატირლებში გამოსათხოვარი სიტყვით თქმა ეხერხებოდა. ზეპირად წარმოსთქვამდა სამგლოვიარო სიტყვებს. აბიამ გააფრთხილა, დაწერე და წაიკითხეო. ზენონს გამოსათხოვარი სიტყვა ოთხად დაკეცილი ედო ჯიბეში.

ზენონმა აივანზე გადამდგარი აბია რომ დაინახა, მაშინვე მისკენ გაეშურა. ზენონი იყო მაღალი, მკვრივად ჩასხმული წითური კაცი, სამრენველო საქმეებს ხელმძღვანელობდა არავში, „დიდ მრეწველს“ ეძახდნენ.

ზენონი კიბეზე ჩქარი ნაბიჯებით ამორბოდა, აივანზე რომ დაადგა ფეხი, კიდევ უფრო აჩქარდა. შორიდანვე შეატყობდა ადამიანი, რომ მდევივით ვაჟკაცს ნემსის ყუნწში ძრომის დიდი გაკვეთილები მიეღო, ქლესა-მლიქვნელობის აკადემია დაემთავრებინა.

ქუდმოშვლეპილი დაუდგა ნინ აბიას, ჯიბიდან ოთხად გაკეცილი ქაღალდი ამოიღო და კითხვას შეუდგა: „პატივცემულო საზოგადოებავ...“

– მომეცი, მე წავიკითხავ! – უთხრა ცივად აბიამ და ქაღალდი გამოართვა.

ზენონი გვერდით დაუდგა და თვითონაც ჩაჰყო ცხვირი ნაწერში. აბიამ ზურგი აქცია, შენი დახმარება არ მჭირდება, თვითონაც კარგად წავიკითხავო. ზენონმა ირგვლივ შემოუარა და კვლავ ჩაუყო ცხვირი ნაწერში. აბიამ სიტყვის ბოლომდე წაკითხვა ვერ მოასწრო, ნოვემ დაუძახა. აბიამ ნაწერი ზენონს დაუბრუნა და ზალაში შევიდა. ნოვეს ზალიდან ჭირისუფალი ქალები გამოეყვანა, მამაკაცები დაეტოვებინა კუბოს ამწევად. აბიამ პირველმა მოკიდა მამამისის კუბოს ხელი, მიეშველნენ ბიძაშვილ-მამიდაშვილები, თანგულიც მოიყვანეს, ნინ წარიმძღვარეს და კუბო სამჯერ შემოატარეს ზალაში. სამჯერ ჰკრეს კუბოს ცხვირი ჩაკეტილ კარებს და გახსნეს კარი. კარებში პირველი თანგულია გამოჩნდა, კუბოს ნინ

ის მოუძღოდა, შავით მოსილ ქალებში ვიღაცამ შეჰკივლა: „დიდუპ, ვარლამი, შენს სახლ-კარს სტოვებო?..“ – ცისმარე არ კიოდა. კივილი და მოთქმა არ შეეძლო, არც სთვლიდა საჭიროდ. მისი აზრით სოფლელი დედაკაცები ჰკიოდნენ და მოთქვამდნენ, კულტურული ქალაქელი ქალები ჩუმად ისხდნენ კუბოსთან და სასაფლაოსკენაც ჩუმად მიაცილებდნენ მიცვალებულს.

ცისმარე შავით მოსილ ჭირისუფლებს შორის იდგა ეზოში და ვარლამის გამოსვენებას ელოდებოდა. მართალია, უპირველესი ჭირისუფალი სწორედ რძალი – ცისმარე იყო, მაგრამ იკივლა დისშვილმა, მთიდან ჩამოსულმა ხანს მიღწეულმა გაჭაღარავებულმა მშრომელმა ქალმა. რაკი არავინ აჰყვა, მოთქმაზე გადავიდა, ნამეტანი წივილ-კივილის მასაც შერცხვა.

როცა ვარლამი ეზოში ჩამოასვენეს, მემაგნიტოფონემ ხმას აუწია, „სულო ბოროტოს“ მელოდიით აივსო არავიძეთა ეზო-მიდამო.

ჭირისუფლებს კუბოს წაღებაში ახლობლები და ნათესავ-მოყვრები შეენაცვლნენ. აბიამ გულზე ხელები დაიკრიფა და კუბოს უკან მიჰყვა.

ვარლამს პირისახე მთლად გალურჯებოდა, დაემახინჯებინა სიკვდილს. თანასოფლელებს ვარლამი წარმოსადეგი, ლამაზი ვაჟკაცი ახსოვდათ. დასიებულ, დაუშნოებულ ვარლამს თვალს რომ მოჰკრავდნენ, თავს დანანებით აქნევდნენ და ერთმანეთს შესჩიოდნენ:

– დეთა, დეთა, ვარლამი უბედური, ვარლამი, საცოდავი!... რავა გოუთელია და გოუთახსირებია სიკვდილს ვაჟკაცი კაცი!

ჭიშკარში რომ გადავიდნენ და სასაფლაოს გზას დაადგნენ, ნოვე მოვარდა აბიასთან და საყვედური უთხრა:

– ეზოში უნდა დაგვესვენებია, აბიავ ბატონო, – ვიჩქარით ნამეტანს სამარეში ჩადებას, არ შეიძლება ასე.

– მერე რატომ არ დავასვენეთ?

– მეც იმას არ ვჩივი. ზენონს ებარა ეს საქმე! ნოვემ თვალით მოძებნა ზენონი. წინ მიდიოდა. კუბოს ახლოს მისდევდა, ბიჭებს კუბოს წაღებაში ეხმარებოდა.

ნოვემ ზენონი დაიმარტოხელა და დატუქსა:

– ყველაფერი მე გავაკეთო? – თან აბიასაკენ იყურებოდა, იმის გასაგონად ამბობდა ამ სიტყვებს.

ნოვეს მართლა დიდი საქმე ებარა, – ვარლამის დასაფლავება. მთავარი ჭირისგამრიგე ის იყო. აბიამ ხეირიანად არც იცოდა, ქელეხის სუფრა მის ეზოში ასე ლაზათიანად, შნოიანად ვინ გაშალა, ვინ მოიტანა ამდენი სანოვაგე. ვინ გააკეთა ხაშლამა და სად იშოვეს ზუთხი. ნოვე იყო შემოქმედი ქელეხისა, ნოვე გახლდათ რეჟისორი ტრაგედიისა – „ვარლამ არავიძის დაკრძალვა“. ნოვეს მოსწონდა უფროსობა, წარამარა ვიღაცას მიუთითებდა, ვიღაცას ტუქსავდა:

– როგორ მიგაქვთ კუბო! – გაურისხდა ახალგაზრდებს ნოვე. ზენონთან საუბრისას მან თვალი მოჰკრა, რომ კუბო ერთ მხარეს დაქანდა. უმალ მიატოვა ზენონი და კუბოს წამღებთ დაუცაცხანა:

– მაღლები გვინდა, მაღლებმა შეცვალეთ! ვერ ხედავთ, ცალ მხარეს მაღლები უდგანან კუბოს, ცალ მხარეს დაბლები. ყველაფერი სხვამ როგორ უნდა გასწავლოთ! – ნოვემ კვლავ გახედა აბიას.

რასაკვირველია, საგანგაშო არაფერი ხდებოდა, კუბო წესისამებრ მიჰქონდათ. თუ კარგად დააკვირდებოდით, ეგებ შეგემჩნიათ, რომ ცალ მხარეს მართლა იყო კუბო დაქანებული, ნოვე კი ამას არავის აპატიებდა. ნოვე სულ მთლად უმიზეზოთაც იძლეოდა რჩევებს და ჭკუას არიგებდა ხალხს. სამსახურში ეს მას არ შეეძლო, არ ჰქონდა საუფროსო ადგილი, ამიტომ მთელ თავის ჭკუაგონებას აქ ხარჯავდა. აბიას მაინცა და მაინც არ მოსწონდა ნოვეს საქციელი, მაგრამ ითმენდა. ნოვე მართლა ერთგულად ემსახურებოდა, რა ვუყოთ, თუ აჭარბებდა. ასეთი ბუნების კაცი იყო ნოვე, მას მლიქვნელობის ასეთი ფორმა აერჩია, ჭკუას სხვა ასწავლიდა, სხვას მიუთითებდა და ამით თავის უფროსს ერთგულებას უმტკიცებდა.

ჭიშკარს გადაღმა, ასიოდე ნაბიჯზე იდგა შავით მოსილი, წითელი მიხაკებით მორთული ბალდახინი, აქვე ჩაემწკრივებინათ ხალხის გადასაყვანი ავტობუსები და მსუბუქი ავტომანქანები. აქ ბრძანებებს ზენონი იძლეოდა, მძღოლებში იდგა და ხელებს იქნევდა.

სამგლოვიარო სვლა ზენონის ზურგს უკან შედგა. კუბოც შეაჩერეს ჰაერში. საიდანღაც ნოვე მოვარდა და ზენონის გადაწყ-

ვეტილება – კუბო ბალდახინზე დაესვენებინათ და სასაფლაოსაკენ გზა ასე განეგრძოთ – შეცვალა.

– არ გვჭირდება ბალდახინი, ვარლამ არავიძე იმის ღირსია, კუბო საფლავამდე ხელით მივიტანოთ!.. – ხმამაღლა, ყველას გასაგონად თქვა ნოვემ. მართლაც, სასაფლაო იქვე იყო, ორი ფეხის ნაბიჯზე, კუბოს წაღება ახალგაზრდებს არ უნდა დაზარებოდათ, ბევრი ფიქრობდა ასე და ნოვემ უმეტესობის აზრი გამოხატა. სასაფლაო მარცლაც ახლოს იყო, თუ პირდაპირი გზით წახვიდოდით, არავიძეთა ეზოს გადაღმა ვიწრო შუკას რომ აუყვებოდით, იქვე, ტყის პირას, ფერდებჩალენილი თეთრი საყდარი შეგხვდებოდათ, ამ საყდრის ეზოში ემარხნენ არავიძენი და ვარლამიც იქ უნდა დაესაფლავებინათ.

სამგლოვიარო სვლა შუკაში გაიჭიმა, ხალხი ვიწრო გზაზე ვერ დაეტია, უვალ ადგილებში გაიბნენ, ზოგი ფერდობს აეკიდა და მოკლეზე მოჭრა. ავტობუსები და ავტომანქანები შემოვლით, საავტომობილო გზით, დაიძრნენ სასაფლაოსაკენ. მალე ყველანი ერთად შეიკრიბნენ ვარლამ არავიძის გათხრილ საფლავთან. მემუსიკენი ცალკე დადგნენ და თავიანთ საქმეს შეუდგნენ. კუბო საფლავის კიდეზე დაასვენეს, თავსარქველიც იქვე, გვერდით დაუდეს. წამით სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

– ბატონებო და ქალბატონებო! – სიტყვა აიღო ზენონმა, – დღეს ჩვენ ვეთხოვებით დიდ ადამიანს, დიდ მოქალაქეს, დიდ ვაჟკაცს, სათაყვანო მამულიშვილს. ზენონს ხელში რვეული ეჭირა, მაგრამ, რასაკვირველია, შიგ არ იყურებოდა, ზეპირმეტყველებას უპირატესობას ანიჭებდა. რვეული აბიას ხათრით ეჭირა ხელში, აბიამ უთხრა: წაიკითხეო, თორემ წარმოსათქმელი სიტყვის წაკითხვა ზენონისათვის დამარცხებას უდრიდა. მთელ ამ კუთხეში თავისი ზეპირქადაგებებით იყო განთქმული. სათქმელი მუდამ წყალივით იცოდა. შედგებოდა ტრიბუნაზე – დაუმტკიცებელს დაამტკიცებდა, გამოვიდოდა ხალხის წინაშე – გასახელებდა, სუფრის თავში თუ სამარის პირას სიტყვის მთქმელს, ზენონზე უკეთესს ვერსად იპოვიდით, ასე სწამდა არავიძეთს და ასეც იყო სინამდვილეში. ოლონდ ერთი სიტყვა უშლიდა ხელს, ხანდახან აეკვიატებოდა და მთელ მის მჭევრმეტყველებას ანგრევდა. მართალია, ის სიტყვა აზ-

რის მოკრეფაში ეხმარებოდა, მაგრამ სიმჭევრეს სცემდა ლახვარს. ეს სიტყვა გახლდათ „მაშდამე“.

აბიას არ მოსწონდა, როცა ზენონი „მაშდამეს“ კორიანტელს დააყენებდა, ამიტომ უთხრა, წაიკითხეო. ზენონს რვეული, მართალია, ხელში ეჭირა, მაგრამ სიტყვას ზეპირად ამბობდა. პირველი წინადადებები მაღალფარდოვნად, მკაფიოდ და შთამბეჭდავად წარმოსთქვა. „სათაყვანო მამულიშვილს – ვარლამსო რომ თქვა, იქ შეისვენა. ამის შემდეგ აბზაცით გრძელდებოდა სათქმელი, „ვარლამ არავიძე იყო პატიოსანი, მშრომელი ადამიანი“... ზენონს ეს მშვიდი წინადადება აღარ გაახსენდა, რატომღაც ბინდი ჩამოეფარა გონებას, და „მაშდამე“ იხმო მშველელად, პირველი „მაშდამე“ „მამულიშვილ – ვარლამს“ მიაყოლა. „მაშდამემ“, როგორც მოსალოდნელი იყო, რაკი სადინარი იპოვა, ნიაღვარივით მოსკდა.

„ვეთხოვებით მოღვაწეს, მაშდამე, ვინც შორს გასტორცნა სახელი არავისა და არავიძეთისა, მაშდამე, უკანასკნელ გზაზე მივაცილებთ რაინდს, მაშდამე, ვინც არავიძეთა გვარი დიდების შარავანდედით შემოსა, მაშდამე...“

აბიას შერცხვა თეთრკოსტუმიანების, ხალხის და ადგილზე ანრიალდა, არ იცოდა, როგორ შეეჩერებინა ზენონი. ნოვე მიუხვდა უფროსს, ვითომ დეპეშების გადასაცემად გვერდით ამოუდგა ზენონს და უჩურჩულა:

– დაამთავრე!..

ზენონმა იაზრა, რომ მისი სიტყვა არ მოეწონათ და უფრო აირია, უფრო უმატა „მაშდამეს“, ხელათ მოამრგვალა სათქმელი. დაე, მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა, მაშდამეო, – ჩასძახა კუბოში და გაჭარხლებული გვერდით მიდგა.

დეპეშებიც ზენონს უნდა წაეკითხა, მაგრამ რახან სიტყვის თქმისას ჩაფლავდა, დეპეშებთან არ მიუშვეს. დეპეშები ნოვემ რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს კალისტრატეს გადასცა.

კალისტრატემ დეპეშები მკაფიოდ და გამოთქმით წაიკითხა. მუსიკოსებს ანიშნა და სასაფლაოს მწუხარე ჰანგები მოეფინა.

დაიწყო გამომშვიდობება.

ხალხი სამარის გარშემო იყო შემოკრებილი. მოშორებით, ხის ძირას, იდგა ერთი შუა ხნის კაცი და დაძაბული შესცქეროდა ვარ-

ლამ არავიძის ცხედარს. უცნობი ყურადღებას იქცევდა იმით, რომ მარტო იდგა ხის ძირას. მასთან არავინ მიდიოდა. სასაფლაოზე იმდენი ხალხი მოსულიყო, ნაცნობები და უცნობები ერთმანეთში ირეოდნენ, აბიას იმდენმა უცნობმა მიუსამძიმრა, ხის ძირას მდგარი უცნობის თავი ვის ჰქონდა. აბიას არც დაუნახავს ის კაცი. მისი შემჩნევა მხოლოდ იმათ შეეძლოთ, ვინც სეირის საცქერლად მოსულიყვნენ, ჯგუფ-ჯგუფად დასეირნობდნენ და საფლავის ქვებზე წარწერებს კითხულობდნენ.

კუბო საფლავში ჩაუშვეს. ჭირისუფლები გვერდით გაიყვანეს... მესაფლავენი დატრიალდნენ, დაჰკრეს მიწას ბარი და კუბოს ბრაგუნ-ბრაგუნი აუტეხეს.

თანგულიას გაყვანა დავიწყნოდათ. ჭაბუკი სამარის პირას, ნოვეს, ზენონის და სხვა ჭირისგამრიგეთ შორის იდგა და პირდაპირ სამარეს ჩასცქეროდა.

– წადი, ბიძია, შენ, იქით! შენი ადგილი აქ არ არის! – უთხრა ნოვემ თანგულიას. თანგულიამ ადგილი მოინაცვლა, მაგრამ სამარეს არ მოშორებია, შორი-ახლოს დადგა. ყველაზე საზარელი ახლა ხდებოდა – სამარე მის თვალწინ ივსებოდა მიწით. მის საყვარელ ბაბუას მიწას აყრიდნენ.

ხალხი ნელ-ნელა გაიკრიფა სასაფლაოდან.

სასაფლაოს წინ, გზის პირას, ავტობუსები და მსუბუქი მანქანები იდგნენ. ყველა, ვინც ვარლამი უკანასკნელ გზაზე გააცილა, უკან, ქელეხის სუფრაზე, უნდა მობრუნებულიყო – ასეთი იყო ბრძანება. ზენონი ასრულებდა ამ ბრძანებას. ხალხს ავტობუსებში ეპატიუებოდა.

ჭირისუფალი ქალები მსუბუქ ავტომანქანებში ჩასხეს და შინისკენ გაგზავნეს.

მესაფლავეებთან აბია, ნოვე და თანგულია დარჩნენ.

სამარე მიწით ამოავსეს, ამობორცვეს... ნოვემ წითელი მიხაკები მოიტანა და საფლავის ბორცვს გადააყარა. მესაფლავენი გვერდით მიდგნენ და სახელდახელო სუფრა გაშალეს მწვანეზე. ჭიქას თავი წაუქციეს. ვარლამ არავიძის შესანდობარი თქვეს. აბიამაც დააწვეთა პურზე ღვინო, ნოვემაც, თანგულიამაც...

მზე კარგა ხნის ჩასული იყო. სასაფლაოზე საღამოს ბინდი წვებოდა.

შავი დღე და შავი ღამე

ქელეხი გვიან ღამემდე გაგრძელდა. თეთრკოსტუმიანებისათვის ცალკე სუფრა იყო გაშლილი სასახლის პალატაში, დიდ საბანკეტო დარბაზში. ისინი დიდხანს არ დარჩენილან. მართლაც, თითო ჭიქა აიღეს, გარდაცვლილის ხსოვნისა თქვეს, დარჩენილები ადღეგრძელეს, თავდაჭერილად, ზომიერად გამოუცხადეს თანაგრძნობა აბიას, მოწიწებით დაემშვიდობნენ ცისმარეს, ჩასხდნენ თავიანთ მანქანებში და წავიდნენ.

ეზოში, დიდ სეფაში, სამასამდე კაცი მიუჯდა ჭირის სუფრას. სუფრა ხუთასი კაცისათვის იყო განკუთვნილი, მაგრამ ყველა არ დაბრუნდა სასაფლაოდან.

ჯარასავით ტრიალებდა ნოვე, სირცხვილი არ ვჭამოთო — თეთრხალათიან გოგო-ბიჭებს აფრთხილებდა წარა-მარა.

აბია, თანგულია, ცისმარე, მამიდაშვილ-ბიძაშვილი ჭირისუფლებიც მიუსხდნენ დიდ სეფაში შავ სუფრას.

ზენონი თამადობდა.

სადღეგრძელოები წესისა და რიგისამებრ შეისვა.

ჩამოსული სტუმრები, შორეული ნათესავები, ვარლამის ძველი მეგობრები და თანამშრომლები, აბიასა და ცისმარეს თანამშრომლებიც დიდხანს არ დარჩენილან. ნელ-ნელა წამოიშალნენ, ბოდიში მოუხადეს თამადას, ღმერთმა ლხინში და ქორწილში შეგვახვედროსო, უთხრეს ერთმანეთს. დალოცეს აბია და ცისმარე, შინისაკენ გზას გაუდგნენ.

სუფრასთან ოჯახის ახლობელ-მეგობრები, ჭირის მსახურნი, მესაფლავენი, მწდე-მერიქიფენი დარჩნენ. ადრე დილიდან დაღამებამდე ნაშრომ-ნაჯაფართ, ლუკმის გასატეხად მოუცლელთ, მშიერთა და მწყურვალთ ღვინო ადვილად მოეკიდათ.

სადღეგრძელოები უსაშველოდ გაგრძელდა. სიყვარულის გამოვლენას, ერთგულების დამტკიცებას დიდი დრო დასჭირდა.

ცისმარემ სუფრის პირველი წამოშლით ისარგებლა და დამხმარე გოგო-ბიჭებს ანიშნა, მილაგ-მოლაგებასაც ერთდროულად ხელი მივყოთ, თორემ დაგვათენდებაო.

ვარლამ არავიძის ფართო ეზო-კარი ელექტრონის შუქით იყო გაჩირაღდნებული. სეფის თავში, ბოლოში, შუაში, სასახლის წინა აივანზე, უკანა აივანზე, პალატის კართან, სამზადის წინ, ეზოში მდგარ ყოველ ხეზე ნათურები ეკიდა. კუნაპეტ ღამეში, ვარლამ არავიძის ეზო ისე იყო განათებული, ნემსი რომ დავარდნოდათ, იპოვნიდნენ. თეთრხალათიანი გოგო-ბიჭები ჯარასავით ტრიალებდნენ სეფაში, სამზადში, ჭის თავზე... სეფიდან უკვე ყაყანი მოისმოდა.

აბიამ სუფრა მიატოვა, სეფის გარეთ დადგა, მოფუსფუსე ჭირის მსახურთ შეერია.

ზენონმა სადღეგრძელოები დაამთავრა. ისიც წამოდგა და აბიას დაუდგა გვერდით. სუფრას დომენტიე თამადობდა. მისი გამყინავი ხმა არავიძეთა ეზოს გადალმა, შორს გაისმოდა: „უიტიოვო, ერთი სადღეგრძელო უნდა ვთქვაო"...

– ვინ არის ეს კაცი? – იკითხა მოთმინებადაკარგულმა ზენონმა.

– ეს დომენტიეა, – მიუგო ნოვემ, – მეზობელია აქ...

– თუ ნებას მომცემთ, ბატონო აბიავ, მოვკიდებ ხელს და ნავიყვან თავის სახლში, – უთხრა საიდუმლოსავით აბიას ხმადაბლა.

ზენონსაც ბლომად დაელია, მაგრამ არაფერი ეტყობოდა, ოდნავ წამოწითლებულიყო, სიმთვრალის გამო სიბრაზეს მისი მშვიდი ბუნების შეუფერებლად ამჟღავნებდა.

– მე მაცალეთ, – უთხრა მათ ნოვემ და სეფაში შევიდა. სუფრასთან არავინ იჯდა, ოცდაათიოდე მთვრალი მამაკაცი სუფრის კუთხეში შეყრილიყო და უთავბოლოდ კამათობდა.

– მომისმინეთ! – შესძახა ნოვემ, სავსე ჭიქა აიღო და დომენტიეს შეხედა:

– სადღეგრძელოები მოთავებულია, აბიას სახელით, ცისმარეს სახელით უღრმეს მადლობას გიხდით ყველას პატივისცემისათვის, ახლა წაბრძანდით თქვენ-თქვენ სახლებში, დავასვენოთ ჭირისუფალი, გვიანაა უკვე... – ნოვემ საათს დახედა, ამით ნათქვამს დამაჯერებლობა შესძინა.

გაჭრა ნოვეს პირდაპირობამ. მოულოდნელი სიჩუმე ჩამოვარდა სეფაში და სასწრაფოდ დაიშალნენ კიდეც.

ჭიშკარში ვიღაც ღიღინ-ღიღინით გავიდა.

ქალებმა ხელათ აალაგეს სუფრაზე დარჩენილი ჯამ-ჭურჭელი და სანოვაგე. მთავარი საქმე ხვალისათვის გადასდეს და გაიკრიფნენ. სულ ბოლოს ნოვე დაემშვიდობა აბიას.

მიჩუმდა არავიძეთა შავად ახმაურებული კარ-მიდამო.

ნაშუაღამევი გადასული იყო, როცა დაღლილ-დაქანცული ცისმარე, აბია და თანგულია დასაძინებლად მიეყარნენ თავიანთ საწოლებში.

თანგულია გაქათქათებულ ქვეშაგებში ჩაწვა თუ არა, იმ წამს ჩაეძინა და ტკბილი ფშვინვა ამოუშვა.

ცისმარეცა და აბიაც დამდურებულებივით ჩაესვენენ თავიანთ თეთრ საწოლებში, ტუტუნ-ჭორაობისთვისაც კი არ შესწევდათ ძალა.. ქანცგაწყვეტილებმა ახ-ოხო ამოაყოლეს მთქნარებას და ძილს მისცეს თავი.

დამშვიდდა, დაწყნარდა არავიძეთა კარ-მიდამო. აულაგებელ სეფაში, სამზადში, თავშესაფარში, კაჭიჭისა და ბჟოლის თალარ-საჩრდილობლებში, ტრიფოლიატის მაღლა გადაბელილ ღობესა და სამზადის უკან გამართულ ვენახში ღამის დუმილი გამეფდა.

ეზოს მყუდროებას ხანდახან ფაჩუნ-შარიშური არღვევდა. კუთხე-კუთხე დაბორიალობდა ახალაშვებული ვარლამის ავი ძაღლი მგელია. მართლაც რომ მგელივით ავი იყო. მთელი ღამე ერთს არ დაიყეფებდა უმიზეზოდ, არც გამოჩნდებოდა ეზოში, მოფარებულში იწვა ან სიბნელეში ელოდებოდა მსხვერპლს. მხეცივით ფეხაკრეფით დადიოდა, თუ საფარიდან გამოვარდებოდა და ღრენა-ყეფას ასტეხდა, უსათუოდ ან ძაღლი მიდიოდა გალავნის გადაღმა, ან ღამის სტუმარი იყო მომდგარი ჭიშკართან.

დაწოლის წინ მგელია აბიამ აუშვა. ის დადიოდა თავის სამფლობელოში. ახლადაშვებულზე იცოდა „შემოვლა", ზოგჯერ შემორბენაც კი. შემდეგ სადმე, მყუდროზე, დაწვებოდა და ღამეს გაყურსული დარაჯობდა, ერთი შეხედვით, იფიქრებდით სძინავსო, ნურას უკაცრავად! – ეზოში ფოთლის ჩამოვარდნას იგებდა, თავს უმალ ასწევდა და ვეფხვის ნახტომით იქ გაჩნდებოდა, საიდანაც ხმა შემოესმა, რომ დარწმუნდებოდა, ფოთოლი იყო და მეტი არაფერი, კუდამოძუებული უკან ბრუნდებოდა საფარში.

არავიძეთა კარ-მიდამოს, კაცმა რომ თქვას, ავი ძაღლი არც სჭირდებოდა, ორი მეტრის სიმაღლის, ძველებური ციხე-სიმა-

გრეების გალავანთა დარი, დუღაბით შეკრული ქვის გალავანი ერ-ტყა, გალავანზე ეკლიანი მავთულის ღობე დაეფუძნებინათ და ზედ ეკალ-ბარდიც მიეშვათ, ისე ჩახლართოდა ერთმანეთს ეკალ-ბარდი და ეკლიანი მავთული, ვერა კაცი, ვერა სულდგმული ამ გალავანზე ვერ გადაძვრებოდა, ჩიტი ვერ გადაფრინდებაო – თამამად შეგე-ძლო გეთქვა.

წინა მხარეს, გზის გაყოლებაზე, ჭიშკრის მარჯვნივ და მარცხნივ, ალბათ, სოფელ-ქვეყნის დასანახად, ეზოს ძველებური ციხესი-მაგრის გალავანი არ ერტყა. ტრიფოლიატის ღობე აერთებდა გალავნის კედლებს ერთმანეთთან, ამრგვალებდა და ამშვენებდა ეზოს ეს ღობე. ტრიფოლიატის ღობეც არ იყო მეზობელ ღობეთა მსგავსი, პატრონს ზომაზე მაღლა გადაებელა და განზეც გაეშვა, მიუკარები რომ ყოფილიყო, ძუნწად გაეკრიჭა. ცისფერი რკინის ჭიშკარი საგანგებოდ იყო ჩამოსხმული, ორსართულიანი, ორმაგად ნაქსოვ-ნაგრეხი, თითქოს ორი რკინის ჭიშკარი ერთმანეთთან მიუ-დულებიათო, რკინის გასაღებით რომ ჩაკეტავდნენ, ტანკითაც კი ვერ შეანგრევდით. მძლავრი რკინის მოწყობილობა დუღაბის დიდი თაღით იყო გადახურული, რითაც ის კარიბჭეს ჰგავდა.

ვარლამ არავიძე, სხვა კაცი იყო, მისდღემში სხვანაირ სამსა-ხურში იყო, სხვანაირ საქმეებს აკეთებდა, სახლ-კარიც სხვანაირი ჰქონდა. ძაღლიც კი სოფლის სხვა ძაღლებისაგან გამოირჩეოდა. სოფელი ამას შეგუებოდა და არც კითხულობდა, რატომ იყო ასე. არავიძეთა კარ-მიდამო ნაკრძალს ჩამოჰგავდა.

სულ მუდამ ასე იყო, აბია ხომ არ ცხოვრობდა არავიძეთში, ვარლამმაც მხოლოდ სიცოცხლის უკანასკნელი წლები გაატარა ამ ეზო-მიდამოში, აღადგინა მამა-პაპეული მამული, როგორც აბია ამბობდა: უაზროდ ჩაყარა დიდძალი ფული, ეს გალავანიც მაშინ აღადგინა და ძვირადღირებული რკინის კარიბჭისა და რკინის თავშესაფრის დადგმაც მაშინ აიხირა.

აბიას აზრით, სულ მეტი იყო ორსართულიანი, მრავალ ოთახი-ან-აივნიანი სასახლის წამოჭიმვა ამ ტყე-ღრეში. აბია, ცისმარე და თანგულია არავში დაიბადნენ, იქ გაიზარდნენ, იქ ჰქონდათ ბინა, ფუძის აღდგენისათვის ამდენი შრომის გაწევა, ამდენი ფულის და-ხარჯვა არ ღირდა. აბიას ცოლ-შვილი არავიძეთში არ იცხოვრებ-

და, ვარლამს კი სხვა მემკვიდრე არავინ ჰყავდა. ვარლამი ამბობდა, არაუშავს, თანგულიას მოვუყვან ცოლს და ჩემთან ის იცხოვრებსო, აღარ დასცალდა, ვეღარ მოესწრო თანგულიას ცოლს. ახლა აბიას უნდა ეპატრონა აქაურობისათვის. გათენდებოდა ხვალინდელი დილა, სეფას დაშლიდნენ, ნაქირავებ მაგიდებს, სკამებს, ჯამ-ჭურ-ჭლებს თავიანთ პატრონს ჩააბარებდნენ, მიალაგ-მოალაგებდნენ, მგელიას ვინმეს აჩუქებდნენ, გამოიკეტავდნენ სასახლეს, პალატს, სამზადს, საღორესა და საქათმეს (ვარლამს არც ღორი ჰყოლია და არც ქათამი. საღორე, საქათმე და ბეღელ-მარანი სილამაზისათვის ააგებინა), რკინის ჭიშკარს გირის ბოქლომს ჩამოჰკიდებდნენ და ქალაქის გზას გაუყვებოდნენ.

აბიას სახლეულს ეს კარ-მიდამო აგარაკადაც არ გამოადგებოდა. არავიძეებს აგარაკიც ჰქონდათ და ზღვისპირას მანდარინისა და ფორთოხლის ბაღებიც.

ფუძის არ მოშლა თვითმიზანი ხომ არ იყო?... ბოლოს და ბოლოს, გაყიდიდა ყველაფერს, ფულს ჯიბეში ჩაიდებდა და მორჩა და გათავდა, დაისვენებდა.

ასე ფიქრობდა აბია წუხელ, როცა ტანთ იხდიდა, როცა გაქათქათებულ ქვეშაგებში რბილად ჩაესვენა და ძილს მისცა თავი, დილა-სისხამზე როცა მგელიას ყეფამ გამოაღვიძა, მაშინაც ეს აზრები უტრიალებდა თავში.

„რად მინდა სამი აგარაკი, გავყიდი და ფულს მოვიხმარ“, – მძინარე ცოლს უთხრა ვითომ, თან ფლასებში ჩაჰყო ფეხები, საცვლებისამარა ფანჯარას მიადგა: „ეს ძაღლი ვის მივცე“... – მგელია ჭიშკართან, ტრიფოლიატის კედელს მისდგომოდა და უყეფდა, ულრენდა. „ნოვემ მისცეს, ვისაც უნდა“...

მურუჟღი სინათლე ჩამოსულიყო ზეციდან, ჯერ ბინდ-ბუნდი იდგა ეზოში, კარგად არ ჩანდა, რას უყეფდა ძაღლი.

„მგელია ტყუილ-უბრალოდ არაფერს შეუყეფს“... – დასცეცხლა უცებ აბიას და ფანჯარა გამოაღო, თავი გაჰყო, ჭიშკარს გახედა, ტრიფოლიატის ღობეზე რაღაც იდო, ვერ გაარჩია, რა იყო. წინკარი გააღო და აივანზე გავიდა. ძაღლმა პატრონის გამოსვლა იგრძნო და ყეფას უმატა. „რა უნდა იყოს“, აწრიალდა აბია აივანზე. ღობეზე ადამიანი იყო გადმოკიდებული.

„ნუთუ მართლა ადამიანია?" იფიქრა, მეჩვენებაო და თვალი მოარიდა ჭიშკრის მიდამოს, სხვა მხარეს მიაპყრო მზერა, სახეზე ხელისგულები ჩამოისვა, საფეთქლები და შუბლი მოისრისა, თვალები მოიფშვნიტა და ფრთხილად, უფრო დაკვირვებით და ნაძალადევი სიმშვიდით გახედა მოჩვენებას. ტრიფოლიატის ღობეზე, ზემოდან კაცი იდო. ფეხები ეზოსკენ ჰქონდა დაკიდებული. აბიამ მაინც არ დაუჯერა თვალებს და შინ შევიდა, ჩავიცვამ და ახლოდან შევხედავო. საქციელი წაუხდა აბიას, ტანმა და გულმა ავი უაზრა, სიჩქარეში ძიქვა[1] ვერ ჩაიცვა, ფეხი ცალ ტოტში რომ ჩაჰყო, მეორეს ააცდინა და კინაღამ ზედ დაეცა მძინარე ცისმარეს. ფეხსაცმელს რომ წაეპოტინა, სკამს ჰკრა ხელი უნებლიეთ და წააქცია. ცისმარეს გამოეღვიძა და ლოგინზე წამოჯდა. რა ამბავიაო, შეშფოთებულმა იკითხა, კისერწაგრძელებული ფანჯარაში იყურებოდა, ძაღლის ყეფა იქიდან მოისმოდა.

– კაცი დევს ციტრუსებზე, იმას უყეფს ძაღლი, – თქვა დამნაშავესავით აბიამ.

– კაცი? – ფეხზე წამოიჭრა ცისმარე ღამისპერანგის ამარა და ფანჯარასთან მივარდა.

– თუ მოჩვენება არ არის, კაცია ნამდვილად, – თქვა აბიამ და ცოლს გვერდით ამოუდგა. დასტურს ელოდა მისგან. მართლა კაცი იდო თუ ეჩვენებოდა. ცისმარე გაფითრდა, ქმარს სასოწარკვეთილმა შეხედა და ისიც აივანზე გავარდა. იქიდან დააკვირდა ღობეს, ნელა მოიხარა, მოიხარა წელში, მოიმჩვარა, დაპატარავდა ერთ წამს, ის კაცი მამაშენიაო – ამის თქმა მოასწრო, გადაატრიალა თვალები და გულწასულმა ზღართანი მოადინა აივნის იატაკზე.

– ცისმარე! ცისმარე! – შესძახა აბიამ, თითქოს იმ ქვეყნად მიმავალს ეძახის, უკან უნდა დააბრუნოსო, იატაკზე დავარდნილს თავი აუწია, ნჯღრევა დაუწყო, მოსულიერება სცადა, – რა მოგივიდა, შექალო, მამაჩემი კი არა, ის არ გინდა... – დაბნეული, უაზროდ ისროდა სიტყვებს – თანგულია! თანგულია! – ყვირილი ასტეხა, შვილს უხმობდა საშველად.

– თანგულია, წყალი!

თანგულია მამის ყვირილმა გამოაღვიძა. დაფეთებული გამოვარდა აივანზე.

---

[1] შარვალი.

ვიდრე თანგულია წყალს მოიტანდა, ცისმარე მოსულიერდა. აბიამ წყალი მაინც შეასხურა. ცისმარემ ცივად მოიშორა ქმრის სველი ხელები. მკვირცხლად წამოდგა, აივნის სვეტს მოებღაუჭა, კვლავ არ დავეცეო. ერთხელაც გახედა შეუსვენებლად მყეფარ ძაღლს და ციტრუსებზე გადმოკიდებულ ადამიანს.

– მამაშენია ნამდვილად! – შეჰკივლა და ლოყაზე მთელი ძალით იტკიცა გაშლილი ხელის გული.

თანგულია ახლა-ღა მოეგო გონს, ახლა-ღა მიხვდა რატომ წაუვიდა დედას გული, რატომ ჰყეფდა მგელია, და მამაც რატომ იყო ასე არეულ-დარეული, ადგილს მოსწყდა და კიბე თვალისდახამხამებაში ჩაირბინა. შუა ეზოში შედგა წამით, გადმოკიდებული მართლა ბაბუას ჰგავდა, ბიჭი შიშმა აიტანა და მამას მოხედა. აბია შვილს უკან მოსდევდა, რაც უფრო უახლოვდებოდნენ ტრიფოლიატის ღობეს, მით უფრო რწმუნდებოდნენ, რომ მართლა ვარლამი იყო გადმოკიდებული ციტრუსებზე. მაგრამ იმედს მაინც იტოვებდნენ, ეგებ ვინმე სხვა იყოსო.

– შენ შეგჭამა მგელმა! – დაუცაცხანა ძაღლს აბიამ და ქვა ესროლა, გაჩუმდი, ნუ ჰყეფ, გული ნუ წაიღეო. მგელია მაინც არ სცხრებოდა. შორიდან უყეფდა თავის პატრონებს, მკვდარსა და ცოცხლებს.

აბია სულ ახლოს მივიდა ცხედართან, ფეხსაცმელებს ხელიც კი შეახო, – მამამისის იყო, ძიქვაც – მამამისის. პირი-სახე არ უჩანდა და იმას დაეძებდა. ძნელი დასაჯერებელი იყო, რასაც საკუთარი თვალებით ხედავდა, წუხელ კაცი დაასაფლავეს, დღეს აგერ ეკიდა ღობეზე.

ამასობაში ჭიშკარს ცისმარეც მოადგა. ხალათის გადაცმა მოესწრო და წინ იკრავდა, ისე გამორბოდა, თან ხმამაღლა მოთქვამდა, ახლოს რომ მოვიდა, შეჰკივლა:

– ვარლამი, საცოდავი!.. ვარლამი!..

– ჩუმად! – გონს მოეგო აბია, – ნუ გავაგებინებთ მეზობლებს, თავი მოგვეჭრება!..

სოფელს ეძინა, რომც ჰღვიძებოდა, გარედან, თუნდაც შარაგზიდან, აბიასა და მისი ცოლ-შვილის წიოკობის დანახვა მაინც არავის შეეძლო. კარის მეზობელიც არავინ ჰყავდათ, ვინმეს ცის-

მარეს შეკივლება რომ გაეგონა. თუ კაცს არ გაგზავნიდი და არ შეატყობინებდი, მეზობელი ვარლამისას არავინ შემოვიდოდა.

– მიმტრო ვიღაცამ, – ჩაიდუდუნა აბიამ დამნაშავესავით.

ცისმარე გაჩუმდა, პირზე ხელს იფარებდა და ქმარს შესცქეროდა, რას იზამდა. თანგულიას ჩაცმა ვერ მოესწრო და საცვლის ამარა, წელს ზევით მთლად შიშველი იდგა შორი-ახლოს, დილის სიგრილისაგან თუ შიშისაგან გული უკანკალებდა.

რა ექნა აბიას? ნოვე მაინც არ მოეხმო? ნოვესიც კი რცხვენოდა. ნოვე კი არა, ნეტავ ცისმარე და თანგულიაც არ ყოფილიყვნენ აქ!

ცისმარეს მკვდრის ეშინოდა, იმ ოთახში ვერ შედიოდა, სადაც მიცვალებული ესვენა, როგორ ეთქვა, მომეხმარე, მკვდარს ხელი მოკიდეო. ჭიასავით ბიჭი თანგულია ჰყავდა დამხმარედ და ისიც შიშისაგან ცახცახებდა.

თვით აბიაც ყოყმანობდა, უჭირდა მკვდარ მამას ფეხებზე მობღაუჭებოდა და გადმოეთრია ციტრუსებიდან, ვინ იცის, როგორ წამოვიდოდა მაღლიდან, ეგებ ვერ შეემაგრებინა...

აბიამ ცხედარს ფეხებზე მოკიდა ხელი და შეატოკა, შეამოწმა, ჩამოცურდებოდა თუ არა. თითქოს ზედ დაწებებულაო, არ იძროდა ცხედარი, ეკლები ჩასჭიდებოდნენ სამოსს და არ უშვებდნენ.

აბიამ მკვდარს ფეხები შეუტყუპა, მკლავები მოხვია და ანევა სცადა, ეგებ ეკლებიდან ავაძრო, მერე ადვილად ჩამოცურდებაო. ძვრა ვერ უყო, ვარლამი ტანსრული, წარმოსადეგი ვაჟკაცი იყო, ტყვიასავით დამძიმებულიყო, მდევივით იდო ტრიფოლიატის ეკლიან ღობეზე. სიმწრის ოფლი მოიწურა აბიამ შუბლიდან. ჯერ არაფერი გაეკეთებინა და უკვე ქშინავდა და ქსიტინებდა, ოფლად გაღვრილიყო და გული ბაგა-ბუგით უცემდა. მღელვარებამ დაღალა, თავზარმა დაასხა სიმწრის ოფლი, ელდამ შეუბორკა ხელ-ფეხი. როცა მამა ვერ ჩამოაცურა ღობიდან, ისეთი უმწეო და უსასოო აღმოჩნდა, ლამის იქვე, ღობის ძირას, ჩაკეცილიყო საქციელწამხდარი. რას იქმოდა, რას ბურტყუნებდა, კაცი ვერ გაიგებდა. ისევ ცისმარემ იმარჯვა, ქმარს ის ამოუდგა მხარში.

– კარგი, აბია, გაანებე თავი, ბიჭებს მოვიყვან და ჩამოაღებინე. სასაფლაოზე მაინც ვერ წაიღებ მარტო...

აბია გონს მოეგო, ცოლი მართალს ეუბნებოდა.

ახლობლებს მაინც უნდა გაეგოთ ვარლამის საფლავიდან ამოგდების ამბავი. მაშ, ღობეზე გადაკიდებული მამა მიეტოვებინა და ნოვესთან ნასულიყო?..

უკვე ფართოდ გათენებულიყო. ვიღაც გამოვიდა შარა-გზაზე, ნახავდა ღობეზე გადაკიდებულ ვარლამს და მთელი სოფელი გაიგებდა არავიძეების შერცხვენის ამბავს.

ამ კუთხე-ქვეყანაში საფლავიდან მკვდრის ამოღება ჯერ არავის გაეგონა. აბიაც პირველად ხედავდა საფლავიდან ამოგდებულ მკვდარს. სხვას არავის არ უნდა გაეგო ეს საზარელი ამბავი. ამდენი ფიქრისა და განსჯის დროც აღარ იყო, აბია ყველაფერ ამას გუმანით გრძნობდა, არც ფიქრობდა და არც არაფერს ამბობდა ამაზე, გულით გრძნობდა, გული ეუბნებოდა: ახლავე, ამ წუთას, ჩამოიღე ცხედარი ციტრუსებიდან და შინ შეიტანე, დამარხვაზე მერე იფიქრეო.

– ბიჭები კი არა, თქვენც არა ხართ აქ საჭირო, ხელს მიშლით, – უთხრა აბიამ ცოლ-შვილს, – შედით სახლში, დამტოვეთ ჩემს მკვდართან მე!..

აბელი ანუ აბია არ იყო ფიცხი კაცი, ეგონა, არასოდეს დაკარგავდა სიმშვიდეს. მაგრამ ახლა აბია ის აბია აღარ იყო. რამდენიმე წუთში სულ სხვა კაცი იდგა ტრიფოლიატის ღობის ძირას და სხვაგვარად იქცეოდა, სხვა კილოზე მეტყველებდა; გარეგნობაც კი შეცვლოდა.

როცა აბიამ პირი ცისმარესაკენ მოაბრუნა და დაუყვირა, ჩემს მკვდართან დამტოვეთო, ცისმარე ქმრის ისეთ შეცვლილ სახეს გადააწყდა, შეეშინდა, თანგულიას მოხვია ხელი და ჩუმად უთხრა: ნავედით, შვილო!

ცისმარე და თანგულია უკან-უკან ყურებით ოდა სახლის კიბეზე ავიდნენ, აბიამ მკვდარი მიატოვა და სამზადისაკენ გაემართა. მოიტანა კიბე, ტრიფოლიატის ღობეს მიადგა, ავიდა კიბეზე, ცხედარს იღლიის ქვეშ შეუცურა ხელი, გადმოაბრუნა, ზურგზე მოიკიდა მდაბიოსავით და ნელა იწყო დაშვება საფეხურებზე.

ცისმარემ ზურგზე მკვდარმოკიდებული ქმარი რომ დაინახა, კვლავ წეღანდებურად აღელდა, ვერ უყურა შორიდან, თავი ვერ შეიკავა, ჩამოირბინა სასახლის ქვის კიბე, შემცხადებელივით

დაიწყო ვიშვიში, ქმარს ხან წინ შემოეფეთა, ხან გვერდ-გვერდ გასდია, ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით მოთქვამდა:

– ვაიმე, ჩემი სიკვდილი, აბია! ვაიმე, ნეტა ცოცხალი არ ვიყო, აბია! ეს რა დღეში ჩამიგდეს ქმარი, ვაიმე, ვაიმე!..

თანგულიამაც ჩამოირბინა სასახლის კიბე და გაფითრებული მიჰყვა დედ-მამას უკან. რა ექნა, რით დახმარებოდა მამას, როგორ ენუგეშებინა დედა, ხანდახან ნაეპოტინებოდა მკვდარს, ვითომ ავწევ და წელში მოხრილ მამას ტვირთს შევუმსუბუქებო.

– ვაიმე, ეს რა დაგვმართეს, თანგულია! – მიუბრუნდა შვილს ცისმარე, – ვინ დამიჩაგრა ასე ოჯახი! ვაიმე!.. – ქმარს ლამის შეუძვრა ცხედრის ქვემოთ. აბია შედგა, პირი-სახე მიღრიჯა ცოლისაკენ და ზომაზე მეტად ქედში მოხრილმა ცხედრის ქვემოდან გამოსძახა:

– ჩუმად-მეთქი, ხომ გითხარი!

ცისმარემ პირზე იტაცა ხელი და გაჩუმდა. გულმკვდარი მისდევდა უკან ქმარს. რით ეშველა აბიასათვის? მკვდარ მამას საკუთარი ზურგით მიათრევდა თავმოყვარე, ზვიადი აბელი. გული გაუსკდება, ვერ გადაიტანს ასეთ შეურაცხყოფასო, ფიქრობდა ცისმარე.

აბელს არასდროს, ბავშვობაშიც კი არაფერი მოუკიდებია ზურგზე, არ დასჭირვებია, მუდამ მანქანა ემსახურებოდა, მუდამ სხვა ვინმე ჰყავდათ ოჯახში, ვინც აბიას ხელს არ გაანძრევინებდა. დღესაც ასე ცხოვრობდა. მაგრამ სასწაული დატრიალდა არავიძეების თავზე, არ ნახული, არ გაგონილი უბედურება დაატყდათ თავს, წუხელ ამას ვინ იფიქრებდა. თორემ ვინმეს, ნათესავთაგანს დატოვებდნენ, მძღოლს არ გაუშვებდნენ შინ და თავმომწონე ვაჟკაცს საფლავიდან ამოგდებულ მამის ცხედარს ზურგით არ ათრევინებდნენ. ცისმარეს უტრიალებდა ეს აზრები თავში, ცისმარე ფიქრობდა ასე, წუხდა, დარდობდა, რომ განსაცდელს აბია მარტოკა შეეგება.

აბიას კი მოსწონდა სწორედ სიმარტოვე, მძღოლი და ნათესავთაგანი კი არა, ცოლსა და შვილს ვერ ჰგუობდა, გვერდით რომ ჰყავდა. სწორედ მათი რცხვენოდა, მათი ერიდებოდა, საფლავიდან ამოთხრილ მამის გვამს ქურდივით რომ მიარბენინებდა სამალავისაკენ.

ცისმარე ჯერ სამზადისაკენ გაიქცა, ეგონა, იქით მიათრევდა გვამს აბია. აქეთ, აქეთო – გამოსძახა ქმარმა ცხედრის ქვემოდან და მანქანის სადგომისაკენ გადაუხვია. ცისმარემ და თანგულიამ მანქანის სადგომის რკინის კარები ხმაურით გააღეს. აბია შიგ ნელი ნაბიჯებით შევიდა. ერთ კუთხეში მიდგა და ცისმარეს გასძახა:

– დავუგოთ რამე ძირს!..

იქვე, ახლოს, მანქანის გადასაფარებული სელისა[1] ეგდო, თანგულიამ თრევით გაშალა სელისა, დუღაბის იატაკზე დააგო. აბიამ ზედ დაიჩოქა, ცისმარესა და თანგულიას გვამის გადმოღება გაუადვილდებათო. მართლაც, დედამ და შვილმა მარჯვედ ჩაავლეს ცხედარს ხელი. სხვა გზა არ ჰქონდათ, მუხლებზე დაჩოქილ აბიას მხრებზე და თავზე აწვა გვამი, ცოლი და შვილი უნდა მიხმარებოდა, სხვა ვინ იყო ხელის გამწვდენი?

გადმოიღეს ცხედარი, დაასვენეს სელისაზე და ზედაც სელისა გადააფარეს. გაფითრებულები გამოვიდნენ იქიდან და მანქანის სადგომის კარები მაგრად ჩაკეტეს უნებურად, თითქოს მკვდარი სადმე გაიქცეოდა.

– ანი მე ვიცი! – შვებით ამოისუნთქა აბიამ, გარეთ რომ გამოვიდა, ცოლ-შვილს იმედიანი თვალები მიაპყრო.

– კაცი ვერ გაიგებს, ისე დავასაფლავებ, ამ საღამოს... – თქვა და იქვე, ხის ძირას, ძელსკამზე სულის მოსათქმელად ჩამოჯდა. ჯერაც ხშირ-ხშირად სუნთქავდა, ოფლის ცვარს გამოეყონა შუბლსა და კისერზე და ცხვირსახოცით იმშრალებდა.

ცისმარე ქმარს გვერდით მიუჯდა, მას დიდი ჯაფა არ დასდგომია, მაგრამ ცხვირსახოცს ისიც იფრიალებდა პირისახეზე, სცხელოდა იმასაც.

თანგულია უცებ მოსწყდა ადგილს და ტანთ ჩასაცმელად ოდაში ავარდა.

ცისმარემ ბიჭს თვალი გააყოლა. როცა თანგულიამ კიბე ორი ფეხის დაკვრით აირბინა, აივანზე გაილანდა და თავის ოთახში შეიმალა, აბიას გამომცდელად მიასო თვალები და ხმადაბლა საიდუმლოდ ჰკითხა:

– მტერი ვინ არის, აბია, მეც არ მეტყვი?..

---

[1] ბრეზენტი.

– მტერი კი არა! – ჩაიცინა აბიამ ნაძალადევად, – მაიმუნია ვილაცაა, ამოთხარა, რა, ვერ დავმარხავ?..

ნამოდგა, ცოლს მკლავზე წაავლო ხელი, წამოაყენა და უთხრა:

– გავანებოთ ახლა მაგაზე ფიქრს თავი, ვითომ არაფერი მომხდარა...

აბია წინ წავიდა, სააბაზანოსაკენ გაემართა, ცისმარე უკან მიჰყვა. აბიას უნდა ებანავა, ტანთ გამოეცვალა და საქმეს შედგომოდა. თავს დატეხილი უბედურება ვერ შეარყევდა, ვერ დააფრთხობდა. ვერც ვერაფერს დააკლებდა. ორი-სამი კაცი გაიგებდა სულ ამ ამბავს არავსა და არავიძეთში და ამით დამთავრდებოდა, მიფუჩეჩდებოდა უაზრო შურისძიება.

* * *

ნელ-ნელა გაიღვიძა არავიძეთმა, აბია არავიძის ჭიშკარს პირველი მისი მძღოლი დურო მოადგა.

დურო მარტო მძღოლი არ იყო არავიძეებისათვის, დუროს მამა ვარლამთან იყო ნამსახური, ბიძაც ვარლამს დაუყენებია გზაზე, თვითონ დუროც ვარლამს ემსახურებოდა, გადადგომის შემდეგ ისევ ვარლამმა მიაღებინა აბიას სამსახურში. რაღა თქმა უნდა, დუროს ძვირად დაუჯდა ვარლამის გარდაცვალება, ის ჩემი მამა იყო, მე დამავალეთ, მე მოვიტან, მე გავაკეთებო – გაიძახოდა.

ამ დილითაც ყველაზე პირველი მოვიდა, მანქანა ზედ ჭიშკართან მიაყენა, შინაურივით მიადგა კარიბჭეს, ჯიბიდან გასაღები ამოიღო, ერთი-ორჯერ გააჩხაკუნა და გააღო. ათას დავალებას მოელოდა, ათას გაგზავნა-გამოგზავნას.

დურო ვარლამის ერთგული რომც არ ყოფილიყო, მძღოლს ევალებოდა თავის პატრონს ასეთ დროს მხარში ამოსდგომოდა, დურომ ეს კარგად იცოდა და ამიტომ დაასწრო ყველას, პირველი მოვიდა დილა ადრიანად.

ჭიშკარი კი გააღო, მაგრამ ეზოში შესვლა ვერ მოასწრო, არ ათქმევინა აბიამ დილა მშვიდობისა. კაცმა თავისი სასახლის კიბე ბიჭივით ჩამოირბინა, ჭიშკართან მოიჭრა, აფორიაქებულ-აღელვებული ჩაჯდა მანქანაში და ნოვესთან წავიდეთო, უთხრა. „წავი-

დეთო“ არ უთქვამს. როცა მანქანის კარი მიირაჯგუნა, სიტყვა „ნოვესთან“ მიუგდო, წელში გასწორდა, ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და გააბოლა.

დურო ამ დილა-ბნელზე სხვაგან წასვლას არამც და არამც არ მოელოდა, რა დროს წასვლა იყო, ჯერ აქ ჰქონდათ უამრავი საქმე, „ნეტა რა უნდა ნოვესთან?“ – მორჩილად ფიქრობდა დურო და შეკითხვას ვერ უბედავდა, ნოვე აქეთ უნდა მოსულიყო, სახლ-კარის მილაგებ-მოლაგებაში უნდა დახმარებოდა აბიას. რატომ მიდიოდა იქით?..

– წუხელ მამაჩემი ამომიღეს საფლავიდან. – თქვა მოულოდნელად აბიამ. დურო გაილურსა, ვითომ ვერ გაიგო, რას ეუბნებოდნენ. ან აბია რაღაცას ისეთს ხუმრობს, ვერ მივხვდიო. უფროსს მორიდებით შეხედა და სრულიად უაზროდ გაეღრიჭა.

– იცინის! – თვითონაც ჩაეცინა აბიას, – სასაცილოა შე უმგვანო. მამაჩემი ვარლამი ამოიღეს-მეთქი საფლავიდან და ჭიშკართან მომიგდეს.

ღობეზე გადამიკიდესო ვერ თქვა, რატომღაც „ღობეზე გადაკიდება“ უფრო სამარცხვინოდ მიიჩნია, ვიდრე საფლავიდან ამოღება.

დურომ უცებ მთელი ძალით დაჰკრა მუხრუჭს ფეხი, საჭე გვერდით მიღრიჯა და მანქანა ხრჭიალ-ჩოჩიალით გზის პირას გააქვავა. აბია მანქანის წინა სარკმელს მიაწყდა.

– რას შობი, ბიჭო, მეც მკლავ?.. – შესძახა შეშინებულმა.

– რა გავიგონე ეს! მართლა ამბობ მაგას!.. წუხელ დამარხული ვარლამ ბიძია საფლავში აღარ ნევს?.. – ყვიროდა დურო.

– ჰო, მიმტრო ვიღაცამ... – დამნაშავესავით წაიდუდუნა აბიამ, სასო მთლად წარეკვეთა. არ ეგონა, თუ ასე მღელვარედ შეხვდებოდა დურო ვარლამის საფლავიდან ამოღებას.

– დედა, დედა! ეს რა გავიგონე! ეს რა მითხარი, ვარლამიჩ! ახლავე ლიკვიდაცია, ახლავე!.. – შესძახა დურომ, მანქანიდან გამოვარდა. გახსნა საბარგული, შიგ დიდხანს ბუჯარობდა, ბოლოს, მაუზერის მსგავსი, უცხოური მარკის რევოლვერი გამოათრია და აბიას ჩაწეულ სარკმელთან მიუტანა.

– აა, ეს თქვენ! მე მაქვს...

– კარგი, ახლა, დურო, გეყოფა, ჩაჯექი მანქანაში და წავიდეთ! – მკაცრი კილოთი უთხრა აბიამ, რევოლვერისთვის არც შეუხედავს.

დურომ საბარგული დაკეტა, რევოლვერი აბიას ჯიბეში ძალით ჩაუდო.

– რას ჰქვია, მეყოფა, ვარლამიჩ, ვარლამ არავიძე საფლავიდან ამოიღეს? – აბა მე რისთვის დავდივარ ამ ქვეყანაზე!.. – დურომ მანქანის გასაღები გადაატრიალა, ძრავა ჩართო, ჯერ უკან სვლით გაასნორა მანქანა და გზას მერე დაადგა.

– ვარლამი მარტო თქვენი მამა კი არ არის, ჩემიც არის... ჩემიც! აბია არაფერს ამბობდა. გაჩუმებული იჯდა. დურო არ აჩერებდა ენას.

– მაინც როგორ ამოთხარეს, კაცო, იყავით სასაფლაოზე?.. ვარლამია ნამდვილად?..

– „არ უნდა მეთქვა“ – გაუელვა თავში აბიას. სიტყვის დაძვრაც კი ჭირდა ამ საგანზე, მკვდრის საფლავიდან ამოღება და ღობეზე გადაკიდება იმდენად დაუჯერებელი, გაუგონარი რამ იყო, სანამ საკუთარი თვალით არ ნახავდა, არ ირწმუნებდა ადამიანი. ზოგი ალბათ საკუთარ თვალისჩინსაც არ ენდობოდა, მელანდებამეჩვენებაო, იფიქრებდა. თვითონ აბიასაც ხომ ასე მოუვიდა, ვიდრე ცისმარემ არ იკივლა, მამაშენიო, არ სჯეროდა.

გაბორებული დურო ორივე ხელით ჩაფრენოდა მანქანის საჭეს. შუბლზე ამხტარი თვალები აბიასათვის მიეპყრო.

– გზას უყურე! – კვლავ მკაცრი კილოთი უთხრა აბიამ.

– დურო ჩვენ ახლა ლაყბობის დრო არ გვაქვს, ჩქარა მივიდეთ ნოვესთან!

გზას გახედა, გზა თავისუფალი იყო, დილაუთენია გზაზე კანტიკუნტად თუ გამოჩნდებოდა შემხვედრი მანქანა.

– წუხელ დამარხული მკვდარი საფლავში არ წევს? – კვლავ უაზროდ იკითხა დურომ.

– არ წევს, დურო, არ წევს!.. – მოთმინების ფიალა აევსო აბიას. არ სურდა დუროსთან საუბრის გაგრძელება.

– ნოვესთან რა გვინდა!.. მე ვიცი, სადაც ნავალ, ყველას ხუთ წუთში, ხუთ წუთში... – ხელი გამოისვა ყელში, ვითომ თავებს დავაჭრიო.

– ვის ყველას? – გაოცდა აბია.

– ვინც ამოთხარა, – მიუგო დაჯერებულად დურომ.

– რა იცი, ვინ ამოთხარა? – ჰკითხა აბიამ.

– თქვენ თუ მაგის გაგება გაგიჭირდებათ, მაშინ მართლა არ ყოფილა საშველი! – უკმაყოფილოდ გადააქნია თავი დურომ.

– ჰო, კარგი, კარგი... მივიდეთ ნოვესთან – უთხრა აბიამ.

ნოვეს სახლამდე ათი წუთის გზა იყო, ცხარე საუბარში გზა გაილია და ნოვეს ჭიშკარსაც მიადგნენ.

ნოვეს არავიძეთის ბოლოს, კოხტა ეზოში, ედგა თავისი ორსართულიანი სახლი.

ნამძინარევი თვალების ფშვნეტით გამოვიდა აივანზე. ნეტავ რა გაჭირვებიათ, დილა-სისხამზე კარზე რომ მომდგომიანო, აკვირდებოდა მოსულთ.

აბია მანქანიდან არ გადმოსულა. ჩაიცვი და წამოდიო – შორიდან დაუძახა.

ნოვე ცივად გამობრუნდა, ცოტა ხანში კვლავ გამოჩნდა აივანზე, გზადაგზა იცვამდა სამოსს და მორბოდა. მანქანაში რომ ჩაჯდა, მძიმედ სუნთქავდა, იმდენი ეჩქარა, ერბინა, ძორძოყინა ტანი უთახთახებდა და მსუქან ლოყებზე ოფლის წვეთები ეყარა.

– წუხელ მამაჩემი ამოთხარეს საფლავიდან! – მოსვლისთანავე უთხრა აბიამ და გაჩუმდა, დაელოდა, ნოვე რას იტყოდა.

– აჰ! – შესძახა ნოვემ და გაოცებული მიაჩერდა აბიას თავკისერს. აბია მძღოლის გვერდით იჯდა, წინ იყურებოდა. როცა აბიამ მეტი არაფერი უთხრა, ნოვემ მზერა დუროს თავ-კისრისკენ გადაიტანა. ეგებ ამან გამაგებინოს, ჩვენს თავს რა ამბავიაო. ისიც გაჩუმებული იჯდა და მანქანას გულმოდგინედ მართავდა, აბიას ნათქვამი თითქოს არ გაუგონიაო, არც ნოვეს შეძახილს „აჰ“-ს მოუხდენია ზემოქმედება. ნოვემ მძღოლის სარკეში დაიწყო ყურება, სურდა დუროს მზერა დაეჭირა და თვალებით ეკითხა: რას ამბობს ეს კაცი, ხომ არ მომეყურაო. ნოვემ შეატყო, რომ მეტის თქმას არავინ აპირებდა, ცხვირსახოცი ამოიღო, ოფლიანი სახე შეიმშრალა, შუბლიდან სიმწრის ოფლი მოიწმინდა, წინ გადაიხარა და აბიას ჰკითხა:

– ვერ გავიგე, რა მითხარით?

– მამაჩემი ამოიღეს საფლავიდან და ღობეზე გადამიკიდეს... – მოურიდებლად თქვა აბიამ, – ახლა წავიდეთ, ამოთხრილი საფლავი ვნახოთ, საღამოს კი მომეხმარეთ და მკვდარი დამამარხიეთ.

ნოვე ცოცხალ-მკვდარი იჯდა მანქანის სალონში და კვლავ და კვლავ თავ-კისერს მიჩერებოდა. რა ეთქვა? რა მოემოქმედა, რომ თანაგრძნობა გაეწია მეგობრისათვის და ერთგულება გამოეხატა?.. დამუნჯდა კაცი.

რაიმეს თქმა სიხეპრედ ჩათვალა, ნუგეშის ცემაც კი უხერხულად აუღერდებოდა, გაჩუმება სჯობდა.

თითქოს მანქანაში კი არ ისხდნენ, კუბოში ინვნენ და არავის გზაზე შავი კუბო მიგორავდა. სამარესავით გაჩუმებული შავი ემოცდაცხრა არავიძეთის სოფლის სასაფლაოს მიადგა.

აბია მანქანიდან პირველი გადმოვიდა. ღელავდა, ფერი დაკარგოდა, იქით იყურებოდა, სადაც მამამისის შებილწული საფლავი ეგულებოდა. ნოვეც უმალ გადმოვიდა მანქანიდან და გვერდით ამოუდგა. დურომ ნოვესაც ჩაუჩურთა რევოლვერი ჯიბეში. ნოვემ გაიკვირვა, რა ჩამიდო ჯიბეშიო – ხელით მოსინჯა. დურომ გაუღიმა და უთხრა:

– ეგებ ლიკვიდაცია დაგვჭირდეს!..

სოფლის სასაფლაო მდუმარებას მოეცვა. ადრიანი დილა იყო, სოფელი ჯერ იღვიძებდა, სასაფლაოსკენ ვინ წამოვიდოდა. მკვდრისთვის საღამო ხანს მოიცლიდნენ, საღამო ხანს ამოდიოდნენ მკვდრის პატრონები. ახლა აქ მკვდრულ სიჩუმეს დაესადგურებინა. მხოლოდ ერთი სტვენია ჩიტი იჯდა ელექტრონის ბოძზე და იმის სტვენა არღვევდა მყუდროებას.

დურო აბიას და ნოვეს სასაფლაოზე შეუძღვა. წინ მიდიოდა, თან უკან-უკან იყურებოდა, ცალი ხელი ჯიბეში ედო, უფროსებს უჩვენებდა, საბრძოლველად მზადა ვარო. დუროს ორი-სამი შეიარაღებული ბანდიტის მოგერიება მართლაც შეეძლო, არავიძეების მძღოლს ევალებოდა ასეთი ორთაბრძოლების მოგება. აბიას გამოცდილიც ჰყავდა დურო საქმეში, ამიტომ ბრმად ენდობოდა, ახლა დურო რასაც უბრძანებდა, იმას იქმოდა.

– ადგილზე ლიკვიდაცია სჯობია! – კვლავ მოუბრუნდა დამფრთხალ მამაკაცებს დურო.

დუროს სიტყვა „ლიკვიდაცია“ მოსწონდა. ვარლამ არავიძის სიტყვა იყო, მისგან ესწავლა. „ლიკვიდაცია“ მოკვლაზე მეტს ნიშნავდა. „მოსპობა“, „განადგურებაც“ ვეღარ იტევდა იმ აზრს, რასაც

სიტყვა „ლიკვიდაცია“ მოიცავდა, – ასე ფიქრობდა დურო. ვარლამი რომ იტყოდა, იძულებული შევიქენით, მთელი სოფლის ლიკვიდაცია მოგვეხდინაო. ეს იმას ნიშნავდა, რომ იმ სოფელში ისპობოდა ყველაფერი, ყოველი სულიერი არსება, შეიძლებოდა სულ მთლად გადაებუგათ სოფელი, ნახშირად ექციათ ხე და ბუჩქიც კი, ბოლოს გადაეხნათ, მხოლოდ შავი ხნულები დარჩენილიყო ოდესღაც მრავალკომლიანი სოფლისაგან. ამას ეძახდა ვარლამ არავიძე ლიკვიდაციას. დუროს ეს მოსწონდა. სრული განადგურება, მოსპობა. მტვრად და ნაცრად ქცევა, ეს იყო, დუროს აზრით, ლიკვიდაცია.

თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, საფლავებს შორის, ოდნავ წინ ნახრილი მიიკვლევდა გზას, ვითომ შურისმაძიებელი, – ვარლამის საფლავიდან ამომთხრელი არ გამეპაროსო, დაძაბული მიდიოდა. კარგად იცოდა, ღია სამარის მეტი წინ არაფერი და არავინ დახვდებოდა, მაგრამ აბიას აჩვენებდა, ვითომ თავგადადებული იყო მისთვის, შურისმაძიებელს პირველი შეხვდებოდა და პირველი აუტეხავდა სროლას.

თვალწინ ის სურათი გადაეშალათ, რასაც მოელოდნენ, სამარე ღია იყო, ბოროტ ხელს საფლავი აფთარივით ამოეთხარა, ამოეყარა წუხელ ჩაყრილი მიწა, აეგლიჯა კუბოს თავსარქველი და ამონაყარ მიწაზე დაეგდო. ცარიელი კუბო სამარის ფსკერზე იდო, თეთრი აბრეშუმის ქსოვილზე, ქალებს შიგ გულდაგულ რომ ჩაეფინათ, ჩამონაცვენი ქვიშა-მიწა და ქვა-კენჭი ეყარა.

ნოვემ სამარეს გარს შემოუარა, ვითომ კვალს ვეძებო, – აბიას უჩვენა.

არავიძეთის სოფლის სასაფლაო ძველისძველი დიდი სასაფლაო გახლდათ, ამ სასაფლაოზე ირიდის თურ[1] არავიძეებს საგანგებო კარგი სამარხი ადგილები ეკავათ.

ირიდი ვარლამის მამა ყოფილა, გავლენიანი კაცი სოფელში და სამარხიც ბლომად მოუზომია. ეს დიდი სამარხი ვარლამს, თავის დროზე, რკინის ღობურით შემოუღობია. მაშინ დაბალ ღობეებს აგებდნენ თურმე, ვარლამის სამარესაც დაბალი რკინის ღობე ერტყა. კარი ჩაკეტილი რომც ყოფილიყო, სულ თავისუფლად შეეძლო ადამიანს ფეხი გადაედგა და გადასულიყო სამარხში. რაც მთავა-

[1] ნაშიერი.

რია, ნოვემ და ნოვეს კაცებმა წუხელ კარიც ღიად დატოვეს, რას იფიქრებდნენ, თუ მკვდარს ამოთხრიდნენ. აბიამ გირის ბოქლომი იქვე, რკინის ღობის ძირას მიგდებული იპოვა, კარი გულდაგულ ჩაკეტა, თუმცა ახლა აზრი არ ჰქონდა ამას, მკვდარი იქ არ იყო. რატომღაც ბოქლომი ჩამოჰკიდა და პირველი თვითონ გაეცალა შებილწულ საფლავს. ნოვე უკან გამოუდგა, ნოვეს დურო მოჰყვა.

– სად გისვენია მკვდარი? – ჰკითხა ნოვემ.

– გარაჟში შევიტანე, რა მექნა, სად წამეღო? – დამნაშავესავით ალუღლუღდა აბია.

– ახლავე წამოვიღოთ და დავმარხოთ, საღამომდე ვერ მოიცდის, ზაფხულია, წახდება გვამი... – უთხრა ნოვემ.

– დაგვინახავენ, აყაყანდება სოფელი... – თქვა ნაღვლიანად აბიამ და შუა სასაფლაოზე შეჩერდა, აქეთ-იქით გაიხედა, ვინმე ყურს ხომ არ გვიგდებსო.

– ვინ დაგვინახავს ამ დილა-ადრიანად! თუ გამხელას არ აპირებთ, ახლავე წავიდეთ და წამოვიღოთ, ასე ჯობია.

ამისათვის გარბოდა დილაადრიანად ნოვესთან, აბიას მოსწონდა მისი ნააზრევი, მართლაც, ლოდინი უაზრო იყო, ახლავე უნდა დაემარხათ მკვდარი, ოჯახიც მოისვენებდა და გვამისთვისაც მიწაში ყოფნა სჯობდა, ოღონდ სწრაფად და ჩუმად უნდა აღესრულებინათ განაზრახი.

– ვითომ სასახლე დაგვჭირდება?.. – უკან მიიხედა და ჰკითხა აბიამ ნოვეს.

– არა, არ გვინდა სასახლე! – მიუგო დურომ.

– აბა, როგორ წამოვიღოთ მკვდარი?.. – გაიოცა აბიამ.

– მაგ მე ვიცი... – უთხრა დურომ, ახლა ის დაწინაურდა და სასაფლაოდან პირველი გამოვიდა.

– მართალს ამბობს, – უთხრა ნოვემ აბიას, – კუბო დიდ ადგილს დაიჭერს...

დურო მანქანაში ჩაჯდა, აბიას კარი გაუღო და ძრავაც ჩართო.

– ემცხრათი უნდა წამოვიღოთ! – თქვა დურომ, როცა მანქანა ადგილიდან დაძრა.

ვარლამის ძველი, ემცხრა მარკის, ტანკივით მანქანა დუროს შინ ეყენა, საკუთარივით ამუშავებდა, აბიას, რასაკვირველია, არ

სჭირდებოდა ძველი მანქანა. ახალი ემოცდაცხრა ემსახურებოდა. ემცხრა მართლაც უფრო დიდი, სრული და, რაც მთავარია, კარგად შენიღბული მანქანა იყო. სულ არ ახსოვდა აბიას ვარლამის ძველი ემცხრა, დურომ გაახსენა და კარგი ქნა, რომ გაახსენა, იმ მანქანით მართლაც სჯობდა უჩუმრად მკვდრის სასაფლაოზე წაღება.

დურომ ხელათ მოაგელვა შავი ემცხრა, შემოიყვანა ეზოში, უკან სვლით მიადგა მანქანის სადგომის კარს და პირველი თვითონ მივიდა ვარლამის გვამთან. ცისმარე და თანგულია არ ჩამოსულან, ვითომ არც გაუგიათ კაცების მოსვლა. აბიამ ისურვა ასე, თქვენი ჩამოსვლა საჭირო არ არისო, – გააფრთხილა ცოლ-შვილი. ცისმარე და თანგულია ფანჯრიდან, ფარდას მოფარებულნი, შესცქეროდნენ ჯერ არნახულ სურათს: შავ სუდარაში გახვეული, როგორ გამოიტანეს მანქანის სადგომიდან ვარლამის გვამი, ვითომ ცოცხალივით „დააჯინეს“ ემცხრის უკანა სალონში და ნოვე მიუჩინეს, გვერდით მიუსვეს, ცხედარი თავზე არ დაგვეცესო. წინ დურო და აბია დასხდნენ და წავიდნენ.

– ღმერთო, შენ გვიშველე! – შესძახა ცისმარემ შვებით და პირჯვარი გადაისახა.

მკვდრის საფლავიდან პირველი ამოთხრა

სათქმელად ადვილია – მკვდარი საფლავიდან ამოთხარეს და ჭირისუფალს ღობეზე გადაუკიდესო. აღსრულება აღმოჩნდა ძნელი: მაინც და მაინც იმ ღამეს ამობრძანდა სავსე მთვარე. მთელი კვირა კუნაპეტი ღამეები იდგა, ვარლამ არავიძის დაკრძალვის ღამეს კი ამობარჩხალდა, არავის მთიდან ამობრძანდა ბადრი მთვარე, გაანათა ყველა ცა, მთელი ქვეყანა. თუთარჩელა ჩააყენა არავისწყლის ხეობაში. მთვარის შუქით ისე გაკაშკაშდა ღამე, თითქოს მეცხრე ციდან სხვა მნათობნიც ჩამობრძანდნენ დამხმარედ მთვარისა, მანათობლად არავიძეთისა, რათა საოცარი სანახაობა: მკვდრის საფლავიდან ამოთხრა მთელი ქვეყნისათვის ეჩვენებინათო.

ასეთ მთვარიანში მოდიოდა ამაყად, ზვიადად, ფრთხილად, აუჩქარებლად. გვერდით მოსდევდა საკუთარი გრძელი ლანდი და ეს-

მოდა საკუთარი ნაბიჯების ხმა. შორიდან მაცქერალი იფიქრებდა, მწირი ვინმე, ზურგჩანთააკიდებული, სამოგზაუროდ აყრილაო.

სასაფლაოსკენ რომ გადაუხვია, უცებ აჩქარდა, ასწრაფდა, იმით-ღა მიხვდებოდით, მოგზაური არ იყო, – სასაფლაოს გზა არსად მიდიოდა, არც მოგზაური ასწრაფდებოდა ამგვარად. სასაფლაოს შესასვლელთან შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა, კარი არ გაუღია, კარის გვერდით ჭირისუფლებისათვის განკუთვნილ ალაგზე გადაალაჯა და ჩქარი, მაგრამ აკრეფილი ნაბიჯებით საფლავებს შორის გაილანდა, თითქოს ეშინია, მკვდრები არ გააღვიძოსო.

ჯეგე ხალდანი გახლდათ ეს ახირებული, ღამეული ლანდი.

როგორც აფთარი, ქარიანი ღამით ტყიდან გამოსული, მშიერი, ლეშს მოწყურებული, ახლადდამარხული მკვდრის სუნს იკრავს და მისკენ ისწრაფვის, ისე ილტვოდა ხალდანი ვარლამ არავიძის საფლავისაკენ.

ეტყობოდა, ყველაფერი წინასწარ გულდაგულ მოეფიქრებინა, შეესწავლა აქაურობა, აეწონა-გაეზომა, საფლავთან რომ მივიდა, იცოდა, სად რა დაედო, სათხრელი იარაღები რისთვის რა დასჭირდებოდა. წვრილმანებისათვის დრო არ უნდა დაეკარგა.

ასანყობი ბარი და ნიჩაბი ზურგჩანთიდან ბოლოს ამოიღო. ხელის სიმარჯვე, მკლავის ძალა გადაწყვეტდა ამ ღამით ყველაფერს.

ვარლამ არავიძის საფლავს პირველი ბარი რომ დაჰკრა, უმალ შვება იგრძნო. მრავალი წლის ბოღმა და ბალღამი, წვეთ-წვეთად გულში დაგროვებული, შხამი სულში ჩაგუბებული, აქ უნდა დაენთხია, ამ ღამით, ამ საფლავზე.

დაჰკრა ბარი, გადაყარა მიწა, დაჰკრა, გადაყარა, გადაყარა...

ელვაზე სწრაფად მოქმედებდა, ელვასავით მოძრაობდა. მუხლამდე ისე ჩავიდა, ერთხელაც არ შეუსვენია, არ უგრძნია ეს ჩასვლა. მუხლამდე რომ ჩავიდა, ნიჩაბი მიუმარჯვა ნაყარ მიწას და ნიჩბით ამოწმინდა.

დაჰკრა ისევ ბარი და ქვევით წავიდა, დაჰკრა ბარი...

თითქოს სამართლიანობა გააღვიძა...

გააფთრებით ჩადიოდა მიწაში და აფთრის ყმუილი შემოესმა. თავი აიღო, ღამეს დააყურა, მომესმაო, იფიქრა და ბარს კვლავ ნიჩაბი შეუნაცვლა, დიდ კოლბოხებს დასტაცა ფართო ხელები,

საფლავიდან შიშველი ხელებით ამოყარა მიწა. კვლავ შემოესმა აფთრის ყმუილი და მიხვდა, რომ ამ ხმას თვითონ გამოსცემდა.

განა რა განსხვავება იყო მასსა და აფთარს შორის! არაფერი, მაგრამ ეს ვერ შეაკრთობდა. „აფთარი იყავ, აფთარივით უნდა ამოგთხარო საფლავიდან!..“ – ჩასძახა საფლავში ვარლამ არავიძეს და თხრა განაგრძო. უკვე ხვითქი გადასდიოდა შუბლზე, საკუთარი გულისძგერაც ესმოდა, მაგრამ დაღლა რა იყო იმ სიხარულთან, რასაც არავიძის კუბოს თავსარქვლის აგლეჯა მოანიჭებდა.

მოკვლა უნდოდა და ვერ მოკლა, კატორღიდან დაბრუნებულმა დიდხანს გარს უარა ვარლამ არავიძის სასახლეს, დაბოლოს თავი მიანება, ვერ იძია შური, ვერ მოკლა, ეს-ღა დარჩენოდა – საფლავიდან ამოთხრა! ამას კი უსათუოდ აღასრულებდა, ვერავინ გადაათქმევინებდა. თუ ვინმე უცებ თავზე წაადგებოდა, ხელს შეუშლიდა, აგერ, სასაფლაოს ღობის გადაღმა ინყებოდა ტყე, იმ ტყეს შეაფარებდა თავს დროებით, საფლავს არამც და არამც არ მოსცილდებოდა, არ დააყენებდა ვარლამ არავიძეს საფლავში, თითქოს ზეცას გამოეტანა განაჩენი.

თეთრი მთვარე სასაფლაოს კუთვნილ ცაზე შემოცურებულიყო, ზედ თავზე ადგა ვარლამ არავიძის საფლავს, იფიქრებდით, შურისმაძიებელს ეხმარება, დასახული მიზნისაკენ მიმავალი გზა გაუნათოსო, – ამოთხრილ საფლავში ნემსი რომ ჩაგეგდოთ, იპოვიდით.

მხრებამდე ჩავიდა მიწაში, ნესითა და რიგით, უკვე კუბოც უნდა გამოჩენილიყო. ბარს მძლავრად დაჰკრა, კუბოს ფიცრის ხმის გაგონება სწადდა. მეტისმეტი მოუვიდა, თურმე მიწა კუბოს ორი თითის დადებაზე ეყარა. ბარი სამარის კიდეზე ჩამოდო, მოკლეტარიანი თოხი მოძებნა ხელის ფათურით, თოხით მოფხიკა მიწა, ერთად, ერთ კუთხეში შეაქუჩა და ნიჩბით ამოყარა. ახლა ჩაქუჩი და მარწუხი გადმოიღო სამარის კიდიდან. კარგი დურგალივით ჩაქუჩის კაკუნით გადაუარ-გადმოუარა კუბოს, თავსარქველი მაგრად იყო დაჭედებული, ნაპრალს ეძებდა. მარწუხის ტარით სცადა, ვერ მიუდგა ვერსაიდან. ცული გადმოიღო, ცულს უფრო თხელი პირი ჰქონდა, ღრიჭოს ადვილად იპოვიდა, გრძელტარაც იყო მარწუხთან შედარებით, მისი ბერკეტი უფრო ძლიერი აღმოჩნდა და თავსარქველი ღრჭიალით ააგლიჯა. დასტაცა თავსარქველს ხელი და

სამარიდან ამოაგდო, ნაყარ მინაზე თავსარქველი პირაღმა დაეცა, ოდნავ შექანდ-შემოქანდა, ერთმხარეს დაყირავდა და ასე დარჩა.

მთვარის შუქი ვარლამ არავიძის ჩალურჯებულსა და მკვდრულ სახეს უფრო ჩამუქებულად, და თითქოს უფრო საშიშადაც კი, წარმოაჩენდა. ხალდანს მისთვის არც დაუხედავს, როცა თავსარქველი ააგლიჯა, უნებურად ჰკიდა თვალი. საყურებლად, ამ ყურებით გულის მოსაოხებლად არ ეცალა. მთავარი საქნარი წინ ედო; როგორ-ღა ამოეღო ამხელა კაცი საფლავიდან, აქედან მიუდგა, იქიდან მიუდგა. ჯეგე ხალდანი ღონიერი, ძვალმსხვილი, ბეჭგანიერი ვაუკაცი იყო, მაგრამ ცხედრის თავს ზემოთ აწევა და სამარიდან ამოგდება ძალზე გაუჭირდა, სამარის კედელი დაიხმარა, მკერდამდე აწეული ცხედარი კედელს მიაკრა და შეისვენა, გულშიც კი ჩაიხუტა საძულველი გვამი არავიძისა და, ბოლოს და ბოლოს, ამოაგდო საფლავიდან. როცა თვითონაც ამოხტა, ქშინავდა, ქსიტინებდა და ახველებდა. ჩამოჯდა საფლავის ქვაზე და შეისვენა. მთავარი მიღწეული იყო, – ვარლამ არავიძე საფლავში აღარ იწვა.

სული მოიბრუნა. ჭუჭყიანი ხელით ოფლი შუბლიდან მოიწურა და წამოდგა. ცხედრის ზურგზე მოგდება არ გასჭირვებია. ტანი რამდენიმეჯერ მოიქნია, – შეისწორა ზურგზე ტვირთი, გვამს ხელები წინ, ჯეგე ხალდანის თავს ზემოთ ჰქონდა გადმოშვებული და შურისმაძიებელს თავ-პირი არ უჩანდა.

შუა ღამე დიდი ხნის გადასული იყო, კაშკაშა მთვარიან ღამეში, სასაფლაოს მკვდრულ სიჩუმეში, ნაბიჯების ხმა გაისმოდა. საფლავებზე დაფენილ ხეთა ჩრდილებში შეიმალებოდა ლანდი და უმალ მთვარის სხივთა ნაკადში გაკრთებოდა თავისი უჩვეულო ტვირთით. შორიდან მაცქერალი, თმების გათეთრებამდე შეშინებული, იფიქრებდა: აჰა, ამდგარა საფლავიდან მკვდარი, და სხვა მკვდარიც ზურგზე მოუკიდებიაო.

ვარსკვლავებსაც კი მომატებოდათ კაშკაში, თითქოს ღიად დარჩენილ სამარეში ჩაცვენას აპირებენო, ხომლად შეკრულიყვნენ და მინისკენ იყურებოდნენ, ცათა შინა არაფერი ხდებოდა აღმატებული, ვიდრე პატარა სამარეში არავიძისა.

ჯეგე ხალდანი სასაფლაოს ალაგზე გადადიოდა, მთვარის შუქზე შორიდანაც კარგად ჩანდა მისი ტვირთით მორკალული ზურგი.

ხოლო როცა არავიძეთა სასახლისაკენ თავდაღმართზე დაეშვა, მთვარე და ვარსკვლავებიც უკან გამოჰყვნენ, ხეებიც, სასაფლაოზე ჩუმად მდგარნი, დაიძრნენ შეშფოთებულნი ადგილიდან, – სად მიაქვთ მკვდარი, მისი ადგილი სხვაგან არსად არისო.

მართლაც საკვირველი ღამე იყო ის ღამე, უეცარი, მოულოდნელი, ჯერ არნახული და არგაგონილი; წუხელ დამარხული მკვდარი ნაშუაღამევს უკვე აღარ იწვა საფლავში.

რატომ ამოთხარა? ვინ ამოთხარა? სად მიჰქონდა? რას უპირებდა გვამს?.. ეთერში დატრიალებდნენ ეს კითხვები და პასუხად მხოლოდ ქშენა და ნაბიჯების ხმა გაისმოდა.

წელში მოხრილი, თავჩაღუნული მიათრევდა ტვირთს, მკვდრის წინ გადმოყრილი მკლავებისათვის ჩაევლო ტორები და ნაბიჯებს ერთნაირად, წონასწორობის დაცვით ადგამდა, ვინძლო უნებურად არ შევქანდე და არ გადმომივარდესო. მთელი სიმძიმე თავსა და ბეჭებზე აწვა, გვამის სიმძიმისაგან ნიკაპი მკერდს ლურსმანივით დაბჯენოდა, სტკიოდა ნიკაპიცა და მკერდიც. ხვითქი გადასდიოდა შუბლსა და გულისპირზე. გრძნობდა, როგორ უსველდებოდა ცხელი ოფლით მაისური, როგორ ეტყეპებოდა ტანზე. ვარლამ არავიძის სასახლემდე შორი გზა არ იდო, მაგრამ თრევა მაინც გაუჭირდა, მძიმე აღმოჩნდა გვამი.

როგორც იქნა, გამოჩნდა არავიძეთა ცნობილი თაღოვანი რკინის კარიბჭე. კართან დაეგდო? თუ აეყუდებინა? თუ ჩაეგდო ეზოში?

არა. ყველაფერი წინასწარ გაეთვალისწინებინა, გაესიგრძეგანებინა: საფლავიდან ამოგდებული მკვდარი სოფელს უნდა ენახა. თვალსაჩინო ადგილას, ყველას დასანახად ტრიფოლიატის ღობეზე უნდა გადაეკიდა. ტრიფოლიატის ეკლიან ღობეზე გადაკიდება დაამშვენებდა საფლავიდან ამოგდებულ ვარლამ არავიძის გვამს. ამისათვის საგანგებოდ მოემზადებინა ღობეცა და ზედ მისადგომიც, – ლოდი მოეგორებინა, წინასწარ, ვითომ აქ, ღობის ძირას, ეგდო დასაბამიდან, იმ ლოდზე შედგებოდა და ზურგიდან, პირდაპირ ტრიფოლიატის ღობეზე გადადებდა ცხედარს. ჩანაფიქრი იოლად ვერ განახორციელა, – ვერ შესწვდა ღობეს, აქაც ბევრი ინვალა, შარი-შური, ქშენა და გინება რომ ასტეხა, არავიძეთა ძაღლი მგელია მოვარდა ღობესთან კბილების ღრჭენით.

ძაღლის ყეფამ და ღრენამ ხალდანი უფრო აასწრაფა და ააჩქარა. ამისათვის მზად იყო, კარგად იცნობდა მგელიას, – ჯიბეში ძეხვის ნაჭერი ედო, საგანგებოდ გასაჩუმებლად წამოღებული, ტრიფოლიატის ღობის გადაღმა, შორს გადაუგდო, ჰაერში ძეხვის ნაჭერმა რომ გაისრიალა, მგელიამ უმალ იყნოსა მისი გერში, მერე – სხვა დროსაც, ღამით მიუღია ასეთი საჩუქარი, – იქით გავარდა, სადაც უნდა დავარდნილიყო ძაღლის ლუკმა. დიდად არ შემცდარა, სადაც დავარდა, იქ აღმოჩნდა. ღამის ჰაერში დაიჭირა ძეხვი. ხელათ გადაყლაპა და გაჩუმდა კიდეც. წავიდა და ხის ძირას დაწვა.

სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა ტრიფოლიატის ღობის გადაღმაც და გადმოღმაც. ჯეგე ხალდანს თავისი საქმე მოემთავრებინა, ქვაზე იჯდა თავჩაღუნული და სიგარეტს აბოლებდა, ისვენებდა. ცაზე მთვარე მიცურავდა, ტრიფოლიატის ღობის გადაღმა, შარაგზისაკენ, ჰფენდა ჩრდილს, იმ ჩრდილს შეფარებოდა ხალდანი და ეზოდან არ ჩანდა. როცა წამოდგა და გზას გაუდგა, ფეხის ხმამ ძაღლი წამოაგდო და ყეფით გაეკიდა მიმავალს, ღობე-ღობე სდია, ბოლოს, როცა ღამის სტუმარი არავიძეთა ეზო-მიდამოს გაეცალა, მთვარიანში დიდხანს გაისმოდა ძაღლის ყეფა.

* * *

ჯეგე ხალდანმა მთვარიანში ღობე-ღობე, შუკა-შუკა იარა, იარა, ალაგეზეც გადახტა, მოკლეზე ჭრიდა თუ მალვით მიიპარებოდა, უგზო, უვალ ადგილებში მიიკვლევდა გზას, ბოლოს, ბაღში ჩამჯდარ ორსართულიან სახლს უკნიდან მიადგა. არავიძეთა ცნობილი მძღოლის – დუროს კარ-მიდამო იყო. უკანა კარზე დააკაკუნა. ხმა არავინ გაიღო. ეძინა დუროსაც და მის ცოლ-შვილსაც. შუაღამე გადასული იყო, ვინ უნდა ყოფილიყო ამ უდროო დროს? საცვლებისამარა დურო ჯერ წინკარისაკენ გაქანდა და იქ იკითხა, რომელი ხარო. შემდეგ უკანა კარსაც მოადგა და გაჯავრებულმა დაიჩურჩულა:

– რომელი ხარ?

– შენი ემცხრა მჭირდება სასწრაფოდ, – ჩურჩულითვე შესძახა კარის ღრიჭოში მოსულმა.

– მერე? რომელი საათია ახლა? – დუდუნ-დუდღუნით წავიდა უკან, თან იცვამდა, თან იმაზე ფიქრობდა, გაეღო კარი თუ არა. ეშინოდა, აყოვნებდა... ასეთ დროს მოსული მუშტარი, როგორც წესი, ბევრ ფულს იძლეოდა. სიფრთხილისათვის კითხულობდა, რომელი ხარო, სიფრთხილისთვის აყოვნებდა, თორემ ასეთ მუშტარს უკან გააბრუნებდა?..

დურო თავისი ემცხრათი არავსა და არავიძეთში სასნაულებს ახდენდა. ამ მანქანით საქურდავადაც წასულან და ქალის მოსატაცებლადაც, სავაჭროდაც და საბანდიტოდაც, ყველა გაუკეთებელი საქმე ამ მანქანით გაკეთებულა, შეუძლებელი, აკრძალული, კანონგარე გამოცხადებული, შესაძლებელი, დასაშვები, კანონიერი გამხდარა. ის ხომ ვარლამ არავიძის მანქანა იყო, ვინ გააჩერებდა ღამით მიმავალს! ვინ გაუბედავდა შემოწმებას! დურო ამით სარგებლობდა და დიდ ფულს შოულობდა – ამით მიდგას სულიო, ამბობდა, მართლაც, ერთ ღამეში, ერთგზობაზე, ორას-სამას მანეთს აძლევდნენ, ამაზე სარფიანი საქმე რა უნდა ყოფილიყო? დურომ უცნობს კარი დაუფარავი სიხარულით გაულო. კარში მდევივით ვაუკაცი შემოიზლაზნა. ეს სიდიდე მაინც და მაინც არ მოეწონა. თვითონ დაბალი, ჩაგვირისტებული, მოკლე ხელება კაცი იყო. შუქი სასტუმრო ოთახში აანთო და მოსული იქ შეიყვანა.

– მაგ სავარძელში ვერ დავჯდები, სველი ვარ... – შემოსვლისთანავე ჩაიდუდუნა ხალდანმა და შუა ოთახში დადგა. დაბალი დუდუნა ხმას ამოსდიოდა ხორხიდან. ჯიშიან, მაღალ, სქელ, მონითალო ყელ-კისერზე ნაოჭა ხორხი იკვეთებოდა საუბრისას.

ახლავეო – უთხრა დურომ, ოთახიდან გავიდა, უმალ რევოლვერი მოძებნა, ყოველშემთხვევისათვის საშინაო ხალათის ჯიბეში ჩაიდო, დასტაცა ხის ტაბურეტს ხელი, ვითომ აქ არაფერი მომხდარაო, შებრუნდა უკან და სტუმარს სკამი სავარძლების წინ დაუდგა.

მოსულს ხვითქი გადასდიოდა შუბლზე, სველი სამოსი ტანზე ეკვროდა, ოფლისა და კაცის სუნი შემოეტანა, – ოთახში უსიამო სუნი იდგა. დურომ აივნის კარი გამოაღო, ოთახში მთვარიანმა ღამემ შემოიხედა და გრილი ჰაერიც შემოვიდა.

სტუმარი შუა ოთახში, ტაბურეტზე დაჯდა, გამართული იჯდა, თითქოს საუბრის დაწყება ეძნელებაო, დინჯ, გრძელ საუბარს

თუ აპირებდა, სიგარეტი ამოიღო, ასანთიც მოიჩხრიკა ჯიბეებში, მშვიდად გააბოლა, მთელი ამ ხნის მანძილზე მასპინძლისთვის არ შეუხედავს, განზე იყურებოდა.

– დირგია გაგიგონიათ? – იკითხა ხმადაბლა.

– ტყის კაცი ხომ?.. – გაუხარდა დუროს, სტუმარმა ხმა რომ ამოიღო, – იქით, მთებში ცხოვრობს... – ხელი თავს უკან გადაიქნია და სტუმრის პირდაპირ, რბილ სავარძელში, საბოლოოდ მოკალათდა.

–ჰო... – მიუგო მოსულმა. შეყოვნდა. ზომაზე მეტად შეყოვნდა, კაცი იფიქრებდა, მეტის არაფრის თქმას არ აპირებსო. დურომ მოთმინება დაკარგა:

– მერე?..

– ის ვარ მე... – უთხრა პირდაპირ, მკაცრი კილოთი და თვალები შეანათა. დურო სავარძელში შეიშმუშნა, ვერ გაუძლო სტუმრის ელვარე მზერას. მსხვილი შავი თვალები ავად კიაფობდნენ, გრძლად ჩამოშვებული ულვაშები, ოდნავ შეჭაღარავებული, გადახოტრილი თმა, გრძელი მსხვილი მკლავები წინ დალაგებულნი, კარგს არაფერს ეუბნებოდნენ მასპინძელს. ის ვარ მეო, „დირგია ყოფილა“ – გაუელვა თავში დუროს და უსიამოდ შეიშმუშნა. დირგია თითო-ოროლა მონადირეს თუ ენახა შორიდან წავარნებზე მიმავალი, ან კლდეებზე ფრჩხილებით დაკიდებული. არავსა და არავიძეთში დირგიაზე ლეგენდები ითხზვებოდა. ჰიმალაისთვის რაც თოვლის კაცი იყო, არავის მხარისთვის დირგია გახლდათ.

დუროს კარგად ახსოვდა არავის მთებში მისი გამოჩენა. მწყემსებმა ჩამოიტანეს ამბავი – არავის მთებში ტყისკაცი გამოჩნდა – არჩვებს ხელით იჭერსო. მაშინ ვარლამ არავიძე ჯერ კიდევ განაგებდა არავს და დამჭირველთა რაზმები შეუსია მთებსა და ტყეებს. ვერას გახდნენ, ვერსაიდან ვერ მიუდგნენ იმ მთას, სადაც, მწყემსების თქმით, ტყისკაცი ბუნაგობდა.

ახალმა ხელისუფლებამ უფრო ეშმაკური ხერხი იხმარა, მონადირეები მოისყიდა და შეუჩინა. ვერც მონადირეებმა შეძლეს შეპყრობა. ბოლოს თავი მიანებეს. კაცი არაფერს აშავებდა, სოფელს არას აკლებდა, თავისთვის მარტოკა ცხოვრობდა ხან ერთ მღვიმეში, ხან მეორეში. ზოგჯერ მიუვალ ადგილას კარავს დაიდგამდა, საქონელს გაიჩენდა და იმით ცხოვრობდა. „დირგია“ მეგრელმა მწყემსებმა დაარქვეს თურმე, იმის გამო, რომ დღეს თუ ამ ტყე-

ში ტუცავდა თავს, ხვალ სხვა ტყეში მიშლიგინებდა, თავისი ორი ძროხითა და სამი დეკეულით. მეგრული სიტყვა „დირგია“ სრულად გამოხატავდა ტყისკაცის საქციელს, – სწრაფ გადასვლას ერთი ადგილიდან მეორისაკენ, მიუვალ-გაუვალ ტყეებსა და კლდე-ღრეებში მომთაბარეობას.

ვინ იყო ეს კაცი? საიდან მოვიდა? რატომ ცხოვრობდა ტყეში? – არავინ არაფერი იცოდა. ერთ ხანს ხმა გავარდა, დირგია იოსიმეს ფუნდუკუში ღამ-ღამობით ჩამოდის და პურს ყიდულობსო. გააქანეს იოსიმე არავში, ერთი კვირა დამწყვდეული ჰყავდათ, დაჰკითხავდნენ და ოქმებს წერდნენ, ყველაფერი ათქმევინეს, რაც იცოდა, დურო ამ საქმის მონაწილეც კი იყო, დამჭირველებს ეხმარებოდა იოსიმეს გამოტეხვაში. გაიკვირვა, რომ უბედურმა იოსიმემ დამჭირველებზე მეტი არაფერი იცოდა. უცხო ადამიანი კვირაში ერთხელ მოდის ფუნდუკში და პურს ბლომად ყიდულობსო – სხვადასხვა სიტყვებით ამბობდა ერთსა და იმავეს მთელი კვირის განმავლობაში და შეშინებული ყველას ეხვეწებოდა, არ დამღუპოთ, არ გადამასახლოთო.

ადამიანი, ლეგენდად ქცეული, იჯდა დუროს წინ და თანდათან იპყრობდა შიში. რისთვის მოსულა ამ შუა ღამით? ნუთუ მართლა მანქანის დასაქირავებლად?..

– ხვალღამ, ამ დროზე, შენი ემცხრა მჭირდება, – თითქოს დუროს ფიქრს მიუხვდაო, თქვა კუშტად ხალდანმა.

– ასე გვიან? – გაიოცა დურომ, – საშარო საქმეებზე მე უკვე აღარ დავდივარ... – მტკიცე უარი სტკიცა.

– ფული არ იქნება სალაპარაკო! – გოროზად მიუგდო მოსულმა.

დურო სტუმარს მიაშტერდა: თუ ეს კაცი მართლა დირგიაა, ფულს არ მომცემსო – გაუელვა გონებაში. ყაჩაღებსა და „კანონიერ ქურდებს“ მანქანის მფლობელნი უფასოდ უნდა მოემსახურნენ, – წესად შემოეღოთ. დურო, რასაკვირველია, არავის მოემსახურებოდა უფასოდ, არავის არაფერს შეარჩენდა, სამაგიეროს უსათუოდ გადაახდევინებდა, მთლად ჯიბიდან გავარდნილი ჯიბგირიც რომ ყოფილიყო, მაგრამ ნისიად გაკეთებული საქმე მაინც არ მოსწონდა, მაინც გული ეთანაღრებოდა.

– ფულს მე წინასწარ ვიღებ! – ყინჩად შეხვდა სტუმრის გოროზობას.

ხალდანი შეირხა, ჯიბიდან უცბად ამოიღო ასმანეთიანები და დასტად მაგიდაზე დაყარა. დურო ამას არ მოელოდა, წამოდგა, მაგიდასთან მივიდა, ფულს დააშტერდა, მერე მზერა სტუმრისაკენ მიმართა.

– გნებავთ, ყოველ ღამე მოგცემთ ნაწილ-ნაწილ, გნებავთ, ერთად აიღეთ... შეაგება გაკვირვებულ მზერას სტუმარმა.

– რა საქმეა ასეთი? – ამდენი ფულის მაგიდაზე დაყრა არ მოეწონა დუროს, სტუმარს დაეჭვებული მიაჩერდა.

– ვარლამ არავიძე უნდა ამოვთხარო საფლავიდან და წაღებაში მომეხმარო!.. – არც აცივა, არც აცხელა, პირდაპირ მიახალა ხალდანმა. დურომ იფიქრა, მომესმაო, სავარძელში ხომ იყო ჩაშვებული და საზურგეს მიყრდნობილი, წამოიწია ცნობისმოყვარედ, წინ გადაიხარა და სტუმარს ყური ახლოს მიუტანა, რა მითხარი, ვერ გავიგეო. ამას ნიშნავდა დუროს სავარძელში აწრიალება, სიტყვა არ უთქვამს, ელდას სიტყვის დაძვრის, ხმის ამოღების საშუალება წაერთმია.

ხალდანმა ცივად, მოურიდებლად გაუმეორა წეღან ნათქვამი.

დურომ ვერსგზით ვერ მიიტანა სულთან და გულთან საკვირველი, ჯერ არსმენილი და არგაგონილი სიტყვები. ვარლამ არავიძე უნდა ამოვთხაროო საფლავიდან და წაღებაში მომეხმაროო.

ახლა იფიქრა: ალბათ მძინავს, არ წამოვმდგარვარ ლოგინიდან. ყველაფერი ეს მესიზმრება, გავიღვიძებ და სიზმარიც დამთავრდებაო.

– რა გაგიკვირდა? – შემოესმა დუროს კვლავ ის საზარელი ხმა – ვარლამ არავიძე ხომ იცი, ვინც არის!.. მიწაში მის გვამს არ ჩაგამარხიებთ, არ არის მიწის ღირსი ვარლამ არავიძე, შვილმა, აბია არავიძემ, თავისი ხელით უნდა გადააგდოს ყორნისხევში – ასეთია განაჩენი!

დურომ ხალათის ჯიბეში ჩაიყო ხელი და რევოლვერს ტარი მოუძებნა. ასეთ სულელურ ყოფაში არასოდეს ჩავარდნილა, რა ექნა ახლა? იმ პატარა რევოლვერით, ჯიბეში რომ ედო, დუროს ათასი ბანდიტი, მამაძაღლი შეუშინებია, უცებ ამოუღია, შუბლზე დაუდვია და აქეთ წადი, იქით წადიო, უბრძანებია. ახლა ხელი უკანკალებდა. ამოეღო თუ არ ამოეღო რევოლვერი? – დუ-

როს აზრით, მოსული ის ადამიანი ჩანდა, ვისაც რევოლვერს რომ ამოუღებ, უნდა მოკლა, თუ არა და წაგართმევს.

– მე არ მესმის თქვენი, – გაოცებით წამოიძახა დურომ. – ახლა უნდა წავიდეთ მე და თქვენ და ვარლამ არავიძე ამოვთხაროთ საფლავიდან? ამას მთხოვთ?

– ამას არა, – უცებ მიუგო ხალდანმა, – ამ საღამოს ვარლამ არავიძე მე უკვე ამოვთხარე და გადავუკიდე ციტრუსებზე აბიას. ხვალ ხომ დამარხავენ? ხვალ საღამოს უნდა მომეხმარო, მძიმეა გვამი, მანქანა მჭირდება.

– უკვე ამოთხარეთ! – შესძახა დურომ, – ხა, ხა, ხა! – გადაიხარხარა რატომღაც, – ყოჩაღ, ძმაო! ამასაც მოვესწარით?..

– თქვენი მანქანა მე მჭირდება ნაშუაღამევის სამი საათიდან ოთხ საათამდე. ხომ შეიძლება ხვალ არ დამარხონ მკვდარი? – იკითხა ხალდანმა – მაშინ ზეგ დამჭირდებით...

„მოვატყუებ, შევუთანხმდები და დავაჭერინებ – გადაწყვიტა უცებ დურომ და ჯიბეში რევოლვერსაც ხელი უშვა. შვება იგრძნო, რომ სხვა გადაწყვეტილება მიიღო. მან არ იცოდა, შეიძლებოდა თუ არა ამ საკვირველი ადამიანის – „დირგიას" მოკვლა. დამჭირვეულებისაგან უნდა ჰქონოდა ნებართვა.

შეთანხმება, მოლაპარაკება ამ საღამოს ერთადერთი გამოსავალი უნდა ყოფილიყო, – ამას ალღო კარნახობდა. ხვალ კი, როცა დირგია შორს იქნებოდა დუროს სახლიდან, გაიკითხავდა, გამოიკითხავდა და სწორ გადაწყვეტილებასაც ხვალ მიიღებდა.

– რას მომცემთ იმ ერთ საათში? – ჰკითხა ვითომ გულგრილად.

– ას მანეთს.

– არ ეყოფა.

– ორასი იყოს!..

– არც ორასი ეყოფა.

– სამასზე რას იტყვი? – ჰკითხა ხალდანმა.

– ხუთასი, – უთხრა დურომ.

– თანახმა ვარ. – თქვა ხალდანმა უყოყმანოდ, მაგიდაზე დაყრილი ფული მოხვეტა, ხუთი ასმანეთიანი დუროს გაუწოდა, დანარჩენი დაკეცა, ჯიბეში ჩაიდო და დუროს უთხრა:

– ოლონდ იცოდე, თუ ღალატი გიდევს გუნებაში, შვილებს დაგიხოცავ!..

ხალდანი წამოდგა. როცა მან დუროს უთხრა, შვილებს დაგიხოცავო, თვალის თეთრი ბადურა ყურუმივით შავ გუგებს თითქმის სულ გადაეფარა და უძინარ წითელ თვალთა ბუდეებში თეთრმა მსხვილმა თვალის კაკლებმა იწყეს ვარვარი.

კარისკენ გაემართა. შეჩერდა კართან, დუროს მოხედა და უთხრა:

– მე კარგად ვიცი, რომ ვერაგი ხარ, ვყიდულობ შენს ვერაგობას, უფრო დიდი ვერაგის საფლავიდან ამოსათხრელად.

– ღამის სამ საათზე, სასაფლაოსთან! პასუხს არ დალოდებია, გატრიალდა და ღამეს მისცა თავი. შეშინებული, დაბნეული, არეული დურო შინ ცოცხალ-მკვდარი შებრუნდა.

* * *

დუროს ფიქრი და დარდი არ შეეძლო. დილით ხომ მოემსახურა თავის პატრონს, საფლავიდან ამოთხრილი მამა დილითვე ჩუმად დაამარხვინა. საღამოს რა ექნა? სარისკო ხუთასი მანეთი აეღო და მკვდარი კვლავ ამოეთხარათ თუ ეცნობებინა, სადაც ჯერ არს? ან იქით უნდა გადაეჭრა, ან აქეთ. იმ გზას დაადგა, რაც, მისი აზრით, მისთვის და მისი ოჯახისათვის უკეთესი იყო. „ნაშუაღამევს, ღამის სამ საათზე სასაფლაოსთან...“ – ჩაბეჭდოდა გონებაში.

დუროს ათასნაირი ყაჩაღის, ბანდიტის, მკვლელის შეპყრობაში მიუღია მონაწილეობა, ვარლამ არავიძე ხან რას ავალებდა და ხან რას. – მსგავსი ვინმე, ვინც წუხელ სიზმარივით გამოეცხადა, არასდროს შეხვედრია. ვარლამის წყალობით შორეულ პყრობილობაშიც ყოფილა, ათასი ჯურის დამნაშავე უნახავს, ათასგვარი დანაშაული გაუგონია, მაგრამ ვინმეს მკვდარი საფლავიდან ამოეთხაროს, იქაც არ სმენია.

დუროს აზრით, ბედმა გაუღიმა, შეეძლო ისეთი საქმე გაეხსნა, დამჭირველებსაც კი რომ არ დაესიზმრებოდათ. შურისმაძიებელი აქეთ რომ არ მოსულიყო, იქით ალბათ ისევ მას თუ მიაგზავნიდნენ, ასეთ საქმეში დუროს დიდი გამოცდილება ჰქონდა, შემთხვევა მიეცა და ეს შემთხვევა უნდა გამოეყენებინა.

მკვდრის საფლავიდან მეორედ ამოთხრა

ნოვეს აზრიანმა გადაწყვეტილებამ, დილითვე დაემარხათ მკვდარი, ნაყოფი გამოიღო, მოისვენა მკვდარმაც და ცოცხალმაც.

აბიამ შვებით ამოისუნთქა. დილიდანვე შეუდგა საქმეს. რახან მთელი დღე წინ იყო, თუ იყოჩაღებდნენ, დღესვე შეიძლებოდა სახლ-კარის მილაგ-მოლაგება, დარეცხვა-დასუფთავება, მორჩენილი ხორაგის სამეზობლოდ ჩამორიგება... ხვალ დილით კი გამოკეტავდა სახლსა და სამზადს, ჭიშკარს დიდ ბოქლომს დაადებდა და არავის გზას დაადგებოდა. ასე ფიქრობდა, ამიტომ ჩქარობდა.

დუროს და ნოვეს დილიდანვე ახმობინა მეზობელი ჭირის-მოზიარენი, კაცებიცა და ქალებიც. ორმოცამდე კაცი და ქალი ხელად შეიკრიბა ვარლამ არავიძის ეზოში, სადურგლო საქმის მცოდნე მამაკაცები პატარა კვაღაიებით სეფისკენ წავიდნენ, ქალებმა ჭასთან ახლოს, ისე, რომ ჭისთვის არ ევნოთ, სამრეცხაო გამართეს... გახურდა მუშაობა: ზოგს ნათხოვარი სკამი და მაგიდა გადაჰქონდა ჭიშკარში, ზოგი ხალიჩას ეზიდებოდა...

მთელი დღე მუშაობდნენ. საღამო ხანს ქელეხიდან მორჩენილ ჭირის სუფრას მიუსხდნენ, ლოცავდნენ ცოცხლებს, მკვდრებს იმ ქვეყანაში ნათელ სუფევას უსურვებდნენ. გვიან ღამით შექეიფიანებულები წამოიშალნენ და თავიანთი სახლებისაკენ გზას გაუდგნენ.

ცისმარემ, თანგულიამ და აბიამ კვლავ ნაშუაღამევს დაიძინეს. მთელი კვირის უძინარებს მკვდარივით ჩაეძინათ, დილით მგელიას ყეფა ამჯერად ვეღარ გაიგეს.

ძაღლი მიდგომოდა ტრიფოლიატის ღობეს, თავი მაღლა შეემართა და ჰყეფდა, თითქოს ცას შეჰყეფსო. ჭიშკრიდან ორი-სამი მეტრის დაშორებით ციტრუსებზე კვლავ რაღაც საეჭვო საგანი იდო.

ჯერ ისევ ბნელოდა ეზოში, მხოლოდ ცის თაღს შედგომოდა მურუჟღი ნათელი, ალბათ რამდენიმე წუთში ჩამოვიდოდა დედამიწაზე ის მურუჟღი შუქი და ფართოდ გათენდებოდა. მანამდე კი კაცი ვერ გაიგებდა, იქ, ტრიფოლიატის ღობეზე, რა იდო, თითქოს სიბნელე იდო, სხვა არაფერი.

შარა-გზაზე დომენტიე მოდიოდა, ძროხა მოჰყავდა. დომენტიე არავიძეების კარის მეზობელი იყო, „კარის" ერქვა, ვინაიდან მათ შორის სხვა არავინ ესახლა, თუმცა საკმაოდ შორს ედგა თავისი ოდა არავიძეთა სამოსახლოდან.

აქეთ დომენტიე და მისი ძროხა იშვიათად ჩაივლიდნენ. ნაკრძალი ზონა სიბაკარით იყო ჩაკეტილი. დომენტიეს ძროხა სოფლის ნახირში ერია. სოფლის ნახირი სიბაკარს აქეთ არ გადმოჰყავდათ. საბალახო არავისწყალის ჭალებში ჰქონოდათ. დომენტიეს გეზი დიდი სამწყემსურისაკენ აეღო. იქ ჯიშიანი ბუღა ეგულებოდა და იმასთან მიჰყავდა ძროხა... გზა დიდი სამწყემსურისკენ სწორედ სიბაკარს გადაღმა, ვარლამ არავიძის სახლის წინ გადიოდა, არავიძეთა სასაფლაოს ჩავლის შემდეგ, ნაკრძალის ზონაც უნდა გაევლო და იწყებოდა დიდი სამწყემსური, ვრცელი ზეგანი – ზენიაქვათა, სადაც თავს იყრიდნენ შორი მხარეებიდან და კუთხეებიდან ჩამორეკილი ჯოგები. დომენტიე ვარლამის ჭიშკარს რომ მიუახლოვდა, მგელიას ყეფამ დააეჭვა და ტრიფოლიატის ღობეს დააკვირდა, რაღაც იდო ღობეზე, ძაღლი იმას უყეფდა, ახლოს მივიდა, ძროხაც მიიყვანა. უყურა, უყურა... თვალები გადმოეკარკლა, ვერ დაუჯერა თვალებს.

– უიტიოვო! – შესძახა – დომენტიე, არ მოტყუვდეო! უიტიოვო! ფუ ეშმაკსაო! ციტრუსებზე ვარლამიე გადოუკიდიათო?..

აზრიალდა ბერიკაცი. ჭიშკარს მიადო თავი და ყურება დაიწყო ეზოში. აბიას დავუძახებო – იფიქრა. მგელიამ დილაუთენია ჭიშკართან მომდგარი კაცი რომ დაინახა, მთლად გააფთრდა, აეტოტა ჭიშკარს და ყეფას უმატა. დომენტიეს შეეშინდა, მოშორდა იქაურობას. ძროხა ხელს უშლიდა, იქვე, გზის პირას, დააბა და სამეზობლოში წავიდა საკვირველი ამბის საუწყებლად.

დომენტიე შარა-გზაზე ასაკისათვის შეუფერებლად გარბოდა, ტანდაბალი, მოკლეფეხება კაცი იყო, ხელებს მაგრად იქნევდა, მაგრამ ნაბიჯმოკლე სწრაფად მაინც ვერ გარბოდა.

– გვაჯი, გვაჯიო, – ყვიროდა და კი არ მირბოდა, მიხტოდა თითქოს.

გვაჯია არავიძეს ეძახდა საშველად. გვაჯია ჭის თავზე იდგა, ჭიდან წყალი ამოჰქონდა, კარგს მომდგარი დომენტიე საეჭვოდ გაჰყვიროდა. რა უნდა ამ დაბდურს, დილაადრიანად რა გასჭირვებიაო, გვაჯიამ წყლით სავსე სათლი უკან ჩაუშვა ჭაში და დო-

მენტიესთან შესახვედრად გაემართა. დომენტიემ ჭიშკარი შეაღო და ეზოში შევიდა, შუა ეზოში დადგა, ხელებსა და ფეხებს იქნევდა აღგზნებული, ნარბენი ხშირ-ხშირად სუნთქავდა და ისედაც ენადაბმული, ჩასუნთქულ ჰაერთან ერთად, ენის წვერზე მომდგარ სიტყვებს ყლაპავდა.

– უიტიოვო!.. ძროხა მიმყავდავო... ჯიშიანი ბუღაო... ვარლამ არავიძის ჭიშკარიო... უიტიოვო!..

– რა იყო დომენტიე, რა? კიდო მოკვდა ვინმე?..

– უიტიოვო, კი არ მოკვდაო...

– აპა, რას გამიხეთქე გული დილაადრიანად!.. – გაჯავრდა გვაჯია. ზურგი აქცია დომენტიეს და სამზადისაკენ წავიდა.

– წამოდი, დავჯდეთ ეგერ და მითხარი, რა გინდა...

– უიტიოვო, რა დროს დაჯდომაა!.. – შესძახა დომენტიემ, უკან გამოუდგა გვაჯიას და სახელოზე მოქაჩა.

– რა ვქნათ აბა, ვიდგეთ აქ, შუა ეზოში და უიტიო ვიძახოთ?

– უიტიოვო, მკვდარია ციტრუსებზე გადაკიდებულიო! – ამოიხრიალა დომენტიემ როგორც იქნა, თვალები გადააბრიალა და მიწას დაუშინა ხელისგულები.

გვაჯია გაოცებული დასცქეროდა მიწაზე დამხობილ, ჭაღარა თმა-წვერით შემოსილ, გამხდარ-გაძვალტყავებულ ბერიკაცს, რომელსაც აღშფოთება ადამიანურად ვერ გამოეხეტა, ნადირივით მიწას უღრენდა და ფხოჭნიდა.

– მკვდარიო? – გაიოცა გვაჯიამ, ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რაც ანუხებდა დომენტიეს, – სად არის მერე ის მკვდარი?..

– უიტიოვო, წამოდიო! – შესძახა გახარებულმა დომენტიემ, ჩაავლო მკლავში ხელი და ხელათ ჭიშკარში გადაიყვანა.

ვარლამის სახლისაკენ შუკას რომ დაადგნენ, წინ პისტინე შემოხვდათ, ჭრელი თავსაბური ეხურა, ნიკაპთან გამონასკვული. კაცები ზომაზე მეტად აჩქარებული მოდიოდნენ, დომენტიეს ბურტყუნი და ქშენა პისტინესთვის შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა.

– კაცებო, ამ დილაადრიანად საით გაგინევიათო, – იკითხა.

– უიტიოვო... – დაიწყო დომენტიემ. პისტინემ იცოდა დომენტიეს მოყოლის ამბავი, ვერ მოითმინა, ვიდრე ამოღერღავდა, გვაჯიას მიაპყრო მზერა, შენ მითხარი, – რა ამბავიაო.

– რა ვიცი, ასე აბოჟირებული მოვარდა, – მკვდარია გადმოკიდებული ციტრუსებზეო და მივყავარ... – უთხრა გვაჯიამ.

– მკვდარიო?.. – შეჰკივლა ქალმა და ლოყაზე იტკიცა ხელი.

– ვინ მკვდარიო, დომენტიე, მითხარი ჩქარა! – ჩაჰკივლა პისტინემ ყურში დომენტიეს.

– უიტიოვო, ვარლამ არავიძეო! – თითქოს გონება გაუნათდაო, პირდაპირ მოჭრა სათქმელი დომენტიამ.

– ვარლამიო?.. – შეჰკივლა კვლავ პისტინემ, გადმოკიდებულიო? – დიდუჰ, დიდუჰ!.. ნამდვილი ჭირისუფლური კივილი ასტეხა შუკაში პისტინემ და კაცებს წინ გაუძღვა ვარლამ არავიძის ჭიშკრისაკენ.

– დიდუჰ, ვარლამი!.. ეს რა მოგსვლია, ვარლამიიჰ!.. მიდიოდა პისტინე და მიჰკიოდა. პისტინეს კივილი მთელმა სოფელმა გაიგო, გამორბოდნენ ჭიშკრებისაკენ და ქუჩაში მიმავალთ ეკითხებოდნენ, რა მოხდაო. პისტინემ პირველ შემხვედრ ქალს კივილ-კივილით უთხრა ვარლამის ციტრუსებზე გადმოკიდების ამბავი, იმ ქალმა სხვას გასძახა, იმ სხვამ კიდევ სხვას და მთელ სოფელში ხელად გავარდა ხმა: ვარლამ არავიძე საფლავიდან ამოუთხრიათო.

აბიამ რომ გარეთ გამოიხედა, ჭიშკართან უკვე მეზობლებს შეეყარათ თავი და ხმამაღლა ყაყანებდნენ: ზოგი ამბობდა, ადგილობრივ ხელისუფალთ შევატყობინოთო, ზოგი მოითხოვდა, ჯერ ჭირისუფლები გავაღვიძოთ, ისინი როგორც იტყვიან, ისე მოვიქცეთო. მგელია კი ჭიშკარს ატოტებული შეუჩერებლად ყეფდა. ხალხის ხმას ყეფითა და ღრენით ფარავდა.

აბია აივანზე გამოვიდა, რა ამბავია ჩემს თავსო – ეს გაიფიქრა და მოკვდა. იქ, აივანზე, გათავდა კაცი!.. მამამისი კვლავ ციტრუსებზე ეკიდა და ამას მთელი სოფელი საკუთარი თვალით უმზერდა. უფრო სირცხვილი, თავის მოჭრა, თავს ლაფის გადასხმა ალბათ არც ახსოვდა არავსა და არავიძეთს. წუხელ დამარხული მკვდარი, სახელგანთქმული ადამიანი, მთელი ამ კუთხისათვის საპატივცემულო კაცი დღეს მიწიდან ამოგდებული, აგერ, ეზოში, ციტრუსებზე ეკიდა, მის შვილს ასეთ დროს რა ეღონა? ჭიშკართან მოჯარული ხალხისთვის რა პასუხი მიეცა?..

ერთი მკვდარი ხომ ციტრუსებზე იდო, მეორე – მისი შვილი, აბია ახლა კიბეზე ჩადიოდა და ჭიშკრისაკენ მიემართებოდა. კი

მიდიოდა, მაგრამ ნამდვილად მკვდარი იყო, მკვდარს აედგა ფეხი და ციტრუსებიდან მკვდრის ჩამოსაღებად მიდიოდა.

აივანზე მალე ცისმარეს შეშფოთებული სახეც გამოჩნდა და შიშველ-ტიტველი თანგულიაც გაილანდა ფანჯრებში, ბიჭი სნრაფად იცვამდა, თან ღია ფანჯრიდან ჭიშკრისაკენ იყურებოდა.

აბიამ მგელიას ჯაჭვი შეაბა და დინჯად წაიყვანა დასაბმელად...

ჭიშკართან მომდგარ მეზობლებს, ცოტა არ იყოს, გაუკვირდათ აბიას საქციელი, კაცმა საფლავიდან ამოთხრილი მამის გვამს ერთი გახედა, თითქოს მოელოდაო – ციტრუსებზე მის გადმოკიდებას და ძაღლი წაიყვანა ჯაჭვის ჟღარუნ-ჟღარუნით.

ამასობაში ცისმარემაც ჩაიცვა და თანგულიამაც. თანგულიამ უმალ ჩაირბინა კიბე და ჭიშკრისკენ გაემართა, ცისმარეს საქციელი წაუხდა. ვერ გაბედა ეზოში ჩასვლა. აივანზეც კი არ გამოსულა, ფანჯრიდან გასცქეროდა ღობეზე გადმოკიდებულ მკვდარს და ჭიშკართან მოჯარულ სოფელს. გამოსულიყო გარეთ და მოთქმა და წივილ-კივილი აეტეხა თუ აღშფოთება გამოეხატა – დამუქრებოდა შურისმაძიებლებს, მოეწოდებინა მეზობლებისათვის მოეძებნათ მტერი და სამაგიერო მიეზღათ. თანგულია ჭიშკრისკენ კი გავარდა, მაგრამ გაახსენდა, რომ ჭიშკარი ბოქლომით იყო ჩაკეტილი, ხოლო გასაღები მამამისს ედო ჯიბეში, სნრაფად გამობრუნდა უკან დაბნეული. როგორც ერთადერთი საშველი, გაჭირვების ტალკვესი, დროს მანქანა მოადგა ჭიშკარს და ცისმარემაც, აბიამაც და თანგულიამაც შვებით ამოისუნთქეს.

დურო მანქანიდან შეშფოთებული გამოვარდა, ვითომ პირველად ხედავდა ციტრუსებზე გადმოკიდებულ ვარლამ არავიძეს, ღობეს მიადგა და, პირველ ყოვლისა, შეიცხადა მკვდარი.

– ვაიმე, მამა! ამას რას ვხედავ, მამა! მამა იყავი შენ ჩემი!.. მამა!.. მამა!.. – თავზე წაიშინა ხელები ხალხის დასანახად. შემდეგ ვითომ გონს მოეგო და ტრიფოლიატის ღობეს ახლა სხვა თვალით მიადგა.

– ააჰ, ნამდვილია ეს ვითომ?.. – აქედან გახედა მკვდარს. იქიდან გახედა. დაბალი, ჩაგვირისტებული კაცი იყო, მოძრავი, მოქნილი ადამიანი, მოკლე, კუნთოვანი მკლავები თოჯინასავით გაშლილად დაჰქონდა.

– როგორ მოხდა ეს ამბავი, სად არის აბია, ვინ ნახა პირველად? – პასუხს აღარ დაელოდა, ჭიშკრისაკენ გაემართა, ჯიბიდან გასაღები ამოიღო, გაღებას და შიგ შესვლას აპირებდა.

– უიტიოვო, – ხალხიდან თითქოს გამოხტაო, გვერდით აესვეტა დომენტიე და მონდომებული შეუდგა მოყოლას.

– ა, აგერ მოვდიოდიო... – გზას უჩვენებდა, – ე, ის ძროხა მომყავდაო, – გადავიდა შარა-გზის გადაღმა, სადაც წეღან ძროხა დააბა, ხელი მოკიდა ძროხას, შორიდან უჩვენებდა, – ვხედავო, ციტრუსებზე შავი დევსო... უიტიოვო, დომენტიე, არ შეშინდეო! – ჩემს თავს ვუთხარიო...

დურომ ერთი მიხედა დომენტიეს, მისთვის, რასაკვირველია, არ ეცალა, სწრაფად გააღო ჭიშკარი და ეზოში შევიდა.

აბიას ძაღლი დაება, სამზადიდან კიბე გამოეტანა და მოჰქონდა. დურო სირბილით გაემართა მის შესახვედრად, კიბე გამოართვა, თვითონ წამოიღო, თან ხმადაბლა ეკითხებოდა, როგორ მოვიქცეთ, რა ვქნათო.

აბია ცოცხალ-მკვდარი მოდიოდა, არ იცოდა, რა მოემოქმედა, რა ეღონა, „არ ვიცი, არ ვიცი, – ბურტყუნებდა, ხალხი რასაც იტყვის, ის გავაკეთოთო".

კიბე ტრიფოლიატის ღობეზე მიადგეს, დურო პირველი ავიდა კიბეზე. ჭიშკართან მოჯარული მეზობლები ეზოში შემოსულიყვნენ და ყველანი იქ შეკრებილიყვნენ, სადაც დურომ კიბე მიადგა.

ცისმარეც ჩამოვიდა ოდა სახლის კიბეზე შავთავშალმოსხმული, პისტინე და რამდენიმე მეზობლის ქალი ვიშ-ვიშით მიადგნენ ცისმარეს, თანაუგრძნეს, მხარში ამოუდგნენ და ისიც იქით წაიყვანეს, სადაც ხალხი ირეოდა.

– შენ აქ დადექი, შენ იქ დადექი! – დურო კიბის თავზე იდგა და ძირს დამხმარეთ – მკვდრის ციტრუსებიდან გადმომღებთ, ანაწილებდა.

– აქ მაღალი მინდა, გვაჯია, გვაჯიას დამიძახეთ!.. – იძლეოდა ბრძანებებს.

– კაცო, ხელისუფლებას არ შევატყობინოთ? – იკითხა ხალხიდან ვიღაცამ.

– არა, არ არის საჭირო, – მიუგო აბიამ, – მე დამნაშავეს აღარ ვეძებ, სამაგიეროს არავის ვუხდი...

– თქვენი საქმე არ არის, ვის შევატყობინებთ და რას ვიზამთ, – კიბის თავზემოდან გადმოსძახა ხალხს დურომ – თქვენ ის მითხარით, მკვდარს რა ვუყოთ: პირდაპირ სასაფლაოზე წავიღოთ თუ ჯერ სახლში დავასვენოთ.

– ზალაში დავასვენოთ! – გაისმა ხალხიდან, – ცოტა ხანს ვამყოფოთ თავის სახლში, უბედური...

– ოჰ, კარგი ერთი, კაცო! – ნუ გავანვალებთ ოჯახს, წავიღოთ პირდაპირ სასაფლაოზე, – მიუგეს ხალხიდანვე.

– თქვენს აზრებს კი ნუ ამბობთ, – გაცხარდა დურო, – წესი მითხარით, წესი როგორიცაა, ისე უნდა მოვიქცეთ.

უცებ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა ეზოში. ერთმანეთს შეცქეროდნენ და მხრებს იჩეჩავდნენ.

– რა წესს მოითხოვს ეს ეშმაკის მოციქული ჩვენგანო – ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ...

– რა წესს მოითხოვ, დურო ბატონო, – ასძახა ზემოთ გვაჯიამ, – ასეთი წესი და ადათი ჩვენ არა გვაქვს და არც გაგვიგონია... საფლავიდან მკვდრის ამოთხრას და მერე მის დასაფლავებას არაფერი წესი არ სჭირდება. ეს უწესობაა!..

– აფთრების წესია, აფთრებს უნდა ჰკითხოთ! – ღობის გადაღმიდან ჩაიქირქილა ვიღაცამ. ღობის გადაღმაც, შარა-გზაზეც შეკრებილიყო ხალხი, მეზობლები, ახლობლები ეზოში შემოსულიყვნენ, უფრო შორებელნი, ცნობისმოყვარენი, სეირის საცქერლად მოსულნი, ეზოში შესვლას ვერ ბედავდნენ და შორიდან უმზერდნენ ღობეზე გადაკიდებულ მკვდარს და კიბით ზედ მიმდგარ არავიძეთა მძღოლს – დუროს.

– შენ, ეი, მასხარავ! – დაუღრიალა დურომ, – მოშორდი აქაურობას თორემ, ამის გვერდით დაგაწვენ ხელათ! – ჯიბეზე იტაცა ხელი, ვითომ აქ იარაღი მიდევსო.

ბევრი იკამათეს, იყაყანეს... ცისმარესა და აბიას ერჩიათ დროზე წაეღოთ, მოეშორებინათ გვამი, მაგრამ მეზობლებმა ქვა ააგდეს და თავი შეუშვირეს, ვარლამ არავიძე იმის ღირსია, ერთი საათი მაინც ვამყოფოთ თავის სახლში, მოვიტანოთ სასახლე, შიგ ჩავასვენოთ და ადამიანურად დავმარხოთო. ეს აზრი ყველას მოეწონა, ასეც გადაწყვიტეს. გაჭირვებით გადმოიღეს ციტრუსებიდან ვარლამის

გვამი, როცა ძირს ნელ-ნელა უშვებდნენ, აბიას მკვდრის სუნი ეცა, გვამი ერთი კვირა ხომ ყინულში იდო, ორი დღე და ღამე მიწაშიც იყო ნამყოფი, ხრწნა დაეწყო...

როგორ უნდა დამსხდარიყვნენ ასეთი ამყრალებული ცხედრის გარშემო ჭირისუფლები?..

მიცვალებიდან დიდი დრო არ იყო გასული, მაგრამ ვინაიდან ზაფხულის ცხელი დღეები იდგა, გვამს სუნი ეკრა, შვილის გარდა, სხვა ვერავინ მოითმენდა ამ სუნს.

ცისმარე ასეთ ამყრალებულ ცხედარს არ მიუჯდება და შვილსაც არ დააჯენსო, – ნაღვლიანად ფიქრობდა აბია და გვამის წამღებთ შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა.

გვამის დასასვენებლად ფიცრის ტახტი მოეძებნათ სარდაფში და იმ ფიცრის ტახტით მიჰქონდათ ზედა სართულისაკენ, კიბის ორი-სამი საფეხური რომ აიტანეს, კაცებს ზურგს უკან პისტინემ შეჰკივლა:

– მკვდრის უკან მობრუნება ვაშინერს!..

მოლიტანიენი წამით შეყოვნდნენ, მაღლა შემართული ტახტიც ჰაერში შეაჩერეს და პირი უკან იბრუნეს, გზა განვაგრძოთ თუ დავბრუნდეთო.

– რაიო? – იკითხა ცისმარემ, მოეწონა პისტინეს ნათქვამი, კიდევ თქვიო, – თვალით ანიშნა.

– ნამდვილად ვიცი, ვაშინერს! – ახლა უფრო დაბეჯითებით თქვა ქალმა, ბებიაჩემი თეოლინე იტყოდა: მკვდრის მობრუნება უკან თავის სახლში ვაშინერსო – ე. ი. ავის მომასწავებელია, არ შეიძლებაო. მოაბრუნეთ მკვდარი და წადით პირდაპირ სასაფლაოზე...

მართლაც ისე გააკეთეს, როგორც პისტინემ ბრძანა.

– აა, ხომ გვქონია ნესი! – გაუხარდა დუროსაც – ავაშენე შენი მახორობა! მოსათავებელი საქმე დროზე უნდა მოვითავოთ!.. – თვალისდახამხამებაში შემოიყვანა ეზოში ემცხრა, ცხედარი ტახტიანად მანქანაში ვერ ჩაეტეოდა, როგორც გუშინ, შავ სუდარაში გაახვიეს და უკან „ჩააჯინეს“, ორი გულმაგარი ბიჭიც აქეთ-იქით მოუჩინეს და სასაფლაოს გზას დაადგნენ.

როცა ვარლამის გვამი მიწას მიაბარეს, დურომ აბია გვერდით გაიხმო და უჩურჩულა:

– კიდევ რომ ამოთხარონ?.. ბიჭებს მოვიყვან და ღამეს გავუთევთ...

აბიას ჭკუაში დაუჯდა დუროს რჩევა. მოიყვანეს სანდო კაცები და საფლავს დარაჯი მიუჩინეს. შენიღბულად, ჩუმად, ისე, რომ არავის გაეგო. მთელ სასაფლაოზე გაფანტულად, თოფ-იარაღში ჩამსხდარნი დარაჯობდნენ. პირველ ღამეს არავინ მოვიდა, არც მეორე ღამეს გამოჩენილა საფლავის შემბილწავი. აბიასაც რა ექნა? სანამდე დალოდებოდა, როდის ამოთხრიდნენ მესამედ მამამისს საფლავიდან, ათასი საქმე ჰქონდა არავში, უკვე მეორე კვირა გადიოდა, რაც არავიძეთიდან ვერა და ვერ გაეტია. მართალია, სამსახურში არავინ არაფერს ეტყოდა, ვარლამ არავიძის სიკვდილი იმხელა ამბავი იყო ამ კუთხისათვის, ორი კვირა კი არა, ორმოცი დღე შინიდან გაუსვლელად მის შვილს უნდა ეგლოვა. კუთხე-სამეზობლოში ასე ფიქრობდნენ, მაგრამ აბია ასე არ ფიქრობდა, თუ არ საფლავიდან მკვდრის ამოგდება, მეორე დღესვე აპირებდა არავში წასვლას.

აბიამ არავში წასვლის წინ, თავისი ახლო მეგობრები, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, „სანდო კაცები“: ნოვე, დურო, ზენონი და კიდევ რამდენიმე მეზობელი მოინვია და ჭკუა ჰკითხა:

– რა ვქნა, სამსახური მივატოვო, თუ საფლავს დარაჯად დავუდგეო.

ვინ ეტყოდა მიატოვეო, გამოკეტა არავიძეთა სასახლე და არავს წავიდა. ვინიცობაა შურისმაძიებელი კვლავ ამოთხრიდა საფლავიდან მკვდარს, მაშინ ხელისუფლებას შეატყობინებდა და დამჭირველთ გამოგზავნიდა შურისმაძიებლის შესაპყრობად. კაცმა რომ თქვას, ხელისუფლება თვითონ იყო. ვისთვის უნდა შეეტყობინებინა? მასზე უფროსი ერთი ადამიანი ივსიხი ნესტორის ძე ბრძანდებოდა. იმას ვერა და ვერ ეტყოდა, მამაჩემი საფლავიდან ამომითხარესო. თვითონ უბრძანებდა დამჭირველთ და შურისმაძიებელს ხელათ შეიპყრობდნენ. არავიდან უკეთ უხელმძღვანელებდა საფლავის დაცვას – მთავარ დამჭირველს უბრძანებდა და სულ მთლად მუდმივ ღამის დარაჯს მიუჩენდნენ ვარლამ არავიძის საფლავს.

მკვდრის საფლავიდან მესამედ ამოთხრა

ისევ პისტინე და დომენტიე გადაყრიან საფლავიდან ამოგდებულ, არავიძეთა ციტრუსებზე გადაკიდებულ მკვდარს. ამჯერად დილაადრიანად თხები გამოერეკათ შარაზე ნაკრძალის ზონაში შესაშვებად. მართალია, სიბაკარს იქით არავიძეებს ეკრძალებოდათ საქონლის ძოვება, მაგრამ ჩუმ-ჩუმად თურმე გადენიდნენ ხოლმე თხებს. თხების საძოვარი სხვაგან არსად იყო და რა ექნათ...

ჰოდა, დომენტიე და პისტინე ქურდულად რომ მიიპარებიან თურმე შუკაში, კვლავ დომენტიეს მოუკრავს თვალი ვარლამ არავიძის ჭიშკართან, ღობეზე გადმოკიდებულ მკვდრისთვის.

– უიტიოვო, პისტინეო, არ შეშინდეო, – უთქვამს ჩურჩულით პისტინესთვის დომენტიეს – იქ, ციტრუსებზე რაღაც დევსო!.. – თითით უჩვენებია. პისტინე იმ ნამს მიმხვდარა, რაც იყო, კივილი აუტეხია და სოფლისაკენ გაქცეულა. თხას მოაკონნიალებს თურმე თოკით და კივის...

– პისტინე, პისტინე, რა ამბავიაო, – ოდის აივანზე გადმომდგარ მეზობელს შორიდან დაუძახნია.

– ვარლამ არავიძე გადმოუკიდიათ, ისევლეეო – უპასუხნია პისტინეს შორიდანვე.

პისტინეს მკივანა ხმა იმ მეზობლის მეზობელს გაუგონია და იმას სხვისთვის პისტინეს სიტყვებით შეუტყობინებია ახალი ამბავი:

– ვარლამი გადმოუკიდიათ, ისევლეე! ის მეზობელი თურმე მეტად ცნობისმოყვარე და ჭორების მოყვარული ქალი ბრძანებულა, კარის მეზობელს რომ გადასძახა, ამით არ დაკმაყოფილებულა, თავის ოდის უკანა აივანზეც გადამდგარა და შორს მცხოვრები მეზობლებისთვისაც შეუტყობინებია. მთელი ხმით ნაყვირება, როგორმე ხმა მიეწვდინა.

– ვო, ვახტანგიე, უუუ!.. ვარლამი გადმოუკიდიათ ისევლეე!..

ეს სიტყვები არავიძეთს დილა-უთენია ელვისუსწრაფესად მოდებია.

– ვარლამი გადმოუკიდიათ ისევლეეე! – სოფლის ერთი კუთხიდან მეორეში გასძახოდნენ თურმე ერთმანეთს თანასოფლელები.

მთელმა სოფელმა ხელათ გაიგო ვარლამ არავიძის საფლავიდან მეორედ (სინამდვილეში მესამედ) ამოთხრის ამბავი და ფეხზე დადგა.

შეატყობინეს დუროს ოჯახს, მართალია, თვითონ დურო, თავის პატრონთან ერთად, არავში იყო წასული, მაგრამ სახლობა აქ, არავიძეთში ჰყავდა, თვითონ აქ ცხოვრობდა და სამუშაოდ ყოველ დილით აქედან მიდიოდა არავში. ასევე ნახევრად არაველ, ნახევრად არავეძეთელები იყვნენ ნოვეცა და ზენონიც, სახლები აქ, არავიძეთში ედგათ, მაგრამ იქ, არავში, მუშაობდნენ და დროებითი საცხოვრისი იქაც ჰქონდათ. როცა მოეპრიანებოდათ, აქ, სოფელში, ათევდნენ ღამეს, როცა არა, იქ, ქალაქში – არავში.

ნოვეც ხელათ გაჩნდა ვარლამ არავიძის ჭიშკართან და ზენონიც...

მთელი სოფელი შეყრილიყო „ვარლამის შუკაში“ და ბოქლომდადებულ ჭიშკარს უტრიალებდნენ, ეზოში უნდოდათ შესვლა, მაგრამ ვარლამის რკინის კარიბჭეს, ვერც სხვა გასაღებს მოარგებდით, ვერც ძალით გახდებოდით რამეს, ძალიანაც რომ მოგენადინებინათ, ვერ შეანგრევდით, ზევიდან გადასვლაც ძნელი იყო, ვინაიდან ჭიშკარს ბეტონის თაღი ადგა თავზე.

შურისმაძიებელს ყველაფერი ძველებურად მოემოქმედა: ვარლამი ფეხებით ეზოსკენ, პრიალა თავით შარა-გზისაკენ იდო ტრიფოლიატის ღობეზე, სიახლე ის იყო, რომ ცალი ხელი გულზე ედო და იმ ხელში, ძალით შეკრულ მუჭში ქაღალდი ჩაეჩურთათ. აი, იმას უტრიალებდნენ ნოვე, ზენონი, გვაჯია, დომენტიე, პისტინე და სხვა მეზობლები, გზისპირიდან ვერ წვდებოდნენ, აქედან ვარლამის პრიალა თავს ხელს თუ მიადებდა ყველაზე მაღალი კაცი, – გვაჯია. უფრო ახლოს ცხედართან ტრიფოლიატის ეკლიანი ღობე არავის უშვებდა.

ვიღაცამ კიბე მოიტანა, ღობეს მიადგა და ზედ ნოვე ავიდა. ბოლო საფეხურზე შედგა, ცხედართან დაიხარა, ცხვირზე იტაცა ხელი და ძირს ხალხს ჩამოსძახა:

– ნაწერი უჭირავს ხელში, ნამდვილად წერილია!.. – ცხვირიდან ხელი არ მოუშორებია, ისე იწყო ძირს ჩამოსვლა.

– აბიას მოსვლამდე მკვდარს ხელს ნუ შევახებთ. ვინ იცის, ეგებ ექსპერტი დაგვჭირდეს, – თქვა ბოლოს, როცა კიბიდან ჩამოვიდა.

ხალხი უკვე აღარ ეტეოდა ვარლამის ჭიშკრის ახლო-მახლოს და შუკაში გრძლად გაჭიმულიყო. შემცხადებლებივით მოდიოდნენ, უსათუოდ მისნი-მოსწევდნენ ღობესთან ჯგროდ მისეულთ, ახლოდან შეხედავდნენ ვარლამის პრიალა თავს, შემდეგ თავისუფალ ადგილს მოძებნიდნენ, ჯგუფად დადგებოდნენ და ჭორაობდნენ. ეჭვადაც კი არავის შეეძლო ეთქვა, თუ ვინ იყო შურისმაძიებელი. სოფელმა ყველაფერი იცის. ვინ ვის ყვარობს, ვისი ვალი ვის მართებს, ვინ გადამხდელია და ვინ არა, ვინ ქურდია, ვინ თაღლითი, ვინ ნესიერი და პატიოსანი ადამიანია.

ვარლამ არავიძის ამომთხრელი სოფელში არავინ ეგულებოდათ.

– ესო ჩვენებური კაცი არ არისო, – დაბეჯითებით უმტკიცებდნენ ერთმანეთს იმ დილით არავისძენი, – ჩვენებური კაცი ამას ვარლამის და აბიას ოჯახს არ უზამსო. მართალია, ვარლამი ყველაფრის ღირსია, მაგრამ ასეთი შურისძიება ამ კუთხეში ჯერ არავის გაუგიაო.

სჯა-ბაასში სოფლის გზაზე დუროს შავი ემოცდაცხრა გამოჩნდა. ყველამ იქით დაიწყო ყურება. ემოცდაცხრას ორი სხვა მანქანაც მოჰყვა. დამჭირველთა მანქანები შორიდანვე იცნეს არავიძეთელებმა და ღობეებს აეკრნენ, გზა დაუთმეს მანქანებს. დამჭირველთა თეთრზოლებიანი მანქანები განგაშის ნიშნად წითელ შუქს აფრქვევდნენ და წივილა ხმას გამოსცემდნენ.

მანქანებიდან პირველები დამჭირველნი გამოხტნენ, ვარლამის ჭიშკარს, ტრიფოლიატის ღობეს წრედ ზედ მიეკვრნენ და არავინ ახლოს არ მიუშვეს, ხელიხელჩაკიდებულები დადგნენ, ვითომ ვინმე ძალით მიეჭრებოდათ. თვით აბია და დუროც კი დამჭირველთა უფროსმა გაიყვანა, ჩემს კაცებს აცალეთ, ისინი ყველაფერს ისე გააკეთებენ, როგორც საჭიროაო. მართლაც, ათასი აპარატით მიადგნენ იმ ადგილს, სადაც მკვდარი იყო გადაკიდებული. დიდხანს სანტიმეტრებით ზომავდნენ ტრიფოლიატის ღობეს. ბოლოს ხელთათმანიანი ხელით, უფრო უკეთ, ორი თითით, ცერითა და საჩვენებლით ფრთხილად გამოაძვრინეს მიცვალებულის მუჭიდან ქაღალდი. ძირს, მიწაზე, განათებული ადგილი მოძებნეს, დაგორგლილი ნაწერი გაშალეს, დააფინეს მიწაზე და სურათი გადაუღეს. იმ ქაღალდს დიდხანს უღებდნენ სხვადასხვა კუთხიდან

სურათს, დიდხანს უტრიალებდნენ, ბოლოს აბიას დაუძახეს და წააკითხეს: „ვარლამ არავიძეს მინაში არ დაგამარხიებთ, იმდენჯერ ამოვთხრი, რამდენჯერაც დამარხავთ, თავს დავანებებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი შვილი აბია და შვილიშვილი თანგულია თვითონ ამოთხრიან უწმინდურ გვამს და ყორნისხევში ყორნებს მიუგდებენ საჯიჯგნად. შურისმაძიებელი“.

აბიამ წერილი ცივად დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო. დუროს, ნოვეს, ზენონს და სხვა მეზობელ-ახლობლების ცნობისმოყვარედ მოჩერებულ თვალებს მოერიდა, მთავარდამჭირველი გვერდით გაიყვანა, დიდხანს ეთათბირებოდა, შემდეგ ის ოთხად დაკეცილი წერილი ამოიღო და გენერალურ დამჭირველთან გაატანა.

დამჭირველთ გვამის შესწავლა დაემთავრებინათ და ახლა იმათ დაჰკითხავდნენ, ვინც პირველად ნახა გვამი. დაკითხვასაც არ სჯერდებოდნენ, ვინც იმ დილით ვარლამ არავიძის გვამს ჰკიდა თვალი, ყველას გვარებს იწერდნენ და იბარებდნენ არავში, ამ და ამ სამსჯავროს მე-9 ოთახში.

ბოლოს, გვამის დასაფლავების თადარიგიც დამჭირველებმა ითავეს. სასაფლაოზე მანქანით გაგზავნეს კაცები, სამარიდან ამოიღეს სარქველაგლეჯილი სასახლე, მოიტანეს და ვარლამ არავიძის ჭიშკარს ბალდახინი მიაყენეს. ფრთხილად გადმოიღეს ციტრუსებიდან ცხედარი და კუბოში ჩაასვენეს. თავსარქველიც დაარქვეს, პატიოსნად წაასვენეს სასაფლაოზე.

როცა სასაფლაოდან გამოდიოდნენ, აბიამ ნოვე გვერდით გაიხმო და ჩუმად, ისე, რომ არავის გაეგო, ჰკითხა: სად არის ეს ყორნისხევი?

აბია ნარმოშობით, ჯიშითა და ჯილაგით აქაური იყო, აქ ემარხნენ ვარლამ არავიძის წინაპრები, როგორც აქ ამბობდნენ, ირიდისთური არავისძენი აქაურები იყვნენ, აბიაც მათი ნაშიერი იყო, მაგრამ ამ კუთხეს არ იცნობდა. არავისწყალი, არავის მთა, არავის ჭალა, არავის ტყე, მხოლოდ გაეგონა, შორიდან თუ ენახა არავის მთა, არ უბანავია არავისწყალში, არ შესულა არავის ტყეში... ყორნისხევი რა გასაკვირია, არ ცოდნოდა.

ნოვე და ყველა, ვისაც იმ დღეს თავი მოეყარა ვარლამის ცხედართან, ცნობისწადილს შეეპყრო – ვარლამს რომ ხელში წერილი

ეჭირა, იმ წერილის შინაარსი აღძრავდა ცნობისწადილს, მაგრამ რახან აბიამ წერილი ცივად დაკეცა და ჯიბეში ჩაიდო – საშინელი რამ უნდა წერებულიყო: შეკითხვაც კი უხერხულად ჩათვალეს აბიას ახლობლებმა, ნოვე მიხვდა, რომ ეს „ყორნისხევი“ იმ წერილში ეწერა, მაგრამ რისთვის ეწერა, რას ნიშნავდა, ვერასგზით ვერ ამოხსნა. ხელს ტყისკენ იშვერდა ნოვე – ყორნისხევი იქით არის, სასაფლაოს იქით, ნაკრძალის ზონაში. რად გინდა ყორნისხევი?..

– არაფერი, ისე... – მიუგო აბიამ.

მოულოდნელი შეხვედრა „დიდმრეწველთან“ ღამის სამ საათზე

დურომ ერთი ხუთასი მანეთი რომ გაიკრა ჯიბეში, მეორის აღებაც არ გაჭირვებია. თანდათან მოსწონდა კიდეც ეს საქმე, ფულსაც იჯიბავდა, თან იმ ხუთას მანეთად შურისმაძიებლის ნდობას ყიდულობდა, შევიდოდა მტრის ბანაკში და ბოროტმოქმედთა ბანდას სრულად გამოავლენდა – გულში ედო ასეთი განზრახვა, – ციდან ჩამოგდებული შემთხვევა გონივრულად უნდა გამოეყენებინა. ორიათას-სამიათას მანეთამდე ფულს დაუბრკოლებლად გამოსძალავდა შურისმაძიებელს, შემდეგ დამჭირველებს მიუსევდა და ჰაიდა, ლიკვიდაცია!..

დუროს დამჭირველებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება უფლებას აძლევდა თამამად ემოქმედა. ბოროტმოქმედთან დროებით შეკვრა, ქრთამის აღება და მისთანანი, სწორედ დამჭირველთა ნაცადი ხერხი გახლდათ. ამგვარ მეთოდებსა და ხერხებს დურო მარჯვედ ფლობდა, მაგრამ ნათქვამია, კოკა ყოველთვის წყალს ვერ მოიტანსო, დუროს ზედ წყاროსპირას გაუტყდა კოკა...

თურმე ვარლამ არავიძის მესამედ ამოთხრა კუნაპეტ, უკუნ ღამეში მომხდარა. დურო, წესისამებრ, სასაფლაოს კართან მდგარა თავისი ემცხრათი. ჯეგე ხალდანს ნალოდინარა. ერთი საათი უნდა დალოდებოდა – ასეთი ყოფილა შეთანხმება. დგას თურმე და ელოდება. არავინ ჩანს წინა მოსვლაზე, – ვარლამ არავიძის მეორედ ამოთხრისას, უცებ გამოსულა სიბნელიდან ხალდანი, მანქანის

წინ ჩაუვლია, დანახვებია დუროს – ამით უთქვამს – გამოვედიო, სასაფლაოს ალაგზე გადაულაჯებია, საფლავის ამოსათხრელად შესულა. ამჯერად ხალდანს სხვა ხერხისთვის მიუმართავს: არ დანახვებია დუროს, პირდაპირ საფლავის თხრას შედგომია.

ამას თავისი მიზეზი ჰქონია. თურმე დუროს უარი უთქვამს საფლავიდან მკვდრის ამოღებაში დახმარებოდა, ვინაიდან ძალზე საშიშ საქმედ მიუჩნევია. დაუმტკიცებია კიდეც ხალდანისათვის თავისი სიმართლე. ვინმემ, შემთხვევით გამვლელმა, ჩემი მანქანა სასაფლაოს კარზე რომ დაინახოს, უსათუოდ შემოყოფს თავს მანქანაში, მე შიგ უნდა დავხვდე, რომ საფრთხე აგაცილო, თორემ შემოვა სასაფლაოზე და თავზე დაგადგებაო.

ამის გამო, დუროსაგან მალულად, ჯეგე ხალდანს დამხმარედ თავისი ბიძაშვილი ჯვებე ხალდანი წამოუყვანია.

ქვეყანაზე ორად ორი ხალდანი დარჩენილა, ჯეგე და ჯვებე ხალდანები, დანარჩენები – მთელი საგვარეულო არავიძეს ამოუწყვეტია. ზოგი ციხეში მოუკლავს, ზოგი გადასახლებაში, ზოგი თავის ეზოში ფეხსალაგისაკენ ღამით მიმავალი...

ჯეგეს არ ნდომებია ამ საქმეში ჯვებეს გასვრა, მე ვიღუპები, ვიღუპები, ერთი ხალდანი მაინც დარჩესო ქვეყანაზეო, მაგრამ ჯვებე შინ ვერ დაუმაგრებია და წამოჰყოლია.

ამოუთხრიათ მკვდარი, ჯეგეს ზურგზე მოუგდია და საფლავებს შორის ვიწრო ბილიკით სასაფლაოს გასასვლელისაკენ გაუწევია. ჯვებე სასაფლაოს ღობეზე გადამხტარა და ტყისთვის მიუღია თავი, ტყე-ტყე გადგომია გზას შინისაკენ. ჯეგე ხალდანი კი დუროს მანქანასთან წელში მოხრილი რომ მიდის, სიბნელეში საფლავებს შორის გზას გაჭირვებით მიიკვლევს, აჰა, მიადგა სასაფლაოს გასასვლელს, ჭიშკარი ჩაკეტილია, ზედ ბოქლომი ჰკიდია და გასაღები დომენტიეს უდევს ჯიბეში, დომენტიეა ამ სასაფლაოს კარი ჩამკეტი, სასაფლაოს დირექტორიც ცალკე თანამდებობაა.

მიდის ჯეგე ხალდანი, მიათრევს ვარლამ არავიძის გვამს, როგორც საკუთარ ჯვარს და უახლოვდება სასაფლაოს ჭიშკრის ძმას – ალაგეს. იმ ალაგეს გადაატარებს და დუროს მანქანაც იქა დგას...

აჰა, აღიმართა ალაგეზე, მორკალული ვარლამ არავიძის გვამი სიბნელეში მაღლა და მაღლა აღიმართა და... სწორედ ამ დროს,

თავჩაკიდებული ჯეგე ხალდანის ვიწრო თვალსაწიერზე, ალაგის წინამოზე, მინის იმ პატარა ნაჭერზე, რასაც ჯეგეს თვალები დასჩერებია, საიდანღაც შუქი არ შემოიჭრა?!. შემოიჭრა და მანქანის ხმაურიც მიუვარდა სასმენელთან, გაოცდა კაცი, ზედ ალაგეზე შედგა, ჯერ იფიქრა, ალბათ, დურომ წინასწარ ჩართო ფარები, ძრავაც აამუშავა და დუროს მანქანის ხმაური ჩამესმაო. გვამის ქვემოთ დადრეკილი ქედის ცოტათი აწევა და გახედვა სცადა...

უცხო ხმა ყურში გარკვევით ჩაესმა.

თავზარი დაეცა. არ მოელოდა, აქ, ამ დროზე, ვინმეს გამოჩენას, ხომ იდგა მკვდარაკიდებული ალაგეზე, ნელა ჩადგა ძირს ფეხი, ელვისუსწრაფესად შებრუნდა უკან და საფლავებს შორის გაუჩინარდა სიბნელეში...

დურომ, მოახლოებისთანავე იცნო ზენონის მანქანა, მაგრამ არ აპირებდა შეხვედრას, მანქანიდან გადმოსვლას, ფიქრობდა: მოფარებულში ვდგავარ ჩამქრალი მანქანით, ეგებ ვერ დამინახოს და ჩამიქროლოსო. თურმე ზენონიც აქ, სასაფლაოზე, სადარაჯოდ მოსულა. მიანათა, მიანათა ფარები დუროს ემცხრას და გააჩერა.

დურომ მძღოლის კარი გამოაღო, გადმოვიდა თავის მანქანიდან და ახალმოსულ მანქანას მიადგა. მძღოლის გვერდის ზენონი იჯდა. უკანაც ნაცნობი სახეები ისხდნენ, ზენონის მრევლი იყო: „დიდმრეწველებს“ ეძახდა დურო ამათ დაცინვით, – სინამდვილეშიც მრეწველები იყვნენ. არავის ადგილობრივ წარმოებებს ხელმძღვანელობდნენ. რისთვის მოსულიყვნენ? აქეთ სამანქანო გზა სხვაგან არსად მიდიოდა. მაშ, სასაფლაოზე მოვიდნენ?.. – დურო შიშმა შეიპყრო.

– მაშასადამე, აქა ვართ? – ასეც ვიცოდი! – ქშენა-ქშენით გადმოვიდა ზენონი მანქანიდან, – სხვა ვინ არის კიდევ?..

– არავინ. – მიუგო ცივად დურომ.

– არავინ? მარტო შენა ხარ.. ყოჩაღ ძმაო, შენ ამ ოჯახის მძღოლი კი არა, შვილი ხარ, ნამდვილი, ღვიძლი...

ზენონი გულწრფელად აღფრთოვანდა, ღამის სამ საათზე ვარლამ არავიძის საფლავს მისი ყოფილი მძღოლი დარაჯობდა, განა ეს სამაგალითო საქციელი არ იყო! მთვრალზე მეტისმეტად იმო-

ქმედა მძღოლის ერთგულებამ და სიყვარულის ნიშნად დუროს ხელიც მოხვია, გვერდით გაიყვანა და საიდუმლოსავით უთხრა:

– ბიჭები დათვრნენ, ბოლო ჭიქა აბიას სადღეგრძელო იყო, – აბია არავიძის გულისთვისო მკერდს ტყვიას შევუშვერთო, ერთი ღამე ჩვენც გავუთიოთო და აა!..

ზენონმა ხელი გაიშვირა მანქანისაკენ, ვითომ, ა, ბატონო, აგერ ვართ, მოვედითო.

– ჩაბრძანდით ახლავე მანქანაში და წადით უკან! – მოურიდებლად უბრძანა დურომ. სწრაფად უნდა აღეკვეთა გაუთვალისწინებელი ხიფათი – არ არის ეს საჭირო! თქვენ მთვრალები ხართ, სახიფათოა თქვენი აქ ყოფნა!..

– მეც მაგას ვამბობდი, არ დამიჯერეს!.. – ხელები გაშალა ზენონმა.

– ახლავე მანქანაში, აქ შეიძლება სროლაც ატყდეს!.. – დურო ზენონს მანქანისაკენ უკვე ძალით მიათრევდა.

უცებ ზენონი შეჩერდა, დუროს ხელი წაართვა და სიბნელეს გაუშტერა თვალი. მომეჩვენაო, ფიქრობდა, მაგრამ სასაფლაოს ჭიშკარსა და ალაგეს თვალს არ აშორებდა, გახევებული, გაქვავებული იდგა ჯორივით ერთ ალაგას, იქით იყურებოდა, საიდანაც ხილვას ფეხისხმაც მოჰყვა... ხილვა იყო წამიერი, – ალაგეზე ადამიანი ლანდი იდგა, თითქოს ზურგზეც რაღაც მოეკიდებინა... თუ თავზე ედო ეს რაღაც. ორმეტრიანი სიშავე აღმართულიყო ალაგეზე. საოცარი მოჩვენება მუქ შავად იკვეთებოდა ისედაც ყურუმ ღამეში. საზარელი ორსართულიანი სიშავე ნელა წავიდა უკან-უკან...

ზენონს შიშისაგან ენა წაერთვა. ამის დაჯერება მას არ შეეძლო. დუროს ვეღარც კი ჰკითხა: ალაგეზე ვიღაც რომ დგას, იმას ვერ ხედავო? მორჩილად დაჰყვა და მანქანისაკენ გადადგა ბიჯი, თან უკან-უკან იყურებოდა. მართლა მომეჩვენა თუ არაო. ანგარიშმიუცემლად ჩაჯდა მანქანაში. არავინ იყო, „ბიჭები“, როგორც ზენონი ეძახდა მათ, გადმოსულიყვნენ მანქანიდან, დრო ეშოვათ, სიბნელეში ცალ-ცალკე გადამდგარიყვნენ მოსაშარდავად, ზენონიც უმალ მოეგო გონს, კვლავ გადმობობღდა მანქანიდან და დუროს ხმადაბლა ჰკითხა:

– კაცო, ახლა, ამ წუთას, შენ აქ, ალაგეზე, არაფერი გინახავს?..

– ეჰ, – ვითომ ჩაიცინა დურომ და ზენონი კვლავ წაიყვანა მანქანისაკენ.

– ერთხელ აი... ამ ჩემი ორი თვალით ვნახე, ნამდვილად აქ, თუ როგორ დასეირნობდნენ საფლავებს შორის ვარლამ არავიძე და ბაბუაჩემი ნესტორი, აქამდე ჰქონდა წვერი ბაბუაჩემს. ა... აჰ, ჰა, ხა, ხა!.. – გულისგარეთ გადაიხარხარა დურომ და ზენონი მანქანაში ჩასვა.

„ბიჭებიც" მალე ჩასხდნენ თავთავიანთ ადგილებზე, ერთმანეთს ჩუმად რაღაც ჰკითხეს, გადაულაპარაკეს და წავიდნენ. დურომ ამოისუნთქა.

– უსაქმურები! – მიაძახა ბრაზიანად და მანქანის ფარები აანთო, ამით ანიშნა ხალდანს, წავიდნენო.

სიბნელიდან ორსართულიანი სიშავე მალე გამოვიდა და ალაგეზე კვლავ აიყალხა. დურომ მანქანის კარები ორივე მხარეს გააღო, ხალდანს მოეხმარა მკვდრის ზურგიდან გადმოღებაში. ცხედარი შავ სუდარაში იყო გახვეული, სუდარა ხალდანს დაჰქონდა ჩანთით. სუდარაში გახვეული მკვდარი უფრო მოხერხებული აღმოჩნდა ზურგზე მოსაკიდებლად, წასაღებად, მანქანაში ჩასადებად. ცხედარი უკანა საჯდომზე „დააჯინეს" და ღამის გზას გაუდგნენ.

ჯეგე ხალდანმა თავისი საქმე აღასრულა, – ვარლამ არავიძე კვლავინდებურად გადაუკიდა აბიას ციტრუსებზე, დუროს ფული აქვე მანქანაში, ჩაუთვალა და სავარაუდო ახალი შეხვედრაც დაუნიშნა.

ეს შეხვედრა არ შედგა სწორედ ზენონის იმღამინდელი მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი, უეცარი სტუმრობისა გამო.

ბრძოლა საფლავისათვის, თანგულიას ამბოხება

ვარლამ არავიძის საფლავზე მორიგეობა დაწესდა.

ღამღამობით არავიძეთის სასაფლაოზე თითო თოფიანი დამჭირველი ყოველთვის მიდი-მოდიოდა სამარეთ შორის. საფლავის მცველი ამჯერად აღარ იმალებოდა, პირიქით, გამვლელ-გამომვ-

ლელთ თავს აჩვენებდა, არ გაბედოთ და ახლოს არ გაეკაროთ ვარ-ლამის საფლავს, თორემ ხომ ხედავთ, შეიარაღებული ვარ, ტყვია არ აგცდებათო.

ძნელია სოფლის სასაფლაოზე ღამეების თევა. შეიძლება ერთი და ორი ღამე გაათიო, მაგრამ მთელი თვე საფლავის დარაჯობა, დამიჯერეთ, არც ერთ წესდებაში არ ეწერათ. ვარლამისა და აბი-ას ხათრით არღვევდნენ წესდებას. თუ ამ საქმეს დასჭირდებოდა, სულ მთლად ახალ წესდებას შეიმუშავებდნენ. ვარლამზე დიდი კაცი ამ კუთხეში, ამ საუკუნეში ალბათ არც გარდაიცვლებოდა (ასე ფიქრობდა ბევრი). მაინცა და მაინც ასეთ პატიოსან გვამს არ ასვენებდნენ საფლავში.

ნათქვამია, მთელი ღამე კაცს კი არა, წყალს დაეძინებაო, ხომ ასე გულმოდგინედ დარაჯობდნენ ვარლამის საფლავს. ერთ დამ-ჭირველს მაინც ჩაეძინა თურმე, ჩაეძინა და ხვრინვაც ამოუშვა... დილით რომ გამოეღვიძა, საფლავი მუხლამდე ჩათხრილი დახვდა. დამჭირველმა განგაში ატეხა. შურისმაძიებელი ჰუმანოიდი ყოფი-ლა, ციური თეფშით მოფრინდა, ამ ხუთ წუთში მე რომ ჩამთვლიმა, ა, ეს ამოთხარა და უკან ისევ თეფშით გაფრინდაო. დამჭირველი დიდხანს ბეჯითად უმტკიცებდა აბიას და მთავარდამჭირველს ჰუმანოიდის მოფრენის ამბავს. შეწუხდა აბია, აფორიაქდნენ უფროსები, საფლავის მცველს ღამე შიში უჭამია და ჭკუაც თან გაუტანებიაო.

შეიქმნა მისვლა-მოსვლა აბიასას, მთავარდამჭირველს ეს ამბავი გენერალური დამჭირველისთვის მოუხსენებია ღამით, თვითონ გე-ნერალური დამჭირველი ეწვია შინ, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთო.

ვარლამის საფლავის შებილწვა მარტო აბიას სირცხვილი როდი იყო. დამჭირველობა ვარლამ არავიძემ მოიტანა არავში. გენე-რალური დამჭირველიც მისი გამოგონილი თანამდებობა იყო, ილანძღებოდა გენერალური დამჭირველიც, ცოცხალ-მკვდარი შემოვიდა აბიასას. ისინი ერთ სახლში ცხოვრობდნენ, ზედა სარ-თული გენერალურ დამჭირველს ეკავა, ქვედა აბიას. გენერალური დამჭირველი ერთადერთი ადამიანი იყო ხელისუფლებაში, ვისაც უცხოტომელად რაცხდნენ, თუმცა არავში იყო დაბადებული და გაზრდილი. რაც ვარლამ არავიძე ხელისუფლებას ჩამოსცილდა,

არავს ჯერ ივსიხი ნესტორის ძე დაეპატრონა, შემდეგ გენერალურ დამჭირველად გრიგოლო გრიგოლოვი გამოგზავნეს და ივსიხი ნესტორის ძის ძალაუფლება ამ გამოგზავნით შეზღუდესო, – ასე ამბობდნენ, მაგრამ ასე არ მომხდარა, ივსიხი ნესტორის ძემ და გრიგოლო გრიგოლოვმაც საერთო ენა გამონახეს და შეთანხმებულად ამუშავდნენ.

გრიგოლო გრიგოლოვის სტუმრობა დიდი მოვლენა იყო აბიასათვის. გრიგოლოვი ვარლამის დაკრძალვაზე არ მოსულა, რახან ივსიხი ნესტორის ძე არ ყოფილა, გრიგოლოვსაც არ ჰქონდა ნება მისულიყო. მაგრამ დარეკა აბიასთან და ელსმენით მიუსამძიმრა. ესეც არ მიიჩნია საკმაოდ, ვრცელი დეპეშა გამოუგზავნა დასაფლავების დღისათვის. აბია გენერალური დამჭირველის შენუხებას არ აპირებდა, თვითონ მოვუვლი მამაჩემის საფლავიდან ამომთხრელსო, – ფიქრობდა, მაგრამ გრიგოლო გრიგოლოვი მთელს ამ კუთხე-მიდამოში ცნობილი დამჭირველი, თავისი ფეხით მივიდა არავიძესთან და მას მხარში ამოდგომა შესთავაზა. ეს ამბავი ვარლამ არავიძის ძველი დიდების ახალი აღიარება იყო. ასე გაიფიქრა იმ საღამოს აბიამ.

გრიგოლო გრიგოლოვი არავიძეების კარის მეზობლად ითვლებოდა, მაგრამ არ მეზობლობდნენ. აბიას და ცისმარეს მეზობლებად ქვედა სართულის ბინადარნი მიაჩნდათ.

გრიგოლოვი ამ სახლში ახალშესახლებული იყო, ამიტომ ჯერ შორიდან ზომავდნენ თვალით ერთმანეთს მეზობლები, გარდა ამისა, გრიგოლოვს მმართველობაში ისეთი თანამდებობა ეკავა, გაშინაურება და თვითნებურად გადაპატიჟ-გადმოპატიჟებაც მეზობლებს ეკრძალებოდათ. მას თვითონ უნდა გადაედგა ნაბიჯი, თუ საჭიროდ ცნობდა ვინმესთან მეზობლობას, ასეთი წესი დაედგინათ ამ სახლში და ამ წესს არავინ გადადიოდა.

ეს სახლი არ იყო ჩვეულებრივი, ქალაქური რიგითი სახლი, – საკუთარი თავგადასავალი, საკუთარი ისტორია გააჩნდა. დღეს ის არავის მხარის ხელისუფალთა სახლი გახლდათ, ოდესღაც კი ამ სახლში რიგითი არაველნი, უბრალო მოქალაქენი ბინადრობდნენ თურმე. სახლისთვის თვალი დაუდგამს ვარლამ არავიძეს, შიგ მცხოვრებნი ზოგი გადაუსახლებია, ზოგი გამოუსახლებია და არავის მხარის იმდროინდელ ხელისუფალთა საცხოვრებლად უქცევია.

იმ დროიდან მოყოლებული ამ სახლს არავის მხარის მმართველობა დაპატრონებია.

სახლი სამსართულიანი იყო, წითელი აგურით ნაშენი, ორი სადარბაზოთი, ერთი სადარბაზოს სამივე სართული მხარის მმართველის ოჯახისთვის იყო განკუთვნილი, დღეს ის ივსიხი ნესტორის ძეს ეკავა.

მეორე სადარბაზოში სამ სართულზე ორი ოჯახი, – ივსიხი ნესტორის ძის მოადგილეები, და არავის მხარის გენერალური დამჭირველი გრიგოლო გრიგოლოვი სახლობდნენ.

გრიგოლოვის მისვლა აბია არავიძის ოჯახში, რა თქმა უნდა, სამეზობლოდ გადადგმული ნაბიჯი არ იყო. საგონებელში ჩავარდნილიყო გენერალური დამჭირველი. შემოვიდა კატასავით ფრთხილი, აქეთ-იქით გაფაციცებული, თითქოს ვიღაცის თუ რაღაცის ეშინოდა ამ სახლში. აბიას გვერდით სავარძელში ჩაჯდა მწუხარე სახით.

– რა ვქნათ, რა ვიღონოთ, აბელ ვარლამის ძევ, – ამოოხვრით ჰკითხა გრიგოლოვმა.

– მთავარმა დამჭირველმა, ალბათ, გადმოგცათ დამნაშავის გამოგზავნილი წერილი. – უთხრა ცივად აბიამ, ჩვეულებრივ, გრიგოლოვს ტიტულებით მიმართავდნენ: დამჭირველთა უპირველესო, გენერალურო დამჭირველო... – ყორნისხევში მოითხოვს გადაგდებას! – მწარედ ჩაიცინა აბიამ, – აფსუს, ვარლამ არავიძევ!.. ამოგმინვასავით აღმოხდა.

გვერდით ოთახში ვიღაც ახმაურდა. აბიას აზრით, იქ თანგულია უნდა ყოფილიყო. ხმას დაუწია, მაგრამ გვიან-ღა იყო. ყმაწვილმა საშინელი ამბავი გაიგო: ბაბუა ყორნისხევში გადააგდეთო. თურმე კარს მოფარებული უსმენდა საიდუმლო თათბირს.

თანგულიამ იცოდა, რომ შურისმაძიებელმა წერილი დატოვა, მაგრამ რა ეწერა იმ წერილში, არავინ უთხრა.

– დიახ, გადმომცეს, ჩატარებულია გამოკვლევაც, – უთხრა გრიგოლოვმა, – მაგრამ მე თქვენი იმედი უფრო მაქვს, ვიდრე ხელის ანაბეჭდების...

– ჩემი, – გაიოცა აბიამ.

– დიახ, თქვენი და თქვენი ოჯახის! არ შეიძლება ეჭვად მაინც არ იცოდეთ, ვინ გმტრობთ...

– არა, არ ვიცით, ნამდვილად, პატიოსნად გეუბნებით, არაფერი არ ვიცით. მამაჩემს ბევრი მტერი ჰყავდა, – მხოლოდ ამის თქმა შემიძლია.

გრიგოლოვი ჩაფიქრდა. აბიაც დამუნჯებული დასცქეროდა იატაკს, არ იცოდა, რა ეთქვა, რა ეთხოვა გენერალური დამჭირველისათვის.

– მირჩიეთ მაინც, რა გავაკეთო! – ერთხელაც შეეკედრა გრიგოლოვი.

აბიამ მოსაწევს მოუკიდა. არ უპასუხნია გრიგოლოვისთვის. თავჩაღუნული აბოლებდა და დუმდა. სიტყვა ახლა ზედმეტად ეჩვენებოდა. თვითონ გენერალური დამჭირველი გამოიყურებოდა უსასოოდ, შეშინებულად, წამხდარად. აბიას ის-ღა დარჩენოდა, იქით დაემშვიდებინა, ენუგეშებინა, იმედი მიეცა. ვიდრე სანუგეშო სიტყვებს ეტყოდა, უცებ თანგულიას ოთახიდან კვლავ მოისმა გაურკვეველი ხმაური, თითქოს თოფის საკეტმა გაიჩხაკუნა, შემდეგ ცისმარეს შეშფოთებულმა ხმამაც გამოაღწია იქიდან:

– ხელი გაუშვი, თორემ გავგიჟდები!.. მამაშენს დავუძახებ ახლავე!..

აბიას წამით ფითრისფერმა გადაუარა სახეზე, ცისმარეს ასეთი საქციელი არ შეეფერებოდა, ეს მოულოდნელი იყო, – ნეტა რა ხდება თანგულიას ოთახშიო – გაიფიქრა, მაგრამ არ შეიმჩნია, ვითომ არც გაუგონია, გრიგოლოვს მიაპყრო საქმიანი მზერა და თავშეკავებული სიმშვიდით უთხრა:

– უნდა გავაძლიეროთ დაცვა, სხვა რა დაგვრჩენია...

– რაღა თქმა უნდა, დაცვასაც გავაძლიერებთ და დაცვის მეთოდსაც შევცვლით, შენიღბულად დავიცავათ საფლავს, ვითომ იქ არა ვართ. მაგრამ ნუთუ თქვენ არ იცით, ვინ ჰყავდა მტერი მამათქვენს, რამდენიმე მაინც ჩამომითვალეთ...

– ვერ ჩამოგითვლით. – ნაღვლიანად უთხრა აბიამ, – ისინი ძალზე ბევრნი არიან...

თანგულიას ოთახიდან კვლავ მოისმა ხმაური. კვლავ გამოაღწია ცისმარეს ხმამ.

– აბია, მიშველე!.. თოფი მიაქვს!..

აბიას კვლავ გადაუარა სახეზე ფითრისფერმა. ცისმარეს სუფრა უნდა გაეშალა ზალაში და სტუმარი თავისი მომხიბლავი ღი-

მილით მიეწვია მაგიდასთან. რა თოფი, რის თოფი! ცისმარე აბიას ყოველ ღამე უჩიჩინებდა. გრიგოლოვთან მიდი, გზაზე ის დაგაყენებსო, ღვთის წყალობით, თვითონ, თავისი ფეხით ესტუმრათ შინ. სტუმარს საკადრისად უნდა დახვედროდნენ, რა დროს ბავშვთან დავა-კამათი იყო! ცისმარე არ იყო ასეთი უგუნური ქალი. პირიქით, თვალისდახამხამებაში მოსამსახურე ჯან-ღონით სავსე ქალი, ვარდიკო, გვერდში ამოიყენა და ხაჭაპურიც გამოაცხო, სხვა რამ საჭმელ-სასმელიც გააჩინა, გაავსო სუფრა. ის-ის იყო, გაემზადა სტუმართან შესახვედრად, ტანთ გამოიცვალა, კოხტად და მიმზიდველად ჩაიცვა და აბიას ოთახში გასასვლელად გადგა ბიჯი, რომ თანგულიას ოთახიდან ის საბედისწერო ჩხაკუნი და ბრაგუნი მოისმა. უცებ შეტრიალდა და შვილის ოთახისაკენ გაეშურა ქალი.

გრიგოლოვის მოსვლა თურმე თანგულიასთვისაც არ დარჩენილა შეუმჩნეველი, ბიჭი მშობლების გავლენით იმედის თვალით შესცქეროდა გენერალურ დამჭირველს. როცა გრიგოლო გრიგოლოვს აბიასთან უიმედო საუბარი გაუბამს, ბიჭს ეს საუბარი წვრილად მოუსმენია გამოღებული კარიდან, უცებ გადაუწყვეტია, ბაბუაჩემის საფლავს მე თვითონ ვუდარაჯებო, ვარლამის ნაჩუქარი თოფი კედლიდან ჩამოუხსნია, საკეტი გაუჩხაკუნებია, შეუმოწმებია, შიგ ტყვია ხომ არ დევსო. აი, ამ დროს, ხელიდან გავარდნია, პარკეტზე ბრაგვანი იმას მოუდენია.

ცისმარე თანგულიას ოთახში რომ შევარდა, თოფი უკვე ხელში ეკავა, თვალები ანთებოდა, უცნაურად უელავდა, მოეჩვენა, რომ მისი თანგულია იმ წუთებში სწორედ ბაბუამისს ვარლამ არავიძეს ჰგავდა.

– მე მოვკლავ მაგას! – უთხრა დედას ბიჭმა თვალების კვეთებით და კარისაკენ გასწია.

ცისმარე წინ გადაუდგა და შვილს ჩურჩულით ჰკითხა:

– ვის, შვილო, ვის კლავ!.. – თან იმ ოთახისაკენ იყურებოდა, საიდანაც აბიასა და გრიგოლოვის საუბარი მოისმოდა.– ვის და იმას, ვინც ბაბუას თხრის საფლავიდან!.. – მტკიცედ უთხრა დედას ვაჟმა.

– რას ამბობ, ბიჭო! – გაიცინა ცისმარემ და შვილს დაუყვავა, შენ კი არა, ხომ ხედავ, მთლად გრიგოლოვია ჩარეული ამ საქმეში, – მომეცი ეს თოფი აქ, თოფი არ არის შენი საქმე.

– თოფია სწორედ ჩემი საქმე!.. – დაბეჯითებით უთხრა ბიჭმა, თოფი დედას არ დაანება და ხელიდანაც გაუსხლტა.

ცისმარე თოფის კონდახს მიწვდა, თავი ვერ შეიკავა და ხმამაღლა მიაძახა:

– ხელი გაუშვი, თორემ გავგიჟდები!.. მამაშენს დავუძახებ ახლავე!.. – ეს სიტყვები აბიამაც გაიგონა და სტუმარმაც, მაგრამ მათ საუბარი განაგრძეს, ვითომ იქ, ოთახში, არაფერი ხდებოდა.

„აბია, მიშველე, თოფი მიაქვსო“... – უფრო ხმამაღლა წამოცდა ცისმარეს. ამის მოყურისებაც აღარ შეიძლებოდა, აბიამ თვალი და ყური შვილის ოთახს მიაპყრო და ის იყო, უნდა წამომდგარიყო, სტუმრისთვის ბოდიში მოეხადა, შესულიყო თანგულიას დასაშოშმინებლად, რომ უცებ კარი ხეთქებით გაიღო და ცისმარე და თანგულია თოფით ხელში სასტუმრო ოთახში ყაჩაღებივით შემოვარდნენ. უფრო საზარელ სურათს აბია ალბათ ვერც წარმოიდგენდა. საქციელწამხდარი, გაფითრებული იდგა იმ სავარძელთან, საიდანაც წელან წამოდგა, მოულოდნელ ელდას ხელ-ფეხი დაებორკა, ვერ გადაედგა ნაბიჯი ცისმარეს დასახმარებლად, აჯანყებული ბიჭის დასაშოშმინებლად. გრიგოლო გრიგოლოვის გაოცებულ მზერას გრძნობდა მხოლოდ და ცოლის ჭაჭყანა ხმა ჩაესმოდა:

– დიდი ბოდიში, ბატონო, ეს რა მოგვივიდა... გვაპატიეთ... – ცისმარე რომ შვილს ეჭიდავებოდა, თოფს არ ანებებდა, ბიჭი ხომ დედას თოფიანად მიათრევდა კარისაკენ, ცისმარეს, უკან, სტუმრისკენ მიეღრიჯა თავი და პატიებას სთხოვდა შეუფერებელი საქციელისათვის.

მსგავსი რამ აბიას არასდროს შემთხვევია, არც არავინ უნახავს მის ყოფაში. ისეთ საპატივცემულო სტუმარს, როგორიც გრიგოლო გრიგოლოვი იყო, ასეთი შეხვედრა ეკადრებოდა? სჯობდა მიწას პირი ეყო და მისი ოჯახი შიგ ჩაეტანა.

– წავიდეს, ცისმარე, არა გრცხვენია? წავიდეს, სადაც უნდა! – ხმას აუწია აბიამაც – სტუმარს მოერიდეთ!..

– ბოდიში, ბატონო, გვაპატიეთ, ბატონო!.. – აცრემლებული ცისმარე სწრაფად გაეცალა მამაკაცებს და ზალაში შეიმალა.

აბია და გრიგოლო კვლავ დაუბრუნდნენ თავიანთ სავარძლებს, მაგრამ საუბრის გაგრძელება გაუჭირდათ. ენით გამოუთქმელი იყო არავიძეთა ყოფა, გრიგოლოვი წამოდგა და აბიას დამშვიდება დაუწყო:

– ყმანვილის დარდი თქვენ ნუ გექნებათ, მას გაჰყვებიან, გნებავთ, უკან დააბრუნებენ, გნებავთ, შორიდან უდარაჯებენ...

აბია ისე იყო შეძრული ცოლისა და შვილის საქციელით, სტუმრისთვის გულისგარეთაც არ უთქვამს: სუფრა თქვენთვის გაშლილია, თითო ჭიქა ავიღოთო. ჩქარი ნაბიჯებით მიმავალ გრიგოლოვს უკან დაბნეული მისდევდა და არ იცოდა, რა ეთქვა. მადლობაც კი არ გადაუხდია თანაგრძნობისათვის, სტუმრობისათვის.

წყეული ღამე სოფლის სასაფლაოზე

აბია გააფთრებული იყო ცისმარეზე, წასულიყო თანგულია ჯანდაბას იქით, ოღონდ სტუმრისთვის არ ეჩვენებინათ ვარლამ არავიძის მოდგმის დაუძლურება. ადვილი სათქმელია, წასულიყო, სად უნდა წასულიყო ბიჭი ღამით, თოფით ხელში, შორტებით და მოკლე მკლავიანი თეთრი მაისურით? მართალია, ზაფხული იყო, თუ მართლა სოფელში აპირებდა წასვლას და სოფლის სასაფლაოზე ღამით თევას, განა ეს თანგულიას შეეძლო?.. სკოლაშიც კი დუროს დაჰყავდა მანქანით.

საკუთარი სახლის გარდა, ბიჭს ჯერ ღამე არსად გაეთია. სოფლის სასაფლაოზე ღამეს როგორ გაათევდა მარტოკა. ცისმარეს აზრით, ბავშვს შიშით გული გაუსკდებოდა. სტუმრის მოერიდა, თორემ თანგულიას ის არ მოშორდებოდა, ბოლოს და ბოლოს, მალულად გაჰყვებოდა უკან. ახლა, რაკი სტუმარი უცებ წავიდა, ცისმარეც გაემზადა წასასვლელად. ვინ დააკავებდა, აბია?..

– არსად არ არის წასვლა საჭირო, მოვა თავის ფეხით უკან, თუ არა და ძალით მოიყვანენ, – გააფრთხილა აბიამ ცოლი.

– თუ გინდა დაურეკე დუროს, თუ არა და მივდივარ! – მიუგო პასუხად ცისმარემ ქმარს და აივანზე გავიდა, გზას გასცქეროდა, გზა ღამის შუქით იყო განათებული, მაგრამ იქ არავინ ჩანდა, მხოლოდღა მანქანა მოდიოდა თვალების პაჭუნ-პაჭუნით. ნეტავ დურო იქნებოდესო – გულში ინატრა ცისმარემ. მანქანამ თვალების პაჭუნ-პაჭუნით ჩაუარა მათ სახლს და მოსახვევში მიიმალა.

ვარდიკოსაც ჩაეცვა, აბიას დაენახვა და ისიც გავიდა აივანზე, თავის ქალბატონთან ერთად აპირებდა არავიძეთში წასვლას. აბიას

ჩაეცინა, სსვა გზა არ იყო და ყურმილს მიწვდა. მძღოლს დაურეკა. დურო ძალზე სწრაფად მოვიდა. მოაგრიალა თავისი ემოცდაცხრა და ამბავიც მოიტანა: სასაფლაოზეც გამოვიარე, გზაზეც ხან აქეთ მივაშუქე ფარები, ხან იქით, მაგრამ ვერავინ ვიპოვეო. სამაგიეროდ, გრიგოლოვის გამოგზავნილი კაცები შეხვედრია გზაზე. იმათაც ვერ უნახავთ ყმაწვილი გზად მიმავალი. ასე სწრაფად თანგულია გზას არავიდან არავიძეთამდე ფეხით ვერ გაივლიდა, ალბათ გამვლელი მანქანა შეხვდა და იმას გაყვაო – უმტკიცებიათ გრიგოლოვის კაცებს დუროსათვის.

რახან მანქანა მოვიდა, ვარდიკო უკვე აღარ იყო საჭირო, შინ დატოვეს, ცისმარე და აბია ჩასხდნენ მანქანაში და არავიძეთის გზას დაადგნენ. ბნელი ღამე იყო. მთვარიანი ღამეების რიგი დამთავრებულიყო და ბნელს ჩაენთქა ცა და მიწა. მანქანის ფარების შუქი მიანათებდა გზას და იმ შუქზე თუ გაიელვებდა შემხვედრი მანქანის დაელმებული თვალები.

ცისმარე წინ, დუროს გვერდით, იჯდა. აბია უკან. საჯდომის საზურგეს იყო მისვენებული: სად უნდა წასულიყო თანგულია?.. – ფიქრი ჭამდა აბიასაც და ცისმარესაც.

– სად მივდივარო, სად! – დალაგებით მიამბე ახლა მაინც, – ჰკითხა აბიამ ცოლს.

– დალაგებით! – ტუჩები აიბზუა ციმარემ, – ვინ გეტყვის რამეს დალაგებულად... მე მოვკლავ მაგასო, – დასტაცა თოფს ხელი და წავიდა.

– ვისო! – შესძახა დურომ.

– აი, იმას, ბაბუაჩემის ამომთხრელსო.

– შენ გენაცვალე, ბიჭო! – გაუხარდა დუროს, – რა ვაუკაცი გაგვიზრდია და არ ვიცოდით?!.

– კი, კი, ვაუკაცი! – ჩაიცინა აბიამ, – ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი სამივეა ერთად!

– მაგი არ თქვა, აბიავ, თუ ჩემი ხათრი გაქვს, არ ვიცით ჩვენ, თოფიანი ბავშვი რას იზამს! – უთხრა ცისმარემ.

– ტყვია იმ თოფში არ იდო, და რას იზამს?.. უტყვიოდ თოფი არავის კლავს...

– თოფში არ იდო, მაგრამ უჯრაში ხომ ჰქონდა ჩაკეტილი მამაშენს.

– მერე? ამოიღო?

– რა ვიცი, ეგებ ამოიღო...

დადუმდნენ. მანქანაში სულისშემხუთველი სიჩუმე ჩამოწვა. სოფელში ჩასვლამდე ხმა არ ამოუღიათ.

– გასაღები წამოიღე? – იკითხა ცისმარემ, როგორც კი სოფელში შევიდნენ. ვარლამის სასახლის გასაღებს კითხულობდა. მართლა სასაფლაოზე ხომ არ გაათენებდა? მოძებნიდა თანგულიას, დააწყნარებდა, დააშოშმინებდა და ნაიყვანდა შინ...

ცისმარეს ეგონა, შვილი ერთ წამს გაუსხლტა ხელიდან, სტუმრის ყოფნით ისარგებლა და მოერია, თორემ ახლა რომ ენახა?.. დასტაცებდა ხელს, არც ჰკითხავდა ბიჭს, რა უნდოდა, რა გულით იყო წამოსული არავიდან, შინ წაათრევდა ძალით და ჩაკეტავდა. მორჩა და გათავდა!

– მე მაქვს გასაღები, – უთხრა დურომ.

– გასაღები კი არა, თავი არ მახსოვდა, აქეთ რომ მოვდიოდით. – ჩაიდუდუნა აბიამ, – რად გინდა გასაღები, აქ აპირებ დარჩენას? – ჰკითხა ცოლს.

– აბა? – გაიკვირვა ცისმარემ, – შვილი სადაცაა, მეც იქ არ უნდა ვიყო?..

– ეგებ სულ არ წამოსულა აქეთ, შეგაშინა და კინოში წავიდა...

– თოფიანად?..

– თოფი ამხანაგთან დატოვა და შევიდნენ ბოლო სეანსზე... არ შეიძლება?

– ვერ გრძნობ, რა გჭირს, აბიავ, მამას საფლავიდან გითხრიან, შვილი დაგეკარგა, შენ კიდევ ხუმრობის გუნებაზე ხარ!.. მე მეტი არ შემიძლია, არა! – ტირილი წასკდა ქალს, მოურიდებლად ტიროდა...

ამასობაში მანქანა სოფლის შუკაში შევარდა, მიუხვია, მოუხვია, ხან ერთ ჭიშკარს მიანათა, ხან მეორეს და სწორ გზაზე გავიდა. გავიდა და მანქანის ფარების შუქზე ბიჭი არ გაილანდა? თანგულია იყო. ცისმარეს თვალებზე ცხვირსახოცი აეფარებინა და სლუკუნებდა. გზად მიმავალი ბიჭი არ დაულანდავს. დურომ რომ დაამუხრუჭა, მაშინლა მიაპყრო ფანჯრებს თვალი.

– უიმე, ჩემი თანგულია! – შესძახა გახარებულმა ქალმა, – შენ შემოგევლოს დედაშენი!..

მანქანიდან პირველი დურო გამოხტა, დუროს აბია მიჰყვა, ცისმარე სულ ბოლოს გადმობობღდა მანქანიდან, სიბნელე იყო და გაუჭირდა გადმოსვლა.

თანგულიამ როგორც კი იცნო მამის მანქანა, იმ წამს გადავიდა გზიდან და სიბნელეს მისცა თავი. ფერდობზე არბოდა. ნამით შედგა და უკან მიიხედა, დარწმუნდა, მართლა მშობლები გადმოვიდნენ მანქანიდან თუ არაო. დურომ იფიქრა, გამოვუდგები, თანგულიას როგორ ვერ დავიჭერო. და ისიც გადაეშვა სიბნელეში, პირველივე ნაბიჯზე გზისპირა ორმოში ჩავარდა, არ მოელოდა იქ ორმოს, არც ისე ღრმა ორმო იყო, მაგრამ სიბნელეში ბრმად გადადგმული ნაბიჯი, როცა ორმოში ჩაეშვა, ეგონა, უფსკრულში ჩავარდა: შეეშინდა, რატომღაც, შეჰყვირა: უჰ, შენიო! ამობობღდა ბებერივით, მუხლს იზელდა და მანქანის ფარისკენ, სინათლისკენ მიდიოდა. აბია იმ ორმოს მარჯვედ გადაახტა, მაგრამ ეკლის ბუჩქებში გაეხირა და გზა მაინც ვეღარ განაგრძო, შეჩერდა, თავი აიღო და ღამეს მიაყურა, ბიჭი საით გაიქცაო.

ყველაზე წინდახედულად ისევ ცისმარე ირჯებოდა, მანქანის ფარების შუქს იქით ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს, იქიდან ეძახდა შვილს:

– თანგული, დედა, რაც გინდა, ის გააკეთე, ოღონდ ნუ გარბიხარ ყაჩაღივით, ერთ წამს მოდი ჩემთან, ორი სიტყვა გითხრა დალაგებულად, რა მოგივიდა, ბიჭო, არ გრცხვენია?..

– კარგი, გაჩუმდი, – უთხრა აბიამ ცოლს, – მომასმენინე ნაბიჯების ხმა, გავიგო საით გარბის...

– გამოდი აქეთ, კაცო, დაეწევი თუ რა, რად გინდა გაიგო, საით გარბის, რაიმე შენც არ აიტეხო, ა, შეხედე ამას, რა მოსვლია! – ცისმარე დუროს მიადგა. დუროს შარვალი აეკარწახებინა, მუხლი ზედ მიანქანის ფარზე მიედო, გაგლეჯილი მუხლიდან სისხლი ბანჯგვლიან წვივზე წვრილ ხაზებად ჩამოწურწურებდა.

– თანგულია, ბიჭო! შეხედე, რა მოუვიდა შენს დუროს, შენი გულისთვის.

აბიაც მოვარდა დუროსთან.

დურომ არაფერია, არაფერიაო, არც აჩვენა აბიას ხეირიანად, რაც დაემართა, მანქანაში შეჰყო თავი, მოძებნა ჩანთა-აფთიაქი,

ხელათ მოიწმინდა, შეიხვია და ცისმარესა და და აბიას კვლავ ამოუდგა მხარში, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთო.

– წავიდეთ სასაფლაოზე, იქ მოვა. თქვა აბიამ დაჯერებულად და მანქანაში ჩაჯდომა დააპირა.

– ერთხელაც დავუძახებ, გევედრები... – სთხოვა ცისმარემ ქმარს.

– ის უკვე სასაფლაოზე იქნება, აქედან სასაფლაო ორ ნაბიჯზეა, – თქვა დურომ.

– აქ არის, – გული მეუბნება, – აიჩემა ცისმარემ, – თანგული, შვილო, თორნიკე! – გასძახა ღამეს, – გესმის ჩემი? ხომ იცი როგორ გვიყვარხარ ყველას! ჩვენ ყოველთვის იმას ვაკეთებდით, რაც შენ გინდოდა, გამოდი მაგ სიბნელიდან და ერთ წამს დამენახვე, გაცვია?.. გახურავს?.. ღამე მტერთან შესახვედრად რაც საჭიროა, ყველაფერი გაქვს?.. ბიჭო, ახლა ჩვენ ყველა ერთად უნდა ვიყოთ, ერთმანეთს ჭკუას უნდა ვეკითხებოდეთ, რა დროს განდგომა და გაქცევაა!..

მცირე ხნის დუმილის შემდეგ, თითქოს ცამ დაიქუხაო, ხმა მაღლიდან მოისმა, ბექის თხემზე გადმომდგარიყო, მაგრამ სიბნელეში აღარ ჩანდა, მშობლებს სიბნელიდან ელაპარაკებოდა:

– რა ვქნა აბა, თქვენ უძლურნი ხართ მშობლის საფლავი დაიცვათ, სოფელი უძლურია მისი მკვდრის საფლავი მტერს არ შეაბილწინოს, ხელისუფლება უძლურია რამე იღონოს... მე, შვილიშვილი, ერთადერთი მემკვიდრე ნამდვილ არავიძეთა, შინ გულხელდაკრეფილი ვიჯდე?! ვცდი ბედს, დაე, მოვკვდე ბრძოლაში!

თავზარდამცემი იყო ამ სიტყვების გაგონება! მოულოდნელიც იყო მშობლებისათვის ყმანვილის ასეთი უეცარი დავაჟკაცება. ერთმანეთს შესცქეროდნენ სიბნელეში და რა ეთქვათ, რა მოემოქმედათ, უკვე აღარ იცოდნენ.

– სადა ხარ, დაგვენახე მაინც, შვილო!.. – ამოიკვნესა ცისმარემ.

– ვიდრე ბაბუაჩემის ამომთხრელს არ გავაგორებ, არავის დავენახვები!.. არ წახვიდეთ სასაფლაოზე. იქ ვერ მიპოვით... მორჩა, მეტს ჩემს ხმას ვერ გაიგონებთ, წადით არავში!..

მძიმე დუმილი ჩამონვა ღამეში, სოფლის შარაზე სულიერი არ ჭაჭანებდა, გვიანი ღამე იყო, სოფელს ეძინა.

– ქემაინც ეცვა რამე? თუ მომეჩვენა?.. – ჰკითხა ცისმარემ კაცებს.

– კი ეცვა, ბაბუამისის სამონადირო სამოსი ეცვა... – უთხრა აბიამ, – ეტყობა გასაღები წამოიღო – მომზადებული წამოვიდა...

– თანგული! – გასძახა ცისმარემ ღამეს.

აბია მანქანაში ჩაჯდა, დურომაც გამოაღო მძღოლის კარი, მაგრამ არ ჩამჯდარა, ცისმარეს დაელოდა.

– თანგული! – ერთხელაც ამოიკვნესა ქალმა და როცა არავინ უპასუხა, მანაც შეჰყო მანქანაში თავი და აბიას ჰკითხა:

– რა ვქნათ, კაცო, მართლა მინდორში დავტოვოთ ბავშვი?..

– კარგი, კარგი, ჩაჯექი... – უთხრა ცივად აბიამ.

დურომ გასაღები გადაატრიალა და ძრავა ჩართო, ჩართო თუ არა, იმ წამს მანძილმზომის გვერდით შორმხედის პატარა ეკრანი აინთო და... ჯერ გენერალური დამჭირველის ხმა გაისმა, შემდეგ თვითონაც გამოჩნდა ეკრანზე.

– ნუ წუხართ, ქალბატონო ცისმარე, თქვენს ვაჟს უპატრონოდ მინდორში არავინ დატოვებს... მიიხედეთ უკან!..

სამივემ უკან მიიხედა... აინთო ფარები და ჩაქრა. თურმე მათ უკან, სიბნელეში, დამჭირველთა მანქანა მდგარა, ფარების ანთებით ცისმარეს და აბიას ანიშნეს: ჩვენ აქ ვართ და ვმუშაობთო.

დურო უმალვე გადავიდა მანქანიდან და ჩამქრალ მანქანას მიადგა.

– ჩვენი მუშაკები გაჰყვნენ, – უთხრეს ჩურჩულით დუროს, – ნუ გეშინიათ!..

– „ნუ გეშინიაო“, – დამცინავად ჩაიქირქილა დურომ, – ბავშვი არ მოგვიკლან, თორემ ცოცხლად ტყავს გაგაძრობთ... – კბილების ღრჭიალით შესძახა მანქანაში. დამჭირველებმა ითაკილეს დუროს დამუქრებული კილო, უკმაყოფილების ნიშნად მანქანა ადგილს მოსწყვიტეს თვლების ხრჭიალით, შურდულივით ჩაუქროლეს დურო' მანქანას და სიბნელეში გაუჩინარდნენ.

აბიას არ მოეწონა დუროს საქციელი და მანქანაში რომ დაბრუნდა, დატუქსა:

– ამდენის უფლებას თავს რატომ აძლევ, დურო!.. არ შეიძლება ეს!

„გაუგონიათ“ – გაუხარდა დუროს. ცისმარესა და აბიას გასაგონად გამოიდო თავი და დამჭირველებს გაუბედა, ტყავს გაგაძრობთო, თორემ ძალიან კარგად იცოდა, რომ ამის ნება არ ჰქონდა.

– ბატონო აბიავ, ეგენი თუ არ შეახურე, თვით გენერალურ დამჭირველს გააცურებენ.

დურომ მანქანა დაძრა. აბიას მეტი არაფერი უთქვამს, დუროსთან საუბრის გაგრძელება საჭიროდ არ მიიჩნია. გაჩუმებული მიჰქროდნენ სოფლის შარაზე.

– სად მივდივართ. რას ვაპირებთ? – იკითხა ცისმარემ.

არავინ უპასუხა.

– კარგი, ღამე უდარაჯა საფლავს, დღისით?.. – განაგრძო ცისმარემ თავისთავთან დავა-კამათი. – დღისითაც ხომ ვერ დარჩება სასაფლაოზე? – ვიღაცა დაინახავს. უსათუოდ უნდა მოვიდეს სახლში... ყველაფერს თავი დავანებოთ, ჭამა ხომ უნდა?..

– ხვალ დილით უნდა წამომიყვანო, – უთხრა ცისმარემ დუროს, – საჭმელს წამოვუღებ და იმ დაწყევლილ სახლში დაველოდები... აბა, რა ვქნა, ეგებ მოვიდეს...

მანქანა სოფლის შუკაში რახან მიდიოდა, დუროს ნელა მიჰყავდა, სასაფლაოს გადასახვევიდან დურომ კიდევ უფრო შეანელა სვლა და უკან, პატრონს მიხედა.

– რა ვქნათ?.. – ჰკითხა.

– ბარემ მივიდეთ... – თქვა აბიამ ნაღვლიანი კილოთი. სევდა მოსწოლოდა, სინამდვილეში არ იცოდა, მისულიყო თუ არა.

სასაფლაოს შესასვლელთან გააჩერეს მანქანა. მანქანიდან არ გადმოსულან. დურომ მანქანის ფარები ანთებული დატოვა და დაელოდა, მისი ვარაუდით, მორიგე დამჭირველი უნდა მოსულიყო მანქანასთან.

სამარისებურ მდუმარებას ბუკიოტის კივილი არღვევდა, სასაფლაოს გადაღმა, ტყიდან, მოისმოდა ფრინველის ხმიანობა. სასაფლაოზე სწორედ მკვდრული სიჩუმე ჩამოწოლილიყო. შუაღამე გადასულიყო, ეგებ მორიგესაც ეძინა?.. ღამის სტუმრებს თავები გადაეყოთ მანქანის ფანჯრებიდან და ჩაყურუმებულ სასაფლაოს გასცქეროდნენ, სიღრმეში ერთი ნათურა ენთო და სასაფლოს ის ერთი ბეწო კუთხე იყო განათებული, სწორედ იქ გაილანდა ლაბადაშემოხ-

ვეული კაცი, დამჭირველს ჰგავდა. ის არისო – ჩაიდუდუნა დურომ. გაილანდა და სიბნელეში გაუჩინარდა. შემდეგ კარგა ხანს ისმოდა ნაბიჯების ხმა, როგორც იქნა, მოადგა ჭიშკარს. დურო გადავიდა მანქანიდან და სიბნელეში შეთქმულივით ჩურჩულით იკითხა:

– მოვიდა?..

– კი, მოვარდა. საფლავთან იჯდა კარგა ხანს, გამოველაპარაკე, ერთად ვიდარაჯოთ-მეთქი. არაო, წამოხტა და გაიქცა, მე მარტო უნდა ვუდარაჯოო, სასაფლოს გადაღმა გადავიდა, იქ ღობესთან ჩასაფრდა.

– წამოდი, მაჩვენე! – დურომ ჭიშკარში შესვლა დააპირა.

– ნუ შემოხვალ, უარესია, გაიქცევა, – უჩურჩულა მორიგემ, – იყოს იქ, მე თვალს არ მოვაცილებ. ბოლოს მობეზრდება და შემოგვიერთდება, აბა რას იზამს...

დურო მანქანაში შებრუნდა. ცისმარეს და აბიას მშვიდი კილოთი უთხრა: მოსულაო. ძრავა ჩართო და გაზს ნელა დააჭირა ფეხი. კისერი უკან მიღრიჯა და აბიას გადაულაპარაკა: ბიჭებმა შემოგითვალეს, თანგულიას ნიავს არ მივაკარებთო.

მანქანა არავის გზას დაადგა.

ყორნისხევი

ცისმარეს ვარაუდი გამართლდა. თანგულია სახლში დღით მივიდა. თუმცა ჭიშკარი ბოქლომდაუდებელი რომ დაუხვდა, უმალ უკან გაბრუნდა, ეზოშიც კი არ შესულა. ბიჭი მართლაც აპირებდა დღით შინ ყოფნას, საწოლში ადამიანურ ძილს, ღამით ფხიზლობას და საფლავის დარაჯობას, მაგრამ მშობლებთან შეხვედრა არ უნდოდა, სასახლეში თუ ისინი დახვდებოდნენ, რაღა თქმა უნდა, იქაურობას არ მიეკარებოდა, განაზრახს შემაცვლევინებენო, ფიქრობდა და ამიტომ გაურბოდა მათ. წავიდა, სოფლის მაღაზიაში პური იყიდა და ნაკრძალის ზონისკენ გზას დაადგა.

როგორც კი სოფელს გაეცალა, ტყის პირას, ბებერი წიფლის ფესვებზე გადაჯდა, ხმელა პურს გემრიელად შეექცა და კვლავ განაგრძო გზა. ყორნისხევისაკენ მიდიოდა, თავისი თვალით უნდა

ენახა ყორნისხევი. რა იყო ყორნისხევი, რატომ მოითხოვდა შურისმგებელი ცხედრის ყორნისხევში გადაგდებას, რატომ მაინც და მაინც ყორნისხევში? ხევები ხომ უფრო ახლოსაც იყო? განა ყორნები იმ ხევებსაც არ დაჰყრანტალებდნენ თავზე?

ნაკრძალის ზონა ერქვა, თორემ უდაბური ტყე იყო, წიფლნარს ფიჭვნარი სცვლიდა, ფიჭვნარს ბუჩქნარი და ბოლოს დიდ საძოვრებზე გავდიოდით. ასე შორს წასვლა საჭირო არ იყო, ყორნისხევი იქვე, სოფლის ბოლოს, სასაფლაოს გადაღმა, გორაკებს შორის იყო მოქცეული, გორაკები წიფლის ტყეებს გადაებურა, ამიტომ არ ჩანდა სოფლიდან, მონდომებული კაციც კი ძნელად თუ მიუდგებოდა ყორნისხევს. უნდა გცოდნოდა სად, რა ადგილას იყო ყორნისხევი. თანგულია ტყის ბილიკს მიჰყვებოდა. არ იცოდა, სად მიდიოდა, სად მიიყვანდა ეს ბილიკი. გაეგონა, რომ ყორნისხევი სადღაც აქეთ იყო, ნაკრძალის ზონაში, ამიტომაც აქეთ, ტყე-ტყე დაეძებდა, ეგებ ვინმე აქაური შემხვდეს, ვკითხავ, მიმასწავლისო – ფიქრობდა.

ტყის ბილიკით მწყემსები მიდიოდნენ საძოვრებისაკენ და ჩამოდიოდნენ კიდეც, როცა შაბათ-კვირას აუცილებელ საქმეზე ბარს ეწვეოდნენ. გრძელ გზას მოკლეზე ჭრიდნენ. ნახირს სხვა გზით მიერეკებოდნენ, მოვლითი გზით, იმ გზით მანქანებიც კი ადიოდნენ იოსიმეს ფუნდუკამდე.

იოსიმეს ფუნდუკი! ეს არ იყო უბრალო დუქანი ტყის გზაზე. მწყემსთათვის, ტყის მჭრელთათვის, ეგერთათვის, მონადირეთათვის, მგზავრთათვის ბარიდან ალპური საძოვრებისაკენ მიმავალ-მომავალთათვის სასტუმროც იყო, სასადილოც, შესასვენებელი, სულის მოსაბრუნებელი, კეთილ და ბნელ საქმეთა გასარიგებელი ადგილიც. მუშა კაციც აქ შემოდიოდა სასაუზმოდ, ტყის ყაჩაღიც.

ტყის ბილიკიც ამ ფუნდუკისკენ მიდიოდა, ტყე-ტყე, წიფლნარის საამო ჩეროში უნდა გევლოთ, მაგრამ გზა მაინც დამღლელი იყო, სულ აღმართ-აღმართ, ფერდობ-ფერდობ ადიოდით, ჩამოჯდომაც კი ჭირდა ციცაბოებზე, მუხლის გასაშლელი ადგილი აღარსად იყო, გადაქანებულად უნდა დამჯდარიყავით.

თანგულიას ჩანთა მხარიღლივ ეკიდა, კაცი არ იფიქრებდა, თუ შიგ თოფი ედო, ბაბუამისის, ვარლამის ნაჩუქარი თოფი შეგეძლოთ ისე დაგეშალათ, კოლოფშიც კი ჩაგედოთ. საგანგებოდ ვარლამი-

სათვის დამზადებული თოფი იყო, პრიალა ლულაზე ეწერა ინიციალები ლათინურად. თანგულია თვალისდახამხამებაში ანყობდა და შლიდა. უცხო ხელი საერთოდ ვერ გაუგებდა თავსა და ბოლოს, ხერხი უნდა გცოდნოდა, ბიჭი ამ ხერხს ფლობდა. ახლა სჭირდებოდა თოფი, სწორედ რომ უღრან ტყეში მიდიოდა, განა არ სჯობდა აეწყო, მხარზე გადაეკიდა და ნამდვილი მონადირესავით ევლო, ასეთ უღრან ტყეში ვინ იცის, წინ რა შეეფეთებოდა.

ბაბუასთან ერთად, ტყისპირებზე ბევრჯერ უვლია, მწყერზე სანადიროდ ბევრჯერ ნაჰყოლია ვარლამს. ასე შორს, ასე ღრმად ტყეში არასოდეს შესულან.

შუაგულ ტყეში შედგა თანგულია, ჩანთა გახსნა, თოფი ააწყო, მხარიღლივ ახლა თოფი გადაიკიდა და გზა განაგრძო. კიდევ დიდხანს იარა, ალბათ ტყეში გზა დაებნა, უკან უნდა გაბრუნებულიყო, – გაივლო გუნებაში და იოსიმეს ფუნდუკიც გამოჩნდა. გაუკვირდა და გაუხარდა შუა ტყეში ადამიანის ნაკვალევის დანახვა. ჯერ შორიდან უყურა, კარგად მიათვალ-მოათვალიერა, შემდეგ წინ კარს მიეყუდა და თავი ფუნდუკში შეჰყო. ფუნდუკის გარშემო ხეები გაეკაფათ და ველობი შეექმნათ ნახირისათვის. შემოექართათ კიდეც ეს ველობი, ფუნდუკში ღამის გამთევნი ნახირს ამ ქართაში შემორეკავდნენ და ასვენებდნენ.

თანგულია ფუნდუკს რომ მიადგა, შიგ ოთხი კაცი იჯდა, ერთი გაუპარსავი კაცი განმარტოებულიყო ცალკე მაგიდასთან. ორნიც ერთად ისხდნენ, ერთს პერანგიც კი გაეძრო და ტანშიშველი ელაზღანდარებოდა მეფუნდუკეს.

– იო, იოსიმე, ხომ ვიცი, რომ გაქვს! მოიტა!

– პური არა მაქვს, ბიჭო, პური, არ მოუტანიათ...

– იყოს მარტო არაყი.

– უპუროდ?

– რა იყო, რა გაიკვირვე?

· გაგაცოფებთ მშივრებს და მერე მე რა გიყოთ!

იო ანუ იოსიმე სულაც არ ჰგავდა მეფუნდუკეს, ცარიელი ღვინის კასრზე იჯდა და გაუპარსავ ჭაღარა წვერს იქექავდა, ჩია ტანის ძვალტყავა ბერიკაცი იყო.

თანგულია ფუნდუკში შევიდა და ცარიელ მაგიდას მიუჯდა. ცალკე მჯდარმა კაცმა უმალ თანგულიას მაგიდისკენ გადმოი-

ნაცვლა, თითქოს უცნობი ჭაბუკის დანახვა გაუხარდაო, სკამი მოაჩოჩა და საიდუმლოდ უთხრა:

– მე კონდრატე ვარ, თქვენ იცით, რომ მაფურთხებენ, მშრომელ ადამიანს ხელებზე მაფურთხებენ, ეს შეიძლება? ზოგჯერ ღამითაც, როცა მძინავს, მოვლენ და ხელებზე მაფურთხებენ. აბა!..

თანგულია შეცბა. ნეტა არ შემოვსულიყავიო, ერთი ეს გაივლო გუნებაში, რა ეპასუხა? განითლდა ბიჭი.

– მე, იცით?... – დაიბნა ბიჭი – ყორნისხევი გაგიგონიათ? ყორნისხევს დავეძებ!.. ვერ მივაგენი და ა... აქ აღმოვჩნდი...

– ყორნისხევი?... ყორნისხევი როგორ არ გამიგონია? იქ ძველ დროში მოღალატეებს სიკვდილით სჯიდნენ და გვამს ხევში ჰყრიდნენ ყორნების საჯიჯგნად. ამიტომ ჰქვია ყორნისხევი. ძველისძველი ამბავია. ეჰ, ნეტა დღესაც გვქონდეს ეს წესი, ვინც მე ხელებზე მაფურთხებს, ის ადამიანი სწორედ ყორნისხევის ღირსია. რას მერჩის, რა დავუშავე? მუშა კაცი ვარ, სადგურში მატარებელს ვხვდები, ვეხმარები ხალხს, ზოგს ბარგი აქვს წასაღები, ზოგს ავადმყოფი მოჰყავს საკაცით, ზოგს რა უნდა და ზოგს რა!.. ჩემი შრომით ვცხოვრობ, ის მოდის და ხელზე მაფურთხებს... შეიძლება ეს?.. აი, ამ კაცმა სადგურიდან წამომიყვანა, კონდრატემ თანგულია გვერდით მაგიდაზე მსხდომებისაკენ გაახედა, – აი, იმ შიშველმა, ჯვებე ჰქვია იმას, წამომიყვანა, მუშა მჭირდებაო, ხეების გადმოტვირთვაში მივეხმარე, ახლა უკან აღარ მივყავარ, ერთი კვირაა აქა ვარ და ხელებზე მაფურთხებენ. რა მინდა მე აქ, ამ ტყეში, ჩემი სამუშაო იქ არის, რკინიგზის სადგურზე, სამუშაო ერთგან არ იქნება, სხვაგან ვიპოვნი, მატარებელი სხვაგანაც წამიყვანს, ვზივარ იოსიმესთან და რამდენი კაციც შემოვა ამ დუქანში, ყველა მაფურთხებს.

– თქვენ ამბობთ, რომ ყორნისხევში მოღალატეების გვამებს ჰყრიდნენო?..

ბიჭი სულ მთლად გათეთრებულიყო, ტუჩებსაც კი დაჰკარგოდათ ფერი, თეთრად უთრთოდა... საზარელი ამბავი აუწყეს! – ყორნისხევში მოღალატეთა გვამებს ჰყრიდნენო, აი, თურმე რას მოითხოვდა შურისმაძიებელი! ბიჭი კონდრატეს წირპლიან თვალებში შესცქეროდა, მაგრამ არაფერი, არც ერთი სიტყვა არ ესმოდა... – კი, მოღალატეების... – ჩაესმა როდის როდის თანგულიას.

– საით მხარეს არის ყორნისხევი, საით უნდა წავიდე? – აფორიაქდა ბიჭი.

– წამოდი, გაჩვენებ! – უთხრა კონდრატემ და გაბურდულ თმანვერის ქექვით წამოდგა.

– ეს რა არის, ეს! – გაისმა უცებ ფუნდუკში ზარივით მჭექარე ხმა და ფუნდუკის მეორე თვალიდან ნახევრადშიშველმა კაცმა, კონდრატემ რომ ჯვებედ შერაცხა, ტომარა შემოათრია.

– ფქვილია, რა იქნება, – მშვიდად მიუგო მეფუნდუკემ.

– მერე?... – დაეკითხა ჯვებე, – მოგვიხარშე ღომი შენებურად, ყველიც გექნება და ცხელი ღომი და არაყი! მეტი ჩვენ არაფერი გვინდა!.. კაცი არა ხარ, დავიხოცეთ შიმშილით!..

– სხვისია ფქვილი, მომაბარეს... – უთხრა მეფუნდუკემ. ღვინის კასრზე იჯდა, მოკლე ფეხები უსასოოდ ეკიდა, თითქოს საერთოდ არ აპირებდა იქედან ძირს ჩამოსვლას.

– ეს კაცი ამ ბოჭკაზე დაჭედებული ხომ არ არის! – შესძახა ჯვებემ, დასტაცა იოსიმეს ხელი და მაღლა ბავშვივით შეაგდო. ბერიკაცმა ჰაერში ფეხები აიქნ-დაიქნია და ძირს უხერხულად, ძაყუნით ჩაჯდა. კაცი, რომელიც ჯვებესთან ერთად მაგიდასთან იჯდა, თანგულიას მისჩერებოდა, საიდანაც ჯვებემ ტომარა შემოათრია, იქით არც იყურებოდა, არც იოსიმეს მიწაზე დანარცხება მიუჩნევია არაფრად. თანგულიას არ აშორებდა თვალს, გაოცებული და გაბოროტებული უმზერდა, ნუთუ ის არის, აქეთ თოფიანად რისთვის წამოსულაო, – ფიქრობდა. როცა თანგულია და კონდრატე მაგიდიდან წამოდგნენ, ისიც წამოიჭრა ფეხზე და უკან გამოუდგა.

– ჯეგე, სად მიდიხარ! – დაუძახა ჯვებემ, – ჯერ ეს კაცი მომაკვლევინე, აქ! – ცალ ფეხზე ფეხი დაადგა, მეორეს ხელი დასტაცა და ვითომ შუაში უნდა გავგლიჯოო, – თვალებს უბრიალებდა იოსიმეს.

– კარგი, ჰო, კარგი, – უთხრა მშვიდად იოსიმემ, – მოგიხერხებთ რამეს, გამიშვი ხელი!... ხომ ბობოქრობდა ჯვებე, ხომ ამდენს ხმაურობდა, ყვიროდა და კაცს გახლეჩასაც კი უპირებდა, იოსიმეს წარბიც კი არ შეტოკებია, ზლაზვნით წამოდგა. ჩაჩაჩული ძიქვა ჩამოიფერთხა, ჩანდა, შეჩვეოდა ასეთ მოპყრობას, შავ ქვაბუნას წამოავლო ხელი, კუთხეში მიდგა და რეცხვას მიჰყო ხელი.

ჯეგემ ჯვებე და იოსიმე ფუნდუკში დატოვა და თანგულიასა და კონდრატეს გასდია გარეთ. რა უნდოდა, რატომ მისდევდა?

ჯეგე ხალდანმა იცნო არავიძეთა უმრწემესი და ერთადერთი მემკვიდრე, როცა ვარლამ არავიძის სასახლეს გარს უვლიდა მტრული მიზნით, ვარლამის მოკვლა ედო გუნებაში და ხელსაყრელ შემთხვევას ვერ პოულობდა, ბევრჯერ ჩავარდნია ხელში ეს ყმაწვილი, ახლაც თავისი ფეხით, როგორც კრავი, მობაკუნდა სიკვდილთან, მაგრამ ჯეგე ხალდანი ამგვარ შურისძიებას არ ელტვოდა, უდანაშაულო სისხლის დაღვრა მას უფრო დიდ დანაშაულად მიაჩნდა, ვიდრე ყოველი დანაშაული. პირიქით, შიშს შეეპყრო ყმაწვილის გამო, ვინმემ არ მოკლას ამ უღრან ტყეში და მე არ დამბრალდესო.

– ყმაწვილო, – დაუძახა ხმადაბლა, – თოფიანად ამ ტყეში გავლა საშიშია...

თანგულია შედგა. გულუბრყვილოდ მიაჩერდა ხალდანს, ვერ გაეგო, რას ეუბნებოდა. ჯეგე მიუახლოვდა, თოფს დააკვირდა, ხელიც კი შეახო.

– ასეთი თოფისთვის აქ ადამიანს კლავენ... შეიძლება, უცებ, საიდანღაც გაინუილოს ტყვიამ და თქვენ დაყვირებასაც ვერ მოასწრებთ. ვერც ვერავინ გაიგებს თქვენს სიკვდილს, – ასეთია ტყის კანონი.

– მე ყორნისხევი უნდა ვნახო! – უთხრა მტკიცედ თანგულიამ და სწრაფად გაეცალა უცნობს, თითქოს გულმა რაღაც უგრძნო, უნდობლად მოიხედა და დააკვირდა არამკითხე მზრუნველს. ეს თავხედური გამოხედვა ეცნო ხალდანს და ტანში გასცრა. ანონილი, გამხდარ-გალეული ყრმა ვარლამ არავიძე იდგა იოსიმეს ფუნდუკის ნინ. „საძაგელი“ გენი – გაუელვა თავში და ფუნდუკში ისე შებრუნდა, თითქოს ლოყაზე სილა გააწნესო.

იოსიმეს ფუნდუკთან არავისხევი ჩამოდიოდა, იმ ხევში ძაფივით მოიკლაკნებოდა არავისწყალი, თანგულია ვერც კი წარმოიდგენდა, თუ ეს ძაფივით ღელე ის მშფოთვარე არავისწყალი იყო, ქალაქ არავს რომ შუაში ჰყოფდა, ზედ ხიდი რომ იყო გადადებული და იმ ხიდქვეშ ზოგჯერ ნავებითაც კი დაცურავდნენ.

კონდრატემ ხევისპირას ჩამოიყვანა თანგულია, იმ ხევის გაყოლებით იშვერდა ხელს და ყმაწვილს გზას უჩვენებდა ყორნისხევისკენ.

თანგულიამ კონდრატეს მადლობა გადაუხადა და არავისწყლის ხეობას დაღმა და დაღმა არავიძეთისაკენ ჩაჰყვა.

შორს წასვლა არ დასჭირვებია, თავქვეზე დაეშვა თუ არა, ტყის ერთი დიდი მონაკვეთი, ნიფლნარი უკან ჩამოიტოვა და გასაოცარ ხევს წაადგა თავზე. ირგვლივ ხომ უღრანი ტყე იყო, იმ ხევის პირას არც ერთი ხე არ ხარობდა, მშრალი ხევი ყოფილა ყორნისხევი, თურმე არავისხევს უერთდებოდა. თანგულია ხევის პირს რომ მიდგა, მართლაც იმდენი ყორანი ამოფრინდა ხევიდან, ცა გააშავეს, ისეთი ყრანტალ-ყვირილი მორთეს, თითქოს ყორანთა მარადიულ ვარამს ანთხევენ ციდანო. უცებვე დაშოშმინდნენ, სადღაც ხევს გადაღმა, ხეებზე გადაეფინენ შავად.

თანგულიას ხევში ჩახედვისაც კი ეშინოდა, ხევი კი არა, ალბათ უფსკრული უფრო ეთქმოდა. კარგად უნდა დაკვირვებოდით, რომ ხევის ფსკერისათვის ჩაგეწვდინათ თვალი. კრატერს უფრო ჰგავდა, ვიდრე ხევს. მცენარე, ბალახიც კი არ ხარობდა ხევში, ფშვნადი კლდეები ოვალურად ჩადიოდნენ იმ უფსკრულში, საიდანაც ცოცხალი არსება, ნადირიც ვერ ამოდიოდა, თუ შემთხვევით შიგ ჩავარდებოდა. ამიტომ ყორნებიც მუდმივად შიგ იყვნენ. ხომ ამდენი შავი ყორანი ამოფრინდა ხევიდან, იმდენივე შიგ ჩარჩა.

იმ ერთ წამს იხუვლეს ერთად და ამოფრიდნენ, ქვა ჩაგორდა ხევში – თანგულიას ქვის ჩაგორება არ შეუმჩნევია, – ხევიდან ამოვარდნილმა შავმა ქარიშხალმა გააოგნა. ბოტასის ჭვინტი უნებურად ჰკრა ქვას, ქვა გახტა და ხევში ჩაგორდა. ასეთ უნებურ ქვის ჩაგორებას მთებში ზვავი მოჰყვება ხოლმე, ზვავისებურად იგრიალა ყორანთა გუნდმა და ყორნისხევიდან შავი ქარიშხალივით ამოვარდა, მაგრამ ძალიან სწრაფადვე ჩადგა ეს ქარიშხალი. ყივილ-ყრანტალიც თანდათან მიწყდა და ხევმა განაგრძო ჩვეულებრივი, ყორნისიევური ცხოვრება.

თანგულია თანდათან ივსებოდა შურისძიებით, ყორნისხევმა კიდევ უფრო აუშალა იარები, უფრო გააავა და გააფთრა. თოფი გადმოიღო მხრიდან, ტყვია პირში მისცა. თითქოს ბრძოლას იწყებდა. თითქოს ბაბუამისის საფლავიდან ამომთხრელის ბედი აქ, ყორნისხევში, გადაწყდა, – თანგულიას თოფის ტყვიის წერა უნდა გამხდარიყო ვარლამ არავიძის საფლავიდან ამომთხრელი.

დასმენა

ჯეგე ხალდანი დუროსთან დახმარების სათხოვრად შემთხვევით არ მისულა. მანქანის დაქირავება სხვაგანც შეეძლო, მაგრამ დურო არჩია – ეს იყო ღრმად მოფიქრებული, წინასწარ მრავალგზის გააზრებული ბრძოლის პროგრამა. დუროსთან მისვლა და უწყება – ვარლამ არავიძე საფლავიდან ამოვთხარეო, დამჭირველებთან მისვლას და ჩაბარებას უდრიდა.

დუროს კაცი ვერ ენდობოდა, უსათუოდ დაასმენდა, – ეს მისი ხელობა იყო. ისიც კარგად იცოდა, დუროს დაიხმარდა თუ არ დაიხმარდა, მაინც დაიჭერდნენ, ვარლამ არავიძის საფლავიდან ამომთხრელს თავისუფლად არ აპარპაშებდნენ. ამიტომ ისევ დუროსთან შეკვრა არჩია. ფულისთვის დურო ვარლამ არავიძეს კი არა, შვილებს გაყიდდა. მართლაც, დუროს შემწეობით ამოთხრა ისე წარიმართა, როგორც ხალდანი ვარაუდობდა. მკვდარი უკვე სამჯერ იყო ამოთხრილი, სოფელმაც გაიგო და ქალაქმაც – არავსა და არავიძეთს პირზე ეკერა: საფლავში არ აჩერებენო. ხალდანსაც ეს უნდოდა: ყველას უნდა გაეგო არავიძის ავკაცობის ამბავი.

ზენონთან შუაღამით მოულოდნელმა შეხვედრამ არივ-დარია ხალდან-დუროს წინასწარ გაანგარიშებულ-გათვლილი გეგმა.

ზენონი იმღამინდელ ამბავს უსათუოდ ეტყოდა აბიას. დუროს სხვადასხვაგვარი დამაჯერებელ-დამარწმუნებელი პასუხებიც მზად ჰქონდა, აბიას კიდეც დაიყოლებდა და დააჯერებდა, მაგრამ დამჭირვებლებს არაფერი გამოეპარებოდათ. სჯობდა ფულს არ დახარბებოდა და დროზე გაეცა ხალდანი, თორემ საქმე თუ გასკდებოდა, დუროს სამსახურსაც დაატოვებინებდნენ და ქრთამისთვის ციხესაც გაიკრავდა. ხალდანმაც უმალ იყნოსა საფრთხე და დურო გააფრთხილა: ავი განზრახვა რომ გიდევს გულში, აღსრულება როცა გადაწყვიტო, წინასწარ მაცნობე, მშვიდობიანად ჩაგბარდებით, თქვენთვისაც სჯობია და ჩემთვისაცო. დურო შეჰპირდა, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, მორიელივით უმუხთლა.

ჯეგე ხალდანს თუ ხუთას მანეთად მიეყიდა, თვით ხალდანი ძვირად გაყიდა. გენერალურ დამჭირველთან მივიდა და მხოლოდ

იმას უჩურჩულა ჯეგე ხალდანის, მეტსახელად „დირგიას“, საკვირველი ამბავი;

„საქმისადმი ერთგულებამ შეაძლებინა შეუძლებელი, გაეგო შურისმაძიებლის ვინაობა. რაც მთავარია, მისი ნდობა მოიპოვა და შეუძლია, რომელ წუთსაც მიიღებს ბრძანებას, იმ წუთსავე ლიკვიდაცია უყოს“...

გენერალური დამჭირველი გრიგოლო გრიგოლოვი გაოცდა, არ დაიჯერა, აბელს დაურეკა და სასწრაფოდ იხმო. ორჯერ, სამჯერ მოაყოლა დუროს, როგორღა მიაკვლიე, ვინ გითხრა, ვინ მიგასნავლაო.

დურომ სინამდვილე გრიგოლოვს დაუმალა, ვითომ მწყემსებისაგან გაიგო ხალდანის ვინაობა, მწყემსებში ჩემი კაცები შევგზავნე, სასურველ შედეგს დამსმენთა დიდი ქსელით მივაღწიეო.

– ის, რაც თქვენ, ერთმა ადამიანმა, შესძელით, ვერ შეძლო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილმა დამჭირველთა მთელმა ლაშქარმა! – გულწრფელად აღიარა გრიგოლოვმა.

– აი, ვინ იყო ვარლამ არავიძე! – თქვენსავით პირველი კლასის დამჭირველები მძღოლებად და კარისკაცებად ჰყავდა!.. იმუშავეთ ჩვენთან, საგანგებო განყოფილებაში დაგნიშნავთ! – შესთავაზა პირდაპირ.

– დამჭირველთა უპირველესო, გენერალურო დამჭირველო! – მაგოგის ენაზე გადავიდა უცებ დურო და უფროსს გამოეჭიმა.

– მე თქვენთან დიდი ხანია ვმუშაობ! ოღონდ თავმდაბალი კაცი ვარ, არ გეჩხირებით თვალში, – ბოლო წინადადება შინაურულად უთხრა მშობლიურ ენაზე. მაგოგის ენაზე გრიგოლოვის ტიტულების ჩამოთვლა იმას ნიშნავდა, რომ დურო მართლა მათი მუშაკი იყო.

– დაბრძანდით! – უთხრა გრიგოლოვმა დუროს, – მთხოვეთ რაც გინდათ!..

– უპირველესო! – მოკლედ მოჭრა ტიტული დურომ – ბინა მინდა შვილისთვის...

დურომ იცოდა, რომ ამ დაწესებულებაში ასეთ საქმეთა გახსნა გულუხვად ჯილდოვდებოდა. შემთხვევით უნდა ესარგებლა და თავისი უკანონო შვილისთვის ბინა ეშოვნა.

დუროს ერთი უკანონო ვაჟი ჰყავდა. მისი არსებობა კანონიერმა ცოლ-შვილმა არ იცოდა. არც აბელმა იცოდა, არც ცისმარემ, არც არავინ დუროს ახლობლებმა და მეგობრებმა. ბიჭი რომ წამოიზარდა, დუროს გამოძალვა დაუწყო. ღვთისგან გაძულებული, ავარა ვინმე გამოვიდა. დუროს მისი ეშინოდა. ბიჭს კი დუროსაგან გამწარებული დედა აქეზებდა და აქეზებდა, ხან რას თხოვდნენ უკანონო მამას და ხან რას. თუ ბინას უშოვიდა, ამით საბოლოოდ დააშოშმინებდა დედა-შვილს და მოისვენებდა.

დამჭირველთათვის ბინის მიცემის დადგენილ-დაკანონებული წესი არსებობდა: მათთვის საგანგებო ბინებს აგებდნენ, ორსართულიან, კეთილმოწყობილ საკუთარ სახლებს თავისი ეზო-კარით და პატარა ბაღით. ასეთ სახლებს განსაკუთრებული დამსახურებისათვის იძლეოდნენ, მაგალითად, შეთქმულების აღმოჩენისათვის, ან სახელმწიფო საზღვრის დამრღვევთა ბანდის ბუნაგის მიკვლევისათვის და სხვა...

დუროს აზრით, მის მიერ აღმოჩენილი დამნაშავეც არ ჰგავდა ჩვეულებრივ ქურდსა და ბანდიტს, სახელმწიფო საზღვრის დამრღვევიც არ იყო, რასაკვირველია, მაგრამ თუ ცოტათი აბიაც ხელს ნაჰკრავდა, თუ გრიგოლოვის კეთილგანწყობაც დაემატებოდა, შეიძლებოდა ამ საქმის გაგვარება. გრიგოლოვი მზად იყო, არამც თუ ბინა, საკუთარი სახლიც კი მიეცა იმ ადამიანისათვის, ვინც ვარლამ არავიძის საფლავიდან ამომთხრელს აპოვნინებდა. არავის მხარე შეძრული იყო ამ ამბით. თუ დროზე ვერ აღმოაჩენდა დამნაშავეს, თანამდებობიდან უნდა გადამდგარიყო. თუ არ გადადგებოდა, სულერთია, გადააყენებდნენ, თვით ივსიხი ნესტორის ძესაც არ ეტყოდნენ მადლობას, აბია არავიძის მხარის მმართველის მოადგილედ ყოფნაც საეჭვო ხდებოდა. მამის საფლავისთვის ვერ მოგივლია, მხარეს როგორ მოუვლიო, არ ეტყოდნენ?.. საგონებელში იყო ჩავარდნილი დიდ-პატარა.

გენერალურ დამჭირველთან დილაადრიან დუროს სტუმრობა ციდან ჩამოვარდნილ ღვთის წყალობას ჰგავდა. ბინას დაიშურებდნენ დუროსათვის?!

– ამოირჩიეთ, რომელი ბინა გნებავთ, – უთხრა გრიგოლოვმა საქმიანად, – ჩემი საქმეთა მმართველი მოგართმევთ გასაღებს...

დურომ მადლობა გადაუხადა გრიგოლოვს და ხალდანის შეპყრობის გეგმა შესთავაზა. გრიგოლოვმა უმალ გამოიძახა დამჭირველთა ასეულის მეთაური დემურ რიკტაფელოვი და საიდუმლო ოპერატიული ჯგუფის შედგენა დაავალა.

– თქვენ გენოს შვილი ხართ, არა? – ჰკითხა დურომ რიკტაფელოვს, – ჩვენი მამები ერთად მუშაობდნენ ვარლამთან. მეც მივუსწარი მათ. ვიდრე დახვრეტდნენ, ერთი ორი თვე ვიმუშავეთ ერთად. აი, ვინ იყო ნამდვილი დამჭირველი! მას შეეძლო მთელი არავისათვის ერთ დღეში ფშიტ! – ლიკვიდაცია ეყო!.. ჩვენ კიდევ ერთი კაცი ვერ დაგვიჭერია!.. ღამის სამ საათზე – უცებ პირდაპირ საქმეზე გადავიდა – მე, ჩემი ემცხრათი დავდგები არავიძეთის სასაფლაოს ჭიშკართან, დამნაშავე ამოთხრის მკვდარს საფლავიდან, გაიდებს ზურგზე და მოიტანს მანქანასთან...

დურომ იცოდა, რომ აქ მისი ყოველი სიტყვა იწერებოდა, მან თვალი ჰკიდა კედელში ანთებულ წერტილს... „ტელეგადამცემი კამერაც ჩაირთო", – გაიფიქრა.

– გინდათ საფლავის თხრის დროს უყავით ლიკვიდაცია, გინდათ მკვდარს ზურგზე რომ მოიგდებს და მოკაკვული წამოვა მანქანისაკენ, ამოუდექით იქით-აქით!..

გრიგოლო გრიგოლოვი თავის გადაპრიალებულ მაგიდასთან იჯდა, ქაღალდის ნაგლეჯიც კი არსად ეგდო ამ მაგიდაზე, არ უყვარდა ქაღალდები. სამაგიეროდ, ელსმენების, სხვადასხვა აპარატების ნაირსახეობანი ელაგა მარჯვნივ და მარცხნივ, ზურგს უკან, კედელზე, კედელში, მაგიდის ქვეშ, მაგიდის უჯრებში ათასგვარი მოწყობილობანი ჩაედგათ. გამოუცდელი დამჭირველი ამ მაგიდას ალბათ ვერც მიუჯდებოდა, ერთის მაგივრად შემთხვევით თითს ან სხვა ღილაკს დააჭერდა, მოსალოდნელი იყო ათასი ხიფათი, ათასი უხერხულობანი.

გრიგოლოვის გადაპრიალებული მაგიდის წინ, მიდგმულ მაგიდას უსხდნენ: მარჯვნივ რიკტაფელოვი, მარცხნივ დურო.

დემურ რიკტაფელოვი ერთ-ერთი მთავარდამჭირველი იყო ამ დაწესებულებაში. მრავალი მთხრობელისა და დამნაშავისთვის მოესმინა, მსგავსი რამ არასოდეს გაეგონა:

– თქვენ ამბობთ, რომ – დაიწყო დინჯად რიკტაფელოვმა, – ვარლამ არავიძის საფლავიდან ამომთხრელი გაიდებს მკვდარს

მხარზე, მიადგება ვარლამ არავიძის ემცხრას, ჩაჯდება შიგ, ვარ-
ლამ არავიძის ყოფილი მძღოლი, ე. ი. თქვენ, მიაგრიალებთ ვარლამ
არავიძის ჭიშკართან მანქანას, ბოროტმოქმედი გადმოვა ვარლამ
არავიძის გვამით და ტრიფოლიატის ღობეზე გადაკიდებს?..

– კი, ამას ვამბობ... – მიუგო წარბშეუხრელად დურომ.

– პარადოქსი სწორედ ეს გახლავთ! – წამოიძახა გრიგოლოვ-
მა მაგოგის ენაზე. წამოდგა, მიატოვა თავისი მაგიდა, თითქოს
საცეკვაოდ ეპირებაო, შუა ოთახში დადგა და დემურ რიკტაფელოვს
დაუწყო შთაგონება.

მაგოგის ენა სასამსახურო ენა იყო. გრიგოლოვმა აქაური ენაც
მშობლიურივით იცოდა და მაგოგის ენაც, ოღონდ მღელვარების,
მრისხანების ჟამს უნებურად გადახტებოდა მაგოგის ენაზე.

– თურმე დარწმუნებულია, რომ ბატონი დურო გასცემს, მაინც
მოდის!.. – ااه!.. თითქოს რიკტაფელოვს ჰკითხაო, – მიაჩერდა და
გადაიხარხარა.

– ასეთი რამ პირველად მესმის ჩემს პრაქტიკაში...

– დამჭირველთა უპირველესო და გენერალურო დამჭირველო!
– ფეხზე წამოდგა რიკტაფელოვი და უფროსს წესისამებრ ტი-
ტულებით მიმართა მაგოგის ენაზევე.

– ოპერატიული ჯგუფი დემურ რიკტაფელოვის მეთაურობით
მზად არის ღამის სამ საათზე არავიძეთის სასაფლაოზე ოპერაციის
შესასრულებლად!

რიკტაფელოვი ფეხზე წამოდგა თუ არა, დუროც წამოუდგა
ფეხზე გრიგოლოვს.

– ყველა მოსალოდნელი შემთხვევა წინასწარ დაამუშავეთ და
საღამომდე მომახსენეთ... – ბრძანა გრიგოლოვმა.

მაგალითად, – დავუშვათ, რომ ბოროტმოქმედმა გაიგო ჩვენი
განზრახვა და აღარ მოვიდა დანიშნულ დროს. ჩვენ რას ვაკეთებთ?
– ჰკითხა გრიგოლოვმა რიკტაფელოვს, პასუხს არ დაელოდა და
განაგრძო... – ან მოვიდა, მაგრამ სასაფლაოს აღარ გაეკარა, მიხ-
ვდა, რომ გაცემულია... ჩვენ რას ვაკეთებთ?.. მოვიდა, ამოთხარა
მკვდარი, არ დაგვემორჩილა და სროლა აგვიტეხა... რას ვაკეთებთ?

მოვიდა, მაგრამ მარტო კი არა, მოიყვანა შეიარაღებული რაზმი...
რას ვშვრებით?!. და ა. შ. ყველა ამდაგვარ კითხვაზე საღამომდე
უნდა გასცეთ პასუხი. მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგებით საქმეს!..

– პირველად მე უნდა დამაპატიმრონ! – უთხრა დურომ გრიგოლოვს, – ბოროტმოქმედს ეჭვი არ უნდა შეეპაროს, რომ გაცემულია. მე მგონი, გენო რიკტაფელოვის შვილს ჩემგან ეს არ ესწავლება...

– რასაკვირველია! – თქვა გრიგოლოვმა და რიკტაფელოვს შეხედა.

– არის! – დამჭირველთა წესისამებრ გამოეჭიმა უფროსს რიკტაფელოვი და მხედრული ნაბიჯით დატოვა გენერალური დამჭირველის უფროსის კარი.

დუროც უკან მიჰყვა რიკტაფელოვს.

* * *

როცა გენერალურმა დამჭირველმა, დუროს უწყებისა გამო, აბელს დაურეკა – თქვენთან სასწრაფო საქმე მაქვსო, ზენონი სწორედ მასთან იჯდა და არავიძეთის სასაფლაოზე საოცარი მოჩვენების ამბავს უყვებოდა.

– ნამდვილად, მაშდამე... – ღელავდა ზენონი, – ჩემი ორი თვალით ვნახე, როგორ გადმოდიოდა სასაფლაოს ალაგზე მკვდარგადაკიდებული კაცი... გეჩვენებაო, დურომ მითხრა...

– რაო? რაო?.. – თვალები მოწკურა აბიამ, – გაიმეორე, რა თქვი!..

– მაშდამე!.. – ფეხზე წამოდგა ზენონი, – ჩემი ორი თვალით ვნახე!.. – მღელვარებისაგან ხშირ-ხშირად სუნთქავდა.

– აა, აგერ ხომაა ალაგე... შიგნიდან, სიბნელიდან გამოვიდა მკვდარაკიდებული კაცი და პირდაპირ ჩემს წინ არ აღიმართა?!. დუროს მანქანა იქვე იდგა და დუროც იქვე იდგა, – რა არი, დურო, ეს-მეთქი, რომ ვკითხე, გეჩვენებაო – მიპასუხა. ბატონო აბელ, ბატონი ხარ ჩემი და ძმაც ხარ ჩემი, მაშდამე, რომ არ გითხრა არ შეიძლება... – უცებ ზენონი სულ მთლად შეიცვალა, ეს მთა კაცი, დაწვრილდა, დაწვრილდა ძაფივით, მიიხედ-მოიხედა გაწვრილებულმა, კისერწაგრძელებულმა, აბიას მაგიდაზე თითქოს გაწვაო, თავი ყურთან მიუტანა და უჩურჩულაო.

– ეჭვი მაქვს დუროზე...

აბია აენთო, ფეხზე წამოდგა, უფროსისკარში ბოლთის ცემას მოჰყვა. ამით მღელვარებას მალავდა. დუროზე ეჭვის მიტანა

არამცდაარამც არ შეეძლო, საკუთარ შვილს, თანგულიას, უფრო დაადანაშაულებდა ამ საქმეში, ვიდრე დუროს.

– დამინერე! – თქვა უცებ მან, ოთახში წაღმა-უკუღმა სიარულს თავი ანება, თავზე დაადგა ზენონს და გამომცდელად მიაჩერდა.

– დაგინერო?.. – შეცბა სტუმარი, შეიშმუშნა, წამოიზლაზნა, ვითომ რახან შენ ფეხზე დგახარ, მეც უნდა წამოვდგეო. აბიამ მხრებზე დაადო ხელისგულები და წამოდგომის ნება არ მისცა.

– და-მი-წე-რე!.. – თითქოს ყრუა და გამოთქმით უნდა გააგებინოსო, ხაზგასმით უთხრა – ახლა ყველაფერს მნიშვნელობა აქვს... ა, ქაღალდი!.. – ქაღალდი და თვითმწერი წინ დაუდო.

ზენონს ამგვარი „წერების“ ეშინოდა, წინ დამხვდებაო. ფიქრობდა, აბიას ვერ ჰკადრა უარი. უწადინოდ აიღო თვითმწერი და წერას შეუდგა.

– ჩემს მდივანს დაუტოვე, გრიგოლოვი მეძახის, მეჩქარება... – დაუბარა და უფროსისკარიდან გავიდა. ზენონი გაოცდა, ვერც შეკითხვა მოასწრო, – გრიგოლოვი რატომ გეძახისო, ვერც ის უთხრა: შინ დავწერ და მოგიტანო, მარტოკა დარჩა აბია არავიძის უფროსისკარში, დაბნეული იყურებოდა იქით-აქეთ და ჭირის ოფლს ასხამდა.

აბია რომ გავიდა, მდივანმაც შემოიხედა, კარი ოდნავ გამოღებული დატოვა. ზენონი ისე შეათვალიერა, თითქოს პირველად ხედავდა.

მონდომებთ, ყურადღებითა და დაკვირვებით დიდხანს წერდა ზენონი, წვრილად აღწერა იმღამინდელი ამბავი, მოანერა ხელი, რიცხვი დაუსვა. შვებით ამოისუნთქა, დიდი ჯაფა დაადგა. ცხვირსახოცით შეიმშრალა ოფლიანი შუბლი და ნიკაპი და ნაწერი თავიდან ერთხელაც გადაიკითხა. ჩაბარებას არ ჩქარობდა, ნელა კითხულობდა და ყოველ სიტყვას აკვირდებოდა.

მოულოდნელად ზენონმა იგრძნო, რომ ვიღაც მოჩერებოდა, დაჟინებული მზერა გამოღებული კარიდან შემოიჭრა და ზენონს, როგორც ცეცხლის ალი, ისე მიწვდა ღაწვზე, კითხვა შეწყვიტა და გამოღებულ კარში გაიხედა. იქ დურო იჯდა...

გასაკვირი და მოულოდნელი არაფერი იყო. ზენონი აქეთ რომ მოდიოდა, მმართველობის დერეფნებსა და მისაღებში დუროს რომ

შეეფეთებოდა, ეჭვი არ ეპარებოდა, ამგვარ შეხვედრას კი სწორედ რომ არ მოელოდა. თითქოს ზედ დანაშაულზე წაასწრესო, – კაცი კაცზე ბეზღობას წერდა, გაცემული კაცი მომნუსხველი მზერით მიჩერებოდა გამცემს, ბეზღობის ნერის დროს.

ბეზღობები ღამღამობით, მარტოობაში, შინაურებისაგანაც კი დამალულად იწერებოდა. აბიამ აიძულა ასე საჯაროდ, ყველას დასანახად დაეწერა. ზენონსაც რა ექნა? – ძალა აღმართს ხნავდა. მოერიდა, უფრო შეეშინდა აბიასი. კაცმა რომ თქვას, ვინ რა იცოდა, რომ მაინც და მაინც ბეზღობას წერდა?.. – თავს იმშვიდებდა ზენონი. იცოდა ერთმა ადამიანმა, – დურომ, რომელიც გამოღებული კარის პირდაპირ საგანგებოდ მოკალათებულიყო მოსაცდელში და ზენონს გამბურღავი მზერით მიჩერებოდა, „ვის ეშინია შენი თვალების ბრიალის!“ – თანდათან ბრაზი იპყრობდა ზენონს...

ზენონი უკვე მერამდენედ კითხულობდა თავის ნაწერს, ფეხს ითრევდა, აყოვნებდა... დუროს თანდასწრებით არ სურდა ბეზღობა მდივნისთვის გადაეცა, ამიტომ არ გამოდიოდა მისაღებში. ეგებ აბიაც მობრუნდეს და მომისწროსო, ამასაც კი ფიქრობდა. თუ ახლა გავიდოდა მისაღებში და მდივანს ბეზღობას გადასცემდა, დურო უსათუოდ ჩაიხედავდა ნაწერში. მდივანს დაიმარტოხელებდა და წაიკითხავდა ზენონის ნაცოდვილარს. ამიტომ ითრევდა ფეხს, ვითომ რაღაცას კითხულობდა, ასწორებდა, – ჯერ ვერ მოემთავრებინა საქმე.

დახეთ საოცრებას! დურომაც დაიწყო წერა! ზენონმა გამოღებული კარიდან თვალი მოჰკრა, თუ როგორ გამოართვა დურომ მდივანს პრიალა ქაღალდი და თვითმწერი და წერას შეუდგა, თითქოს ზენონის დასანახად მიჰყო ხელი ნერასო. თან გამოღებულ კარში იყურებოდა, თან წერდა.

დურო ბეზღობას კი არ წერდა, მაგოგის ენაზე წერდა, მისი სიტყვით რომ ვთქვათ, „რაპორტს“. მშობლიურზე უკეთ დუროს მაგოგის ენაზე წერა ეხერხებოდა, შეჩვეოდა ამ ენას. სასამსახურო ენა არავის მხარეში მაგოგის ენა იყო. სჯობდა პირდაპირ მაგოგის ენაზე წერა. ზენონის ბეზღობას თუ მნიშვნელოვნად მიიჩნევდნენ და მსვლელობას მისცემდნენ, უნდა ეთარგმნათ მაგოგის ენაზე, ისე მას ძალა არ ჰქონდა. ამიტომ დურო პირდაპირ მაგოგის ენაზე წერდა

„რაპორტად“ წოდებულ ბეზღობას ზენონზე. ამადაამ წლის, ამადაამ თვესა და ამადაამ რიცხვში, შუა ღამით, არავიძეთის სასაფლაოს მანქანით მოადგა მხარის მმართველობის მუშაკი ზენონი, მთვრალ მდგომარეობაში მყოფი და ერთი მანქანა მთვრალები მოიყვანაო.

სამწუხაროდ, დამჭირველთაგან იქ არავინ იყო, რომ ეს ამბავი აღერიცხა. აღურიცხავად დღეს არავიძეთის სასაფლაოზე ჩიტიც კი ვერ გადაფრინდება, მადლობა ღმერთს, მე იქ ოპერაციაზე ვიყავი, თორემ ოთხი ადამიანის მოსვლა, ღამით, არავიძეთის სასაფლაოზე შეუმჩნეველი დაგვრჩებოდაო.

შემდეგ დურო ფრთხილად მიანიშნებდა ხელმძღვანელობას იმაზეც, რომ ზენონსა და ვარლამს შორის ჩუმი, გაუმხელელი მტრობა არსებობდა, დაბეჯითებით არაფრის თქმა შემიძლია, ამას მომავალი გვიჩვენებსო, – წერდა დურო, – მაგრამ, ვარლამ არავიძის საფლავიდან ამომთხრელსა და იმღამინდელ მთვრალების მოსვლას შორის კავშირიც უდავოაო, – შხამს აწვეთებდა აბიას.

ზენონს სხვა გზა არ ჰქონდა, ბოლოს და ბოლოს, უნდა გასულიყო აბია არავიძის უფროსისკარიდანაც და მისაღებიდანაც, დურო კი დარჩებოდა, პატრონის მოსვლას ელოდებოდა, სხვაგან ვერსად წავიდოდა.

– ამ დილაადრიანად რამ შეგანუხათ, ბატონო ზენონ, – ფეხზე წამოუდგა დურო, მოწიწებით ჩამოართვა ხელი. წერა იმასაც დაემთავრებინა და ნანერი ხელში ეკავა.

– არაფერი, ისე გამოვიარე, – უთხრა ცივად ზენონმა და მდივანს ყურში რაღაც უჩურჩულა.

მდივანმა უჯრა გამოაღო და ზენონს კონვერტი გაუნოდა. ზენონი კვლავ შებრუნდა უფროსისკარში, კარი მჭიდროდ მიიხურა, ბეზღობა კონვერტში ჩადო, გულდაგულ დაანება, დააწერა: აბია არავიძეს, პირადადო და კვლავ გამოვიდა მისაღებში. მდივან ქალს თავზე დაადგა, ტუჩ-პირი ყურთან ისე მოურიდებლად მიუტანა, ქალმა უკანაც კი გააჩოჩა სკამი. „საიდუმლოა, – ჩასჩურჩულა ყურში, – ამასაც კი არ ნააკითხო“. – დაუბარა და წავიდა. „ამასში“, რაღა თქმა უნდა, დურო იგულისხმებოდა. დურომ გაიგონა კიდეც – ამასაც კი არ ნააკითხოო, რომ უთხრეს მდივანს, მაგრამ არ შეიმჩნია, ვითომ არ გაუგონია, ზენონი მისაღებიდან როგორც კი გავიდა, მდივანს უბრძანა:

– მომეცი!

მდივანი ერთი წამითაც არ შეყოვნებულა. კონვერტი გაუწოდა. ეტყობოდა, დუროს წესად ჰქონდა სხვათა ბეზღობების კითხვა.

– ოღონდ ფრთხილად, დაწებება შევძლოთ... – კონვერტის გასახსნელი საგანგებო ხელსაწყო ამოიღო მდივანმა და დუროს გაუწოდა.

დურომ ზენონის დაწერილი ბეზღობა წაიკითხა და აბიაც მოვიდა. დურო თავის პატრონს გაღიმებული და კმაყოფილი შეეგება. აბია აღელვებული და გახარებული ჩანდა. დურო მას უფროსისკარში დაუკითხავად შეჰყვა. ყველაფერი ისე დალაგდა, როგორც დუროს უნდოდა. როცა აბიამ ზენონი ოთახში დატოვა და გენერალური დამჭირველის გრიგოლოვის დარეკვისთანავე, მისკენ გაეშურა, დურო მას გზაში უნდა შეფეთებოდა, მაგრამ იმარჯვა და დერეფანში დაემალა. თავი არ უჩვენა პატრონს, ასე სჯობდა. დუროს აზრით, გრიგოლოვის ნათქვამს მეტი დამაჯერებლობა და რწმუნება გააჩნდა. ჯერ სხვას უნდა ეთქვა დუროს ერთგულების ამბავი, შემდეგ თვითონაც განამტკიცებდა ნათქვამს.

* * *

სადამჭირველოს, ანუ გრიგოლოვის საგანმგებლოს, მოკლედ ადლს (არავის დამჭირველი ლაშქარი) ეძახდნენ. ადლს საკუთარი პატარა ისტორია გააჩნდა: თურმე ძველ დროში არავი მაგოგს დაუპყრია და შიგ საოკუპაციო ჯარი – დამჭირველი ლაშქარი ჩაუყენებია. აი, მაშინ დაურქმევიათ ამ დაწესებულებისათვის ადლი (არავის დამჭირველი ლაშქარი). მას შემდეგ დიდი დრო გასულა. ̇ეცვლილა ცხოვრება. არავს საოკუპაციო ჯარი აღარ დასჭირვებია. დამჭირველი ლაშქარი წესრიგის და კანონის დამცველ ლაშქრად, ე. ი. პოლიციად ქცეულა, მაგრამ ძველი სახელი სისხლსა და ხორცში გაჯდომიათ არაველებს და ვერ შელევიან. ძველი სახელები „ადლი“, „სადამჭირველო“, „დამჭირველი“, „მთავარდამჭირველი“, „გენერალური დამჭირველი“ შერჩენია დაწესებულებას და მის მსახურთ.

ადლი რიგითი პოლიციური დაწესებულება ყოფილა, ქვეყნად ვარლამ არავიძის მოვლინებამდე. სახელი და დიდება ამ დაწესე-

ბულებისთვის ვარლამს მოუტანია. ადლში სამსახური, ადლისტობა მას უქცევია სასახელო, საამაყო საქმედ, თანაც საგანგებო თაფლის კვერებიც გაუჩენია ადლში მომსახურეთათვის. ვინც ადლში თავს გამოიჩენდა, იმას დიდ ხელფასს უნიშნავდნენ, აშენებულ სახლ-კარს უბოძებდნენ, რაღა თქვა უნდა, ყოველი არაველი და არავიძეთელი ოცნებობდა ადლის მუშაკი გამხდარიყო.

ძველი სახელი და დიდება დღესაც გააჩნდა სადამჭირველოს, მაგრამ სამწუხაროდ, ვარლამ არავიძეს როცა დასჭირდა თავდადება, ერთგულება, საზრიანობა და სიმარჯვე, სნორედ მაშინ ჩაფლავდნენ. ადლმა ვეღარ იადლა ძველებურად, აბიას აზრით. ადლის ასეთი უღონობა და უმწეობა მოუთმენელი იყო, მმართველობა დღეს თუ ხვალ იმსჯელებდა ადლსა და მის ხელმძღვანელზე, გენერალურ დამჭირველზე გრიგოლო გრიგოლოვზე. ამაში მტკიცედ დარწმუნებული მიაბიჯებდა ადლისაკენ.

ადლის სასახლე მხარის მმართველობის შენობის პირდაპირ, ქუჩის გადაღმა იდგა. ჩვეულებრივ, რიგით ადამიანს ამ მანძილის გავლა უმანქანოდაც შეეძლო, რასაკვირველია. მმართველობის უფროსი, მისი მოადგილეები, ადლის უფროსი, – გენერალური დამჭირველი, მისი მოადგილეები, – მთავარდამჭირველები ერთმანეთთან მანქანებით დადიოდნენ.

მმართველობის შენობიდან ადლის შენობამდე ასე თუ ისე, გარკვეული მანძილი, სამასი-ოთხასი მეტრის სიგრძისა, მაინც იდო. ამ მცირე მანძილის გავლაც კი ფეხით, დაცვის გარეშე, დიდკაცთათვის სასურვლად არ მიაჩნდათ. თუ ვინმე თავისი ნებით მაინც გაივლიდა, საყვედურსაც უკან მიაყოლებდნენ. ამიტომ აბია ფრთხილობდა, აქეთ-იქით იყურებოდა, დუროს დაეძებდა. მანქანა იქვე, მმართველობის ეზოში იდგა, დურო კი არ ჩანდა. არ მოეწონა დუროს გაუჩინარება. ეჭვით შეპყრობილი მიდიოდა, ნუთუ დურო მღალატობს, გრიგოლოვიც ალბათ იმიტომ მეძახის, საზარელი ამბავი მაუწყოსო.

აბია არავიძეს ადლში ასასვლელად საშვი არ სჭირდებოდა, დიდი თანამდებობა რომც არ ჰქონოდა, ვარლამ არავიძის შვილობაც საკმარისი იყო, სადამჭირველოს რკინის კარები ფართოდ გაეღოთ მისთვის და კრძალვითა და მოწიწებით შეხვედროდნენ. ასეც შეხვდნენ. „მობრძანდით, ბატონო აბელ!.. აქეთ, ბატონო აბელ“... –

გზას უჩვენებდნენ. ლიფტი გამოუძახეს, გრიგოლოვის უფროსის-კარამდე მიაცილეს, იქ მდივანი შემოეგება, გრიგოლოვის შავი კარი მდივანმა შეაღო, ჩანდა, რომ აქ მას ელოდებოდნენ. მაგრამ აბიამ ისიც იგრძნო, რომ რაღაც უფრო მნიშვნელოვანის მოლოდინშიც იყო ეს დაწესებულება. ფაციფუცი, აჩქარება, აღელვება იშვიათად დაეტყობათ აქაურ მუშაკებს. ყველას სახეზე ეწერა შეშფოთება, შიში რაღაც დიდის მოლოდინის გამო.

აბიამ იცოდა, მამისაგან გაეგონა, რომ ადლში დიდი ფაციფუცი ატყდებოდა მაშინ, როცა გენერალური დამჭირველი გოგში გენერალისიმუსს ელაპარაკებოდა. ეს იშვიათად ხდებოდა. დამჭირველთა გენერალისიმუსი ისეთი დიდი კაცი იყო, ზოგი გენერალური დამჭირველი საერთოდ ვერ გაიგონებდა მის ხმას მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე. მხოლოდ გენერალისიმუსის თანაშემწეების, მოადგილეების მეშვეობით მყარდებოდა კავშირი.

მართალია, გენერალური დამჭირველები ყოველთვის ყველაფერს გენერალისიმუსს ამცნობდნენ (უპატაკებდნენ), გენერალისიმუსს ყველა მთავარს, ყველაზე მნიშვნელოვანს მოახსენებდნენ. თუ ინებებდა, თუ საჭიროდ სცნობდა პროვინციებთან კავშირს, აი, მაშინ მოხდებოდა ის, რაც დღეს არავის მხარეში ხდებოდა: ვარლამ არავიძის საფლავიდან ამოთხრის გამო თვით გენერალისიმუსს უნებებია არავის მხარის გენერალურ დამჭირველთან გრიგოლო გრიგოლოვთან ელსმენით საუბარი.

გრიგოლოვის უფროსისკარში აბია როგორც კი შევიდა, ის-ის იყო ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს, მოიკითხეს, ნითელი შუქი აინთო და ჩაქრა, აინთო და ჩაქრა... ნითელმა შუქმა დაიწყო ციმციმი ადლის ყველა ოთახში, დერეფნებში... მხარის კავშირგაბმულობაში ხომ ნითელ შუქს საყვირების ხმაც მოჰყვა, – ხაზზე გამოდიოდა გენერალისიმუსის ხმა. ეს ხმა უნდა ჩაწერილიყო, და ხვალ, ზეგ, საერთოდ მომავლისათვის სახელმძღვანელოდ უნდა ქცეულიყო არავის მხარისათვის.

წითელი შუქის ანთებას წინ უძღოდა ელსმენის მოგალობე მრავალგზისი ზარი, რითაც უწყებულ იქნა გენერალისიმუსის ნება – ესაუბრა არავის მხარის გენერალურ დამჭირველთან. ხოლო უშუალოდ გენერალისიმუსის ხმის გაგონებას წინ უძღოდა ნითელი შუქები...

წითელი შუქი აინთო მმართველობის შენობაში და თვით ივსიხი ნესტორის ძის უფროსისკარში. ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ ვარლამ არავიძის საფლავიდან ამოთხრას ზედამხედველობდა მაგოგთა დედაქალაქი – გოგი.

„პატივით დაკრძალვის ნებართვა გოგიდან მოსულა", – გაუელვა თავში აბიას. „ივსიხი ნესტორის ძე უბრალო ყოფილა"... – აბიას ახლა თავისი გასაჭირი ახსენდებოდა, მამამისის, ვარლამის, დაკრძალვის დღეები. მკვდარს რომ ვერ ასაფლავებდა, არ იცოდა, როგორ დაემარხა საკუთარი მამა. ვარლამ არავიძე ხომ ჩვეულებრივი მკვდარი არ იყო, – ეს ინწვევდა ამდენ გაუგებრობას. ამდენი თავსატეხი, გამოცანა და ამოცანაც იმიტომ მოჰყვა მის გარდაცვალებას. ძლივს დაასაფლავა, ეგონა, დამთავრდა, მოისვენა, ნურას უკაცრავად! ახლა ახალი საწუხარი გააჩინა მაოხრებელმა მკვდარმა.

– უნარჩინებულესო და უპირველესო! – გაჭარხლებული, სმენაზე მდგარი, მიმართავდა გრიგოლო გრიგოლოვი გენერალისიმუსს.

გრიგოლოვის მჭახე, მოკივანა ხმა ჰქონდა, მოწადინებულ-გამეცადინებული მოახსენებდა უფროსს დღევანდელი არავის გასაჭირს.

– ბოროტმოქმედი ნაპოვნია, დადგენილია ვინაობა, სადაურობა, დღეს თუ ხვალ შევიპყრობთ და აღვკვეთავთ უნესობას!

აბია ფეხზე იდგა, გრიგოლო გრიგოლოვი ფეხზე მდგარი ესაუბრებოდა გენერალისიმუსს, აბია, ამ შემთხვევაში ამ ამბის შემსწრე და მსმენელი, ვალდებული იყო ფეხზე მდგარს ესმინა, თავისი უფროსისკარშიც რომ ყოფილიყო, ის მაინც ფეხზე წამოდგებოდა. გენერალისიმუსის ხმას რადიოშიც რომ მოჰკრავდნენ ყურს, მაშინ დგებოდნენ ფეხზე, ახლა არაველებს პირდაპირი ხაზით ელაპარაკებოდა, ბუნებრივია, დიდ-პატარა ფეხზე იდგა.

აბია სიხარულმა ისე აიტაცა, მერე რა თქვა გენერალისიმუსმა, ვერ გაიგონა. ბოროტმოქმედი ნაპოვნიაო, დადგენილია ვინაობა, სადაურობა. „როდისღა იპოვეს?" – გაოცებას ვერ მალავდა აბია და სული კბილით ეჭირა, როდის ჩამოჰკიდებდა ყურმილს გრიგოლოვი.

გრიგოლოვის მაგიდაზე სხვადასხვა ფერის მრავალი ელსმენი ელაგა, ის, რაც ახლა ადლის უფროსს ხელში ეჭირა, ცალკე, მისთვის საგანგებოდ გამოყოფილ ადგილას ეკიდა, წითელი ფერისა იყო

არა მარტო ყურმილი და აპარატი, არამედ მთლიანად დანადგარი. გრიგოლოვის უფროსისკარში შემომსვლელი უმალ მიხვდებოდა, რომ მოწყობილობა გენერალისიმუსის პირადი ელსმენი იყო. ასეთი ელსმენი არავში ორ ხელმძღვანელს ელაგა, ერთი გრიგოლოვს, მეორე ივსიხი ნესტორის ძეს.

– გაგიჭიანურდათ უწესოების აღკვეთა! – გაისმა გენერალისიმუსის დინჯი და წყნარი ხმა წითელ ელსმენში მაგოგის ენაზე და ამ ხმას საზარელი – ტუუ! ტუუ! ტუუ! – მოჰყვა.

გრიგოლოვი ხომ ჭარხალივით წითელი იდგა წითელ მოწყობილობასთან. უცებ გათეთრდა, წითლად გადმოყრილ ტუჩებსაც კი ფითრისფერმა გადაუარა. ერთი წუთის წინ სულ მთლად წითელი, ახლა თეთრი იდგა, ხელში წითელი ყურმილი ეჭირა და ტუ, ტუუს იძახდა ის ყურმილი, რა ექნა, არ იცოდა, ყურმილი თავის ადგილას ჩამოეკიდა თუ კვლავ დალოდებოდა, საწყალობელი თვალები აბიას მიაპყრო. სილის გაწნა რა არის იმ ტუუ, ტუუს-თან! გრიგოლოვმა მადლობის თქმა ვერ მოასწრო. რა ჰქონდა სამადლობელი, მადლობა მაინც უნდა ეთქვა. რად ღირდა ის ფაქტი, რომ არავში ნანატრი წითელი შუქი აინთო! პირში შეაცივდა სიტყვა. რა ექნა ახლა?.. დაბნეული, არეული მიუჯდა თავის მაგიდას. გენერალისიმუსმა ყურმილი დაუკიდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო, მისი კი არა, ალბათ ივსიხი ნესტორის ძისაც.

აბიასაც გადააავიწყდა თავისი სიხარული, გრიგოლოვის შეშფოთება მასაც გადაედო.

რა თქმა უნდა, ყველაფერი გასაგები იყო, მაგრამ მაინც არ იცოდა, ამ წუთებში რა ეთქვა.

– მართლა აღმოაჩინეთ ბოროტმოქმედი?.. – ძლივს ამოღერღა, ანგარიშმიუცემლად იკითხა.

– აბა, გენერალისიმუსს ტყუილს ვეტყოდი! – მწარედ გაიღიმა გრიგოლოვმა.

აბიამ თავი უხერხულად იგრძნო, „უაზრო შეკითხვა წამოვაბოდეო", გაიფიქრა და გამოსწორება სცადა.

– დიდი მადლობა, ბატონო გრიგოლო, ვიცოდი მე ეს!

– რა იცოდით? – ცივად შეხედა გრიგოლოვმა. ნერვებს უშლიდა ახლა ეს კაცი! „ამის გულისთვის უნდა ვაგო პასუხი", – შესცქეროდა აბიას და გენერალისიმუსზე ფიქრობდა.

– მჯეროდა თქვენი!

– თქვენს მძღოლს უმადლოდეთ!.. – კვლავ ცივად მიუგო.

– ჩემს მძღოლს – დუროს?.. – აბიას შეეტყო, რომ გაუხარდა.

– ჰო, თქვენს მძღოლს, – თანდათან მშვიდდებოდა გრიგოლოვი. ამ საგანზედ საუბარი, ეტყობოდა, რომ მასაც სიამოვნებდა. ჭმუნვისა და დარდის დრო არ იყო. სწორედ უნდა ემოქმედა, თუ ამ საქმიდან უხიფათოდ აპირებდა გამოსვლას.

– აი, რისთვის დაგიძახეთ: ამ საღამოს ღამის სამ საათზე ჩვენ შევიპყრობთ ბოროტმოქმედს, გნებავთ დაესწარით ოპერაციას, გნებავთ არა. ჩვენ ჩვენსას გავაკეთებთ, ჩემი თხოვნაა გენერალისიმუსის სახელზე დანეროთ ახსნა-განმარტება და აფრინოთ გოგში.

– რა ახსნა-განმარტება? – დაფრთხა აბია.

– რომ თქვენ, ოჯახმა, დაუმალეთ ადლს მიცვალებულის პირველი ამოთხრა საფლავიდან, დაგვიანებით შეატყობინეთ!.. – გულიდან აღმოხდა გრიგოლოვს, ვითომ დამნაშავე თქვენა ხართ, თქვენი გულისთვის კი მე დავისჯებიო. – ეგებ დეპეშა სჯობდეს? – თითქოს თავისთავს ჰკითხა, ჩაფიქრდა გრიგოლოვი, – კი, დეპეშა! – უცებ გადაწყვიტა. დღესვე, აქედან გასვლისთანავე, დეპეშით აცნობეთ გენერალისიმუსს, რომ საქმის გაჭიანურება თქვენი ბრალია.

„ვინ უთხრა“ – დასცეცხლა აბიას. „ვარლამ არავიძის პირველი ამოთხრის მოწმე ხომ ორად ორი კაცი იყო: დურო და ნოვე, ნუთუ ნოვემ?“..

– უსათუოდ, ბატონო გრიგოლო, – ფეხზე წამოუდგა აბია, – მაგრამ თუ თქვენ მართლა ამ საღამოს აპირებთ ბოროტმოქმედის შეპყრობას, ხომ არ აჯობებს, ხვალამდე მოვითმინოთ და მადლობის დეპეშა ხვალ გავუგზავნოთ! თორემ დღეს ერთი დეპეშა, ხვალ მეორე, გაუგებრობას გამოიწვევს. მადლობის დეპეშაში იმასაც ჩავწერ, რომ „უწესოების აღკვეთის გაჭიანურება“ ჩვენი, ვარლამ არავიძის ოჯახის, ბრალია.

გრიგოლოვის უფროსის კარში ელსმენის ზარი აწკრიალდა, აბიამ ელსმენი იცნო, ეს ივსიხი ნესტორის ძის ზარი იყო. გრიგოლოვმა ყურმილი აიღო. ყურმილში ქალის ხმა გაისმა. გრიგოლოვმა აბიას მოხედა, კი ბატონო, გადავცემო, უთხრა ქალს და ყურმილი დადო.

– ივსიხი ნესტორის ძე გეძახით... – უთხრა გრიგოლოვმა და დასამშვიდობებლად ხელი გაუწოდა.

– ივსიხი ნესტორის ძე? – გაიკვირვა აბიამ.

გრიგოლოვს სწრაფად გამოემშვიდობა და დაფიქრებული გამოვიდა ადლის შენობიდან.

რისთვის იბარებდა ივსიხი ნესტორის ძე? თანამშრომლებს აკრძალული ჰქონდათ მასთან შეხვედრა... თვითონ აბიასაც კი კარგა ხანი იყო, რაც არ ენახა. ივსიხი ნესტორის ძე ვარლამის დაკრძალვაზეც ვერ მოვიდა. არც დაკრძალვის შემდეგ უნებებია სამძიმრის თქმა. დეპეშა კი გამოგზავნა, რაც მართალია, მართალია. აბიამ მადლობის სათქმელად დააპირა შესვლა, მაგრამ თანაშემწეებმა არ შეუშვეს, სასურველი არ არისო.

ივსიხი ნესტორის ძე მიხრწნილი მოხუცი იყო, ბოლო დროს ავადმყოფობდა კიდეც. ექიმებს მიაჩნდათ, რომ სამსახური მას უკვე აღარ შეეძლო, მაგრამ ამის თქმას ვერ უბედავდნენ. ამიტომ გამუდმებით მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდათ. კვირაში ერთხელ, როცა ის მმართველობაში მოვიდოდა, ორი კაცი ადგა თავზე. შეხვედრების, საუბრების, ზედმეტი მღელვარების ნებას არ აძლევდნენ. მხარის მმართველობას სინამდვილეში თანაშემწეები უძღვებოდნენ. ივსიხი ნესტორის ძეს ხელის მოწერაც კი არ შეეძლო, ხელი ისე უკანკალებდა, ორი თანაშემწე ძლივს უმაგრებდა: ერთი ტანს მოეჭიდებოდა, მეორე მკლავზე დაეკიდებოდა, როგორმე ძიგძიგი შეეჩერებინათ. ტანჯვით აწერდა ხელს, თანამდებობა მაინც არ ეთმობოდა.

აბია არავიძე სადამჭირველოს შენობიდან გახარებული გამოვიდა. თითქმის დაუჯერებელ სინამდვილეს შეესწრო, არავის მხარეში გენერალისიმუსმა დარეკა. ამის გამო ჯერ შთაბეჭდილება არ განელებოდა, რომ ივსიხი ნესტორის ძე გიბარებსო, ახალი სასიხარულო ამბავი აუწყეს. ბედნიერ ფეხზე ავმდგარვარ, ნეტავ რა დღეა, რა რიცხვიაო, კმაყოფილი მიაბიჯებდა ქუჩაში.

ივსიხი ნესტორის ძის სამყოფელი სამმართველოს შენობის გვერდით, ცალკე მდგარ სასახლეში იყო.

აბია ივსიხის უფროსისკარში დაუკითხავად შევიდა. რახან ივსიხი იბარებდა, არ იყო საჭირო კითხვა. ასე შედიოდა ყოველთვის მასთან.

ბოლო სამი-ოთხი თვე შეიცვალა ვითარება. გარდა თანაშემწეებისა, ვერავინ ნახულობდა ივსიხის. აბიას ეს არ მოსწონდა, ათასი ეჭვით იყო შეპყრობილი. მხარის მმართველობის უფროსის პირველი მოადგილე აბია არავიძე იყო, უფროსთან კი ვერ შედიოდა. ეტყობა, არ უნდა მის ადგილას მე დამტოვოსო, თანაშემწეს შეპირდაო – ფიქრობდა ნაღვლიანად აბია. და აი, უცებ იბარებდა უფროსი.

უფროსისკარში რომ შევიდა, პირველი გაოცებაც მაშინვე იგემა, ოთახში არავინ იყო! – ცივად გამობრუნდა და მდივანს ჰკითხა:

– რა არის?

როგორც კი აბია მოსაცდელში შემოვიდა, მდივანი ფეხზე წამოუდგა, ჯერაც ფეხზე იდგა, ნინასწარ იცოდა, რომ აბია მობრუნდებოდა.

– იქ არის, თავისთან... – უთხრა მდივანმა, კისერიც ნაიგრძელა და ხელიც გაიშვირა იმ ოთახისაკენ, სადაც ივსიხი ნესტორის ძე ეგულებოდა.

აბიაც უმალ მიხვდა, თუ სად იყო ეს „თავისთან" და უფროსისკარში შევიდა, შავი კარებიც გულდაგულ მიიხურა.

ივსიხი ნესტორის ძის უფროსისკარს, როგორც ყველა დიდკაცისას, დასავანებელი ოთახი ცალკე ჰქონდა, ცალკე სხვა სათავსოები. აბიამ, რასაკვირველია, აქ ყველა კუთხე-კუნჭული იცოდა და შეუმცდარად შეაღო იმ ოთახის კარი, სადაც ივსიხი ნესტორის ძე ეგულებოდა. შეაღო და მოულოდნელობისაგან ადგილზე გაქვავდა. ასეთ ივსიხი ნესტორის ძეს ის არ იცნობდა. ლოგინში იწვა გალეულ-გამხმარი მომაკვდავი კაცი, რომელსაც ხმაც კი წართმეოდა, თითქოს ხაოდა, ნელა წარმოსთქვამდა სიტყვებს.

– მოხვედი?.. – ამოიხავლა და თავის წამონევა დააპირა, თანაშემწეებმა თავი აუწიეს:

– გენერალისიმუს... – ტანჯვით ამოთქვა, სიტყვა გაუწყდა, რადგან დაიღალა, ამსიგრძე სიტყვის შეუსვენებლად თქმაც კი აღარ შეეძლო.

„მა" – დააბოლოვა როგორც იქნა. „დარეკა"... – თქვა შესვენების შემდეგ.

წამოაჯინეს. ტახტზე ჩაცმული იწვა. აბიას ხელით ანიშნა, ახლოს მოდიო. „ორ თვეში როგორ გამოცვლილა", – გაიფიქრა. დაბნეული

იყო, ერიდებოდა ახლოს მისვლის, თითქოს მეტ მანკს უპოვიდა, თუ ახლოს მივიდოდა, ყოყმანით მიუახლოვდა და ხელი გაუწოდა.

ივსიხი ნესტორის ძემ ხელში მოიგდო აბიას ხელი, ორივე ხელი მოკიდა და სახეში შეაცქერდა.

– გენერალისიმუსმა დარეკა... – უთხრა საიდუმლოსავით, – ეს დიდი ამბავია!.. – თვალები უბრწყინავდა.

– დიახ, ვიცი, ივსიხი ნესტორის ძევ, ყურებს არ ვუჯერებდი გენერალისიმუსის ხმა რომ გავიგონე. თურმე მამაჩემის გამო დაურეკია... ეს კიდევ უფრო მეტს მავალებს...

„შეიძლება არც იცის ვარლამის საფლავიდან ამოთხრის ამბავი", – გაუელვა თავში აბიას. ამიტომ „მამაჩემის" მკაფიოდ, შეყოვნებით, ხმამაღლა წარმოსთქვა.

თითქოს არ გაუგონიაო, ივსიხმა საუბარი განაგრძო:

– გენერალი-სი-მუს-მა დარეკა, – ერთხელაც ისე თქვა ივსიხი ნესტორის ძემ, თითქოს პირველად აუწყებდა თავის მოადგილეს ახალ ამბავს.

– რაც მე აქ ვმუშაობ, ეს პირველი შემთხვევაა... ე. ი. ჩვენ კარგად ვმუშაობთ. ვინც ცუდად მუშაობს, იმას გენერალისიმუსი არ ურეკავს...

– ისიც არ დაგავიწყდეთ, მან ყურმილი დაკიდა... – უთხრა პირველმა თანაშემწემ, კი არ უთხრა, ჩასძახა თითქოს. ივსიხი ნესტორის ძეს ყურს ყოველთვის აკლდა, ახლა მთლად დაყრუებულაო, – გაიფიქრა აბიამ. მაგრამ ეს არ იყო მთავარი. პირველი თანაშემწის კილო არ მოეწონა, თითქოს უფროსი ის იყო და არა ივსიხი.

– კი, გენერალისიმუსმა თვითონ დარეკა არავში, – მიუბრუნდა პირველ თანაშემწეს ივსიხი ნესტორის ძე, – ნამდვილად დარეკა, თქვენც ხომ აქ იყავით! – გაოცებით შეხედა, ჩემი რატომ არ გჯერაო.

– დარეკა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ კარგად ვმუშაობთ, პირიქით, ცუდად მუშაობთო, გვითხრა და ყურმილი დაგვიკიდა, – ყვირილ-ყვირილით გაუმეორა პირველმა თანაშემწემ.

წამით შეყოვნდა ივსიხი ნესტორის ძე, თითქოს ჩააფიქრაო თანაშემწის ნათქვამმა. საიდანღაც ბრჭყვიალა კოლოფი გამოაძვრინა, გახსნა, შაქარყინულის ნატეხი ამოიღო იმ კოლოფიდან, პირში ჩაიდო და აბელს უთხრა:

– შაქარყინული ექიმმა გამომიწერა, თურმე შაქარყინული ჩემი ნამალია, – ნათქვამია: სიკვდილის ნამალი ღობის ძირას ხარობდაო. მართლაც, თუ შაქარყინული მიშველიდა, აქამდე ვერ შევჭამე?.. – გენერალისიმუსმა ხომ მართლა დარეკა?.. – ჰკითხა აბიას ივსიხმა მოულოდნელად.

– დიახ, დარეკა. – მიუგო აბიამ.

– აბა, ამას რა უნდა, რატომ მეწინააღმდეგება? – პირველ თანაშემწეს მიაჩერდა ივსიხი.

– მომიტევეთ, ივსიხი ნესტორის ძევ, – უთხრა მეორე თანაშემწემ, – ამდენი ლაპარაკის ნება თქვენ არა გაქვთ. შინ უნდა წაგიყვანოთ, იქ ექიმები გელოდებიან.

– კი, წამიყვანეთ, წამიყვანეთ. ამდენი ლაპარაკის ნება მე არა მაქვს... უცებ დამორჩილდა თანაშემწეს ივსიხი.

– კი მაგრამ, რისთვის დაიბარეთ აბელ ვარლამის ძე? დავალება არ უნდა მისცეთ?.. – ჰკითხა პირველმა თანაშემწემ.

– ჰოო, რისთვის დავიბარეთ? – შეაჩერდა აბიას ივსიხი, – შენ უთხარი, შენ უთხარი, მე გენდობი! – მიუბრუნდა პირველ თანაშემწეს.

– მთის რაიონები კვერცხის გეგმას ვერ ასრულებენ, როგორმე უნდა დაგვეხმაროთ!.. მართალია, კვერცხი თქვენი საქმე არ არის, მაგრამ მოადგილე სოფლის მეურნეობის დარგში თქვენ იცით, რომ საზღვარგარეთ ნავიდა. გოგს კი მილიონი კვერცხი დღეს ხვალ უნდა გავუგზავნოთ. სხვა ვინ დაგვეხმარება, თუ არა თქვენ.

– კი, ბატონო! – ჩაიდუდუნა აბიამ და პირველ თანაშემწეს შეაცქერდა, – მაგრამ მე არავიდან ვერსად ნავალ, თქვენ იცით ჩემი გასაჭირი!..

– აგერ ამის ბრძანებაა, – ხელი უხეშად გაიშვირა ივსიხისაკენ, – ეს საქმე თქვენ დაგევალათ!.. – უთხრა მტკიცედ პირველმა თანაშემწემ და უფროსისკარიდან გავიდა.

– ბატონო ივსიხი, – აბიამ სკამი მოიტანა, გულდაგულ მიუჯდა უფროსს და ახსნა-განმარტებას შეუდგა:

– თქვენ დავალებას ყოველთვის სიხარულით ვასრულებდი და მომავალშიც შევასრულებ, ოღონდ ამჯერად ნურაფერს დამავალებთ. დღე და ღამე სასაფლაოზე ვარ, ერთი წუთი მოცლა არა მაქვს, მკვდარი ვერ დამიმარხია, გავიტანჯე კაცი!

– მკვდარი? ვინ არის მკვდარი? – იკითხა ივსიხი ნესტორის ძემ და აბიას დასცეცხლა: „არ იცის არაფერი“...

– მამაჩემი, ვარლამ არავიძე.

– ჰო, მამაშენი ვარლამ არავიძე გარდაიცვალა... სულ არ მახსოვდა... ჩვენ მეგობრები ვიყავით, ერთ დროს ერთადაც ვმუშაობდით. მაგარი კაცი იყო.

– ჰოდა იმ თქვენს მეგობარს საფლავში არ აყენებენ, ვილაცა თხრის და ღობეზე მიკიდებს.

– ვარლამ არავიძეს საფლავში არ აყენებენ? ვილაცა თხრის და ღობეზე კიდებს?.. – ჩაფიქრდა ივსიხი ნესტორის ძე, – რას მიკეთებს გრიგოლოვი. – იკითხა უცებ მან, – მომეცით ყურმილი!..

– იცის გრიგოლოვმა, – უთხრა მეორე თანაშემწემ, – გრიგოლოვმა კი არა, მთელმა გოგმა იცის, გენერალისიმუსმაც ამიტომ დარეკა.

– მერე, მე რატომ არ ვიცი, რატომ არ მითხარით! – ხმას აუწია ივსიხი ნესტორის ძემ.

– გითხარით, მაგრამ არ გახსოვთ! – მიახალა მეორე თანაშემწემაც.

– არ მახსოვს? – მეორეჯერ მითხარი!.. – ამჯერად დაუყვავა ივსიხი ნესტორის ძემ.

– გენერალისიმუსმა მართლა ამიტომ დარეკა? – ჰკითხა აბელს ივსიხიმ.

– დიახ, ამიტომ დარეკა, – მიუგო აბელმა.

– მომეცი ყურმილი! – გამოგლიჯა ყურმილი მეორე თანაშემწეს. სწრაფად აკრიფა ნომერი და ყურმილში ჩასძახა:

– სირცხვილი შენი, გრიგოლო!.. – ჩასძახა და დაუკიდა.

– ბატონო ივსიხი! – უთხრა მეორე თანაშემწემ მტკიცე კილოთი, – ეს უკვე მეტისმეტია, ამდენის უფლება ექიმებს თქვენთვის არ მოუციათ! მოჰკიდა მკლავში ხელი, ძალით წამოაყენა და ნელა დაიძრნენ კარისკენ.

– ბოდიშს გიხდით, ბატონო აბელ ვარლამის ძევ, მაგრამ იმას ვაკეთებთ, რაც ნაბრძანებია.

ისინი სხვა კარიდან გავიდნენ, აბია სხვა კარიდან. „ერთი საიდუმლო კარი კიდევ ჰქონიაო“, – გაიფიქრა მან, როცა ივსიხი ნესტორის ძის უფროსისკარიდან გამოვიდა.

* * *

ადლში ეჭვებით შეპყრობილი მიდიოდა და უკან რა იმედიანი დაბრუნდა! მისაღებში დუროსთან შეხვედრა ისე გაუხარდა, ლამის გადაეხვია და გადაკოცნა. ბოროტმოქმედი ნაპოვნი იყო, გენერალურმა დამჭირველმა იცოდა ბოროტმოქმედის სახელი და გვარი – ჯეგე ხალდანი, მეტსახელიც კი „დირგია". მიწას გახეთქავდნენ და იქიდან ამოიყვანდნენ. ადლს სხვა კი არაფერი ევალებოდა! რაც მთავარია, ყოველი ამის შემოქმედი იყო მისი მძღოლი, არავიძეების ძველისძველი ერთგული კაცი – დურო.

უფროსისკარში შეიკეტნენ. აბიამ მდივანი გააფრთხილა, ვინც არ უნდა მოვიდეს, არ შემოუშვა, საქმე გვაქვსო. დიდხანს ჩამიჩუმი არ ისმოდა აბელ არავიძის უფროსისკარიდან, ბოლოს ერთად გამოვიდნენ იქიდან უფროსი და მისი მძღოლი და სადღაც წავიდნენ.

სად უნდა წასულიყვნენ სხვაგან, თუ არა სასაფლაოზე? აბიას სხვა გზა, სხვა რამ საზრუნავი და საფიქრალი არა ჰქონდა, ვერც შინ, ვერც გარეთ სხვას ვერაფერს აკეთებდა, გულს ვერაფერს უდებდა. როგორმე უნდა დაებოლოვებინა ეს საქმე, რადაც უნდა დაჯდომოდა, წერტილი დაესვა აღვირახსნილი საქციელისათვის. ვინ უნდა ყოფილიყო ეს ხალდანი? ნუთუ იმათი ნაშიერი, ვინც ვარლამ არავიძემ ამოწყვიტა. არავში და საერთოდ, არავის მხარეში, ამ გვარის სხვა არავინ ცხოვრობდა, მათგან თითქოს არავინ იყო ცოცხალი...

დურომ და აბიამ ნოვე მოძებნეს, – ეგებ მას სცოდნოდა ხალდანთა თავგადასავალი. ნოვე მმართველობაში კადრებს განაგებდა, სულ ზეპირად იცოდა არაველთა ვინაობა, წარმომავლობა, საქმიანობა. სოფელსაც კარგად იცნობდა და ქალაქსაც.

სხვას ვის, თუ არა ნოვეს, უნდა სცოდნოდა ხალდანთა ისტორია.

– არაო, – ნოვემ უთხრა მათ, – სოფელში მათ არ უცხოვრიათ, არავიძეთის მკვიდრნი არასოდეს ყოფილან, ჩვენ ასე ვიცითო. ისიც კი გამიგონია ხალხში, მათი წინაპარი ორი ძმა ხალდანი ჩამოსულან ძველისძველი ხალდეს ქვეყნიდან, დასახლებულან არავში, აქვე დაოჯახებულან და გამრავლებულან. აი, იმათი ნაშიერი მთლიანად, უკლებლივ ყველა, მე რამდენადაც ვიცი, ცოცხალი დღეს აღარავინ არის. იყო ერთი ბიჭი, ვინც მამაზე უარი თქვა, სასამართლოზე საჯაროდ უარყო თავისი გვარი, მოღალატე მამა არ მინდაო, დედის

გვარი მომეცითო, სთხოვა თურმე სასამართლოს. დედის გვარზე დაეწერა და სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ არავში იმასაც აღარ უცხოვრია, სადღაც გადაიკარგაო. თუ მეხსიერება არ მღალატობს, იმ ყმანვილს, ჯეგე კი არა, ჯვებე ერქვაო.

ვიღაც ტყისკაცის ამბავი, ვისაც „დირგიას" ეძახდნენ, ნოვესაც გაეგონა, ეს იყო და ეს, მეტი არავინ არაფერი იცოდა.

– ეგებ ჯეგე ხალდანი სწორედ ის ჯვებეა, ვინც თავისი გვარი უარყო... – ვარაუდი გამოთქვა ნოვემ, – მაშინ უარყო, როცა უჭირდა, დღეს კი დაიბრუნაო.

კიდევ ერთი წყეული ღამე არავიძეთის სასაფლაოზე

მაინცა და მაინც იმ ღამეს ჩამოინგრა ზეცა, ცა ფეხად ჩამოდისო, ხალხში რომ იტყვიან, იმდაგვარი წვიმა და თქეში წამოვიდა. მთელი ღამე ქუხდა, გრგვინავდა, ელავდა და კოკისპირულად ასხამდა.

დურომ მანქანა სასაფლაოს წინ, თავის ადგილას დააყენა. შავ საწვიმრებში გახვეული დამჭირველები სასაფლაოს მოედვნენ და სხვადასხვა კუთხეში ჩასაფრდნენ. მთავარდამჭირველის, რიკტაფელოვის, მანქანა სასაფლაოს არ მიკარებია, სოფლის შუკაში, სადღაც, უადგილო ადგილას ისე იდგა, ტალახში ჩავარდნილაო, იფიქრებდა შეძხედვარე.

რიკტაფელოვს შორსმხედკავშირი ჰქონდა გენერალურ დამჭირველთან, გრიგოლოვთან, ხოლო რადიოკავშირი სასაფლაოზე ვანლაგებულ დამჭირველებთან. ნაშუაღამევს კიდევ ერთი მანქანა დაწრიალებდა არავიძეთის შუკებში, მიუახლოვდებოდა სასაფლაოს, უკან ბრუნდებოდა, მოხერხებულ სადგომს ეძებდა. ეს მანქანა აბელ არავიძის ემოცდაცხრა გახლდათ. შიგ აბია და ცისმარე ისხდნენ. აბია თვითონ მართავდა მანქანას. დუროს მეტს სხვას არავის დასვამდა საჭესთან, არავის ენდობოდა, თუ დურო არ ჰყავდა, მაშინ თვითონ მიუჯდებოდა საჭეს.

აბიამაც მოძებნა მოფარებული ადგილი, შორი-ახლოს ისიც დაბანაკდა.

იმ ღამით არავიძეთის სასაფლაოზე გამოსულ ყველა მანქანას და ყველა ადამიანს საკუთარი ამოცანა დაესახათ. ვისაც არაფერი ევალებოდა, სწორედ აბია და მისი მეუღლე ცისმარე იყვნენ. თუმცა საგანგებო დავალება რიკტაფელოვს მათთვისაც მიეცა: ხელი არ უნდა შეეშალათ ოპერაციისათვის. უნდა ჩაექროთ მანქანა და ჩუმად მდგარიყვნენ მანამ, სანამ დამჭირველები არ აცნობებდნენ სასურველ შედეგს. სწორედ ისინი ვერ ჩერდებოდნენ ერთ ადგილას, მანქანას აგერ რომ დააყენებდნენ, სარკმლიდან თავგამოყოფილები სიბნელეში უაზროდ სველდებოდნენ, ვითომ მიდამოს აკვირდებოდნენ, დაძრავდნენ მანქანას, მათი ჭკუით ფრთხილად, ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ სასაფლაოს, ეგონათ, თუ ახლოს მივიდოდნენ, თავიანთ შვილს მოჰკრავდნენ თვალს. რიკტაფელოვი იძულებული შეიქნა აბია გაეფრთხილებინა რადიოკავშირით: „ნუ მოძრაობთ, ჩააქრეთ მანქანა!“

აბიამ უმალ ჩააქრო ძრავა. მანქანის სარკმელი ჩამოსწია და ღამეს მიაყურა, ცისმარემაც ოდნავ გახსნა სარკმელი, ისე ასხამდა, ნახევრადგამოღებულ სარკმელშიც კი ღვარად შემოდიოდა წყალი. გარდა წვიმის შხუილისა, გარედან სხვა ხმა არ აღწევდა მათ ყურამდე. სწრაფადვე დახურეს სარკმლები, დახუჭეს თვალები და წყვდიადში ჩაინთქნენ მთლიანად.

– დაემართება ფილტვების ანთება! – გაისმა გმინვა-ჩურჩული სიბნელეში. უჭირდათ, ძალზე უჭირდათ გაურკვეველ, აბსურდულ-დაბურდულ ვითარებაში, სიბნელესა და სიჩუმეში, თითქოს სამარეში, ხმაგაკმენდილი ყოფნა. მაშინ, როცა გული სავსე ჰქონდათ ბალღამითა და განგაშით, მზად იყვნენ გამოჭრილიყვნენ მანქანიდან, წვიმასა და თქეშს, უკუნ ღამეს არ მორიდებოდნენ, ავარდნილიყვნენ სადმე ბექზე და მთელი ხმით, ყველას გასაგონად, ეყვირათ: არ გვინდა ბოროტმოქმედის შეპყრობა, მოგვეცით შვილი!.. ცისმარე ხომ ცოცხალ-მკვდარი ეგდო მანქანაში. აბიას სულ მთლად ცეცხლი ეკიდებოდა: გულისჯიბეს უნვავდა, ბოროტმოქმედის მიერ გამოგზავნილი ახალი წერილი, რომლის არსებობა ცისმარემ არ იცოდა. წერილში კი მრგვალი, მსხვილი ასოებით ეწერა: „მოაშორეთ ბავშვი საფლავს, თორემ მოვკლავ, შურისმაძიებელი“. ეს წერილი აბიამ დღეს მიიღო. როცა დუროსთან და ნოვესთან ერთად სასაფლაო მოიარეს, მოითათბირეს: ღამის სამ საათზე ვინ

სად ყოფილიყო, ვის რა მოემოქმედა, ვის რით შეეძლო დახმარება გაეწია დამჭირველთათვის.

თათბირის შემდეგ, აბიამ არავიძეთში, თავის სასახლეს მიაკითხა, ცისმარეც იქ იყო და ახლა ცისმარესთან უნდა ეთათბირა.

წერილი ჭიშკარში იყო გაჩრილი. გამოიღო ჭიშკრის ღრეჭოდან, მიხვდა, რაც იყო და ჯიბეში ჩაიჩურთა. როცა დურომ მანქანა დაძრა, მერეც ვერ წაიკითხა, რადგან ცისმარე, შვილის მომლოდინე, აივანზე იდგა და სასოწარკვეთილი ჭიშკარს გასცქეროდა.

აბიამ ცოლისაგან მალულად წაიკითხა საზარელი სიტყვები: „მოაშორეთ ბავშვი საფლავს, თორემ მოვკლავ“.

აბიამ წერილი ადლში, პირდაპირ გენერალურ დამჭირველთან გააქანა. თვალისდახამხამებაში ჩაატარეს ანალიზები, გადაიღეს ფოტოასლები, ერთი ასლი აბიასაც არგუნეს, ხოლო დედანი საქმეში ჩააკერეს.

ასეთ ფორიაქში გაატარა მთელი დღე, ახლა იმ საზარელი წერილის ფოტოასლი გულისჯიბეში ედო.

ცისმარეს ანუხებდა, რომ მისი შვილი ასეთ ავდარში, ასეთ თავსხმაში მინდორში იყო. ოხრავდა და ნარა-მარა აღებდა ფანჯარას – ნვიმამ თუ გადაიღოო.

აბიას კი გულისჯიბეში ედო ნაკვერცხალი, რომელიც ნელა ღვივდებოდა და ცეცხლად ედებოდა მთელს ტანზე – „შვილს მომიკლავს“, სულში ჩაჭროდა შიში.

– ერთი კაცი ვიცი, აი, ასე ნვიმასა და თქეშში, მთვრალი მინდორში დანვა და დაკუტდა, – დაიჩურჩულა ისევ.

– უარესი არ დაგვემართოს! – მიახალა უცებ ცოლს. მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდა.

– ზაფხულის ნვიმაა, არ არის საშიში, ნუ გეშინია... – უკან დაიხია უმალ.

– აბა, ერთი ჩართე, გავიგოთ რას შვრებიან... – სთხოვა ცისმარემ მეუღლეს.

აბია როგორც კი გასაღებს გადაატრიალებდა და ძრავას ჩართავდა, რადიო და შორსმხედკავშირიც ირთვებოდა. თუ ვინმე იყო ხაზზე, ან თუ ბრძანებებს იძლეოდა, ყველაფერი მათ მანქანაშიც ისმოდა. ძრავის ჩართვის ნებას არ იძლეოდა ოპერაციის კომისარი

რიკტაფელოვი. აბიას დაუყოვნებლივ აფრთხილებდა, ძრავა გამორთეთო.

აბიამ გასაღები ფრთხილად გადაატრიალა, წამით ჩავრთავ და გამოვრთავო, ფიქრობდა. გადაატრიალა თუ არა, რადიოცა და შორსმხედიც ჩაირთო, ეკრანზე გენერალურ დამჭირველს მთავარდამჭირველი მოახსენებდა. ის რიკტაფელოვი არ იყო, აბია არ იცნობდა მას.

– დამჭირველთა უპირველესო! – მოახსენებდა მთავარდამჭირველი, – ენ სამხედრო გარნიზონის ოთხი პროჟექტორი ამ საღამოს ჩვენს განკარგულებაშია, გავანათეთ მთელი გზა, საიდანაც უნდა მოვიდეს ბოროტმოქმედი, განათებულია სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიაც, არსად კაცის ჭაჭანება არ არის, უკვე ხუთი საათი სრულდება, თქვენი ნებართვით, შევატყობინებ რიკტაფელოვს, მოხსნას დამჭირველთა შენაერთი და საფლავთან დატოვოს მორიგე გუშაგი.

– შეასრულეთ! – უთხრა გრიგოლოვმა და ეკრანიც გამოირთო.

– პროჟექტორები! – გაავდა აბია, – გესმის, ცისმარე, პროჟექტორები აუნთიათ.

ცისმარემ მანქანის სარკმლიდან გაიხედა.

– აქედან არაფერი ჩანს!

– პროჟექტორები კი არა, თურმე ნადირივით ფრთხილი, ტყის კაცივით უკარება არსებაა, პროჟექტორის შუქს თუ თვალი მოკრა, საერთოდ აღარ გამოჩნდება.

– ნეტა აღარ გამოჩნდეს და თავი დაგვანებოს!...

– შეხედე, თავზე დაგვათენდა. წავიდეთ შინ.

– წვიმამაც გადაიღო, – ცისმარემ სარკმელი გახსნა და დილის სუფთა ჰაერი და სიგრილე მანქანაში შემოუშვა.

აბიამ ნელა დაძრა მანქანა. შუკაში გუბეები იდგა, სოფლის გზები მოუვლელი იყო, მძღოლი თუ ვერ იმარჯვებდა, მანქანა ორმოში ჩაურჩებოდა. ორმოებსა და გუბურებს გვერდს უქცევდა და მიდიოდა, მაგრამ სად მიდიოდა, არ იცოდა, წასულიყო შინ თუ სასაფლაო და მისი შემოგარენი ერთხელაც მოეჩხრიკა, ბიჭი მოეკითხა. როგორმე უნდა მოეძებნა და დაერწმუნებინა ყმაწვილი, რომ მისი საქციელი საქმეს ვნებდა. „ეჰ, თანგულია, თანგულია“... ფიქრობდა

გუნებაში აბია. თანგულია უშლიდა ხელს, ფეხებში ებორკებოდა. აბიამ მზერა ცისმარესაკენ გააპარა, უნდოდა ეკითხა, რა ვქნათ, სად წავიდეთო. ქალს თავი ჩაექინდრა, თვლემა მორეოდა. აბიას გაუხარდა. ცისმარე ეშმაკად იყო ქცეული, არც დღე, არც ღამე არ ეძინა... უცებ თვლემა! „დაიღალა ბოლოს და ბოლოს", – გაიფიქრა აბიამ, – „ეღარ გაუძლო, რკინა ხომ არ არის, ადამიანია"... ცისმარეს თვლემამ ყველა კითხვას პასუხი გასცა – ქალი შინ უნდა წაეყვანა, უნდა დაესვენათ.

თავიანთ სასახლეს ხელათ მიადგნენ. აბია ჭიშკრის გასაღებად რომ გადმოვიდა, ცისმარეს მაშინ გამოეღვიძა და ქმარს საყვედური დააყარა:

– თანგულია! თანგულია კვლავ მინდორში დავტოვეთ! დამჭირველებისათვის მაინც გვეკითხა, საით წავიდა...

– დავისვენოთ ერთი საათი და მერე წავიდეთ, – უთხრა აბიამ ცოლს და მანქანა ეზოში შეიყვანა. ჭიშკარი დაკეტა და ოდაში ავიდნენ.

გასაღების ჩხაკუნ-ჩხაკუნით გააღეს წინკარი, ზალის კარი და შინ რომ შევიდნენ, სააბაზანოდან ხმაური შემოესმათ. ცისმარე აბაზანისკენ გაქანდა, კარი შიგნიდან იყო ჩაკეტილი.

– რომელი ხარ მანდ? – იკითხა შეშფოთებით ქალმა და ქმარს ხელით ანიშნა, აქეთ წამოდი, აბაზანაში ვიღაცააო. „ნეტა ცოცხალი აღარ ვიყო, ამდენი რამის გაგონებაც კი ყურებს უკვე აღარ შეუძლიათო", ის იყო გაივლო გუნებაში, შვილის ხმა შემოესმა.

– თანგულია ვარ, გამოვალ ახლავე!

ცოლ-ქმარი ერთმანეთს გაოცებულ-აღტაცებულნი შეაჩერდნენ, ყურებს არ უჯერებდნენ.

– აჰ, ვისი ხმა მესმის ეს? – შესძახა ცისმარემ, – მართლა თანგულია ხარ, ბიჭო?..

პასუხმა დააგვიანა. გარეთ მხოლოდ წყლის ჩხრიალი გამოდიოდა.

– ერთხელაც გამეც ხმა, შენ შემოგევლოს შენი დედა, დავრწმუნდე, რომ ნამდვილად შენა ხარ!..

– კი, მე ვარ, დედა, რა მოგივიდა! წუხელ დავსველდი ძალიან და ვბანაობ!.. ახლავე გამოვალ!

– იბანავე, შენ გენაცვალოს შენი დედა! ჩემო ბიჭო, ჩემო თანგულია! შენი ჭირიმე, შენი!.. რახან აქ ხარ, რახან მოხვედი, იბანავე, რამდენ ხანსაც გინდა, თუ გინდა, მთელი დღე იქ იყავი და იჭყუმპალავე... კარგადა ხარ, ბიჭო? არაფერი გტკივა, არაფერი განუხებს?..

ქალი აბაზანის კარს მიციებოდა და შვილს შეკითხვას შეკითხვაზე აყრიდა.

– კარგი, ჰო, კარგი ცისმარე, ვაცალოთ, გამოვა და მერე ელაპარაკე... – ფრთხილად მოჰკიდა ცოლს ხელი აბიამ. ცისმარეს გული აუჩქროლდა, ქმრის ყურადღებამ მთლად მოუთავა სული და სლუკუნი აუვარდა. თანგულიამ არ გაიგონოსო, საძილე ოთახისაკენ გავარდა, ჩაემხო საწოლში და ხმამაღლა, მოურიდებლად ატირდა.

აბია სამოსს იცვლიდა, საშინაოდ ემზადებოდა, თან ცოლის ტირილი ესმოდა. იტიროს, გულს მოიოხებსო, – ფიქრობდა. მისი გონება თანგულიაზე ფიქრს მოეცვა მთლიანად. როგორმე უნდა დაერწმუნებინა ვაჟი, რომ ბოროტმოქმედის შესაპყრობად შეძრული იყო მთელი ქვეყანა, რომ მას შემდეგ, რაც ის სახლიდან გაიქცა, მრავალი რამ მოხდა: გენერალისიმუსმა დარეკა, ვარლამ არავიძის ცხედარს მთლიანად გოგი ზედამხედველობდა. რაც მთავარია, წერილს წააკითხებდა, ეგებ წერილს უფრო ემოქმედა, ვიდრე სხვა რამეს.

აბიამ თვალი ჰკიდა, რომ ცისმარე უცებ წამოდგა საწოლიდან, თვალების წმენდით გაემართა თანგულიას ოთახისაკენ, იქიდან სასტუმრო ოთახში გავიდა, სასტუმრო ოთახიდან აივანზე, აივნიდან ისევ უკან შემობრუნდა, რაღაცას დაეძებდა კუთხე-კუთხე.

– რას დაეძებ, ცისმარე? – უკან გამოუდგა აბია.

– თოფს, – ჩურჩულით მიუბრუნდა ქმარს, – თოფი არ არის... სველი სამოსი აგერ დაუყრია, – აივანზე გაიყვანა ქმარი, – სად წაიღო თოფი? შეშფოთებული შეაჩერდა ცოლი ქმარს.

– აქ ექნება სადმე დამალული, – უთხრა აბიამ ცოლს, – ნუ გეშინია, რახან შინა გვყავს, თოფსაც მოვაძებნინებ...

– არა, აბია, შენს თავს ვფიცავარ, არ არის თოფი აქ. აბაზანაში ხომ არ შეიტანდა?..

ქალი ხან ერთ კარადაში ფათურობდა, ხან იატაკზე იწვა და ტახტის ქვეშ ხელს ჰყოფდა, ხან მაგიდის ქვეშ მიძვრებოდა.

– კარგი, ჰო, კარგი! – ძალით წამოაყენა ფეხზე ცისმარე აბიამ, – გამოვიდეს აბაზანიდან, თვითონ გვეტყვის, სად წაიღო თოფი...

თანგულია აბაზანიდან სიცილ-სიცილით გამოვიდა, მშობლები ცისმარეცა და აბიაც სახტად დარჩნენ, გაოცებულები მისჩერებოდნენ შვილს, იქით ღრენა-ღრენით, თოფით ხელში გავარდა, უკან სიცილ-სიცილით დაბრუნდა. რას ნიშნავდა ეს? ცისმარე შიშმა შეიპყრო, ღამით ბიჭს სასაფლაოზე ხომ არაფერი შეემთხვაო?..

– იცინის! – შესძახა ცისმარემ, – ბიჭო, გულები დაგვიხეთქე და შენ კიდევ იცინი! სად მიდიხარ, მოიცადე, დაგველაპარაკე!..

თანგულია თავის ოთახში შევარდა და კარი შიგნიდან ჩაიკეტა.

– ა, რას იზამ ახლა? – ცისმარემ ქმარს შეშფოთებული თვალები შეანათა.

– გააღე, ბიჭო კარი, საქმე გვაქვს შენთან! – დაუძახა აბიამ მკაცრი კილოთი და კარზე დააბრახუნა.

თანგულიამ არ უპასუხა. სიჩუმე დიდხანს არ გაგრძელებულა, აბიამ ახლა უკვე ზომაზე მეტად გაჯავრებულმა, დასცხო ხელისგულები კარს და შვილს მუქარანარევი ხმით დაუძახა:

– გააღე-მეთქი კარი!..

– კარგი, აცალე, დაისვენოს და მერე გაგვიღებს, – შეეშინდა ცისმარეს ქმრის.

– შევამტვრევ. – იყვირა აბიამ და კარს წიხლი ჰკრა, ფანჯრებმა ზრიალი გაიღეს, აბიას მრისხანება თითქოს მთელმა სახლმა გაიგო, იატაკიც კი შეინძრა.

– რას შობი, კაცო, გაგიჟდი! – ხელები დაუჭირა ცისმარემ ქმარს.

თანგულიას შეეშინდა, კარი მართლა არ შემოამტვრიოსო და გასაღები ჩხაკუნით გადაატრიალა.

ცისმარე პირველი შევარდა შვილის ოთახში.

– თოფი რა უყავი?

– რა მოგივიდათ, უნდა დავიძინო! – შეუღრინა მშობლებს თანგულიამ, – დედას შეუყეფა, დედას აუტეხა წკავწკავი, თორემ მამას შეხედვასაც კი ვერ უბედავდა, – ღამე სასაფლაოზე ხომ უნდა ვიყო? – თანდათან თავისმართლებაზე გადავიდა, – წუხელ ერთი წვეთი არ მიძინია, არ დავიძინო?..

– ბიჭო, – დაუყვავა უცებ აბიამ, – ერთ წამს მოგვისმინე და მერე დაიძინე... – დაჯექი აგერ! – აბიამ ბიჭს ხელი მოკიდა და წაიყვანა. ძალით დასვა ტახტზე.

– ცისმარე, დაგვტოვე კაცები მარტო! – სთხოვა ცოლს.

– „კაცები“. – დაცინვით ჩაიდუდუნა, – კაცები კი არა თოფი მოიტანოს, თორემ გავგიჟდები, იცოდე! – დაუბარა ქმარ-შვილს და გავიდა. იფიქრა, ეგებ მამას უფრო დაუჯეროსო, მორჩილად შეასრულა ქმრის ბრძანება.

– ა, წაიკითხე! – უთხრა ხმადაბლა, ცისმარემ არ გაიგონოსო, იქით გაიხედა, საითაც ქალი წავიდა. ამოიღო შურისმაძიებლის მიერ მოწერილი წერილის ასლი და თანგულიას ხელში ჩაუდო ოთხად გაკეცილი.

მამის ასეთმა უეცარმა ცვლილებამ ბიჭი შეაკრთო, შეშინებულმა გახსნა ნაწერი და უცებ გადაავლო თვალი.

– მერე რა! – წამოიძახა და წამოხტა, თითქოს უარესს მოელოდა და გაუხარდაო.

– ჩუმად! – გაუწყრა მამა, – დაჯექი აქ, დედამ არ გაიგოს. თანგულია მორჩილად დაჰყვა მამის ნებას. კვლავ ჩამოჯდა ტახტზე.

– გენერალისიმუსმა დარეკა, მთელი არავი და არავიძეთი ფეხზე დგას, ბოროტმოქმედს ამ საღამოს დაიჭერენ... ღამით სასაფლაოზე შენი ყოფნა ზედმეტია, ხელს უშლი ხალხს, ფეხებში ებლანდები.

თანგულია იატაკს დასცქეროდა, მამას მორჩილად უსმენდა. ხანდახან თავზე ხელს ისობდა, სველ თმას გვერდით ილაგებდა.

– სახლიდან ფეხს არ გაადგამ! გესმის? – კვლავ ბრძანების კილოთი უთხრა მამამ. თანგულიას თავი არ აუწევია, არაფერს ამბობდა.

ცისმარემ საუზმე შემოიტანა ხონზე დალაგებული და მამაშვილს სუფრა გაუშალა. ცისმარემაც არ დაარღვია დუმილი, თუმცა ენის ნვერზე ეკიდა შეკითხვა: „თოფი სად არის, ბიჭო?“

– ამოიღე ხმა, თქვი რამე! – არ მოეწონა აბიას დუმილი.

– რა ვთქვა! – მოულოდნელად უტიფარი თვალები მიაპყრო მამას ვაჟმა და კვლავ გაჩუმდა. აბიას ეს უტიფარი გამოხედვა არ მოეწონა. თანგულიამ უმალ მოარიდა მამას თვალი. თავი ჩაკიდა, არაფრის თქმას არ აპირებდა. ამასობაში ცისმარემ იმავე ხონით ცხელი ჩაი შემოიტანა, ჭიქები ჩამოდგა.

– თანგული, დედა, თოფი სად არის, შვილო?.. – გულითადად უთხრა და მთლად ახლოს მიუჩოჩდა.

ბიჭი არ პასუხობდა. დამუნჯებული იჯდა და იჯდა.

– რა უყავი თოფი! ხომ იცი, თოფის როგორ მეშინია... მომეცი თოფი მე და... შენ წადი, სადაც გინდა... – დაუყვავა ცისმარემ.

– სად არის თოფი, რომ გეკითხებიან, რატომ არ პასუხობ! – გაუწყრა აბია, – ამოიღე ხმა!

– არ მაქვს თოფი! – კუშტად მიუგო ბიჭმა, – არ მაქვს და რა ვქნა!

– რა უყავი, სად დამალე!

– იქ დავტოვე, სასაფლაოზე... იქ დავტოვე და რა ვქნა! – კვლავ მამლაყინწასავით აეძაგრა მშობლებს.

– სასაფლაოზე? – გაიოცა აბიამ. – ბაბუაშენის თოფი, საგანგებოდ ბაბუასათვის გოგში დამზადებული თოფი, ის თოფი ერთადერთია ქვეყანაზე, ბიჭო!.. და შენ სასაფლაოზე დატოვე?..

– ჰო, სასაფლაოზე, ამ საღამოს ხომ უნდა წავიდე?..

– დაგხვდება იქ! – გადაიხარხარა აბიამ, – ბავშვი ხარ და არ გესმის, რას სჩადიხარ! გითხარი ერთხელ: სხვას მაინც ნუ უშლი ხელს! ფეხებში ნუ ებლანდები-მეთქი, მთელი სადამჭირველო, მმართველობა, თვით გოგი ფეხზე დგას, ბოროტმოქმედს ვერ იჭერენ, შენ რა შეგიძლია, მარტოკას? – დაყვავების კილოთი უთხრა მამამ.

– მოვკლავ! – გამოსცრა კბილებიდან ნამდვილი მკვლელივით ბიჭმა.

– მოკლავ? – გაიოცა აბელმა.

– შენ, ჩემი ცხვირმოუხოცავი ბავშვი, ყაჩაღს მოკლავ, ბიჭო?.. – შემოვარდა ცისმარე, მარილის მოტანა დავიწყებოდა და სამარილეს იქნევდა ჰაერში.

– აქეთ რომ მოგკლას? – ჰკითხა კვლავ თანაგრძნობით აბელმა.

– მომკლას მერე, ქვეყანა არ დაიქცევა!.. – მიუგო თორნიკემ კუშტად და უშიშრად.

– შენი დედისთვის დაიქცევა, შენი ოჯახისთვის დაიქცევა, – შეიცხადა ცისმარემ.

– დაჯექი, დაჯექი და – ვითომ დაინტერესდა აბელი, – როგორ მოკლავ მაინც? ამიხსენი, როგორ მოკლავ...

– დავუძახებ, თუ ვაუკაცი ხარ, დადექი-მეთქი და ვესვრი, – უთხრა მედიდურად თორნიკემ, არ დამჯდარა, ფეხზე მდგარი, თითქოს სცენაზეაო, წარმოსთქვამდა მაღალფარდოვნად.

– აჰა, – ჩაიცინა აბელმა, – დაუძახებ, თუ ვაუკაცი ხარ, დადექი-მეთქი, ისე არ იკადრებ სროლას!

– რა თქმა უნდა, არა! – მიუგო თორნიკემ.

– რატომ, საფარიდან სროლა არ სჯობია? თუ მოახვედრე, ხომ კარგი, თუ არა და შეშინდება მაინც თოფის ხმაზე და გაიქცევა...

– საფარიდან მე ვერ ვესვრი! – გამოსცრა კბილებიდან ბიჭმა ამაყად. დედის შემოტანილ საუზმეს დანვდა და ხარბად დაიწყო ჭამა. ჩანდა, ძლიერ მოშიებოდა, ჯერ ოდნავ ნახრილი ჭამდა, შემდეგ ტაბლას მიუჯდა,

„არ ეშინია ჩემი", – გაიფიქრა აბელმა. ეტყობოდა, რომ ბიჭი კმაყოფილი იყო და ბედნიერიც. შვება მოეგვარა თამამ გადაწყვეტილებას, დაბრკოლება, ხიფათი არად მიაჩნდა, თვით სიკვდილის არ ეშინოდა.

– კარგი, ისაუზმოს, აბია, შენ შემოგევლე, მშიერია ბავშვი, ჩვენ გავიდეთ, მარტო დავტოვოთ, ისაუზმოს, მოისვენოს, საღამომდე დიდი დროა, მერე ისაუბრეთ, თანგულია ჩვენ არ გვიღალატებს, მიხვდება თავის შეცდომას. ადექი, გავიდეთ!

აბია მორჩილად წამოდგა. ვინაიდან ბიჭი მართლაც, როგორც მშიერი ძაღლი, ხორცს ეძგერა, ისე ხარბად და დაუპატიჟებლად შეექცეოდა დილის ხემსს.

მოქმედება „ქორწილი"

ვინ იფიქრებდა იმას, ასეთი ნვიმა და თქეში მოვიდოდა მაინცდამაინც იმ ღამეს, როცა არავსა და არავიძეთს სნორედ კაშკაშა მთვარიანი ღამე სჭირდებოდა. იმის ეჭვიც ჩნდებოდა, ვაითუ შურისმგებელმა დუროს ღალატი იგუმანა და იმიტომ არ მოვიდაო. დურო წვიმას ადანაშაულებდა, მაგრამ გრიგოლოვს იმასაც გადაუკრავდა, რომ სნორედ ეს „არ მოსვლა" კარგის მაუწყებელია, ამას თქვენ ერთი კვირის შემდეგ გაიგებთ, ახლა ნურაფერს მკითხავთო.

დურომ დამჭირველები გააცურა, საღამო ხანს ოპერაციის დაწყებამდე, გავარდა იოსიმეს ფუნდუკში და დაიბარა: გადაეცით ხალდანს, ამ ღამით უსათუოდ დაიჭერენ, სასაფლაოზე არ მოვიდესო. შურისმგებლის არმოსვლის მთავარი მიზეზი ეს იყო.

დუროს გაუგონია, რომ იოსიმეს ფუნდუკი იყო ბუდე ხალდანისა და მისი თანამოაზრეებისა. ყველა ავი საქმე იქ ირჩეოდა. მართალია, ეჭვობდა, გადასცემდნენ კი ამ ცნობას ხალდანს, ცდა ბედის მონახევრეაო – ანდაზას მისდია და მიაკვლია კიდეც ბუნაგს. ხალდანი მართლაც არ გამოჩნდა სასაფლაოზე, ეს იმის უტყუარი ნიშანი იყო, რომ იოსიმეს და მის ფუნდუკს მართლაც კავშირი ჰქონდათ შურისმაძიებელთან. რაც მთავარია, რახან სასაფლაოზე არ გამოჩნდა, ე. ი. დურომ მტრის ნდობა მოიპოვა. ახლა შურისმაძიებლის შეპყრობა გაადვილდებოდა, დუროს აზრით.

შურისმაძიებელი არც შემდგომ ღამეებში გამოჩნდა, თუმცა მშვენიერი ტაროსები დაიჭირა და მთვარიანი ღამეებიც ზედიზედ მიეწყო.

შეშფოთდა გრიგოლოვი, აბიას საბოდიშო წერილი დააწერინა და გოგში აფრინა.

– მე, ვარლამ არავიძის შვილი, აბია (საბუთებით აბელ) არავიძე ვარ დამნაშავე, რომ მამაჩემის ვარლამ არავიძის საფლავიდან ამომთხრელი აქამდე ვერ შევიპყარითო. თან კაცი გაგზავნეს გოგში გენერალისიმუსის თანაშემწეების მოსაქრთამავად, როგორმე გენერალისიმუსისათვის მიეწოდებინათ ცნობა, თუ როგორ ათევდა ღამეს არავიძეთის სასაფლაოზე თვითონ გენერალური დამჭირველი გრიგოლო გრიგოლოვი.

გრიგოლოვის კაცმა გოგში დიდძალი ფული წაიღო, როგორმე ჩაეფარცხა ვარლამ არავიძის საფლავიდან ამოთხრის ამბავი, უკან მეორე დღესვე, იმავე თვითმფრინავით მოფრინდა, რომლითაც წინა დღეს იფრინა და მაინც და მაინც ვერ გაახარა თავისი პატრონი.

თანაშემწეებმა ფული კი აიღეს, მაგრამო – მოიტანა ამბავი გრიგოლოვის კაცმა, – დაბეჯითებით მოითხოვენ დამნაშავის შეპყრობას, მიფუჩეჩება არ შეიძლება, ვინაიდან ხვალ ჩვენ ამოგვთხრიან საფლავიდანო.

რასაკვირველიაო, კმაყოფილი იყო გრიგოლოვი, განა არ იცოდა, გოგიდან რა პასუხი მოვიდოდა, რახან თანაშემწეებმა ქრთამი აიღეს, არაფრის მეშინია, ბოროტმოქმედის შეპყრობა ჩემზე იყოსო.

გრიგოლოვმა ქრთამი დროის მოგების მიზნით ყოველშემთხვევისათვის გაგზავნა გოგში, თორემ განა არ იცოდა, ამ საქმის მიჩუმათება ქრთამით არ შეიძლებოდა. გენერალისიმუსს ქრთამის მიცემას ვინ გაუბედავდა?..

გრიგოლოვმა ქრთამი გაიღო მხოლოდ თანაშემწეებისათვის, – იმაზე მეტი არ ეთქვათ გენერალისიმუსისათვის, რაც სინამდვილეში ხდებოდა არავიძეთში.

გრიგოლოვმა რიკტაფელოვი გამოიძახა და დაავალა:

– არის აზრი ბოროტმოქმედის შეპყრობას უშუალოდ სასაფლაოზე მე ვუხელმძღვანელო, უზრუნველყავით!

– არის! – მხედრულად გამოეჭიმა რიკტაფელოვი და უფროსისკარიდან გავიდა, მეტი არაფერი თქმულა ამის თაობაზე. რიკტაფელოვმა მთელი დღის განმავლობაში ფეხზე დააყენა არავის მხარე, ხუმრობა საქმე ხომ არ იყო, თვითონ გრიგოლო გრიგოლოვი მიდიოდა ღამით, სამ საათზე, სასაფლაოზე და მოქმედება „ქორწილს“ უხელმძღვანელებდა. „მოქმედება ქორწილი“ ერქვა ადლის ენაზე ვარლამ არავიძის საფლავიდან ამოთხრას. ადლში ანუ სადამჭირველოში ასეთ სახელებს არქმევდნენ განსაკუთრებით შესანიღბ ქმედებებს. რიგით არაველს არამცდაარამც არ უნდა გაეგო, თუ შემთხვევით ყურს მოკრავდა, რა იყო „მოქმედება ქორწილი“. მართლაც ადამიანი ვერც წარმოიდგენს, „ქორწილი“ თუ შეიძლება ეწოდოს ის საშინელებას, რასაც მკვდრის საფლავიდან ამოთხრა ჰქვიან. ამისათვის ადლში საგანგებო სამსახური არსებობდა, ასეთ სახელებს ის სამსახური არჩევდა.

როცა გრიგოლოვმა გადაწყვიტა ამ მოქმედებას სათავეში ჩადგომოდა, მის საპატივცემულოდ მოიფიქრეს ეს სახელი: „მოქმედება ქორწილი“. გრიგოლოვი აღფრთოვანდა მუშაკთა გონებამახვილობით და ვინც ეს მოიფიქრა, ერთი თვის ხელფასით დააჯილდოვა.

საქმე კარგად დაიწყო. ასე მიაჩნდა გრიგოლოვს და, რა თქმა უნდა, რიკტაფელოვსაც ასე მიაჩნდა, მაშასადამე, კარგად უნდა

გაგრძელებულიყო. „მოქმედება ქორწილი“ უნდა ჩაეტარებინათ უმაღლეს დონეზე. ამისათვის ორი რამ იყო მთავარი. რიკტაფელოვმა თავისთვის ჩამოიწერა: 1) გენერალური დაცვა, 2) სიძის კურთხევა. ასე წერდნენ ისინი და ასე მეტყველებდნენ. როცა ორი დამჭირველი საუბრობდა, მესამეს არ უნდა გაეგო შინაარსი, გუმანითაც ვერ უნდა ამოეხსნა საუბრის არსი. ნაწერიც ასეთი უნდა ყოფილიყო. რომ შესულიყავით სადამჭირველოში, ნება დაერთოთ გაცნობოდით საიდუმლო საბუთებს, სულერთია, მაინც ვერაფერს გაიგებდით, ვინაიდან ყოველი დოკუმენტი ამ მეთოდით იქმნებოდა. ვინც უშუალოდ ადგენდა საბუთს, იმის მეტს ვერავის ვერ უნდა აეხსნა, რა ეწერა საბუთში. ამას მრავალი წლების მანძილზე ასწავლიდნენ დამჭირველებს და ამიტომ დიდის ოსტატობით ქმნიდნენ საიდუმლო ქაღალდებს.

რიკტაფელოვმა უბის წიგნაკში ჩაიწერა თავისი სამოქმედო გეგმა, წესად, ჩვევად ქცეოდა დაშიფრულად ან შენიღბულად ეწერა. მამამისი გენო რიკტაფელოვი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ეტყოდა: ეგებ უბის წიგნაკი შემთხვევით დაგეკარგა და ვინმემ იპოვა, ვერ უნდა ამოიკითხონ ვინაობა უბის წიგნაკის პატრონისა, რა თქმა უნდა, საქმიანობაც... აი, მაშინ ხარ ნამდვილი დამჭირველიო. ამიტომ ჩაიწერა „გენერალური დაცვა“, რა უნდა ყოფილიყო გენერალური დაცვა?.. გრიგოლო გრიგოლოვის დაცვა, არც მეტი არც ნაკლები. სიძის კურთხევა? – ბოროტმოქმედის შეპყრობა, ეს იყო და ეს, სხვა არაფერი. ვერავის, ვერა სულიერს, შეეძლო „სიძის კურთხევაში“ ჯეგე ხალდანის შეპყრობა ამოეკითხა, შეეძლო მხოლოდ რიკტაფელოვს.

გრიგოლოვის დაცვის უზრუნველყოფა ძნელი არ იყო, გენერალურ დამჭირველს არაველი კაცი ვერ გაუბედავდა თავდასხმას, ამას მხოლოდ მთავარდამჭირველები რიკტაფელოვის „ძმები“ აკვარახჭინებდნენ: მოისყიდიდნენ თავდამსხმელს, ან უბრალო ვიღაცას შარს მოუდებდნენ, ვითომ თავს ესხმოდა გრიგოლოვს, გენერალური დამჭირველის თვალწინ გაითამაშებდნენ ფარსს, შეიპყრობდნენ ვიღაცას და საქმეს შეუყენებდნენ. ამისათვის მათ სამსახურში დანინაურება ელოდათ, ხელიდან ვინ გაუშვებდა შემთხვევას! მართალია, მავანი და მავანი მთავარდამჭირველი

დაწინაურდებოდა, მაგრამ ვისაც უშუალოდ ევალებოდა გრიგოლოვის დაცვა, იმას რა მოელოდა, არავინ დაეძებდა. რიკტაფელოვი არ იყო იმ ჯიშისა, ვისი დაბრიყვებაც შეიძლებოდა, მას ვერ გაუბედავდნენ გამოწვევას, ვერც გრიგოლოვს დაარწმუნებდნენ ჰაიჰარად, ვითომ თავდასხმას გიპირებენო. ცრუ „თავდასხმები" მეტწილად ივსიხი ნესტორის ძის „მოგზაურობებს" ახლდა. ივსიხი ნესტორის ძეს ისედაც ელანდებოდა, რომ მოკვლას უპირებდნენ, როცა დასასვენებლად ზღვისპირა აგარაკზე გაემგზავრებოდა, მისთვის განკუთვნილ საგანგებოდ მომზადებულ-შემოწმებულ ვაგონში დამჭირველები უსათუოდ ყუმბარას აღმოაჩენდნენ. ივსიხი ნესტორის ძე მის გადამრჩენელებს უხვად აჯილდოვებდა.

რიკტაფელოვს გრიგოლოვის დამცველებად საიმედო დამჭირველები, ლომივით ვაჟკაცები ჰყავდა, მათ ვერავინ გაუბედავდა თავდასხმას, მაგრამ სიფრთხილეს მაინც თავი არა სტკიოდა, მაინც გაფაციცებული უნდა ყოფილიყო. მთავარი საზრუნავი — სიძის კურთხევა იყო. რახან თვითონ გრიგოლოვი აპირებდა სასაფლაოზე ღამის სამ საათზე წასვლას, ბოროტმოქმედი უსათუოდ იმ საღამოს უნდა მოსულიყო. თუ არა და რიკტაფელოვს განცხადება უნდა დაეწერა სამსახურიდან წასვლის თაობაზედ.

რიკტაფელოვმაც არც აცივა, არც აცხელა, დურო დააპატიმრა, დამჭირველებმა გაბაწრული მიუყვანეს. ვიდრე ყველაფერი წვრილად არ გამოჰკითხა, შინ არ გაუშვა. დუროს არ ეგონა, თუ რიკტაფელოვი ამდენს გაუბედავდა, თვითონ გრიგოლოვთან ვარ შეკრული, ცხვირმოუხოცავი რიკტაფელოვი რას დამაკლებსო, ფიქრობდა, მაგრამ დემურ რიკტაფელოვმა, მამამისის ფხიანობა გამოიჩინა, კვიცი გვარზე ხტოდა, დუროს ყველაფერი დააფქვევინა და მხოლოდ ამის შემდეგ, მეორე დღეს გამოუშვა საპატიმროდან. შეშინებულმა დურომ რიკტაფელოვის თანხლებით, უშუალო მონაწილეობით, მიაკითხა ყორნისხევის ფუნდუკს და იოსიმეს უჩურჩულა, გადაეცი ხალდანს, ამ საღამოს მოვიდესო. სხვა კავშირი შურისმგებელთან მას არ ჰქონდა, რომ ჩამოეხრჩოთ, სხვას ვერაფერს იღონებდა. არც აბია იყო გულხელდაკრეფილი, როცა შვილს მარწუხით ამოქაჩა, თოფი სასაფლაოზე დავტოვე, საიმედოდ მაქვს დამალულიო, გაქანდა სასაფლაოზე და დამჭირვე-

ლებთან ერთად შეუდგა ძებნას. მთელი დღე დაეძებდნენ, ვეღარ იპოვეს. ერთი სიკეთე მაინც მოუტანა სასაფლაოზე ყოფნამ. დომენტიე ჩააცივდა:

– უიტიოვო, ამათი დაჭერილი კაცი მე არ მინახავსო, ამათი იმედით უნდა იყოო? დაადგი რკინის სასახლე და ჩამოკიდე ბოქლომიო!.. უიტივო, შენო, ბატონო აბიაო, ოღონდ თქვი და ხელათ გაგიკეთებენო...

აბია დომენტიეს ბურტყუნს ჯერ ყურადღებას არ აქცევდა. საითაც აბია წავიდოდა, დომენტიეც იქით მისდევდა.

სასაფლაოს გადაღმა ტყის მოჩხრეკა რომ მოინდომეს, დომენტიეც გაეკიდა მათ. დომენტიე ამ სასაფლაოს მცველი იყო, ჭიშკრის გასაღები მას ებარა, რაც დამჭირველებმა აქ მორიგეობა დააწესეს, დომენტიე სულ მათთან იყო, ეშინოდა, მკვდარს საფლავიდან გითხრიან, შენ რა მცველი ხარ, სასაფლაოს სხვა მცველი უნდა დავუნიშნოთო, – მეტყვიანო, ლაქუცად ქცეულიყო, სათითაოდ ყველას, ვინც სასაფლაოზე მოვიდოდა ხელისუფალთაგანი, ფეხქვეშ ეგებოდა. აბიას რომ თვალს მოკრავდა, მერე აღარ შორდებოდა, უკან-უკან დასდევდა, ათას რჩევას აძლევდა, ისედაც შეჭირვებულს გულს უწყალებდა. – კაცო, რას მომსდევ, მოსაშარდავად მივდივარო, – მიაყვირა ერთხელ მოთმინებადაკარგულმა აბიამ. საფლავზე რკინის სასახლის სასწრაფოდ დადგმა და ბოქლომის ჩამოკიდება ჭკუაში მაინც დაუჯდა.

ჯერ რიკტაფელოვს ჰკითხა რჩევა, შემდეგ გრიგოლოვთანაც წავიდა, მაგრამ მტკიცე უარი მიიღო ორივესაგან. რკინის სასახლის დადგმა საფლავზე თითქმის არაფერს ნიშნავს, ბოროტმოქმედი უსათუოდ უნდა შეეპყროთ, რკინის სასახლის დადგმა ახლა უკვე ხელისშემშლელიც კი არისო, – უთხრეს.

* * *

გრიგოლოვის მოსვლა არავიძეთში და სასაფლაოზე ღამის გათევა არნახული, არგაგონილი ამბავი იყო სოფლისათვის, დაჯერებაც კი ჭირდა, რომ გენერალური დამჭირველი მივიდოდა სოფლის სასაფლაოზე, ღამის გუშაგივით გაეხვეოდა ლაბადაში, თოფს მოიმარჯვებდა და ბოროტმოქმედს დაელოდებოდა.

თუ გრიგოლოვი მართლა მივიდოდა ღამის სამ საათზე სასაფლაოზე, აბიასაც ხომ უნდა ეღონა რაიმე. ვინ დაანება აბიას გრიგოლოვი! ჯერ ნოვე მივიდა აბიასთან და უთხრა:

– როგორ, ადამიანო, გრიგოლო გრიგოლოვი ნამდვილად ჩამოდის არავიძეთში და მე არაფერი ვიცი? – საყვედურობდა მეგობარს, – ბატონო აბელ, თუ მართლა გადაწყვეტილია გრიგოლოვის ჩამოსვლა არავიძეთში, მე უნდა შევუდგე მზადებას, მართალია, ყველაფერი მაქვს, მაგრამ მომზადებას ხომ უნდა დრო! ყველანი, უკლებლივ, ჩემთან მოხვალთ, აბა, მართლა სასაფლაოზე ხომ არ გაათევთ ღამეს!.. იქ დავტოვოთ ორი-სამი კაცი და დანარჩენები ჩემთან! პატივი უნდა ვცეთ გრიგოლოვს, ხომ ასეა? ჯერ ნოვე არ იყო გასული აბიას უფროსისკარიდან, როცა ზენონი შემოვარდა:

– მართლა მოდის გრიგოლოვი არავიძეთში?.. ბატონო აბიავ, არ გამომჭრათ ყელი და გრიგოლოვი არავიძეთიდან არ გაუშვათ ისე, ჩემს სახლში არ გამოიაროს. ჩემი სახლი ხომ ზედ, არავიძეთის გზაზეა!..

– კაცო, შენი სახლი გზაზეა, ჩემი კიდევ ზედ სასაფლაოსთანაა, – გაწყრა ნოვე, არ მოეწონა ზენონის ჩარევა ამ საქმეში.

– მაშდამე, არა, მე არა... იმიტომ კი არა... – დაიბნა ზენონი, არ ეგონა თუ ნოვეს ეწყინებოდა, – ჯერ შენთან მოვიდნენ, მაშდამე... იქეიფონ, დრო გაატარონ, მოვალ და გადმოვიპატიჟებ, რა არის აქ საწყენი?! მე მინდა აბიას ვცე პატივი, თორემ მე და შენ გრიგოლოვი სულ არ გვჭირდება!.. – გაელაქუცა ნოვესაც ზენონი.

– კი, კი, მართალი ხარ! – უცებ გაახსენდა ნოვეს, თუ რისთვის პატიჟებდნენ გრიგოლოვს და კვერი დაუკრა ზენონს.

აბიას მოსწონდა, კმაყოფილი იყო ნოვესა და ზენონის გამეცადინებითა და მონდომებით, უსათუოდ მიენვიათ შინ გრიგოლოვი. იმასაც ხვდებოდა, ერთგულ კაცებს თუ რა ედოთ გუნებაში. გრიგოლო გრიგოლოვმა დიდი პატივი სცა აბიას, გოგში დიდძალი ფული გააგზავნა გენერალისიმუსიის თანაშემწეების მოსაქრთამავად, – ვინმეს ხომ უნდა აენაზღაურებინა? აბიასგან გრიგოლოვი ქრთამს ვერ აიღებდა, ზენონსა და ნოვეს კი უარს არ ეტყოდა, თუ, რასაკვირველია, მარჯვედ და მოხერხებულად გადასცემდნენ „კუთვნილ“ ფულს.

არავიძეთა სასაფლაოზე გრიგოლოვის მისვლა და იქ ღამის თევა, სწორედ რომ კარგი შემთხვევა იყო გადასაპატიჟებლად. შინ რომ მიიყვანდნენ, მერე ადვილი იყო ქრთამის გადაცემა. თორემ

თუ უგერგილოდ, უადგილოადგილას ან უდროოდროს მისცემდა ვინმე ქრთამს, – გრიგოლოვი ბრაზობდა, მრისხანებდა და ქრთამის გამღებს შეპყრობით ემუქრებოდა. მაგოგის ქვეყანაში საგანგებოდ იკრძალებოდა მექრთამეობა, გენერალისიმუსის ყურამდე თუ მიაღწევდა, ვინმემ დამჭირველთაგანმა ქრთამი აიღოო, სამუდამოდ იღუპებოდა, თანამდებობის პირებს სიკვდილითაც კი სჯიდნენ ქრთამის აღებისათვის. მიუხედავად ასეთი მკაცრი კანონისა, მექრთამეთა სასტიკი დევნისა, ყოველი მეორე ადამიანი მექრთამე იყო. უქრთამოდ არა საქმე არ კეთდებოდა. გრიგოლო გრიგოლოვიც გამონაკლისი ვერ იქნებოდა, მაგრამ ვინაიდან ახალი კაცი იყო, ფრთხილობდა, ყველას ვერ ენდობოდა. ნოვე და ზენონი სწორედ ხელახლა შესწავლილ-დამუშავებული ჰყავდათ დამჭირველებს. ორივე საიმედო ქრთამის მიმცემად იყო ცნობილი.

აბიამ გრიგოლოვის გადაპატიჟება დუროს მიანდო, პირველ სიტყვას დურო ეტყოდა, შემდეგ აბია წარუძღვებოდა სტუმარს ნოვეს სახლისაკენ. დურო სასაფლაოს წინ მდგარ ემცხრას ვერ მიატოვებდა, ბოროტმოქმედი იმ მანქანასთან უნდა მისულიყო, დურო და მისი მანქანა – სატყუარად ექციათ შერისმგებლისათვის. შურისმგებელი მოვიდოდა თუ არ მოვიდოდა, დურო ღამის სამ საათიდან დილის ექვსაათამდე სასაფლაოს წინ უნდა მდგარიყო.

იმ დღეს მზის ჩასვლა ადლის მუშაკთათვის საიდუმლო ნიშანი იყო. მზის ჩასვლისთანავე იწყეს ჩასვლა არავიძეთში. თითოთითოდ, შეუმჩნევლად უნდა ჩასულიყვნენ სოფელში, ჩუმადვე უნდა მოდებოდნენ სასაფლაოს, მთელ სოფელს. არცერთი ოდა, სამზადი, შენობა-ნაგებობა მოთვალთვალის გარეშე არ უნდა დარჩენილიყო. ყოველი გზა, შუკა, გზაწვრილი, სოფელში შემოსასვლელი, ყოველი ბილიკი უნდა შეეკრათ.

რახან ადლის უფროსი, თვითონ გენერალური დამჭირველი მონაწილეობდა „მოქმედებაში“, მთელი ადლი აქ იყო. რიკტაფელოვს გენერალური დამჭირველის საგანგებო დამცველთა ოცეულიც შეექმნა და მეთაურიც დაენიშნა. ყველა დამჭირველი გრიგოლოვის დამცველი არ იყო? მაინც ევალებოდათ საგანგებო დამცველთა რაზმის შექმნა, გრიგოლოვის მანქანას საერთოდ არ სჭირდებოდა დაცვა. ტყვია არ ეკარებოდა. მანქანის მინებიც

კი ტყვიაგაუმტარი შეექმნათ. არამარტო გრიგოლოვი, ყველა თეთრკოსტუმიანი, ყველა თანამდებობის პირი ასეთ მანქანაში იჯდა, ყუმბარას თუ ესროდით, თორემ ჩვეულებრივი შაშხანის და რევოლვერის ტყვია, იმ მანქანებში მსხდომთ ვერას დააკლებდა. გრიგოლოვის მანქანისთვის მაინც, საგულდაგულოდ, მშვიდობიანი ადგილი შეერჩიათ, ყოველშემთხვევისთვის, თუ სასაფლაოზე თოფი გავარდებოდა, გრიგოლოვს ეს არ უნდა გაეგო. დაცვაც იქვე ჩასაფრდა და მოემზადა ბოროტმოქმედთან შესახვედრად.

გრიგოლოვის მანქანა არავიძეთში ჩუმად, უხმაუროდ უნდა შემოსულიყო, სათანადო აღჭურვილობა გრიგოლოვის მძღოლს გააჩნდა, ძრავის ხმაურსაც კი გააქრობდა, თუ დასჭირდებოდა. აბია თავისი მანქანით მაინც შეეგება გრიგოლოვს, პატივისცემა მისი მობრძანებისადმი ხომ უნდა გამოეხატა? – რიკტაფელოვის განკარგულებას არ დაემორჩილა და როგორც დიდკაცთა ნესია, სოფელში შემოუძღვა, სასაფლაომდე მიაცილა. გრიგოლოვი არავიძეთში ადრე ჩამოვიდა. ველარ მოითმინა, ღამის სამ საათს ველარ დაელოდა, დაღამდა თუ არა, არავიდან გამოვიდა. ოცი-ოცდაათი წელი გასულიყო, რაც ასეთ ოპერაციაში მონაწილეობა არ მიეღო. რაც თანამდებობის პირი გახდა, ვინ აკადრებდა დამნაშავის დევნასა და ძებნას. ამისთვის მას უამრავი ხელქვეითი ჰყავდა, გენერალურ დამჭირველს არ შეეფერებოდა, ქურდებისა და ყაჩაღების ხელების გადაგრეხა. „ოპერაცია ქორწილი“ სულ სხვაგვარი, არნახული, არგაგონილი ოპერაცია გახლდათ და ამიტომ დაიკისრა მისი ხელმძღვანელობა. ბრძანებების წერის გარდა, უკვე მას აღარაფერი შეეძლო, მაგრამ ამას არ იმჩნევდა. რიკტაფელოვის იმედით მოდიოდა აქეთ. მართლაც, დემურ რიკტაფელოვს ყველაფერი მოემზადებინა, გრიგოლოვს ევალებოდა თავის მანქანაში მჯდარიყო, იქ მოახსენებდნენ სასაფლაოზე ყოველი გაფაჩუნების მიზეზს.

გრიგოლოვის შავი ემოცდაცხრა საგანგებოდ იმ საღამოსთვის აღეჭურვათ დამატებითი მოწყობილობით. მანქანაში მძღოლის გარდა, ამ აპარატების მსახური ინჟინერი იჯდა, რადიო, შორხედვა, საიდუმლო სიგნალები, პირდაპირი კავშირი ადლთან, სამხედრო ნაწილებთან, ყველაფერი ეს ინჟინერს უნდა უზრუნველეყო საჭიროების შემთხვევაში.

ზაფხულის თბილი ღამე იყო, ნიავი დაჰქროდა სასაფლაოს მიდამოში და ჩაყურუმებული აკაციის, თხმელის, ბჟოლის ფოთლებს შავად ალივლივებდა. ნელი შრიალი გაისმოდა არე-მარეში.

გრიგოლოვი თავის მანქანაში, უკან, საზურგეს მიყრდნობილი იჯდა და წინ აპარატებს გასცქეროდა, სადაც ხანდახან იფეთქებდა ნითელი შუქი და რიკტაფელოვის ხმაც მოჰყვებოდა ამ ხმას:

– ისარო, რატომ დამეკარგე თვალთახედვიდან!..

უცებ ინჟინრის პულტი ახმაურდა, ინჟინერმა შორმხედი ჩართო, ჯერ რიკტაფელოვის შეშფოთებული ხმა გაისმა მაგოგის ენაზე:

– ვინ არის ეს?

შორმხედის ეკრანზე შარა-გზაზე მომავალი მანქანა გამოჩნდა.

– ჩვენი თანამშრომელია. – გაისმა პასუხად.

– ვისთან მოდის, რა უნდა?..

– გავაჩეროთ?..

– კითხვა უნდა ამას? – რიკტაფელოვის ხმაში რისხვა გამოკრთა, – ისარო, რისთვის დგახართ თქვენ მანდ!..

მანქანის პატრონი უმალ დააპატიმრეს, ჯიბეები გაუჩხრიკეს, ხელები ზურგზე დააწყობინეს და დემურ რიკტაფელოვს მიჰგვარეს სასაფლაოზე.

ის ნოვე იყო. გულსა ვერ მოუთმინა, შინ ვერ გაჩერდა, გრიგოლოვის დასაპატიჟებლად გამოვიდა ამ ღამით თავის ეზო-კარიდან, შარა-გზაზე მანქანამ როგორც კი გაჰყო ცხვირი, გააჩერებინეს. ნოვემ მაშინვე უთხრა დამჭირველებს, თუ რისთვის გამოვიდა თავის ეზოდან, რისთვის დაარღვია რიკტაფელოვის ბრძანება, მაგრამ აღარ მოუსმინეს, წესრიგის დამრღვევი დემურ რიკტაფელოვს მიჰგვარეს. კაცმა რომ თქვას, ნოვესაც ეს უნდოდა. ჩაჭიდა რიკტაფელოვს ხელი, გამოიყვანა მანქანა-სამეთაუროდან და სოფლისაკენ გაახედა.

– პატივცემულო, გენოსძევ, ეგერ გაჩახჩახებული სახლი რომაა, ხომ ხედავთ იმას?.. – სოფელს უკვე ძინავს, ის ელექტრონით გაჩახჩახებული სახლი თქვენ გელოდებათ, უთხარით თქვენს უფროსს და წამოიყვანეთ, აქ ერთი-ორი გუშაგი დატოვეთ, ეყოფა აქაურობას, არავინ მოვა აქ!.. აბია კია შეპირებული, მაგრამ ამდენ ხანს რომ არ მოხვედით, ვერ დაველოდე და წამოვედი... რა პურმარილი მაქვს გაშლილი? ერთი კვირაა ვემზადები... ყელი არ

გამომჭრათ, არ ქნათ, არ მოხვიდეთ!.. – რიკტაფელოვის გარშემო სიბნელეში მორიალე დამჭირველებს უთხრა ნოვემ, მანქანა-სამეთაუროშიც შეიხედა და შესძახა:

– ყველას გპატიუებთ, ყველას! ეზოში ორასი კაცის სუფრაა გაშლილი!..

– მომაშორეთ ეს კაცი! – იყვირა რიკტაფელოვმა, – მოკიდეთ ხელი და აბიას მიუყვანეთ, – უბრძანა დამჭირველებს, არ გამოუშვას მანქანიდან, თორემ მართლა დავაპატიმრებ, – მიაძახა უკან, – ხელს გვიშლის ამხანაგი ნოვე!..

ნოვეს იქით-აქეთ ამოუდგნენ და აბიას მანქანისაკენ გააქანეს.

რიკტაფელოვი მანქანა-სამეთაუროში შებრუნდა და გრიგოლოვს მოახსენა, რაც მოხდა.

– ჰა, ჰა, ჰა! – მოულოდნელად გადაიხარხარა უფროსმა. გრიგოლოვის ხარხარმა რიკტაფელოვი, ცოტა არ იყოს, დააბნია, არ მოელოდა ამას, ვერ გაიგო, რატომ იცინოდა გენერალური დამჭირველი.

– აჰ, გაჩახჩახებული სახლი! აჰ, ორასკაციანი სუფრა, ეზოში! ყოფნა არყოფნის დროს! ყოჩაღ, მოფიქრება არ გინდა?! შიშისგან ვკანკალებთ, კაცმა არ იცის, რა მოგველის, რამდენი ბანდიტი დაგვესხმის თავს, აგერ, თურმე, ჩვენს გვერდით, გაჩახჩახებული სუფრაა გაშლილი ორასი კაცისთვის! ნამოდი, მაჩვენე! შევხედოთ მაინც ჩვენთვის გაშლილ სუფრას!.. გრიგოლოვი მანქანა-სამეთაუროდან გამოვიდა, რიკტაფელოვმა იმ ფერდობიდან გადაახედა, საიდანაც ნოვემ ნელან უჩვენა თავისი ეზო-კარი.

გრიგოლოვი ბავშვივით აღტაცებული გასცქეროდა ელექტრონით გაჩახჩახებულ ნოვეს კარ-მიდამოს, აქედან ისიც კი მოჩანდა, როგორ მიმოდიოდნენ გრძლად გაჭიმულ მაგიდებს შორის სუფრის მომსახურენი.

მალე მათ აბია და ნოვე მიადგნენ. სასაფლაოს მიდამოებში ისეთი ღამის სიჩუმე იდგა, გრიგოლოვის ხარხარი კი არა, ჩურჩულიც კი მთელ სასაფლაოზე გაისმოდა. გრიგოლოვმა რომ გადაიხარხარა, აჰ, გაჩახჩახებული სახლი, აჰ, ჰა, ჰა!.. ორასკაციანი სუფრა ეზოშიო, კარღია მანქანიდან გამოიჭრა მისი მკივანა ხმა და მთელ სასაფლაოზე გაისმა.

აბიამ და ნოვემ გრიგოლოვის ხმა გარკვევით გაიგონეს მანქანაში და სწრაფად გამოჰყვეს თავები ფანჯრებიდან, ჩაბნელებულში მდგარ გრიგოლოვის მანქანისაკენ გაიხედეს, სიბნელეში თვალი ჰკიდეს გრიგოლოვის შავ აჩრდილს, გადამდგარს ფერდობზე, ნოვეს სახლისაკენ მომზირალს. აბიასა და ნოვესაც ეს უნდოდათ, სწრაფად მიატოვეს მანქანა და სიბნელეში ფერდობზე გადამდგარ გრიგოლოვისა და რიკტაფელოვის აჩრდილებს გვერდით ამოუდგნენ. გრიგოლოვმა აბია რომ დაინახა, სუფრით აღტაცება გაუქრა. უცებ გონს მოეგო წესრიგისა და კანონის დამცველი. არ შეიძლებოდა ახლა საქეიფოდ წასვლა, კაცს მამას უთხრიდნენ საფლავიდან, რაღა დროს ქეიფი და დროსტარება იყო!

მაგრამ საკვირველი სიტყვები – გულისწადილის გამომხატველი, თვითონ აბელ არავიძემ თავის პირით არ უთხრა?..

– უპირველესო, – მიმართა აბიამ გრიგოლოვს ადლის ენაზე, – „დამჭირველთა უპირველესო" უნდა ეთქვა, მაგრამ „უპირველესიც" გაუხარდა.

ვარლამ არავიძის შვილისაგან, მხარის მმართველობის უფროსის მოადგილისაგან თქმული „უპირველესო" სხვაგვარად ჟღერდა, სხვა ძალმოსილება ახლდა.

– თქვენი მობრძანებით ხარობს მთელი არავიძეთი, თქვენ გგონიათ მარტო ნოვეს სახლი გელოდებათ? აგერ, კიდევ ერთი გაჩირაღდნებული სახლი! – აბიამ გრიგოლოვს მხარიმხარზე მიადო, ხელი სხვა მხარეს გაიშვირა, – იქაც თქვენ გელოდებიან, ისიც ჩვენი თანამშრომელია! ზენონ აღაოღლიშვილი! ხალხს მოსწყურდა თქვენი პატივისცემა!

– ოპერაციის შემდეგ! ახლა არ შეიძლება! – თითქოს გულისწადილს მიუხვდნენო, დარცხვენით თქვა გრიგოლოვმა, – ოპერაციის შემდეგ უსათუოდ წამოვალ, მე მიყვარს ხალხში ყოფნა!

– ოპერაციამდე ჯერ ხუთი საათია, – სთხოვა აბიამ, – მინდორში ხუთ საათს ჩემი საქმისათვის მე თქვენ ვერ გაგაჩერებთ, წამობრძანდით, ჯერ ნოვესთან მივიდეთ, შემდეგ ზენონთან, აქ გუშაგები დავტოვოთ, თუ მართლა მოვიდა ბოროტმოქმედი, შეგვატყობინებენ. მთავარია მოვიდეს, თორემ, ბოლოს და ბოლოს, იმას მარტო ჩემი მძღოლი, დურო, ეყოფა...

– აჰ? – თითქოს ჭკუაში დაუჯდაო, სიბნელეში აბიას თვალები მოძებნა, ჯერ შეჩერდა და მერე ნელანდებურად გადაიხარხარა:

– აჰ! ჰა! ჰა!.. – თურმე ამისი ყოფილა, ამისი მოგონილი!.. – რიკტაფელოვს უხსნიდა, – ორასკაციანი სუფრა ეზოში, აბიას მოგონილი ყოფილა! განა ეს საკვირველი არ არის? ეს მხოლოდ ამ კუთხეში შეიძლება მოიფიქროს კაცმა, ასეთი გასაჭირის დროს, სუფრა და დარდის გაქარვება! წითელი ღვინო თუ თეთრი არაყი? – კვლავ აბიას მიუბრუნდა.

ნელანდებურად ამჩატდა, ახუნტრუცდა გრიგოლოვი!

– უნდა წავიდეთ! უსათუოდ უნდა წავიდეთ!.. დაე, ხვალვე გამაგდონ სამსახურიდან, ასეთ შემთხვევას ხელიდან ვერ გავუშვებ! – შესძახა მან და პირდაპირ დაეშვა თავდაღმართზე, – მომყევით! მიაძახა უკან დარჩენილებს.

რამდენიმე მანქანა ერთბაშად დაიძრა და უკან მიჰყვა გრიგოლოვს. რიკტაფელოვი სამართავ პულტთან დადგა და ახალი ბრძანება გასცა: უფროსი დამჭირველების სერგოსა და ჟორას რაზმები გუშაგებად უნდა დარჩენილიყვნენ ვარლამ არავიძის საფლავთან, სასაფლაოს წინამო არ უნდა დაეტოვებინა, აგრეთვე, არავიძეთა მძღოლს დუროს. დანარჩენებს, ადლის ყოველ მსახურს ევალებოდა გენერალური დამჭირველის დაცვა. სადაც ის იყო, დამჭირველებიც იქ უნდა ყოფილიყვნენ.

სერგოსა და ჟორას რაზმები ჩასაფრებულები იყვნენ სწორედ შიგ სასაფლაოში, საფლავებს შორის საგანგებოდ ამოთხრილ ორმოებში. რიკტაფელოვის ახალი ბრძანება მათ სანგრებში ისე გაისმა, როგორც შვება, თავისუფლება, სასიხარულო ამბის უნყება. რა თქმა უნდა, თუ გენერალური დამჭირველები და თეთრკოსტუმიანი უფროსები საქეიფოდ წავიდოდნენ, სერგოსა და ჟორას რაზმებსაც ეძლეოდათ თავიანთ სანგრებში თავისუფალი ქცევის უფლება.

მართალია, არყის სმა საერთოდ იკრძალებოდა არავის მხარეში, მაგრამ სასაფლაოზე ღამის გუშაგებს არაყი ჯიბით მიჰქონდათ. როცა უფროსობას გაიგულებდნენ, გამოიბრუჟებოდნენ არყით, გაეხვეოდნენ ლაბადებში და იძინებდნენ.

ახლაც ასე მოხდა, ყველამ გამოაძვრინა თითო ბოთლი არაყი და თუ უფროსები ნოვეს სახლში შეუდგნენ ყანწით ღვინის სმას, აქ, სასაფლაოზე პირდაპირ ბოთლით იწყეს პირში არყის ჩასხმა.

სერგომ იცოდა, რომ უფროსების შიშით ჟორა არაყს ამ საღამოს არ დალევდა, ამიტომ მისი ეშინოდა, ხვალ რიკტაფელოვთან დამასმენსო, თავისი სანგრიდან ამოღოღდა, გავიდა ჟორას სანგარში, ჯიბის ფანრით მოძებნა ჟორა, ყველა მის რაზმელსაც მიანათა, ვეფხვებო, ხომ კარგად ხართო, – ხვიხვინი ასტეხა.

სერგოს გადმოსვლამ ჟორას რაზმელებში ურიამული გამოიწვია. მიხვდნენ, რისთვისაც მოსულიყო სერგო.

სერგომ არც აცივა, არც აცხელა, უბიდან არაყი ამოიღო, ბოთლი მაღლა შემართა, ჟორას რაზმელებს ყველას დაანახვა. თითქოს არყის გამოჩენას ელოდებოდაო, შავად მოქურუხებული ზეცაც გაიპო და ღრუბლებიდან მთვარემ გამოიხედა.

– ა, ხომ ხედავთ, მთვარეც ამოვიდა, – თქვენს პურის ჭამას გაუმარჯოსო! – კვლავ მოურიდებლად გადაიხვიხვინა სერგომ.

– სსს, ბიჭო, გაიგონებენ! – ჟორამ გაიხედ-გამოიხედა, ორმოსანგარი ჭიპამდე სნვდებოდათ, შიგ უნდა მსხდარიყვნენ გაუნძრევლად, ხმის ამოუღებლად. სერგო არაფერს დაგიდევდათ, ხელში არყის ბოთლს ათამაშებდა და ბიჭებს საქეიფოდ აღაგზნებდა.

– ვინ გაიგებს, ყველანი საქეიფოდ წავიდნენ, ჩვენც გადავკრათ თითო ჭიქა, ეწყინება ?ითომ ვარლამ არავიძეს? – გადაიხარხარა წეღანდებურად.

თეთრი პური წითელ ღვინოში ჩამბალი – ბოღლიწო, თუ გინახავთ, იმ ბოღლიწოსფერი ლოყები ჰქონდა სერგო-დამჭირველს. ხა̄დახან ეს ლოყები ულურჯდებოდა. როცა სასმელი მომაკლდება, მაშინ მილურჯდებაო, – ხუმრობდა. ახლაც, მთვარის შუქზე, ბოღლიწოსფერი ჩაბიჟვინებული ლოყები გალურჯებოდა, ხან ერთს, ხან მეორეს ადებდა არყის ბოთლის თავს, საცობს კბილებით აძრობდა.

ერთმა რაზმელმა სახელდახელოდ ჭიქა მიაწოდა. სერგომ ჭიქა გააპიპინა, თუმცა სურვილისაგან ტუჩები უთრთოდა და ხელიც უკანკალებდა, მაინც ჟორასკენ გაიშვირა არყიანი ხელი და ჭიქა მთლად ცხვირთან მიუტანა.

– უუჰ, – შესძახა ჟორამ, ტანში გამბურძგლაო, იმდაგვარად დაიმანჭა, – მაგის დამლევი მე არა ვარ! – პირი გვერდით მიაბრუნა.

– მე შემერგოს შხამად! – აღტაცებით შესძახა სერგომ და გადაკრა. ცოტა ხანს იქშინა, ტუჩ-პირი იწმინდა, შემდეგ ერთი

ამოისუნთქა და ისევ აპირებდა არყის დასხმას, რომ ზურგს უკან შემოესმა საკუთარი სიტყვები:

– მეც შემერგოს შხამად! – მიხედა, იმ რაზმელს, ვინც ნელან ჭიქა მიანოდა, ბოთლი მოეყუდებინა და რაკრაკით სვამდა.

– გაგიუდით, ხალხნო! – სანგრიდან ამოხტა ჟორა, თავზე დაადგა სერგოს და ახლა ზემოდან დაუწყო შეგონება, – მართლა რომ მოვიდეს ბოროტმოქმედი, რას შვრებით მერე?

სერგომ ახლა უკვე მშვიდად, ხელის აუკანკალებლად, გააპიპინა მეორე ჭიქა და კვლავ გაუწოდა ჟორას.

– ამასაც არ დალევ? – ჰკითხა მეგობარს, – შენ გგონია, აქ ვინმე მოვა? შეხედე, რამხელა მთვარე ამოვიდა! ასეთ მთვარიან ღამეში ვინ გიჟი ამოთხრის მკვდარს, ხომ დაინახა ვიღაცამ. დალიე, დროზე დალიე! ხომ იცი, სავსე ჭიქის ყურება მიჭირს...

– აჰ, მე არა, – პირი მიაბრუნა კვლავ ჟორამ.

– მე შემერგოს შხამად... – თქვა მყისვე სერგომ და გადაკრა. – რა დაგემართა ბიჭო, შენ როდის არ სვამდი? – ჰკითხა ჟორას.

– ლოთი კი არა ვარ, ცარიელა არაყი დავლიო.

– აბა? – გულუბრყვილოდ ჰკითხა და მეგობარს უკვე მთვრალი სიფათი უაზროდ მიაპყრო. – მე შემერგოს შხამად, თქვა და კვლავ დაისხა.

– რას შობი, რას! – მოთმინება დაკარგა ჟორამ და ხელში ეცა.

– ხელი! – იყვირა სერგომ, – ხელი-მეთქი, გეუბნები! თვალები დაუბრიალა.

სერგომ კვლავ გადაუშვა არაყი და გაჟინჟღილებულ სახეზე ხელის გული ჩამოისვა.

– მე შემერგოს შხამად! – შემოესმა სერგოს ახლა საკუთარი სანგრიდან, იქაც არაყს დაუფარავად ისხამდნენ ხახაში.

– ფუი, თქვენი! – შეუკურთხა ჟორამ ლოთებს და საფლავებს შორის გაილანდა მთვარიანში, სასაფლაოს შემოსასვლელისკენ გაემართა, იქ დუროსთან ჩავჯდები მანქანაში, მაგათ ღორმუცელობას ვერ ვუყურებო.

– ოჰ, ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! – გამოხტა დურო მანქანიდან და ჟორას გახარებული შეეგება. დუროს სულ მთლად ნამდვილი პურმარილი წამოუღია. მანქანის თავსარქველზე გაზეთი გადაუ-

ფარებია და ზედ კოხტა სუფრა გადაუშლია: არაყი, პური, ხორცი, მწვანილი.

– სითამამისათვის! სითამამისათვისო!.. – უთხრა დურომ ჟორას და არყით გაპიპინებული სირჩა მიართვა.

ჟორამაც არ დააყოვნა, რახან დუროც ეპატიჟებოდა, დუროც არ ერიდებოდა არყის სმას. მე რა წითელი კვერცხი ვარო, თვალისდახამხამებაში გადაჰკრა.

– მე ვიფიქრე, ბიჭებს დავუძახებ-მეთქი და არ გამომეცხადე?.. – გახარებული იყო დურო, ხელები მოიფშვნიტა, დაისხა და დალია.

– გრილა, ხომ იცი, კაია ახლა არაყი!..

ჟორას დაუსხა მეორე ჭიქა.

– იქაც სვამენ! – ჩაიდუდუნა ჟორამ დამნაშავესავით.

– სად იქ? – ჰკითხა დურომ, – სერგო დაფიჟვინებული არაყს ისხამს ალბათ კუპრის ყიაში, მაგას არ ჰქვია სმა! ნამდვილი ჭამა-სმა თუ გინდა, ე, იქ არის, ნოვეს სუფრასთან!..

დურომ ნოვეს ელექტრონით გაჩახჩახებულ კარ-მიდამოს ერთხელაც გახედა ნაღვლიანად, ხორცის მოზრდილ ნაჭერს წინა კბილებით მოაგლიჯა ლუკმა და ნაჭერი კვლავ გაზეთის სუფრაზე დააგდო.

ჟორამაც გადაიხედა ქირს, სოფლისაკენ. გაზეთს ყური ჩამოახია, ტუჩი მოიწმინდა და დუროს უთხრა:

– წავედი, თორემ იქ ახლა მრავალჟამიერს წამოიწყებენ!

სასაფლაოდან უკვე გარკვევით მოისმოდა სადღეგრძელოები. ორივე სანგრის რაზმელებს თავიანთი სასმელები შეუერთებიათ, მდელოზე გაუშლიათ სუფრა და ნამდვილ სადღეგრძელოებს წარმოსთქვამენ.

თანგულია მთელ ამ ამბავს მაღლიდან გაბოროტებული დასცქეროდა თოფით ხელში. სასაფლაოს გადაღმა ტყიან ფერდობზე ერთი ხის ძირას ჩასაფრებულიყო თავისი მოკლელულიანი „არავიძულით“.

დიდი იმედი ჰქონდა ამ თოფისა, თოფი ხომ საგანგებოდ ვარლამ არავიძისთვის იყო დამზადებული გოგში და ზედ ლათინურად და მაგოგის ენაზე ეწერა „არავიძული“.

ამ თოფს აღმტაცი წარსული ჰქონია, თოფის ბიოგრაფია გადაჯაჭვული ყოფილა ვარლამ არავიძის ბიოგრაფიასთან. ამიტომ უფრთხ-

ილდებოდნენ თოფს ვარლამის ნაშიერნი. თვითონ ვარლამსაც თავს ერჩია თურმე თოფი და თანგულიასთვისაც ამიტომ უსახსოვრებია.

თოფი არც გარეგნობით, არც შიდაობით სხვა თოფებს არ ნამგვანარა. მსოფლიოში ცნობილი მეიარაღეების სახელოსნოში დაუმზადებიათ მთლად გენერალისიმუსის თხოვნით.

დამჭირველებს მაშინ სხვა გენერალისიმუსი ჰყოლიათ, დღევანდელ გენერალსიმუსზე უფრო მკაცრი, უფრო ძლიერი, უფრო სასტიკი. მისი შიშით თურმე ჩიტი ვერ ფრენდა ცაზე. აი, ეს ღვთის მგმობი, ღვთისგან განწირული და ღვთისგან გამდგარი ადამიანი ჩამოსულა თურმე არავში, ზღვისპირა ქალაქში საგანგებოდ მისთვის აშენებულ კოშკში დაბინავებულა და მოუნდომებია მწყერზე ნადირობა. მწყერზე მონადირე კაცი არ აღმოჩენილა არავის მხარეში, თვითონ გენერალისიმუსსაც გაგონილი ჰქონია, თორემ არ სცოდნია, როგორ ენადირა ამ უწყინარ და უჩინარ ფრინველზე.

გენერალისიმუსს ჰხლებია ისეთი დაცვა, მსროლელთა ისეთი დასი, რა მონადირე, რის მონადირე! ერთ მშვენიერ დღეს შესევიან არავის მთებსა და ველებს და წამოფრენილი, ცად მფრენი, ყანა-ყანა, ჭალა-ჭალა, წყლისპირებზე მბუდობი, ხის კენწეროზე მჯდომი ყველა ჩიტი დაუხოციათ და თავიანთი პატრონისთვის მიურთმევიათ. მწყერი ვერ უპოვიათ დახოცილთა შორის, გაჰკვირვებულან დამჭირველნი, – ალბათ ამ ქვეყანაში მწყერი არ ნაბინადრალაო. მაშინ ვიღაცას უთქვამს, არის ერთი ყმაწვილი, ვინც მწყერზე ნადირობსო. უმალ მოუძებნიათ მონადირე. უწვერული ყმაწვილი მონადირე ვარლამ არავიძე აღმოჩენილა. მაშინ მას არაფერი სცოდნია დამჭირველობისა, გენერალისიმუსზეც არაფერი სმენია. აი, ასეთი, უბირ, გაუთლელ ბიჭს გასაოცარი ნიჭი და ალღო გამოუჩენია ნადირობისა. ხელათ დაუხოცია მწყრები და გენერალისიმუსის კაცებისათვის მიურთმევია. დამჭირველები აღტაცებაში მოუყვანია ყმაწვილი მონადირის სიმარდეს, სიჩაუქეს, სროლასა და ძაღლთა ენის ცოდნას. ყველაფერი ეს მოუხსენებიათ გენერალისიმუსისათვის და აი, მაშინ მომხდარა, რაც მომხდარა – გენერალისიმუსს უნებებია ყმაწვილი მონადირის ხილვა.

გენერალისიმუსს ყმაწვილი ვარლამ არავიძე მოსწონებია, გამოუკითხავს, როგორ ნადირობდა. და ჰოი, საკვირველებავ!

უსურვებია მასთან ერთად ნადირობა. ვარლამს გენერალისიმუსის თვალნინ თავისი მონადირე ძაღლით იშვიათი სანახაობა დაუდგამს: გენერალისიმუსი რამდენიმე მისი პირადი მცველის თანხლებით ფეტვის ყანებისაკენ წაუყვანია. მთელი მისი დაცვა: ჯავშნიანი მანქანებით, შვეულმფრენებით, რადარებით, რადიო და შორმხედმოწყობილობებით ქალაქში დაუტოვებიათ, ნადირობაში ხელს შეგვიშლისო.

ფეტვის ყანის პირზე უნადირნია, მონადირე ძაღლისთვის უბრძანებია, ყანაში არ შეხვიდე, მწყერი ყანისპირებზე ამიფრინეო. მართლაც ჯეირანას (ძაღლს ჯეირანა რქმევია) ისეთი ნაბულით უპოვია მწყერი, გენერალისიმუსი და მისი მხლებლები აღტაცებაში მოუყვანია. აღტაცებასაცა აქვს ხარისხი, აღმატებული, მაღლა-მაღლა მიმავალი... როცა ვარლამს უთქვამს – ეცი! თოფიც გავარდნილა და ვაშას ძახილიც ვერ მოუსწრიათ, მწყერი შორს, თვალსანიერზე ჩამოვარდნილა, ჩამოვარდნილა თვალსანიერზე, მაგრამ ჯეირანასაც გამოუჩენია ჯეირანობა, – თვალისდახამხამებაში ნამდვილი მონადირისთვის, თავისი პატრონისთვის კი არა, სტუმრისთვის, გენერალისიმუსისთვის, მიურთმევია.

თურმე ძაღლი საგან ებოდ ყოფილა დაგეშილი გოგიდან ჩამოსულ სტუმრებზე. აი, მაშინ ეს მაღლა-მაღლა მიმავალი აღტაცება ზეაღტაცებამდე ამაღლებულა და გენერალისიმუსს უბრძანებია – ეს ყმანვილი ჩემს დაცვაში ჩარიცხეთო. ვარლამ არავიძე გენერალისიმუსის დაცვაში ჩაურიცხავთ. გენერალსიმუსს მრავალგვარი დაცვა ჰყოლია. ვარლამ არავიძე „არიერგარდულ დაცვაში“ ჩაუწერიათ. ეს იმას ნიშნავდა, რომ ჭაბუკი აქ, თავის ქვეყანაში უნდა დარჩენილიყო, როცა გენერალისიმუსი არავის მიმართულებით დაიძვროდა, ან გავლით, ან დასასვენებლად, ან რაიმე სხვა მიზნით ჩამოვიდოდა, „არიერგარდული დაცვა“ მაშინ უნდა ამოქმედებულიყო. თუ გენერალისიმუსი აღარ ჩამოვიდოდა არავში, „არიერგარდული დაცვა“ მაინც მოქმედებდა. სინამდვილეში რას იმოქმედებდა, ვის დაიცავდა, თუ დასაცავი არავინ ეყოლებოდა, – ხელფასი ტყუილ-უბრალოდ ეძლეოდათ. უშრომელი, უზრუნველი ხელფასი არაველებს ძალიან მოსწონდათ. ბალღი რომ დაიბადებოდა, მშობლები უკვე იმაზე ზრუნავდნენ, როგორმე მათი შვილი

იმ „არიერგარდულ დაცვაში“ ჩაერიცხათ. აკვნიდანვე ამზადებდნენ „არიერგარდული დაცვისათვის“, განა საკვირველი არ იყო ვარლამ არავიძის ასეთი წარმატება? ვინ იფიქრებდა, თუ მწყერზე მონადირე ამ ღენდერა ყმანვილს კიდევ უფრო დიდი, გაუგონარი, არნახული დანინაურება ელოდა.

გენერალისიმუსის არავიდან წასვლის შემდეგ რამდენიმე თვე გასულა. ერთ მშვენიერ დღეს ყმანვილი ვარლამ არავიძე ჩასვეს თურმე გენერალისიმუსის მიერ საგანგებოდ გამოგზავნილ თვითმფრინავში და გოგში წაიყვანეს. იქ მას საზეიმოდ გადასცეს მისთვის დამზადებული ერთადერთი თოფი მთელს დედამიწის ზურგზე, გენერალისიმუსის სახელით მიესალმნენ, ხელი ჩამოართვეს და კვლავ არავში იმავე თვითმფრინავით გამოამგზავრეს თურმე.

აი, ეს ისტორიული თოფი ეკავა ხელში თანგულიას და სასაფლაოს ზემოთ, ფერდობზე შეფენილი ტყიდან, დასცქეროდა მთვარით განათებულ სასაფლაოს. აქედან ამ თოფს ადამიანი კი არა, ჩიტი ვერ გაექცეოდა. თოფის ამბავი ახლა არავსა და არავიძეთში ალბათ მარტო თანგულიამ იცოდა. აბიას არასოდეს, გასართობადაც კი არ უსვრია „არავიძული“. არ უყვარდა „არავიძულის“ პატრონობაც, მისი საიდუმლო ვერაგული თვისებები.

თურმე თოფი მწყერზე სანადირო ძველებური თოფების მიხედვით დაუმზადებიათ, ოღონდ თანამედროვე ტექნიკის ყველა მიღწევა მიუსადაგებიათ.

თოფს ტყვია ლულაში თავისით[1] მიეწოდებოდა, ლულიდან გამოვარდნილი ტყვია ჰაერში სკდომით იმსხვრეოდა და საფანტად იფრქვეოდა, ოღონდ უწესრიგოდ კი არა, ნახევარი მეტრის განივკვეთით[2] მიჰქროდა წინ, ვიდრე მიზანს მიაღწევდა, ნახევარი მეტრის განივკვეთით მიმქროლავი ცეცხლის სფერო, რასაკვირველია, მიზანს არ ასცდებოდა, თუ მეთოფეს თოფის აწევა და დამიზნება შეუძლია. არავიძულის თოფის ტყვიას კიდევ ის ჯადოთვისებაც ჰქონდა, ფრქვევადი ნამცეცი ტყვიისა მიზანს რომ მოხვდებოდა, მერეც ფეთქდებოდა და ნამცეცის ნამცეცი განაგრძობდა მოძრაობას შიგ მწყერისა თუ სხვა ნადირ-ფრინველის სხეულში.

---

[1] ავტომატურად.
[2] დიამეტრი.

ეს კი იმას ნიშნავდა, არავიძული თოფის თუნდაც ერთ საფანტს შეეძლო ლომი დაეჭრა.

თანგულიას თოფის დიდი იმედი ჰქონდა, თოფის მჭიდეში ათი ვაზნა ჩადიოდა, ათი ვაზნით ერთი ადამიანის კი არა, ასეულის განყვეტა შეიძლებოდა, თუ მთვარეს ღრუბელი არ გადაეფარებოდა და რასაც ახლა მთვარიანში ხედავდა, უკუნ ღამეში არ ჩაინთქმოდა.

თანგულია თავის სამალავიდან გარკვევით ხედავდა, დამჭირველთა ლანდები როგორ დაფუთფუთებდნენ ბაბუამისის საფლავის გარშემო, რა მოურიდებლად წარმოსთქვამდნენ ხმამაღლა სადღეგრძელოებს და როგორ ყაყანებდნენ... საფარში უკვე არავინ იჯდა, სამ-სამად, ოთხ-ოთხად იდგნენ და ერთმანეთს სიყვარულს ეფიცებოდნენ, მარტო სერგო ინვა სანგარში, არაყს მოეცელა, თავდაღმა, მკვდარივით ჩამხობილიყო მინაში.

ერთი უცნობი ადამიანიც, ვითომ შემთხვევით გამვლელი, უჩინარად გამოსულიყო სიბნელიდან, ჩამდგარიყო მთვრალებში და არავიძის სადღეგრძელოს სვამდა. მტერ-მოყვარის გარჩევა ახლა სასაფლაოზე შორიდან კი არა, ახლოდანაც ჭირდა, თანგულიას ის უცნობი არ შეუმჩნევია, არც დუროს მოუკრავს თვალი, თორემ ეგებ ეცნოთ, უცნობი შუ...ისმაძიებელი – ჯეგე ხალდანი გახლდათ. ისე გათამამებულიყო, არაყს აძალებდა იმათ, ვინც ჯერ კიდევ იდგა ფეხზე.

ჯეგე ხალდანი სასაფლაოს მიდამოებში მაშინ გამოჩნდა, როცა ჟორა-ღ-მჭირველმა და დურომ მიუჭახუნეს ჭიქები ერთმანეთს. ხალდანმა სასაფლაოზე მორიალე საქეიფოდ აღტკინებული დამჭირველებიც გულდაგულ შეათვალიერა და უკან, იოსიმეს დუქნისკენ გაქანდა. იოსიმე გააღვიძა, ორი ბოთლი არაყი ჯაჯღანით, ჩხუბით, მუქარით, პირდაპირ გამოგლიჯა ხელიდან და კვლავ, თავქვე, სასაფლაოსკენ დაეშვა.

მეორედ სასაფლაოს რომ მოადგა, დურო უკვე თავის ემცხრაში იჯდა და ყვინთავდა. დუროსთან შეხვედრა სახიფათოდ მიიჩნია, სასაფლაოს ღობეზე გადაძვრა მოპირდაპირე მხარეს, ხან მარმარილოს სასახლენი იფარა, ხან ხეთა ჩრდილებში, ბნელ კუთხეკუნჭულებში შემალვით, შეუმჩნევლად მიადგა მოქეიფეთ, ვითომ, ისიც მათთან იყო, აქ, სასაფლაოს გზისპირზე გამოიარა და შეუ-

ერთდა პურის ჭამას, არყები დადგა მდელოზე და ჩამოუსხა. უცხო ადამიანის მოსვლა ჟორა-დამჭირველმა შეამჩნია, მან ხომ სმა გვიან დაიწყო, გონება და თვალისჩინი სხვაზე უკეთ შერჩენოდა.

– ვინ... არის ეს კაცი... – ნაწყვეტ-ნაწყვეტად იკითხა ჟორამ, სიმთვრალისაგან ენა წართმეოდა, მასზე უფრო მთვრალ ქვეშევრდომს ეკითხებოდა.

– ჩემი ძმაა! – ხელი გადახვია დამჭირველმა ხალდანს და ჩამოეკიდა კისერზე, ლოშნა დაუპირა.

– დალიე! – ცივად მოიშორა მთვრალის ტუჩ-პირი ხალდანმა და ხელში არყიანი ჭიქა შეაჩეჩა.

ჯეგე ხალდანი საფლავის ქვაზე იჯდა, ჟორა-დამჭირველი თავზე ადგა, ხანდახან წაეპოტინებოდა ხან თავზე, ხან ბეჭებზე, ფეხზე დგომა უჭირდა, ქანაობდა.

– შენ... ვინ ხარ?.. – დაეჭვებული მიჩერებოდა. ხალდანი არ პასუხობდა, არ ჰქონდა აზრი რაიმეს თქმას. სულერთია, ჟორა მაინც ვერაფერს გაიგებდა. როცა სასაფლაოში შემოსვლა დააპირა, ისიც ივარაუდა, ასეთ შეკითხვას დაუსვამდნენ, პასუხიც საგანგებოდ შეთხზა, მაგრამ აღარ დასჭირდა სიცრუე, ზოგს იქვე, მდელოზე, საცა სუფრა ჰქონდათ გაშლილი, დაეწყო ხვრინვა, ზოგი სანგარში, სერგოს მიუწვა გვერდით. მალე ჟორა-დამჭირველიც გაეხვია ლაბადაში და ზედ ვარლამ არავიძის საფლავის გვერდით დანვა.

ხალდანს სოფელში ისიც გაეგო, რომ მთლად გენერალური დამჭირველი იყო ჩამოსული მის შესაპყრობად და ნოვეს სახლში გამართულ სუფრაზე ყანწით სვამდა ღვინოს.

„სწორედ ამ ღამით უნდა ამოვთხარო, უსათუოდ უნდა ამოვთხარო ამ ღამით“... – ფიქრობდა დაჟინებით და მთვრალებს აკვირდებოდა, ხომ ყველამ დაიძინაო.

„თუ ღმერთი შეეწეოდა და ხელს არაფერი შეუშლიდა, ამოთხრიდა მკვდარს, ძველებურად დუროს ემცხრას, რაღა თქმა უნდა, ვერ გამოიყენებდა, მალვით უნდა გაეტანა ცხედარი სასაფლაოდან, დუროს არაფერი გაეგო.

წამოდგა, ერთხელაც ჩამოუარა მძინარეთ, ვინმეს შემთხვევით ხომ არ ჰღვიძავსო, სასაფლაოს ალაგესკენაც გაიხედა, სადაც დუ-

როს მანქანა იდგა. საშიშროება იქიდან ხომ არ მომელისო. არსაიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. უნდა დაენყო მოქმედება. მიაკითხა თავის ბჟოლას, ჩაჰყო ფუღუროში ხელი, ამოიღო სამუშაო იარაღები და დინჯად მიადგა ვარლამ არავიძის სამარეს, ერთხელაც გაიხედ-გამოიხედა, გააწყო ბარ-თოხი და მუშაობას შეუდგა. პირველი ბარი დაჰკრა მიწას... მარჯვნივ, ზედ სამარის კიდეზე, ჟორა-დამჭირველი გაშხლართულიყო, გულაღმა იწვა და ფშვინავდა, ამონათხარი მიწა მარცხნივ უნდა გადაეყარა, არ გაეღვიძებინა მთვრალი.

ხალდანს შეეძლო ჩამოევლო და უჩუმრად, ისე, რომ არავის გაეგო, ყელი გამოეჭრა გათრიაქებულთათვის, მათივე იარაღით. დურო მიპარვით მოეკლა და არხეინად შედგომოდა თავის საქმეს, მაგრამ ასეთ რამეს გულშიაც კი არ გაივლებდა. შეჩვეოდა საპყრობილეს. შეპყრობა და საპყრობილე არ მიაჩნდა ისეთ ურჩხულად, თავის დახსნის მიზნით თუნდაც ერთი კაცის სისხლი დაეღვარა. ძალიან კარგად იცოდა, ვარლამ არავიძე ასჯერაც რომ ამოეთხარა, აბია მამას ყორნისხევში მაინც არ გადააგდებდა, ვერ აიძულებდა შვილს მამა ყორნებისთვის საჯიჯგნად მიეგდო. თუ შეიპყრობდნენ, ეგებ უკეთ მიეღწია საწადელისთვის – სასამართლოზე ამხელდა ვარლამ არავიძეს. სასამართლოზე, საჯაროდ, სახალხოდ მოითხოვდა ვარლამ არავიძის ყორნისხევში გადაგდებას. ამიტომ თუ დამჭირველები გაიღვიძებდნენ და დაიჭერდნენ, ან თუ ნოვეს სახლიდან დაბრუნდებოდნენ მოქეიფენი და შეუძახებდნენ, დაგვნებდიო, დამჭირველებს უსიტყვოდ მიუგდებდა ფეხებთან თავის საბრძოლო იარაღს – ბარსა და თოხს და ჩაბარდებოდა. ამ რწმენით რახან მოქმედებდა, მაინცა და მაინც არ ფრთხილობდა.

პირველი ბარი დაჰკრა მიწას, მთელი ძალით დაჰკრა, ნათხარი მიწა და ქვიშა ერთმანეთში არეული, ბარის პირზე ბლომად არ დამაგრდა, გადმოუცვივდა, მაშინ ნიჩაბივით მიუმარჯვა ბარი აკოკოლავებულ მიწას და გადაყარა, პირველი ბარი გადაყარა... ხმაური შემოესმა. ადამიანის ხმა უნდა ყოფილიყო, – გაურკვეველი, აღელვებული ხმა!.. სასაფლაოს ზედ ეკვროდა ტყიანი ფერდობი, იმ ფერდობიდან მოისმოდა. თავი აიღო და ტყისკენ გაიხედა. მთვარიანში მარტო სიშავე მოჩანდა ფერდობიდან. იმ სიშავიდან

ჯღაოდა ვიღაცა. ჯეგე ხალდანმა ვერც გაარჩია, ვინ იყო, რა იყო, რა სიტყვებს ჯღაოდნენ ტყიდან. თანგულია ყვიროდა საფარიდან ყმანვილური გაბზარული ხმით, თან შიშით:

– თუ ვაუკაცი ხარ, დადექ!

არავის შეეძლო ამ სიტყვების გარჩევა, უუააჰ! – ბგერები შემოვარდნენ სასაფლაოზე და უმალ მიწყდნენ. ისეთი სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს ამ მიდამოში არასოდეს არავის დაუჩურჩულებიაო.

მეორეჯერ დაჰკრა ბარი მიწას... დაჰკრა და... გეგონებოდათ, ბარი ნაღმს მოხვდა და სამარე აფეთქდაო, დაიქუხა. დაიქუხა და ხალდანს მოეჩვენა, რომ მკლავი მოგლიჯეს, დავარდა მიწაზე, არ ახსოვს, რატომ დავარდა, ტკივილმა დააგდო თუ შიშმა, უნებურად მოსხლიტა, თუ თადაცვის მიზნით გაეკრა მიწას. დაჭრილ მკლავზე იტაცა ხელი და უჭერდა, თითქოს მოჭერა უშველიდა. ტყვიას მკლავი გაეგლიჯა და სისხლი თქრიალით სდიოდა.

ჩაშოგავებული ფერდობიდან მოვარდა გასროლის ხმაც და ტყვიაც იქიდან მოიჭრა, ხალდანის აზრით. ახლა უკვე მოპირდაპირე მხრიდან, სასაფლაოს შემოსასვლელიდან, ისროდა ვიღაც და ყვიროდა. დურო უნდა ყოფილიყო. დურომ თოფის გასროლას უმალ რევოლვერის ჯერით უპასუხა და ყვირილი ასტეხა: გვიშველეთ! გვიშველეთ!.. როცა გონს მოვიდა, ღამეს დააყურა, სასაფლაოდან ჩამი-ჩუმი არ მოისმოდა, ალაგეს გადაახტა, შესასვლელთან მდგარ ცაცხვის ხის ტანს მოეფარა, სანამდეც მთვარის შუქზე თვალი მიუწვდებოდა, მოათვალიერა სასაფლაოს კუთხე-კუნჭული, რევოლვერი შემართული, თითქოს დამიზნებულიაო, ნინგაშვერილი ეკავა ხელში, ხან ხეს მოეფარებოდა, ხან საფლავის ქვებსა და ზღუდეებს და სწრაფად უახლოვდებოდა ვარლამ არავიძის სამარეს.

ჯეგე ხალდანმა შორიდანვე მოჰკრა თვალი, როგორ გამორბოდა ნელში მოხრილი რევოლვერმომარჯვებული დურო საფლავებს შორის და შორიდანვე დაუძახა:

– არ მესროლო, შენი დედა!.. – კვნესით შეაგინა.

– სდექ, დაპატიმრებული ხარ! – დაუძახა მსხვერპლს პასუხად ადლის ენაზე და ადლის წესის დაცვით, საფარიდან მარტო რევოლვერს გამოუჩინა ტუჩი.

– სისხლში ვცურავ, ძაღლის შვილო!.. – იკრუნჩხებოდა ხალდანი მინაზე დამხობილი.

– დაპატიმრებული ხარ! – ყვიროდა საფარიდან დურო, მთელი ხმით, მთელი ძალით ყვიროდა და ხმაურობდა, ეგება მძინარენი გავაღვიძოვო, თან ხალდანს აკვირდებოდა, ხომ არ მატყუებსო.

– მანქანაში აფთიაქი არა გაქვს? – უცებ წამოჯდა და ჰკითხა ხალდანმა, ვარლამის საფლავზე იჯდა, დაჭრილ მკლავს ხელს უჭერდა.

– მაქვს! – გამოსძახა დურომ, – მაგრამ არ გაინძრე, დაპატიმრებული ხარ!.. ამათ გავაღვიძებ და მოვატანინებ!.. – ხალდანის შეკითხვა იმ წამსვე თავის სასარგებლოდ გამოიყენა, მძინარე დამჭირველების გაღვიძებას შეუდგა, ბოროტმოქმედი, მართალია, დაჭრილი იყო, მაგრამ მაინც ეშინოდა, არ გამექცესო. რევოლვერი ხალდანისთვის არ მოუცილებია, არც თვალი მოუწყვეტია, გამოხტა საფარიდან, ფეხსაცმლის ჭვინტი ჰკრა ერთმანეთზე მიჯრით მიწოლილ მთვრალებს.

– ადექით! დამნაშავე დაპატიმრებულია! ადექით, დამნაშავე დაპატიმრებულია!.. – ყვიროდა ხმის ჩახლეჩამდე. წიხლების ცემით წამოაგდო მთვრალები. შიშისგან ზოგმა სროლა ასტეხა, ზოგმა ყვირილი, ყველაზე მეტად ჟორა-დამჭირველი ბობოქრობდა და ბრძანებას იძლეოდა.

უცებ ჯეგე ხალდანი წამოდგა, დუროს ანიშნა, მანქანისკენ წავიდეთო, კვლავინდებურად მკლავზე ხელს იჭერდა და მთვრალების ყაყანს ყურადღებას სულ არ აქცევდა. დურომ დამჭირველების დასანახად რევოლვერი ვითომ ზურგზე მიადო და უბრძანა: დაპატიმრებული ხარ, მანქანისაკენ პირდაპირ! ჯეგე ხალდანი სხვაგან წასვლას არ აპირებდა, თორემ თუ მოიწადინებდა, ეგებ ბრძოლაც გაემართა მთვრალებისათვის და გაქცეოდა კიდეც. ხალდანი გრძელი, ჩქარი ნაბიჯებით მიდიოდა დუროს მანქანისაკენ, იქ თუ მართლა იდო დუროს ჩანთა-აფთიაქი, ეგებ ჭრილობის პირი მოეწმინდა და სისხლის დენა შეეჩერებინა. ამ ღამით სხვას არც არაფერს აპირებდა.

მთვრალმა დამჭირველებმა დამნაშავის გულისნადები ხომ არ იცოდნენ, თუ დაჭრილი იყო, ღამის ბინდბუნდში ამასაც ხომ ვერ

შეამჩნევდნენ. მათ თვალში დამნაშავე დუროს მარტოკას შეეპყრო და თავის მანქანისაკენ მიჰყავდა, ის რაც ადლის ყველა მუშაკს ერთობლივად უნდა გაეკეთებინათ, ერთ ადამიანს მოეხერხებინა. ის ადამიანი მათ თვალში ამ ღამით, რასაკვირველია, გმირი იყო, მერე როგორი გმირი! თვალების ფშვნეტით უკან მიჰყვებოდნენ და მორჩილად ასრულებდნენ ყველა მის ბრძანებას.

– ახლო არ მიხვიდეთ! – გაისმოდა დუროს ხმა... – დაჭრილია... იარაღი არა აქვს... მაინც არ მიხვიდეთ ახლოს!.. – ყვიროდა დურო, ვინაიდან ზოგ დამჭირველს ცნობისწადილი არ ასვენებდა, სურდა ახლოდან ენახა ვარლამ არავიძის საფლავიდან ამომთხრელი.

დურო ხალდანს ნაბიჯ-ნაბიჯ მისდევდა, რევოლვერი ზურგზე მიებჯინა და ვითომ მიჰყავდა.

ხალდანი დუროს მანქანაში შევარდა, დურომ ჩანთა-აფთიაქი გახსნა და დაჭრილს დახმარება აღმოუჩინა, მთვრალი დამჭირველები მანქანას გარს შემოეწყვნენ. როგორც კი დუროს ხელი ჭრილობის პირს შეეხო, ხალდანმა ამოიგმინა:

– გველის წინილი!

დურო იმ წამს მიხვდა, ხალდანი ვისაც ეძახდა „გველის წინილს", მაგრამ არ შეიმჩნია, ვითომ არ გაუგონია. როცა დამჭირველებმა გაიგეს, რომ ბოროტმოქმედი დაჭრილი იყო, დუროს ნამოქმედარი ეგონათ და დაუფარავად გამოთქვამდნენ აღტაცებას:

– მანქანიდან უსვრია! – ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, იქვე თხზავდნენ ჭორს დუროს განსადიდებლად.

– ტყვიას ტყვიაში აჯენს, აბა რა გგონიათ!..

არ უნდოდა ამ ჭორის გაქარწყლება.

– გველის წინილი! – ტკივილისაგან კბილებს ახრჭიალებდა დაჭრილი, – ამათი დანდობა არ შეიძლება, ეგენი უნდა დახოცო!.. – არავიძეებს – აბიას და მის შვილს გულისხმობდა. დამჭირველებს კი ეგონათ, ბოროტმოქმედი მათ უბრიალებდა თვალებს და მათზე ამბობდა: ეგენი უნდა დახოცოო.

უცებ შუქმფენები[1] აანთეს. კი არ აანთეს, თითქოს იელვა და თვალისმომჭრელი ნათება ელვისა გაქვავდაო. მუდმივ ნათებად იქცაო, იმგვარად უცებ აინთო, აჩახჩახდა-გაჩახჩახდა არავს გარსშემომდგარი მთები. იმ მთებზე დიდი შუქმფენები იდგა სამხე-

[1] პროჟექტორები.

დრო დანიშნულებისა. საზღვარი მაჩვს რომ გადმოელახა, მაჩვს მიანათებდნენ მზესავით ბრიალა შუქმფენს. გენერალურმა დამჭირველმა გრიგოლო გრიგოლოვმა სამხედროთა მთლად თავკაცს სთხოვა ამ შუქმფენების ანთება, როცა ბარიდან ნიშანს მისცემდნენ.

შუქმფენების ანთება და სასაფლაოს შესასვლელთან რიკტაფელოვის ემოცდაცხრის მოგრიალება ერთი იყო, პირველი რიკტაფელოვი მოვარდა, რიკტაფელოვის მანქანას მოჰყვა გენერალური დამჭირველის მანქანა, რიკტაფელოვმა მოასწრო და მანქანის კარი თვითონ გაუღო გრიგოლოვს. მოვარდნენ მანქანებიც. სასაფლაოს მიდამოები უცებ გაივსო მანქანებით და მთვრალი ადამიანებით. ნოვეს სუფრაზე ვინც კი იჯდა, ყველა ერთად წამოსულიყო, დამჭირველებთან ერთად ზღვა ხალხი მოაწყდა დუროს მანქანას.

დურომ, დამნაშავის მკლავის შეხვევას თავი მიანება, გამოხტა მანქანიდან, გენერალურ დამჭირველს მხედრულად გამოეჭიმა და მოახსენა:

– დამჭირველთა უპირველესო! ბოროტმოქმედი ლიკვიდირებულია! ოპერაცია „ქორწილი“ წარმატებით დამთავრებულია, ლიკვიდაციის დროს მკლავში დაიჭრა დამნაშავე, რაც, აგრეთვე, ლიკვიდირებულია!..

გრიგოლო გრიგოლოვმა აბიას გადახედა. კმაყოფილი იყო დუროს საქმიანობით. მანქანაში უკანა სალონში იჯდა მკლავშეხვეული მოსული ვაჟკაცი, მანქანას ირგვლივ შემოჯაროდნენ იარაღმომარჯვებული დამჭირველები. მანქანის კარები ღია იყო და დამნაშავის ნახვა ყველა მხრიდან შეიძლებოდა. როგორც ახლადშეგდებული მხეცი გალიაში, პირგამეხებული იჯდა შურისმაძიებელი უკანა საჯდომზე. შებანდული, გასისხლიანებული მკლავი წინ გაეშვირა, ახლადშემოსალტული ბანდი სისხლს ხელად შეეღება, მხოლოდ ის სახვევი ეკიდა თეთრად, რომელიც ჯერ არ შემოხვეოდა ჭრილობას, დუროს შეხვევა არ დაემთავრებინა, გრიგოლოვის მანქანის მოსვლა ძრავის ხმით ეცნო და მიეტოვებინა „ექიმობა“. პატაკის ჩასაბარებლად გაქანებულიყო. მკლავის შეხვევას თვითონ დაჭრილი განაგრძობდა, თან უშვერად იგინებოდა.

როცა თეთრკოსტუმიანებიც მოადგნენ მანქანას და ხალდანმა მათ შორის აბია არავიძეს მოჰკრა თვალი, აღშფოთდა, უმატა გინებას და ბოლოს ლამის გამოხტა მანქანიდან, მანქანის ღია კარიდან თავი გამოჰყო და მთელის ხმის შესძახა:

– სულერთია, ამოვთხრი! მაინც ამოვთხრი!..

მანქანაში პირველი დურო შევარდა ვითომ ხალდანის დასამშვიდებლად, დუროს რიკტაფელოვი შეჰყვა, ხელათ გაივსო დამჭირველებით მანქანა, დამნაშავეს იქიდან აქედან შემოუსხდნენ, მანქანის კარები ჩაკეტეს, გარს შემოჯარულმა დამჭირველებმა თოფების ლულები შეჰყვეს ღია ფანჯრებიდან და პირდაპირ შუბლზე დაადეს აბორგებულ დაჭრილს. გვერდით მსხდომებმა ჯანსაღი ხელი გაუჭირეს, დურომ თვალით ანიშნა რიკტაფელოვს, დროა, საქმეს შევუდგეთო. რიკტაფელოვმა ადლის ენაზე ბრძანების გაუგებარი სიტყვები თქვა და მანქანაში ბორკილების ჟღარუნი გაისმა, საიდანღაც გამოაძვრინეს ბორკილები და ელვისუსწრაფესად ხელებზე დაადეს და ფეხებზეც.

– ენაზე ხომ ვერ დამადებთ ბორკილებს – ამოვთხრი! ვიდრე ცოცხალი ვარ, ვარლამ არავიძეს საფლავში არ გავაჩერებ!

მანქანას გარს შემოჯარულ ხალხს ერთხელაც მიაყვირა ხალდანმა და დურომ მანქანა დაძრა.

გრიგოლოვმა ცოცხალ-მკვდარი აბია მანქანაში შეიპატიჟა. აბიას თავისი მანქანა ელოდებოდა, მაგრამ გრიგოლოვმა გასამხნევებლად, დასამშვიდებლად წაიყვანა ადლში. რაც მთავარია, პირველ დაკითხვას საკუთარი ყურით მოასმენინებდა.

* * *

თანგულიას ეგონა, რომ კაცი მოკლა, თოფი გავარდა თუ არა, ბაბუამისის საფლავიდან ამომთხრელი, ზედ სამარეზე დაეცა. ეს მან საკუთარი თვალებით ნახა. მაინც დაელოდა ცოტა ხანს, გაინძრეოდა თუ არა მსხვერპლი, არ განძრეულა. მართალია, მთვარიანი ღამე იყო, მაგრამ სასაფლაოს გადაღმიდან, ტყიდან ესროლა, შორს იყო მსხვერპლი იქიდან, კარგად ვერ დაინახა, ღამეში ვერ გაარჩია, მოკვდა თუ ცოცხალი დარჩა დამნაშავე. გასროლის შემდეგ

თითქოს დიდხანს იდგა და გასცქეროდა. სინამდვილეში რამდენიმე წამით შეყოვნდა, „მოვკალი“! – სისხლივით წითლად აბრიალებული სიტყვა თავში აუვარდა, სულში ჩაეჭრა: „მოვკალი! კაცი მოვკალი!“ – შიშმა აიტანა. რა ექნა? როგორ მოქცეულიყო? რატომღაც არ ეგონა, თუ მართლა მოკლავდა. გავარდა თოფი და კაცი, რომელიც ერთი წუთის წინ ცოცხალი იყო, უსულოდ დაეცა, – ასე მოეჩვენა მაშინ. თანგულიას გასროლას დუროს რევოლვერის ჯერი მოჰყვა და ყვირილი: „გვიშველეთ! გვიშველეთ!..“

სისხლივით აბრიალებული წითელი სიტყვები: „მოვკალი“, „კაცი მოვკალი“ თავში რომ აეჭრა, გონთ დაუბნელდა, აღარ ახსოვს, შემდეგ რა მოიმოქმედა. თავქუდმოგლეჯილი გარბოდა ტყიან ფერდობზე როცა დუროს ხმა: გვიშველეთ, გვიშველეო, დაეწია. კაცი მოკლეს და გვიშველეთო, – ასე გაიგო მაშინ ეს ყვირილი და კიდევ უფრო აბორგდა, აზვავდა, აჯანყდა სული, – მოედო ტყეს...

გარბოდა, გარბოდა უგზო-უკვლოდ, სიბნელეში, ტყე-ღრეში ხან რას ეჯახებოდა, ხან რას წამოედებოდა! ძირს ენარცხებოდა, თავდაღმართზე დაგორდებოდა, ებღაუჭებოდა ბუჩქებს, ბალახებს, წამოიფორხილებდა, დადგებოდა ფეხზე, კვლავ გარბოდა... შემხვედრ ხეთა ძირს ჩამონეული შტოები სახეში ეხლებოდა, ეკლიან ბუჩქებში შეეჭრდებოდა, დაკაწრული თავ-პირიდან, გადატყავებული მუხლებიდან სისხლი სდიოდა, მაგრამ ვერაფერს გრძნობდა. მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა გათენდა. განთიადი უეცრად თავს დაატყდა და გონს მოიყვანა. თითქოს განთიადმა ჰკითხა: სად გარბიხარ? აქეთ რა გინდა?.. სასჯელს გაურბოდა? არა! მაშ, რა ძალა მიარბენინებდა? შიში თუ ბრძოლის ჟინი? ნუთუ შიში?.. შედგა შუა ტყეში ყმაწვილი. სწრაფად გაიაზრა მისი ყოფა, უნებური „გაქცევა“ უარჰყო და შემობრუნდა. სასჯელს არ დაემალებოდა, მტკიცედ სწამდა, რომ სამართლიანი მსჯავრი გამოუტანა ბოროტმოქმედს. თუ ამისათვის დასჯიდნენ, დაე, დაესაჯათ.

უცნაური, უნებური „გაქცევის“ შერცხვა, თითქოს ბრძოლის ველიდან გაიქცა, გონს მოვიდა და კვლავ დაუბრუნდა ბრძოლის ველსო, თავჩაღუნული დაეშვა თავდაღმართზე, – პირდაპირ ადლში უნდა წასულიყო, როგორც მკვლელს, პასუხი ეგო. ამ გადაწყვეტილებით დაეშვა ფერდობზე, სოფელს ზურგი აქცია, ვინმე ნაც-

ნობი არ შემხვდესო, მინდორ-მინდორ, ყანა-ყანა ირბინა და არავის გზაზე გამოვარდა, დაადო თავი და წავიდა, ადრიანი დილა იყო, ეგებ მანქანამ არ გამოიაროსო, ფეხით აპირებდა ჩასვლას ქალაქში. საბარგო მანქანამ გამოიარა და გაუჩერა კიდეც, ხელის აწევაც არ დასჭირვებია, იფიქრა ალბათ, ვინმე არავიძელი მძღოლია და მიცნოო, თანგულია სოფელში დომენტიეს მეტს არავის იცნობდა, აქეთ კი – არავიძეების ერთადერთ მემკვიდრეს – ყველა იცნობდა და გზად მიმავალს ვინ არ გაუჩერებდა მანქანას!

თანგულიამ მძღოლისაში[1] შეიხედა, ორნი ისხდნენ, არ ჰგავდნენ ნაცნობებს, მადლობა უთხრა და ძარაზე შეხტა. მანქანა მონადირეს გაუჩერეს, თანგულიას მონადირის სამოსი – მაღალყელიანი ჩექმები და ხაკისფერი სანვიმარი ეცვა, მხარზე თოფი ეკიდა, სხვა ვინ უნდა ყოფილიყო თუ არა მონადირე?..

მანქანის ძარაზე თანგულიამ გადაწყვეტილება შეცვალა: „წავალ, სახლში დამაპატიმრონ!"... მოეწონა, გაუხარდა, რომ ამ გზას დაადგა და არა ნებით ჩაბარების გზას. ნებით ჩაბარება მაინც დამარცხებას უდრიდა, თავი დამნაშავედ მიაჩნდა? მაშ, რატომ ნებდებოდა, თავის ფეხით რატომ უნდა წასულიყო ადლში?.. „შინ დამაპატიმრონ", – დაჟინებით ფიქრობდა თანგულია და მთელ სურათს წარმოიდგენდა: როგორ შემოცვივდებოდნენ დარბაზებში დამჭირველები, როგორ დაადებდნენ ხელებზე ბორკილებს, როგორ გამოვიდოდა სადარბაზოში ბორკილების ჟღარუნით, სად მიგყავთ ყმაწვილი? – იკითხავდნენ მეზობლები, – მოითმინეთ, მამას – აბიას დაელოდეთ! – შესთხოვდნენ. დამჭირველები მეზობლებს კუშტად შეხედავდნენ. მათ სიტყვის თქმის ნება არ ჰქონდათ, მათ უნდა ემოქმედათ და მოქმედებდნენ – მიჰყავდათ დამნაშავე – კაცის მკვლელი!.. სადარბაზოს კიბეებზე, სახლის წინ, ეზოში, გამოფენილ მეზობლებს თანგულია შესძახებდა:

– მეზობლებო, მე მართლა კაცის მკვლელი არ გეგონოთ, მოვკალი მხეცი, ვინც მკვდარს თხრიდა საფლავიდან! გადაეცით მამაჩემს, რომ მე დავიცავი არავიძეთა ღირსება, არ შევარცხვინე ბაბუაჩემის წმინდა სახელი!

საბარგო მანქანა გზაფენილზე მიჰქროდა, არავში შედიოდა. თანგულიას დილის გრილი ნიავი სცემდა სახეში, მაგრამ ის არც

[1] კაბინა.

ნიავს გრძნობდა, არც გზას, არც მანქანას, ქადაგივით შემართულიყო მანქანის ძარაზე, თითქოს ამბიონთან იდგა, ხელისგულებით დაყრდნობოდა მძღოლისას და ხან თავს იმართლებდა და სხვას ამტყუნებდა, ხან სხვას ამართლებდა და თავისთავს ამტყუნებდა.

საბარგო მანქანა სამხრეთიდან ამომავალი დასავლეთისაკენ მიდიოდა, გზად არავი უნდა გაევლო, შიგ ქალაქში არც შესულა, არავის შესასვლელთან რომ აუხვია, თანგულიაც ჩამოხტა. მძღოლისას მიადგა, მძღოლს ფული ააწოდა და მადლობაც გადაუხადა.

აქედან არ იყო შორს ვარლამის ქუჩა. ასე ეძახდნენ იმ გამზირს, სადაც თანგულია ცხოვრობდა. სინამდვილეში გამზირი იყო როზა ლუქსემბურგის სახელობისა, ხოლო მოედანი ამ ქუჩის გადაკვეთაზე – კარლ ლიბკნეხტისა. მაგრამ ხალხი მაინც ვარლამის ქუჩას ეძახდა მოედანსაც და ქუჩასაც. თურმე ვარლამ არავიძის მმართველობის დროს გადმოიტანეს ამ ქალაქის რატუშა – მმართველობა, აქვე გადმოვიდნენ საცხოვრებლად და აქაურები სხვაგან გადაასახლეს. ვარლამ არავიძის დროს გააფართოვეს თურმე ლიბკნეხტის მოედანი და ზედ საპარადო ტრიბუნაც აღმართეს. ამიტომ არაველები აქაურობას ვარლამის ქუჩას ეძახდნენ. აქეთკენ გამორბოდა თანგულია დილაადრიანად და უხაროდა, რომ ნაცნობი არავინ ხვდებოდა.

შინ არავის ელოდა. დედა და ვარდიკო იქ, არავიძეთში, ბაბუასეულ სასახლეში ეგულებოდა. მამა რიკტაფელოვთან ან თვითონ გრიგოლოვთან წავიდოდა სათათბიროდო. ბინის კარი სწორედ აბიამ გაუღო. დაბრუნებულიყო ადლიდან. პატიმრის დაკითხვა არ Ხემდგარა. თურმე ჭრილობას ძალიან შეუწუხებია, სისხლის დენა ვერ შეუჩერებიათ, სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაუყვანიათ.

თანგულიას გაუხარდა მამის დანახვა, პირში შესცქეროდა, რას მეტყვისო. აბია არ ჩქარობდა რამის თქმას, სიგარეტს აბოლებდა და დარბაზისაკენ მიდიოდა, თანგულია უკან მისდევდა, არც ჩექმები გაუხდია, არც ლაბადა, არც თოფი გადმოუღია მხრიდან ასე შეჰყვა მამას სასტუმრო დარბაზში. აბია სავარძელში ჩაეშვა, წინ, პატარა მაგიდაზე, საფერფლე ედგა და იქ აფერფლავდა. თანგულიამ ვერ მოითმინა და მამას მღელვარედ ჰკითხა:

– რა ვქნა, ვისთან მივიდე?..

– პირველ ყოვლისა, გამოიცვალე სამოსი, თოფი კედელზე დაკიდე... – ცივად უთხრა აბიამ.

– ჰო, კარგი! კარგი!.. – გავარდა გვერდით ოთახში, ხელათ გაიძრო ტანთ, თოფიც ჩამოკიდა საკიდარზე და შარვლის სწორება-სწორებით შემოვიდა დარბაზში.

– ახლა რა ვქნა?

– არაფერიც არ უნდა ქნა, მშვიდად უნდა დაველოდოთ სასამართლოს... – დინჯად უთხრა აბიამ.

– სასამართლოს!.. – გაიოცა თანგულიამ.

– მკლავშია დაჭრილი, მაგრამ მძიმე ჭრილობააო, ვიდრე არ მოუშუშებენ, სასამართლოზე ვერ გამოიყვანენ.

– მკლავშია დაჭრილი? – შესძახა თანგულიამ, აღტაცება ვერ დამალა. „ცოცხალი ყოფილა“... – გაუელვა თავში. ერთ წამს ყველაფერი შეიცვალა: რა გეგმებს აწყობდა, რამდენჯერ წარმოისახა თავისთავი დაპატიმრებული, ბორკილებდადებული, მეზობლებს გამოსამშვიდობებელი სიტყვაც კი უთხრა, თურმე ტყუილ-უბრალოდ, ცოცხალი ყოფილა!..

– მე სასჯელი არ მელის? – სულმოუთქმელად ჰკითხა მამას ბიჭმა.

– რა სასჯელი? – გაიოცა აბიამ.

– კაცს ტყვია ვესროლე! – დამნაშავესავით ჩაიდუდუნა თანგულიამ.

– სასჯელი კი არა, გაჯილდოვებენ, ადლი გაჯილდოვებს საპატო სიგელით.

თანგულია სიხარულისაგან შეხტა. შეიკავა თავი, უკანვე დინჯად ჩაეშვა სავარძელში, ლამის ეცეკვა, ლამის სიხარულის ყიჟინა აეტეხა. მამამისის სიდინჯისა და სიდარბაისლის გამო იკავებდა თავს, (მხოლოდ თვალები უბრწყინავდა!), თორემ მზად იყო გაჭრილიყო გარეთ და სასიხარულო ამბავი მთელი ქვეყნისთვის ეუწყებინა. განა ჯილდო ახარებდა, თავისუფლებას, ძველებურ ცხოვრებას – სკოლაში სწავლას და შინ ყოფნას ზეიმობდა გულში. თურმე როგორ ეშინოდა ციხის და ბორკილების! როგორ არ უნდოდა სასჯელი!

– მორჩა, შენ ამ საქმეში მეტს აღარ ჩაერევი, – განაგრძობდა დინჯად შეგონებას აბია, – რახან ღმერთმა გადაგვარჩინა, კაცს ნუ მოეკვლევინები. ამბობენ, ბოროტმოქმედი მარტო არ არისო.

თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, თანგულიას უეცარი სიხარულისაგან მოგვრილი თვალების ბრწყინვა-ელვარება ჩაუქრა, ნი-

ადაგ სიფრთხილე და ნაძალადევი სიმშვიდე მამისა არ მოსწონდა, მაგრამ არასოდეს ეს არ გამოუხატავს, არც ახლა, ოღონდ ურჩად გაჩუმებული წამოდგა და თავის ოთახში გავიდა.

აბიას არ შეუმჩნევია შვილის გუნება-განწყობა, პირიქით, ეგონა, რომ მისმა შეგონებამ, მბრძანებლურმა კილომ „შენ ამ საქმეში მეტს აღარ ჩაერევი!“ გასჭრა, შვილი დამორჩილდა, მამას არ შეეპასუხა, მორჩილების ნიშნად გავიდა თავის ოთახში.

ვარლამის სიტყვა რომ კანონი იყო აბიასათვის, არამარტო აბიასათვის, მთელი არავის მხარისათვის, მამის ძალა უნებურად გადმოსულიყო შვილზე, ყველას ეგონა, რომ აბიას სიტყვასაც ის ძველებური, მამამისისეული ძალმოსილება ახლდა. აბიას გარშემოც კარგა ხანს სუფევდა უსიტყვო მორჩილების ჰავა. პირველი, ვინც არავიძული მორჩილების დანგრევას აპირებდა, თანგულია იყო, ოღონდ ამას ჯერ ვერავინ ამჩნევდა. პირველი ურჩი ნაბიჯი, გადადგმული უსიტყვო მორჩილების წინააღმდეგ, ვარლამ არავიძის საფლავის დარაჯობა და იქ თოფის გასროლა შეაფასეს არა როგორც ურჩობა, არამედ სწორედ ერთგულება პაპის წმინდა საქმისა. მართალია, მამის სიტყვას გადავიდა, მაგრამ, – ბიჭმა დაიცვა საყვარელი ბაბუის საფლავი. რახან ყველაფერი კარგად დამთავრდა, აბია ახლა ამაყობდა კიდეც მისი ვაჟის საქციელით.

თანგულია თავს ოთახში რომ გავიდა, აბიამ დამთავრებულად ჩათვალა მასთან საუბარი-შეგონება, „მორჩა, შენ ამ საქმეში მეტს აღარ ჩაერევიო“, კანონივით გაატანა ბიჭს თან. წამოდგა, ელსჩენი ტალანიდან დარბაზში შემოიტანა, სავარძელში მოკალათდა, ელსძენი წინ დაიდო, ციფრები აკრიფა, არავიძეთში, ცისმარესთან რეკავდა.

ამ დილით, ადლში როგორც კი გაარკვია: ბოროტმოქმედს ჯერ საავადმყოფოში მოათავსებენ, ჩვენებას შემდეგ ჩამოართმევენო, გრიგოლოვს მადლობა გადაუხადა, დაეთხოვა და დურო ცისმარესთან აფრინა, ამბავი უნდა შეეტყობინებინა, თან თანგულიასკენ უნდა სჭეროდათ თვალი. ბიჭი ან იქ, არავიძეთში, ბაბუასეულ სასახლეში დაბრუნდებოდა ან აქ, არავში თავის ბინაში. აქაც უნდა დახვედროდნენ და იქაც.

აბიამ ცოლს ყურმილში საუბარი არ გაუბა. ერთი სიტყვა უთხრა, ერთადერთი „მოვიდა“ და ყურმილი დაუდო.

ცოტა ხანში ცისმარე, დურო და ვარდიკო არავიძეთიდან კი არ მოვიდნენ, მოფრინდნენ.

ის დღე ბედნიერი დღე იყო არავიძეებისათვის. თანგულია შინ ჰყავდათ. ყველანი ცოცხლები და ჯანმრთელნი გადარჩნენ. ბოროტმოქმედი დღის სინათლეს ვერ იხილავდა. მკვდარს ამიერიდან არავინ შეანუხებდა. ერთი დღის წინ კი სასონარკვეთილებაში იყვნენ ჩავარდნილნი. არ ეგონათ, თუ მათი ოჯახის ანწილ-დანწილი საქმენი ოდესმე დალაგდებოდა. უცებ არ დალაგდა? – თავს ვერ იკავებდნენ და სიხარულს დაუფარავად გამოხატავდნენ, ერთმანეთს ულოცავდნენ კიდეც.

დუროს ექცეოდნენ საგანგებოდ მოწიწებითა და პატივისცემით, შინ არ გაუშვეს – ერთად ვისადილოთო. დუროც იფერებდა და დაუსრულებლად ჰყვებოდა, თუ როგორ გაბა ჯეგე ხალდანი, მეტსახელად „დირგია“ ხაფანგში, თანგულიასაც არ უკარგავდა ღვაწლს. თანგულიას გასროლამ გვირგვინი დაადგა ამ საქმესო.

დიდი სამსჯავრო

ჯეგე ხალდანი არაფერს მალავდა, ჯერ კიდევ ადლის საავადმყოფოში, პირველსავე ჩვენებაში, თითქოს ყველაფერი ერთად თქვა, – გულწრფელად აღიარა დანაშაული: მე ამოვთხარე ვარლამ არავიძე სამარიდან სამჯერ და ღობეზედ აბია არავიძეს მე გადავუყუდეო.

ნვრილად აღწერდა, როგორ ამოთხარა პირველად, მეორედ, მესამედ... ღამით, ამოთხრისას, რა შეემთხვა, ვინ შეხვდა, ვის ემალებოდა, ვისი ან რისი ეშინოდა, დურო არსად უხსენებია. რომც დაესახელებინა, არავინ დაუჯერებდა. დუროს ისე გაეჩარხა საქმე, ყველა დარწმუნებული იყო მის კაიკაცობაში, არავიძეების ერთგულებაში. რაც მთავარია, დუროს გრიგოლო გრიგოლოვის უდიდესი ნდობა მოეპოვებინა და სხვა ვინ რას დააკლებდა! ჯეგე ხალდანს დურო არც გახსენებია, ვარლამ არავიძე ეკერა ტუჩ-პი-

რზე. ეტყობოდა, რომ ნეტარებას ჰგვრიდა არავიძის საფლავიდან ამოთხრის მბობა. იყო თუ არა საჭირო, ვარლამ არავიძეს აგინებდა. დამჭირველები პირდაღებულნი შესცქეროდნენ, არ იცოდნენ, როდის შეეჩერებინათ, როგორ წარემართათ დაკითხვა. ბოროტმოქმედი, მართალია, აღიარებდა დანაშაულს, არაფერს მალავდა, მაგრამ უშვერად ილანძღებოდა, ლამის ყოველ სიტყვას ვარლამ არავიძის გინებით იწყებდა და ამთავრებდა. ისეთ უწყინარ შეკითხვაზეც კი „დაბადების წელი", პასუხობდა გახელებით: „აფთარმა რომ დამიჭირა, ათი წლის ვიყავი, ე. ი. დავბადებულვარ 19"... „თქვენ გეკითხებიან, – სიმშვიდისაკენ მოუწოდებდნენ დამჭირველები პატიმარს. – რომელ წელს დაიბადეთ, მეტს არაფერს"... „სისხლისმსმელმა აფთარმა" – უმატებდა დოზებს ვარლამ არავიძის შესამკობად პატიმარი, – ჩემი საბუთები მოსპო... მე არ ვიცი, როდის დავიბადე...

„დაბადების ადგილი?"

„სისხლისმსმელი, აფთარ-ღორის სახელი ჰქვია ახლა იმ ქუჩას, სადაც მე დავბადებულვარ".

„ე. ი. ლუქსემბურგის ქუჩაზე დაბადებულხართ, არავში"... – არ ამწვავებდნენ დაკითხვას დამჭირველები.

„სისხლისმსმელმა, აფთარ-ღორმა, გველმა ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა და შერჩა ხალხის მეხსიერებას გველის სახელი – ვარლამის ქუჩას ეძახის ხალხი ლუქსემბურგის ქუჩას.

„გაანებე თავი ვარლამ არავიძეს, უნდა მოგვცეთ ჩვენება ადამიანურად! – ხანდახან მრისხანებდნენ კიდეც დამჭირველები, – ვვიპასუხეთ, რა საქმიანობას ეწევით, პროფესია თქვენი?..

„აისხლისმსმელის, გველის, ადამიანის ხორცის მჭამელ აფთარ-ღორის ვარლამ არავიძის საფლავიდან ამოთხრა! – სხვა პროფესია მე არა მაქვს!

– არაფერი არ გისწავლიათ? რა ხელობის კაცი ხართ? – დაუყვავეს, რაკი შეატყვეს, რომ ძალით, მრისხანებით, მუქარითა და დაშინებით ვერას გახდებოდნენ.

– ჩემი ხელობაა სისხლისმსმელის, ადამიანის ხორცის მჭამელი აფთარ-ღორის, ასპიტი გველის საფლავიდან ამოგდება – ჯიუტობდა პატიმარი. რაც უფრო მეტს აფრთხილებდნენ, ვარლამ არავიძე არ ახსენოო, მით უფრო უმატებდა სალანძღავ სიტყვებს. სიტყვა

„აფთარით“ დაიწყო ვარლამ არავიძის დახასიათება და ვიდრე სამ შეკითხვაზე გასცემდა პასუხს, დაახვავა შესამკობი სიტყვები, „აფთარ-ღორი“, „სისხლისმსმელი“, „ადამიანის ხორცის მჭამელი“, „გველი“, ბოლოს „ასპიტით“ დაამთავრა. ყოველ დაკითხვას ასე წარმართავდა. რა თქმა უნდა, ადლში ყველამ იცოდა, თუ ვინ იყო ვარლამ არავიძე, არც პატიმრის ამგვარი გახელება აკვირვებდათ მაინცდამაინც. მთავარს არ ამბობდა პატიმარი, თუ რატომ თხრიდა ვარლამ არავიძეს საფლავიდან. ეს აფიქრებდათ, ეს აწუხებდათ.

საავადმყოფოდან ხალდანი ადლის ჯურღმულებში გადაიყვანეს.

ხალდანის დაკითხვას განსაკუთრებულ საქმეთა განყოფილება უძღვებოდა. გრიგოლოვს უნდოდა, ეს საქმე სწრაფად დაემთავრებინა და პატაკი გოგში გაეგზავნა. ამიტომ დღეში ორჯერ, სამჯერ გამოჰყავდათ პატიმარი საკნიდან და ხან ერთი გამომძიებელ-დამჭირველი, ხან მეორე დაჰკითხავდა.

პატიმარი, მართალია, ლანძღავდა და აგინებდა ვარლამ არავიძეს, მაგრამ დანაშაულსაც აღიარებდა, მხოლოდ იმას არ ამხელდა, თუ რატომ თხრიდა საფლავიდან მიცვალებულს. ამას სამსჯავროს მოვახსენებო – ამბობდა.

სასამართლო ანუ სამსჯავრო, (ასე ეძახდნენ არავის ქვეყანაში სამართალწარმოებას). ისე ვერ გაიმართებოდა, თუ ყველაფერი წინასწარ არ იყო მოფიქრებული, მოაზრებული, თუ მსჯავრის გამოტანა წინასწარ არ იყო „დადგმული“. ნამდვილი განაჩენი გრიგოლო გრიგოლოვის უფროსისკარში გამოჰქონდათ, სამსჯავროზე მხოლოდ გაითამაშებდნენ სამართლიანობას და პატიმარს მსჯავრს დასდებდნენ. ვარლამ არავიძის დროიდან ასე დაეწესებინათ და ამ წესს ვერავინ გადავიდოდა. სამსჯავროზე ყველამ ყველაფერი წინასწარ იცოდა. ადლის მუშაობა ამით ფასდებოდა, თუ სამსჯავროზე წინასწარშეთანხმებიდან არავინ გადაუხვევდა. მესჯულეს (მოსამართლეს) და მსჯავრმდებელსაც კი (პროკურორს) წინასწარ ამუშავებდნენ, რაც ადლს სურდა, ყველას იმას ათქმევინებდა, მსჯავრსაც იმას გამოატანინებდა, რაც წინასწარ დაედგინა. რასაკვირველია, გრიგოლ გრიგოლოვს არ აკმაყოფილებდა ჯეგე ხალდანის პირველი ჩვენებები. წინასწარ უნდა სცოდნოდა, რის თქმას აპირებდა სამსჯავროზე ბოროტმოქმედი. სასწრაფოდ სა-

განგებო ზომები უნდა მიეღო, თორემ განსაკუთრებულ საქმეთა განყოფილება ვერ მოერეოდა ხალდანს. რიკტაფელოვი გამოიძახა და დაავალა, პირადად დაეკითხა ბოროტმოქმედი და საქმეს თვითონ გაძღოლოდა. რიკტაფელოვი საგონებელში ჩავარდა. რატომღაც გული უგრძნობდა, ალღო კარნახობდა, რომ ხალდანის საქმეს მის განყოფილებას – ზეგანსაკუთრებულ საქმეთა განყოფილებას დაავალებდნენ და მართლაც ასე მოხდა. გრიგოლოვისაგან დავალება რომ მიიღო, თავის სამუშაო ოთახში ჩაიკეტა და თავიდან ბოლომდე მოისმინა ჯეგე ხალდანის დაკითხვის ჩანაწერი.

ვარლამ არავიძის დრო რომ ყოფილიყო, რიკტაფელოვი დამნაშავეს ერთ დღეში ააჭიკჭიკებდა, ახლა რა ხრიკი უნდა ეხმარა, რომ იგივე შედეგი მიეღო?..

გრიგოლოვსაც და რიკტაფელოვსაც უკვე არაერთგზის ჰქონდათ მოსმენილი ხალდანის ახირებული ჩვენებები: „სად ცხოვრობთ“ – ეკითხებოდნენ დამნაშავეს. „აფთარმა ვარლამ არავიძემ“... – იყო პასუხი. „თავი გაანებეთ არავიძეს, რამდენჯერ უნდა გითხრათ... მიპასუხეთ: დღეს სად ცხოვრობთ?“

„სისხლისმსმელმა აფთარმა ვარლამ არავიძემ საცხოვრებელი მომისპო“.

„თქვენთვის სჯობს გულწრფელად აღიაროთ დანაშაული, – ძალად იკრებდა სიმშვიდეს განსაკუთრებულ საქმეთა გამომძიებელი, ეს თქვენ სასჯელს შეგიმსუბუქებთ...

„სისხლისმსმელმა და ადამიანის ხორცის მჭამელმა, აფთარმა, ვარლამ არავიძემ... – თანდათან უმატებდა დოზებს არავიძის შესამკობლად დამნაშავე.

რიკტაფელოვი ჩანაწერს ახლა სხვა გულისყურით უსმენდა, გზებს ეძებდა ხალდანის გააფთრებულ გულთან მისასვლელად.

მთელი დღე არავის დალაპარაკებია, უსმენდა პატიმარს, ვარლამ არავიძის საფლავიდან ამოგდებას, ხედვითი ჩანაწერიც მოატანინა, აკვირდებოდა, სწავლობდა...

დემურ რიკტაფელოვი პატიმართან შესახვედრად ემზადებოდა, ამასობაში კი ბრძანება გასცა, ხალდანი პირველ ჰომონკულუსში გადაეყვანათ. ჰომონკულუსები, ანუ ვარლამ არავიძის დროინდელი სანამებელი საკნები, ადლის მიწისქვეშა სარდაფების სარდაფებ-

ში განელაგებინათ. მიწისქვეშა ჯურღმულები ვარლამ არავიძეს შეექმნა. დღეს ეს საკნები გაუქმებული იყო. ჰომონკულუსების ხსენებაც კი არ შეიძლებოდა. ხალდანის ჰომონკულუსებში გადაყვანამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ადლის მუშაკებს შორის.

ჰომონკულუსებში პატიმრის ჩაგზავნა ვარლამ არავიძის დროსაც კი არ შეიძლებოდა შეუთანხმებლად. საგანგებო განკარგულებაც უნდა გაცემულიყო უშუალოდ ადლის უფროსის, გენერალური დამჭირველის მიერ.

რიკტაფელოვმა დაარღვია შინაგანანესიც – ვარლამ არავიძის მიერ დამკვიდრებული, და ახალი ცირკულარიც – გოგიდან მოსული, რაც ჰომონკულუსების საერთოდ აკრძალვას მოითხოვდა.

სანამებელ საკნებს, ანუ ვარლამ არავიძის სიტყვით – ჰომონკულუსებს, თავიანთი პატარ-პატარა დანიშნულებანი გააჩნდა. სულ ცხრა ჰომონკულუსი, ანუ ცხრა ჯოჯოხეთის კარი უნდა გაეღო პატიმარს. როცა ამ „კარებს“ გაიღიდა, ადამიანი რკინისაგან ნაგები რომ ყოფილიყო, ცვილად იქცეოდა და ადლის მუშაკები ისე მოზელდნენ, როგორც მათ მოესურვებოდათ.

პირველ ჰომონკულუსში ყოფნას პატიმრები დაცინვით „შიმშილით თერაპიას“ ეძახდნენ. პირველსავე ჰომონკულუსში გამტყდარან ლომივით ვაჟკაცები. პატიმარმა ჯერ ხომ არ იცოდა ჰომონკულუსების რაობა. ჩვეულებრივი საპატიმრო საკნისაგან ის არაფრით განსხვავდებოდა. ეჭვის აღმძვრელი იყო მხოლოდ ძირს ჩასვლა, სულ ქვევით და ქვევით მიჰყავდა პატიმარი იზოლატორის კაცს. „ციხე“, „საპატიმრო“, „საპყრობილე“ და მისთანანი, ადლის მუშაკებს შორის არც იხსენიებოდა; ჯურღმულს, სადაც მოეთავსებინათ ადლის საპატიმრო, იზოლატორს ეძახდნენ, ხოლო იმ ჯურღმულის ჯურღმულს, სადაც განლაგებული იყო სანამებელი საკნები – ჰომონკულუსები ეწოდებოდა, ჯალათებს – ჰომონკულუსთა მსახურთ – იზოლატორის კაცებად იცნობდნენ. აი, ეს იზოლატორის კაცი გასაღებების ჟღარუნით გაუძღვებოდა წინ პატიმარს, რომელსაც უკანაც თოფიანი კაცი მისდევდა. ჩადიოდნენ და ჩადიოდნენ ჯურღმულში. არ თავდებოდა „ძირს ჩასვლა“. ადამიანს შიშს ჰგვრიდა, სულს უშფოთებდა საკუთარი ფეხებით ჩაძვრომა. მიდიოდა ბორკილების ჟღარუნით და ფიქრობდა: „სად

მივდივართ? – ალბათ იქ ქვევით უნდა მომკლან“... როცა მშვიდობიანად ჩავიდოდნენ ჯურღმულში და ჰომონკულუსში ნიხლის კვრით შეაგდებდნენ, იქ, საკანში, უკვე წამება ელანდებოდა. ახლა შემოვლენ და გახურებული შანთით მაწამებენო. ახლა ჯალათი შემოვა და თვალებს დამთხრისო, – ფიქრობდა... – არავინ შემოვიდოდა, სულ არავინ, იზოლატორის კაციც კი... დაიგმანებოდა, არამანაც, საიდანაც პატიმარს მუდამდღე ჯაშუში უთვალთვალებდა. მცირეოდენი ჰაერი შემოდიოდა. მეორე-მესამე დღეს ხვდებოდა პატიმარი, რომ ამ საკანში მას შიმშილით აწამებდნენ. რაც უფრო ღონიერი და ძლიერი იყო ვაუკაცი, „შიმშილით თერაპია“ მით უფრო მოქმედებდა. ვაუკაცებს უჭირდათ შიმშილობა. ერთი ნატეხი პურისათვის ბევრს სული გაუყიდია და შემდეგ დარჩენილი სიცოცხლე მარადიულ სინანულში გაუტარებია.

ჰომონკულუსი – ალქიმიკოსების აზრით, ადამიანის სპერმატოზოიდისაგან ხელოვნურად შექმნილი კაცუნაა. ვარლამ არავიძეს უყვარდა უცხო სიტყვები. იზოლატორიც მან დაარქვა საპყრობილეს და ჰომონკულუსიც – საწამებელ საკანს. დედააზრი ჰომონკულუსის დარქმევისა – ლომივით ვაუკაცების კაცუნებად ქცევა გახლდათ.

– ჰომონკულუსად ვაქცევ! – მაგიდაზე ხელს დაჰკრავდა ვარლამი და მართლაც. ადამიანი ცხრა საწამებელ საფეხურს, ე. ი. ცხრა ჰომონკულუსს რომ გაივლიდა, ის მართლაც არაკაცად, კაცუნად, თახსირად, დამსმენად, ნაძირალად ან ჭკუასუსტად, შეშლილად, ავადმყოფად რჩებოდა სამუდამოდ, თუ, რასაკვირველია, საერთოდ ცოცხალი გადარჩებოდა.

ყველაზე საშიშ საკნად მეცხრე ჰომონკულუსი მიიჩნეოდა. მეცხრე ჰომონკულუსამდე ვინც მიაღწევდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ პატიმარმა გაუძლო „შიმშილით თერაპიას“, „წყურვილით“, „სიცივით თერაპიასაც“, ცემათა ნაირსახეობებს, სხვადასხვაგვარ სხეულებრივ წამებებს. მაშასადამე, ფიზიკური ტანჯვით მიზანი ვერ მიიღწეოდა, მეცხრე ჰომონკულუსს პატიმრისთვის უნდა მიეყენებინა ისეთი სულიერი დარტყმა, სამუდამოდ გამტყდარიყო, სამუდამოდ მონად ქცეულიყო.

მეცხრე ჰომონკულუსში შემოდიოდა შიმშილით, წყურვილით, ცემითა და გვემით დაუძლურებული ადამიანი. პყრობილს ეგონა, წინ უკვე სიკვდილი იყო, სხვა არაფერი რჩებოდა...

მეცხრე ჰომონკულუსი სწორედ ის საკანი გახლდათ, სადაც ცოცხლად სიკვდილი ეწერა ადამიანს. არავინ იცის, თვით ადლის მუშაკებმაც კი არ იციან დანამდვილებით, რა ხრიკებს მიმართავდა იქ ვარლამ არავიძე, მაგრამ ის კი ნათელია, იმ ჰომონკულუსში ნამყოფი პატიმარი, მართლაც ჰომონკულუსად იქცეოდა.

მეცამეტე გენერალისიმუსის გადაყენების შემდეგ, ახალმა მეთოთხმეტე გენერალისიმუსმა უარჰყო ვარლამ არავიძის საქმიანობა, მის მიერ შემოღებული წესები და კანონები გააუქმა, კანონიერების, სამართლიანობის, წესიერების აღდგენა მოითხოვა, მაგრამ როცა ვარლამ არავიძე საფლავიდან ამოთხარეს, ახალი გენერალისიმუსიც შედრკა, არ იცოდა, რა ეღონა, რა მოემოქმედა. ხვალ ჩვენც ამოგვთხრიანო, – შიშმა შეიპყრო და ვარლამ არავიძის გამართლებას მიჰყო ხელი. მართალია, მის საქმიანობას უარვყოფთ, მაგრამ საფლავიდან ამოსათხრელად არ გვემეტება, დამნაშავე სასტიკად უნდა დაისაჯოსო. ახალი გენერალისიმუსის მოვლენისთანავე ადლებში, სამართალდაცვით ორგანოებში, შორეულ ბანაკებსა, იზოლატორებსა თუ სამუდამო კატორღებში თითქოს ადამიანურმა სიომ რომ დაჰბერა, დროც შეიცვალა და ვითარებანიც. აი, ასეთ დროს რიკტაფელოვმა გაბედა და ჯეგე ხალდანი ჰომონკულუსში გაგზავნა. შესაშინებლად გაგზავნა, თორემ კარგად იცოდა, ამის ნებას არ მისცემდნენ. შეაგდო შიმშილის საკანში და კარი მიუხურა. ორ დღეს ვამყოფებ და დაკითხვაზე მერე ამოვიყვანო, ფიქრობდა. ნაკატორღალი ხალდანი უმალ მიხვდება, რომელ საკანში შეაგდეს, რატომ შეაგდეს, რას უპირებდნენ და, პირველსავე ჰომონკულუსში, პირველსავე დღეს დაფქვავს, დაწერს და ხელსაც მოაწერს, რაც სამსჯავროსთვის უფროსობას სჭირდებაო. ასე ფიქრობდა რიკტაფელოვი და პყრობილი ამიტომ შეაგდო ჰომონკულუსში. მაგრამ რიკტაფელოვსაც ჰყავდა მტერი, როგორც ყველა მოკვდავს. ზესაგანგებო განყოფილებამ საიდუმლო ბეზღობა გაამზადა სასწრაფოდ და გოგში აფრინა. ეს განყოფილება იყო ადლის ფხიზელი თვალი. ადლის ყოველი მუშაკის,

თვით გრიგოლო გრიგოლოვის საქმიანობას მუდამწამს ზესაგანგებო განყოფილების დამჭირველები უთვალთვალებდნენ და მცირე „გადახრასაც“ არავის აპატიებდნენ. ბეზღობას პირდაპირ გოგში აგზავნიდნენ. მათ ხელფასი, პრემია-დანამატი ამ ბეზღობების მიხედვით ეძლეოდათ, ბუნებრივია, მცირე ეჭვიც კი ვრცელი ბეზღობის წერილის საფუძველი ხდებოდა. რა თქმა უნდა, ჰომონკულუსში პატიმრის გაგზავნას, მას შემდეგ, რაც ცირკულარი მოსული იყო, ვინ შეარჩენდა რიკტაფელოვს! მით უფრო, ზესაგანგებო განყოფილებას დოქსოპულოვი, რიკტაფელოვის დაუძინებელი მტერი ხელმძღვანელობდა. დოქსოპულოვის მამაც ვარლამ არავიძესთან მუშაობდა და მამებიც მტრობდნენ თურმე ერთმანეთს.

გრიგოლოვმა დილით, როცა განყოფილებათა მიერ მოწოდებული ცნობები გადაათვალიერა, რიკტაფელოვის კანონგარეშე ჩადენილი ქმედებანი იქ ამოიკითხა. არ გაკვირვებია, რა თქმა უნდა, იცოდა, რიკტაფელოვი ხალდანს ჰომონკულუსში უკრავდა თავს, იმიტომაც გადააბარა სწორედ ხალდანის საქმე. რახან გახმაურდა, დოქსოპულოვმა მთლად გოგს შეატყობინა. ახლა უკვე სხვა გზა არ იყო, უკან უნდა დაეხიათ. სასწრაფოდ დაიბარა რიკტაფელოვი, გულისგარეთ დატუქსა, როგორ თუ შინაგანაწესს არღვევო და ხალდანის ჰომონკულუსიდან ჩვეულებრივ საკანში გადაყვანა ბრძანა.

გრიგოლოვი ატყობდა, რომ ჭიანურდებოდა ხალდანის საქმე, დამნაშავე დღესაც იმას ამბობდა, რაც პირველ დღეს თქვა საავადმყოფოში. ეგებ არ ღირდა ძიების გაგრძელება. რა უნდა თქმულიყო ისეთი სამსჯავროზე, რაც ადლში, თუნდაც გოგში არ იცოდნენ. გენერალისიმუსს ერთხელაც რომ მოეკითხა ვარლამ არავიძის საქმე, ხომ დაიღუპებოდა?

სასწრაფოდ შეკრიბა სამეული: გრიგოლოვი, რიკტაფელოვი და აბელ არავიძე, ჩაიკეტა თავის უფროსისკარში და ხალდანს მსჯავრი გამოუტანა.

– სამი წლით თავისუფლების აღკვეთა! – გამოაცხადა მან ლაღად, დაჯერებულად, თვალები უციმციმებდა, ჩანდა, რომ ისეთი რამ მოიფიქრა, უსათუოდ მოეწონებოდა ყველას. დაბალი კაცი იყო, თავგადაპრიალებული, დიდი ტუჩებით. ცისფერი, წვრილი თვალები თითქოს პატარა მრგვალ ფოსო-საკნებში დაუმწყვდევიათ და გაქცევას ლამობენო, შეუჩერებლად მოძრაობდნენ.

– ოღონდ პერ-მან-ენ-ტულად!.. – ახა, ხა, ხა!.. – კმაყოფილმა გადაიხარხარა, საკუთარი გადაწყვეტილება ძალზე მოსწონდა.

– ხომ გასაგებია! – პერ-მან-ენ-ტულად! ძვირფასო აბელ! ხომ გეცნოთ?.. ცხონებული მამათქვენის ტერმინია, ხომ, ასეა?.. პერ-მანენტულად, ე. ი. უსასრულოდ!.. მარადიული სამი წელი! გასაკვირველი არ არის ასეთი გადაწყვეტილება? ეს მხოლოდ იმათ შეეძლოთ! ვარლამ არავიძის თაობას!..

გრიგოლოვი მაგიდასთან უკვე აღარ იჯდა, ოთახში წინ და უკან დადიოდა და მიდგმულ მაგიდასთან ერთმანეთის პირდაპირ მსხდარ აბიასა და რიკტაფელოვს შეუჩერებლად მოუთხრობდა თავის გენიალურ მსჯავრზე.

– პირდაპირ უნდა გითხრა, ძალიან გამიჭირდა მსჯავრის გამოტანა, კანონში საერთოდ არ გვინერია, თუ მამებს საფლავიდან ამოგვითხრიან და ჭიშკრებთან მოგვიყრიან, სამაგიეროდ რა მივუზღათ. საფლავის შებილწვა ითვალისწინებს ჯარიმას და სამი წლით თავისუფლების აღკვეთას. რა უნდა მექნა? განა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა კმარა ვარლამ არავიძის საფლავიდან ამომთხრელისათვის? თვითონ ვარლამ არავიძე დამეხმარა. ა, დიადი საქმენი!..

გრიგოლოვს სამუშაო მაგიდაზე საგანგებოდ ცალკე დაელაგებინა არქივიდან მოტანილი საქმენი, იმ საქმეებს წინ უდებდა აბიას და თან უხსნიდა:

– თვალდამწვარიშვილებისა... ა, კიდევ ამილახვრებისა, ესეც გორგიჯანისძეებისა...

ახლა ოცდაათტომიანი საქმეები დგება, მაშინ სხვა დრო იყო, თითო ტომი საკმაო იყო თითო ადამიანის მოსასპობად. ამათ, ყველას სამ-სამი წელი ჰქონდათ მისჯილი, ოღონდ პერ-მან-ენ-ტულად!.. როგორც დიდი ვარლამი იტყოდა... ისინი შორეული გადასახლებიდან აღარ დაბრუნებულან, სამს კიდევ სამი მიემატა, კიდევ სამი და ა. შ. პერმანენტულად...

აი, სად სწერია ეს სიტყვა!..

გრიგოლოვმა ამილახვრების საქმე გაშალა, წინასწარ მოემზადებინა გვერდი.

– აგერ, წაიკითხეთ!..

აბიამაც და რიკტაფელოვმაც თავები ჩაჰყვეს საქმეში, გრიგოლოვი მათ გულწრფელად უხსნიდა.

აქ ყველაფერი ნათელია! – ხელისგული დაადო საქმეს, – მონაკვლევი მასალაც შიგ არის და განაჩენიც, ხოლო საქმეს ბოლო გვერდზე მსხვილი ასოებით აწერია „პერ-მან-ენ-ტულად". ეს ერთი სიტყვა სამუდამო კატორღას ნიშნავს. წარსულისაგან უნდა ავიღოთ, რაც კარგია, რაც ცუდია, უარვყოთ!.. გრიგოლოვი სამუშაო მაგიდას მიუჯდა და აბიას შეხედა, – უკეთესს ხომ არაფერს შემოგვთავაზებთო.

– ჩვენ, მე და რიკტაფელოვი ამ აზრზე ვდგავართ! – თქვა გრიგოლოვმა და ჯერ რიკტაფელოვს შეხედა, შემდეგ აბიას.

რიკტაფელოვს პირველად ესმოდა ეს სიტყვები, ჯერ ძიება აღარც კი დაეწყო და განაჩენი უკვე გამოეტანა გრიგოლოვს.

– დიახ, ჩვენ ერთ აზრზე ვდგავართ... – უტიფრად თქვა და უტიფრადვე მიაჩერდა აბიას. – ხალდანი ოცი წელი იყო პატიმრობაში, გამოუსწორებელი ინდივიდია, რა თქმა უნდა, ის არ უნდა გამოვიდეს იზოლატორიდან.

– ახლა სხვა დროა, – ჩაიდუდუნა ნაღვლიანად აბიამ, – მერჩია კანონიერად მიგესაჯათ...

– კანონიერად! – შესძახა გრიგოლოვმა, – რასაკვირველია, კანონიერად ვსჯით! სხვაგვარადაც შეიძლება, წავიდა ის დრო! ოღონდ პერმანენტულად!.. დაანერეთ ხალდანის საქმეს!.. რამდენი ტომია? – მიუბრუნდა რიკტაფელოვს.

– ჯერ ათია. – მიუგო რიკტაფელოვმა.

– ათივე ტომს „პერმანენტულად" და გადაეცით სამსჯავროს... ხოს ყველაფერი ნათელია! ხომ არაფერი გნებავთ ჩემგან?.. – ჰკითხა გულთბილად აბიას და წამოდგა, აბიას ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი, სწორედ ბევრი რამ არ იყო ნათელი. თუ ერთ მშვენიერ დღეს გრიგოლოვს გადააყენებენ? ან სხვა მხარეში გადაიყვანდნენ? მაშინ? სიტყვა „პერმანენტულად!" ჰაერში გამოეკიდებოდა.

ძველ დროში ამ სიტყვას კანონის ძალას ვარლამ არავიძის შიში ანიჭებდა. დღეს ის გაუქმებული იყო. აბიას არ მოსწონდა ასეთი გადაწყვეტილება, მაგრამ თვითონაც ვერ ხედავდა უკეთეს გამოსავალს, კანონში მართლაც არ იყო მუხლი, რაც საკადრისად მიუზღავდა ხალდანს.

* * *

სამსჯავრო ერთ კვირაში გაიმართა. მესჯულეც და მსჯავრმდებელიც აბიას მეგობრები იყვნენ. ერთად სწავლობდნენ უმაღლეს სასწავლებელში, გოგში, ერთად ჩამოვიდნენ არავში და მუშაობაც ერთდროულად დაიწყეს. აბია სამსჯავროზე დასწრებას არც აპირებდა, ყველაფერი ნინასწარ გადანყვეტილიაო – დიდი იმედი ჰქონდა. მესჯულე და მსჯავრმდებელი მეგობრები რომც არ ყოფილიყვნენ, აბიას ასეთი დიდი თანამდებობა რომც არ ჰქონოდა, ადლის განაჩენს, რასაკვირველია, სამსჯავრო ვერ გადავიდოდა, ვერ შეცვლიდა. მაგრამ მოულოდნელი, არავში არ გაგონილი ამბავი დატრიალდა არავიძეთა თავს: დამნაშავემ დამცველი გოგიდან გამოიწერა და მოითხოვა მსაჯულიც და მსჯავრმდებელიც სხვა მხარედან მოიყვანეთ, აქაურები ყველანი არავიძეების ყურმოჭრილი მონები არიან, სამართალს ვერ გააჩენენო. მესჯულესა და მსჯავრმდებელს ვინ გამოცვლიდა! დამცველი კი მართლა ჩამოვიდა გოგიდან და სამსჯავროს გარშემო ისეთი მითქმა-მოთქმა ატყდა, ივსიხი ნესტორის ძესაც კი გააგებინეს, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთო.

გოგიდან ჩამოსული დამცველი სამართალს მოითხოვდა. ეს სიახლე იყო არავის ცხოვრებაში. გოგიდან ახალი სიო ჰქროდა, თორემ როდის იყო სამართალი სამსჯავროზე ვინმეს მოეთხოვა.

ივსიხი ნესტორის ძეს არაფრის თქმა შეეძლო, მმართველობას ჩამოცილებული იყო ავადმყოფობის გამო და მოსულთ აბიასთან აგზავნიდა. აბია გრიგოლოვთან გარბოდა, გრიგოლოვიც დაეჭვებული ჩანდა, ვინაიდან სამსჯავროს პირველსავე სხდომებზე გოგიდან ჩამოსული დამცველი, მოენე დამჭირველთა აზრით, ძალზე საეჭვოდ იქცეოდა, გამომწვევად ეჭირა თავი.

სამართალწარმოება არავის მხარეს საერთოდ გადავიწყებოდა. სასამართლოები დახურულ კარებში ტარდებოდა ათეული ნლობით. სახალხოდ ჯეგე ხალდანის სამსჯავროს გამართვა თითქოს დაუჯერებელიც კი იყო. პირველი და მეორე სხდომები დამნაშავემ ჩაშალა. ისე, როგორც გამოიძიებისას, ვარლამ არავიძის ლანძღვა-გინებით აიკლო ხალხი. მოითხოვდა მტკიცედ, დაბეჯითებით,

ვარლამ არავიძის ბილწი ცხოვრების თაობაზე მოეთხრო შეკრებილთათვის. მესჯულე ამის ნებას არ იძლეოდა, მსჯავრდებული არ ემორჩილებოდა და პირდაპირ იწყებდა თხრობას.

მსგავსი რამ არასდროს გაეგონათ და მოესმინათ სამსჯავროს წევრებს: მესჯულეს, მსჯავრმდებელს, მსაჯულებს, დამცველებს. გაოცებულნი ერთმანეთს შეჰყურებდნენ, რა ვქნათო და ხშირ-ხშირად თათბირობდნენ ერთმანეთში. მესჯულემ ჯერ მკაცრ ზომებს მიმართა, თოფიან მცველებს უბრძანა და მსჯავრდებული „დასამშვიდებლად" რამდენჯერმე გააყვანინა, ბოლოს შეწყვიტა სამსჯავრო სხდომა.

მეორე დღესაც იგივე განმეორდა და მესამე დღესაც. გოგიდან ჩამოსული დამცველი დაბეჯითებით მოითხოვდა დამნაშავეს ეთქვა სათქმელი.

მესჯულემ ჯერ თავის მსაჯულებთან ითათბირა წესისამებრ, შემდეგ უზენაეს მესჯულესაც მიმართა თხოვნით, სამსჯავრო დახურულად ჩაეტარებინათ. უზენაესმა მესჯულემ გრიგოლოვს ჰკითხა, როგორ მოვიქცეთო.

გრიგოლოვი საგონებელში ჩავარდნილიყო, სასწრაფოდ დაუკავშირდა გოგს და გენერალისიმუსის თანაშემწეს რჩევა ჰკითხა, თუ როგორ ემოქმედა. მხოლოდ ამის შემდეგ გაუგზავნა სამსჯავროს საიდუმლო მითითება: სამსჯავრო ჩაატარეთ საჯაროდ, სახალხოდ, ადლის გადანყვეტილება ძალაში დატოვეთ, ოღონდ სამსჯავრო წესი და რიგიც დაიცავითო. ათქმევინეთ დამნაშავეს, რაცა აქვს სათქმელი, მაგრამ პასუხიც დამაჯერებელი და საქმიანი უნდა იყოსო. გრიგოლოვმა გადაცმული დამჭირველები მიამაგრა სამსჯავროს; სამართალწარმოება უნდა ჩატარებულიყო ვითომ წესების დაცვით, უნდა შექმნილიყო ცრუ სამართლიანობის აბრაკადაბრა, მსჯავრი მაინც ის უნდა დაედოთ დამნაშავისათვის, რაც ადლმა გამოუტანა.

პირველი დღიდან, როცა სამსჯავროზე საბრალდებო დასკვნა წაიკითხეს და ხალდანს ჰკითხეს, თავს დამნაშავედ სცნობ თუ არაო, თავი დამნაშავედ არ სცნო, მართალია, ვარლამ არავიძე სამჯერ ამოვთხარე საფლავიდან, მაგრამ დამნაშავე მაინც არა ვარო. პირიქით, შეუდგა იმის მტკიცებას, რომ აღასრულა უმაღ-

ლესი მოვალეობა, ჰქმნა წმინდა საქმე, – პირველმა გააღვიძა სამართლიანობა, შურისგებით შეძლო ადამიანური ღირსების აღდგენა.

როცა ვარლამ არავიძის, როგორც ნამდვილი დამნაშავის, ბოროტმოქმედის, მკვლელისა და მძარცველის საქმიანობის აღწერას შეუდგა, ყალყზე დადგა სამსჯავრო, – ვარლამ არავიძის ცხოვრების აღწერას ამას ვინ ჰკითხავსო. მესჯულემ ზარის წკრიალით შეაწყვეტინა სიტყვა და გონებამახვილური შეკითხვით ატაცებული ბრალდებული სამსჯავრო საქმეთ დაუბრუნა:

– მოითმინეთ! – შეუძახა მან ხალდანს, – გამოძიებისას თქვენ აღიარეთ დანაშაული, ახლა ცვლით, ე. ი. არ აღიარებთ?

– არ ვაღიარებ, – მშვიდად მიუგო დამნაშავემ, დროებით უკან დაიხია.

– პირველ დღესვე, როცა დაჭრილი საავადმყოფოში მიგიყვანეს, თქვენ აღიარეთ დანაშაული, მას შემდეგ თქვენ ორჯერ დაგკითხეს და ორივეჯერ აღიარეთ. დღეს უარჰყოფთ! როგორ გავიგოთ ეს, უნდა განუმარტოთ სამსჯავროს.

– ვისნრაფვოდი დამეჩქარებინა გამოძიება, სამსჯავრო დროზე შემდგარიყო. დღევანდელი დღისაკენ მოვილტვოდი, ხალხის წინაშე წარსდგომა მნყუროდა. – მიუგო ნარბშეუხრელად ხალდანმა.

– აჰა, მაშასადამე, თქვენ წინასწარგანზრახულად აღიარეთ დანაშაული, თუმცა სინამდვილეში დამნაშავე არ ყოფილხართ.

– ასეა!.. – ხელები გაშალა ხალდანმა.

მაშ, ვინ ამოთხარა სამჯერ მიცვალებული საფლავიდან?!

– საფლავიდან მე ამოვთხარე, მაგრამ დამნაშავე არა ვარ, დამნაშავე მიცვალებულია.

დარბაზში ჩოჩქოლი ატყდა. ჯეგე ხალდანმა დარბაზს შეავლო თვალი, – ხალხით იყო სავსე, ფეხზეც ბლომად იდგნენ, ღია ფანჯრებზე, ღია კარში მოჯარულიყვნენ და ცნობისწადილით აღძრულნი მიჩერებოდნენ პატიმარს, რომელსაც ორი თოფიანი კაცი ედგა დარაჯად. მესჯულემ უმალ ააწკრიალა ზარი და ახმაურებული დარბაზი გააჩუმა. ხალდანის მზერას არც აბია და ცისმარე გამორჩენია, რომლებიც პირველ რიგში, მათთვის განკუთვნილ ადგილებზე ისხდნენ. ამჯერად უკვე მოსულიყვნენ, ვინაიდან

სამსჯავრო მართლა ისე უნდა ჩატარებულიყო, როგორც სხვა ქვეყნებში ტარდებოდა სასამართლოები.

ხალდანმა თანგულიაც მოძებნა კარებში მოჯარულ ყმაწვილთა შორის და უცებ დაჭრილი მკლავი გაახსენდა, თითქოს აენვა, ასტკივდა. შებინდული მკლავი კისერზე რომ ეკიდა. თანგულიას დანახვისთანავე რატომღაც შეარხია და მესჯულეს მიუბრუნდა.

– ბატონო მოსამართლევ, ტყუილუბრალოდ მრისხანებთ და ტყუილუბრალოდ ბობოქრობთ, ზეპირად ვიცი კოდექსი: სამართალი სამი წლით პატიმრობას ითვალისწინებს, სამ წელზე მეტს ვერ მომისჯით, გამოვალ ციხიდან და ამოვთხრი... უეჭველად ამოვთხრი! ვარლამ არავიძეს მინაში არ გავაჩერებ! – განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება!..

– ბრალდებულო ხალდანო! – მაგიდას დაჰკრა მუშტი მესჯულემ და წამოხტა, – აჩოჩქოლებულ დარბაზს აჰყვა. მაგრამ იმავე დარბაზის დაშოშმინებასაც უმალ მიჰყო ხელი ზარის გამუდმებული წკრიალით.

– შევწყვეტ სამსჯავრო სხდომას, იცოდეთ! მიგაბრძანებთ, სადაც საჭიროა!.. – თვალებით ცეცხლი მიაყარა პატიმარს.

– ამით არაფერი შეიცვლება! – მიაგება ხალდანმა იმავე ცეცხლით.

დარბაზმა კვლავ ამოიკვნესა, ამოიხრიალა რაღაც სიტყვები, მესჯულემ უმატა ზარის რეკვას.

– თვითონ უნდა ამოთხაროს აბია არავიძემ მამის გვამი და ყორნისხევში, ყორნებს მიუგდოს საჯიჯგნად! თუ არა და მე ამოვთხრი! უსათუოდ ამოვთხრი, გამოვალ ციხიდან და ამოვთხრი!

– ბრალდებულო ხალდანო! ბრალდებულო ხალდანო! – აყვირდა მესჯულე. – უკანასკნელად გაფრთხილებთ, ილაპარაკეთ საქმეზე!

სხვათა ბრალდებას და განაჩენის გამოტანას თავი გაანებეთ! ბრალდებული თქვენ ხართ და განაჩენი ჩვენ უნდა გამოგიტანოთ!..

– პატივცემულო მოსამართლევ, მე უნდა ამოვთხარო ვარლამ არავიძე საფლავიდან. მანამ სანამ მას თქვენ მარხავთ მინაში, ასჯერ რომ დამარხოთ, ასჯერ უნდა ამოვთხარო! განა ადვილია მიცვალებული საფლავიდან ამოიღო. ამოუთხრია ვინმეს ჯერ? არა. ბედმა მე მარგუნა ეს სიავე! მაშასადამე, უფრო დიდი განაჩენია, ვიდრე მე თქვენ გამომიტანთ!

დარბაზი კვლავ ახმაურდა. გაისმა შეძახილები, აბიას საამებლად, აბიას დასანახად პატიმარს ლანძღავდნენ და ადგილებიდან მუშტებს უქნევდნენ.

„შეუძლებელია აქ ყოფნა", – უჩურჩულა აბიამ ცისმარეს, წამოდგა, ცოლი წინ წაიმძღვარა და აღშფოთებულებმა დატოვეს სამსჯავრო. კარებში მოჯარულ ხალხში თანგულიას დაუწყო ძებნა. იცოდა, რომ სადღაც აქ იყო და ვერ პოულობდა. თანგულიამ როგორც კი თვალი მოჰკრა – მამა წამოდგაო, ხალხს შეერია და დაემალა. არ უნდოდა შინ წასვლა. სკოლიდან ამხანაგებთან ერთად წამოსულიყო, ვერ მიატოვებდა მათ.

მესჯულე აბიას წასვლამ უფრო ააფორიაქა, მსჯავრმდებელს გადახედა, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთო. ასეთ დროს მესჯულეს უნდა გამოეცხადებინა, სამსჯავრო სათათბიროდ გადისო, მაგრამ სანამდე უნდა ეთათბირათ ერთსა და იმავე თემაზე?.. სჯობდა სამსჯავროს გაგრძელება, გაჭიანურებისათვის ცალკე მოითხოვდნენ პასუხს.

– ბრალდებულო ხალდანო! – უთხრა მან პატიმარს უკვე თხოვნის კილოთი, – რაც გინდათ, თქვით, ოღონდ უშუალოდ თქვენს დანაშაულზე და ამ დანაშაულის გამომნვევ მიზეზზე.

– ვარლამ არავიძეზე! – მიზეზი ვარლამ არავიძეა! – შეაწყვეტინა ხალდანმა მესჯულეს.

– კი, ბატონო ილაპარაკეთ ვარლამ არავიძეზე, როგორც თქვენი დანაშაულის გამომნვევ მიზეზზე და არა საერთოდ ვარლამ არავიძეზე.

თანგულია ბიჭებში გმირივით იდგა, თვითონ არაფერს ამბობდა, მისი მეგობრები კი ხალდანს შორიდან შეძახილებით, გინებითა და მუქარით იკლებდნენ. მესჯულემ შეამჩნია ყმანვილების მეტისმეტი ხმაურობა და წესრიგისაკენ ახლა მათ მოუწოდა.

– დავხურავ მაგ კარებს, იცოდეთ! – ბიჭები კართან იყვნენ მოჯარულნი და იქიდან ემუქრებოდნენ ხალდანს, ამით თანგულიას თანაუგრძნობდნენ.

– ხმა არ გავიგონო თქვენი, თორემ გაგიყვანთ სამსჯავროს შენობიდან!..

როგორც იქნა, დაშოშმინდნენ, დაწყნარდნენ, სიჩუმე ჩამოვარდა სამსჯავრო სხდომაზე და ბრალდებული შეუდგა ხალდანების მთელი საგვარეულოს ამოწყვეტის ისტორიის მოყოლას.

სამსჯავრომ და დარბაზში მსხდომმა არავიძეებმაც, რა თქმა უნდა, უკვე იცოდნენ, თუ ვინ იყო ჯეგე ხალდანი, ჩუმ-ჩუმად ერთმანეთს ეჩურჩულებოდნენ, თუ როგორ დაღუპა ვარლამ არავიძემ ახალგაზრდა სანდრო და ია ხალდანების ოჯახი, როგორ აქცია დამნაშავედ მათი შვილი, ყრმა ჯეგე ხალდანი, როგორ დაიკარგნენ უგზო-უკვლოდ სხვა ხალდანები – სანდროს ბიძაშვილ-მამიდაშვილები. ეს ამბავი ყურმოკვრით ადრეც გაეგონათ, ზოგი აქ დამსწრეთაგანი მოწმეც და მონაწილეც კი იყო ხალდანთა განადგურებისა, მაგრამ ათი წელიწადი კატორღაში, ტყეში მცხოვრები ტყისკაცის ნაამბობს სხვა ძალა და ფერი გააჩნდა, სხვა ძალმოსილება ახლდა. ჯეგე ხალდანი ჰყვებოდა დინჯად, მშვიდად, ჩანაწერებიც კი წამოეღო, რომელშიც ხანდახან ჩაიხედავდა და საუბარს ასე განაგრძობდა. როგორც ქადაგი, მთელი თვე იდგა და ლაპარაკობდა, ხანდახან იდაყვით დაეყრდნობოდა ზღუდეს, რომელიც პატიმრის სამწყვდევს სამსჯავროსაგან გამოჰყოფდა. როცა ვინმე შეაჩერებდა, ვინმე გააფრთხილებდა, ვინმე შეკითხვას მისცემდა, მაშინ ჩამოდებდა მკლავს ზღუდეზე. წამით ისვენებდა. დანარჩენ დროს ზურგს უკან ხელებდაწყობილი იდგა და ჰყეფდა. ბორკილები არ ედო, ხალხის დასანახად, როცა სამსჯავროში შემოჰყავდათ, მაშინ შეხსნიდნენ ხოლმე ბორკილებს, მაგრამ მაინც ზურგსუკან ეწყო ხელები.

ხან მსჯავრმდებელი შეაჩერებდა და ჭკუის სწავლებას დაუწყებდა, ხან მესჯულე მოუწოდებდა წესრიგისაკენ. ის მაინც განაგრძობდა ვარლამ არავიძის ბნელ საქმეთა მხილებას. ხალხმა ყველაფერი იცოდა, მაგრამ სახალხოდ, საჯაროდ ამის მოსმენა, არავიძის სიავეთა მთლად მზის სინათლეზე გამოტანა სიამოვნებას ჰგვრიდათ. ყოველ დღე მატულობდა სამსჯავროზე დამსწრეთა რიცხვი. ჩუმად ერთმანეთს უამბობდნენ საკვირველი შურისმაძიებლის ამბავს და მის სანახავად სხვა ქალაქებიდან, შორეული სოფლებიდანაც კი ჩამოდიოდნენ.

სამსჯავრო სხდომისათვის განკუთვნილი დრო რომ ამოიწურებოდა, პატიმარი კვლავ ადლის იზოლატორში მიჰყავდათ. იქაც, საკანშიც ვერ იწყნარებდა სულს და მეორე დღისთვის ემზადებოდა.

დილით კვლავ მიჰყავდათ სამსჯავროზე, კვლავ ამცნობდა ხალხს ვარლამ არავიძის ტირანულ საქმეებს.

* * *

ხალებიანი, ჯაგარა, ქეჩოაყრილი აფთარი არავს და არავიძეთს მხოლოდ ერთხელ ენახა, მხოლოდ ერთხელ ჩამოხეტებულიყო საიდანღაც, მხარის უხუცესნი აფთრის „დაცემას“ დღესაც შიშითა და ზიზღით იგონებენ.

თურმე ერთ ქარიან და წვიმიან დღეს, საღამოხანს, გაუგონიათ საზარელი ყმუილი. მონადირეებს უცვნიათ ხმა. ბიჭებო, ეს აფთრის ყმუილიაო...

ისეთი წვიმიანი დღე ყოფილა, ისე ჩამობურულა და დაღამებულა უეცრად, თითქოს ცის სასწაული უნდა მოხდესო. მართლაც მომხდარა ეს სასწაული. არავის ჭალაში აფთარი მოვარდნილა, ზედმომდგარი ტყიდან გამოსული, ჯაგარაშლილი. ხან ღვარად ჩამოდენილ წვიმას ყნოსავს ჰაერში თურმე, ხან სველ მიწას უსინჯავს გერშს და პირდაპირ მიდის ყორნისხევისკენ. სადაც ახლადდამარხული მკვდრები ეგულება. მოვარდა ცოფიანივით, ჩამოუარა, დასუნა ნაყარი მიწა, თითქოს შეამოწმა, მკვდარი მართლა აქ მარხია თუ არაო. დაიწყო თხრა გრძელი, ღონიერი წინა თათებით, თხრის და ყმუის, დუჟი ჩამოსდის ლაშებიდან...

ეს ამბავი უნახავს სოფლისაკენ მიმავალ მწყემსს. მთებიდან, დღევანდელი ნაკრძალის ზონა რომ არის, იქიდან მონავალა, უბელო ცხენზე მჯდარა, არც თოფი, არც სხვა რამ იარაღი, ჯაყვაც კი არ დებია ჯიბეში. სოფელში მწყემსებს გამოუგზავნიათ სანოვაგისა და თბილი სამოსის წამოსაღებად. არავის ჭალაში რომ ჩამოუვლია, აფთრის ყმუილს ისე დაუფეთებია ცხენი, კინაღამ ჩამოუგდია. მშვიდი, წყნარი, მთაში მავალი მუშა ცხენი გავეშებულა, ვერაფრით დაუურვებია და თრიხინთრიხინით ჩასულა არავიძეთამდე. საკვირველი ამბავი – აფთარი ყორნისხევში რაღაცას საეჭვოდ თხრისო, სოფლისთვის უცნობებია: მართალია, ცხენი დამიფეთდა, მაგრამ მოვასწარი და თვალი ვკიდე. ნამდვილად აფთარი იყო, ნამდვილად ადამიანის გვამს დაეძებდა მიწაშიო.

იმ მწყემსსაც და სოფელსაც ეჭვად სცოდნიათ, რომ არავის იზოლატორებიდან იქ ჩამოჰყავდათ სიკვდილმისჯილნი, ყორნისხევამდე ჩასვლა ეზარებოდათ და იქვე მინდორში თვითონ ათხრევინებდნენ თავიანთ საფლავებს, ხოცავდნენ და ერთ ორმოში ერთად ჰყრიდნენ გვამებს.

მთელი სოფელი დაძრულა ყორნისხევისკენ. ვისაც თოფი ჰქონია, თოფი წამოუღია, ვისაც დამბაჩა – დამბაჩა, ვისაც კომბალი ჰქონია, კომბლისთვის დაუვლია ხელი.

ნამდვილი მონადირენი და მეთოფენი წინ გაუშვიათ. ისინი ტყის პირებზე ჩასაფრებულან. აფთარი ტყისკენ გაიქცევა და გასაქცევი გზა უნდა მოვუჭრათო. უთოფონი ყიჟინით, ქვის სროლითა და შეძახილებით შესევიან ყორნისხევის მიდამოებს, – ტყისკენ უნდა გამოაფრთხონ მხეცი და იქ ტყვიას დაახლიან.

წვიმს თურმე, წვიმს, ცა ფეხად ჩამოდის, თან საღამოს ბინდბუნდია. აფთარი მიწაში ჩასულა, მთელი ტანით შიგ ჩამალულა, ხანდახან გამოუჩნდება ხალებიანი ზურგი, თითქოს ერთი ადგილიდან მეორისაკენ გადადის, თან თხრის, თან რაღაცას დაეძებს. არც ხალხის ყიჟინა ესმის, ქვების ხათქა-ხუთქსაც არად თვლის და ქვევით-ქვევით ჩადის... თხრის გამალებით, შეუჩერებლად, შეუსვენებლად და ქაფი გადმოსდის ტუჩ-პირიდან.

თურმე მთლად ახლოს მივიდნენ, მხეცს თავზე წაადგნენ, შემოეჯარნენ... თვალწინ საზარელი სანახაობა გადაეშალათ: ნათხარ მიწიდან უკვე მოჩანს ადამიანთა გვამები; ფეხსაცმლის ჭვინტი, ხელის მტევანი... დუჟმორეული აფთარი ერთი გვამიდან მეორეზე გადადის... სიფრთხილისა და შიშის გრძნობა დაკარგვია, სმენაც წართმევია, ცეცხლივით ანთებულ თვალებს აბრიალებს, მაგრამ იმ თვალებს თვალის ჩინი აღარა აქვთ. აფთრულ ვნებას – ამოთხაროს გვამი და შესანსლოს, ლეშით კუჭი ამოიყოროს, სხვა ყველა ვნება და გრძნობა დაუქრია, დაუბრმავებია, დაუყრუებია მხეცი. გვამებში არაველებს მწერლის სანდრო ხალდანის და პროფესორების: სულხანიშვილის და გედევანიშვილის გვამები უცვნიათ.

შეჩოჩქოლდა, შედრკა თურმე ამის დამნახავი სოფელი, ქვებს, კომბლებს, ჯოხებს, რაც ხელში მოხვდებათ, ყველაფერს ესვრიან, არ ამოდის ორმო-სამარიდან აფთარი. ზედ მოვარდნას და კომბლის ჩაცხებასაც ვერ ბედავენ.

– თოფი! თოფი მოიტანეთ! მხეცი არ ამოდის საფლავიდან!.. გასძახეს თურმე ტყისპირას ჩასაფრებულ თოფიანებს.

აი, ამ დროს სწორედ, ამოჭრილა მისსავე ნათხარ საფლავიდან და ცეცხლოვანი თვალებით შიშის ელდით მოუნუსხია ამოდენა ხალხი.

გაუქვავებია ადგილზე. პირში თურმე ადამიანის მკლავის ძვალი აქვს გაჩრილი, მკლავი მოუგლეჯია გვამისათვის. ვერც კომბლის მოქნევა მოუსწრია ვინმეს, ვერც თოფის გასროლა, გარბის თურმე და ადამიანის მკლავს მიარბებინებს, ხალხი ყიჟინით გამოდგომია, ასე შევარდნილან ქალაქში, მთელ ქალაქს უნახავს ეს საოცარი სანახაობა. შემდგომში, როცა გვამები დაუთვალიერებიათ, სანდრო ხალდანს ჰქონია მკლავი მოგლეჯილი.

– ხალხო! გონს მოდით! – დაუქუხია ვიღაცას ხალხიდან, – რა დროს აფთარია! – დავიღუპეთ!.. გაბრუნდით უკან. გვამებს მიწა მიაყარეთ და ვითომ არაფერი გინახავთ, ხმა ჩაიკმიდეთ... ესენი ხომ პოლიტპატიმრებიაო!..

მართლაც უცებ მოსულან გონზე, გაქვავებულან, გაშეშებულან ადგილზე. ვარლამ არავიძე ხვალ ყველას შეგვიპყრობს – იზოლატორის ზონაში შესვლისთვისო – დაუწყიათ ჩურჩული. რა გინდოდათ აკრძალულ ზონაში, რა მავნებლურ საქმიანობას ეწეოდით – ასე დაგვკითხავენო – ჩაჭრიათ შიში.

არავის ჭალა, ქალაქს ზედ მომდგარი თავისი ყორნისხევით ვარლამ არავიძეს იზოლატორის ზონად ექცია. იქ არ შეიძლებოდა რაიმე საქმიანობა, გასეირნებაც კი, თუ რატომ ეკრძალებოდა ხალხს ჭალაში სიარული, არავინ იცოდა, არც არავინ კითხულობდა მიზეზს.

ჯალათები ადლის ჯურღმულებიან მიწისქვეშა გვირაბებით ყორნისხევში გამოიყვანდნენ პყრობილთ – ვითომ შორეულ გადასახლებაში წასაყვანად და გაქცევის მცდელობისათვის იქვე ხოცავდნენ.

ხან გაქცევის მცდელობისათვის დაახლიდნენ ზურგში ტყვიას, ხანაც ვითომ ვიღაცა ესხმოდათ თავს და ამიტომ უნდა დაეხოცათ პატიმრები. ხანაც ნამდვილი სიკვდილმისჯილნი ჩამოპყავდათ დასახვრეტად.

საზარელი სასაფლაო აფთარმა ამხილა.

თურმე არავის იზოლატორების მუშაკები პატიმრების ჭირისუფლებს ატყუებდნენ – საგანგებო არმანებში მოჯარულთ ერთ პასუხს აძლევდნენ: გაგზავნილია შორეულ ბანაკში. სინამდვილეში კი იქვე, იზოლატორის უკან, ყორნისხევში ჰყრიდნენ, ან ხევისპირას ემარხნენ, ორმოებში ჭერეხივით ჩაყრილნი, ძაღლებივით

ჩახოცილნი. საჯალათო ადგილისათვის აფთარს აუხდია ფარდა, აფთარს უჩვენებია ადამიანთათვის მათ მიერ ჩადენილი მხეცური საქციელი. ამიტომ ეს ერთადერთი შემთხვევა, – არავის მხარეში აფთრის გამოჩენისა, ხალხს დიდხანს ხსომებია. შემდეგ, ნელ-ნელა, დროთა განმავლობაში, ყველაფერი დავიწყებას ეძლევა და აფთარიც და მისი საზარელი ქმედებაც არავის მხარის მკვიდრთ ამოუღიათ მეხსიერებათა სკივრიდან.

დრო თავისი გზით წადენილა. „აფთარი“ ვარლამ არავიძისთვის შეურქმევიათ. მიუმსგავსებიათ აფთრისთვის. თურმე აფთარივით დადიოდა. მიხვრა-მოხვრა, მოძრაობა, სიარული ჰქონია აფთრისა. ხალხი გუმანით მიმხვდარა და მეტსახელად შესაფერი შეურჩევიათ, – აფთარი.

შემდეგში, როცა ვარლამ არავიძე შედგომია უფრო აფთრულ საქმეთ, ეს სიტყვა ხალხის ენის წვერზე დატრიალებულა: „აფთარი მოდის“... „აფთარი მიდის...“ „აფთარი სიტყვას ამბობს...“ „აფთარმა ასე თქვა...“ ეს ამბავი, ბუნებრივია, ვარლამ არავიძის ყურამდეც მისულა. ყველა, ვისაც ოდესმე წამოსცდენია სიტყვა „აფთარი“, შეუპყრია და ციხეში ჩაუყრია, გამოუკვლევია, გამოუძიებია, სად ითქვა, ვინ თქვა პირველად სიტყვა „აფთარი“. მოუხვეტია, მოუქუჩებია ყველა ერთად აფთრის მთქმელნი და სამუდამო კატორღაში გაუგზავნია. არამც თუ არავის მხარეში, საერთოდ აუკრძალია „აფთრის“ ხმარება, ლექსიკონებიდანაც კი ამოუღიათ.

ამის შემდეგ ვინ გაბედავდა „აფთრის“ წარმოთქმას არავის მხარეში. ერთხელ და სამუდამოდ დაუვიწყნიათ.

მაგრამ „აფთარს“ თურმე გაქრობა მაინც არ ეწერა. როცა ვარლამ არავიძის საფლავიდან ამომთხრელი პირველ დღეს სამსჯავროზე მოუყვანიათ, მაშინ ვიღაცას ხალხში თავისთვის ჩაუბუტბუტებია – აფთარი! იქვე ახლოს მდგომთ მოსწონებიათ სიტყვა და აუტაცნიათ: „აფთარი! აფთარი!“ უკან დაუდევნებიათ დამნაშავისათვის. „აფთარი“ კვლავ მკვდრეთით აღმდგარა, კვლავ თავის საქმეს შედგომია ადამიანთა შორის.

პირველი ნაწილის დასასრული

მეორე ნაწილი

ვარლამ არავიძის ცხოვრება

არავიძე სიტყვა „არავინიდან" წარმოიშვა. გამოგონილია არავიც, არავიძეთიც, არავის მთა, არავის ჭალა, არავის წყალი... ასეთი მხარე, ქვეყანა, კუთხე, ასეთი ადამიანები სინამდვილეში არ არსებობენ, „არავინ" არიან.

ვარლამ არავიძეს სახელიცა და გვარიც არ უნდა ვაღირსოთ, უსახელოდ და უგვაროდ, უხსენებელივით მოვიხსენიოთ, თუმცა ამგვარი მცდელობა, ვატყობ, რომ წარუმატებელია. ვარლამ არავიძე, სამწუხაროდ, არის არა მარტო წარსულში, არის არა შეუმჩნევლად, საზოგადოების არა რიგით წევრად, არამედ გამორჩეულად, ყველაზე ძლიერად, მძლავრად, მეთაურად საზოგადოებისა. დღეს თუ არ არის, ხვალ უსათუოდ იქნება, მისი დაოკება, შეჩერება, შეფერხებაც კი საეჭვოა. როგორც კი სახელი და გვარი დავარქვი, თეთრ ქაღალდზე დავწერე ამ რომანის პირველი სიტყვა „არავიძე", უმალ გაცოცხლდა, ჩაიცვა თავისი განუყრელი აზიაცკები, ხაკისფერ გალიფეზე გადმოუშვა აგრეთვე ხაკისფერი ბლუზა, ქამარი მკვიდრად შემოიჭირა ნელზე. დაიხურა ტყავის კეპი, ფართო გულისჯიბეები გულდაგულ შეიბნია, კოკობი ულვაშები აინკვიტა, მოქნეული, შუბლზე შავად გადადღაბნილი სქელი წარბებიდან მსხვილი შავი თვალები გამოაელვა, სარკის წინ ერთხელაც დატრიალდა, მისი აზრით, სულ მთლად დაემგვანა არწივს (სინამდვილეში აფთარს ჰგავდა), გამოვიდა სახლიდან, ჩაჯდა თავის ემცხრაში და მძღოლმა სამსახურში წაიყვანა.

განა ასეთი არნივებითა და შევარდნებით გუშინ სავსე არ იყო ქვეყანა, ყოველ მხარეში, რაიონში, სოფელშიც კი ასეთი შევარდენი იჯდა და ხალხს სისხლს სწოვდა.

ვარლამ არავიძე არავინ უნდა ყოფილიყო, მაინც ვიღაცას დაემგვანა, ვიღაცა გაგვახსენა... ვარლამ არავიძე უფრო ნამდვილი აღმოჩნდა, ვიდრე ნამდვილი არავის ძენი. მას ხომ ჯერ არაფერი ჩაუდენია და უკვე ჩვენი ნაცნობია, ჩვენი უფროსია სამსახურში, ჩვენი მეგობარია, ნათესავია... დღეს მას ხაკისფერი სამოსი არ აცვია, კოსტუმითა და ჰალსტუხით გამოდის თავისი სასახლიდან, ჯდება „ვოლგაში" და სამსახურში მიჰყავს მძღოლს. განსხვავება ძალზე უმნიშვნელოა. ვარლამ არავიძე კოსტუმიანიც ვარლამ არავიძეა.

უფრო საკვირველი ალბათ ის არის, რომ ჯეგე ხალდანიც არარსებული პიროვნებაა. მკვდარი ვინმეს ამოეთხაროს საფლავიდან და ჭირისუფლისთვის ღობეზე გადაეკიდოს, ჯერ არავის სმენია. პირველი ჯეგე ხალდანია. პირველმა მან დაარღვია საიქიოს მარადიული პატიოსანი მდუმარება. ადამიანთაგან მან, პირველმა, ჩაიდინა უსაზარლესი საქციელი – მკვდარი ამოთხარა საფლავიდან.

საიქიო ღვთის ნებით შექმნილი სამყაროა, იქ მარადიული წესრიგია, თანასწორი სუფევაა სულთა. განა შეიძლება იქაც შეიჭრას ადამიანი?.. ჯეგე ხალდანი მიეჭრა წინაპრებს სამარის კართან. შეიძლება ის არარსებული პიროვნება იყოს?.. პირიქით, ის არსებულზე უფრო არსებული ადამიანია, დრო, თვე და რიცხვიც უნდა ვიცოდეთ, როდის მოხდა ეს, სად, რომელ ქვეყანაში, რომელ კუთხეში... შთამომავლობა ჯეგე ხალდანს ან ძეგლს დაუდგამს, ან მასაც ამოიღებენ საფლავიდან... ასეთია ბუნების წესი.

თურმე ვარლამ არავიძე უწვერული ჭაბუკი ყოფილა, როცა არავიძეთის ღვთისმშობლის ტაძარში შევარდნილა და წმინდანების ძვლები ამოუყრია საფლავიდან, თუ რამე ძალა აქვს თქვენ წმინდანს, მავნოს, მე აგერა ვარ, არ მეშინიაო, – მიუმართავს ხალხისთვის.

მაშინ საყდრების, ჯვრებისა და ხატების წაბილწვა-წარტყვევნა მაინცადამაინც გასაკვირად არავის მიაჩნდა, „ულმერთობა" მოდად იყო ქცეული, მაგრამ სოფლის მუწუკს, უსაქმურსა და ღერღეტა ვარლამიეს, ყველასთვის უჯობნია, წმინდანების ძვლები ამოუყრია საფლავებიდან.

ახლა, როცა თვითონ ამოთხარეს, შეიქნა მითქმა-მოთქმა არავსა და არავიძეთში, არავიძეებს ღმერთი სჯის წმინდა საფლავების შებილწვისთვისო.

„ინფორმპუნქტის ბიჭი“ – ასე ეძახდნენ თურმე მაშინ ვარლამს, – ახლადშექმნილ ინფორმპუნქტში ნამუშევარა. ინფორმპუნქტის გამგეს იროდისთვის, ვარლამის მამისთვის, უჩურჩულებია, მომეცი შენი ბიჭი და კაცად ვაქცევო. იროდი ოჯახს გაყრილი ყოფილა, სხვა ცოლ-შვილი ჰყოლია. ვარლამიე დედის, მართას ამარა იზრდებოდა თურმე. მართას არჩევანი არ ჰქონია, ვარლამს შრომა არ ჰყვარებია, ეგებ საუფროსო საქმეში ივარგოსო, – გახარებია ინფორმპუნქტის გამგის წინადადება. – ათასი მადლობა უთქვამს პუნქტის გამგისთვის და შვილი „სამსახურში“ ჩაუყენებია. ინფორმპუნქტი შტატს ნალოდინარა. ვარლამი დროებით უხელფასოდ მიუღიათ პუნქტის გამგის თანაშემწედ, მართა ამითაც კმაყოფილი ყოფილა, უსაქმოდ ბიჭი გზას აცდება, იდგეს ამ ახალ საქმეში, ეგებ ბედს ეწიოსო.

ვარლამს კი იქ, ინფორმპუნქტში თავი გამოუჩენია, – პირველი ის შევარდნილა ღვთისმშობლის ეკლესიაში და წმინდანების საფლავები ამოუთხრია. ინფორმპუნქტის მუშაკს არ ეკალებოდა ღვთისმშობლის ეკლესიაში საფლავებიდან წმინდანთა ძვლების ამოყრა, მაგრამ თუ ასეთ რასმეს ჩაიდენდა, რასაკვირველია, ეს ერთი ნაბიჯი იყო დასანინაურებლად.

ინფორმპუნქტი ამ საუკუნის ოციან-ოცდაათიანი წლებისთვის დამახასიათებელი დანესებულება იყო. ინფორმპუნქტებით აივსო სოფლები და ქალაქები. ხალხს მოეწონა უშრომელად, უთოხოდ და უუროოდ გასამრჯელოს მიღება. ინფორმაციის მინოდება ანუ უბრალოდ დაბეზღება ხელობად ექცათ ადამიანებს. დურგლობას, კირითხუროობას, მკლავით შრომას, – უფრო იოლი საქმე – ამბის მიტანა ამჯობინეს. „კარგი ბეზღობა“ ჩუმად, ისე, რომ არავის გაეგო, „ხალხის მტრის აღმოჩენით“. დამთავრებული, გმირობადაც კი ითვლებოდა. დამსმენს პოლიტიკურ მოღვაწედ რაცხდნენ.

სოფლის ინფორმპუნქტები აივსო ნვრილ-ნვრილი მოამბეებით, ინფორმპუნქტებს ერთი გამგე ჰყავდა და ერთი მთავარი დამსმენი. ხელფასი მათ ეძლეოდათ. დანარჩენები, – შტატგარეშე აქტივი, უხელფასოდ მუშაობდა, მაგრამ გამორჩენა ყველას შეეძლო, ვინც თუნდაც ერთხელ შედგამდა ფეხს ინფორმპუნქტში. ინფორმპუნქტის მუშაკებს არ უჭირდათ მოხალისე დამსმენთა შემოკრება.

დამსმენობა პირველი ნაბიჯი იყო დამჭირველობისაკენ, ადლში თავის შეყოფისაკენ.

ასეთი მოხალისე შტატგარეშე დამსმენი იყო ვარლამ არავიძე. სხვა დამსმენთაგან ის ასაკით გამოირჩეოდა. თითქოს ბავშვს ანდეს „სახელმწიფო საქმე". რა თქმა უნდა, მამამისის – ეროდის ძველ დამსახურებასაც მიუძღოდა წვლილი ვარლამ არავიძის გზაზე დაყენებაში. ყველას ინფორმპუნქტში არ ღებულობდნენ.

თოთხმეტი წლის ვარლამ არავიძის პირველი მსხვერპლი ინფორმპუნქტის შტატიანი დამსმენი გამხდარა. თურმე დამსმენი დუქანში დამთვრალა, იქ აყალმაყალი აუტეხია – მე დაჭერას ვერავინ გამიბედავს, მე ადლის კაცი ვარ, ჩემი გეშინოდეთო. ამ ამბავს შემთხვევით შესწრებია ყმაწვილი ვარლამი. მაშინვე დაუწერია პირველი „დანოსი" და ინფორმპუნქტის გამგისთვის მიურთმევია. ინფორმპუნქტის გამგეს უმალ პოლიტსამმართველოსთვის უცნობებია, შტატიანი ცნობების მომწოდებელი ამჟღავნებს ჩვენს საიდუმლოებებს, თანამშრომლად არ გამომადგება, მის ნაცვლად უშტატოდ მყოფი ჭაბუკი ვარლამ არავიძე მივიღოთო.

ვარლამი მაშინ შტატში არ ჩაურიცხავთ, ვინაიდან შტატიან დამსმენს სწორედ ადლში გამოჩენია დამცველი. პოლიტსამმართველო კი ადლს ემორჩილებოდა. თურმე ადლის ერთ-ერთი მუშაკი იმ დამსმენის ცოლს ნაყვარება, ამიტომ ყოფილა დამსმენი თამამად, ვარლამს საიდანღაც ესეც გაუგია და დანოსი ახლა მთლად გენერალური დამჭირველისთვის მიურთმევია. ამ დანოსსაც არ გაუჭრია, ვინაიდან ადლის მუშაკს გენერალური დამჭირველიც მოქრთამული ეყოლია და ამიტომ საქმე უჯრაში ჩაუკეტიათ. ვარლამ არავიძისთვის კი თვალი დაუდგამს გენერალურ დამჭირველს და ყმაწვილის შემოწმება-შესწავლა დაუვალებია თანამშრომელთათვის. სწორედ ამ დროს ჩამოსულა მთავგენდამი (მთავარი გენერალური დამჭირველი) ზღვის პირზე დასასვენებლად და მწყერზე ნადირობა მოუწადინებია. მაშინ არავის მხარეში ყოფილან მწყერზე კარგი მონადირენი, მაგრამ დამჭირველთა შორის არავინ აღმოჩენილა მწყერზე მონადირე. შეუმოწმებელ მონადირეს კი მთავგენდამთან ვინ მიუშვებდა! ვის ჰქონდა ცხრა თავი! აი, ამ დროს, ადლში თქმულა არავიძის გვარი, მართალია, ინფორმპუნ-

ქტის ბიჭია, მაგრამ შემოწმებული ყმაწვილია, სროლაც კარგად იცის, ეგებ შეძლოსო.

გენერალურ დამჭირველს ადლში მოუხმია ყმაწვილი არავიძე და თვითონ, პირადად, დაუვალებია მწყერზე ნადირობა.

ამ ნადირობას გადაუწყვეტია ვარლამ არავიძის ბედი, – არიერგარდულ დაცვაში ჩაურიცხიათ. თურმე ხელფასი იქიდან ეძლეოდა, ინფორმპუნქტში კი განაგრძობდა მუშაობას.

არიერგარდული დაცვა! – ეს საოცარი დაწესებულება ასამდე ვაჟკაცს მოუყრიდა თურმე თავს ერთ შენობაში და მერე არ იცოდა, რა ეღონა, რა მოემოქმედა, – ვინ დაეცვა, ვისგან დაეცვა, რატომ დაეცვა და ა. შ.

არიერგარდულ დაცვას მთავარი გენერალური დამჭირველი ანუ, მოკლედ, მთავგენდამი უნდა დაეცვა „ზურგში", – აქედან, არავის მხრიდან, არავის ევნო, არავინ დასხმოდა – აი, ეს იყო არიერგარდული დაცვის შექმნის მიზანი. სინამდვილეში, რასაკვირველია, არავის მკვიდრთაგან არავის ძალუძდა რამე, მცირე ზიანიც კი მიეყენებინა აქედან მთავგენდამისათვის, რომელიც არავიდან და არავიძეთიდან ათასობით კილომეტრს იქით, თავის თეთრ სასახლეში, ავანგარდული დაცვით იყო გარშემორტყმული.

ავანგარდული დაცვა? – საგულდაგულოდ გაწვრთნილი არმია! სატანკო, ჯავშანსატანკო, ავია, წყალზედა და წყალქვეშა შენაერთები ემსახურებოდნენ ამ არმიას. უპუგაჩო არაველ გლეხკაცს განა შეეძლო კბილებამდე შეიარაღებულ არმიას თავს დასხმოდა?

ყმაწვილმა ვარლამ არავიძემ შეძლო მთელი ქვეყანა დაერწმუნებინა იმაში, რომ არავის მხარეში მზადდებოდა შეთქმულება მთავგენდამის წინააღმდეგ და ეს შეთქმულება მან აღმოაჩინა.

ჭაბუკ ვარლამს ისე მოსწონდა დამჭირველობა, საერთოდ, ადლის საქმიანობა: დასმენა, დევნა, შეპყრობა... ფარული ძიება მტრისა, რომც არ ყოფილიყო შესაპყრობი და სადევნი, უსათუოდ აღმოჩენდა, შეიპყრობდა, ძიება-დევნასაც უსათუოდ გამოაცხადებდა.

აღმოაჩინა კიდეც მთავგენდამის აგარაკზე... ნაღმები!..

ამ ამბავმა მთელი არავის მხარე შეაზანზარა. ეს იყო დაუჯერებელი, თითქმის წარმოუსახველიც... მთავგენდამის აგარაკზე ნაღმები! – მოფიქრება არ გინდა?!.

მთავგენდამის აგარაკი ზღვისპირას ტყე-პარკში იყო ჩადგმული. ზღვისპირა იმ მხარეში საგანგებო საშვის გარეშე იქაური მცხოვრებნიც კი ვერ შედიოდნენ თავიანთ სახლებში. ტყე-პარკს მავთულხლართი ეკრა და არიერგარდული დაცვა სწორედ იქ, იმ ტყე-პარკში იყო განლაგებული. დაცვის მუშაკებს ყველას როდი უშვებდნენ მთავგენდამის აგარაკის ეზოში. აგარაკის გარშემო, ტყე-ტყე, ზღვის ნაპირ-ნაპირ უნდა ევლოთ ფეხაკრეფით და თვალი და ყური აგარაკისკენ სჭეროდათ.

ახალგაზრდა ვარლამი არამცთუ შეუშვეს ეზოში, აგარაკის მთავარი კორპუსის დარაჯობა მიანდეს. ეს დიდი პატივი იყო და დიდი ნდობაც. ადლში ამბობდნენ: ყმაწვილმა არავიძემ ნდობა დაიმსახურაო. თვითონ მთავგენდამმა აჩუქა თოფი, ხუმრობა ხომ არ იყო! არავის მხარეში ჯერ არავის მიეღო ასეთი საჩუქარი. ამ თოფით დააყენეს სადარაჯოზე ვარლამი, თან ამის თაობაზე არავის მხარის მაშინდელმა გენერალურმა დამჭირველმა წერილობით აცნობა მთავგენდამს. ხოლო არავის მხარის ცნობილმა პოეტმა ლექსიც კი მიუძღვნა ამომავალ ვარსკვლავს – ვარლამ არავიძეს. ლექსს ერქვა „თოფი“, ხოლო სათაურს ქვემოთ ასეთი მინაწერი ამშვენებდა: ვუძღვნი დამჭირველთა ამომავალ ვარსკვლავს – ახალგაზრდა ვარლამ არავიძეს.

პირველი წარმატება ასე აღინიშნა, კმაყოფილი იყო ყველა, კადრებთან სწორედ ვმუშაობთო, ინფორმპუნქტის ბიჭმა გაამართლაო, – ტრაბახობდა არა მარტო ინფორმპუნქტის გამგე, თვითონ ადლშიც კი გამოთქვამდნენ კმაყოფილებას და აი, უცებ ასეთი სასწაული, – შიჲ მთავარ კორპუსში ნაღმი!..

შეიძრა მთელი არავი, თვითონ გენერალური დამჭირველი ჩაუდგა ძიებას სათავეში, – იმავ დღეს, იმავ საათში, ჩამოსრიალდა თავისი ემცხრათი ზღვისპირზე, განსაკუთრებულ საქმეთა ექსპერტები ჩამოიყვანა და საქმეს შეუდგა.

გამოუცდელი არავიძე ადლის ექსპერტებს რას გამოაპარებდა? – უმალ ეჭვი მიიტანეს თვით ვარლამზე და ამის თაობაზე გენერალურ დამჭირველსაც ჩაუსისინეს.

ახალბედა ადლისტმა, ვარლამმა, ყველა მოლოდინს გადააჭარბა, თავდაცვის ისეთი საოცარი ბადე მოქსოვა, პირი დააღებინა გამოცდილ ექსპერტებსაც და გამომძიებლებსაც.

შეთქმულება აღმოვაჩინეო, სასწრაფოდ ბეზღობა მიართვა გენერალურ დამჭირველს. პირდაპირ დაასახელა გვარები: დოქსოპულოვი და რიკტაფელოვი. დამჭირველები, გენერალური დამჭირველის აზრით, მიედმოედებოდნენ, ხან ვისზე მიჰქონდათ ეჭვი და ხან ვისზე, თვით ვარლამსაც კი არ ინდობდნენ, და აი, უცებ გამოჩნდა ნამდვილი ადლისტი და იპოვა დამნაშავენი: დოქსოპულოვი და რიკტაფელოვი, – ასე ფიქრობდა მაშინ გენერალური დამჭირველი და მისი ვარაუდი გამართლდა.

ვინ იყვნენ ისინი, – დამნაშავენი? ადლისათვის, რა თქმა უნდა, ეს გვარები ძალზე ნაცნობი აღმოჩნდა. არც გენერალურ დამჭირველს გაკვირვებია ამ გვარების ამოკითხვა ვარლამ არავიძის ბეზღობაში. გასაკვირი აქ სხვა რამ იყო. ისინი, განსაკუთრებით საშიში მკვლელები, სამუდამო კატორღაში იმყოფებოდნენ, მართალია, როგორც საიდუმლო პრესცენტრი იტყობინებოდა, – კატორღიდან გაიქცნენო, საკავშირო ძებნაც ამ ხუთიოდე წლის წინ გამოცხადდა, მაგრამ არავითარი ცნობა არსაიდან ადლს არ გააჩნდა არავის მხარეში მათი გამოჩენის თაობაზედ. კიდევ უფრო საეჭვო ის გახლდათ, რომ პოლიტიკურ დანაშაულს ისინი არამცდაარამც არ ჩაიდენდნენ. ასე იცნობდნენ მათ, და აი, უცებ ასეთი „ინფორმაცია“! იბადებოდა ასეთი კითხვა: სად იყვნენ ისინი? ვინ იცოდა მათი გზა-კვალი? რა უნდა ეღონათ მათ შესაპყრობად? – ვარლამ არავიძე ადლში პირველ კაცად იქცა. ყოველდღე იბარებდნენ გენერალურ დამჭირველთან, ყოველდღე ახალი ამბავი მოჰქონდა. გადაწყდა, თვითონ ახალგაზრდა ვარლამ არავიძე ჩაუდგებოდა ოპერაციას სათავეში. არაო, უთხრა გენერალურ დამჭირველს ვარლამმა, – ოპერაცია საჭირო არ არის, არც ავიაცია მინდა, არც წყალქვეშა ნავები, არც ტექნიკა, ხუთი გულადი ბიჭი მომეცი და დამნაშავეს საღამოს ჩაგაბარებო. მართლაც, სრულიად მოულოდნელად, ყველასათვის გასაოცრად, უტყვიოდ და უბრძოლველად, ვარლამ არავიძემ ბორკილდადებული დამნაშავენი ჩამოიყვანა არავში და პირდაპირ გენერალურ დამჭირველს ჩააბარა. გენერალური დამჭირველი აღტაცდა და აღფრთოვანდა ბორკილდადებული დოქსოპულოვისა და რიკტაფელოვის მნახველი. თვითონ დაჰკითხა პირველმა და თვითონვე თავისივე ყურით გაიგონა

ბოროტმოქმედთა აღიარება: მთავგენდამის აგარაკი ჩვენ, მე და რიკტაფელოვმა დავნაღმეთო. რიკტაფელოვმაც დაადასტურა მეგობრის ნათქვამი. ყველაფერი ნათელი იყო, – შეთქმულება აღმოჩენილ იქნა. მთავგენდამის წინააღმდეგ შეთქმულება აღმოაჩინა ახალბედა ადლისტმა, ყოფილმა ინფორმპუნქტის ბიჭმა ვარლამ არავიძემ. როცა რაპორტი გოგს მიართვეს, იმ რაპორტში ისიც კი ჩასწერეს, რომ ვარლამ არავიძე სწორედ ის ყმაწვილი იყო, ვისაც თვითონ მთავგენდამმა აჩუქა თოფი.

ნამდვილი შეთქმულება მერე იქნა აღმოჩენილი, როცა ვარლამ არავიძე მთლად ადლის უფროსად, გენერალურ დამჭირველად მოევლინა არავის მხარეს. მან მაშინვე თავის თანაშემწეებად დოქსოპულოვი და რიკტაფელოვი გაიხადა. თურმე მომხდარა დიდი გარიგება. დოქსოპულოვსა და რიკტაფელოვს, კატორღიდან გამოქცეულებს, არავიში ჩამოსვლის პირველ დღესვე გაძარცვის მიზნით განსაკუთრებული სისასტიკით ამოუწყვეტიათ ერთი ოჯახი, ამისათვის კანონით მათ სიკვდილი ელოდათ, მაგრამ საქმე გაუხსნელი დარჩენილა. დამნაშავეთა კვალზე ვერა და ვერ დამდგარან, მკვლელებს მთელი არავი და არავის მხარე ეძებდა თურმე, ვარლამ არავიძეს ინფორმპუნქტში მუშაობისას ეს ამბავი სცოდნია, – შემთხვევით გაუგია მოხალისე მოენისაგან ამ მკვლელობის ყველა წვრილმანი. როცა ნაღმების ჩაწყობის საქმე მისკენ საზიანოდ მობრუნებულა, ამდგარა, მოუძებნია დოქსოპულოვი და რიკტაფელოვი, უშიშრად გამოტყდომია მათ და გარიგების პირობაც დაუდვიათ: ციხეში უნდა წახვიდეთ, მაგრამ დიდხანს არ გაგაჩერებთ, გამოხვალთ და თანამდებობებს დაგირიგებთო. მაშინ ვარლამ არავიძეს, აიიერგარდული დაცვის რიგით მუშაკს, ვინ დაუჯერებდა შეპირებებს!... მაგრამ ვარლამ არავიძე მათ გამომჟღავნებით დამუქრებია. დოქსოპულოვსა და რიკტაფელოვსაც თურმე თითქოს გულმა უგრძნოთო, წინასწარ განუჭვრეტიათ, ლამის უწინასწარმეტყველებიათ ვარლამ არავიძის მომავალი და პირობას დათანხმებულან: ისინი ჩაჯდებოდნენ აგარაკის დანაღმვისათვის, ვარლამი კი იზრუნებდა მათ გასათავისუფლებლად.

დოქსოპულოვსა და რიკტაფელოვს სიკვდილი კვლავ სამუდამო კატორღით შეუცვალეს და მაგოგის მხარეში, სპილენძის

საბადოებში სამუშაოდ გაგზავნეს. ვარლამ არავიძე კი ადლში გადაიყვანეს და განსაკუთრებულ საქმეთა განყოფილება ჩააბარეს. ეს მოხდა სწორედ იმ დროს, როცა მაგოგის ქვეყანაში ქვეყნის წმენდას მიჰყვეს ხელი. დაიწყო დიდი დაჭერები. იჭერდნენ და საპყრობილეში ამწყვდევდნენ ყველა ეჭვმიტანილ ადამიანს. ეჭვი შეჰქონდათ მაგოგის ქვეყნის ღალატში, ვითომ მაგოგის ქვეყანაში სხვათა ქვეყნებიდან შემოდიოდნენ მტრები და ადგილობრივ მოსახლეობას ითრევდნენ თავიანთი ბნელი საქმეების განსახორციელებლოად. თუ მტრები არ შემოდიოდნენ, მტრების აზრები რადიოხმების და პრესის მეშვეობით შემოაღწევდნენ და მოსახლეობას რაზმავდნენ ხელისუფლების წინააღმდეგ. გარდა გარეშე მტრებისა და მათი აზრებისა, მაგოგის ქვეყანაში გაჩნდნენ შინაური მტრები. შინაურ მტრებად ითვლებოდნენ ის ადამიანები, ვინც მთავგენდამის აზრებს არ ეთანხმებოდნენ. ვისაც საკუთარი აზრი გააჩნდა, პირდაპირ, მიუკიბ-მოუკიბავად ქვესკნელში უნდა ჩამძვრალიყო, ან, როგორც მაშინ ამბობდნენ, „თვითლიკვიდაციისათვის“ უნდა მიემართა.

ყველა ესენი: ეჭვმიტანილი ყველა ადამიანი, „გარედან მოსული მტერი“, თუ „შინაური მტერი“ ცხადდებოდა „ხალხის მტრად“ და გაუსამართლებლად, დაუკითხავად, შეუმონმებლად პირუტყვივით იკვლებოდა, ანუ დამჭირველთა ენაზე – იხვრიტებოდა.

ვარლამ არავიძემ არავის მხარის ეჭვმიტანილ ადამიანთა ისეთი შავი სია შეადგინა, მთავგენდამი აღფრთოვანდა, სასწრაფოდ გამოიძახა გოგში, ჩაკეტა თავის უფროსისკარში და საათნახევრიანი საიდუმლო თათბირი გაუმართა. ასეთ საიდუმლო თათბირებს მთავგენდამი თავის მოადგილეებთან და თანაშემწეებთანაც კი იშვიათად მართავდა, ხოლო მხარეებთან, ქალაქებთან და დიდ სამხარეო ცენტრებთან თანაშემწეების დახმარებით ამყარებდა კავშირს, ყურმილს თუ აიღებდა, რომელიმე გენერალურ დამჭირველს დაელაპარაკებოდა, ეს დიდ მოვლენად, იმ გენერალური დამჭირველის მუშაობის აღიარებად მიიჩნეოდა. უცებ ასეთი საკვირველი თათბირი ახალგაზრდა ვარლამ არავიძესთან!.. შედრკა არა მარტო ის დაწესებულება – მთავგენდამი, სადაც ეს თათბირი შედგა, არამედ, თვით დედაქალაქი მაგოგისა – გოგი. ეგონათ, რომ მთავარი

გენერალური დამჭირველი ქვეყანას ახალ განსაცდელს უმზადებდა. მართლაც ასე მოხდა. ვარლამ არავიძემ მთავგენდამს ურჩია არავის მხარის საყოველთაო წმენდა გამოეცხადებინათ, ვინაიდან ყოველ მეორე კაცში ის მოღალატეს ხედავდა. მთავგენდამს ჭკუაში დაუჯდა არავიძის რჩევა, საყოველთაო წმენდის იდეამ აიტაცა, ჯერ მთელს მაგოგის ქვეყანაზე გაავრცელა და ბოლოს საერთო სახალხო ბრძოლად, ახალ რევოლუციად გამოაცხადა. რაც მთავარია, ვარლამ არავიძე იმ საიდუმლო თათბირიდან დაწინაურებელი გამოვიდა. ვარლამს ოცნება აუსრულდაო, რომ ვთქვა, არ ვიქნები მართალი. ასეთი ოცნება არ შეიძლებოდა ჰქონოდა ვარლამ არავიძეს. არავის მხარის გენერალურ დამჭირველობას ვარლამ არავიძე ვერ იოცნებებდა, ოცნებაშიც კი შეუძლებელი იყო ამის წარმოდგენა. არამცთუ გენერალურ დამჭირველად, განყოფილების უფროსადაც კი მხოლოდ უმაღლესდამთავრებულს ნიშნავდნენ. საგანგებო უმაღლესი სასწავლებელი გოგში ნარჩინებით უნდა დაგემთავრებინა, ამის შემდეგ შეიძლებოდა ოცნება ადლში მაღალ თანამდებობაზე, – ასეთი იყო წესი.

დაირღვა ეს წესი! ვარლამ არავიძე არავის მხარის გენერალურ დამჭირველად დანიშნეს.

ვარლამ არავიძემ პირველი სიტყვა წარმოსთქვა

ვარლამ არავიძემ გოგიდან საზარელი ამბავი ჩამოიტანა. გმირო მოკლეს, მაგოგის ქვეყანაში მეორეთმოსვლა უნდა დატრიალდესო.

გმირო ᲬᲘᲢᲡᲐᲮᲔᲚᲘ გახლდათ დიდი რევოლუციონერის. მაგოგის ქვეყნის ერთ-ერთი დამაარსებელ-მესაძირკვლის, მაგოგის პარტიის შემქმნელის, ყველაზე ძლიერი ერთმმართველისა. ვის უნდა მოეკლა გმირო? ვინ გაბედავდა მასზე თავდასხმას?.. არც მხარის მმართველობამ, არც ქალაქისამ ჯერ არაფერი იცოდა, არავითარი ცნობა, ინსტრუქცია ან ცირკულარი გოგიდან არ მოსულა.

საშიშიც კი იყო ამგვარი ჭორის გავრცელება! მაგრამ მესამე დღეს ჯერ რადიომ, შემდეგ გაზეთებმა მთელ ქვეყანას აუწყეს გმიროს მკვლელობის ამბავი. ამან კიდევ უფრო გაზარდა ვარლამ

არავიძის საიდუმლოებით მოცული სახელი. მაშ, არავის მხარეში არავიძე ერთადერთი ადამიანი იყო, ვინც წინასწარ იცოდა, თუ რა უნდა მომხდარიყო მაგოგის ქვეყანაში.

დილით, გაზეთების გამოსვლამდე, რადიოს საინფორმაციო ცნობების გადმოცემამდე დაინიშნა სამგლოვიარო მიტინგი. მიტინგიცა და რადიოთი თავზარდამცემი ცნობების გადმოცემაც ერთდროულად მიმდინარეობდა. აირდაირია მხარის მმართველობა, ვარლამ არავიძე – არავის მხარის ახალდანიშნული გენერალური დამჭირველი, მეტისმეტად თამამად იქცეოდა. მართალია, გენერალურ დამჭირველს და მის დაწესებულებას მაგოგის ქვეყანაში დიდი უფლებები ჰქონდა, – სახელმწიფოდ სახელმნიფოში იწოდებოდა. მაგრამ მთლად გაეუქმებინა სახელმწიფო მმართველობა, ძირითადი კონსტიტუციური ხელისუფლება, ასეთ დავალებას ვარლამ არავიძეს გოგში არ მისცემდნენო – ფიქრობდნენ არავის მხარის მმართველობის წარმომადგენლები.

ვარლამ არავიძე ხელისუფლებას, ქვეყნის მმართველობას სხვა თვალით უყურებდა. მთავგენდამს (მთავარ გენერალურ დამჭირველს) ბაძავდა, – ერთმმართველი უნდა გამხდარიყო. ამბობდნენ, გმირო მთავგენდამმა მოაკვლევინა, გრანდიოზულ გლოვასაც იმიტომ აცხადებს, ეჭვი არავინ მიიტანოსო.

მთავგენდამი არ იყო მაგოგის ქვეყნის შვილი, უცხო წარმომავლობისა, დევიდ პეტრეს ძე ძეოღლიანოვი, თანამებრძოლებში დევად ცნობილი, გადასახლებებსა და კატორღებში მართლაც დევივით მებრძოლი, მაგოგის ქვეყანას ჯერ მთავარ გენერალურ დამჭირველად მოევლინა, შემდეგ, როცა გმირო მოკლეს, მაგოგის ქვეყნის მმართველისა და მთავგენდამის თანამდებობები გააერთიანა და თავი ერთმმართველად-გენერალისიმუსად გამოაცხადა.

დევიდ პეტრეს ძე მესამე გენერალისიმუსი იყო მაგოგის ქვეყნისა. გენერალისიმუსობას ამ ქვეყანაში განსაკუთრებული დამსახურებისათვის იძლეოდნენ, გენერალისიმუსობის წოდების მოპოვების საგანგებო წესიც არსებობდა, დევიდ პეტრეს ძე ასეთ წესებს არ დაგიდევდათ, უცებ გამოაცხადა გენერალისიმუსად თავი და მის მოწინააღმდეგეთა შეპყრობას, გადასახლებას, თავის მოკვეთას შეუდგა. მალე მას რკინის კაცი, რკინის ხელება, ფოლადისგულა

კაცი ეწოდა. დევად, ფოლადის გულიან ადამიანად, რკინისკაცად წოდებულმა, გენერალისიმუსად დადგენილმა ერთმმართველმა, თავის თანამოაზრედ, თანამოსაქმედ ახალგაზრდა ვარლამ არავიძე მიიჩნია და არავის მხარეში გენერალურ დამჭირველად მოულოდნელად გაამწესა.

ბუნებრივია, ვარლამ არავიძე შთაგონებული იყო გენერალისიმუსის მოღვაწეობით და მას ბაძავდა. ჩაცმა-დუხურვითაც კი მისებურად ჩაცმული გამოეცხადა არავის მხარეს. როცა გოგში გამოიძახეს, იქით ვარლამ არავიძე წავიდა, უკან დევიდ პეტრეს ძე დაბრუნდაო, – ხუმრობდნენ ჩუმჩუმად ზურგსუკან. გენერალურ დამჭირველს მხარის მმართველობა ნიშნავდა.

თვით არავის მხარის მმართველობასაც გენერალისიმუსის მოადგილეები და თანაშემწეები მიუჩენდნენ ხოლმე მმართველობის სფეროებს. მხარის მმართველსაც კი არ ნიშნავდა მთავგენდამი, არ ეცალა ასეთ წვრილმან საქმეთათვის, ამისათვის მას თანაშემწეების არმია ჰყავდა. ვინმეს შეარჩევდნენ და შეათანხმებდნენ. ასეთი იყო წესი. ვარლამ არავიძე კი უშუალოდ ახალმა გენერალისიმუსმა – დევიდ პეტრეს ძემ, ანუ იგივე დევმა, იგივე რკინის კაცმა გამოიძახა გოგში და არავის მხარეში გენერალურ დამჭირველად მოავლინა. რა დავალება მისცა? რა ამოცანა დაუსახა, – რატომ მაინცადამაინც ვარლამ არავიძე აირჩია, რა დაინახა ასეთი ინფორმპუნქტის ბიჭში მთავგენდამმა, ამჟამად უკვე გენერალისიმუსმა? – გაოცებული იყო არავის მხარის ხელმძღვანელობა...

ვარლამმაც შეიფერა ეს უეცარი აღზევება და ჩამოსვლისთანავე შეუდგა საქმეს.

პირველ..., რაც მან მოიმოქმედა – არნახული, არგაგონილი სამგლოვიარო მიტინგი გამართა. გამოაცხადა ერთკვირიანი გლოვა არავის მხარეში, ძაძები ჩააცვა ყველას და თვითონაც თალხი სამოსით შეიმოსა. საყოველთაო სახალხო გლოვა გამოაცხადა გმიროს მკვლელობისა გამო და მიტინგზე სიტყვა თვითონ წარმოსთქვა.

მიტინგი გაიმართა მხარის თვითმმართველობის შენობის წინა მოედანზე. ტრიბუნაზე მმართველობა სრულად ავიდა და წესისამებრ განლაგდა. ვინ ვის გვერდით უნდა დამდგარიყო და ვინ

ვის უკან, – ეს წესი აქ დიდი ხნიდან იყო დამკვიდრებული და ყოველთვის სრულდებოდა. მიტინგი მხარის მმართველს უნდა გაეხსნა. სიტყვაც მმართველობიდან ვინმეს უნდა წარმოეთქვა. მმართველობაში ცხრა დეპუტატი შედიოდა, ზოგი მათგანი გმიროს მეგობარიც კი იყო, გმიროსთან ერთად იბრძოდა ძველი ხელისუფლების დასამხობად და მაგოგის წეს-წყობილების დასამყარებლად. სიტყვა გმიროს სამგლოვიარო მიტინგზე მეგობრებს ეკუთვნოდათ და არა ახალგამოჩეკილ არავიძეს. ვინ აცალა ვინმეს რამის თქმა! ვარლამმა თვითონ გახსნა მიტინგი, სიტყვაც თვითონ აიღო და მიკროფონთანაც მწუხარედ თვითონ დადგა.

– ძველ რევოლუციონერთა კოჰორტას გამოაკლდა დიდი სახელმწიფო მოღვაწე, – დაიწყო მან პირდაპირ და სიტყვა „კოჰორტა“ მეტად თავმომწონედ წარმოსთქვა.

– ეს ის კოჰორტაა, რომელმაც შექმნა მაგოგის დიდი და ძლიერი სახელმწიფო. სწორედ იმ მომენტში, როცა მაგოგის ქვეყანამ არნახულ გამარჯვებას მიაღწია, კოჰორტას ზურგში მახვილი ჩასცეს ხალხის მტრებმა. ვინ არიან ისინი, – ხალხის მტრები? – თავისთავს დაუსვა შეკითხვა ვარლამმა და თვითონვე უპასუხა.

– გარემოცვა! მაგოგის ქვეყანა გარემოცულია მტრებით, აი, ეს მტრები აღწევენ ყველგან, ყველა ქალაქში, ყველა სოფელში, ყველა უბანზე, ახლაც, თქვენ შორის, მოსალოდნელია მტერი, – მან ტრიბუნის წინ შეკრებილ ხალხს დაუმიზნა თითი, შემდეგ ეს თითი ტრიბუნისკენ გადაიტანა და უფრო მკაფიოდ და ხმამაღლა თქვა, – ნურც იმას გაიკვირვებთ, მტერი ჩვენ შორისაც აღმოჩნდეს...

შედრკა ტრიბუნა. უმალ მიხვდნენ, რომ ეს იყო გოგიდან ჩამოტანილი მითითება. ახლადდანიშნული გენერალური დამჭირველი მხარის მმართველობას ვერ გაუბედავდა ეჭვის მიტანას, გაუბედა და მეტიც ქნა, პირდაპირ მმართველისაკენ გაიშვირა თითი.

მმართველი ვენიამინ ლომჯარია, ანუ მოკლედ „ბენო“, ასე აწერდა ხელს. გვარს არასოდეს მოიხსენიებდა, ნამდვილი სახელიც არ სჭირდებოდა, დიდკაცებში ბენო არავის ერქვა. მაგოგის ქვეყანაშიც, გოგშიც ბენოთი იცნობდნენ. ბენო იატაკქვეშეთიდან გამოჰყვა, ვინიამინის ქართული ხმიანობა – ბენიამინი, შეუმოკლეს მეგობრებმა და ბენო დაარქვეს. სწორედ გმიროც ბენოს ეძახდა. ერთად

იყვნენ გადასახლებულები შორეულ მხარეში, ერთად გამოიქცნენ კატორღიდან. ერთად გაიმარჯვეს, შექმნეს მაგოგის ვრცელი და ძლიერი სახელმწიფო. ბენო არავის მხარის მმართველად სწორედ გმირომ გამოგზავნა. „ხვალ გოგში უნდა გაფრინდეს და გმიროს დასაფლავებას დაესწროს, – ფიქრობდა ტრიბუნაზე შემართული ბენო, – შეიძლება საპატიო ყარაულშიც კი დააყენონ. განა სასაცილო არ არის ახალბედა „მილიციელის“ საქციელი?“ – ბრაზობდა თანდათან ბენო. მოკლე წვერზე ხელს ისვამდა და ტრიბუნის ქვემოთ ადამიანთა თავებს უაზროდ გასცქეროდა. „ვეტყვი დევიდ პეტრეს ძეს და მოვახსნევინებ“... – ვერ იცილებდა აბეზარ ფიქრს ბენო. დევიდ პეტრეს ძე ძველ მუშაკებს ეჭვით უყურებდა, ეჩვენებოდა, რომ ყველა მისი მტერი იყო, ყველას მისი თანამდებობა უნდოდა და წარამარა სპობდა და ანადგურებდა მოქიშპეებს, მაგრამ ბენოს აზრით, გენერალისიმუსი ბენოს ავი თვალით არ უყურებდა...

ვარლამი კი განაგრძობდა ქადაგებას. არავი და არავის მხარე შეჩვეული იყო ბენო ლომჯარიას მამაშვილურ, დამრიგებლურ კილოს, ინფორმპუნქტის გუშინდელი დამსმენი ცვლიდა მას. ხალხს მოუწოდებდა სიფხიზლისა და წესიერებისაკენ, თან უცხო სიტყვებს უადგილოდ წამოისროდა და ამით ყურადღებას იპყრობდა.

– კოჰორტას ესროლეს ტყვია! – ეს იმას ნიშნავს, ჩვენ გვესროლეს. – ხალხს ესროლეს! კოჰორტა – ძველ რევოლუციონერთა რჩეული რაზმი უძღვება დღეს მაგოგის ქვეყანას, კოჰორტა ტვინია მაგოგის ქვეყნისა! კოჰორტა მესაჭეა დიდი ხომალდისა, რომელსაც მაგოგის ქვეყანა ჰქვია. ამ კოჰორტას გამოაკლდა მისი რჩეული შვილი, დედაბოძი გამოეცალა კოჰორტას – გმირო! ამ მომენტში!.. საჭიროა დიდი სიფხიზლე, ხალხის მტერი ყველგანაა ჩას ·ცრებული და მომენტს ეძებს, ზურგში ჩაგვცეს მახვილი... ეტყობოდა, რომ ამ გამოსვლისათვის ვარლამ არავიძეს ორი უცხო სიტყვა „კოჰორტა“ და „მომენტი“ მოემზადებინა და იმათ ატრიალებდა წარამარა, განსაკუთრებით „კოჰორტა“ მოსწონდა, შთამბეჭდავად წარმოსთქვამდა.

ვარლამ არავიძე ამაყად იდგა სახელდახელოდ აღმართულ ტრიბუნაზე, ტრიბუნის ქვემოთ შეკრებილ ხალხს გაჰყურებდა.

უნდა გამოეცხადებინა ერთკვირიანი გლოვა და ხუთწუთიანი საერთო-სახალხო დუმილი, სწორედ ამ დრომ ვარლამმა თვალი მოჰკრა საოცრებას, – მიტინგოსნებს ტანის გასაოცარი რხევით ჩაუარა ახალგაზრდა ქალმა, ერთი-ორჯერ მოიღერა ყელი და უკან მოიხედა, ტრიბუნას შეხედა, წავიდა და წავიდა... „ვინ არის ეს ქალი?“ – დარეკა უცებ ვარლამ არავიძის გონებაში, მაგრამ მისთვის ახლა არა სცხელოდა. წამიერად გაუელვა ქალმა თავში და გაქრა. ვარლამ არავიძემ განაგრძო სამგლოვიარო მიტინგი. „რატომ არ შეუერთდა მიტინგოსნებს“... – ეს ფიქრიც მიაყოლა უკან.

– მომენტი და სიტუაცია ისეთია, მტერი უნდა ვეძიოთ საკუთარი სახლების სამზარეულოებში, ტუალეტებში, მაგიდების ქვეშ და ტახტების ქვეშ... მტერი უნდა ვეძიოთ იქაც კი, სადაც ის არ არის...

ხალხი შეჩოჩქოლდა, აირივნენ ტრიბუნაზე მდგარი მხარის ხელმძღვანელებიც.

– სიკვდილი ხალხის მტრებს! – დაიქუხა უცებ ვარლამ არავიძემ და აზავთებული ხალხი ადგილზე გააქვავა. ასეთი მქუხარე მომწოდებელი საკუთარი ხმა ვარლამს ჯერ თვითონაც არ გაეგონა, არ ამოსულა მისი ყელიდან ასეთი ხმა. შემთხვევა არ ჰქონია, ვითარება არ შექმნილა ისეთი, ტრიბუნაზე შემდგარიყო და ხალხისთვის მიემართა.

მოულოდნელად, ერთის დაკვრით გადაწყდა მისი დიდკაცობა. დევიდ პეტრეს ძე ძეოღლიანოვმა გამოიძახა და დიდკაცად აკურთხა. მან იცოდა ასეთი მოულოდნელი გამოძახებისა და დანინაურების ფასი! ძეოღლიანოვის პირველი დავალება სწორედ ამ მიტინგის გამართვა იყო. უნდა ეყოჩაღა. აქედანვე მტკიცედ და შეუპოვრად უნდა დაეწყო. ახლავე, ამ წუთას, უნდა გამოჩენილიყო, რომ ეს გამოძახება შემთხვევითი არ ყოფილა, შემთხვევით არ იდგა ვარლამ არავიძე ტრიბუნაზე!..

– სიკვდილი ხალხისა და სამშობლოს მოღალატეებს!..

სიჩუმე ჩამოვარდა. მიტინგის მონაწილენი გახევებულნი მისჩერებოდნენ ტრიბუნას. როგორც ბედისწერა, ტანკენარი ქალი კვლავ გაილანდა ვარლამ არავიძის თვალსაწიერზე. როცა თვალთაგან ცეცხლს აკვესებდა, სწორედ ამ დროს, არავის მხარის მმართველო-

ბის წინა მოედანი, სადაც მიტინგის მონაწილე ხალხი შეკრებილიყო, გადაჭრა ქალმა და წითელი აგურისაგან ნაგებ ლამაზ შენობას მიადგა, ვარდებით დახუნძლული ჭიშკარი შეაღო და ვარდნარში შეიმალა. სიღრმეში იდგა წითელი აგურისაგან ნაგები შენობა. ვისი იყო ეს სახლი? ვინ იყო ეს ქალი?..

– სიკვდილი გამცემლებს! – დაიგრგვინა კვლავ ვარლამმა.

ქალს ვერ ცნობდა, მაგრამ ის სახლი ხალდანების უნდა ყოფილიყო. ვარლამს ჯერ კარგად ვერ შეესწავლა არავი და მისი მკვიდრნი.

– მიტინგი დამთავრებულიაო, – ცივად გამოაცხადა და წავიდა. შეშფოთებული არავის მხარის მმართველობა ტრიბუნაზე დარჩა. მხრებს იჩეჩავდნენ და ერთმანეთს შეჰყურებდნენ. თითქოს მიწიდან ამოძვრნენო, უცნობი, საეჭვო პირებით აივსო ტრიბუნა, უცნობმა, საეჭვო პირებმა გააცილეს ვარლამ არავიძეც. დამჭირველებს ხელისუფლების წარმომადგენლები იცნობდნენ, ესენი ვინ არიანო – ჰკვირობდნენ და ერთმანეთთან მიახლოებასაც კი ვერ ბედავდნენ.

„ნუთუ ორ დღეში მთელი აპარატი გამოიცვალა“, – ფიქრობდა ბენიამინ ლომჯარია, როცა ტრიბუნას ტოვებდა.

* * *

მიტინგის მეორე დღეს გაზეთებმა ამცნეს ქვეყანას არავში გმიროს მკვლელთა პარალელური ცენტრის არსებობა. დილას ეს ცნობა გამოქვეყნდა, საღამოს მთელი მმართველობა, ყოფილი გენერალური დამჭირველითურთ, შეიპყრეს და ადლის საიდუმლო საპატიმროში მოათავსეს.

ბენიამინ ლომჯარიას დაჭერებით და უდანაშაულო ადამიანთა დახოცვით ვინ გააკვირვებდა: გმიროს მეთაურობით მთელი მაგოგის ქვეყანა გაანახევრეს (მაშინ ბენო გოგში მუშაობდა), სახელმწიფო შეთქმულება აღმოვაჩინეთო, გამოაცხადეს და ერთ დღეში ათასობით ადამიანი წაიყვანეს დასახვრეტად. შიშის ზარი დასცეს ახალგაზრდა მაგოგის ქვეყანას.

ვენიამინ ანუ ბენიამინ, ანუ ბენო ლომჯარიამ ვერ მოასწრო გოგთან დაკავშირება, შინ მოაკითხეს და წაიყვანეს. როგორ მიბე-

დავთო, ერთი ამოიგმინა თვალების ბრიალით და შავ ემცხრაში შეაგდეს. თავის მოკვლაც სცადა, შიმშილობაც გამოაცხადა, მაგრამ არაფერმა გასჭრა. ბენო ლომჯარია გაქრა. დღესაც არავინ იცის, რა მოუვიდა, სად ნაიყვანეს, სად მოკლეს, სად დამარხეს... დამარხეს კი?!. ყველა პატიმრის ამბავი გაიგეს საბოლოოდ, ბენოსი კი ვერავინ ვერაფერი შეიტყო, თითქოს საერთოდ არ არსებულა ასეთი ადამიანი, კაცი გაქრა. შორეულ გადასახლებაში გააგზავნეს მისი ცოლ-შვილიც და ისინიც უკან აღარ მობრუნებულან.

ბენო ლომჯარიას შეპყრობამ შიშის ელდა სცა მთელ არავსა და არავიძეთს, – ალბათ მართლა არსებულა გმიროს მკვლელთა პარალელური ცენტრიო, – გვამში გაუჯდათ ეჭვი არაველებს.

ბენო ლომჯარია იყო ახალი ცხოვრების დამამკვიდრებელი არავში, მაგოგის ვრცელი ქვეყნის ერთ-ერთი შემქმნელი, მაგოგიზმის ფუძემდებელი. მაგოგიზმი ერქვა მოძღვრებას, რომელიც საფუძვლად ედო მაგოგის ქვეყანას. ამ მოძღვრების მიხედვით ადამიანი მომავალში იცხოვრებდა სამოთხეში, სადაც ყველას მიეცემოდა ის, რაც სურდა, სურვილთა სრული აღსრულება მიიღწეოდა.

იმ ნანატრ მომავალში სურვილთა სრული აღსრულება რომ მოგველოდა, ვერ შეხვიდოდი, თუ აწმყოში გმირულად არ იშრომებდი, ამიტომ დღედაღამ უნდა გეშრომა, შრომა იყო შენი საქმე. სხვა რამეს თუ გამოეკიდებოდი, მაგოგიზმის კანონს არღვევდი და საკადრისადაც ისჯებოდი. შრომის შემდეგ თუ მაინცადამაინც სხვა რამ მოგინდებოდა, ამისთვისაც ზრუნავდა მაგოგის ქვეყანა და მაგოგიზმი: თითქმის ყველა დაბაში, ყველა სოფელში იდგა კლუბი, ქოხ-სამკითხველო, უნდა შესულიყავი იქ და წიგნი გეკითხა, ან კლუბში გემღერა. ნება გქონდა ჩამოგეყალიბებინა მომღერალთა და მოცეკვავეთა ანსამბლი. თუ კარგად იმღერებდი, თუ რეპერტუარს კარგად შეარჩევდი, ე. ი. უმღერებდი მაგოგის ქვეყანას ან მის გენერალისიმუსს... ქალაქში ნაგიყვანდნენ და ოლიმპიადაში მიიღებდი მონაწილეობას. მაგოგიზმს გააჩნდა სხვა კუთხეებიც, სხვა ნიბოებიც, მაგალითად, მას უნდა გაემარჯვა მთელს დედამიწის ზურგზე. სხვა ქვეყნებშიც უნდა შეეღწია და სხვა სახელმწიფოთა წესწყობილებანი დაენგრია, ისე, როგორც დაანგრია ძველი მაგოგი და ახალი მაგოგი შექმნა.

მაგოგიზმი მტრობას არ ასწავლიდა ადამიანს, სხვათა ქვეყნების დაპყრობას არ ქადაგებდა. მაგოგიზმი ქადაგებდა ძმობას, ოღონდ ეს ძმობა უნდა განხორციელებულიყო მაგოგიზმის მიხედვით: მაგოგის ქვეყანას უნდა შეერთებოდა, შერწყმოდა სხვა ქვეყნები, სხვა ერები და მიგვეღო ერთი ძმური საერთო საძმო კავშირი – მაგოგის ქვეყანა. ვინც ამას არ ინამებდა და სხვაგვარად იფიქრებდა, რა თქმა უნდა, არ იყო მაგოგისტი და მაგოგის ქვეყანაში მაგოგელები მას ცხოვრების ნებას არ მისცემდნენ. – ასეთი იყო მაგოგიზმი და მაგოგისტებიც, ამ მოძღვრების მიმდევრებიც სხვაგვარნი ვერ იქნებოდნენ.

ამ თეორიის ერთ-ერთი შემქმნელი ვენიამინ ლომჯარია (ბენო) დააპატიმრეს, წარსული დამსახურებისათვის მადლობა მოახსენეს, აწმყოში კი... ვინც გაყოყოჩდება და მაგოგიზმის გზას გადაუხვევს, ხალხის რისხვას დამსახურებსო, – უთხრეს. თვით მე რომ ვიყო თქვენ ადგილას, – ამაყად უთქვამს ვარლამ არავიძეს, – მე თვითონ, ჩემი ფეხით წავალ საპყრობილეშიო. თქვენ მართლა ხართ ჩასაგდები საპყრობილეშიო, – აღშფოთებულა ბენო, – ძეოღლიანოვი გაიგებს ჩემს ამბავს და თქვენ, ყველას, სულს ციხეში ამოგაძრობენო, – შეპირებია არავიძეს.

ვარლამს უთქვამს: ჩვენ სწორედ ძეოღლიანოვის განკარგულებას ვასრულებთო.

არ მჯერაო, – მიუხლია, – წმინდა კაცს ცილს სწამებო.

მაშინ ვარლამ არავიძეს მოუწვევია საგანგებო სასამართლო, ე. წ. სამეული – რიკტაფელოვი, დოქსოპულოვი და ვარლამ არავიძე (თავმჯდომარე) და თხუთმეტ წუთში გაურჩევიათ ბენოს საქმე. აღმოჩენილა გმიროს მკვლელობის მეორე პარალელური ცენტრი არავში და ამ ცენტრის მეთაური ვენიამინ (ბენო) ლომჯარია ყოფილაო. მართალია, უშუალო მკვლელობაში მონაწილეობა არ მიუღია (გმირი გოგში მოუკლავთ, ბენო კი ამ დროს არავში ყოფილა!), მაგრამ მკვლელობა ბენოს მოუმზადებიაო. სიცრუეაო, – გაჯიუტებულა ბენო და ოქმზე ხელი არ მოუწერია. დოქსოპულოვს ბრძანება გაუცია და ბენო ისე უცემიათ, უყვირია, მოვაწერო. მოუწერია იმ იმედით, რომ სულერთია, ძეოღლიანოვის ნებართვის გარეშე მაინც ვერ დამხვრეტენო.

ამის შემდეგ რა მოხდა, არავინ იცის, საბუთებშიც, არქივებშიც ვერავინ ვერაფერს იპოვის, ჯეგე ხალდანმაც, ბუნებრივია, ის იცის, რაც ხალხმა იცის. ბენო ლომჯარიას ამბავი და სხვა ამბებიც იმისთვის დასჭირდა და მომავალშიც დასჭირდება, რათა წარმოაჩინოს, ხალხს ნათლად დაანახოს ვარლამის სახე.

ბენო ლომჯარიას გამო დააპატიმრეს თურმე ხუთასამდე ადამიანი. მმართველობაში თანამშრომელი ხომ არავინ დარჩენილა, თანამშრომლებს გარდა, ვისი გვარიც ლომჯარიას დაკითხვისას სცოდნია, ყველა შეუპყრიათ და როგორც თანამონაწილე მეორე პარალელური ცენტრისა, მოუსპიათ.

მხარის მმართველობაში დარჩენილან მხოლოდ დაცვის მსახურნი, კომენდანტი და დამლაგებლები, ისინი ადლის მუშაკები იყვნენ, ოღონდ მხარის მმართველობას ემსახურებოდნენ.

ვარლამ არავიძეს თავი არავის მხარის ერთმმართველად გამოუცხადებია. დამჯდარა მმართველად და ადლის უფროსობა შეუთავსებია.

სასწრაფოდ მოუწვევია მაგოგისტთა პლენუმი და მისი ერთმმართველობა პლენუმზე დაუმტკიცებიათ, ამ ისტორიულ პლენუმს დასწრებია გენერალისიმუსის პირველი თანაშემწე, რითაც საბოლოოდ დამტკიცებულა, რომ ვარლამ არავიძე უშუალოდ ძეოღლიანოვის გამოგზავნილი იყო არავის მხარეში.

პირველი შეხვედრა აფთართან

აფთარი მას ხალხმა შეარქვა, ხალხში ერთ-ერთი „გავლის“ დროს დაუძახეს. „აფთარი მოდის, აფთარიო“, – იყვირა ვიღაცამ. იმ დღიდან მოყოლებული შეერქვა. „ხალხში გავლა“ ვარლამ არავიძემ შემოიღო პირველად არავის მხარეში.

შავი ემცხრების მწყობრს, რომელიც მუდამ თან ახლდა, გააჩერებდა შორიახლო, მოფარებულში. მარტო გადმოვიდოდა მანქანიდან და ხალხში გაერეოდა. ვარლამ არავიძეს, ხელმწიფის ტოლა კაცს, კვერცხის რიგში ხომ ვერ წარმოიდგენდნენ? – ალბათ ჰგავს ვარლამ არავიძესო, ფიქრობდნენ და გულგრილად აუვლ-ჩაუვ-

ლიდნენ. როცა პირველმა ასეთმა გავლამ ათი ადამიანის დაპატიმრება გამოიწვია, მაშინ კი აფორიაქდნენ არაველები და, შიშითა და ეჭვით შეპყრობილნი, ელოდნენ, კიდევ როდის გამოჩნდებოდა.

ვარლამ არავიძეს სულ არ სჭირდებოდა „ხალხში გასვლა-გავლა". ამისთვის მან შექმნა საგანგებო სამსახური. ყოველ დაწესებულებაში, ყოველ საწარმოსა და საამქროშიც კი, ვიღაც ერთი მუშაკი „სიგნალებს" აგროვებდა. ინფორმპუნქტი გააუქმა და, სამაგიეროდ, დასმენა საერთო სახალხო საქმედ აქცია. კარგი დამსმენი მომავალი თანამდებობის პირი იყო. ადლშიცა და მმართველობაშიც საგანგებო განყოფილებები იყო შექმნილი, სადაც მონოდებული „ინფორმაციები" და „სიგნალები" მუშავდებოდა.

ვარლამ არავიძე სამსახურში დილით რომ მობრძანდებოდა, მოახსენებდნენ მხარეში არსებულ „ოპერატიულ ვითარებას"...

უფროსისკარიდან გამოუსვლელად მას შეეძლო სცოდნოდა, სად რა ხდებოდა მის საბრძანებლოში, მაგრამ ამ ცოდნას არ სჯერდებოდა, კვირაში ერთხელ უნდა გასულიყო ხალხში. არა მარტო ქალაქის დასათვალიერებლად გადიოდა, არამედ შორეულ რაიონებსა და სოფლებსაც კი ესტუმრებოდა. რაიონში „გასვლას" საიდუმლოდ ინახავდა. ადგილობრივი ხელისუფლები ამ ამბავს მაინც იგებდნენ და მომზადებულნი ხვდებოდნენ. ვარლამს თავისი ხალხი მუშაობაში უნდა ენახა, თუნდაც ერთი ადამიანისათვის მოეკრა თვალი, ვისაც საქმე არ ჰქონდა, ხელმძღვანელობა სასტიკად ისჯებოდა. ამიტომ მისი ყოველი ჩასვლა რაიონში შიშის მომგვრელი იყო.

ვარლამ არავიძე ზოგჯერ სულ მთლად მოულოდნელად გადაწყვეტდა სოფლის მუშაკებთან შეხვედრას, მძღოლმაც კი არ იცოდა, სად მიდიოდა მისი პატრონი, იცოდა მხოლოდ პირადმა დაცვამ.

რაიონის, სოფლის ხელისუფალთ, სულ ერთია საიდან, მაინც უნდა გაეგოთ, რომ ვარლამ არავიძე მათთან ჩამოდიოდა და მომზადებულნი უნდა შეხვედროდნენ. რამდენი ჩაის ბუჩქი ჰქონდათ, იმდენი მკრეფავი უნდა გამოეყვანათ, რამდენი სიმინდის ღერი ხარობდა ყანაში, იმდენი მთოხნელი ეშოვათ და როცა ოჩაიეებს და სიმინდის ყანებს შავი ემცხრის წყებანი ჩაუვლიდნენ — „ახ, ტრაქტორო, მე შენ გამჩენს..." უნდა ემღერათ...

მთელს არავის მხარეში ერთი ტრაქტორი დაუდიოდათ მინდვრებში, მაგრამ ამ ტრაქტორით, ანუ ხარკინით, როგორც მას ხალხი ეძახდა, ძალიან ამაყობდნენ. რაც მთავარია, თურმე ვარლამ არავიძეს უყვარდა ეს სიმღერა. გადმოვიდოდა მანქანიდან, გახედავდა ოჩაიეს, იდგა თურმე და ქალების სიმღერას ყურს უგდებდა.

ერთი ასეთი „გავლის" დროს, არავის ერთ ვიწრო ქუჩაში მინავალან ია და სანდრო ხალდანები, ისინი ვარლამს შორიდან დაუნახავს, ემცხრა ახლოს გაუჩერებია და იას დაკვირვებია – ეს ხომ ის ქალია, მიტინგის დროს მოედანი რომ გადაჭრაო, უფიქრია თავისთვის, დოქსოპულოვიც იმ მანქანაში მჯდარა. მძღოლს ნამით შეანელებინა თურმე მანქანა და ია ხალდანს თვალი ააყოლა-ჩააყოლა.

ვარლამი სანდროსაც შეუმჩნევია, შეშინებულა, ცოლისთვის ხელი დაუვლია და გაქცეულან. ვარლამს არ მოსწონებია სანდრო ხალდანის გაქცევა. ხოლო ამის შემდეგ უბრძანებია დოქსოპულოვისთვის, – გაიგეთ, ვინ არიან და რატომ გაიქცნენო. დოქსოპულოვს იქვე მოუხსენებია: სანდრო ხალდანი ამ მხარეში ცნობილი მწერალია, ის ქალი – ია ხალდანი გახლავთ, – მისი ცოლიო. ვარლამს დოქსოპულოვი თავისი მანქანიდან ჩამოუსვამს და უბრძანებია: სასწრაფოდ შეეპყროთ გაქცეულნი და შეესწავლათ, ვინ იყვნენ, რას აკეთებდნენ, რითი ცხოვრობდნენ და რატომ გაიქცნენ...

თვითონ თავის საბრძანებლოში დაბრუნებულა და მსხვერპლს იქ დალოდებია.

ია და სანდრო ხალდანები გაქცეულანო, რომ ვთქვათ, ცოტაა, კი არ გაქცეულან, – გამქრალან. თვით დოქსოპულოვი და რიკტაფელოვიც გაკვირვებულან, ასე თვალსა და ხელს შუა სად დაგვეკარგნენო.

სანდრო ხალდანს სცოდნია თურმე ძველი არავ-ქალაქიდან საიდუმლო გასასვლელი. როცა მტერი ქალაქს ალყას შემოარტყამდა და საშველი არსაიდან იყო, მიწაში ჩასაძვრომი ხვრელებით შეიძლებოდა თურმე არავის ჭალაში გასვლა და იქიდან წყლის ამოტანა. იმ ხვრელში ჩამხტარან და იქიდან ქალაქგარეთ ხელათ გასულან.

დოქსოპულოვმა და რიკტაფელოვმა იცოდნენ ამ ხვრელების არსებობაც, მაგრამ არ ეგონათ, თუ სანდრო ხალდანი თავს ცოლს

ამ ქვესკნელში ჩააძვრენდა. არ ადგათ ასეთი გასაჭირი, რატომ უნდა ჩამძვრალიყვნენ შავ ჯურღმულში?.. – ასე ფიქრობდნენ ისინი, თან არავის იმ უბანს, სადაც ია და სანდრო ხალდანები დაეკარგათ, ყირაზე აყენებდნენ, ეზოებში, ბინებშიც კი უვარდებოდნენ მობინადრეებს, საგანგებო ხაზებით უკავშირდებოდნენ ქალაქის ყველა საგუშაგოს და აფრთხილებდნენ, ასეთი და ასეთი ცოლ-ქმარი დააკავეთო.

დოქსოპულოვისა და რიკტაფელოვის მანქანები თითქმის მთელ არავში იყვნენ გაბნეულნი. როცა უფროსი თავის საბრძანებლოს სტოვებდა და ქვეყნად გამოდიოდა, რასაკვირველია, მთელი ქალაქი, მთელი არავის მხარე დოქსოპულოვისა და რიკტაფელოვის კაცებს ხელში უნდა სჭეროდათ. იმ დღესაც ასე იყო, მთელი ქალაქი ხელთ ეპყრათ და „დამნაშავე“ თვალსა და ხელს შუა გაექცათ?! – მიწა უნდა გაეხეთქათ და ეპოვათ ხალდანები, უკან, ვარლამ არავიძესთან, ხელცარიელნი ვერ დაბრუნდებოდნენ.

როცა დოქსოპულოვი და რიკტაფელოვი ქალაქში ჭირის ოფლში იწურებოდნენ, ია და სანდრო ხალდანები ქალაქიდან უკვე გასულები იყვნენ და მინდორში გარბოდნენ, უკან-უკან იყურებოდნენ, შავი მანქანები საცაა გამოჩნდებიანო, ფიქრობდნენ. თავშესაფარიც აღარსად იყო! რა ექნათ: ხან აქეთ მიანყდებოდნენ, ხან იქით!..

შორს ერთი კაცი ხნავდა ამ თვალგადაუწვდენელ მინდორს და თავისთვის ღიღინებდა, ხარებს იშვიათად უქნევდა სახრეს, რადგან ისინი ძალზე დამჯერნი, პატრონის ერთგულნი ჩანდნენ, ჭაპანს შეუძახებლად ეწეოდნენ.

სანდრო მხვნელისაკენ გაეშურა, რატომღაც იმედი გაუჩნდა, რა შეეძლო მხვნელს, მაგრამ მაინც მისკენ წავიდა ანგარიშმიუცემლად, იმას მაინც მეტყვის, ამ ტრიალ მინდორში საით გავიქცე, თავშესაფარი სად იპოვებაო...

– ნ..ოოო!.. – უთხრა მხვნელმა ხარებს, – ხიი!.. ოორე...

გუთნეული შეაყენა. შუბლიდან ოფლი მორკალული ხელით მოიწურა და აქოშინებულ ახალგაზრდებს გაკვირვებული შეაჩერდა.

– ბატონო, მოგვდევენ!.. გვიშველეთ რამე!.. სადმე დაგვმალეთ!.. – მიაყარა სანდრომ ქოშინ-ქოშინით.

მხვნელმა სახრე გუთნის ხელნაზე მიაყუდა, ჩანდა, რომ არ ეჩქარებოდა, სათუთუნე ამოიღო და გულისგარეთ ჰკითხა მოსულს.

– ვინ მოგდევთ?..

– დამჭირველები!..

მხვნელმა თავი გადააქნია და გვერდით გადგა.

– ისინი ახლა საცაა გამოჩნდებიან!.. – მიეშველა ქმარს ია.

– სად დაგმალოთ, ხალხო! – გაიოცა ბერიკაცმა, – ხომ ხედავთ, ერთი ხე არ დგას არსად, როგორღა დაიმალებით?

– გზა მაინც გვასწავლეთ, საით გავიქცეთ! – შეევედრა სანდრო.

– რა გზა გასწავლოთ! – ბავშვები ხომ არა ხართ! თუ დამჭირველები მოგსდევენ, ხომ იცით, მიწაში რომ ჩაძვრეთ, იქიდან ამოგიღებენ. თუ გნებავთ, აგერ, ამ მიწაში, დაგმარხავთ, სხვა სამალავი არა მაქვს რა!..

– ჩქარა! – შეჰყვირა სანდრომ, მოეწონა ბერიკაცის აზრი და პირდაპირ კვალში ჩაწვა, იაც უმალ გვერდით მიუწვა.

– დაგვაყარე მიწა!.. – შეუძახა ბერიკაცს სანდრომ, – ეს ახლა მართლაც ერთადერთი გამოსავალია!..

ბერიკაცი გაზეთის ქაღალდში გახვეული თუთუნის ფუილ-ფუილით სადღაც წავიდა და ბარი და თოხი მოიტანა.

– აქ დაგინახავენ, გზისპირია... – უთხრა მან იასა და სანდროს, აქეთ წამოდით!..

ნახნავის შუაგულისაკენ წაიყვანა. შეჩერდა, გაიხედ-გამოიხედა. ყურადღებით შეათვალიერა გარემო, ვინმე ხომ არ გვიყურებსო და ორმოს თხრა ისე გულდაგულ შეუდგა, თითქოს მართლა სამარეს თხრიდა.

– ჩქარა! – აჩქარებდა სანდრო და თვითონაც თოხით ეხმარებოდა.

– თოხით არ გაითხრება!.. – უთხრა ბერიკაცმა, – გირჩევნია ჩემი ნათხარი ამოწმინდო...

– ამას მე ამოვწმინდავ! – ია ხელით შეუდგა ნაფხვენი მიწის ამოყრას.

– ოჰ, თქვენ არა! – იუარა ბერიკაცმა და იას რომ არ ემუშავა, ნაფხვენ მიწას ბარი ნიჩაბივით ამოუსვა, ხელათ ამოყარა ნათხარი მიწა ორმოდან.

სანდრომ ერთი ბარისპირის მეტი აღარ ამოათხრევინა ბერიკაცს, ვერ მოვასწრებთო, ჩაწვა ორმოში და ცოლით გვერდით მოიწვინა, ბერიკაცმა მიწა ბლომად მიაყარა, მართლაც ჩამარხა მიწაში ორივე. მარტო თავები მოუჩანდათ.

ია ბავშვივით იყო ატაცებული, – გლეხკაცმა ეს რა გონივრული რამ მოიფიქრაო. თუ არავიძის კაცები აქეთ გამოსწევდნენ, თავიანთი ემცხრებით შემოიჭრებოდნენ ამ მინდორშიც, მანქანის გზა ეგერ, ჰე, შორს გადიოდა. ვერ დაინახავდნენ ვერაფერს.

– გამჭრიახი გლეხკაცი შეგვხვდაო... – ეჩურჩულებოდა იას თავი სანდროს თავს.

– ნეტა რას აკეთებს, სად წავიდა? – იკითხა სანდროს თავმა, ისინი თავებსაც კი არ ანძრევდნენ, ეშინოდათ, რამე არ გაეფუჭებინათ.

– სადაც უნდა, იქ წავიდეს, მე ბევრი მიწა არ მაყრია, ჩემითაც კი წამოვდგები, შეენ?..

– იმიტომ კი არა ვკითხულობ, რომ ვერ ამოვალთ „სამარიდან", ხვნა უნდა განაგრძოს, ეჭვი არავინ არაფერში შეიტანოს.

თითქოს სანდროს ფიქრებს უპასუხაო, ბერიკაცის ჯავრობა გარკვევით გაისმა მინდორში:

– კვალში-მეთქი, შე სამგლევ, შენა!.. – ბერიკაცი ხარს უჯავრდებოდა. სანდროს გაუხარდა.

– გაიგონე? – ჰკითხა იას, – ხნავს... აი, ასე, სპექტაკლი დადგმულია! მობრძანდით, ბატონო ვარლამ, და იხილეთ თქვენი თვალით!.. ტრიალ მინდორში გლეხკაცი ხნავს მიწას, მეტი აქ არაფერი ხდება.

– ეგებ არ მოგვდევდნენ და ჩვენ ტყუილუბრალოდ დავფრთხით, – თქვა იას თავმა.

– არ მოგვდევენ? – ჩჩჩუუ... უკვე მესმის მანქანების ხმა, შენ არ გესმის?..

– ჩიტი უსტვენს სადღაც, სხვა ხმა მე არ მესმის...

– ვარლამ არავიძემ თვალი თუ დაგადგა, მორჩა... დიდკაცების ცოლები თურმე უკვე თავისი ფეხით მიდიან მასთან, შენ კიდევ ჩიტი! სტვენა გესმის!.. ახლა ეს რა ხმაა!.. გესმის ახლა?..

– უიმე, მართლა მანქანებია!.. – თავის წამოწევა სცადა იამ.

– ... არ გაინძრე!.. – უბრძანა სანდრომ.

– ეგებ გამვლელი მანქანებია... – შიშისაგან მთლად დაელია ხმა იას.

– ჩჩჩ...

მოეჩვენათ, რომ მანქანები ძალიან ახლოს გაჩერდნენ. მანქანის კარმა გაირაჯგუნა, ფეხის ხმაც კი შემოესმათ. „ვიღაც გადმოვიდა მანქანიდან“, – გაიფიქრა სანდრომ. „ვისი ფეხის ხმაა?..“ – გაიფიქრა იამ.

– ვიღაც გადმოვიდა მანქანიდან... – დაიჩურჩულა ზეცას მიჩერებულმა სანდროს თავმა.

– ვოოო!.. ხი!.. მოო... – გაისმა ბერიკაცის ხმა.

– აქეთ ვინმეს ხომ არ გამოუვლია?.. – შორიდან კითხულობდა მანქანიდან გადმოსული, ნახნავში შესვლა შეეზარა.

– ნნუ, არა!.. არავინ მინახავს... – გაისმა პასუხად.

– დღის ბოლომდე ამ გზაზე ვინც გაივლის, ჩაინერე. ხომ იცი, სადაც უნდა დარეკო...

– ვიცი.

ძრავები ამუშავდნენ, მანქანები ნავიდნენ.

– გადავრჩით! – თქვა იას თავმა.

– ჩჩჩ!.. ეს რა ამბავია?.. – იკითხა სანდროს თავმა და გაილურსა. შარიშური და ფართხუნი შემოესმა. მანქანები ნავიდნენ თუ არა, ეს შარიშური და ფართხუნიც თითქოს მათ მიჰყვაო, მანქანების ხმას გაედევნა. „რა უნდა იყოს?..“ – ფიქრობდა სანდრო.

– გლეხკაცი ალბათ ჩვენთან მორბის... – ახსნა იამ.

– პირიქით ხომ არ არის? – ჩვენგან გარბის... – თქვა სანდრომ.

„სად გაიქცა...“ – ფიქრობდა სანდრო.

„ნეტა სად გაიქცა“...“ – ფიქრობდა ია.

დაეჭვებულნი ფიქრობდნენ.

მანქანიდან გადმოსულმა როცა ბერიკაცს მკაცრი კილოთი უთხრა. ხომ იცი, სად უნდა დარეკოო, იცოდა, რაღა თქმა უნდა!.. გაფრთხილებაც აღარ სჭირდებოდა, ამბის არ მიტანისათვის ციხე ელოდა, არავის მხარეში ასეთი კანონი კარგა ხანია მოქმედებდა, კანონს გლეხკაცი ვერ გადავიდოდა. შეატყობინებდა, სადაც ჯერ არს. ამასობაში მინაში ჩამარხულნიც გავიდოდნენ სამშვიდობოს... ასე ფიქრობდა ბერიკაცი იმ წამებში, როცა მანქანიდან გადმოსულ დამჭირველს უთხრა: ნნუ, არაო. მანქანები რომ დაიძრნენ, ბერიკაცმა მანქანაში მსხდომ დოქსოპულოვსა და რიკტაფელოვს მოჰკრა თვალი. გააცივა, კანზე თუ სადმე ბუსუსი ესხა, აებურძგ-

ლა, მუხლებმა დაუწყეს კანკალი... უმალ მიიღო გადაწყვეტილება, – ახლავე, ამ წუთას უნდა მიეტანა „დანოსი“. მას უკვე ჰქონდა დანაშაული ჩადენილი, დამჭირველებს გამოქცეულები მინაში ჩამარხა, უნდა გამოესყიდა! გამიგებენ, ამათ ხომ არაფერი დაემალება! – მერე გვიან იქნებაო, – ადგილს მოწყდა და მანქანებს გამოუდგა.

საიდან გაიგებდნენ, რომ მაინცადამაინც მხვნელმა ბერიკაცმა ჩამარხა მინაში დამნაშავენი? – ხვალ და ზეგ უსათუოდ შეიპყრობდნენ მინაში ჩამარხულებს, პირველი დაკითხვისთანავე, სწორედ ისინი გათქვამდნენ ბერიკაცს. თუ არ იტყოდნენ, ათქმევინებდნენ: დამჭირველები უკან მოგდევდნენ, თქვენ თვალსა და ხელს შუა დაეკარგეთ, სად იყავითო. – ამათ კი არა, რიკტაფელოვი და დოქსოპულოვი, პროფესორებს აწერინებდნენ, – მე პროფესორი არა ვარ, პირუტყვი ვარ, ოთხფეხზე დავდივარო.

ხოლო თუ ჩვენებაში ერთხელ მაინც ვინმე გახსენებდა, შუაღამისას მოგიკაკუნებდნენ კარზე.

– ბერიკაცო, შენ მინაში ჩამარხე დამნაშავენი, – ყურში ჩაესმოდა დოქსოპულოვის ხმა, – ამით ხელი შეუწყვე მაგოგის ქვეყნის დასუსტებას, – ე. ი. ეწევი ძირგამომთხრელ მუშაობას, ხოლო აქედან გამომდინარე, სამშობლოს მოღალატე ხარ!..

გარბოდა და ხმა ყურში ჩასწიოდა. ნახნავებში გარბოდა, მანქანებს გზას მოვუჭრი, წინ დავხვდებიო. დამჭირველებმა უკან გამოდევნებული მოხუცი შეამჩნიეს და ჯერ ერთი მანქანა გაჩერდა, შემდეგ მეორე, მესამე... ბერიკაციც ჯერ ერთ მანქანასთან მივარდა, შემდეგ მეორესთან, მესამესთან, რიკტაფელოვსა და დოქსოპულოვს ეძებდა. ორივენი სწორედ მესამე მანქანაში ისხდნენ. ბერიკაცი მანქანის კარს მივარდა და სახელურს დაეჯაჯგურა, გაღება სურდა, ფიქრობდა, უფროსებს ფეხებს დავუკოცნი და პატიებას ვთხოვო. დოქსოპულოვ-რიკტაფელოვის მანქანების კარები სხვა მანქანათა კარების დარად არ იღებოდა. დოქსოპულოვმა თავი გამოჰყო მანქანის სარკმლიდან, თითქოს იცის, ბერიკაცმა რაც უნდა უთხრასო, მიუგდო:

– თქვი!..

ბერიკაცი ხელზე ნაეტანა, კოცნა მოუნდომა, დოქსოპულოვმა ხელი არ დაანება, დამალა.

– დავიღუპე... დავიღუპე!.. მაპატიეთ!.. – საბერველივით ქშინავდა ბერიკაცი და დოქსოპულოვის ხელმონაკიდებ მანქანის სარკმელს კოცნიდა... – მანქანები... რომ... დაიძრა, მაშინ... დაგინახეთ... არ მეგ..ონა... თუ... თქვენი ხალხი... იყო... თქვენებს უარს... როგორ ვეტყოდი... – ნარბენი ნაწყვეტ-ნაწყვეტად ისროდა სიტყვებსა და წინადადებებს.

– თქვი ჩქარა! არ გვცალია!.. – შეუღრინა დოქსოპულოვმა.

– წამობრძანდით, ვიცი, სადაც არიან... – უთხრა ბერიკაცმა.

დამჭირველები მანქანებიდან გადმოსულიყვნენ, ბერიკაცს უკვე გარს შემორტყმოდნენ. ბრძანებას ელოდებოდნენ.

– ჩასვით მანქანაში და წამოიყვანეთ! – გაისმა ბრძანებაც. ბერიკაცი ჩასვეს და მანქანები უკან გაბრუნდნენ. ბერიკაცმა მანქანები გზის პირას გააჩერებინა, რიკტაფელოვი და დოქსოპულოვი თავისი თანამშრომლებიანად ნახნავებში შეიყვანა და მიწაში ჩამარხულებისაკენ გაემართა. თვით მრავლისმნახველი რიკტაფელოვი და დოქსოპულოვი გაოცდნენ, როცა მიწაში ჩამარხულ იასა და სანდროს თავებს წამოადგნენ.

– რა გქვია, ბერიკაცო? – ამოსძახა მოულოდნელად სანდროს თავმა მიწიდან. სახტად დარჩა არა მარტო ბერიკაცი, არამედ ყველა იქ დამსწრე. უადგილო შეკითხვა იყო. თავის მართლების ნაცვლად დამნაშავე დამსმენის ვინაობას იძიებდა?.. – აღშფოთდნენ რიკტაფელოვი და დოქსოპულოვი და ერთმანეთს გადახედეს.

– ღვთისავარი... – უნებურად მიუგო ბერიკაცმა.

– ღვთისა კი არა, ეშმაკისა ყოფილხარ!.. – დინჯად უთხრა სანდრომ, – რა გვარისა ხარ?..

– რა შენი საქმეა, რა გვარისა ვარ! – ახლა აჭაჭყანდა ღვთისავარი, – შემაცდინე, ავი საქმე ჩამადენინე... „რა გვარისა ხარ“ – შენ თუ კაი კაცი ხარ, ჩემს სახელსა და გვარს კი ნუ დაეძებ, ადექი მანდედან და პასუხი აგე!..

სანდრომ ჯერ ცალი ხელი გამოჰყო ნაყარი მიწიდან, შემდეგ მეორე ხელი, მკერდიდან ბელტები გადაიგორა და წამოჯდა, ცოლს მიეშველა მიწის გადაყრაში, ისიც წამოაყენა. სამოსის ბერტყვა-ბერტყვით წამოდგნენ. დამჭირველები იქით-აქეთ ამოუდგნენ. დოქსოპულოვსა და რიკტაფელოვს კრინტი არ დაუძრავთ, უთქმე-

ლადაც ყველაფერი ნათელი იყო. გატრიალდნენ და წავიდნენ მანქანისაკენ. ია და სანდრო მათ უკან მიჰყვნენ, გასაკვირი ის იყო, რომ პატიმრებივით ზურგზე ხელები დაიწყეს, თუმცა არავის უთქვამს, დაპატიმრებული ხართო.

შეხვედრა აფთართან, რომელმაც გადაწყვიტა სანდროს ბედი

ეს იყო დაუჯერებელი შეხვედრა. ია და სანდრო ხალდანები ვარლამ არავიძის უფროსისკარში დამნაშავეებივით შევიდნენ. ეს გრძნობა მათ გზაში გაუღვიძეს. ჯერ დოქსოპულოვმა ჰკითხა სანდროს: რატომ გარბოდითო. სანდრო დიდხანს უხსნიდა ორივეს, დოქსოპულოვსა და რიკტაფელოვს, თუ რატომ შეეშინდა და ცოლს რატომ მალავდა, მაგრამ, ბუნებრივია, ეს იყო აბდაუბდა, – სიმართლეს ხომ ვერ იტყოდა?!

ბოლოს, მანქანიდან გადმოსვლის წინ რიკტაფელოვმა ჰკითხა: გარბოდით იმიტომ, რომ გეშინოდათ-არა? თქვენი აზრით, ვისიც გეშინოდათ, ის ადამიანი უსამართლოა, მტარვალია, შეიძლება უდანაშაულონი ჩაგყარონ ციხეში? აი, ამ გაქცევით თქვენ ბრალს გვდებთ ჩვენ – ხელისუფლებას!

– რას ბრძანებთ! – შეიცხადა ია ხალდანმა და რიკტაფელოვს მეტისმეტად გულითადად უთხრა:

– რას ვიფიქრებდით, თუ მადევრები თქვენ იყავით! გვაპატიეთ!

– ჩვენ კი გაპატიებთ, მაგრამ ხალხი გაპატიებთ? – თქვა მრავალმნიშვნელოვნად დოქსოპულოვმა, მანქანა გააჩერა და უკან მიხედა სალონში მსხდომ იასა და სანდროს.

– ხალხი? – გაიოცა სანდრომ.

– ჰო, ხალხი... – დინჯად მიუგო დოქსოპულოვმა.

– ნუ აზვიადებთ, ძალიან გთხოვთ!.. – უთხრა მას სანდრომ.

– მობრძანდით ჩემთან! – უთხრა დოქსოპულოვმა და სანდრო გვერდით გაიხმო. იასთან რიკტაფელოვი დარჩა. ისინი ადლის შენობის წინ იდგნენ. მარმარილოს ფართო კიბით უნდა ასულიყვნენ ლიფტამდე. ცალ-ცალკე იდგნენ, მაგრამ თუ ყურს მიუგდებდნენ, ერთმანეთისას გაიგონებდნენ.

– თქვენ დამნაშავე ხართ... იფიქრეთ ამაზე... – უთხრა სანდროს დოქსოპულოვმა და სახეში უტიფრად შეაჩერდა.

– თქვენ არა ხართ დამნაშავე! – უთხრა რიკტაფელოვმა იას. თითქოს წინასწარ შეთანხმებულანო, ერთდროულად უთხრეს ჯალათებმა თავიანთ მსხვერპლთ: დამნაშავე ხარ, დამნაშავე არა ხარო. სანდრომაც გაიგონა, იას რა უთხრეს და იამაც, – სანდროს რაც უთხრეს. რისი მაუწყებელი უნდა ყოფილიყო ეს? ნუთუ იმის, რომ სანდროს მართლა დასდებდნენ ბრალს და შეიპყრობდნენ?

გასაოცარი, გამაოგნებელი, მომნუსხველი ძალა აღმოაჩნდა ორივეს: დოქსოპულოვსა და რიკტაფელოვს. ვისაც უთხრეს, დამნაშავე ხარო, თავს დამნაშავედ გრძნობდა, ვისაც უთხრეს, დამნაშავე არა ხარო, კიდევ უფრო მეტად გრძნობდა თავს დამნაშავედ.

სანდრო ფიქრობდა: დამნაშავე ვარ, რად გავიქეცი? – ამით ხომ უდანაშაულო ადამიანზე ეჭვი მივიტანეო.

ია ფიქრობდა: დამნაშავე მე ვარ, ჩემი სილამაზეა დამნაშავე... სანდრო ჩემ გამო გაიქცაო.

– დამნაშავე... – წაიდუდუნა სანდრო ხალდანმა და უნებურად ფეხი წამოკრა მარმარილოს საფეხურის წიბოს, მუხლი და მარჯვენა ხელი ერთბაშად დაჰკრა კიბეს და უცებ წამოიმართა, ვითომ არაფერი მომხდარაო. ია გვერდით ამოუდგა, ხელი მოჰკიდა. ღელავდა, ბობოქრობდა სანდრო, მაგრამ გამოხატვის დროც არ იყო, რიკტაფელოვი და დოქსოპულოვი უკვე ღია ლიფტთან იდგნენ და სტუმრებს ეპატიჟებოდნენ. ადლის მცველნი კართანაც, კიბის თავში, ლიფტთანაც ხელის მარჯვე აწევით ესალმებოდნენ უფროსებს, თან ლიფტში ეპატიჟებოდნენ. აქ არ იყო აზრის გამოთქმის ადგილი. ლიფტში რომ შევიდნენ, ახლა რიკტაფელოვმა უჩურჩულა: „რა გაგიკვირდათ, თქვენ დამნაშავე ხართ!..“

ლიფტმა სართულები ხელათ აიარა და სანდრომ ვერაფრის თქმა მოასწრო. გუნებაში კი დაბეჯითებით ფიქრობდა: „მართლა დამნაშავე ვარ, რატომ გავრბოდი? რატომ შემეშინდა? ეჭვი ტყუილუბრალოდ მივიტანე ეგებ მართლა უდანაშაულო ადამიანზე... მე ხომ ჩემი თვალით არ მინახავს ვარლამ არავიძის ავკაცობანი. დამნაშავე ვარ, მაგრამ ეს მორალური დანაშაულია და არა სისხლის სამართლის...“

– მე დაპატიმრებული ვარ? – იკითხა მოულოდნელად სანდრომ.

– რას ბრძანებთ! – შესძახა რიკტაფელოვმა, – თქვენ უკვე ვარლამ არავიძის კაბინეტის მისაღების წინ დგახართ!..

სანდრომ რატომღაც ძირს დაიხედა, ფეხქვეშ ნითელი ხალიჩა ეგო, წინ შავი კარი. ვიდრე იქითკენ გადადგამდა ნაბიჯს, იას შეხედა.

– ნუთუ მართლა დამნაშავე ვარ? – უჩურჩულა.

– შენ არა, მე ვარ!.. – მიუგო იამ.

– შენ? – გაიოცა სანდრომ.

უცებ სანდრომ შეამჩნია, რომ დოქსოპულოვი მათთან უკვე აღარ იყო. „სად ნავიდა“... თვალებით დაიწყო ძებნა.

ვარლამ არავიძის მისაღებში მიხედვ-მოხედვაც ვერ მოასწრეს, რომ ბრძანება შემოესმათ – „შებრძანდით!“ შავი კარი გაიღო და ია და სანდრო სიბნელეში აღმოჩნდნენ. „იარეთ სინათლისაკენ.“ კედელი ლაპარაკობდა, თუ სიბნელე იძლეოდა ბრძანებას, მართლაც, უნებურად, სინათლისაკენ მიდიოდნენ, ვინაიდან სხვა გზა აქ ალბათ არც იყო. დოქსოპულოვიცა და რიკტაფელოვიც სადღაც გაქრნენ, „შეგვყოლოდნენ მაინც“, – ფიქრობდა ია. ქმრისთვის ხელი ჩაევლო მკლავში და მიჰყვებოდა. სად მიდიოდნენ, ქმარი სად მიჰყავდა, თუ ქმარს სად მიჰყავდა, რა უნდოდათ აქ!.. სად მწერალი, წიგნის კაცი სანდრო ხალდანი და სად ეს დაწესებულება!.. განათებულ ოთახშიც უცებ აღმოჩნდნენ, ოთახსაც ვერ ეტყოდით, ალბათ დარბაზი ეთქმოდა, დარბაზის სიღრმეში მაგიდასთან იჯდა ვარლამ არავიძე, წინ საქაღალდეები ედო, თავი შიგ ჩაერგო, თითქოს გაფაციცებული კითხულობდა. შემოსულნი რომ დაინახა, წამოდგა, მიატოვა თავისი მაგიდა და სტუმრებთან შესახვედრად გაემართა.

– ბატონი სანდრო ხალდანი! – წამოიძახა მან, ვიდრე ხელს ჩამოართმევდა სანდროს, – როგორ მინდოდა თქვენთან შეხვედრა!.. – ჩამოართვა ხელი, – ქალბატონი ია! რა ბედნიერი ვარ, რომ თქვენთანა ვარ!.. მობრძანდით!.. მობრძანდით!..

ია განითლდა, სასაცილოდ განითლდა ყურებამდე, თავ-პირი სად დაემალა, არ იცოდა, სანდროსაც ეცვალა ფერი, ენა ჩაუვარდა. სულ სხვაგვარ შეხვედრას მოელოდნენ და დაიბნენ. ვიდრე მაგიდას მიუსხდებოდნენ, ლამის ერთმანეთს შეეჯახნენ. სანდრო მზად იყო ესაუბრა თავის დანაშაულზე. რამდენიმე წამში, თუ წამის მეათედებში, მოიფიქრა, შეთხზა თავისი „დანაშაულის“ ფსიქოლოგიური წინამძღვრები: გარემოებებით, ვითარებებით გაამართლა საქციე-

ლი. მართალია, ჩვენ გავიქეცით, მაგრამ ამიტომ და ამიტომ... სანდროს ნაფიქრის მიხედვით დამნაშავე არავინ იყო, არც ის, ვისაც ეშინოდა, არც ის, ვისიც ეშინოდათ. გარემოებები, ვითარებები იწვევდნენ სიმკაცრეს, შიშიანობაც გარემოებათა გამო იყო გამეფებული. ასეთი შესანიშნავი პასუხი მზად ჰქონდა და უცებ „ბატონი სანდრო ხალდანი!“..

– მე დიდი ხანია თქვენთან შეხვედრა მინდოდა... მაგოგის პარტია ახლა დიდ იმედებს ამყარებს ინტელიგენციაზე. წავიდა ის დრო, როცა პროლეტარიატი წყვეტდა ინტელიგენციის ბედს, ახლა მაგოგიზმმა ახალი კურსი აიღო... ინტელიგენციამ უნდა გადაწყვიტოს არა მარტო პროლეტარიატის, საერთოდ, მსოფლიო პროლეტარიატის ბედი. არ გეგონოთ ვაჭარბებდე. უშუალოდ გენერალისიმუსის – დევიდ პეტრეს ძე ძეოღლიანოვის მითითებას ვასრულებ.

– ძეოღლიანოვის? – გაიოცა სანდრომ.

– ძეოღლიანოვის? – გაიოცა იამ.

– არ გეგონოთ, მითითება ზოგადი იყოს, შეკრიბე არავის მხარის ინტელიგენცია და მაგოგიზმის ახალი კურსი გააცანიო, – დამავალა.

ვარლამ არავიძე წამოდგა, ალბათ უფრო დამაჯერებელი, დამარწმუნებელი რომ გაეხადა საუბარი, ჩაფიქრებული მოპყვა ბოლთის ცემას მაგიდის გასწვრივ, კედელსა და სამუშაო მაგიდას შორის გარკვეული სივრცე იყო დატოვებული, იმ სივრცეში მოძრაობდა, თითქოს ჰაერი არ ჰყოფნიდა, ბორგნეული ხაშირ-ხაშირად ისწორებდა ქამარსა და ბლუზას, თითქოს თქმა უჭირდა.

– რა არის ეს ახალი კურსი... – წმენდა! ჩვენი რიგების წმენდა!.. რატომ დაგვჭირდა წმენდა? იმიტომ, რომ მაგოგის ქვეყანა გარემოცულია მტრებით. იმპერიალისტები, ექსპლოატატორები, ყველა ჯურის მჩაგვრელები და ომის გამჩაღებლები მტრობენ მაგოგის ქვეყანას. მტრობენ იმიტომ, რომ ჩვენ ვიბრძვით ყოველგვარი ჩაგვრის წინააღმდეგ, ომის წინააღმდეგ, ჩვენ დედამიწის ერთმეექვსედზე დავამყარეთ ჯერ არნახული, არგაგონილი უკლასო საზოგადოება, მალე დაიწყება პერმანენტული რევოლუცია და ერთმეშვიდედზე, ერთმერვედზე, ერთმეცხრედზეც დამყარდება მაგოგიზმი, შემდეგ ერთმეასედზედაც, – მთლიანად მთელი მსოფ-

ლიო მაგოგისა იქნება!.. მსოფლიო პროლეტარები მაგოგიზმის გზით ივლიან წინ, ნათელი მწვერვალებისაკენ, – ასეთია ამოცანა.

სანდრომ ცოლს შეხედა, ხომ არ მომეყურაო, იამ თავის გაქნევით ანიშნა, არაფერი თქვა, ჩუმად იყავიო. სანდრომ მაინც დაიპირა რაღაცის თქმა, მაგრამ ვარლამის შეჩერება ვერ შეძლო; ატაცებული იყო თავისი სიტყვით.

– თქვენი თანადგომა ჩვენ ახლა გვჭირდება, როცა დედამიწის ერთიმეექვსედია ჩვენი, თორემ როცა ერთიმეოთხმოცედი იქნება ჩვენი, მაშინ, აქეთ შეგვეხვეწებით.

– ბატონო ვარლამ, მე მესმის თქვენი! რისი თქმა გინდათ, ისიც გავიგე, თუმცა თქვენი წილადის მნიშვნელში სხვაგვარ შინაარსს დებთ... თქვენ ალბათ გინდათ მითხრათ, რომ როცა მთელი დედამიწის მეოთხმოცედი კი არა, მეოთხედი იქნება მაგოგის ქვეყნისა, მაშინ იქით შეგეხვეწებით თანადგომას, არა?

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ჩემო სანდრო!. – გაიღიმა არავიძემ. „ჩემო სანდრო“ – გაუელვა თავში სანდროს და გაუელვა იასაც.

– მთავარია მოვსპოთ მტერი! – მტკიცედ თქვა მან, – ვინც ხელს გვიშლის დიადი იდეების განხორციელებაში, ლიკვიდაცია ვუყოთ!.. – უცებ მოსხლეტით, რაღაც სხვა ძალით მიაყოლა ბოლო წინადადება, – ადგილზე ლიკვიდაცია! – სხვა კილოზე წარმოსთქვა. მეტიც, სიტყვა „ლიკვიდაციის“ წარმოთქმის დროს მოხდა საოცრება. ვარლამ არავიძეს თითქოს აფარებული ნიღაბი ჩამოუვარდა და ნამდვილი სახე გამოუჩნდა. თვალების კვესებით, რაღაც განსაკუთრებული დაძაბულობით, წარმოსთქვა ეს სიტყვა. ჩანდა, რომ ამ ენაზე საუბარი იასა და სანდროსთან ვარლამს არ სურდა და უნებურად წამოსცდა, რახან წამოსცდა, უკან აღარ დაიხია და სათქმელი პირდაპირ თქვა:

– აი, ხომ სამნი ვართ ამ ოთახში, შესაძლოა ერთი ჩვენგანი მტერი აღმოჩნდეს!.. დიახ, ასეთია ვითარება, ნუ გიკვირთ, თქვენ იცით ალბათ, რომ არავში აღმოჩნდა მეორე პარალელური ცენტრი! რას ნიშნავს ეს? – ეს იმას ნიშნავს, რომ გმიროს მკვლელობა მზადდებოდა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქშიც და, აქაც, ჩვენთანაც, – არავშიც. მაშასადამე, მტერია ყველგან, ქალაქში, სოფელში, სახლში, კარში, საწარმოში, მეურნეობაში, იქაც კი, სადაც არ არის...

იამ უნებურად გაიხედ-გამოიხედა ოთახში, სადაც ისინი იმ წუთებში იმყოფებოდნენ, თითქოს მართლა მტერს ეძებდა. ახლაღა შეამჩნია, რომ მათ ზურგს უკან, სადღაც, შორს, დოქსოპულოვი მიყუჟულიყო. „როდის შემოვიდა?".. „საიდან შემოვიდა?.." „რატომ დგას ასე შორს"... „სანდროს არ დაუნახავს..." განგაში ატეხა იას გონებამ და ქმარს თვალით ანიშნა, ზურგს უკან მიიხედეო. სანდრო ვარლამს შესცქეროდა, ვერ ამჩნევდა ცოლის ფორიაქს.

– თქვენ, ამხანაგო სანდრო!.. – უცებ კვლავ სხვა კილოზე მიმართა ვარლამმა სანდროს და შეყოვნდა... თვალსა და ხელს შუა, ნამიდან ნამში, იცვლებოდა, ქამელეონივით ფერს იცვლიდა ადამიანი. იაცა და სანდროც გაკვირვებულები მისჩერებოდნენ მას და ცდილობდნენ გაერკვიათ, ვინ იყო ეს კაცი...

– თქვენ, ამხანაგო სანდრო, – გაიმეორა მან და ნამოდგა. ჩანდა, რომ ეს „ნამოდგომა" ჩვევად ქცეოდა. ნამოდგა და მაგიდის გასწვრივ მოჰყვა წინ და უკან სიარულს.

– დიდი ავტორიტეტი გაქვთ ხალხში, თქვენს სიტყვას უჯერებენ, ამიტომ თქვენ უნდა უთხრათ ხალხს სიმართლე, უნდა დაგვეხმაროთ, მხარში ამოგვიდგეთ.

სანდრო ასეთ სიტყვებს შეჩვეული არ იყო. ია ყურს არ უჯერებდა. ვერ გადაშლიდი არავის მხარის ვერცერთ გაზეთს, შიგ სანდრო ხალდანის ლანძღვა-გინება არ ამოგეკითხათ. რაც საზღვარგარეთიდან დაბრუნდა, სანდროს ხელისუფლება ეჭვის თვალით უყურებდა, მიიჩნევდნენ მას ხან უცხოელთა იდეოლოგად, ხან უბრალოდ, უიდეო მწერლად, ზოგჯერ ნაციონალისტად, ბნელეთის მოციქულადაც კი. ასე იყო აქამდე, ბენოს (ბენიამინ ლომჯარიას) მოღვაწეობის დროს. ვინ იფიქრებდა, თუ არავის მხარის ახალი ხელმძღვანელი ახალი თვალით შეხედავდა სანდროს მწერლობას. პირიქით, უარესის მოლოდინში იყვნენ, ამ ოთახშიც კი როგორც დამნაშავეები შემოვიდნენ და ასეთი სიხარულის ელდა, – სანდროს ხელისუფლება დახმარებას სთხოვდა.

– კი, ბატონო, მე თუ რამე შემიძლია... – ჩაიდუდუნა სანდრომ, – აქამდე მეუბნებოდნენ, უვარგისი მწერალი ხარო, დღეს თუ კარგი გავხდი, თუ ჩემი სიტყვა ვინმეს გამოადგება?..

იას გული ამოუჯდა, ცრემლი მოაწვა თვალებში, ცხვირსახოცი ამოიღო და ფრთხილად აიფარა ტუჩ-პირზე. სანდრომ გულწრ-

ფელად დაუჯერა ვარლამს, მთლად მიენდო და იფიქრა, მთავარ სათქმელსაც ახლავე ვეტყვიო.

– მაშინ, ბატონო ვარლამ, მართლა შევუდგეთ საქმეს. თქვენთან არის ჩემი განცხადება, უფრო უკეთ, ჩემთან ერთად იმ განცხადებას ხელს აწერენ არავის მხარის ცნობილი მამულიშვილები: სულხანიშვილი და გედევანიშვილი... ანგრევენ მე-6 საუკუნის ბრწყინვალე ტაძარს, არავიძეთის ღვთისმშობლის ეკლესიას, სამშენებლო მასალად უნდათ გამოიყენონ. მართალია, ღმერთი უარვყავით, მაგრამ ტაძარს რას ვემართლებით!.. ის ტაძარი ხელოვნების ნიმუშია, მისი დანგრევა არ შეიძლება.

ეს იყო თითქმის დაუჯერებელი რამ. ამ თემაზე ვარლამ არავიძის უფროსისკარში არავინ ჩამოაგდებდა სიტყვასაც კი. რა დროს ეკლესია იყო? ვის ეცალა არავიძეთის „დაფეხვილი" ეკლესიისათვის, როდესაც ვარლამ არავიძეს სახალხო საქმეები ებარა. უნდა განეხორციელებინა გოგიდან მოსული ცირკულარი, დროზე უნდა გამოემჟღავნებინა არავის მხარეში მოკალათებული ხალხის მტრები და ციხეში ჩაეყარა. ის, რაც ახლა სანდრო ხალდანმა ჩაიდინა, აშკარად მეტყველებდა დოქსოპულოვისა და რიკტაფელოვის ცუდ მუშაობაზე, ე. ი. დაუმუშავებელი, „ხამი კლიენტი" (დოქსოპულოვის ტერმინი იყო!) შემოუყვანეს შეფს. – ფეხზე წამოდგა დოქსოპულოვი და გაფაციცებული შესცქეროდა ვარლამს, – რას მიბრძანებ, ფეხით გავათრიო თუ ხოხვით გავიყვანოო. დოქსოპულოვი რიკტაფელოვისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ძალზე ვიწრო შუბლი ჰქონდა. ახლა სულ მთლად დაპატარავებოდა ეს შუბლი. იდგა ნახევრად ჩაბნელებულ კუთხეში და ბრძანებას ელოდა.

– დოქსოპულო! – გაისმა დინჯი კილო ვარლამ არავიძისა. დოქსოპულოს ეძახდა. სინამდვილეში, პასპორტით დოქსოპულოვი იყო გვარად, სახელად ბრანძი ერქვა, მაგრამ სახელს არავინ ეძახდა. ვარლამის მიერ შერქმეული მეტსახელი, თითქოს შეენივთაო, მთელი ადლი დოქსოპულოს ეძახდა.

– სად არის განცხადება?..

– ჩემთან არ არის, გენერალურო! მაპატიეთ, დამნაშავე ვარ!..

– ვისთან იქნება?

– გენოსთან... დანამდვილებით ვიცი.

ვარლამ არავიძე ელსმენების მაგიდისკენ გადაიხარა, მოკლე ბერკეტი გადასწია და რომელიღაც აპარატი აახმაურა: გენო რიკტაფელოვი შემოვიდეს! – ჩასძახა აპარატში. თითქოს კარებთან იდგაო, შემოილანდა რიკტაფელოვი.

– რატომ არ ესწრებით ჩვენს თათბირს! – შემოსვლისთანავე შეაგება ვარლამმა.

– მაპატიეთ, გენერალურო, დამნაშავე ვარ, არ მეგონა, თუ დაგჭირდებოდით...

– სად არის განცხადება?

– აქა მაქვს, გენერალურო! – რიკტაფელოვს ხელში საქაღალდე ეჭირა, იმ საქაღალდეში დაინყო ბუჯარი.

– რა იცი, რა განცხადებაზე გელაპარაკები!.. – გაიოცა ვარლამმა.

– ვიცი, გენერალურო, – ჩაიცინა რიკტაფელოვმა. – მაგის მეტი, სხვა არაფერი ვიცი.

– თუ იცი, მით უარესი შენთვის!.. პასუხი რატომ არ გაეცით თავის დრზე.

– მაპატიეთ, დამნაშავე ვარ, გენერალურო, მაგრამ ამ საქმეში უცოდველი კრავი არც დოქსოპულოა, – რიკტაფელოვმა საქაღალდე გაიშვირა კუთხეში დოქსოპულოვისაკენ. ბრანძი დოქსოპულოვი მაშინვე ფეხზე წამოდგა და უფროს მხედრულად გამოეჭიმა.

– დიახ, მეც არა ვარ უცოდველი, მაპატიეთ, გენერალურო! გამოვსწორდები! მაგრამ საქმე შეეხება ერთ კოლექტიურ წერილს, ხალხიდან მიღებულს.

აი, ამ წერილმა უნდა გადაწყვიტოს იმ წერილს ბედი, აქ არის ძაღლის თავი დამარხული!.. – დოქსოპულოვმა მაგიდაზე დაუდო არავიძეთიდან მიღებული წერილი, რომელსაც მთელი სოფელი აწერდა ხელს. მოითხოვდნენ ღვთისმშობლის ეკლესიის დანგრევას. „ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, – ხმამაღლა გამოაქვეყნა წერილი ვარლამ არავიძემ, – დაუყოვნებლივ მოვითხოვთ არავიძეთის ღვთისმშობლის ეკლესიის დანგრევას, ვინაიდან ის ეკლესია ხელს უშლის ახალგაზრდობის აღზრდას მაგოგიზმის იდეებით“...

– ხელს აწერს მთელი სოფელი, – უთხრა ვარლამ არავიძემ იას და წერილი წინ დაუდო.

– სამი ადამიანი აწერს ხელს – არ დავანგრიოთო, ასი აწერს – დავანგრიოთო, – თავზე დაადგა იას ვარლამი და კოლექტიურ წერილს სანდროს წერილიც გვერდით მიუდო. – აი, თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ ახლა! – მიმართა იას და სანდროს ვარლამმა.

– ეს ორგანიზებული წერილია, – უთხრა ცივად სანდრომ მათივე ენით და დაწერილი ზიზღით გვერდით გააჩოჩა.

„სანდრო!" – საყვედურით უჩურჩულა ქმარს იამ. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ვარლამ არავიძე ბოლთას სცემდა თავისი მაგიდის გასწვრივ, სიჩუმე იყო მძიმე, მრავლისმეტყველი.

– რას იტყვით, ამხანაგებო! – მიუბრუნდა თავის თანამშრომლებს ვარლამი.

– პირიქით. – თქვა დოქსოპულოვმა.

– რა პირიქით? – იკითხა ვარლამმა.

– მაქვს სიგნალები, რომ სწორედ ხალდანის წერილია ორგანიზებული! – წამით კვლავ ჩამოაგდო დუმილი ვარლამმა. სანდროს წერილი აიღო და სინჯვა დაუწყო, გადააბრუნა, გადმოაბრუნა, ვითომ ახლა, ამ წუთას უნდა გაერკვია, ორგანიზებული იყო თუ არა. რა თქმა უნდა, ამ გადაბრუნ-გადმობრუნებას, აზრი არ ჰქონდა, ათასჯერ ჰქონდა გადაბრუნ-გადმობრუნებული და თითების ანაბეჭდებიც აღებული, მაგრამ ამით – უბრალო დუმილით, ხაზს უსვამდა დოქსოპულოვის სიტყვებს, მნიშვნელობას ანიჭებდა მათ, როგორც წეღან სანდროს მოულოდნელ ნათქვამს, – ეს ორგანიზებული წერილიაო, მიანიჭა მნიშვნელობა.

სანდროს არ უნდა სცოდნოდა ორგანიზებული წერილების არსებობა. ეს იმის ნიშანი იყო, რომ ადლის მუშაკები გაუფრთხილებლად მუშაობდნენ. თავი შეიკავა, არ გაამახვილა ყურადღება ამაზე.

– ძალიან მაფიქრებს ეს წერილები, – თქვა ხანგრძლივი დუმილის შემდეგ ვარლამმა, – შეიძლება აქაც მტრის ხელი ურევია!.. – ია შეცბა, სანდროც შეიშმუშნა, ერთმანეთს გადახედეს.

– თქვენ არა, რასაკვირველია, – გაუღიმა მათ ვარლამმა, – თქვენ არ მყავხართ მხედველობაში...

მაგრამ ჩვენს ლოზუნგს – პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდითო, უპირისპირდება იმათი – მტრებო ყველა ქვეყნისა,

შეერთდითო, – ლოზუნგები ვარლამ არავიძემ მაგოგის ენაზე წარმოთქვა, მიატოვა მაგიდები, სკამები, მოცეკვავესავით მთლად შუა ოთახში გამოვიდა, ატაცებით წამონყებული სიტყვა იქ განაგრძო: ჩვენი დიდი სამშობლო – სოციალისტური მაგოგის ქვეყანა განსაცდელშია, მტერი ყოველ ფეხისნაბიჯზე ჩასაფრებულია, ჩვენ ეს წერილები ვარჩიოთ? არა, ამხანაგებო! ხალხი ამას ჩვენ არ მოგვიწონებს. ეგებ სწორედ მტრები გვაიძულებენ უმნიშვნელო, წერილმან ამბებზე მოვცდეთ და მთავარი მივივიწყოთ.

მილიონობით ადამიანებს არა აქვთ თავშესაფარი, არა აქვთ საჭმელ-სასმელი, ტანსაცმელი... ამაზე ზრუნვის ნაცვლად გვთავაზობენ პრობლემას, დავანგრიოთ თუ არა დავანგრიოთ არავიძეთის ეკლესია. დოქსოპულო! ამისათვის გვცალია ჩვენ ახლა?

– არ გვცალია, გენერალურო! – გამოეჭიმა ბრანძი დოქსოპულოვი.

– შენ? – ჰკითხა რიკტაფელოვსაც.

– არ გვცალია, გენერალურო! – გამოეჭიმა რიკტაფელოვიც.

– ჩვენ უნდა ვთხოვოთ, ამხანაგ სანდრო ხალდანს, მოგვიყვანოს სულხანიშვილი და გედევანიშვილი და არავიძეთის ღვთისმშობლის ეკლესიის საკითხი ერთობლივად გადავწყვიტოთ, თუმცა... – ხაზგასმით თქვა მან, – ვიმეორებ, ამისათვის ჩვენ არ გვცალია.

– ერთხელ ჩვენ უკვე ვიყავით თქვენთან, მაგრამ არ მიგვიღეთ!.. – უთხრა სანდრო ხალდანმა.

– დავუშვებ გამონაკლისს! – გულითადად უთხრა ვარლამმა, – მე ვიცი, რომ სულხანიშვილი და გედევანიშვილი ცნობილი ისტორიკოსები ბრძანდებიან, თქვენ კიდევ უფრო ცნობილი მწერალი, აი, ამ სამ ადამიანს, სხვა ვერაფერი დაგინახავთ, რაც ჩვენს მღელვარე ცხოვრებაში ხდება, არაფერი გაინტერესებთ გარდა იმ ჭერჩამოქცეული ეკლესიისა, ხომ ასეა? – ჰკითხა იას და სანდროს.

– არა, რატომ... – ჩაიბუზღუნა სანდრომ და უხერხულად შეიშმუშნა.

– რა გაეწყობა! მობრძანდით და ერთად გავარჩიოთ!.. მოიყვანეთ სულხანიშვილიცა და გედევანიშვილიც... – უთხრა გადაჭრით ვარლამმა და იმის ნიშნად, რომ თქვენთან საუბარი დავამთავრეო, გამოსამშვიდობებლად ხელი გაუნოდა ჯერ სანდროს, შემდეგ იას...

როდესაც იას სუსტი, თეთრი ხელი თავის ბანჯგვლიან ტორში მოიმწყვდია, აი, მაშინ გადაწყდა სანდროს ბედი. ქალმაც უმალ იგრძნო, რომ ეს არ იყო უბრალოდ, გამოსამშვიდობებლად გამოწოდებული ხელი. სხვას, დამსწრეთაგანს, მაშინ ეს არავის შეუნიშნავს, ვარლამ არავიძე ძალზე ბუნებრივად, დამაჯერებლად დგამდა ყოველ ნაბიჯს იასაკენ, იამ უმალ ამოიცნო ეს ნაბიჯი, ქალური გუმანით, მეექვსე, მეშვიდე გრძნობით მიწვდა არავიძის ავ განაზრახს.

– ამდენი ვისაუბრეთ, თქვენ კი არაფერი გითქვამთ... – უთხრა ვარლამმა საქმიანად, – ოჯახში ათასი გასაჭირია, თქვენს ქმარს მარტო საზოგადო საქმეები აწუხებს, – ღიმილით გადახედა სანდროს, იას ხელი ხელთ ეპყრა, თან ვითომ ზრუნავდა მათთვის – ვითომ ემშვიდობებოდა, – ოღონდ მითხარით, რა გნებავთ, – ყველაფერს გავაკეთებთ.

– დიდი მადლობა, დიდი მადლობა, – უთხრა თავაზიანად იამ და როგორც იქნა, ხელი ტყვეობიდან გაითავისუფლა. არავიძემ კარამდე მიაცილა სტუმრები და კართან იას სავიზიტო ბარათი გაუწოდა.

– ეგებ დაგჭირდეთ...

უარის თქმა ვერ მოიფიქრა, დაბნეულმა გამოართვა. როცა დერეფანში გამოვიდნენ, იას წინ გაშვერილი მიჰქონდა შეჩეჩებული ქაღალდის ნაგლეჯი, თითქოს ხელს წვავდა, არ იცოდა სად წაეღო. სანდრომ გამოართვა, ყურადღებით დააცქერდა. პრიალა ოთხკუთხა თეთრ ქაღალდზე არც სახელი ეწერა, არც გვარი, არც მისამართი, ოქროსფრად მოელვარე არაფრისმთქმელი ციფრი: 015 – იყო გამოსახული, ჩვეულებრივი ელსმენის ნომერი არავის მხარეში ექვსნიშნა იყო, სავიზიტო ბარათაზე სამნიშნა ციფრი გამოესახათ, ქაღალდზე გარდა სამი ციფრისა არაფერი რომ არ ეწერა, – ამით იმ სამ ციფრს განუსაზღვრელი მნიშვნელობა ეძლეოდა. ლიფტში გაოგნებულები შევიდნენ. არც გაუგიათ, ვინ გამოიძახა ლიფტი, როგორ ჩასხდნენ შიგ, როცა ადლის შენობიდან გამოვიდნენ, მხოლოდ მაშინ მოეგნენ გონს, – ისინი დაპატიმრებულები არ იყვნენ, შეეძლოთ შინ წასულიყვნენ.

საიდუმლო გჭოგა, რომელიც ტრაგიკულად დამთავრდა

სანდრო შინ არ შესულა. ვარლამ არავიძემ უთხრა, სულხანიშვილი და გედევანიშვილი მომიყვანე, ღვთისმშობლის ეკლესიის საკითხი ერთად გადავწყვიტოთო, – ასეთ ბედნიერ შემთხვევას ხელიდან გაუშვებდა?! – თვეობით უნდა მდგარიყავი რიგში, არავის პატრონს შენთვის დრო რომ გამოენახა. დღესვე, ახლავე, უნდა წაეყვანა მოხუცები არავიძესთან, ეგებ მართლა კეთილი ნაყოფი გამოეღო მათ სტუმრობას, – სამშენებლო მასალად არ გამოეყენებინათ ღვთისმშობლის ეკლესია. პირდაპირ მათთან შევიდა, – ერთად ცხოვრობდნენ, ერთ სახლში, ზედა სართულზე.

ძველ დროში თურმე ეს სახლი აუშენებია სანდრო ხალდანის მამა-ბიძას, ჯეგე და თემყვა ხალდანებს, დიდი საგვარეულო სახლი აღუმართავთ არავის ცენტრში, თავისი პატარა ბაღითა და შადრევნით, იტალიელი ხუროთმოძღვრის პროექტით. მინა ოქროთი უყიდიათ ადგილობრივი არავიძისაგან. ცნობილი ვაჭრები ყოფილან და მკვიდრი ფუძის ჩასაყრელად ხარჯს არ მორიდებიან.

როცა მაგოგის ხელისუფლება დამყარებულა არავის მხარეში, ვისაც რა გააჩნდა, წაურთმევიათ.

ხალდანების ცნობილ სახლს თურმე ქალაქის ღარიბ-ღატაკობა დიდხანს უყურებდა მუშტრის თვალით. როგორც კი მაგოგის საოკუპაციო ჯარებს ქალაქი დაუპყრიათ, ყოველგვარი საკუთრება საერთო სახალხოდ გამოუცხადებიათ, უქონელნი მისევიან მქონეთ და რაც ებადათ, ნაუგლეჯიათ. ჯეგე და თემყვა ხალდანების ნაშრომ-ნაჯაფი სასახლე ქალაქელ ყოფილ ბოგანოთ, ღატაკთ, მაწანწალებს ანუ პროლეტარებს (ასე ეძახდნენ ისინი თავიანთ თავს) ჩაუგდიათ ხელში, შეუქმნიათ სახლის საბჭო, ანუ სახლმმართველობა და ოთახები ერთმანეთში გაუნაწილებიათ. სახლის პატრონი ქუჩაში დაუტოვებიათ, აქამდე ჩვენ ვიყავით მაწანწალები, ახლა თქვენ იწანწალეთო. რა ექნათ ჯეგეს და თემყვას! – ძალა აღმართს ხნავსო, უთქვამთ და საბჭოსთვის უთხოვიათ, ერთი ოთახი მოგვაქირავეთო. მოუქირავებიათ ერთი ოთახი.

სანდროს მამა-ბიძა ჯეგე და თემყვა ბედს მაინც არ შერიგებიან, გადაუწყვეტიათ მათ მიერ აგებული ორსართულიანი სახლისათვის

ერთი სართული დაეშენებინათ და ცოლ-შვილი იქ დაებინავებინათ. მაგრამ ამის გამხელაც კი საშიში ყოფილა იმ დროისათვის, – ქალაქში საგანგებო კომისიები მდიდრებს ართმევდნენ არა მარტო სახლ-კარს, ფულსა და ქონებას, სარჩო-საბადებელს, უკანასკნელ ლუკმა პურსაც, მთელი სართულის ასაშენებლად ფული საიდან გაქვთო – იკითხავდნენ საგკომები ანუ საგანგებო კომისიები და მათივე გადაწყვეტილებით, ორივეს დახვრეტდნენ, როგორც მშრომელების გამოუსწორებელ მჩაგვრელებს.

ჯეგემ და თემყვამ ფრთხილი მოქმედება არჩიეს – შეიამხანაგეს იმ დროს უკვე ცნობილი მეცნიერები გერმანოზ გედევანიშვილი და როსტომ სულხანიშვილი, – ისინიც თურმე თავიანთი სახლებიდან გამოუგდიათ და უსახლკაროდ დაუტოვებიათ, თავიანთ ყოფილ მსახურებს, მოახლეებს შეჰხიზვნებიან. გედევანიშვილისა და სულხანიშვილის გვარს ამოეფარნენ თურმე ხალდანები და ხელისუფლებას ნებართვა სთხოვეს – ხალდანების სახლს ერთ სართულს ჩვენი ფულით დავაშენებთო.

თურმე გერმანოზ გედევანიშვილსა და როსტომ სულხანიშვილს ერთად უსნავლიათ ჯერ პეტერბურგში, შემდეგ შვეიცარიაში, მაგოგის ქვეყნისა და მაგოგიზმის ერთ-ერთ ფუძემდებელთან, ბენო ლომჯარიასთან, რომელიც მაშინ არავის მხარეში მაგკომიტეტის თავმჯდომარე, ე. ი. ფაქტიურად მხარის მმართველი ყოფილა.

სახლ-კარ ჩამორთმეული თავადიშვილები გაცეცხლებულან თავიანთ მეგობარზე, როგორ თუ გაბედა და ჩვენს ოჯახებს უდიერად მოექცაო. თავს არ დავიმცირებთ და ნაბუშარ ლომჯარიას არაფერს ვთხოვთო (ბენო ლომჯარიას ნაბუშარობის ამბავი სტუდენტობის მეგობრებს სცოდნიათ).

გაყოყოჩებულებს, გადიდგულებულებს უვლიათ, უვლიათ არავის ქუჩებში იმ იმედით, რომ, როგორც კი ბენო ლომჯარია გაიგებდა საგანგებო კომისიის უსამართლო გადაწყვეტილებას, აღადგენდა სამართლიანობას და მის მეგობრებს საცხოვრებლებს ღ ებრუნებდა. ასე არ მომხდარა. არავინ იცის, გაიგო თუ არა ბენო ლომჯარიამ ეს ამბავი და განგებ გაიყურსა, ეგებ გაიგო კიდეც და კანონიერად ჩათვალა კომისიათა გადაწყვეტილება. ასე იყო თუ ისე, ახალგახსნილი უნივერსიტეტის სახელგანთქმული მეცნიერე-

ბი უსახლკაროდ დარჩენილან და ეს არავის გაკვირვებია, ვინაიდან ისინი ყოფილ მემამულეთა შვილები იყვნენ, ზოგიერთთა აზრით, მადლობა უნდა ეთქვათ ბენო ლომჯარიასთვის, რომ კედელთან არ მიაყენეს და არ დახვრიტეს, იმიტომაც გადარჩნენ, მისი სტუდენტობის მეგობრები ყოფილანო, – ამასაც ამბობდნენ.

ჯეგეს და თემყვას სცოდნიათ სულხანიშვილ-გედევანიშვილ-ლომჯარიას ურთიერთობა, გამოუყენებიათ ეს და მეცნიერები წაუქეზებიათ, თავიანთი მეგობრისთვის მიემართათ განცხადებით – საკუთარი ფულით დაეშენებინათ ხალდანების ყოფილ სახლზე ერთი სართული.

ბენო ლომჯარიას ნებართვა დიდსულოვნად გაუცია. თან დაუბარებია თავისი სტუდენტობის მეგობრები და გაუფრთხილებია: ბინის აშენების ნებას იმიტომ გაძლევთ, რომ მშრომელი მასების შვილების აღზრდას უნდა ემსახუროთო. ღვაწლმოსილ მეცნიერებს გადიდკაცებული მეგობარი ვეღარ უცვნიათ, მაგრამ მადლობა მოუხსენებიათ ნებართვისათვის და უკან მაინც კმაყოფილნი დაბრუნებულან. ჯეგე და თემყვა საქმეს დიდი მონდომებით, აგრეთვე დიდი საიდუმლოებით შედგომიან. კარგა ხანს არ გამოჩენილან მშენებლობაზე. მშენებლობას უცხო ადამიანები უძღვებოდნენ თურმე. იმ დროს არავის მხარეში მშენებლობები იშვიათი იყო, არ ჰქონდათ სამშენებლო მასალა, ხელსაწყო-იარაღები, შიშველი ხელებით უნდა გეშენებინა, საღორესაც კი ვერ წამოახუხულავებდი!.. თითქმის შეუძლებელი იყო მალულად მშენებლობის წარმართვა. მაინც სადამდე დაიმალებოდნენ? – ბოლოს და ბოლოს, აშენებულ ბინაში ხომ უნდა შესახლებულიყვნენ? დამსმენებსაც, რასაკვირველია, არ ეძინათ, საიდუმლო მშენებლობის გარშემო დასუნსულებდნენ და საგანგებო კომისიებს ყოველდღე აწოდებდნენ ცნობებს.

გააფთრებულა ბენიამინ ლომჯარია, როგორ თუ გერმანოზმა და როსტომმა შეცდომაში შემიყვანესო, ოთხივე: გერმანოზი, როსტომი, ჯეგე და თემყვა ციხეში ჩაუყრია. ჭირისუფლებს გაჭირვებით გამოუხსნიათ გერმანოზი და როსტომი. ჯეგე და თემყვა, როგორც გამოუსწორებელი ვაჭრები, დაუხვრეტიათ. აშენებულ ბინას უკვე აღარავინ დაეძებდა, მთავარი იყო, როგორმე ცოცხლები გა-

დარჩენილიყვნენ. ბოლოს და ბოლოს, დიდი ბრძოლების შემდეგ თითო ოთახი მიუციათ გერმანოზ გედევანიშვილისთვისაც, როსტომ სულხანიშვილისთვისაც, მცირეწლოვან სანდრო ხალდანისა და მისი დედისთვის, ქალბატონ მარიამისთვისაც. ამით დაუმტკიცებიათ, თუ რა გულმოწყალენი არიან სახალხო ხელისუფალნი, მაგკომის თავმჯდომარე და მისი კომიტეტის წევრები.

აი, ასეთ ისტორიულ სახლში ცხოვრობდნენ ია და სანდრო ხალდანები, მათი შვილი პატარა ჯეგე. იამ შვილს პაპის სახელი დაარქვა, პატივი მიაგო გვარის ყველაზე წარჩინებულ ადამიანს. სახლის ბინადართაც ერთგვარად შეახსენა იმ კაცის სახელი, ვის სახლშიც ცხოვრობდნენ ისინი.

ია შინისაკენ მიიჩქაროდა, ყმაწვილი სკოლიდან დაბრუნდებოდა და დედა შინ უნდა დახვედროდა. სხვა დროს დაურეკავდა მაინც, დღეს დილიდან ისე გაეხლართა არავიძის მიერ დაგებულ მახეში, მთელი დღე შვილი არ გახსენებია. სანდროსთვის არც უკითხავს, სად მიდიხარო, მიხვდა, ვისთანაც მიდიოდა, – დერეფანში მიმავალს უკან მაინც მიაძახა: – გაანებეთ თავი მაგ ეკლესიას!.. არ არის ახლა ამის დრო!..

სანდროს ცოლისკენ არც მოუხედავს, გერმანოზ გედევანიშვილის ბინის კარზეც მოურიდებლად დააკაკუნა. თითქოს შეთქმულებს თავზე წაადგაო, როსტომ სულხანიშვილიც გერმანოზის ბინაში დახვდა. პროფესორები, მართალია, ერთ სართულზე, ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდნენ, მაგრამ ერთმანეთთან იშვიათად შედიოდნენ. არ ეცალათ უქმი საუბრებისათვის. ერთად მათ უფრო ხშირად უნივერსიტეტის დერეფნებში, საპროფესოროში ნახავდით. ერთი ძველი ისტორიის კათედრას განაგებდა, მეორე ძველი ბერძნული ენის კათედრას. ბატონი როსტომი თავისი შევერცხლილი თეთრი წვერითა და ქათქათა პიკეს შარვალ-კოსტუმით თუ ყურადღებას იპყრობდა, გერმანოზ გედევანიშვილი ჩამუქებული დადიოდა.

შუადღე გადასული იქნებოდა, ამ დროს პროფესორები შინ არ უნდა ყოლილიყვნენ, უნივერსიტეტში თავიანთ კათედრებზე ლექციების შემდეგაც დიდხანს რჩებოდნენ და ახალგაზრდებით გარშემორტყმულნი მრავალ საჭირბოროტო, საუნივერსიტეტოსა, სამეცნიეროსა და ზოგჯერ ყოფით საქმეებსაც არჩევდნენ და აგვარებდნენ.

მათ გარდა ოთახში არავინ იყო. შეშფოთებულნი, აღელვებულნი ჩანდნენ, ეტყობოდათ, რომ საიდუმლოდ ბჭობდნენ. კარი რომ გაიღო, გაილურსნენ. სანდროს მოეჩვენა, რომ ძალზე მოურიდებლად, მოულოდნელადაც გაჩუმდნენ მოსულები. არავის მხარეში ასე ჩუმდებოდნენ მაშინ, როცა ოთახში დამსმენი, ან ვინმე არასაიმედო პირი შემოვიდოდა. ასეთ პირად სანდროს ვერ ჩათვლიდნენ პროფესორები. არ მოეწონა, მაგრამ არ შეიმჩნია. ბოდიში მოიხადა დაუპატიჟებლად მოსვლისათვის და თავისი თავგადასავალი მოკლედ უამბო. კი არ უამბო, პროფესორების წინ სტუდენტივით წარსდგა და ორი სიტყვით უთხრა მათ:

– დღეს იქ ვიყავი, – ხელი სადღაც ზურგს უკან გაიშვირა, – არავიძე არ ყოფილა ისეთი უგუნური, როგორც მეგონა, მითხრა, პატივცემული პროფესორები მომიყვანე და ეკლესიის საკითხი ერთად გადავწყვიტოთო.

პროფესორებმა არც კი უთხრეს, შემობრძანდიო, დაუკითხავად შეაღო კარი და შევიდა. უგულოდ ჩამოართვეს ხელი, თითქოს მისი დანახვა არ გაუხარდათო. სკამიც კი არ შესთავაზეს. მართალია, სანდრო მათთან შედარებით ახალგაზრდა კაცი იყო, მაგრამ გერმანოზიცა და როსტომიც მას, როგორც ტოლს, ისე ესაუბრებოდნენ ლიტერატურაზე, ისტორიაზე, საერთოდ წარსულზე, ცხოვრებაზე... სანდროს ყოველ ნამოწყებას ზოგჯერ მეტისმეტად ჭაბუკურადაც მხარს უჭერდნენ, უცებ ასეთი შეხვედრა!..

მოხუცებს თითქოს სანდროს ნათქვამი არცერთი სიტყვა არ გაუგონიათო, პასუხად ჩურჩულით უთხრეს:

– კალინიკე არავიძე ნაიყვანეს!..

– კალინიკე? – შესძახა სანდრომ უნებურად ხმამაღლა და მხოლოდ ახლა დაეშვა სკამზე, უხერხულობა ერთ წამში გაუქრა, თურმე ამის გამო ფორიაქობდნენ მოხუცები. კალინიკე არავიძე, არავის მხარის იმ ერთადერთი უნივერსიტეტის დამაარსებელი და მისი უცვლელი რექტორი, შეიპყრესო, ბუნებრივია, შიში და ძრწოლა ჩასნოლოდათ თვალებში და განწირულობის გრძნობა დაუფლებოდათ.

– თურმე მეორე პარალელური ცენტრის ნევრი ყოფილა! – უჩურჩულა როსტომმა.

– რას ბრძანებთ! – შორს დაიჭირა სანდრომ, – მაგას ვერ დავიჯერებ!..

როსტომი ნერვიულობისაგან წვერს იგლეჯდა, ვერ ატყობდა, რას სჩადიოდა, ეგონა, წვერზე ხელს ისობდა, სინამდვილეში კი ღერ-ღერობით იძრობდა თეთრ წვერს და ძირს ჰფენდა.

– უკვე აღიარაო, ამბობენ. როცა მიჰყავდათ, იქვე, თავის სახლშივე უთქვამს მეზობლების თანდასწრებით, თუ ბენო ლომჯარია დაიჭირეს, ალბათ მეც დასაჭერი ვარო, – თქვა ცივად გერმანოზმა.

– ეს არ არის აღიარება, ბატონო გერმანოზ... თუნდაც აღიაროს, მკვლელი ვარო, ძნელია, ვინც კალინიკეს იცნობს, დაიჯეროს.

– მართალი ხარ, ხომ იცი შენ! – უკან დაიხია გერმანოზმა, – არ იყო ის ასეთი კაცი!..

– აბა! – შესძახა როსტომმაც. ერთ ორ დღეს გააწვალებენ და გამოუშვებენ! – თქვა როსტომმა ახლა უკვე დაბეჯითებით.

– გინახავს იქიდან გამოშვებული ვინმე? – ჩაეკითხა ირონიული ღიმილით გერმანოზი.

– კიი, გუშინღამ გამოუშვეს ჩემი ბიძაშვილი, – იმედიანად უთხრა როსტომმა, შაიშმელაშვილია გვარად, იმათ მმართველობაში მუშაობდა სწორედ! ერთი კვირის წინ დაიჭირეს და გუშინღამ გამოუშვეს, არაა მთლად ჩალით დახურული ქვეყანა!..

– როსტომ, ჩვენ ამ კაცს არ მოვუსმინეთ, – მიუბრუნდა გერმანოზი სანდროს, – როდის ნახეთ არავიძე?..

– ამ დილით, თვითონ წამიყვანეს ადლში.. – ცოლის გამო რაც შეემთხვა, ის ამბავი გამოტოვა, შერცხვა, ვერ უამბო.

– ჩვენი განცხადების გამო... – მოეხმარა როსტომი.

– დიახ, ჩვენი განცხადების გამო.

– წაუკითხავთ? ყოჩაღ!.. – თქვა გერმანოზმა და უკეთ მოსასმენად შავი ყურთსაცავამი საცობივით მოირგო ცალ ყურზე.

– მობრძანდნენ ბატონი პროფესორები და ერთად გადავწყვიტოთო, – თქვენთან გამომაგზავნა.

– შვილო სანდრო, – უთხრა გერმანოზმა, – წამოსვლას არ დაგზარდებით, მაგრამ რაც მართალია, მართალია, ის განცხადება არ უნდა დაგვეწერა, არ არის ამისი დრო ახლა...

– სწორია, მეც ამ აზრისა ვარ, – ქვეყანას უჭირს, ყოველდღე ათას დივერსიულ ჯგუფებს აღმოაჩენენ ხოლმე, რაღა დროს არავიძეთის ეკლესიაა!..

– ის განცხადება რომ არ დაგვეწერა, ეკლესია უკვე დანგრეული იქნებოდა... ძვირფასი ქვებით არავიძეთის სახალხო ბოსელსა და საღორეს ააშენებდნენ!..

– ჰა! ჰა! ჰა! – გულიანად გაიცინა გერმანოზმა, – სახალხო ბოსელი!..

– ასე ეძახიან, – უთხრა სანდრომ.

– სახალხო საღორე! – წამოიძახა როსტომმა და ისიც ჩაბჟირდა, გესმის, გერმანოზო, რა ამბები ხდება?.. არავიძე სახალხო საღორეს აშენებს ღვთისმშობლის წმიდა ეკლესიის ქვებისაგან, სანამდე დავეშვით!..

– არა მგონია, არ აპირებს ამას! ოღონდ თქვენი დასტური უნდა, ასე მომეჩვენა, იმიტომ გიბარებთ, – უთხრა მოხუცებს სანდრომ.

– წავიდეთ? – ჰკითხა როსტომმა გერმანოზს.

– გული უარს მეუბნება, როსტომ, რა უნდა ვუთხრათ არავიძეს, რა!.. კალინიკე დაჭერილია, კაცო! ჩვენ ეკლესიაზე ველაპარაკოთ?.. მე ის განცხადება არ დამინერია, ხელი მოვანერე მხოლოდ, ე. ი. სანდრო ხალდანს თანავუგრძნობ, არც მეტი და არც ნაკლები.

– თუ ასეა, არც მე დამინერია... – თქვა როსტომმა, – მეც ხელი მოვაწერე, როცა ხელი მოვანერეთ, მაშინ არ იყო ასე გამწვავებული ვითარება.

– ბატონებო! – ფეხზე წამოდგა სანდრო ხალდანი, – ძვირფასო მეზობლებო და მასწავლებლებო, მე შემიძლია ახლავე, აქედანვე, წავიდე არავიძესთან და გადავცე თქვენი დანაბარები, – თქვენ მოაწერეთ ხელი განცხადებას ორი თვის წინათ, მაშინ, როგორც ბატონი როსტომი ბრძანებს: ასე გამწვავებული არ იყო ვითარება. დღეისათვის თქვენ ცვლით გადაწყვეტილებას და იმ განცხადებას ხელს არ აწერთ.

– შვილო სანდრო! – მიმართა მას გერმანოზმა მშვიდად, – რატომ წამოდექით ფეხზე?.. დაბრძანდით!.. ნათლულო! – გასძახა გვერდით, საკუჭნაოსებრ ოთახში ძველმანების მკემსავ ქალს, – ნათლულო! – გაუმეორა, – სტუმრებს ჩაი მოართვი!..

სანდრო ისევ უნებურად დაჯდა, როგორც წამოდგა. გერმანოზი იმ საკუჭნაოსებრ ოთახში შევიდა, ოთახიც არ ეთქმოდა, ერთი დიდი ოთახი შუაში ფარდებით იყო გადატიხრული.

– ახლავე ჩავიცვამ და წამოვალ! – გამოსძახა სანდროს ფარდის უკნიდან. ქალბატონმა თალიკომ, ვისაც ნათლულო დაუძახა გერმანოზმა, სტუმრებს ცხელი ჩაი მოართვა. თალიკო გერმანოზის ნათლული იყო, მოხუცს პატრონობდა, უვლიდა, ურეცხავდა, ემსახურებოდა, საღამოს შინ მიდიოდა, იქვე, ახლოს, მესამე უბანში ცხოვრობდა.

გერმანოზს შვილებიც და შვილიშვილებიც ჰყავდა, მაგრამ ისინი სხვა ქალაქში ცხოვრობდნენ, მოხუცს წელიწადში ერთხელ თუ მოაკითხავდნენ, ცოლი ადრე გარდაცვლოდა, თალიკო-ნათლულის ანაბრად დარჩენილიყო.

სანდრომ ცხელ ჩაის ჭიქას ხელი რომ წაავლო, მაშინ გაახსენდა, რომ მთელი დღე ლუკმა პირში არ ჩასვლოდა, თავიც კი სტკიოდა შიმშილისაგან, ეამა ცხელი ჩაი.

– თქვენ, ყმაწვილო, გაცხარდით... – გაუღიმა როსტომმა სანდროს, ცხელი ჩაი მასაც ეამა.

– ბატონო როსტომ, მე თქვენ გეთანხმებით, კულტურის ძეგლებს კი არა, ადამიანებს სპობენ, ჯერ ადამიანებს უნდა ვუშველოთ, ეგებ მართლა სჯობდეს, არ წამოხვიდეთ...

– თქვენ და ჩემს ძვირფას მეგობარ გერმანოზსაც ავიწყდება, ჩემო ბატონო, თუ რა დაწესებულებაა ადლი. თუ იქ დაგვიბარეს, განა შეიძლება არ მივიდეთ?.. თოკით შეგვკრავენ და წაგვიღებენ. ვინ გვკითხავს ჩვენ მისვლა-არმისვლას!

– მართალი ბრძანდებით! – გულზე მოეშვა სანდროს. ჩაი ბოლომდე გამოცალა, და ჭიქა ლამბაქზე ფრთხილად დადგა.

ამასობაში გერმანოზიც გამოვიდა ფარდის უკნიდან, ცილინდრითა და ტროსტით ხელში.

ტაქსის დაჭერა არ იყო საჭირო, იქვე იყო ადლის შენობაც, მაგრამ სანდრომ მაინც ტაქსით ნაიყვანა მოხუცები.

ადლის მისაღებში მათ პატივისცემით შეხვდნენ, გაჰკვირდნენ მოხუცები, – არავიძის კაცებს ზრდილობა უსწავლიათო. ამ დაწესებულებაში ყველაფერი საიდუმლოებით იყო მოცული, ყველა კარი დაგმანული, ყველა შესასვლელ-მისასვლელი შეიარაღებული მცველებით შეკრული, უცებ ყველა კარი ღია დახვდათ, საშვი ყველგან გამოწერილი, თვით ვარლამ არავიძის შავი კარიც კი გაეხ-

სნათ, იქ მეკარე იდგა და სტუმრებს ეპატიუებოდა, მობრძანდით, გელოდებიანო, ძირს ფიანდაზიც ეგოთ, ადლის შენობის ყველა დერეფანი, ყველა კუთხე-კუნჭული ხალიჩებით იყო მოფენილი, ვარლამ არავიძის უფროსისკარში შესასვლელად ნამდვილი სპარსული ფიანდაზისებრი ხალი ეფინა. იმ ხალზე ფრთხილად აბიჯებდნენ მოსულნი, თან აქეთ-იქით იყურებოდნენ, სანდრო, როგორც არავიძესთან ერთგზის ნამყოფი, წინ მიუძღოდათ, გზას უჩვენებდათ.

ვარლამ არავიძე მათ მეტისმეტად თავაზიანად შეხვდა.

– მობრძანდით! – მარჯვედ დასტოვა თავისი მაგიდა, წინ გამოვიდა და მოსულთ შეეგება. მეტ პატივისცემას და მონიწებას პროფესორებისადმი იჩენდა.

– დაბრძანდით!..

დასხდნენ. სანდრომ შეამჩნია, რომ მათ ზურგს უკან ოთახის სიღრმეში რომელიღაც კარი გაიხსნა და დოქსოპულოვი შემოვიდა.

– ბრძანეთ! – მიმართა ვარლამმა მოსულთ.

– აი... არავიძეთის ღვთისმშობლის ეკლესიის საკითხი ერთად გადავწყვიტოთო... – უთხრა სანდრომ მორიდებით.

– კრამულა! – შესძახა უცებ არავიძემ, უკან მიეყრდნო სკამის მაღალ ზურგს და მოსულთა ზურგების უკან დოქსოპულოს თვალები მოძებნა.

– კრამულა... – ჩაილაპარაკა დოქსოპულომაც და მომნუსხველი თვალები მიაპყრო მოხუცებს, მოხუცებმა მხოლოდ ახლაღა შეამჩნიეს, რომ მათ ზურგს უკან ვიღაც იჯდა და უნებურად შეხედეს თავგადახოტრილ ჩაფსკვნილ ვაუკაცს, რომელიც მათ მჯიღისხელა შავი თვალებით მისჩერებოდა. დაიბნენ მოსულნი, ერთმანეთს შეაცქერდნენ გაოცებულნი. საუბრის ამგვარ დაწყებას არ მოელოდნენ, თითოეულ მათგანს სიტყვა ჰქონდა მომზადებული და უცებ ეს „კრამულა“ რა სიტყვა იყო ნეტავ, რას ნიშნავდა? მხრებს იჩეჩავდნენ. ეგებ საიდუმლო ნიშანი იყო?.. ეგებ ამათ ენაზე რამეს ნიშნავდა კრამულა?..

– კრამულა ჩტო-ლი? – უჩურჩულა პეტერბურგული აქცენტით გერმანოზმა როსტომს.

როსტომმაც მხრები აიჩეჩა. ვარლამს მისჩერებოდა. მას ყურმილი ეკავა ხელში. სტუმართა შეშფოთებას კრამულას გამო არად

დაგიდევდათ. ვიღაცასთან შეაერთეს სასწრაფოდ, თვითონ რეკავდა, თუ მას დაურეკეს, გაუგებარი იყო იქ მყოფთათვის. სიტყვებსაც ძუნწად წარმოსთქვამდა, უფრო მეტად უსმენდა.

თითქოს რუსულ ენაზე ელაპარაკებოდა ვიღაცას, მაგრამ ეს არ იყო რუსული ენა, რუსული ენის კარგი მცოდნეც კი ვერაფერს გაუგებდა. ამ ენას მაგოგის ენას ეძახდნენ, – სასამსახურო ენა იყო, რომლის გაგება ჩვეულებრივ მსმენელს უჭირდა. როსტომი, გერმანოზი და სანდრო დიდხანს უსმენდნენ გაფაციცებულნი, მაგრამ აზრი ვერ გამოჰქონდათ. არავიძეს კილოზე ეტყობოდა, ვიღაც ჩინოსან პირთან საუბრობდა, გაუგებარ სიტყვებში ხშირ-ხშირად „ტავარიშ გენერალ" გაერეოდა. ამით უნდა მიმხვდარიყავით, საუბარი იყო საქმიანი და ფრიად მნიშვნელოვანი. უცებ ეს რთული ენა გასაგები ენით შეიცვალა და სამივემ ერთდროულად ვარლამ არავიძის პირიდან საშინელი სიტყვები გაიგონეს.

– ფაშისტური დაჯგუფების ნევრი? რას ბრძანებთ?! აგერ ზის ჩემთან!.. ეს შეუძლებელია!..

ვარლამ არავიძის უფროსისკარში თითქოს მეხი გავარდაო. სანდრო, როსტომი და გერმანოზი ერთმანეთს შეაჩერდნენ გაოცებულნი. მერე ერთბაშად მზერა დოქსოპულოვზე გადაიტანეს. აგერ ზის ჩემთანო, აქ მეოთხე ადამიანიც იჯდა, ეგებ ის მეოთხე იყო, უნებურად მოუვიდათ ეს აზრი. სამივემ, ერთდროულად შეხედეს ცალკე მჯდომ დოქსოპულოვს. მათი ეს უნებური საქციელი შინაგანად, რა თქმა უნდა, გამართლებული იყო. მოსულთაგან არცერთი მათგანი არ იყო ფაშისტური დაჯგუფების ნევრი. ეს სამივემ, ცალ-ცალკე, დაბეჯითებით იცოდა. მაშ, ვინ უნდა ყოფილიყო, თუ არადა ის მეოთხე, ვინც აქ, ახლა, ვარლამ არავიძესთან იჯდა?

– ის არავის მხარეში ძალიან ცნობილი ადამიანია!.. – თქვა ერთხელაც გასაგებად ვარლამ არავიძემ. ამ წინადადებამ კვლავ შეაკრთო სანდრო, გერმანოზი და როსტომი. „ის ძალზე ცნობილი ადამიანი" დოქსოპულოვი ვერ იქნებოდა. მაშასადამე, სამთაგან ერთ-ერთი იყო, ან სანდრო ხალდანი, ან გერმანოზ გედევანიშვილი, ან როსტომ სულხანიშვილი. ახლა უკვე ერთმანეთს დაუწყეს ეჭვით ცქერა: „ნუთუ სანდრო ხალდანია და ჩვენ არაფერი ვიცოდით"... – გაუელვა თავში მოხუცებს. სანდრო ხალდანის თავშიც აინთო

ოდნავ მბჟუტავი ეჭვის ნათურა: „ნუთუ ამ მოხუცებიდან შეიძლება რომელიმე იყოს ფაშისტი?“...

ვარლამ არავიძემ ყურმილი დადო. არაფერს ამბობდა, საგანგებოდ ძაბავდა ვითარებას. რა თქმა უნდა, მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ეს ამბავი გათამაშებული იყო, – გვერდით ოთახიდან რიკტაფელოვი ურეკავდა, „ამხანაგო გენერალოთი“ რიკტაფელოვს მიმართავდა წარბშეუხრელად არავიძე.

ვარლამმა ყურმილი რომ დადო, ამღვრევა მაშინ შეეტყო. ვითომ ყურმილმა დაუტოვა ცუდი გუნება-განწყობა, – დამსწრეთ ეს უნდა ამოეკითხათ მის თვალებში. რა თქმა უნდა, მოსულებმა არ იცოდნენ, რომ „კრამულას“ სათქმელად ვარლამ არავიძე საგანგებოდ მოემზადა. მისი აზრით, გედევანიშვილი, სულხანიშვილი და ხალდანი ისეთი რანგის ინტელიგენტები იყვნენ, რომელთა ყურადღებას ის ვერ მიიქცევდა, მაგრამ თუ უცხო სიტყვას მარჯვედ იტყოდა, თანაც საიდუმლოებით შემოსავდა, ეგებ მოეხდინა ზეგავლენა!

ვარლამ არავიძემ უნებური შეცდომა, რომელიც უცხო სიტყვის წარმოთქმისას დაუშვა, უმალ თავის სასარგებლოდ გამოიყენა. „საიდუმლოებით მოცული სიტყვა“ დატოვა ჰაერში გამოკიდებული და საქმე განაგრძო. ვარლამ არავიძეს ასეთ „საქციელს“ ასწავლიდნენ, სატანით ბოძებული ნიჭი რომც არ ჰქონოდა, საგანგებო გაკვეთილებს საამისოდ ყოველდღე უტარებდნენ, დაუსწრებლად სწავლობდა წითელ მაგოგისტთა აკადემიაში, გოგიდან საგანგებოდ ჩამოსული წითელი მაგოგისტები ხელმძღვანელობდნენ ვარლამ არავიძის სწავლა-განათლებას. აქვე, თავის უფროსისკარში, ასწავლიდნენ ოპერატიული მუშაობის საგანგებო ხერხებსა და მეთოდებს. იდეოლოგიური მუშაობის მრავალ სახეობასაც, ქცევის, მეტყველების, უცხოელებთან შეხვედრის, მტრებთან საუბრის, დანაშაულების მეცნიერული თეორიის საფუძვლებს და ა. შ. ისეთ რამესაც ასწავლიდნენ, სრული საიდუმლოებით რომ იყო მოცული. წინასწარ აფრთხილებდნენ, უსახელებდნენ გვარებს, ვინც იქ, გოგში, მთავგენდამში იცოდა ეს საიდუმლო. გვარების რიცხვი ჩვეულებრივად ხუთ-ექვს ადამიანს არ აღემატებოდა, არავის მხრიდან მე-5 ან მე-6 ვარლამ არავიძე უნდა ყოფილიყო. უწყინარი შეცდომა, რაც მას მოუვიდა, რასაკვირველია, ვერ დააბნევდა და

უმალ საქმეზე გადავიდა, რიკტაფელოვთან გააბა ვითომ საქმიანი საუბარი. შიში, ეჭვი, უნდობლობა დათესა. ის, რისთვისაც მოვიდნენ მომჩივანნი, დაავიწყა, ყველას ახალი საფიქრალი გაუჩინა. ბოლოს, ვითომ არაფერი მომხდარაო, – კრამულა! – ახლა უკვე ხითხითით წარმოსთქვა და კვლავ დოქსოპულოსკენ გაიხედა, ვითომ მე და მან ვიცით, რასაც ნიშნავს კრამულაო. შემდეგ მოსულთ მიუბრუნდა და პირდაპირ და მოულოდნელად ჰკითხა:

– არავიძეთის ეკლესიას რაც შეეხება, აქ ჩვენ გამოსარკვევი გვაქვს ერთი რამ. გატაცებულია განძეული. ჩადენილია ხალხის საკუთრების ქურდობა. ჯერ ქურდები უნდა ვიპოვოთ, ეკლესიის დანგრევა-არდანგრევაზე მერე ვითათბიროთ, – ხალდანს შეაცქერდა სახეში. სანდრო აირ-დაირია.

– პირველად მესმის! რა განძეული ბრძანეთ?.. ვინ ქურდები?..

– ოქროა გატაცებული, დიდძალი ოქრო! – თქვა ვარლამ არავიძემ მკაცრად, – ხოლო ის ოქრო, ბატონო გერმანოზ და ბატონო როსტომ, თქვენ ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, არ ეკუთვნის მარტო არავიძეთის ეკლესიის წვერცანცარა მღვდელს – ვინმე... – ვარლამმა საბუთებში ჩაიხედა, – ვინმე ნიკიფორე ამილახვარს, ბერობაში მამა იოანეს, ვინც დღეს საზღვარგარეთ არის გაქცეული, არც მარტო არავის მხარეს ეკუთვნის. ის (ე. ი. განძი) მთელი ხალხის საკუთრებაა. როგორც საზღვარგარეთიდან ჩვენმა აგენტებმა გადმოგვცეს, ნაწილი იმ განძისა აქ, საქართველოში, დაუტოვებია ამილახვარს, მიუბარებია... ა, ბატონებო, მერე ცილი რომ არ დაგვწამოთ, ამ ამხანაგებისათვის... თქვენი თვალით ნაიკითხეთ, – ვარლამმა დეპეშის ტექსტი გაუწოდა სანდროს, სანდრომ ხმამაღლა ამოიკითხა: გედევანიშვილი, სულხანიშვილი... და გაოგნებულმა დეპეშა მოხუცებს წინ დაუდო. გერმანოზმა დეპეშა ნირშეუცვლელად შეატრიალა ხელში და ვარლამ არავიძეს მიუბრუნდა.

– ამისთვის, ყმაწვილო, საზღვარგარეთ არ იყო წასვლა საჭირო, ეს ამბავი არასოდეს ყოფილა დამალული. ამილახვარმა წილი იმ განძისა, რაც პირველ რიგში სჭირდება ეკლესიას, ჩვენ დაგვიტოვა. მე და როსტომს... ასე არ არის, როსტომ?

– ჩემთან მარტო ბარძიმია, – თქვა როსტომმა, – ვერცხლის ბარძიმი, არაფერი განძი ის არ არის, ეკლესიის გარდა სხვას არავის გამოადგება.

– დანარჩენი ჩემთანაა, – თქვა გერმანოზმა, – მაგრამ მე მას ვერავის მივცემ, ხელწერილით მაქვს ჩაბარებული...

– აი, ხომ ხედავთ, ბატონო სანდრო, ვისთან ერთად აწერთ ხელს!.. – თქვა კუშტად ვარლამ არავიძემ, წამოდგა და ოთახში ბოლთის ცემის მოჰყვა. ბრაგუნ-ბრაგუნით დადიოდა, ამჯერად გაპრიალებული, სალდათური ჩექმები ეცვა. გერმანოზმა ყურთსაცვამი მიაპყრო ორატორს.

– ხელწერილით მაქვს ჩაბარებული და ვერავის მივცემო!

გესმით, რას ამბობს პროფესორი, ახალგაზრდობის აღმზრდელი!.. ხალხი შიმშილით იხოცება, მაგოგის ქვეყანა შიმშილმა მოიცვა, რევოლუციის მონაპოვარს დაღუპვა ემუქრება. მილიონობით ადამიანი ულუკმაპუროდაა დარჩენილი. მუშას, პროლეტარს პური არა აქვს, ესენი კიდევ ოქროებს შინ ინახავენ და თანაც იმუქრებიან, ვერავის მივცემთო! აი, სადამდე მივიდა საქმე!

– დოქსოპულო, გააცანი ამხანაგებს მიმართვა, რომელიც დღეს მივიღეთ გოგიდან.

დოქსოპულოვი წამოდგა, მოძებნა გოგიდან მოსული ქაღალდი და დამსწრეთ ნაუკითხა:

„ძვირფასო ამხანაგებო, მაგოგის ქვეყნის მმართველობა მოგმართავთ ყველას, რესპუბლიკებსა და მხარეებს, ადგილობრივ მმართველობებს, მაგკომიტეტებს, ძმური დახმარება აღმოუჩინოთ მოძმე ხალხებს. შიმშილობამ მოიცვა მაგოგის მთელი რიგი რაიონები და მხარეები. შიმშილობენ ბავშვები, ქალები, მოხუცები, ავადმყოფები... მათთვის დახმარების აღმოჩენა თქვენი ინტერნაციონალური ვალია.

დახმარების ერთ საშუალებათაგანს შეადგენს ფოსტის ძველი მარკების შეგროვება, სასწრაფოდ ჩაატარეთ კამპანია უხმარი და გაუქმებული მარკების შესაგროვებლად, რაც საზღვარგარეთ უნდა გაიცვალოს პურზე.

კამპანია დაიწყეთ 25 მაისს და გააგრძელეთ ერთ კვირას.

კამპანიის ღირსეულად ჩატარებაში ყველა მაგოგისტმა უნდა მიიღოს უმხურვალესი მონაწილეობა.

საქმეში უნდა ჩაერიოს უპარტიო მასა, ახალგაზრდები, ორივე სქესის მოწაფეები.

პირველი. უნდა მოიხიკოს, როგორც ახალი, აგრეთვე, გაუქმებული (ნახმარი) მარკები, რომლებიც ძლიერდაჭმუჭნული და დასერილი არ არის.

ქაღალდიდან აგლეჯის დროს რომ არ დაიხეს, საჭიროა მარკა დასტოვოთ ქაღალდზე დანებებული და ისე შემოაჭრათ გარშემო ქაღალდი...

– მიაქციეთ ამას ყურადღება! – შეაწყვეტინა არავიძემ დოქსოპულოვს. – დოქსოპულოვიც უცებ გაჩუმდა, – როგორ უჭირს ქვეყანას, რომ მარკის ქაღალდიდან აგლეჯასაც კი ამდენ ყურადღებას აქცევს, ამ დროს თქვენ სახლში გადამალული გაქვთ ოქრო და ვერცხლი! არის ეს პროფესორების და მწერლების საქციელი... განაგრძე, დოქსოპულო!

მეორე. – განაგრძო დოქსოპულოვმა იმავე კილოთი, – მარკების მოგროვება შეიძლება დაწესებულებებში ყუთების დადგმით, შესაფერი წარწერით.

მესამე. შეიძლება მოაწყოთ ყუთებით ოთახებში ჩამოვლა.

მეოთხე. შეგროვილი მარკები უნდა დალაგდეს ხარისხის მიხედვით და გამოიგზავნოს არსებულ სამაზრო მაგკომიტეტებში. შეიძლება პირდაპირ გოგშიც, მთავარ მაგკომიტეტშიც.

მეხუთე. ამ კამპანიის ჩასატარებლად შეადგინეთ კომისია, რომელშიც შევლენ...“

– ა, სადამდე მიიყვანეთ ქვეყანა, ამხანაგო გედევანიშვილო, – შესძახა კვლავ არავიძემ, – თქვენ კიდევ სულხანიშვილო და თქვენც, მწერალო, რა გვარის ბრძანდებით? დამავიწყდა თქვენი გვარი!..

– ხალდანი... – უნებურად მონაფესავით მიუგო სანდრომ და ლამის ფეხზე წამოუდგა. სახეზე ზაფრამ გადაუარა. პროფესორებიც გაყვითლებულ-გათეთრებულები ისხდნენ. ასეთ უეცარ გარდაქმნა-გააფთრებას არ მოელოდნენ.

– თქვენ თავადიშვილი ბრძანდებით, ხომ? – მიმართა გედევანიშვილს, – თქვენ აზნაურიშვილი... – სულხანიშვილს შეხედა. – თავადაზნაურობა იყო საქართველოს მტერი ყოველთვის და დღესაც ის არის. ნოლამდე უნდა დავიყვანოთ მათი რიცხვი არა მარტო არავში, მთელ საქართველოშიც, ასეთია ამოცანა!

მოხუცები მაგიდასთან თავჩაღუნულები ისხდნენ და ცივი ოფლით ნელა ეცვარებოდათ შუბლები. სანდროც სულ მთლად გახევებულიყო. არ იცოდა, რა ეთქვა, რითი ენუგეშებინა მასწავლებლები. ჯერ „კრამულამ“ დააბნიათ, შემდეგ ეს გამოსაცნობი ფაშისტური დაჯგუფება, ახლა კიდევ ახალი ამბავი – ოქრო-ვერცხლის ქურდობა.

– თქვენ იცოდით ეს ამბავი! – სანდროსკენ წამოვიდა გრძელი ნაბიჯებით.

– რა ამბავი? – მხრები აიწურა სანდრომ...

– აი, ეს ამბავი, ეს! – თქვენს მეზობლებს მითვისებული რომ ჰქონდათ ხალხის საკუთრება!..

– ბატონო, უთხრა ნაძალადევი სიმშვიდით გერმანოზმა, – ის არ არის ხალხის საკუთრება, ეკლესიის საკუთრებაა...

– გედევანიშვილო! – უთხრა დაუფარავი ზიზღით არავიძემ, – მე არ მცალია თქვენთან საკამათოდ. ისე კი მართლა უნდა გავარკვიოთ, რა ვისი საკუთრებაა, ვინ ვინ არის... თქვენთან იმუშავებს დოქსოპულო, თქვენთან რიკტაფელოვი!..

არავინ იცის, როდის გამოიძახა არავიძემ რიკტაფელოვი, რომელ ზარს დააჭირა თითი, რიკტაფელოვის ხსენებისთანავე, შემოვიდა მაღალი, ახოვანი ჭაბუკი გვერდითი კარიდან და სულხანიშვილს დაადგა თავზე.

– მიბრძანდით!..

როსტომ სულხანიშვილი და გერმანოზ გედევანიშვილი სხვადასხვა კარიდან გაიყვანეს. გაფითრებული სანდრო სკამზე კი არ იჯდა, თითქოს მომკვდარა და მკვდარი სკამზე დაუდვიათო.

– ამხანაგო სანდრო! – ჩაესმა უცებ არავიძის ხმა, – როცა ყველაფერი გაირკვევა, მობრძანდით და ეკლესიაზე მერე ვისაუბროთ.

სანდრომ ვერ შეაფასა, რაც იმ წუთში მის თვალწინ მოხდა, დაიბნა, ვარლამ არავიძე მართალი მოეჩვენა, მისი მეგობრები კი მტყუანნი. თუ ეკლესიის კუთვნილი ჯვარ-ხატები მოხუცებს შინ ჰქონდათ, მუზეუმისთვის უნდა ჩაებარებინათ ან რაღაც სხვა დაწესებულებისთვის. შინ შენახვა სხვისი საკუთრებისა არ შეეფერებოდათ პროფესორებს. გაოგნებულმა სანდრომ ძლივს შეამჩნია მისკენ გამოწვდილი ხელი. ვარლამ არავიძე გამოსამშვიდობე-

ბლად განოდებული ხელით სანდრო ხალდანს ეუბნებოდა, მიღება დამთავრდა, თავისუფალი ბრძანდებითო.

სანდრო წამოდგა და ვარლამს ხელი ჩამოართვა. წამით შეყოვნდა. თითქოს თავისთვის წაიბურტყუნაო.

– მოხუცები! – მიუბრუნდა ვარლამს სულ მთლად გახევებული.

– რა მოხუცები! გამოიკვლევენ და გამოუშვებენ... უსამართლოდ არავის დავაკავებთ აქ!.. – ვარლამმა ბოლო წინადადება დამაჯერებლად და შთამბეჭდავად უთხრა.

– მაინც რამდენი ხანი დასჭირდება? ამ საღამოს აქ არ დასტოვონ, თორემ გული გაუსკდებათ, ძალიან გთხოვთ...

– ეს ჩემზე არ არის დამოკიდებული... – უთხრა ვარლამმა და ცივად მიუბრუნდა თავის მაგიდას, – მათზეა დამოკიდებული, თუ სიმართლეს იტყვიან, ის თქვენი „მოხუცები“, ახლავე, ერთ საათში, დოკუმენტებს გააფორმებენ და გაუშვებენ.

სანდრო შუა ოთახში კვლავ რამდენიმე წამს შეყოვნდა, კიდევ რაღაცის კითხვა უნდოდა, მაგრამ ვარლამმა არ მისცა ამის ნება, მცველი შემოვიდა, როგორღა მისცა ნიშანი, რა ხერხით გამოიძახა, სანდროს ესეც არ შეუმჩნევია. გააცილეთო, – უთხრა მცველს არავიძემ და სანდრო არავიძის უფროსისკარიდან როგორ გამოვიდა, ლიფტში როგორ ჩააბრძანეს და თვალის დახამხამებაში ქუჩაში როგორ აღმოჩნდა, არ ახსოვს. მხოლოდ მცველის სიტყვები გაბატონებულიყვნენ მის გონებაში, ქუჩაში რომ გამოვიდნენ, მცველმა უთხრა: „თქვენ ცნობილი მწერალი ბრძანდებით, ჩემი გაფრთხილება არ გჭირდებათ, მაგრამ ისეთი დროა, მაინც უნდა გაგაფრთხილოთ: არსად არაფერი წამოგცდეთ, თვით საკუთარ ოჯახში!.. თქვენთვის ასე სჯობს!..“ – მაგოგის ენაზე უთხრა მცველმა, ჯარისკაცურად გამოეჭიმა და გაეცალა.

შეპყრობის შიში, მძიმე მოლოდინი

მაგოგის ქვეყანაში მცხოვრებმა ყოველმა მოქალაქემ იცოდა, თუ რას ნიშნავდა ადლში მიღებული გაფრთხილება: „არაფერი წამოგცდეს საკუთარ ოჯახშიც კი“. ადლში თქმული ან გაგონილი

სიტყვა გარეთ არ უნდა გამოსულიყო. ადლისტი ცალკე რომ გაგიხმობდა და „დაგამუშავებდა“... მით უფრო, როცა იქ დაგიბარებდნენ და უფრო საფუძვლიანად „დაგამუშავებდნენ“. ე. ი. შიშს, ძრწოლას, ეჭვს, კანკალს უკეთ ჩაგინერგავდნენ, რაღა თქმა უნდა, სხვას არავის უნდა გაეგო, შენს სულში უნდა დატრიალებულიყო, თვითონ მარტოკას უნდა გეთრია შიშის ტვირთი.

სანდრო შინ ცოცხალ-მკვდარი დაბრუნდა. ია და ჯეგე, თითქოს კართან იდგნენო, დაკაკუნებაც ვერ მოასწრო, შეეგებნენ, ღია კარში როცა მათი სასონარკვეთილი სახეები დაინახა, გონს მოეგო, არ შედგა ჩვენი შეხვედრა, მოხუცები ვერ ვიპოვეო, იცრუა. დედის შიში და მღელვარება პატარა ჯეგესაც გადასდებოდა, ფართოდ გახელილი, დაეჭვებული თვალებით შეეგება მამას. სანდროს სიმართლე უნდა დაემალა, უმანკო, ჯერ ნაზი და ნორჩი გული მზად არ იყო, ამქვეყნიური სიავენი დაეტია. ვინ იცის, საშინელი ამბავი როგორ იმოქმედებდა ბავშვზე. არ გაამხილა, რაც თავს გადახდა. ადლის დაუწერელი კანონიც აღასრულა და მცველის შეგონებაც, საკუთარ ოჯახშიც კი არ უნდა თქვა, რაც ადლში შეგემთხვაო. მუნჯურად გაიძრო ფეხზე და ტანზე, საშინაოდ გაემზადა, ხელ-პირი დაიბანა, სული მოითქვა. ია არაფერს ეკითხებოდა, მიხვდა, რომ სანდრო ბავშვს მოერიდა. მუნჯურად ემსახურებოდა. სასადილოში გაუშალა ღარიბული სუფრა. სასადილო ეთქმოდა, – დღისით სასადილოდ, ღამით საწოლ ოთახად იყენებდნენ ყოფილ დერეფანს, ამჟამად შუშაბანდად გადაკეთებულ სოროსებრ ოთახს, ერთი მაგიდა დაედგათ, ერთი ტახტი და სამი სკამი, სულ ეს იყო ამათი ავლადიდება, მაგრამ კმაყოფილნი იყვნენ, სხვა მდიდარნი მაგოგისტებს უფრო გაეღატაკებინათ. ვაჭრების შთამომავლების კვალობაზე ია, სანდრო და მათი შვილი ჯეგე „კარგად“ გადარჩენილებად ითვლებოდნენ და სამდურავიც არასდროს წამოსცდებოდათ.

სანდრო მაგიდას მიუჯდა, მთელი დღე არაფერი ეჭამა, გერმანოზის სახლში ერთი ჭიქა ჩაი რომ დალია, იმით ეკავა სული, ასე ეგონა, მთელ ქვაბს შეხვრიპავდა, გულდაგულ მიუჯდა სუფრას. ამაოდ. ნერვიულობას კრიჭა შეეკრა. პირი ვერაფერს დააკარა.

– რა ამბავია სკოლაში... – გულისგარეთ ჰკითხა ჯეგეს, რომელიც ზურგით მიყრდნობოდა ოთახში გამავალ კარის ნირთხლს და მშობლებს მისჩერებოდა – რას იტყვიანო.

– ხუთი მიუღია ქართულში, – უთხრა იამ ქმარს.

ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა. სანდრო მაგიდას დაშტერებოდა, ფიქრებში წასულიყო. უხერხულობის გასაფანტავად წითელი ბოლოკის ნაჭერი აიღო და გაღეჭა, ვითომ ჭამდა, ვითომ კრიჭა შეკრული არ ჰქონდა.

– მოხდა რამე? – ჩუმად ჰკითხა იამ, მაგიდას მიუჯდა და მოსასმენად მოემზადა.

– არაფერი, ვერ ვნახე ვერავინ. – უთხრა ცოლს და წამოდგა, – არ მინდა ჭამა.

„თავის“ ოთახში გავიდა. სულ ერთი ოთახი ჰქონდათ და ეს შუშაბანდი. იმ ოთახში ერთი საწერი მაგიდა ედგა და ერთიც დამტვრეული სავარძელი, ჭერამდე წიგნის კარადები. საწერი მაგიდა ტუმბოსებრს ფეხებზე იდგა, იმ ოთხივე ტუმბოს აყოლებით იატაკიდან მაგიდამდე ოთხ წყებად ელაგა წიგნები, მაგიდაზეც გადაშლილი წიგნები და ქაღალდებისა და რვეულების გროვები ეყარა. წიგნებისა და რვეულების გორაკებს შორის მაგიდის ელექტროლამფა ჩაედგათ. ვინაიდან დღის სინათლე შუშაბანდიდან შემოდიოდა და ოთახს სხვა ფანჯარა არ ჰქონდა, ელექტროლამფა სანდროს დღისითაც ენთო, იჯდა ამ ბნელ ოთახში დღედაღამ და ფუტკარივით მუშაობდა.

– დაწექი, შვილო, ხვალ დილით ვერ ადგები... – შემოესმა სანდროს და ახლაღა გაახსენდა დრო. დილიდან მოყოლებული დრო თვალსა და ხელს შორის გაუდნა. სადღაც გაქრა დრო. საათისთვის არც დაუხედავს, სწრაფად და მოულოდნელად განვითარდა მოვლენები. თურმე შუაღამე დამდგარა. ია ჯეგეს ტახტზე უგებდა, ქათქათა ქვეშაგებს აფენდა საყუდარზე. სანდრო თავის ოთახიდან უკან გამობრუნდა.

– სად მიდიხარ? – გაიოცა იამ.

– დავხედავ, ეგებ მოხუცები დაბრუნდნენ... – უთხრა სანდრომ და ბინიდან გავიდა. ია ვერც კი წარმოიდგენდა, თუ გედევანიშვილსა და სულხანიშვილს ვინმე უბატონოდ სიტყვას შეჰკადრებდა, ისინი ხომ მთელი ამ მხარის ინტელიგენციის აღმზრდელები იყვნენ! ეგებ მოხუცები დაბრუნდნენო – იას აზრით, ეს იმას ნიშნავს, პროფესორები სადღაც აქ იყვნენ ახლომახლო, ან უნივერ-

სიტეტში შეყოვნდნენ, ან ნათესავთან, მეგობართან შეიარეს და შეაგვიანდათ.

სანდროს გედევანიშვილების ბინა ჩაბნელებული დახვდა. ქალბატონი თალიკო, გერმანოზი „ნათლულოს“ რომ ეძახდა, თავის სახლში წასულიყო. ღამღამობით თალიკო თავის ბინაში მიდიოდა, გერმანოზი მარტო რჩებოდა. „არ გამოუშვეს, მომატყუა არავიძემ“... – დასცეცხლა სანდროს. გუნებაში ამას მოელოდა, მაგრამ ადამიანობის მცირე იმედიც ჭიატებდა სადღაც შორეული ვარსკვლავივით. სულხანიშვილის ბინისაკენ მიდიოდა ამ სუსტი იმედით. გრძელი აივანი უნდა გაევლო, ბოლო ბინა სულხანიშვილებისა იყო. იქ შუქი ენთო, ეგებ დაბრუნდნენ და შთაბეჭდილებებს როსტომის მეუღლეს, ქალბატონ ელენეს უზიარებენო, – გაიფიქრა, მაგრამ სულხანიშვილების ბინიდანაც ჩქამი არ გამოდიოდა. რახან შუქი ენთო, სანდრომ დაკაკუნება გადაწყვიტა – ქალბატონ ელენეს ქმრის ამბავი ხომ უნდა შევატყობინოო... დასაკაკუნებლად შემართული ხელი ძირს დაუშვა. გადაიფიქრა უმალევე, „ეგებ მართლა გამოუშვან პროფესორები. მოხუც ქალს წინასწარ გული რატომ გავუხეთქოო“. გაშტერებული იდგა სიბნელეში კარგა ხანს. შემდეგ მთვარეულივით შეირხა, თავისი ბინისაკენ ნალასლასდა.

ჯეგე თეთრ ქვეშაგებში ჩაწოლილი დახვდა. ბავშვს თვალები დაეხუჭა, არ ეძინა, თავს იმძინარებდა. დედ-მამას უჩვენებდა, მძინავსო, ფშვინავდა კიდეც, მშობლებს უფრო დამაჯერებელი რომ მოჩვენებოდათ მათი შვილის ძილში ყოფნა. იამაც და სანდრომაც ძალიან კარგად იცოდნენ ჯეგეს ძილის ამბავი, ჯეგე მათ ვერ მოატყუებდა, მაგრამ თავს იტყუებდნენ, ბავშვს გულს არ უტეხდნენ, უჩვენებდნენ, რომ ვითომ სჯეროდათ.

სანდრო საწერ მაგიდას მიუჯდა. მაგიდის ლამპა აანთო. ქაღალდებს მისწვდა და ააშრიალა. მუშაობას იწყებდა, ასე უნდა გაგვეგო ქაღალდების შრიალი. ასეთ დროს სანდროს ახლოს არავინ მიეკარებოდა. იჯდა თავისთვის, წერდა და ფიქრობდა, ფიქრობდა და წერდა. იმ საღამოს სხვაგვარად მოხდა. იამ სკამი მოაჩოჩა და ქმარს ძალიან ახლოს მიუჯდა. ცოტა ხანს ასე ისხდნენ, ბოლოს სანდრომ გაიღო ხმა და ჩურჩულით უამბო თავს გადამხდარი ამბავი. ჯეგეს ჩურჩული ესმოდა, მაგრამ საუბრის შინაარსს ვერ

იგებდა. დიდხანს ამაოდ ძაბავდა ყურადღებას, ამაოდ მიემართა გულისყური მშობლებისაკენ, ვერ გაიგო, მამა რატომ იყო აფორიაქებული. დიდხანს ებრძოდა ძილს, ეგებ რაიმე გავიგოო, ბოლოს მაინც ბუნებამ იძალა. მოფრინდნენ ძილის ანგელოზები და ყმაწვილი ჯეგე ტკბილი სიზმრების ქვეყანაში წაიყვანეს. – ჩურჩული კი „მამის“ ოთახიდან ძილშიც ჩაესმოდა. ბოლოს ღრმად ჩაეძინა და ნამდვილი ბავშვური ფშვინვა ამოუშვა.

სწორედ იმ დროს, როცა სანდრო დარწმუნდა, რომ შვილს ღრმად ეძინა და ცოლს ჩურჩულით უამბო დღევანდელი თავგადასავალი – ვარლამ არავიძემ მათთან შეხვედრის შემდეგ რაც მოიმოქმედა, გარედან ხმაური შემოესმათ. სანდრო წამოხტა, გახარებულმა თქვა: ალბათ დაბრუნდნენო და ის-ის იყო ოთახიდან გასვლას აპირებდა, რომ კაკუნი მათ კართან გაისმა. არ მოეწონა ეს კაკუნი. რომელი ხარო, – თავშეკავებულად ჰკითხა.

– კომენდანტი ფელდმარშალოვი! – გაისმა გარედან.

– კომენდანტი?.. – ჩაიდუდუნა სანდრომ და იას შეხედა. სახლის კომენდანტი. ასე ერქვა მაშინ სახლმმართველს. სახლკომები სისხლს სწოვდნენ მოსახლეობას. ამიტომ ისინი სძულდათ, მით უფრო ფელდმარშალოვი! აიაკა ფელდმარშალოვი განაგებდა ხალდანების ცნობილ სახლს. ყოფილი ჯიბის ქურდი და სალახანა რევოლუციის პირველი წლებიდანვე დაეპატრონა აქაურობას. თავისი ცოლ-შვილით ხუთი ოთახი მიითვისა, როგორც ძველმა რევოლუციონერმა, მაგოგიზმის პირველმა პროპაგანდისტმა, ხოლო სახლის პატრონს ერთი ოთახი ძლივს არგუნა. აი, ეს ფელდმარშალოვი აკაკუნებდა, რა ეროვნებისა იყო, კაცი ვერ გაიგებდა, თვითონაც არ იცოდა, საიდან იყვნენ წარმოშობით მისი წინაპრები. საქართველოში მაგოგის საოკუპაციო არმიას ჩამოჰყოლია, იქედან არავში გადმოსულან, არმია გზადაგზა ძარცვავდა, ქურდავდა, აუპატიურებდა, კლავდა და ლოთობდა თურმე, მაწანწალა ბიჭები გუნდგუნდად მოსდევდნენ ჯარისკაცებს და სოფლებისა და ქალაქების ძარცვაში ეხმარებოდნენ. ფელდმარშალოვი ასე ჩამოსულა არავში, სწორედ ამ ჯარის წყალობით მალევე დამკვიდრებულა ქალაქში. ბოლოს, როცა ადგილობრივთა ხოცვა-ულეტისთვის მიუყვიათ ხელი, ბინაც უშოვია, სამსახურიც და ტკბილ ცხოვრებას შედგო-

მია. აი, ეს ფელდმარშალოვი, სახელად აიაკა, იდგა კართან და კარის გაღებას ითხოვდა.

იმ ერთ წამს, ვიდრე კარს გააღებდა, ათასი რამ იფიქრა და წარმოიდგინა, შესაპყრობად მოსულანო, – დაასკვნა ბოლოს. შუაღამისას კარზე კაკუნი ამას ნიშნავდა. სახკომის, ანუ როგორც აიაკა თავისთავს ეძახდა – კომენდანტის (მოსწონდა ეს სიტყვა, უფრო პოლიციურს, უფრო საშიშს ნიშნავდა მისი აზრით) სტუმრობა სხვა არას აუწყებდა ადამიანს, თუ არა ციხეში წაბრძანებას. კარი სწრაფად უნდა გაეღო, ვინაიდან ამ თავხედურ კაკუნს უფრო ძლიერი, უფრო თავხედური მოჰყვებოდა და პატარა ჯეგეს გულის ხეთქებით გააღვიძებდნენ. მოკლე რკინის ურდულით კეტავდნენ კარს, გააჩხაკუნა ურდული და კარი გაიღო. სიბნელეში ფელდმარშალოვთან ერთად სამი შავი ლანდი იდგა. ერთი აივნის ბოძს მიყრდნობოდა მხრით და სიგარეტს ციცინათელასავით ანთებდა სიბნელეში, დანარჩენი ორნი უფრო მოშორებით იდგნენ, თითქოს სხვაგან უნდა წასულიყვნენ და ერთი წუთით შეყოვდნენო.

– სანდროჯან, ობისკზე ვართ!.. სამი მონმე გვჭირდება... – გახარებული ჩანდა ფელდმარშალოვი.

– რაო? – შესძახა სანდრომ, ხმამაღლა გამოუვიდა. თავისი შეშფოთებული ხმის თვითონვე შერცხვა, – მითხარი წესიერად, რა გინდათ?..

– ობისკზე ვართ რა, პროფესორები უნდა გავჩხრიკოთ! – აუხსნა ფელდმარშალოვმა.

– ვინ „პროფესორები“? – მისსავე კილოთი ჰკითხა რატომღაც.

– გედევანიშვილი და სულხანიშვილი, სხვა ვინ? ვითომ არ იცი!.. – ჩაიხითხითა ფელდმარშალოვმა.

სანდროს ეგონა, მდუღარე გადამასხესო, ყველაფერს მოელოდა და ამას კი არა. მიხვდა, გათავდა! კარის ზღურბლზე გაშეშდა კაცი, ვერც გარეთ გავიდა, ვერც შინ შევიდა.

– ვაიმე! – ამოიგმინა იამ და ლოყაზე იტკიცა ხელი, ცრემლით სავსე თვალები ქმარს მიაპყრო, – მაშ, დაიჭირეს?..

– მოიცადეთ, მოვდივარ! – გონს მოეგო სანდრო და აივანზე მორიალე ლანდებს გაედევნა. გრძელ აივანზე ერთი ნათურა ენთო ბოლო ბინის წინა სვეტზე, ეზოსაც ის ნათურა ანათებდა და აი-

ვანსაც. შუქი არ ჰყოფნიდა და გედევანიშვილის ბინის წინამო სუსტად იყო განათებული.

– თქვენ რა, ჩხრეკის ორდერი გაქვთ? – უკანასკნელ იმედს მოებღაუჭა სანდრო, უორდეროდ არავის შეუშვებდა გედევანიშვილებთან და სულხანიშვილებთან, წინააღმდეგობას გაუწევდა.

აიაკამ სანდროს მკლავზე მოჰკიდა ხელი, გვერდით გაიყვანა. აივნის მოაჯირთან მიდგნენ. პატარა ტანის კაცი იყო, სანდროს ქამრამდე სწვდებოდა.

– კანეჩნო, სანდროჯან, კანეჩნო! ყველაფერი იმათა აქვთ!.. უკანონოდ მე თქვენს სახლში მოვიდე?

ამასობაში შავი ლანდები გედევანიშვილის კარს მიადგნენ.

– კი მაგრამ გასაღები? გატეხვას აპირებთ?.. – სანდრო ბოლო ხავსს მოეჭიდა.

– გასაღებიც არის რა, კასო!.. – ჯიბიდან გასაღები ამოიღო, მოარგო და სწრაფად გააღო. შუქი აანთო, თითქოს საკუთარ ბინაში შევიდაო, ყველაფერი იცოდა, სად რა ჰქონდა გერმანოზს. ჩხრეკას შეუდგნენ. პირველად საწერ მაგიდას გამოუბურჯგნეს უჯრები. საქაღალდეებში იქექებოდნენ. იას ხალათი მოეხურა და გერმანოზის ბინის კარს ისიც მიდგომოდა, შიგ შესვლას ვერ ბედავდნენ, ღია კარიდანაც კარგად ჩანდა დამჭირველთა საქმიანობა. მთელ სახლს ეძინა. მხოლოდ აქ, გედევანიშვილებთან, და იქ, სულხანიშვილებთან ენთო შუქი.

– შეხედე, – უჩურჩულა იამ ქმარს, – შუქი მარტო სულხანიშვილებთან ანთია, საცოდავი ქალბატონი ელენე ქმარს ელოდება... – ცრემლი გადმოუგორდა თვალთაგან.

თითქოს იას სიტყვებს ყური მოჰკრაო, აიაკა კომენდანტი მოადგა სანდროს და ახლა მან უჩურჩულა:

– სანდროჯან, ეხლა სხვა ბრიგადა მოვა, სულხანიშვილის ბინაც უნდა გავჩხრიკოთ.

– იქ მე ვერ წამოვალ! – ცივად უთხრა სანდრომ, – ქალბატონ ელენეს ვერ დავენახვები...

– არა უშავს რა, აგე, ამათ გავაღვიძებ!.. აიაკამ ხელი ჩაბნელებული დერეფნისაკენ გაიშვირა, – კუნდუხოვებს გულზე არ ეხატებათ სულხანიშვილები, – ჩაიხითხითა.

– „ხვალვე უნდა ვნახო არავიძე“, – გამუდმებით ფიქრობდა სანდრო, მართალია, აიაკა კომენდანტსაც პასუხობდა, იასაც ყურს მიუგდებდა, თუ რამეს ჩასჩურჩულებდა ყურში, დამჭირველთა საქმიანობასაც შესცქეროდა, მაგრამ მისი გონება იქ, ადლში არავიძის უფროსისკარში ტრიალებდა და ბობოქრობდა, „ეს რა ჩაიდინე, არაკაცო, მოხუცები ღამით ადლში რისთვის დატოვე? ნუთუ იმისათვის, რომ დააპატიმრო?..“ ლამის ეყვირა, თვით იასაც კი არ მორიდებოდა და დამჭირველებს თავს დასხმოდა. „გაეთრიეთ კეთილშობილ ადამიანთა ბინებიდან!“ – შეეძახა მტარვალთათვის.

სულში ქარიშხალი ტრიალებდა, თავდახრილი კი იდგა კართან, კედელს მხრით მიყრდნობოდა და მჩხრეკავ დამჭირველთა საქმიანობას მუნჯურად შესცქეროდა. აქ რაიმეს თქმას აზრი არ ჰქონდა, დამჭირველები ბრძანებას ასრულებდნენ, მათ არაფერი შეეძლოთ. ვინც მთავარი იყო, იმას უნდა დასხმოდა თავს. „გათენდეს ხვალინდელი დღე...“ გულში იმეორებდა. „თუ სულხანიშვილსა და გედევანიშვილს დააპატიმრებთ, მეც დამაპატიმრეთ“. – ასეთი შინაარსი დეპეშას უგზავნიდა არავიძეს წარმოსახვით. „მოხუცები შენ მომაყვანინე მე ადლში, მაშასადამე, გამცემი მე ვარ!.. ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი მიჯობს...“ – გულს ვერ იწყნარებდა.

– გააღვიძეთ მეზობლები, იცოდეს ხალხმა, რასაც სჩადიხართ! – უთხრა იამ ფელდმარშალოვს.

– არ არის საჭირო, მე, შენ, სანდრო – სამნი ვართ რა! ეყოფა, – მიუგო აიაკამ, მიაფუჩეჩა ქალის მიერ ნათქვამი „რასაც სჩადიხართ“...

აიაკამ კარგად იცოდა, რომ ხვალ ამათაც დაიჭერდნენ და ეს ამხელა სახლი მას და კუნდუხოვს დარჩებოდა. უკვე რამდენიმეჯერ იყვნენ მასთან დამჭირველები, იას და სანდროს ვინაობას, მათი მშობლების, ნათესავების, ახლობლების წარსულს იკვლევდნენ. ფელდმარშალოვს, როგორც სახლის კომენდანტს, ევალებოდა ყველაფერი ჩაეკაკლა, თუმცა ადლმა იასა და სანდროს მშობლების შესახებ თითქმის ყველაფერი იცოდა, ორივე, ცოლიცა და ქმარიც, ხალხის მტრების შვილები იყვნენ და დიდი ხანია, შავ სიაში ეწერნენ. სანდროს მამა-ბიძა ამ სახლის მესაკუთრეობისათვის იყვნენ დაჭერილნი და დახვრეტილნი, იას მამა და ბაბუა 1924 წლის

შეთქმულებაში მონანილეობისათვის, ამაზე მეტი აიაკას რა ახალი ცნობა უნდა მიეცა?..

დამჭირველები მანამ თუ ჩუმად „მუშაობდნენ", უცებ ახმაურდნენ, – ე. ი. რაღაც მნიშვნელოვანი იპოვეს. ფარდით გადატიხრული თალიკო ნათლულის სადგომ-სამზარეულოდან ძველებური შავი სკივრი გამოათრიეს, სკივრი მძიმე აღმოჩნდა, აიაკაც გაქანდა მისახმარებლად, ქშენა-ქშენით გამოიტანეს სინათლეზე, შუა ოთახში, გაჩახჩახებული ჭაღის ქვეშ დადგეს. სანდრო არ განძრეულა. შორიდან შესცქეროდა ჯალათთა წვალებას. სკივრს კარგა ღონიერი ბოქლომი ედო. დამჭირველები ცალკე მიდგნენ და ითათბირეს, აიაკა მათ თათბირში არ გარეულა. ერთმა დამჭირველმა ჯიბიდან ნიგნაკი ამოიღო და მეორეს წააკითხა. შემდეგ ორივენი განჯინას მიადგნენ, თაროები გადაათვალიერეს, რაღაცას გულდაგულ ეძებდნენ, თან იმ ნაწერში, წეღან რომ წაიკითხეს, იხედებოდნენ, მართლაც მიაგნეს გასაღებს და სკივრისაკენ გამოქანდნენ. მოარგეს გასაღები, გააღეს. ერთმანეთს გადახედეს, ეტყობოდათ, რომ გაუხარდათ...

სანდრო ყველაფერ ამას შესცქეროდა, მაგრამ ვერ ხედავდა. ია თუ მანამ ღია კარში იდგა და იქიდან უთვალთვალებდა ჩხრეკას, შემოვიდა და ქმარს მხარში ამოუდგა, ყურთან მიუტანა პირი და ჩურჩულით ჰკითხა:

– ხედავ?..

სანდროს უცებ აეხილა თვალი. განჯინის გასაღების სამალავიცა და ბინის გასაღების ასავალ-დასავალიც წინასწარ იცოდნენ, ვიღაცას ეთქვა, ვიღაცას აეწერა, თუ სად იყო დამალული გასაღები.

სკივრს სახურავი ახადეს. დამჭირველებმა კარგ ხანს უარეს გარს, ფოტოაპარატიც ააჩხაკუნეს, შემდეგ დამსწრენი – ია, სანდრო და აიაკა მიიპატიჟეს და სკივრიდან ნივთების ამოლაგებას შეუდგნენ.

სკივრში გასაოცარი გულმოდგინებით და სიყვარულით ჩაელაგებინათ ყოველი ნივთი. სავსე იყო ხატებით, ჯვრებით, სასანთლეებით, საზედაშეებით... ზევით ვერცხლისანი, ქვევით – ოქროსანი. ხავერდის საფენზე ელაგნენ ოქროს ნივთები, ზევითაც ხავერდი ეფინათ, აბრეშუმში შეეხვიათ წმიდა ოდიკი და ცალკე სკივრის

ზედა კუთხეში იდო. მღვდელმთავრის მიერ ნაკურთხი ნმიდა გარდამოხსნა უწმიდური ხელებით ამოაფრიალეს დამჭირველებმა და იას და სანდროს უჩვენეს, ვითომ აი, ხომ ხედავთ, გერმანოზ გედევანიშვილი შინ რას ინახავდაო. იამ და სანდრომ ისე, რომ დამჭირველებს არ შეემჩნიათ, პირჯვარი მალულად გადაისახეს. სანდროს ეგონა, რომ გედევანიშვილთან და სულხანიშვილთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა, მასწავლებლად რაცხდა მათ. არასდროს ამ თემაზე, არავიძეთის ღვთისმშობლის ეკლესიის განძზე, სიტყვა არ ჩამოუგდიათ. თურმე რა საიდუმლოდ ინახავდნენ ამ ამბავს! ადლში საიდან გაიგეს?.. ვინ გასცა მოხუცები?.. ნუთუ ამ ქონდრისკაცმა? – სანდროს ფიქრი აიაკას „პოლბოქსით" შეკრეჭილ თავს დასტრიალებდა. არაო – დაასკვნა, აიაკას განძის არსებობა არ ეცოდინებოდაო.

– აქ რაღაც ნაწერიც არის! – შესძახა აიაკამ და სკივრში იმანაც ჩაჰყო თავი. დამჭირველებმა გამოართვეს და კითხვას შეუდგნენ.

სანდროს გაახსენდა გერმანოზის ნათქვამი: „ხელწერილითა მაქვს ჩაბარებული, ვერავის მივცემო", – არავიძეს მიახალა პირდაპირ. თურმე რა უსასოო ყოფილა ეს პირში მიხლა. დაანებებინეს კიდეც და თავისი ხელით დააწერინეს, თუ სად ჰქონდა სკივრის გასაღები დამალული. სანდროს აზრით დამჭირველებმა გერმანოზის ნაწერის მიხედვით იპოვეს გასაღები...

– მოაწერეთ ხელი! – გაისმა დამჭირველის ბრძანება ოთახში. აიაკა სწრაფად მიხუსხუსდა მაგიდასთან. გრძელ აქტს თვალი გადაავლო, ვითომ გაეცნო და მოაწერა ხელი, შემდეგ თავი აიღო და კალამი სანდროს გაუწოდა. სანდრო შეყოვნდა. რას უნდა მოაწეროს ხელი, რატომ უნდა მოაწეროს. მართალია, ის ხელს აწერს, როგორც უბრალო მოწმე ჩხრეკისა, მაგრამ რაღაც საბუთს გერმანოზის წინააღმდეგ ხელს ხომ აწერს? არა, არ მოაწერს! მორჩა და გათავდა!.. ია ქმარს მიუხვდა, მის ყოყმანში უცებ პროტესტი ამოიკითხა, შეეშინდა, დამჭირველებმა ყურადღება არ მიაქციონო, გაქანდა და თვითონ მოაწერა პირველმა ხელი. ამასობაში სანდრო გონს მოვაო, – იფიქრა. დიდხანს აწერდა ხელს, თან ქვეშ-ქვეშ ქმარს უმზერდა, ეგებ მისი მზერა დავიჭირო და სათქმელი თვალებით ვუთხრაო. სანდრო იატაკს დაშტერებოდა, არც აპირებდა

ცოლისთვის შეეხედა. „მოაწერე ხელი, ხვალინდელი დღე შენთვის ძვირფასია!" – მოურიდებლად უთხრა იამ და... სანდროც უცებ მოეგო გონს. მართლაც, თუ ხელს არ მოაწერდა და აქ ზედმეტებს იტყოდა, ამ საღამოსვე, აქვე, შეიპყრობდნენ, ხვალინდელ დღეს ეგებ შედეგი მართლა გამოეღო, თავშეკავება სჯობდა, ციხეში ჩაჯდომას ყოველთვის მოასწრებდა. მტკიცე ნაბიჯით წავიდა გერმანოზის გადაბურჯგნული მაგიდისაკენ და მრავალგვერდიან აქტს მუნჯურად მოაწერა ხელი.

დალუქეს გერმანოზ გედევანიშვილის ბინა, ოქროს ნივთები ჩანთებში ჩაილაგეს და წაიღეს.

ია და სანდრო სულით ხორცამდე შეძრულები შინ შევიდნენ, ღამის ოთხი საათი იყო. ჯეგეს ტკბილად ეძინა, შუქი არ აუნთიათ, თაგვებივით შეიმალნენ ბნელ ბინაში და ის-ის იყო უნდა ჩაწოლილიყვნენ, კვლავ გაისმა ხმაური – ნაცნობი ნაბიჯების ხმა.

– მოვიდნენ! – უჩურჩულა სანდრომ იას, – უნდა წავიდე!

– აკი ქალბატონ ელენეს ვერ დავენახვებიო?..

– არ დავენახვები... მაგრამ შინ ყოფნაც არ შემიძლია! – წამოვარდა ფეხზე, კოსტუმი ჩაიცვა, თუმცა ზაფხულის ღამე იყო, მაინც გრილოდა, ხელის ფათურ-ფათურით სიბნელეში ქუდიც იპოვა და გარეთ გავარდა. დამჭირველებს წინ კვლავ ფელდმარშალოვი მიუძღოდათ, დაპირებისამებრ ამჯერად კუნდუხოვი და მისი ცოლი გაეღვიძებინა აიაკას, ისინიც მოწმეებად მიჰყავდა.

სანდრო ფეხაკრეფით გაჰყვა მათ უკან. შორიახლოს, აივანზე ჩაბნელებულ კუთხეში მიდგა. იქიდან ადევნებდა თვალყურს სულხანიშვილების სახლში მომხდარ ამბებს. რაც გედევანიშვილთან მოხდა, აქაც ის მოხდა. ოღონდ აქ მეტი ცრემლი დაიღვარა. ქალბატონმა ელენემ, როგორც კი აიაკა და დამჭირველები დაინახა, აღარც კი უკითხავს, რატომ მოხვედით, რა გინდათო, მოცელილივით დაეშვა სკამზე და ჩუმი ტირილი მორთო. სანდრო ფანჯრიდან უყურებდა, რა გამუდმებით ტიროდა ქალი, სახე ცხვირსახოცში ჩამალა, უფრო უკეთ, ცხვირ-პირი დაიფარა ცხვირსახოცით, ცრემლიანი თვალებით მოსულთ მისჩერებოდა, როგორ დადიოდნენ ოთახში, როგორ დაფათურობდნენ კარადებსა და მაგიდის უჯრებში, როგორ გადახსნეს ბალიშისპირები... ფანჯარაში

მოჩანდა ქალბატონ ელენეს თეთრი თმები, პირზე აფარებული ცხვირსახოცი და მუდმივად მოცახცახე სუსტი, ბებრული მხრები.

ახლა უკვე სანდროსთვის ნათელი იყო, რომ მასაც ესტუმრებოდნენ. თუ არ ესტუმრებოდნენ, მით უარესი მისთვის! – უფრო დიდ სატანჯველს მიუსჯიდნენ. ორი ადამიანი დალუპა, ღვთისმშობლის ტაძარს ანგრევენო, განგაში ატეხა, უნმინდეს მოხუცებს განცხადებაზე ხელი მოაწერინა. რომ სცოდნოდა, ამ ეკლესიის განძეული მათთან ინახებოდა, მოარიდებდა თავს, ვინმეს სხვას მოძებნიდა. მაინც ერთი სიტყვა რომ არ დაცდენიათ?

ახლა რა ექნა, როგორღა ეშველა მოხუცებისათვის? იდგა, იდგა კუთხეში, მოფარებულში გაუნძრევლად და ქალბატონ ელენეს თეთრ თმას შესცქეროდა ფანჯრიდან. საშიში იყო აქ ასე დგომა, უსათუოდ შეამჩნევდნენ და ამ ღამითვე დააპატიმრებდნენ. ხვალინდელი დღე სჭირდებოდა, არავიძესთან უნდა მისულიყო და გაერკვია, რას უპირებდნენ მოხუცებს. იცოდა, არ შეუშვებდნენ, ძალით უნდა შეეღწია. შინ წასვლა არჩია. ფეხაკრეფით გაეცალა იქაურობას და თავის ჩაბნელებულ ბინაში შეილანდა.

შესაძლოა, ხუთი წუთი ეძინა, ეგებ ერთი საათიც. არც ის ახსოვს, რომელ საათზე ჩაწვა, ცოლი გვერდით ეწვა თუ არა, არც ის უგრძნია, რომელზე გამოეღვიძა, არც ის იცის, ფანჯარაში განთიადის შუქი რომ გამოჩნდა, წამოდგა, ჩაიცვა და კარში გავარდა. მხოლოდ არავიძის მოცემული სავიზიტო ბარათის: 015 – ამ სამი ციფრის იმედი ჰქონდა.

– ჩაი მაინც დალიე, მოკვდები! – მიაძახა იამ, პასუხი არ გაუცია, გავარდა ბინიდან. გულმა ვერ მოუთმინა და სულხანიშვილების ბინას ერთხელაც შეხედა შორიდან. ჩხრეკა გრძელდებოდა, ვინაიდან ძალიან გვიან ესტუმრნენ, გათენებამდე ვერ დაემთავრებინათ. კვლავ იგივე სურათი იყო. დამჭირველები დაბორიალობდნენ სულხანიშვილების ბინაში, კუნდუხოვები კართან იყვნენ ატუზულები მოწმეებად, ფელდმარშალოვი ყველგან ცხვირს ჰყოფდა, გარეთაც, აივანზეც ხშირად გამოდიოდა, სხვა არავინ გამოდიოდა აივანზე, მას ჰქონდა ამის უფლება. მეზობელთაგანი არავინ ახლოს არ ეკარებოდა სულხანიშვილების ბინას. უკვე ყველამ ყველაფერი იცოდა, მაგრამ თავიანთი ბინებიდან არ გამოდიოდნენ, ან თუ თავს

გამოჰყოფდნენ, აჩქარებულნი გარბოდნენ, ფელდმარშალოვმა არ დამიძახოს, რამე ხიფათში არ გამხვიოსო. თითქოს კეთროვანთა ბინა იყო, იქით მხარეს გახედვაც კი არ უნდოდათ. სანდრომ შეატყო, რომ მასაც ცივად, რაღაცნაირი შიშით მიესალმნენ, რამე არ გვკითხოსო, აჩქარებულნი გაეცალნენ.

სანდრო ქალაქის ქუჩაში ამღვრეული გამოვიდა. საით წასულიყო? პირდაპირ ადლს თუ მიადგებოდა, არ შეუშვებდნენ, ათას დაბრკოლებას შეუქმნიდნენ და არავიძესთან არ შეუშვებდნენ, დეპეშა გაეგზავნა, მიმიღე, თორემ თავს მოვიკლავო, ასეთი მუქარა მასთან არ ჭრიდა. სწორედ წინა კვირას ერთმა პედაგოგმა გაუგზავნა თურმე ასეთი შინაარსის დეპეშა. არ მიიღო არავიძემ, პედაგოგმა არავიძეს შეუსრულა დანაპირები, – თავი მოიკლა. გუშინწინ დამარხეს ჭირისუფლებმა მალულად, რახან თავი მოიკლა, მაშასადამე, მაგოგის წესწყობილება არ მოსწონდა. ასე აღიქმებოდა ყოველი თვითმკვლელობა. პედაგოგის ჭირისუფლებმა მთელი თავიანთი ნაცნობობა ფეხზე დააყენეს, როგორმე ადამიანურად დაემარხათ მკვდარი. თვითმკვლელის ცხედარს, როგორც წესი, ადლი იბარებდა და მარხავდნენ, როგორც დამნაშავეს, იზოლატორის სამარხში.

გაოგნებული, სასონარკვეთილი მიდიოდა. ის ნომერი, რომელიც არავიძემ თვითონ მისცა, უნდა გამოეყენებინა. მწერალთა კავშირში უნდა წასულიყო. მწერალთა კავშირის არავის მხარის განყოფილებას ჰქონდა ის ელსმენი, რომლითაც ვარლამ არავიძესთან დაირეკებოდა, დიდი დაწესებულებების ხელმძღვანელებს ეძლეოდათ უფლება, არავიძეს საგანგებო ელსმენით დაკავშირებოდნენ. ჯერ ქალაქის ქუჩებში იბორიალა, ძალიან ადრე გამოსულიყო შინიდან, მწერალთა კავშირში ვერავის იპოვიდა, ადლსაც აუარა და ჩაუარა, გულმა მაინც მშობლიური კავშირისაკენ გაუწია.

არ იხატება ის სურათი, რაც იმ დღეს სანდრო ხალდანს გადახდა მწერალთა სასახლეში. არავინ ახლოს არ მიიკარა, ადამიანები, რომლებსაც იცნობდა, რომლებთანაც მეგობრობა აკავშირებდა, აღარც კი ესალმებოდნენ, გარბოდნენ, სადღაც ეჩქარებოდათ, რაღაცას იმიზეზებდნენ. ხელმძღვანელთაგანი ადგილზე არავინ აღმოჩნდა, ან ჩაკეტილები იყვნენ და სანდროსთვის არავის ეცალა.

ძნელი იყო ამის დაჯერება, – სანდრო ვერავის გამოელაპარაკა. მარტო მან, ერთადერთმა არ იცოდა, რაც უკვე მომხდარიყო მწერალთა შორის, მწერალთა კავშირს წუხელ საგანგებო თავყრილობაზე დაედგინა: „სანდრო ხალდანი, როგორც ხალხის მტერი, ჯაშუში და დივერსანტი, გარიცხული იქნას მწერალთა კავშირიდან და ფიზიკურად განადგურდესო“.

თურმე დოქსოპულოს ჩაუტარებია საგანგებო თათბირი მწერალთა სასახლეში. მასვე მოუტანია დოკუმენტები, რომლებიც ამხელდნენ პროფესორებს გედევანიშვილსა და სულხანიშვილს და მათ იდეურ ბელადს სანდრო ხალდანს.

თურმე მწერალთა კავშირს დაუსნრებლად დაუდგენია სანდრო ხალდანის მოსპობა, ფიზიკურად განადგურება, რასაკვირველია, შენობის კედლებიც კი ისე შეჰყურებდნენ, როგორც ხალხის მტერს.

გამობორიალდა შენობიდან. დაბნეული იდგა მწერალთა სასახლის წინ. არ იცოდა, საით წასულიყო, ვისთვის მიემართა. გადანყვიტა, პირდაპირ მისულიყო ადლში და მოეთხოვა ვარლამ არავიძესთან შეხვედრა. თუ არ მიიღებდა, იქვე დაეწერა განცხადება, რომ დაუყოვნებლივ დაეპატიმრებინათ, თუ მოხუცებს არ ათავისუფლებდნენ, არც მას შეეძლო გარეთ ყოფნა, თუ ისინი ხალხის მტრები იყვნენ, სანდრო ხალდანი სხვა ვინმე ვერ იქნებოდა, ისიც ხალხის მტრად უნდა შეერაცხათ და მათთან ერთად ჩაესვათ საპყრობილეში. უცებ განთავისუფლდა ტანჯვისაგან, გულზე მოეშვა, რომ გამოსავალი იპოვა. გატრიალდა და ჩქარი ნაბიჯებით ადლისაკენ დაეშვა.

– ბატონო სანდრო! – მოესმა უცებ ზურგს უკან. იქვე, გზის პირას მდგარი შავი ემცხრიდან კაცი გადმოვიდა. გაღიმებული სახით მოდიოდა, სანდრომ ვერ იცნო.

– ვერ მიცანით ალბათ... რაც შანშე შაინიძეს გადახდა, მეც ის გადამხდა, თქვენი რჩევა მჭირდება... – კაცი მანქანისკენ ჯიქურ მიდიოდა და სანდროც მიჰყავდა. სანდრო დაბნეული მიჰყვებოდა, შანშე შაინიძე მისი რომანის გმირი იყო, ეს კაციც თითქოს სადღაც ენახა, ე. ი. მკითხველი სთხოვდა შეხვედრას და საუბარს. მანქანასთან სანდრო წამით შეყოვნდა.

– იცით... ჩვენ სხვა დროს შევხვდეთ... – მორიდებით უთხრა.

– სამი წუთი დამითმეთ... მხოლოდ სამი... გთხოვთ!.. – დაეღრიჭა უცნობი. ემცხრა, როგორც წესი, შავი ფარდებით იყო შენიღბული და უკან ვინ იჯდა, არ ჩანდა.

სანდროს ახლა თუნდაც საკუთარ რომანზე მსჯელობა არ შეეძლო. რა დროს ლიტერატურაზე საუბარია, ქვეყანა იქცევაო, – საყვედურს ეუბნებოდა გულში უცნობს. დღეს არ იყო ამის დრო. რახან უცნობმა უთხრა: რაც შანშე შაინიძეს თავს გადახდა, მეც ის გადამხდაო, – ამ კაცს რაღაც გასაჭირი ადგა, – მწერალთან ამისთვის მოვიდა... ამ ვარაუდს მიჰყავდა მანქანისაკენ, თორემ ხელს გამოგლეჯდა და მტკიცედ ეტყოდა: სხვა დროს დამირეკეთ!.. მორჩილად მიადგა მანქანას. უცნობმა ემცხრის კარი გამოაღო და მიიპატიჟა, თვითონ მერე მიუჯდა საჭეს. სანდრომ მანქანაში თავი რომ შეჰყო, უკანა საჯდომზე დოქსოპულოვს მოჰკრა თვალი და... სისხლი თავში აუვარდა. „აი, თურმე რა უნდათ!“ სანდრო წინ, მძღოლის გვერდით უნდა დამჯდარიყო, ეს კარი გაუღეს მას. შეჰყო თავი და დოქსოპულოს უნებურად თავი დაუქნია, დოქსოპულომაც დაუქნია თავი. შავი სათვალე ეკეთა, საზურგეს მიყრდნობილი წინ იყურებოდა. სანდრო მიხვდა, რომ მანქანაში შეიტყუეს. საძაგელმა შიშმა შეიპყრო: „დამაპატიმრეს“... მაინც რისი ეშინოდა? თვითონ, თავისი ფეხით მიდიოდა ადლში, განცხადება უნდა დაეწერა, დამაპატიმრეთო.

როგორც კი შეატყო, რომ მართლა დააპატიმრეს, შიშის ზარმა დარეკა მის თავზე: დავღუპე ია, დავღუპე პატარა ჯეგე. ის საზარელი დღეც თვალწინ წარმოუდგა, როცა ვარლამ არავიძემ იას, როგორც ქალს, დაადგა თვალი. ეგებ იას გამო მაპატიმრებენ?.. – მუხლები მოეკვეთა, გული უკანკალებდა. არ ეგონა, თუ ასე შეეშინდებოდა საპყრობილეში ჩაჯდომის. გასაოცარი ის იყო, რომ ვინც მისი რომანის მთავარი მოქმედი გმირის შანშე შაინიძის სახელით გაეცნო და ხვეწნითა და ყელისწევით შეიტყუა მანქანაში, ახლა ისიც დოქსოპულოს დამსგავსებოდა, იმანაც შავი სათვალე გაიკეთა და წინ იყურებოდა, ხმას ისიც არ იღებდა. არც ავს ამბობდნენ და არც კარგს. უმძიმესი, უსაშინლესი დუმილი რამდენიმე წუთს გაგრძელდა, მანქანა, როგორც მოსალოდნელი იყო, ადლის შენობის უკან გაჩერდა. საპყრობილეს აქედან ჰქონდა შესასვლელი,

შესასვლელი კი არა, ჩასასვლელი, საპყრობილე ადლის შენობის ქვეშ, სარდაფებში, ანუ როგორც მას ეძახდნენ, ჯურღმულში იყო გამართული. ხელისუფლება ამ ჯურღმულებს იზოლატორს ეძახდა.

სანდრომ მოულოდნელი გადაწყვეტილება ერთ წამს მიიღო. „არ გადმოვალ მანქანიდან"... უკან მიბრუნდა და დოქსოპულოვს მტკიცედ უთხრა:

– ვარლამ არავიძესთან უნდა შემახვედროთ!..

დოქსოპულოვს კარი გამოეღო, მანქანიდან გადასვლას აპირებდა, სანდროს დაძაბულმა ხმამ შეაყოვნა.

– როცა საჭირო იქნება, შეგახვედრებთ! – გამოცრა მან კბილებში. ამასობაში უცნობი ჩამოსულიყო ემცხრიდან, კარს მოდგომოდა და აღებდა.

– არ ჩამოვალ მანქანიდან, იცოდეთ! ჯერ ვარლამ არავიძეს უნდა შევხვდე! – გაჯიუტდა სანდრო, გამოღებული კარის სახელური უცნობს წაართვა და რაჯგუნით მიხურა.

– თქვენ დაპატიმრებული ხართ! რა მოთხოვნებს გვიყენებთ! მოიქეცით, როგორც პატიმარი! – გაცხარდა დოქსოპულო.

– შემახვედრეთ არავიძეს! ეს აუცილებელია საქმისთვის! მის დავალებას ვასრულებ!.. ხმას აუწია სანდრომ.

– ჩაჯექი! – გამოსძახა მანქანის ჩანეული სარკმლიდან თავის თანამშრომელს დოქსოპულოვმა.

დამჭირველიც უმალ მიუჯდა საჭეს, ვიდრე დაძრავდა მანქანას, ერთხელაც მიიხედა უკან, – წავიდე თუ არაო, თვალით ჰკითხა დოქსოპულოვს. დოქსოპულოვმაც ანიშნა, წადიო. მანქანა დაიძრა. შემოუარეს ადლის შენობას და მთავარ შესასვლელთან გააჩერეს. სანდრომ იცნო მთავარი სადარბაზო და მანქანიდან გადმოვიდა. არ ეგონა, თუ მართლა შეახვედრებდნენ, დაეჭვებული მიჰყვებოდა ჯალათებს. ნაცნობი კიბით, ლიფტით, ნაცნობი დერეფნით, ნაცნობი ოთახების გავლით მიდიოდა, მაგრამ უკანასკნელ წამამდე არ სჯეროდა, თუ შეახვედრებდნენ. შეახვედრეს.

ვიდრე ვარლამ არავიძის უფროსისკარში შევიდოდა, შეაყოვნეს. ჯერ დოქსოპულოვი შევიდა ვარლამთან, სანდრო იმ უცნობ დამჭირველთან დარჩა, ვინც მანქანაში შეიტყუა. დამჭირველს თავი გოროზად ეჭირა, არც ერთ ზედმეტ სიტყვას არ ამბობდა.

ცდილობდა, პატიმარს არაფერი ეკითხა, არ გამოლაპარაკებოდა. სანდროს სძულდა ეს უცნობი მატყუარა ადამიანი და არც სურდა მასთან საუბარი. „შანშე შაინიძე“ – დაცინვით იმეორებდა გულში. „რა გულუბრყვილო ვარ, მეგონა, მართლა ჩემი რომანით იყო კაცი შთაგონებული... თურმე ვინ ყოფილა!“...

მალე გამოიძახეს. სანდრო შევიდა ვარლამ არავიძესთან. შეატყო, რომ უკვე არავის და არაფრის ეშინოდა, არც მუხლები უკანკალებდა და არც გული. შევიდა თამამად, იმის სათქმელად, რომ მოხუცები არ იყვნენ დამნაშავენი, რომ მათ არ დაუწერიათ არავიძეთის ეკლესიის თაობაზედ საჩივარი, დაწერა მან, მწერალმა სანდრო ხალდანმა, და თუ ამის გამო ვინმეს დააპატიმრებენ, უნდა დააპატიმრონ ის.

სკამი დაუდგეს შუა ოთახში. ეს იყო პირველი მოულოდნელობა. სხვა დროს მიდგმულ მაგიდასთან ჯდებოდა, იქ ახლაც ელაგა სკამები, მრავალი სკამი იდგა ცალკე მდგარ სათათბირო მაგიდასთანაც. „შუა ოთახში ცალკე სკამი ალბათ იმას ნიშნავს, რომ პატიმარს არ შემეფერება სათათბიროდ მაგიდასთან ჯდომაო“, – გაიფიქრა და დაჯდა იმ სკამზე, როგორც ელექტრონის სკამზე. მეორე მოულოდნელობა ის იყო, რომ ვარლამ არავიძე არ წამომდგარა, არ გამოსულა თავისი მაგიდის მიდამოებიდან და ხელი არ ჩამოურთმევია... „ე. ი. ნამდვილი პატიმარი ვარ“... – დაასკვნა და უფრო დაიმშვიდა გული. მისთვის ხომ ჯერ დაპატიმრების ორდერი არ უჩვენებიათ, არც რაიმე ბრალდება წამოუყენებიათ, დოქსოპულოვის სიტყვით უნდა ჩამჯდარიყო ციხეში?.. არავის მხარეს მასზე უკეთესი მწერალი არც ჰყავდა. ბაზრის მანანწალასავით ვერ შეაგდებდნენ საკანში. ფიქრებიდან ვარლამ არავიძის ხმამ გამოაფხიზლა:

– თქვი, რა გაქვს სათქმელი!.. – ცივად, კუშტად, ზედ არ შეუხედავს, ისე უბრძანა ვარლამმა.

– თქვენ უდანაშაულო მოხუცები დააპატიმრეთ! – მოულოდნელად მიახალა სანდრომ. თვითონაც არ ელოდა, თუ ამ სიტყვებს ეტყოდა. ამით არ უნდა დაეწყო, სულ ბოლოს უნდა ეთქვა ეს. გვიანღა იყო თითზე კბენანი.

– ულტიმატუმით მოდიხარ! – ფეხზე წამოიჭრა ვარლამ არავიძე. ჩექმის ჭრაჭუნ-ბრაგუნი სამჯერ გაიგონა სანდრომ, დაინა-

ხა: იქიდანვე, სკამიდანვე, ავად წამოიმართა ვარლამი, ის სამი გაბრაგუნებაც იმას ნიშნავდა, რომ შუა ოთახამდე, სადაც სანდრო ხალდანი იჯდა, სამი ნაბიჯი გადაიდგა. შემდეგ რა მოხდა და როგორ იყო, არ ახსოვს. როცა გონს მოვიდა და პირველ ჰომონკულუსში (საწამებელი საკანი) აღმოჩნდა, მაშინღა აღადგინა სურათი: ვარლამ არავიძის ჩექმის ქვასავით ჭვინტმა ნიკაპზე ხორცი ააგლიჯა და ცხვირ-პირი შეუნგრია. სანდრო სკამიანად სადღაც გადავარდა, უგონოდ გასრიალდა პარკეტზე და კედელს თავით მიეხალა, სისხლით შეიღება კედელიცა და პარკეტიც.

სანდროს გაეგონა, რომ ვარლამ არავიძე თავის უფროსისკარში ცემით კლავდა ადამიანს. მაგრამ, რა თქმა უნდა, არ სჯეროდა; ახლა, როცა მას თვითონ გადახდა მსგავსი რამ, მაინც ჭირდა დაჯერება. მწერალს, რომელსაც არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა, ადლის უფროსი ჩექმას ურტყამდა სახეში. ვარლამ არავიძე განა მარტო ადლის უფროსი – გენერალური დამჭირველი იყო, ის ხომ მხარეს ფაქტიურად მართავდა კიდეც, არავინ ჰყავდა ხელისუფლების მოცილე. მაშასადამე, მხარის ერთმმართველი, ე. ი. ნახევარმილიონიანი ხალხის წინამძღოლი, თავის მწერალს ჩექმას ურტყამდა სახეში და კედელზე მიხლით თავს უხეთქავდა. შემდეგ აღადგენდა ამ სურათს სანდრო ხალდანი, შემდეგ აკვირდებოდა ყველაფერ იმას, რაც თავს გადახდა. მართლაც ეტყობოდათ, რომ დოქსოპულოვი და არავიძე პირველად არ სჩადიოდნენ მსგავს საქციელს. ცალკე სკამის დადგმა, პატიმრის იმ სკამზე წამოსკუპება, გამოქანებული ვარლამ არავიძისთვის მოხერხებული ადგილის შერჩევა, – წინასწარ ჰქონდათ დამუშავებული. ამის შემდეგ, ბუნებრივია, სანდრო ხალდანს და არც სხვა ვინმე პატიმარს, მზის სინათლის ხილვაზე ფიქრიც კი არ შეეძლო. მაგრამ სანდრო ასე არ ფიქრობდა. ეგონა, რომ თვითონ იყო დამნაშავე, „თქვენ უდანაშაულო მოხუცები დააპატიმრეთო“, – ეს სიტყვები რომ არ მეთქვა, არ მცემდნენო, – ფიქრობდა.

შემდეგ რა მოხდა, იმის წარმოსახვა ვერ ხერხდებოდა, იმ ერთ ამორტყმას დააჯერეს თუ შემდეგ უგონოს მიესიენ და სცემეს, ამის თქმა დაბეჯითებით არ შეეძლო. თავიც გახეთქილი ჰქონდა და მთელი სხეული დაბეჟილ-დალილავებული. ის ერთი წიხლი

ცხვირ-პირში ფერდებს ვერ დამილეწავდა, ალბათ, სკამიდან რომ გადავვარდი, იმის ბრალიაო, – თავს „ინუგეშებდა“ პყრობილი.

წვერწამახული ნეკისხელა ფანქარი საწამებელ საკანში

ამ ამბავს ჯეგე ხალდანი სასამართლოზე ისე წვრილად უამბობდა დამსწრეთ, თითქოს ჰომონკულუსში ჩაგდებულ მამას სარკმლიდან უთვალთვალებდაო. ხანდახან, როგორც პირველ წყაროში, ქაღალდის ნაგლეჯში იხედებოდა. ის ქაღალდის ნაგლეჯი, საგანგებოდ შეხვეული და შეფუთული, ბრალდებულისთვის შემოზღუდულ თეჯირზე ედო. საჭიროებისას გახსნიდა ჩანთას, ქაღალდებს ააშრიალებდა. ამოიღებდა გაცრეცილ-გაცრიატებულ, გაყვითლებულ სავიზიტო ბარათს, რომელზედაც ნაწერის გარჩევა უკვე აღარ შეიძლებოდა, მაგრამ ჯეგე ხალდანი ყველას უმტკიცებდა, რომ აქ ესა და ეს წერიაო. ექსპერტებს იმ ქაღალდზე მართლაც ამოეკითხათ ორადორი სიტყვა: „არავიძე“ და „ნიკაპი“... დანარჩენი სიტყვები წაშლილია, ამოკითხვა შეუძლებელიაო, დაუდგენიათ. ბრალდებული იმ დანარჩენ სიტყვებს წარმოთქვამდა და სრულ სურათს ხატავდა, თუ რა სასწაულებრივად გამოაღწია არავიძის ჯურღმულებიდან სანდრო ხალდანის ამბავმა.

როცა ნაცემ-ნაგვემი, დასისხლიანებულ-დასიებული სანდრო პირველ საწამებელ საკანში, ჰომონკულუსში შეუგდიათ, ცივ ბეტონზე უგონოდ გდებულა დიდხანს. ხან მოვიდოდა გონზე თურმე, ხან შავ ლუსკუმში ჩაიძირებოდა. ცოცხალ-მკვდარი გდებულა, ვინ იცის, რამდენ ხანს, რომელი დღე იყო, რომელი ღამე, რომელი საათი. ცოტათი შვება რომ უგრძნია, თავი აუწევია. საკანი შეუთვალიერებია და... აი, მაშინ მომხდარა სასწაული: ბეტონის კედელი ბეტონის იატაკთან რომ კუთხეს ჰქმნის, იმ კუთხეში მიგდებული ნეკისხელა საგანგებოდ წვერწამახული ფანქარი არ უპოვია?..

ვინც იმდროინდელ საპყრობილეთა შინაგანაწესსა და ცხოვრების წესს იცნობს, იმან შეიძლება აღარც დაიჯეროს, როგორ, საიდან გაჩნდა ჯოჯოხეთურ ჰომონკულუსში წვერწამახული ფანქარიო.

ის ხომ საგანგებო საწამებელი საკანი იყო, პოლიტპატიმართათვის განკუთვნილი. ჰომონკულუსები დღეში ორჯერ, მეტჯერაც მონმდებოდა, დამნაშავემ რამე ხრიკს არ მიმართოსო, ვინ დატოვებდა იქ ფანქარს. ფანქარი იმ ადგილას?.. – არამცთუ საგანგებო საწამებელ სიკვდილმისჯილთა კარცერში, საერთოდ საპყრობილეში არსად, თუნდაც რომელიმე ჩვეულებრივ საკანში, არ უნდა გდებულიყო. თითქოს განგებამ გამოუგზავნაო, – შენ მწერალი ხარ, საწერი სიკვდილამდე ხელში უნდა გეჭიროსო. ღმერთმა შეუგზავნა კარცერში „იარაღი“. წვერწამახულმა ფანქარმა უმალ შეცვალა თურმე სანდრო ხალდანის ყოფა. ფანქარმა კი არ შეცვალა, – აზრმა. ფანქარმა აზრი დაბადა. პირველი აზრი ის იყო, რომ ამ ფანქრით მას უნდა ეწერა... რამე უნდა დაეწერა. ამ აზრს სხვა აზრი მოჰყვა და უცებ ამოძრავდა, აბობოქრდა ნაცემ-ნაგვემი, წამოჯდა... აზრი ქმნის, მაგრამ ანგრევს კიდეც. სიკვდილის წინ აზრს დამანგრეველი ძალა აქვს. ჯიბეებში დაიწყო ქექვა, უბის წიგნაკს ეძებდა, მუდამ რომ თან დაატარებდა. აი, იმ ფანქრის ნატეხმა აფიქრებინა უბის წიგნაკი მოეძებნა. სადღა იყო უბის წიგნაკი! ცხვირსახოციც კი არ დაუტოვებიათ, შარვლიდან ქამარიც კი გამოუძვრიათ. „უქამროდ ჩამძვრება შარვალი“... – გაეღიმა სულელივით. წამოდგა, შეამოწმა: მართლაც, შარვალი ხელით უნდა დაეჭირა, თორემ ჩასძვრებოდა, არც ერთი ღილი არ ჰქონდა, ღილებიც აეგლიჯათ... „კიდევ რა მჭირს“, – აკვირდებოდა თავისთავს... სამი თუ ოთხი დღე ეგდო ბეტონის იატაკზე დასისხლიანებულ-დალილავებული. ხანდახან გონზე რომ მოვიდოდა, უფრო აფთრდებოდა, არ უნდოდა გონზე მოსვლა, გონდაკარგული გდება ერჩია. სიკვდილს ესწრაფვოდა, ეგებ როგორმე მოვკვდეო, დაეძებდა სიკვდილს. მაგრამ არა, სიკვდილმაც კი დაივიწყა.

სასოწარკვეთილი, უიმედო იწვაო, რომ ვთქვა, ცოტაა, არის ადამიანის ცხოვრებაში ისეთი წამები, როცა სიკვდილის გარდა არაფერი გინდა, მთელ სხეულს სიკვდილის ინსტინქტი ეუფლება, სხვა სურვილი, სხვა ვნება არ ეკარება. სიკვდილს მინებებული თავდაღმა ეგდო, თავის აწევა არ შეეძლო და არც უნდოდა. აი, ასეთ ყოფაში თვალი რომ გაახილა, ფანქრის ის წვერწამახული ნატეხი იპოვა, – იქვე, მის თავთან ეგდო. თავი კი, საკნის კედელი სა-

დაც იატაკს უერთდება, იქ მიებჯინა ბეტონისათვის. სხვა ადგილი აქ არც იყო. ასე უნდა ნოლილიყო. ან ფეხზე მდგარს ეყურყუტა.

ფანქარმა აზრი დაბადა, აზრმა სხვა აზრი, სიკვდილის ინსტინქტი წერის ინსტინქტმა შეცვალა და წერის ჟინმა ისე შეიპყრო, სიცოცხლე დაუბრუნა. ვიდრე წერას დაიწყებდა, დაიბადა მრავალი აზრი, მათ შორის ერთი იყო მთავარი: დავწერ მოკლედ ჩემს თავგადასავალს, მისამართს მივაწერ, მექნება სადმე საცვალში დამალული, როცა აქედან გამომიყვანენ, თუნდაც დასახვრეტად, გადავაგდებ, ეგებ ვინმე მადლიანმა იპოვოს და საზარელი ამბავი ჩემიანებს გააგებინოსო. ეს იყო გენიალური მიგნება. სანდრო ხალდანი მაშინ ვერც კი წარმოიდგენდა მისი ასეთი გაბედული ნაბიჯი რა შედეგს, რა ნაყოფს გამოიღებდა. ამ ხერხს, ამ მეთოდს აიტაცებდა ათასობით პატიმარი, შემდგომში ამ გზით მრავალი გადაგდებული „წერილი" მიაღწევდა მიზანს.

აზრი ქაღალდზე სწრაფად გადატანას მოითხოვდა, მაგრამ ქაღალდი? უბის წიგნაკი ამოეღოთ ჯიბიდან, უიმედოდ უკვე მერამდენედ იბრუნებდა ჯიბეებს, იქ არაფერი იყო. დახეთ საოცრებას! – საათის ჯიბეში რაღაც ჩარჩენილიყო, კანკალ-კანკალით ამოიღო ვარლამ არავიძის მიერ მიცემული სავიზიტო ბარათი – იქ მხოლოდ 015 ეწერა, მეტი არაფერი. იატაკაზე ფრთხილად დააფინა, დააკვირდა, „რატომ ვერ იპოვეს? თუ იპოვეს, რატომ არ ამოიღეს?.." დიდხანს წონიდა და აანალიზებდა. მეორე გვერდი სულ თავისუფალი იყო, არაფერი ეწერა, პრიალა ცარცის ქაღალდის ოთხკუთხედზე შეიძლებოდა რამდენიმე სიტყვის დაწერა. ყველაზე აუცილებელი საჭირო სიტყვები უნდა დაეწერა და მისამართი. თან არავიძის ნომერი ახლა იასთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე სანდროსთვის. თუ ნაწერს ხალხში, ან ქალაქის ქუჩაში დააგდებდა, ვინმე მადლიანი იპოვიდა და იას მიუტანდა, ამით ორი საქმე გაკეთდებოდა, ერთი, რომ ია გაიგებდა მის ქმარზე სიმართლეს, მეორე – ვარლამ არავიძის ელსმენის საიდუმლო ნომერიც მიუვიდოდა, ეგებ არ ახსოვდა ზეპირად, ეგებ დაავიწყდა...

მაშინ სანდრო ხალდანი ვერც კი იფიქრებდა, თუ რა „ალმოჩენის" ბადალი აზრი დაებადა. ეს „ალმოჩენა" შემდგომში თანდათან იქცა სახალხოდ და გულაგში ბადრაგით მიმავალმა პატიმ-

რებმა წერილის შინ გაგზავნის ხალდანისეული ხერხი მასობრივად გამოიყენეს. არამცთუ პატარა არავსა და საქართველოში, არამედ მთელს ქვეყანაში.

ზოგჯერ წლობით იჯდა პყრობილი ჰომონკულუსებში, კავშირი გარესამყაროსთან მას აღარც კი დაესიზმრებოდა, როცა დასახვრეტად გაიყვანდნენ, მაშინ იყოჩაღებდა და გულდაგულ გადამალულ წერილს, ოთხად, ხუთად, ათად გაკეცილს სადმე, გზად დააგდებდა. ზოგი წერილი მიდიოდა, ზოგი არა. ბევრ მპოვნელს ეშინოდა და უმალ ხევდა, ანადგურებდა. მაგრამ იყვნენ ისეთნიც, ვინც წერილს მისამართის მიხედვით მიიტანდა. ასეთი ორი წერილი მიუტანეს ხალდანებს. ჯეგემ ორივე შეინახა. პირველი, როცა სანდრო ადლის ჰომონკულუსებიდან ქალაქის იზოლატორში გადაიყვანეს. ამ გადაყვანის დროს „დაუვარდა“ წერილი და ის არავის შეუმჩნევია, მეორედ, როცა დასახვრეტად გაიყვანეს, მაშინაც მოახერხა დაგდება. ორივე წერილმა მიზანს მიაღწია.

ჯეგე ხალდანი ამ წერილებს თვალის ჩინივით ინახავდა არა ერთი და ორი წელი, – ათეული წლობით. ახლა ცხვირწინ უფრიალებდა მართლმსაჯულებას და თავის საზარელ საქციელს ამით ამართლებდა. ამ ორი წერილის გარდა, პატიმარს ცალკე საქალალდეში ელაგა დედის წერილები... ამ წერილებსაც საკუთარი პატარ-პატარა ისტორიები ჰქონდა.

– ეს დედაჩემის წერილებია! – ბობოქრობდა ჯეგე ხალდანი, – ამ წერილებით მტკიცდება, რომ არა მარტო ვარლამ არავიძე, მთელი მაგოგი და მაგოგიზმი უნდა მივცეთ პასუხისგებაში.

– აი, სადამდე მიდის თავხედობა! – წამოვარდა ადგილიდან აბია.

დარბაზი ახმაურდა.

მესჯულემ ზარი ააწკრიალა.

– მაგ წამოხტომებით მე თქვენ ვერ შემაშინებთ, არამზადა არავიძის ნაშიერნო! – შეაგება ჯეგე ხალდანმა აბია არავიძეს, მესჯულის ზარის წკრიალს უკვე ყურს არავინ უგდებდა.

– ვარლამი ყორნისხევში უნდა გადააგდოთ! სხვა გზა არა გაქვთ! – მთელ დარბაზს მიმართავდა ჯეგე ხალდანი, მომხრეს იქ ვერ პოულობდა, მათში მხოლოდ არავიძეებს ხედავდა. მცველნი, რომელიც პატიმარს აქეთ-იქით ედგნენ, უკვე წესრიგისაკენ მოუ-

წოდებდნენ, ზღვარს გადადიოდა, დარბაზისკენ მიიწევდა, თეჯირი აკავებდა, თორემ მათთან მიიჭრებოდა.

– ჩუმად! – იყვირა მესჯულემ და მაგიდას მუშტი დაკრა, – ბატონო აბელ ვარლამის ძევ! – ნამდვილი სახელითა და მამის სახელით მიმართა მესჯულემ აბიას. – უფლება არა გაქვთ სამსჯავრო საქმეებში ჩაერიოთ! გთხოვთ დატოვოთ დარბაზი!

ასეთმა სიმკაცრემ ერთ წამს დააწყნარა და გააჩუმა კიდეც დარბაზი. არ მოელოდნენ ამას. აბია ანუ აბელ არავიძე არავის მხარეში ფრიად პატივცემული პიროვნება იყო. ხვალ და ზეგ ის არავის მხარის მმართველი უნდა ყოფილიყო, ასე იყო დადგენილი, მაგრამ დრო უცებ შეიცვალა, მოვლენები სხვა გზით წარიმართა. საქმე იქამდე მივიდა, რომ მას სასამართლო დარბაზიდანაც აძევებდნენ?.. – თავი ღირსეულად დაიჭირა, არ შეკამათებია არავის. წამოდგა და გავიდა. ამჯერად მას ქალბატონი ცისმარე არ ახლდა, მეგობრები ახლდნენ და ისინიც წამოიშალნენ, როგორც კი აბია წამოდგა.

თანგულია იმ დღეს ჩუმად იჯდა. მამის წამოდგომა და გასვლა არ მოეწონა, მაგრამ გულში ჩაიკლა ეს „არ მოწონება", უკანა რიგებში იჯდა, დაღონებული, თავჩაკიდული. თუ მანამ მუდამ შემართული უსმენდა, მამაზე უფრო მეტად ბობოქრობდა და საგანგებოდ მოყვანილი ბიჭებით სამსჯავროს აფორიაქებდა, დღეს უკვე სულ მთლიანად გამოცვლილიყო. ხმას არ იღებდა. ბიჭებიც ნელ-ნელა შემოცლოდნენ, ისინი სამართლიანობის აღსადგენად იბრძოდნენ, როცა პატიმარს შეძახილებით და მუქარით თავს ესხმოდნენ, თორემ უდანაშაულო ადამიანს – ჯეგე ხალდანს (დღეისთვის ეს უკვე გამორკვეული იყო) ავ სიტყვას თვით თანგულიას ხათრითაც კი აღარ შეჰკადრებდნენ. თანგულიამაც თანდათან ირწმუნა ჯეგე ხალდანის მხილებანი და ბიჭებში უკვე სხვაგვარად დაუწყო მართლება პაპისა და მამის საქციელს.

– ყორნისხევში! – მიაძახა გააფთრებით უკან პატიმარმა აბელ არავიძეს, – ყორნებს უნდა მიუგდო საჯიჯგნად მამაშენის მყრალი გვამი!

აბია წამით შედგა და უკან მოიხედა მრისხანედ, პატიმრისათვის არ შეუხედავს, მესჯულესა და მსჯავრმდებელს უთხრა თვალებით,

– მე დარბაზიდან მერეკებით, თავგასულ დამნაშავეს კი არაფერს ეუბნებითო.

– ბრალდებულო ხალდანო! – იკივლა უცებ მესჯულემ და მაგიდას დაჰკრა გაშლილი ხელისგული, – შევწყვეტ სამსჯავროს!..

– კი ბატონო, ბოდიშს გიხდით... – უკან დაიხია ჯეგე ხალდანმა, – ვილაპარაკებ მხოლოდ ვარლამ არავიძეზე...

– იმდენად, რამდენად უშუალოდ თქვენს ბრალეულობას შეეხება. – გაუსწორა მესჯულემ.

– დიახ, იმდენად, რამდენად ჩემს სრულ უდანაშაულობას შეეხება. – არ შეეპუა ხალდანი.

დედის ნაამბობით, წერილებითა და სხვა საბუთებით აღდგენილი სისხლიანი წარსული

ია ხალდანის წარსულიც კი კმაროდა სანდროს დასაპატიმრებლად. არამც თუ წარსული, ქალიშვილობის გვარს რომ აღმოაჩენდა ვარლამ არავიძე, სანდროს ბრალდებად ამ გვარს წაუყენებდა. ია ხომ დადიანის ქალი იყო! მართალია, იას მშობლები სულ იმას ამტკიცებდნენ, მთავრების შთამომავლები არა ვართო, გლეხები ვართო, იას სათანადო საბუთიც კი ჰქონდა, მაგრამ ვინ დაუჯერებდა?!.

იას მშობლები მაგოგის ქვეყნისა და მაგოგიზმის დაუძინებელი მტრები იყვნენ. ისინი ამას არც მალავდნენ, 1924-ში შეეწირნენ კიდეც ამ საქმეს. ვარლამ არავიძეს ალბათ გამოძიებულიც კი ჰქონდა ძველი საბუთები. მამა – გვეგე დადიანი, ძმები, უწვერული ყმაწვილები ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისანი, თოკით გადააბეს ერთმანეთზე და არავის ჭალაში დახვრიტეს. მაშინ ია ხუთი წლისა ყოფილა. პატარა ჯეგეს ბალღობიდან ჩაესმოდა ეს ამბები, ჩემს ძმებს დავითსა და კონსტანტინეს ჰგავხარო, ეუბნებოდა თურმე ყმაწვილს დედა. როცა მამას თვალწინ უკლავდნენ (პირველად გვეგე დადიანი გაუყვანიათ დასახვრეტად) ბიჭებს ყვირილი აუტეხიათ: გაუმარჯოს საქართველოს, გაუმარჯოს საქართველოსო, თოკით გადაბმული სხვა პატიმრებიც აჰყოლიათ. შეძახილებით

გულმოცემულებს, აღტკინებულებს დაუგლეჯიათ თოკები და ჯალათებს დარევიან. უიარაღონი რას დააკლებდნენ კაცის კვლაში გამობრძმედილ მკვლელებს. ყველანი უმალ დაუხოციათ და ყორნისხევში გადაუყრიათ.

1924 წლის აჯანყების გაცემას საქართველოში თავისი ისტორია აქვს, არავში კი ამ ამბავს ირეოდი არავიძეს, ვარლამ არავიძის მამას მიაწერენ. ხალხის მეხსიერებას შემორჩა ასე. ეგებ სხვაგვარად იყო, სხვა ვინმემ გასცა, რატომღაც არაველებს მტკიცედ სჯერათ, რომ არავში შეთქმულება მხოლოდ და მხოლოდ ირეოდმა გასცა, იუდა ირეოდია, ამიტომაც გალოთდა, ცოდვამ უწიაო... – ასე სჯერა ხალხს.

ვარლამ არავიძის უეცარ დაწინაურებასაც ამ ამბავს მიაწერენ. ადლში თურმე დაუწერელ კანონად ყოფილა მიჩნეული: მსტოვრის შვილი მსტოვრად გამოეყენებინათ, ჯალათის შვილი ჯალათად და ა. შ.

მძიმე დღეები დაუდგა ია დადიან-ხალდანს. მარტოკა, პირისპირ უნდა შებმოდა ხახადაღებულ ურჩხულს. ახლობელი აღარავინ შერჩენოდა, თუნდაც გულის დარდი გაეზიარებინა. დედა, ქალბატონი მარიამ გარდაფხაძე-დადიანისა, ვაჟების დარდს გადაჰყვა. იმათ წლისთავზე ისიც დაასაფლავეს. ია ობლობაში გაიზარდა, სანდრო სიყრმიდანვე, სკოლის მერხიდანვე, ამოუდგა მხარში, ისიც ობოლი იყო, მისი მშობლებიც შეპყრობილნი და დახოცილნი, ძმები ხალდანები, სანდროს მამა-ბიძა, როგორც ვაჭრები, დახოცეს თურმე რევოლუციის პირველ წლებშივე. სანდროს დედაც შეუპყრიათ, შიშისაგან გული გასკდომია ციხეში, დაპატიმრებიდან მეხუთე დღეს მომკვდარა. ორივე მხარეს ერთადერთი ნათესავი დარჩენოდათ, ქალბატონი დოდონა, რომელსაც, აგრეთვე, ერთი შვილის გაჩენა მოესწრო და შიშით ძრწოდა, ესეც არ წამართვანო, პატარა ჯვეებეც ხომ ხალდანი იყო?

თავადი, აზნაური, ვაჭარი მაგოგის ვრცელ ქვეყანაში არსად, არც ერთ კუთხეში, არ უნდა დარჩენილიყო. ისინი, როგორც კლასი, უნდა მოესპოთ. – ასეთი იყო ამოცანა, არავის მხარეში და მთელ საქართველოშიც რამდენიმე სახელმწიფო დაწესებულება მუშაობდა იმაზე, რომ „ექსპლოატატორები“, სინამდვილეში რჩეული

ქართველები: თავადი, აზნაური, შეძლებული გლეხი, მათ ენაზე კულაკი, არავინ დაეტოვებინათ, ყველანი დაეხვრიტათ და მათ ადგილას სხვა ეროვნების წარმომადგენლები დაესახლებინათ. სამშობლო პროლეტარიატს არა აქვს, ამიტომ სულერთია, ვინ სად დასახლდება. – ამ ლოზუნგით სპობდნენ საქართველოს. არავის მხარე სწორედ ერთერთი პირველი აღმოჩნდა, სადაც რამდენიმე თვეში „გაიწმინდა“ საზოგადოება. ხალდანები და დადიანები დასახვრეტად ციხეებში ჩაყარეს და მათ სახლებში დოქსოპულოვები და რიკტაფელოვები ჩაასახლეს.

როცა სანდრო დააპატიმრეს, სწორედ იმ დროს სანდროს ბინაც გაჩხრიკეს. რას უპოვიდნენ? გარდა წიგნებისა და ხელნაწერებისა, სანდროს არაფერი გააჩნდა, იას – საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებელს, შინ ხელისუფლების საწინააღმდეგო რა უნდა ჰქონოდა?.. ასე ფიქრობდა ია, დამჭირველები ასე არ ფიქრობდნენ. იპოვეს ის, რასაც ეძებდნენ, იპოვეს არა სანდროს მაგიდის უჯრებში, არამედ იას სკივრში. ერთი ძველისძველი დედისეული სკივრი ჰქონდათ. შიგ ძველმანები ეყარა, სულ ქვევით, ცალკე, გადამალულივით, ძველ ჩანთაში იდო მშობლების ფოტოსურათები, ოციან წლებში გადაღებული ფოტო – გვეგე, დავით და კონსტანტინესი, 1924 წლის შეთქმულებაში მონაწილე მამა-ძმებისა, საგანგებო ხის კოლოფში შეენახა. ის კოლოფიც ამოიღეს სკივრიდან. იას გასაღები მოაძებნინეს და მრავალი წლის წინათ დაკეტილი და გადამალული კოლოფი გააღებინეს. ახსნა-განმარტებაც დაანერინეს, თუ რატომ ჰქონდა გადამალული მშობლებისა და ძმების სურათები. იას არ დაუმალავს, რომ ეშინოდა, ვინმეს არ ეპოვა მის სახლში რეპრესირებული მამა-ძმების ფოტოსურათი. დამჭირველებმა ფოტოსურათიცა და იას ახსნა-განმარტებაც ადლში, ვარლამ არავიძესთან აფრინეს.

სასონარკვეთილი ია სულ მთლად მარტო იყო დარჩენილი, რჩევა სჭირდებოდა, პატარა ჯეგეს გარდა ხმის გამცემი არავში არავინ ჰყავდა. თანამშრომლებს, მეგობრებს, ნაცნობებს ვერავის მიაკითხავდა, ვინაიდან ასეთი „მიკითხვა“ ახლა საშიში იყო იმათთვის, ვისთანაც ფეხს მიდგამდა „ხალხის მტრის“ ცოლი. ღვიძლი ნათესავი უნდა მოეძებნა, ვისაც სხვა გზა არ ჰქონდა, კარი მაინც

უნდა გაელო, თუნდაც ამისთვის ციხეში ჩაესვათ. ქმრის ნათესავი, – ბიძაშვილი, ხაძბი ეგულებოდა, რომელიც უკვე დაპატიმრებული იყო, მაგრამ არა „გმიროს მკვლელობისათვის", ან რაიმე სხვა პოლიტიკური მოსაზრებით, უბრალოდ ვალი დაედო, ქალაქის სავაჭრო ცენტრში მუშაობდა, იქ შეაცდინეს თუ შეცდა, დანაკლისი აღმოაჩნდა. მართალია, ეკონომიური დივერსია დაბრალდა და დახვრეტა გადაუწყვიტა სამეულმა, მაგრამ გადარჩა. ცოლმა – დოდონამ გადაარჩინაო, დაბეჯითებით უმტკიცებდა იას სანდრო. აი, იმ დოდონასთან წასვლა გადაწყვიტა, ჯერ მას მოვეთათბირები, გამოცდილია, გონიერ რჩევას მომცემს და მერე ავმოქმედდებიო. დაავლო პატარა ჯეგეს ხელი და თან წაიყვანა. არ უნდოდა, ბავშვი ამ ამბების მომსწრე და დამსწრე ყოფილიყო, მაგრამ რა ექნა. სწორედ იმ დროს დაბრუნდა სკოლიდან, როცა დედამისს უკვე ახსნა-განმარტებას აწერინებდნენ. უმალ დამფრთხალი გავარდა „თავის" ოთახში და იქიდან უთვალთვალებდა საეჭვო სტუმრებს.

გასაკვირი ის იყო, რომ ჯეგე დედას არაფერს ეკითხებოდა, ბავშვმა თითქოს ყველაფერი იცოდა. იას ხელი ჩაევლო შვილისთვის და ქალაქის ვიწრო ქუჩებით მიჰყავდა, თითქოს მიიპარებაო, საგანგებოდ ეძებდა უხალხო გზას.

დოდონა უფრო შეშინებული დახვდა, ვიდრე თვითონ იყო. ბავშვები ჯეგე და ჯვებე ეზოში გაუშვეს, თვითონ შეიკეტნენ ქალები ბინაში და ჩურჩულით ამცნეს ერთმანეთს ახალი ამბები.

– სერაფიონი დაიჭირეს, ნიკო და ენვერი ორივე ძმა – ხალდანები წუხელ წაუყვანიათ, შენ ამბობ, სანდროც არ მოსულაო, სახლი გაგიჩხრიკეს, ხომ? – ისიც დაპატიმრებულია! – მოთქვამდა დოდონა!

– რა მეშველება, ია, რა მეშველება?..

ია შეცბა. არ მოეწონა დოდონას შეცხადება. ია მისგან ნუგეშს ელოდა, დამაწყნარებს, გზაზე დამაყენებსო, – ფიქრობდა, დოდონა თვითონ აღმოჩნდა დასამშვიდებელი და დასაწყნარებელი.

– შენ რა გეშველება თუ მე რა მეშველება? – გაიოცა იამ.

– ჰო... – ჩაიდუდუნა მან, თავზე შავი ცახოცი წაეჭირა, საფეთქლებზე ხელისგულები შემოედო, მაგიდას დასჩერებოდა, სხვისი ნუგეში ნამდვილად არ შეეძლო, ფერგამქრალი, მკვდარი

იჯდა სკამზე, ეტყობოდა, თავი სტკიოდა, მაგრამ არ ახსოვდა თავის ტკივილი, სხვა უფრო მწარე ტკივილს შეეძრა და იმაზე ფიქრობდა, იმაზე ლაპარაკობდა.

– ჰო... – გაიმეორა მან, – შენც რა გეშველება და მეც რა მეშველება!.. – გულისგარეთ გაასწორა დოდონამ.

– მეეცო, – მე მეუბნები, ადამიანო! სანდრო დაპატიმრებულია უკვე, გაიგე! – მკვახედ უთხრა იამ, თან შეანჯღრია მაგიდაზე დამხობილი, გონს მოდი, ამ წუთას მე უფრო მიჭირს, ჩემკენ მოიხედეო.

– გავიგე, ჰო, რა მოგვიდა! – თორემ ჩემი არ დაუპატიმრებიათ. ქორწილშია წასული! – ჩაიქირქილა.

– შენსას გამოუშვებენ... – უთხრა მტკიცედ იამ, სანდრო კი იქიდან ვერ დაბრუნდება!..

– ვინ გითხრა, რომ ჩემსას გამოუშვებენ? – თავი აიღო დოდონამ და იას მიაპყრო შავად მოელვარე თვალები.

– სანდრომ... – მიუგო იამ, უპეებში გაჩენილი ცრემლი ფრთხილად ამოიწმინდა.

– ძველ ამბებს მეუბნები... – ხელი ჩაიქნია დოდონამ, – წუხელ, მთელ ქალაქში, ყველა ხალდანი დაიჭირეს, გესმის შენ!.. თუ ხალდანებს იჭერენ, ხაძბის ვინ გამოუშვებს. გარდა ამისა, სარწმუნო წყაროდან, საიდუმლოდ გავიგე, რომ ხაძბი იქიდან ვერ დაბრუნდება. აი, რატომ მოვთქვამ, დაგვღუპეს ჩვენმა ქმრებმა... ბავშვებს რა ვუყოთ?!

წამით სიჩუმე ჩამოვარდა. დოდონა წამოდგა და ფანჯრიდან გახედა ბავშვებს.

– თქვი რამე, რას გაჩუმდი... აი, რას უზამ ჯეგეს?!. – ხელით ანიშნა, მოდი, შენს შვილს შეხედეო. იამაც გაიხედა ფანჯრიდან. ჯეგე და ჯვებე ეზოში უდარდელად თამაშობდნენ, სხვა ბიჭებიც მოეძებნათ, ჩანდა, რომ კოჭაობდნენ, უფრო ბევრს კამათობდნენ, ვიდრე კოჭებს აგორებდნენ.

– მაგისთვის მოვედი სწორედ, – უთხრა იამ, – შენ მითხრა ეს, მეტი გამოცდილება გაქვს.

– მე აი, ეს მოვიფიქრე, მოდი აქ, – დოდონამ ია კვლავ მაგიდასთან მიიყვანა, ნაწერი მოიტანა, გვერდით მიუჯდა და კითხვას შეუდგა:

„წერილი რედაქციას! ახალი სკოლების სამმართველოს! მე, ნორჩი მაგოგელი, ჯვებე ხალდანი, ჩემდაუნებურად აღმოვჩნდი ხალხის მტრის შვილი. ვგმობ მამაჩემის საქციელს... დოდონამ თავი აიღო და იას შეაცქერდა. მე მგონი აქ უნდა დავუმატოთ, „ყველა ხალდანის"... დოდონამ მაგიდიდან წიგნი აიღო, ნაწერს ქვეშ ამოუდო, ჩასამატებლად მოემზადა და იას ჰკითხა:

– რატომ არაფერს ამბობ?.. დღეს ყველა ასე წერს, ლომჯარიას შვილმა მთლად სასამართლოში შეიტანა სარჩელი და მამა უარჰყო...

– რამდენი წლისაა ლომჯარია?.. – იკითხა განწირული ხმით იამ.

– სტუდენტია...

– დილამშვიდობისა! – ესმის, რასაც აკეთებს... – ცივად უთხრა.

– ესმის! – გამოაჯავრა დოდონამ, – ესმის კი არა, უთხრეს, ზემოდან მოდის მამების უარყოფაც, თუ გინდა ამათთან ყოფნა, ასე უნდა მოიქცე, სხვა გზა არ არის! მაცალე, ჩამაწერინე აქ და მერე ვილაპარაკოთ... – დოდონამ ნაწერში ჩაჰყო ცხვირი. ვწერ: „მამაჩემის და ყველა ხალდანის საქციელს"... – ხმამაღლა გაიმეორა რამდენიმეჯერ და ჩაწერა.

– ვაგრძელებ კითხვას:

„მინდა გავიზარდო ჩემი საყვარელი სამშობლოს – მაგოგის ქვეყნის ერთგული მსახური. ამიტომ უარვყოფ საკუთარ გვარს, როგორც ხალხის მტრისას, გადავდივარ დედის გვარზე (დედაჩემი უკვე მაგოგის პარტიის კანდიდატია!), ხოლო როცა სრულწლოვანი გავხდები, მივმართავ სასამართლოს და დედის გვარს – წეროძეს დავიკანონებ. არავის პირველი საშუალო სკოლის მე-3 კლასის მოსწავლე, ნორჩ მაგოგელთა რგოლის ხელმძღვანელი, ჯვებე ხალდანი".

– რაო, რაო, მანდ რა გიწერია? – გაიოცა იამ და ხელახლა თვითონ ამოიკითხა: „დედაჩემი... უკვე... მაგოგის პარტიის კანდიდატია"... ატყუებ ხელისუფლებას?..

– კანდიდატი გახლავართ! – ირონიულად თქვა დოდონამ.

– მტრის ცოლს ვინ მიგიღებს პარტიაში!

– სწორედ რომ მღებულობენ. აი, ასეთი წერილი უნდა დაწერო. პირველი ნაბიჯი ეს არის.

– გვიშველის კი ასეთი ნაბიჯი.

– არ ვიცი, ეგებ გვიშველოს, ეგებ არა! – უფრო საბედისწერო ნაბიჯის გადადგმაც შეიძლება შვილისთვის...

– მაინც?..

დოდონამ დააყოვნა. თვალებში ჩააშტერდა გამომცდელად, თითქოს ეშინიაო, ტუჩებზე ხელს იფარებდა.

– თქვი, ამისთვის ვარ მოსული! – მოთმინება დაკარგა იამ.

– ვთხოვდები... მივყვები ადლის მუშაკს! – არც აცივა, არც აცხელა, მიახალა დოდონამ.

– ვინ ადლის მუშაკს? – ანგარიშმიუცემლად წამოილუღლუღა იამ, ისე, უაზროდ იკითხა, უკვე სულ მთლად დაბნეული და სასოწარკვეთილი იყო. დოდონა, ხალდანების რჩეული რძალი, ერთმანეთზე საზარელ ამბებს აუწყებდა... შვილმა მამა უნდა უარყოსო, ცოლმა ქმარი, პარტიაში უნდა შევიდე, უნდა გავთხოვდეო.

იმ პარტიაში შედიოდა, რომელმაც ჯერ მამამთილი მოუკლა, – თემყვა ხალდანი, შემდეგ ქმარი – ხაძბი ხალდანი ჩააგდო საპყრობილეში. ეკონომიური დივერსიისთვის იჯდა ციხეში. ვინ იცის, რა მოელოდა. სიკვდილი თუ ციმბირი... ეგებ დაბრუნება ღირსებოდა, დოდონა გათხოვილი დახვდებოდა?..

– გენო რიკტაფელოვს. – მიუგო დუმილის შემდეგ დოდონამ.

– ეს ის რიკტაფელოვია, არავიძესთან რომ მუშაობს?

– სწორედ ის არის!

– ცოლ-შვილი არა ჰყავს? – კვლავ გულისგარეთ იკითხა იამ. „ნეტავ არ მოვსულიყავიო“. – გაიფიქრა.

– არ ვკითხულობ, ჰყავს თუ არა!..

– საყვარლად უდგები?.. რიკტაფელოვს? – „ოოოვს“ გაგრძელებით, დაცინვით წარმოთქვა.

– მოსამსახურედაც დავუდგები! ტუალეტების მრეცხავად! – მიაყვირა.

– მე არ დავუდგები არავის ტუალეტების მრეცხავად! – რისხვით წამოდგა ია, მეტი არაფერი უთქვამს, კარისკენ გაემართა.

– მოიცადე! – მკლავზე წაეტანა დოდონა და დააბრუნა, ტახტთან მიიყვანა, დასვა, წელანდებურად გვერდით მოუჯდა.

– რა ვქნათ აბა. შენ თვითონ მითხარი... – ნაღვლიანი, მაგრამ ჯერაც ელვარე თვალები მიაპყრო.

– მე შენთან მოვედი ამისთვის... – მიუგო იამ.

– სხვა მე ვერაფერი მოვიფიქრე... გავყვები რიკტაფელოვს და შვილს გადავარჩენ!

– ხაძბი რომ ჩამოვიდეს? – ჰკითხა იამ.

– ვერ ჩამოვა ხაძბი, ახლა ათ წელს მიუსჯიან, ათი წლის შემდეგ კიდევ ათ წელს დაუმატებენ, ვიდრე არ მოკვდება, ციხიდან ვერ გამოვა, ასეა გადაწყვეტილი.

– იმან გითხრა?.. – არამზადა! – რიკტაფელოვს გულისხმობდა.

– სიკვდილს იმან გადაარჩინა, თუ გინდა სანდროს უშველო, შეგახვედრებ, ჩემი გულისთვის ყველაფერს გააკეთებს.

– შემახვედრებ?.. რად მინდა რიკტაფელოვი, თვითონ ვარლამ არავიძეს შევხვდები.

– ვინ შეგიშვებს არავიძესთან! შენ არ იცი, რა გჭირს, შენ უკვე ხალხის მტრის ცოლი ხარ, უკვე გამოკვლეულია შენი წარსული, ვარლამ არავიძეს მაგიდაზე უდევს შენი საქმე და მთელ შენს ნათესაობას იკვლევს...

– მერე რა, მე თვითონ არაფერში არა ვარ დამნაშავე, არც 1924 წლის შეთქმულებაში მიმიღია მონაწილეობა, – ბავშვი ვიყავი, არც დღეს ვერევი პოლიტიკაში, – ჩემი საქმე არ არის!.. მე დედაენის მასწავლებელი ვარ, „აი იას“ სწავლებისათვის არავის იჭერენ!..

– „ხალხის მტრის“ ცოლი ხარ, – ამისთვის დაგიჭერენ!

– რა ვქნა, რა, საყვარლად დავუდგე რიკტაფელოვს? – ვერ დავუდგები! შენი რჩევა არ გამომადგება, არ გეწყინოს!.. ია კვლავ გაემზადა წასასვლელად. დოდონამ კართან კვლავ შეაჩერა, მაგრამ იამ არ ისურვა საუბრის გაგრძელება, გაუსხლტა ხელიდან და გავარდა სადარბაზოდან.

დოდონა იას საქციელმა ააფორიაქა. „არ უნდა მეთქვა, არ უნდა მეთქვა“. – თავში მხოლოდ ეს სიტყვები უტრიალებდა და სხვა აზრს ვერ იკრებდა. ფანჯრიდან გახედა რისხვით მიმავალს, მიხვრა-მოხვრითაც კი ეტყობოდა იას, რომ რომ გატეხილი იყო, მაგრამ არ იმჩნევდა, მრისხანება ფარად აღემართა, ჩაევლო პატარა ჯეგესთვის ხელი და ეზოდან გაჰყავდა. დოდონამ ფანჯრიდან გაყო თავი, ჯვებეს დაუძახა. რაკი ჯეგე წაიყვანეს, ჯვებეც შინ უნდა ჰყოლოდა. ჯვებე იყო ერთადერთი ნუგეში და იმედი.

* * *

დოდონას სახლიდან წამოსული ია სულ იმაზე ფიქრობდა, ელსმენის ნომერი, რომელიც ერთხელ მისცა არავიძემ, როგორმე გაეხსენებინა, თვით ის ქაღალდის ნაგლეჯი სანდროს ედო ჯიბეში, ალბათ დაეკარგაო, – ფიქრობდა. სამი ციფრი ეწერა ქაღალდზე, – ეს კარგად ახსოვდა, ის ციფრები არა და არ აგონდებოდა.

გაბრუებული მიადგა რომელიღაც შენობას – თურმე ადლის შენობას არ მიადგა?! – ეგონა, შინისკენ მიდიოდა, ბავშვი შინ მიჰყავდა, – აქეთ არ წამოსულა?!. დიდება შენდა, ღმერთო! მე ხომ აქეთ არ წამოვსულვარ, როგორღა გავჩნდი, ვინ მომიყვანაო, – თავისთავს ეკითხებოდა. იდგა გაბორებული, გალენჩებული და ფორმიან მცველს შეჰყურებდა. გასაკვირი ის იყო, რომ პატარა ჯეგეც მორჩილად იდგა და დედის უაზრო დგომას ელოდებოდა.

– მოქალაქე, აქ დგომა არ შეიძლება! – გვერდით ჩაუარა და ხმადაბლა უთხრა მცველმა. მცველის გაფრთხილებამ გონს მოიყვანა. სწრაფად გაეცალა იქაურობას, მოიკრიბა გონება და მცველს ხელახლა მოადგა, ამჟამად უფრო თამამად, უფრო უშიშრად.

– მე ვარლამ არავიძესთან ვარ დაბარებული! – იცრუა წარბშეუხრელად.

– მიბრძანდით! – არავიძის გვარის გაგონებისთანავე მცველი მხედრულად გამოეჭიმა და გზა უჩვენა. იას ეგონა, ეს უკვე თანხმობა იყო და მეორე მცველს მიადგა, რომელიც ახლა შენობის შესასვლელს იცავდა, მცველმა კიბისკენ უჩვენა. იმ კიბით ვარლამ არავიძესთან მიისვლებოდა, თუმცა კიბეზე არავინ ადიოდა, აკრძალული იყო ეს. ოღონდ იამ არ იცოდა. სამხრეებიანი ჭაბუკი კიბესთან ყოველშემთხვევისათვის იდგა, მთავარი მცველი იდგა ლიფტთან, არავიძესთან ლიფტით ადიოდნენ, ლიფტში გულდაგულ ისინჯებოდა ყოველი საბუთი, საჭიროების შემთხვევაში ჩხრეკაც კი იყო მოსალოდნელი, ამიტომ აქ, არიერგარდული დაცვის გამოცდილი მუშაკები უნდა მდგარიყვნენ. არიერგარდული დაცვა ჯერ მარტო მთავგენდამს – ძეოღლიანოვს ჰყავდა, მაგრამ თანდათან ადგილობრივმა ხელისუფლებმაც გაიჩინეს, წინამძღოლს მიბაძეს, ადლის მუშაკებისაგან შეადგინეს ასეული და ადგილო-

ბრივ მმართველებს მცველებად და დარაჯებად დაუყენეს. მათ „მცირე არიერგარდული დაცვა“ ენოდებოდა. ისინი იცავდნენ ვარლამ არავიძის სახლს, ქუჩას, სადაც უნდა გაევლო და სამუშაო ადგილს ყოველისმხრიდან.

ლიფტის მცველმა ია საშვის ასაღებად გაგზავნა. საშვს დიდ მოსაცდელ დარბაზში იძლეოდნენ, იქ ორ მცირე არმანასთან, ორი გრძელი რიგი იდგა. ია რიგში ჩადგა. ჯეგე დაღლილიყო და დედას ხელზე ეკიდებოდა. იამ კედელთან მიდგმული სკამებისაკენ გაიხედა, მაგრამ იქ ადგილი აღარ იყო, ისხდნენ ქალები, მწუხარე სახისანი, შავოსანი, სათვალიანი მოხუცები, – ამათ ვერ ეტყოდა, დილიდან დავწანწალებ და ბავშვი დამეღალაო. ჯეგე თვალად ბავშვს არ ჰგავდა. ასაკისათვის შეუფერებელ ჯიშიან, მაღალ ფეხებზე იდგა და ტანიც ადრე აეყარა, ასეთ „ბავშვს“ ადგილს არავინ დაუთმობდა. ისინი, მართალია, კედლებთან ჩამწკრივებულ სკამებთან ისხდნენ, მაგრამ რიგში „იდგნენ“, წინასწარ ჩაწერილიყვნენ, ვინ ვის უკან იდგა, ყველამ იცოდა. რიგში არ ჩაწერილიყვნენ ისინი, ვისაც ადლში ნაცნობი ჰყავდა. ამიტომ ზოგს ყური მიკროფონისკენ მიეყრო – მიკროფონით გამოძახებას ელოდებოდა. ყოველ წუთში შეიძლებოდა სკამი განთავისუფლებულიყო, იაც სულ მუდამ იქითკენ იყურებოდა, რიგი კი ძალიან ნელა მიიწევდა წინ. საშველი არ ჩანდა. მოსაცდელში ამდენი ხალხი იყო, ამდენი გამწარებული და გატანჯული ადამიანი, გასაოცრად ჩუმად იყვნენ ყველანი. თავს შეჰყოფდნენ არმანაში, იქ ფორმიანი ადლის მუშაკი საბუთებს გაუსინჯავდა მთხოვნელს, ან რაღაცას ჰკითხავდა, რაღაცას ეტყოდა, რაც დარბაზში არ ისმოდა და მორჩა. მორჩილად მიდიოდა მთხოვნელი. ერთადერთი ხმა, რაც ამ დარბაზში გაისმოდა, მიკროფონისა იყო. იქ ხანდახან გამოაცხადებდნენ მაგოგის ენაზე: „დაპატიმრებულთა საქმეებზე ადლი პასუხს არ იძლევა, მიაკითხეთ №1 იზოლატორს“...

გასაკვირი ის იყო, რომ არავინ ადგილიდან არ იძროდა. იამ იფიქრა, ნუთუ მარტო მე ვდგავარ პატიმრის პატრონიო... სწორედ ამ დროს ზურგს უკან ერთმა ხანში შესულმა კაცმა ამოიოხრა:

– ეეხ!..

ეეხის მთქმელის ზურგს უკან მდგომმა ქურდულად მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ გვიყურებსო და ჩურჩულით ჰკითხა:

– როდის დააპატიმრეს?..

– ერთი კვირაა...

– მერე? გაიგე რამე?

– აი, ასე ვდგავართ სულ...

– ეგებ მართლა იზოლატორში უნდა წავიდეთ? – კვლავ გაიხედ-გამოიხედა შემკითხველმა.

– იქ ჩემი და დგას...

გაჩუმდნენ. გაჩუმდნენ და გაჩუმდნენ. დუმილი ჩამოწვა, დუმილით მიმოდიოდნენ რიგში არ მდგარნი და მოსაცდელში მობორიალენი. ისინი ადლის მუშაკების ნაცნობები, მეგობრები ან ნათესავები იყვნენ, საგანგებოდ მოყვანილნი დაპატიმრებულთა ჭირისუფლების მიერ. მათ ყველას ჰქონდათ საიდუმლო ელსმენის ნომერი, ამ ნომრით რეკავდნენ მოსაცდელიდან და მერე მათ გამოძახებას ელოდებოდნენ. იას აოცებდა ადამიანთა გაჩუმების უნარი. არავინ გამოთქვამდა აღშფოთებას, უკმაყოფილებას, იდგნენ დამუნჯებულები. თუ ერთმანეთს ჰკითხავდნენ, რომელი საათიაო, ამისთვისაც კი უნებურად გაიხედ-გამოიხედავდნენ, ვინმე ხომ არ გვითვალთვალებსო. ია ატყობდა, რომ აზრი არ ჰქონდა აქ დგომას, მაგრამ სად წასულიყო? შინ რა გააჩერებდა?.. ისევ აქ დგომა სჯობდა. ხომ მოჰკრა ყური იმ ამბავს, რომ პირველ იზოლატორში მიაკითხეთო. ე. ი. რაღაც გაიგო... იქაც მიაკითხავდა, ივლიდა ასე კარდაკარ ციხიდან ციხემდე, ეს მან გამოცდილებით იცოდა, სხვა გზა უკვე აღარ იყო.

– ა, ეგერ, დაჯექი! – იყვირა უცებ მისდაუნებურად და ჯეგეს სკამისკენ უბიძგა, სკამი ჯერ არ განთავისუფლებულიყო, მოხუცი ქალი წამოდგომას აპირებდა, შეფუთულ-შეფუთულებს ჰკრეფდა ერთ ადგილას. წელათრევით წამოდგა, აკრიფა ფუთები, თითქოს სკამთან განშორება გულს ეთანაღრებაო, დიდხანს ადგა ზედ, ჩანთაში რაღაცას ილაგებდა თუ ეძებდა. ბოლოს, როგორც იქნა, გაშორდა სკამს. იამ ბავშვი სკამზე დასვა სწრაფად და თვითონ რიგს დაუბრუნდა. ჯეგემ შვებით ამოისუნთქა. ფერგამქრალი იჯდა. „ის ხომ მშიერიც არის“, – ფიქრობდა ია. მაგრამ რახან ბავშვს სკამი უპოვა, არა უშავს, ერთი დღე გაიჭირვოსო, – გადაუწყვიტა.

ია უკვე სულ მთლად უიმედოდ იდგა რიგში და იმაზე ფიქრობდა, ვინ მოეძებნა, ვისთან მისულიყო. სანდროს ამხანაგებიდან

ვინ შეძლებდა დაერეკა ვარლამ არავიძესთან და ამბავი ეკითხა. ნარმოსახვაში გაიელვებდნენ მწერლები, პოეტები, მეცნიერები, გაიელვებდნენ და უმალ ქრებოდნენ. ვერავინ გაბედავდა დარეკვას. ან ია როგორ-ღა სთხოვდა ვინმეს, ჩემი გულისთვის ციხეში ჩაიგდე თავიო?.. დარეკვა ნიშნავდა, – ხალხის მტრის თანამოაზრე ყოფილიყავი, ხალხის მტრის ამბით ვინ არის დაინტერესებულიო, – დედაბუდიანად აყრიდნენ და უკრავდნენ თავს ციმბირში დამრეკავს. ამიტომ აქ უნდა მდგარიყო, სხვა გზას ია ვერ ხედავდა, თვითონ და ა, იმ პატარა ჯეგეს უნდა ეტვირთა უძნელესი ტვირთი – ხალხის მტრის ცოლობა, ხალხის მტრის შვილობა. ია შესცქეროდა სკამზე საცოდავად წამოსკუპებულ პირმშოს და ახსენდებოდა, როგორ დაარქვა სანდრომ შვილს სახელი – ჯეგე. სვანურად წმინდა გიორგის ნიშნავს, ჩემმა შვილმაც წმინდა გიორგივით უნდა განგმიროს ბოროტება – გველეშაპიო, ხუმრობანარევი სიამაყით უხსნიდა ხოლმე ახლობლებს, თუ რატომ დაარქვა შვილს ასეთი ძველმოდური სახელი. იამ ერთხელაც გახედა შვილს სიყვარულით, ბავშვს ვიწრო მხრები ჩამოეყარა, ფრთამოტეხილ, ძირს დავარდნილ ჩიტს უფრო ჰგავდა, ვიდრე მახვილშემართულ ჯგრაგს, ჯეგეს... ცრემლი მოადგა. „მშიერია... შინაც არაფერი მაქვს... პური მაინც უნდა ვიყიდოო“... ამ ფიქრებით შესცქეროდა შვილს, ესიყვარულებოდა. ჯეგემ დედას შორიდან რაღაც ანიშნა, იამ ვერ გაუგო, ჯეგემ ნამოდგომა დააპირა, იამ შორიდანვე ანიშნა, ნუ ადგები, მე მოვდივარო, გამოვიდა რიგიდან და შვილს დაადგა თავზე. ჯეგემ დედას ყურთან მიუტანა პირი და ჩასჩურჩულა. იამ უხერხულად გაიხედა აქეთ-იქით.

– სად არის ტუალეტი, რომ არ ვიცი?.. – შეწუხდა ია, მცველისაკენ გაიხედა, იმას ვკითხავო.

– შეგიძლია მოითმინო?.. – ბოლოს შვილს მიუბრუნდა, – მალე წავალთ...

– კარგი. – მორჩილად მიუგო ბავშვმა.

ია რიგს დაუბრუნდა. საიდანღაც შლაპიანი კაცი გაჩნდა, გვერდით ამოუდგა და თითქოს ვიღაც სხვას ელაპარაკებაო, ხმადაბლა უთხრა:

– თქვენ ბრძანდებით ია ხალდანი, – წამობრძანდით ჩემთან!

– დიახ! – წამოიძახა და წამოენთო ია, გულმა ბაგა-ბუგი აუტეხა, – ამგვარი ბეჯითი კილო – ია ხალდანი თქვენ ბრძანდებითო, ამგვარი უჩინარი და საიდუმლო გამოცხადება სწორედ ამ დაწესებულების მუშაკებმა იცოდნენ, ამათ ხელწერას ჰგავდა, ალბათ ის არისო, – გაიფიქრა და კიდევ უფრო აირია, აფორიაქდა. რას ნიშნავდა ეს: სიავეს თუ სიკეთეს?

– თქვენი საშვი მე მაქვს! – უბრძანა უცნობმა შლაპიანმა და წინ გაუძღვა, ამით უთხრა – მომყევიო. იას ფერი-ფური წაუვიდა, ელდამ უაზროდ გააქანა შვილისაკენ, მივარდა ჯეგესთან, არაფერი უთქვამს, ისევ უკან გაბრუნდა და იმ უცნობს გამოუდგა.

– ბავშვი! მე ბავშვი მახლავს!.. – მიაძახა უცნობს, თან უკან ჯეგესკენ იყურებოდა. უცნობი მობრუნდა, იას კვლავ დინჯი, მშვიდი ნაბიჯებით მიუახლოვდა.

– ბავშვს აქ არაფერი დაუშავდება... – ცივად, ხმადაბლა უთხრა უცნობმა. – მას თვალყურს ადევნებენ!.. – უცნობი ძლივს გასაგონად, მაგრამ ხაზგასმულად წარმოთქვამდა სიტყვებს. ია დაძაბული შესცქეროდა პირში, სიტყვა არ გამომრჩესო. ხმადაბალი საუბრით საიდუმლოების საფარველში ეხვეოდა. ია თანდათან რწმუნდებოდა, რომ ეს უფორმო დამჭირველი ანუ იგივე ადლის მუშაკი თვითონ ვარლამ არავიძის გამოგზავნილი იყო. სხვას არავის ჰქონდა აქ, ამ დაწესებულებაში, ამგვარი თამამი საქციელის უფლება. რახან ვარლამ არავიძე ამდენ ყურადღებას უთმობდა, ეს ან ძალიან სასიხარულო ამბის მაუწყებელი იყო, ან ძალიან სამწუხაროსი. კიდევ უფრო მიაწყდა აქეთ-იქით. გაწითლდა, გაყვითლდა... ვინ ხართ, ვინ გამოგაგზავნათ, სად მიგყევართო, – უნდოდა ეკითხა, მაგრამ ენას კბილი დააჭირა, არ შეიძლებოდა აქ ამის შეკითხვა. უცნობი პასუხს არ გასცემდა. შეიძლებოდა განერისხებინა კიდეც. მოსაცდელში ბევრი ხალხი ირეოდა, ჭრელი ხალხი მოყრილიყო. იას, ხალხის მტრის ცოლს, ადლის მუშაკი სახალხოდ ბაასს გაუბამდა?.. იამ ის-ღა მოახერხა, უკან კვლავ მიბრუნებულიყო და ჯეგესთვის ნაძალადევი სიმშვიდით, ისეთივე დაბალი ხმით, როგორც ის უცნობი ელაპარაკებოდა, აეხსნა:

– მე ახლავე მოვალ, დედა, არ შეგეშინდეს, შევალ და გამოვალ, ახლავე...

ჯეგე უკმაყოფილოდ შეიშმუშნა სკამზე, – არ მოეწონა დედის „სადღაც წასვლა“, მაგრამ რა ექნა?.. როგორც იჯდა გაჩუმებული, ისევე განაგრძო ჯდომა. მოკლე შარვალი ეცვა, შიშველი, გრძელი ფეხები წინ ეყარა, ალბათ, დაღლილობისაგან სკამზე კი არ იჯდა, – ეგდო, სკამის სახელურს იდაყვით ეყრდნობოდა, მიმავალ დედას ნაღვლიანად გააყოლა თვალი.

* * *

ლიფტში ია უკვე ელაპარაკებოდა ვარლამ არავიძეს. „ბატონო ვარლამ, არ დაგვღუპოთ“... ხან ასე იწყებდა საუბარს, ხან სხვაგვარად: „ბატონო ვარლამ, ჩემი ქმარი არ არის პოლიტიკური მოღვაწე“... ხან ვარლამ არავიძის ფეხებთან დაცემულ ია ხალდანს წარმოიდგენდა და აი, მაშინ რა სიტყვები ეთქვა, იმაზე ფიქრობდა. სულ სხვა სიტყვები უნდა ეთქვა ქალს, ვინც ღირსეულად მიუჯდებოდა მაგიდას და ხელისუფალს სამართალს მოსთხოვდა, სულ სხვა სიტყვები იმ ქალს, ვინც მუხლებში ჩაუვარდებოდა ხელისუფალს და შეწყალებას შესთხოვდა.

ლიფტმა ხელად აირბინა სართულები. უცნობმა ია ოთახში შეიყვანა, თვითონ კი სადღაც გაუჩინარდა. იამ იფიქრა, ალბათ ეს მოსაცდელია, ახლა შემოვა ვარლამ არავიძე და ჩემს ამბავს იკითხავსო. კედლის გასწვრივ სკამები ელაგა, კედელზე მაგოგიზმის ფუძემდებლის სურათი, სურათს ქვემოთ მიდგმული იყო მწვანემაუდგადაფარებული მაგიდა... – „არა, აქ ვარლამ არავიძე არ შემოვა“... – გაიფიქრა იამ, როგორც კი მაგიდას შეავლო თვალი. მართლაც, უცნობი შემოვიდა და მაგიდას მიუჯდა.

– სახელი, გვარი, მამის სახელი... – იკითხა უცნობმა და წერას შეუდგა. იამ უპასუხა, მაგრამ ყველაფერი უკუღმა დატრიალდა მის თვალში, შიშმა აიტანა, – კაცს, რომელიც მის ანკეტურ მონაცემებს იწერდა, დამჭირველის სამხედრო სამოსი ეცვა. „ხომ არ მაპატიმრებენ?“... – გულის კანკალი აუვარდა, ბავშვი მოსაცდელში ელოდა!.. ახლა აქ რომ დაეპატიმრებინათ, ე. ი. ამ შენობიდან არ გაეშვათ, რა დაემართებოდა ბავშვს? – ამ ფიქრმა გონება აურია, დაავიწყდა, სად იყო, ვერ მოითმინა, ფეხზე წამოხტა.

– პატივცემულო! მე...

დამჭირველმა არ აცალა სიტყვის თქმა.

– დაბრძანდით, მოქალაქე! – ცივად უთხრა, – იარაღი თუ რამე გაქვთ, ჩაგვაბარეთ.

– იარაღი?! – შესძახა გაოცებით იამ, მეტისმეტად ხმამაღლა გამოხატა გაკვირვება და თვითონვე შერცხვა საკუთარი ხმის.

– ჰო, იარაღი, ნუ გიკვირთ, თქვენ მიბრძანდებით გენერალურთან, განაწესით უნდა გაგჩხრიკოთ, მაგრამ თავს ვიკავებთ, ვითვალისწინებთ, რომ ქალი ხართ, პედაგოგი... თვითონ გაიჩხრიკეთ თავი და მოგვახსენეთ.

– არა მაქვს იარაღი, არც არასდროს მქონია... – წინ დაუდგა დამჭირველს, ხელები მაღლა აღმართა ტუსაღივით და დატრიალდა მის წინ.

– ნუ ღელავთ, საშიში არაფერია, – დაუყვავა დამჭირველმა, – აქ მომიწერეთ ხელი!

როცა ხელს აწერდა, ოთახში ქალი შემოვიდა, გვერდით დაუდგა იას და თავი რომ აიღო, უთხრა:

– ახლა ჩემთან წამობრძანდით!.. – ია ქალს გაჰყვა, იმასაც დამჭირველის ფორმა ეცვა, ხაკისფერი ქვედაკაბა და სამხრეებიანი კოსტუმი კოხტად ადგა ტანზე. ქალმა ია კვლავ სამუშაო ოთახში შეიყვანა, მაგრამ აქ უკვე სხვა სურნელი სცემდა, სხვა ვითარება იყო. – ეს ქალთა საგანგებო ოთახია, – აუხსნა ფორმიანმა, – გაიხადეთ, წესი შევასრულოთ, რა თქმა უნდა, ძალიან კარგად ვიცით, რომ არა გაქვთ იარაღი, მაგრამ წესი წესია.

– სულ გავიხადო? – შეყოვნდა ია.

– სულ! – მიუგო ქალმა, ისიც მიუჯდა მაგიდას, ამოიღო ქაღალდები და წერას მიჰყო მანაც ხელი.

– ეგებ შხაპის მიღება გჭირდებათ, აი, იმ ოთახში შებრძანდით!.. ხელი გაიშვირა აბაზანისკენ დამჭირველმა. ეგებ სხვა რამ განუხებთ და თქმა გერიდებათ, – ფეხზე წამოუდგა ქალი, იას ტუალეტი უჩვენა.

– არ მესმის, რას მეუბნებით! – დაფრთხა ია, – რას მოითხოვთ ჩემგან!

– ოჰ, ვითომ ციდან ჩამოვარდნილი ანგელოზი ბრძანდებით! არ იცით, სადა ხართ, რისთვის ხართ აქ! კმარა! გაიხადეთ!..

უცებ გაკაპასდა ქალი, მიატოვა საბუთების შედგენა, თავზე დაადგა იას და სამოსის ძალით გახდა დაუპირა. ია დაფრთხა, ახლავე, ახლავეო – ხელად გადაიძრო კაბა, ფეხსაცმელები დაყარა, მორჩილად იხდიდა, როცა სულ მთლად გაშიშვლდა, თვალთაგან ცრემლი წასკდა.

– თუ დაპატიმრებული ვარ, ქვევით ბავშვი მელოდება, ძალიან გთხოვთ, ბავშვი არ დამიღუპოთ!.. – გული ამოუჯდა, თვალთ დაუბნელდა, სკამზე დააპირა დაჯდომა – არ დაეცეო.

დამჭირველმა გარს შემოუარა, შიშველ სხეულს აკვირდებოდა, ქალის გულმხურვალე ქვითინისათვის ყურადღება არ მიუქცევია, საქმიანად გადმოიღო სქელი დავთარი, შიგ რაღაც ჩანერა და იას უბრძანა:

– ჩაიცვით!

ია უკვე ჩუმად ტიროდა. გული ავს ეუბნებოდა. ცოცხალ-მკვდარი დასცქეროდა სამოსს და ზანტად იცვამდა.

– ჩქარა! თქვენ გელოდებიან!.. – უბრძანეს კვლავ. შეცბა ქალი! – „გელოდებიანო“, მაშასადამე, არ იჭერენ? იმედიანი თვალი მიაპყრო დამჭირველს.

– არა ვარ დაპატიმრებული?.. – ჰკითხა იმედმოცემულმა. დამ-ჭირველმა კვლავ არ უპასუხა კითხვაზე, როგორც ნეღან მოუყრუა, ახლაც უპასუხოდ დატოვა იას შეკითხვა. დამჭირველმა მართლაც არ იცოდა, დააპატიმრებდა თუ არა ვარლამ არავიძე მეორე პა-რალელური ცენტრის ერთ-ერთი შემქმნელის მეუღლეს. ამიტომ იყო კუშტად გაჩუმებული, რაც ეჭვს ბადებდა და ია ვერ არკვევდა, სასიკეთოდ ამოიყვანეს ადლის შენობაში თუ სასიკვდილოდ.

– თქვენ გელოდებათ ვარლამ არავიძე! – გაუმეორა ერთხე-ლაც ცივად დამჭირველმა და ნინ გაუძღვა. შემდეგ ყველაფერი ელვისუსწრაფესად დატრიალდა. თურმე ის „წმენდის“ ოთახი, სადაც იას სამოსი გახადეს, იქვე, ვარლამ არავიძის საიდუმლო კაბინეტების გვერდით ყოფილა, იამ აზრის დალაგება ვერც კი მოასწრო, ვარლამ არავიძის პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ არა იმ ოთახში, სადაც ერთხელ სანდროსთან ერთად შეხვდა და ესაუბრა, სხვაგან, სხვა ოთახში, რომელიც არ ჰგავდა დიდკაცის უფროსის-კარს, არც სასტუმრო ოთახი ეთქმოდა, არც სატუსაღო. შემდეგში

იამ იმ ოთახს – საროსკიპო უწოდა, ერთი კაცის, ვარლამ არავიძის საროსკიპო. ხოლო მაშინ, როცა დამჭირველმა ვარლამ არავიძესთან შეიყვანა და ზურგს უკან კარი ჩაუკეტა, რა თქმა უნდა, ქალის ალღოთი უმალ ყველაფერს მიხვდა, მაგრამ გვიანღა იყო.

ოთახში იდგა იმ დროისათვის დამახასიათებელი ავეჯი: შავი „ატამანკა“ და ტყავგადაკრული ერთი სავარძელი, კედელზე ბელადის სურათი ეკიდა. თვალში საცემი ის იყო, რომ დიდკაცთა უფროსისკართათვის დამახასიათებელი სანერი მაგიდა და სკამები აღარსად ჩანდა, ხოლო იმ შავ „ატამანკაზე“ სანოლი გაეშალათ. მაშასადამე, ეს იყო სწორედ ის საიდუმლო, როგორც ვარლამი იტყოდა, „სამუშაო“ ოთახი, სადაც პოლიტპატიმართა ცოლებს აუპატიურებდა.

იას გაეგონა, რომ ვარლამ არავიძის კართან პოლიტპატიმრების ცოლების რიგი დგას, ხოლო არავიძე მათ რიგის მიხედვით, დიდი ბელადის თვალწინ აუპატიურებსო. მართლაც, ასეთი სურათი გადაეშალა, ოღონდ „ურიგოდ შემოვედიო“, – გაუელვა თავში ირონიულმა აზრმა. ხომ იმ ნამს იგუმანა, ხომ იმ ნამს მიხვდა, რომ თვითონაც დაიღუპა და დაღუპა ქმარიც, შვილიც... გასკდა მინა და ქვესკნელში ჩაეშვა უკან მოუბრუნებლად, იმედი მაინც არ დაუკარგავს: მუხლებში ჩავუვარდები და ყველაფერს შევაცვლევინებო. რატომღაც გულუბრყვილოდ ინამა, რომ თუ თავს დაიმცირებდა და ვარლამ არავიძეს შეეხვეწებოდა, მიშველეო – უშველიდა.

„სამუშაო“ ოთახში არავინ იყო. დამჭირველმა ზურგს უკან გასაღები რამდენჯერმე გადაატრიალა, იამ ერთადერთ ფანჯარას შეხედა, – „ეგებ უცებ გავაღო და გადავხტეო“, – მაგრამ უმალ ღიმილი მოჰგვარა ახირებულმა ფიქრმა; ამ დანესებულებიდან „გადახტომა“ ხომ წარმოუდგენელი იყო? თითქოს კედელი გაიხსნაო, კედლიდან გამოვიდა ვარლამ არავიძე, იქ არც კარი ეტყობოდა, არც რამ მისანიშნი იყო, კაცს ეფიქრა იქიდან რამე გამოვიდოდა, ვარლამ არავიძის ამგვარმა შემოსვლამ ელდას ელდა დაუმატა და ია პირდაპირ ფეხებში ჩაუვარდა, შემოეხვია ფეხებზე, ჩექმებზე დაუწყო კოცნა. წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, იმას ჰგავდა იას მცდელობა, გონება ისე წართმეოდა, სიტყვებს კი არ ამბობდა, გაუგებარ ხმას გამოსცემდა, ხან ერთ ჩექმას ნაეპოტინებოდა, ხან მეორეს.

გასაოცარი, თითქმის დაუჯერებელი რამ მოხდა. ვარლამ არავიძე ურცხვად დაიხარა და იქვე, იატაკზე შეუდგა კაბის ნამოხდას. ია ჯერ ვერ მიხვდა, რას უპირებდა მამაკაცი, ეგონა, წამოყენება სურდა და შემთხვევით ნამოუსვა კაბაზე ხელი. არაფერს ამბობდა, არაფერს ეკითხებოდა, პირდაპირ ნამოხადა კაბა და იატაკზევე დაუპირა ნამოქცევა. იამ მთელი ძალით შეჰკივლა და გაიბრძოლა.

– ნუ კივიხარ, ამ ოთახიდან ხმა არ გადის! – უბრძანა ვარლამმა, ქალი აიტაცა და „ატამანკაზე" დააგდო. იქ იას დიდხანს არ უბრძოლია, შეუძლებელი იყო ეს „ბრძოლა", აზრი არ ჰქონდა ყვირილს, ნივილ-კივილს, ის არავის ესმოდა, ძალა აღმართს ხნავდა, რაც უფრო დიდ ნინააღმდეგობას გაუწევდა, მით უფრო შეურაცხყოფილი დარჩებოდა, პირველი გაბრძოლებისთანავე იგრძნო ეს ქალმა და დანებდა. გამხეცებული მამაკაცი ჩექმის გაუხდელად დამხობოდა ზედ და ურჩხულივით დინჯად, მეთოდურად, თითქოს დასახრჩობად მიიწევსო, პირუტყვული ვნების დასაკმაყოფილებლად არაფერს თაკილობდა, არაფერს ერიდებოდა...

ბოლოა იას ის-ღა დახსომებოდა, რომ ვარლამ არავიძე ანჯღრევდა, ეძახდა, წყალი დაასხა თავზე. წყალი წურწურით დაედინა შავ „ატამანკაზე" და ძირს ეწვეთებოდა. ია გონს მოვიდა. სწრაფად იცვამდა, ისწორებდა, ეჩქარებოდა, იქაურობას გასცლოდა, ვარლამ არავიძესთვის ერთხელაც არ შეუხედავს, საგანგებოდ გაშლილ, გამზადებულ „ატამანკაზე" რაღაცას ეძებდა, ალბათ თმის სამაგრს... გვიან შეატყო, რომ გასაოცრად სულელურ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი, ყოველი მისი მოქმედება, უბრალო მოძრაობაც კი აზრს მოკლებული იყო, რაიმეს თქმა ხომ სრულ გამოთაყვანებას ნიშნავდა.

– პირადი სიამოვნებისათვის მე ამას არ ვაკეთებ! – შემოესმა უცებ ვარლამ არავიძის მბრძანებლური ხმა, – სამსახურებრივად მევალება, მითითება მაქვს ასეთი: მოვსპო ხალხის მტერი, ხოლო მისი ცოლ-შვილი გავაუპატიურო!..

სავარძელში იჯდა გამართული, ამაყი, ზვიადი... ეს სიტყვები რომ თქვა, მხოლოდ მაშინ შეხედა იამ, ხაკისფერი უსაყელო ბლუზა ბოლომდე ჩახსნოდა თუ ჩაეხსნა, ბალნით შემოსილი წითელი ღო-

ნიერი მკერდი მოუჩანდა. აი, ეს კაცი ახლა მასთან იწვა, მაგრამ იას ის არ უნახავს, არ შეუხედავს მისთვის, მარტო მისი ჩექმები ახსოვდა, უხეში, მძიმე ჩექმები, რომელიც მის გრძელ, ნაზ ფეხებზე ლოდებივით ელაგნენ.

ახლა-ღა შეხედა, არწივს ჰგავდა, კმაყოფილი ჩანდა თავისი საქციელით, მამაკაცურ ძლიერებას ფრთა შეესხა, გაფურჩქნულიყო, აყვავებულიყო... გრძლად გადადღაბნილი შავი წარბების ქვემოთ ღრმად ჩამჯდარი მსხვილი შავი თვალები კვლავინდებურად უელვარებდნენ და ხარბად შესცქეროდნენ ქალს.

იას უნდოდა ეყვირა: ხალხის მტერი ჩემი ქმარი კი არ არის, შენა ხარო. აზრი არ ჰქონდა ამასაც. ამით ვარლამ არავიძეს ვერაფერს დააკლებდა. ჩუმად წასვლა, გაძურწვა სჯობდა აქედან...

ია კარისკენ გაემართა. იცოდა, რომ კარი ჩაკეტილი იყო, მაგრამ მაინც იქით წავიდა. „მაინც უნდა დავბრუნდე და ვთხოვო კარი გამიღოს“... გაიფიქრა თუ არა, კარიც გაიხსნა, იმ სავარძლიდან თუ გახსნა ან იქიდან ანიშნა გააღეთო, კარს იქით არავინ იყო. ია გარეთ გავარდა, დერეფანში გარბოდა. დაფეთებული თვალებით ეძებდა კიბეს, ლიფტს, გასასვლელს... „გავალ თუ არა ამ შენობიდან, თავს მოვიკლავ!“ – დაჟინებით ფიქრობდა ქალი.

– აქეთ, მოქალაქე! – უბრძანეს და კიბე უჩვენეს. ია კიბეზე დაეშვა, „თავს მოვიკლავ“... „თავს მოვიკლავ“... – უნიოდა ყურებში. როგორც კი ბოლო საფეხური ჩამოათავა. ჯეგე გაახსენდა, ბავშვი ხომ აქ, მოსაცდელში, დატოვა. „შვილო, რამდენ ხანს გალოდინეო!“... – ახლა ამის გამო მოეწურა გული. იმ სკამთან მივიდა, სადაც წელან ბავშვი დატოვა, ჯეგე იქ არ იყო. გაიხედ-გამოიხედა. არ ჩანდა არსად. გამოვიდა მოსაცდელიდან, მცველებს ჰკითხა, ასეთი და ასეთი ბავშვი ხომ არ გინახავთო. არაო, უთხრეს. ყველაფერი დაავიწყდა, რაც შეემთხვა, ქუჩაში გამოვარდა, – აღარსად იყო ბავშვი! თურმე რა ბედნიერი ყოფილა, კიბეზე რომ ჩამორბოდა და თვითმკვლელობაზე ფიქრობდა! იკადრა და უკან მოსაცდელში ყვირილით შემოვარდა:

– ხალხო, მიშველეთ, ბავშვი დამეკარგა!..

– ბავშვი? ბავშვი? – ერთმანეთს ეკითხებოდნენ მოსაცდელში მყოფნი.

– კი, აქ იჯდა, – უთხრა იას ერთმა ხანდაზმულმა კაცმა, – აქ, ჩემ გვერდით იჯდა.

– აა, ის ბავშვი, კი, მე ვნახე, – ქალი დაუდგა წინ იას, – თქვენ რომ წახვედით, ის ადგა იმ სკამიდან და გარეთ გავიდა, ცოტა ხანში ისევ შემოვიდა, მაგრამ მის სკამზე უკვე სხვა იჯდა. მერე არ ვიცი, საით წავიდა.

იამ მის გარშემო შემოკრებილნი მიატოვა და კვლავ გარეთ გავარდა. ქუჩის მცველი მოძებნა და ახლა იმას ჰკითხა. ქუჩის მცველი გაუჯავრდა.

– ქალო! – უზრდელად შეუღრინა, – ბავშვი დაკარგე?.. ამხელა ქალმა არ იცი, ბავშვს დედამ უნდა უპატრონოს?!.

იას თვალთ დაუბნელდა, იქვე ჩაიკეცა და ჩაჯდა ასფალტზე.

– აქ არ შეიძლება დაჯდომა, მოქალაქე, თავზე დაადგა მცველი. იამ არ უპასუხა, პასუხიც კი აღარ შეეძლო, მდაბიორივით მოერთხა, მიწას ჩასცქეროდა, ღონე სულ მთლად გამოლეოდა, იჯდა მტვერში და არავინ იცოდა, როდის წამოდგებოდა.

– აქ ჯდომა არ შეიძლება! – კონდახი რბილად გაკრა მცველმა. ია შეეცადა, მაგრამ ვერ წამოდგა. ცალი ხელის გული უკან რომ დაებჯინა, იმ ხელზე დაყრდნობით შებრუნდა, მეორე ხელიც მიაშველა და დაოთხილი გადავიდა ტროტუარზე და იქ, კედელთან დაჯდა, ზურგით კედელს მიეყრდნო. მკვდრის ფერი ედო. ცოტა ხანი მაცალე და ავდგებიო, – შეევედრა მცველს. მცველმაც თავი მიანება.

ია როგორც კი გონს მოეგო, ტირილი ნასკდა. – სად იჯდა, რა უნდოდა აქ, სად იყო მისი ერთადერთი ნუგეში, ერთადერთი იმედი, ნუთუ შინ წავიდაო, – ტანჯვით წამოდგა და შვილის ძებნას მიჰყო ხელი. სად უნდა ნასულიყო? „ვაი თუ ისიც წამართვეს და უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში გააგზავნესო“, – ეს ფიქრი არ ასვენებდა, ვინაიდან ხალხის მტრის შვილებს იქ აგზავნიდნენ, მაგოგის ქვეყნის ერთგულ მოქალაქეებს უპატრონო ბავშვთა თავშესაფარში უკეთ აღზრდიდნენ, – ამას ინტერნაციონალურ აღზრდას ეძახდნენ.

იმ ქუჩას, სადაც ადლის შენობა იდგა, რამდენიმე ჩიხი კვეთდა, ეგებ ამ ჩიხებში შევიდა, უკან ვეღარ გამოაგნოო, გაიფიქრა იამ და

იქით გაეშურა. უკვე საღამო ხანი დამდგარიყო, არ იცოდა, რომელ საათზე მოვიდა აქ და ახლა რომელი საათი იყო, ამისთვის არ ეცალა. უბრალოდ, ბინდი რომ ჩამოწვა, იმით მიხვდა, რომ დიდი დრო გასულიყო. პირველსავე ჩიხში, ბნელ სადარბაზოში მოჰკრა ბავშვს თვალი, ბავშვი ნელში მოხრილი იდგა და ტიროდა, „ნუთუ ჯეგეა?“ გულის კანკალით მიუახლოვდა.

– ჯეგე! – დაუძახა შორიდან.

– სად იყავი, სად! – ტირილს მოუმატა ბავშვმა.

– რა მოგივიდა? – შეშფოთებული ია მივარდა და გულში ჩაიკრა ატირებული, გამწარებული ბავშვი.

– შეგეშინდა?.. კარგი, ნუ ტირი, მე აგერა ვარ. წავიდეთ ახლა სახლში... – ფეხებს აჯგა-ბაჯგად ადგამდა. რაღაცის თქმა სურდა, დედის ყურისკენ მიიწევდა. იამ ბავშვს მოუსმინა.

– მაგისთვის ტიროდი, – მოუიაფა იამ, – ხელი მოუსვა შარვალზე.

– არაფერი გეტყობა, რა ვუყოთ მერე, არა გრცხვენია, ვაუკაცი ამაზე ტირი?!

შეურაცხყოფილი იყო ბავშვი. ტუალეტი ვერსად ეპოვა და პირდაპირ, ქუჩაში, გამვლელ-გამომვლელთა თვალწინ ჩაეფსა.

იას გული მოეწურა. ჯეგე სლუკუნ-სლუკუნით მისდევდა გვერდით, როდის უჩურჩულა ყურში, ტუალეტი სად არისო, – დილიდან ითმენდა ბავშვი. საზარელი დღე გაუთენდათ, ხვალინდელ დღესაც უკეთესი პირი არ უჩანდა. რა ელონა? რა მოემოქმედა? „თავსაც ვერ მოვიკლავ ამის გადამკიდე“... ხელი მოხვია ბავშვს, მიუალერსა, ცრემლი ახრჩობდა...

პირველივე შემხვედრ ეტლს აუნია ხელი, ახლო მანძილზე ქალაქის მოსახლეობას ეტლი ემსახურებოდა. საზოგადოებრივ ტრანსპორტში ჯეგე არც ავიდოდა, რცხვენოდა ბავშვს, ეტლი სწორედ კარგ დროს შეხვდათ. დაღლილ-დაქანცულებს შინ სწრაფად მისვლა უშველიდათ, ეგებ ცოტათი ჩაეწყნარებინათ გამწარებული სულები.

* * *

ნანობდა, ნუხდა, დარდობდა... რატომ არ დასთხარა თვალები ვარლამ არავიძეს. გრძელ, სანთელივით ჩამოქნილ თითებზე წით-

ლად შეღებილი, ბასრი ფრჩხილები ესხა. ცნობილი არაველი მე-მანიკურეების მიერ ია ხალდანის ფრჩხილები, საგანგებოდ გაქლი-ბულ-გაკოხტავებულნი, თლილ თითებს ამშვენებდნენ, – სიგრძეს და სილამაზეს ჰმატებდნენ. პატრონი თუ მათ არადანიშნულები-სამებრ გამოიყენებდა, რა თქმა უნდა, სიავის ჩადენაც შეეძლოთ. დააცქერდა თავის თითებს, ძალიან უკვირდა, რატომ ერთხელ მაინც არ გაუელვა აზრმა, ფრჩხილები ვარლამ არავიძის წინააღმ-დეგ გამოეყენებინა, თუ თვალების დათხრას ვერ შეძლებდა, ხომ ჩამოფხოჭნიდა, გაუკანრავდა მაინც სახეს, დაღს დაასვამდა გამ-ხეცებულ მამაკაცს.

ია იჯდა არავის მხარის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოსაცდელში და თავის ხელებს დასცქეროდა.

სადღა იყო მწერალთა კავშირი! არავის მხარეს კი არა, თვით საქართველოს არ ჰყავდა მწერლობა. ზოგი მოკლეს, ზოგმა თავი მოიკლა, სხვა საზღვარგარეთ გაიქცა, მწერალთა კავშირი, მწე-რალთა შეკავშირება, მწერალთა ერთად, ერთმანეთის მხარდამხარ ყოფნა, კარგა ხანია არავის მხარეს ენატრებოდა, მაგრამ დღეს ეს შეუძლებელი იყო. მწერლების ნაცვლად საქართველოს მწერალთა კავშირის არავის მხარის განყოფილებაში ვარლამ არავიძის კაცები შეკავშირებულიყვნენ, ადლის მუშაკებს დაეკავებინათ მწერალთა ადგილები. იამ ეს იცოდა, მაგრამ სხვა გზა არ იყო, მაინც მათთვის უნდა მიემართა, მწერალთა კავშირს უნდა დაეცვა თავისი ნევრი. ეს მათ კანონში ეწერათ.

არავის მხარის მწერალთა კავშირს ხელმძღვანელობდა პატი-ოსანი კაცი, მელქისედექ გავაშელი. ხალხი ასე იცნობდა მას. სან-დროს აზრით, მისი პატიოსნება გამოიხატებოდა იმაში, რომ მწერ-ლებს არ ასმენდა ვარლამ არავიძესთან. რა თქმა უნდა, ქვეყანაზე არავინ იცოდა, რომ ეს „არდასმენაც“ არავიძესთან იყო შეთანხმე-ბული. მწერალთა კავშირის ხელმძღვანელს პატიოსანი კაცის სახ-ელი უნდა ჰქონოდა. ია იჯდა მოსაცდელში და აი, ამ „პატიოსანი“ კაცის დიდი იმედი ჰქონდა. გულწრფელად უნდა ეთქვა ყველაფერი, უნდა ეჩვენებინა დალილავებული მკლავები, მკერდს ვერ მოიშიშ-ვლებდა და კაბას ვერ აიწევდა, მაგრამ მკლავები კი ნამდვილად უნდა ეჩვენებინა, მართალია, შეიბღალებოდა სანდროს სახელი,

შეიბილწებოდა ღირსებაც, მაგრამ უკვე არაფერს დაგიდევდათ, შურისძიება სულში ისე ბობოქრობდა, საზღვარ-სამანს გადადიოდა.

შავი აბრეშუმის კაბა ეცვა, შავი კაბა პატიმრის პატრონს არ უნდა ჩაეცვა, დადიანის ქალმა კარგად იცოდა, რომ ხალხი ამას კრძალავდა. „ვაშინერს“ (ტაბუ) ედო ასეთ საქციელს, მაგრამ ამ დილით გაირკვა, რომ სხვა კაბა, რომელიც დალილავებულ მკლავებსა და მკერდს დაუფარავდა, არ ჰქონია, ნერვიულობას სულ მთლად გაეთეთრებინა, ფერგამქრალი, მაგრამ შემართული, დამუხტული, „ვეფხვი პირგამეხებული“ იჯდა სკამზე, თავმჯდომარეს ელოდებოდა.

არ მოდიოდა თავმჯდომარე. მდივანიც კი სადღაც გამქრალიყო. შეშინებული მწერლები, თავმჯდომარის მოსაცდელში შავით მოსილი ქალის ვინაობას ჩუმად კითხულობდნენ. როგორც კი გაიგებდნენ, ვინც იყო, ახლოს არ ეკარებოდნენ, საერთოდ გადიოდნენ შენობიდან. ვის ჰქონდა ცხრა თავი ხალხის მტრის ცოლს დალაპარაკებოდა!..

როცა ია ხალდანი თავმჯდომარის მოსაცდელში გეგმას აწყობდა: მწერალთა წინამძღოლს ამას ვეტყვი, იმას ვეტყვი, აქ დავარეკინებ, იქ დავარეკინებო, მდივანი, რომელიც გამქრალიყო, სხვა ელსმენთან იჯდა და მელქისედექ გავაშელს შინ ელაპარაკებოდა. ისინი ცალკე აწყობდნენ გეგმას, როგორ მოეშორებინათ ხალხის მტრის ცოლი. „უთხარი, რომ დღეს საერთოდ ვერ მოვალ“, – ეუბნებოდა ელსმენში მელქისედექი თავის მდივანს. მდივანი უხსნიდა, რომ ქალი ითხოვს მის მისამართს, აპირებს სახლში მისვლას. „უთხარი, რომ სახლში არა ვარ, აგარაკზე ვარ!“ – ბობოქრობდა მელქისედექ გავაშელი. ბოლოს და ბოლოს, იქნებოდა ნაშუადღევის სამი საათი, მელქისედექ გავაშელმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და მწერალთა კავშირში მოვიდა. მოსაცდელში შემოვიდა ყელამდე შეკრულ თეთრ კიტელში ჩაცმული, ჩამჯდარ-ჩამკვრივებული, თავგადაპრიალებული, შუა ხნის მამაკაცი, მრისხანე სახე უჩვენა მომლოდინეს, საქმიანად შევიდა უფროსისკარში, ზარის რეკვით გამოიძახა მდივანი, რომელიც მანამდე სადღაც სხვაგან იყო, ახლა იას ცხვირწინ ტრიალებდა, რაღაცა გაჰქონდა უფროსისკარიდან, რაღაცა შემოჰქონ-

და, ქაღალდებს მიაფრიალებდა, საქაღალდეებს ერთმანეთზე ალაგებდა, ეძებდა რაღაცას. ბოლოს იპოვა და შეუტანა.

გაისმა ნანატრი ზარის ხმა. მდივანმა თავი აიღო. იას შეხედა და ანიშნა: მიბრძანდითო. ია მელქისედექ გავაშელის უფროსისკარში მორცხვობით შევიდა. თავმჯდომარე მას ელოდებოდა, ეტყობოდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ იასთვის მოსულიყო. რახან უსაშველოდ მოითხოვდა ქალი შეხვედრას, სამსახურში არ მისვლა, მელქისედექის აზრით, შეუძლებელი იყო. თორემ არც აპირებდა მოსვლას, შემოქმედებითი დღეები მაქვსო, გამოაცხადებდა და თვეობით არ მოდიოდა მწერალთა კავშირში.

– თქვენი ქმარი ავერბახისტი აღმოჩნდა! – მოულოდნელად მიახალა მელქისედექმა. ია ჯერ არ დამჯდარიყო, ჯერ ისევ ფეხზე იდგა, მელქისედექის სიტყვებმა ელდა სცა, ქალი აირ-დაირია, რა გეგმებს აწყობდა, ამას ვეტყვი, იმას ვეტყვიო, დალილავებულ მკლავებსაც ვაჩვენებო, უცებ ეს „ავერბახისტი“, რა უნდა ყოფილიყო, ვინ უნდა ყოფილიყო ავერბახისტი?..

– რა ბრძანეთ?.. ვეეე... რ... გავიგე... – ძლივს ამოღერღა, შიშისაგან ენა დაება ქალს.

– თქვენი ქმარი ავერბახისტი, ე. ი. ავერბახის მიმდევარი აღმოჩნდა, რაც ძალზე სამწუხაროა. ჩვენ მასზე იმედებს ვამყარებდით.

– ავერბახისტი? – გაიოცა იამ გულწრფელად, – პირველად მესმის!..

– მტერი ვერაგია! – ფეხზე წამოდგა მელქისედექ გავაშელი, – დაბრძანდით, შესთავაზა იას, ახლოს მივიდა, მხარზე ფრთხილად მოჰკიდა ხელი, – დაბრძანდითო, გაუმეორა, დასვა სკამზე, თავზე დაადგა და ახსნა-განმარტებას შეუდგა:

– ხომ ხედავთ, თქვენ, ცოლმაც კი არ იცით საკუთარი ქმრის ავი ზრახვანი, – თქვენგან მალულად მუშაობდა! რა გასაკვირია, ჩვენ, – მწერლობას, არ გვცოდნოდა სანდრო ხალდანის მოღალატური საქმიანობა, აი, როგორ ინიღბება მტერი, რა საშიშ მტერს ებრძვის მშობლიური პარტია...

მელქისედექ გავაშელი წავიდა და საწერ მაგიდას მიუჯდა. გრძელი, ბანჯგვლიანი მკლავები გადაპრიალებულ მაგიდაზე დაილაგა და გაოგნებულ იას ჰკითხა:

– გისმენთ, რა ცნობებს მოგვაწვდით თქვენი მოღალატე ქმრის საქმიანობაზე? – წარბშეუხრელად, მტკიცედ უთხრა მელქისედექ-მა. იას ცრემლი წასკდა. თავზარდაცემულს წამოდგომა და გარეთ გასვლაც კი ვერ შეეძლო, იჯდა და ტიროდა თავჩაქინდრული, ცხ-ვირსახოცით იჭყლეტდა თვალებს.

მელქისედექი მტირალ ქალს შესცქეროდა, სიბრალულის გრძნობა დაჰკარგვოდა, აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, ეშინოდა, – ვინმემ არ დაგვინახოსო. თითქოს დანაშაულს სჩადიოდა, ხალხ-ის მტრის ცოლის ცრემლებს რომ შეჰყურებდა. გულის სიღრმეში ებრალებოდა ქალი, მაგრამ იმაშიც ღრმად დარწმუნებული იყო, რომ სანდრო ხალდანი არ იყო „მათი“ კაცი. ე. ი. მაგოგის პარტი-ის მხარდამჭერი ადამიანი. მართალია, სანდროს ავერბახისტობის თაობაზე არაფერი გაეგონა, ავერბახიზმის რაობაშიც ვერ ერკ-ვეოდა, მაგრამ ადლის მიერ მოცემული დასკვნა სარწმუნო იყო, ადლისთვის მთელი ინსტიტუტები მუშაობდნენ, თუ ვარლამ არა-ვიძე შეცდებოდა, იურიდიულ საქმეთა ინსტიტუტს ხომ არ მოუვი-დოდა შეცდომა!

– დიდ ბოდიშს მოვიხდი თქვენთან! – გაისმა უცებ სიჩუმეში მელქისედექ გავაშელის გაბზარული ხმა, – უფლება არა მაქვს ხალხის მტრის ცოლის ნიანგის ცრემლებს ვუცქირო. ვინიცო-ბისთვის თქვა, ეგებ ჩემი უფროსისკარი ჩართულიაო. წამოდგა და იას გამოსამშვიდობებლად ხელი გაუწოდა. იამ შავი თავსაფრით დაიფარა პირი-სახე და წამოდგა, ხელი არ ჩამოართვა გავაშელს, გავაშელმა კი მოულოდნელად ის ხელი დაუჭირა, რომელიც იმას გამოსამშვიდობებლად არ გაეწოდა და ხელის გულში საგანგებოდ მაგრად დაკეცილ-დაკეცილი, დაცოტავებული ფული ჩაუდო, რა-ღაცა თვალით ანიშნა, არაფერი არ თქვაო, – რაღაც ამის მსგავსი, და გავარდა თავის უფროსისკარიდან. იმ წამს მდივანმა შემოყო თავი, ჩემი უფროსი წავიდა, უფროსისკარი თქვენც უნდა დატო-ვოთო. იამ ვითარება ვერ შეაფასა. აირ-დაირია, უნებურად ხელ-ში ჩაკუჭული ფული დამალა, ე. ი. მდივნის თვალს მოარიდა და ოთახიდან გავიდა, სწრაფად გაიარა მოსაცდელი, თითქოს ნაქურ-დალი მიაქვსო, ხელს სწვავდა ფული, მაგრამ რა ექნა? გადაეგდო?.. გატრიალდა და გავიდა ოთახიდან, ხელის არ ჩამორთმევა იყო მისი

ყველაზე დიდი პროტესტი, მხოლოდ ეს შეეძლო! გულამოსკვნილი ტიროდა და აჩქარებული სადღაც გარბოდა. ბოღმა ახრჩობდა, – ერთი, ერთადერთი სიტყვაც კი არ ათქმევინა გავაშელმა. რა ექნა? აი, ამ ხიდიდან არავის წყალში გადამხტარიყო? – თურმე უნებურად ხიდამდე მისულიყო! არამც და არამც – არ ჰქონდა ამის ნება. ჯეგეს გამო უნდა ეცოცხლა, უსათუოდ, უეჭველად უნდა ეცოცხლა შვილისათვის. მაშ, თუ ეს ასე იყო, ბრძოლისთვის თავი უნდა გაენებებინა, სანდროც უნდა მიეტოვებინა, – მაინც ვერ უშველიდა სანდროს. აეტანა ყოველგვარი ტანჯვა-წამება, შიმშილი, სიღატაკე, შეურაცხყოფა, დამცირება, – თავს დატეხილ უბედურებას უნდა შეგუებოდა. როგორმე გამოეზარდა შვილი. ამ აზრმა იმედი ჩაუსახა, ძალა შეჰმატა და შინისაკენ გზას გაუყენა.

* * *

– ყორნისხევში! – გუგუნებდა სასამართლო. ხალდანს გუგუნა ხმა ჰქონდა. ამ სიტყვების წარმოთქმისას ხმას კიდევ უფრო იბოხებდა. სასამართლოს წევრები და დამსწრენი, როგორც კი „ყორნისხევს" გაიგონებდნენ, აღშფოთებისაგან თავს ვერ იკავებდნენ და ვინ რას ამოიგმინავდა და ვინ რას...

გარედან მსმენელს მხოლოდ ის ერთი სიტყვა ესმოდა „ყორნისხევში" და შემდეგ წამიერი აზრიალება, ასხრიალება დარბაზისა, მესჯულის გაბმული ზარის ხმა და მუქარა.

– შემოიყვანეთ მოწმე დომენტი არავიძე! – ხმაურის დასაფარავად დომენტის სახელი და გვარი ხმამაღლა, დამარცვლით ამოიკითხა მესჯულემ. სასამართლოს წესით და რიგით მოწმე ჯერ არ უნდა შემოეყვანათ, ჯერ სამსჯავროს წევრებს თუ რამ შეკითხვა ან სხვა აუცილებელი მოთხოვნა, განმარტება ჰქონდათ, ის უნდა განეხილათ. მაგრამ მესჯულე დარბაზს ზარის წკრიალით ვერ ანყნარებდა, თუ უცხო ადამიანი შემოვიდოდა დარბაზში, დამუხტულ გარემოს ეს განმუხტავდა. მესჯულის ვარაუდი გამართლდა. დარბაზში დომენტის გამოჩენამ სულ სხვა განწყობილება შემოიტანა.

– უიტიოვო, მე არაფერი არ ვიცი, – მობუზღუნებდა და თავდახრილი მოდიოდა სცენისაკენ, სადაც გრძელ მაგიდასთან

ისხდნენ სასამართლოს შემოქმედნი. სამსჯავროს მსახურმა დომენ-ტიეს მკლავში მოკიდა ხელი და თავის ადგილას – სამსჯავროს წინ დააყენა. წინ უყურეო, უჩურჩულა, – მესჯულისაკენ იშვერდა ხელს. დომენტიე იატაკს ჩასცქეროდა: არაფერი არ ვიციო, – გაიძახოდა. დომენტიე ზღარბს ჰგავდა. როგორც საკუთარ ეკლიან ქურქში შე-მალული ზღარბი, დომენტი გაბურდული თმა-წვერიდან წირპლიანი წვრილი თვალებით ხანდახან გეზად გახედავდა სამსჯავროს და კვლავ თავის თმა-წვერში შემალავდა პირი-სახეს, ჩაღუნავდა თავს და იატაკს დასჩერებოდა მორკალული. ბერიკაცი დაღლილ-დაქან-ცულიც ჩანდა, დილიდან ელოდებოდა თავის რიგს, წელში ისე იყო მოხრილი, ლამის აქ, სამსჯავროს წინ, იატაკზე დანოლილიყო.

– მოწმე დომენტი არავიძევ, – მკაცრი კილოთი დაიწყო მეს-ჯულემ, – პირობა მიეცით სამსჯავროს, რომ იტყვით სიმართლეს და მხოლოდ სიმართლეს, ცრუ ჩვენების მიცემისათვის მიეცემით სისხლის სამართლის პასუხისგებაში!

– უიტიოვო, მე არაფერი არ ვიციო! უჰ! – განყრა სასტიკად დომენტიე.

– თქვენ რაც იცით, სრულიად საკმარისია ჩვენთვის! – მესჯუ-ლე მიუხვდა უბირ დომენტიეს და დაყვავების კილოზე გადავიდა.

– ადგილზე დაკითხვისას თქვენ თქვით, რომ დილით ადრე ნახეთ მკვდარი ვარლამ არავიძე ღობეზე გადაკიდებული. ადას-ტურებთ თუ არა ამას?

– უიტიოვო, რაო, რაო? – წინ წადგა ნაბიჯი დომენტიემ და მეს-ჯულეს ყური მიუშვირა, – ვერ გავიგეო... მე არაფერი არ ვიციო...

– თქვენ ხომ ნახეთ თქვენი თვალით, ტრიფოლიატის ღობეზე გადაკიდებული ვარლამ არავიძე!..

– უიტიოვო, არავიძე კი ვნახეო, სხვა მე არაფერი არ ვიციო.

– სხვას არც არავინ გეკითხება, – უთხრა მესჯულემ.

– ნუ გეშინია, დომენტიე, შენ არაფერი შეგეხება, თქვი, რაც ნახე, – ეს ნოვეს ხმა იყო. ნოვე აბიას გვერდით იჯდა. დომენტიემ ახლა შეხედა დარბაზს, აბიას და ნოვეს მოჰკრა თვალი და გული მიეცა.

– უიტიოვო, მე არაფერი არ ვიციო... – ახლა იმათკენ შებრუნდა დომენტიე და იმათ უთხრა ხმადაბლა, ვითომ მართლა არაფერი ვიცი და თავი გამანებეთო.

დომენტიეს წინაპარი ცნობილი ცხენის ქურდი ყოფილა, ჰაიტ-ჰუიტით საუბარი იმას სცოდნია, ვინაიდან კაცი დღედაღამ განსაცდელში იყო, მეტყველებაც სათანადოდ ჩამოუყალიბებია, მისდაუნებურად მომხდარა, მუდამ საშიშ, ხიფათიან ამბებს რომ ჰყვებოდა, თითქოს ყოველ წინადადებას „ჰაიტით“ იწყებდა, „ჰაიტ! – დაუძახეო და შარაზე გამოვვარდიო“ – ასე მეტყველებდა თურმე დომენტიეს მამა. დომენტიე არ იყო ცხენის ქურდი, სახიფათოსაც არაფერს სჩადიოდა, მაგრამ ჰაიტ-ჰუიტით მეტყველება ძვალ-რბილში გასჯდომოდა, ბალღობიდანვე შესჩვეოდა. უიტიოს გარეშე აზრს ვერ გადმოსცემდა, ვერ მეტყველებდა, ამიტომ მეტსახელადაც კი შეერქვა. დომენტიე? რომელი დომენტიე – უიტიოვო? იკითხავდა არავიძელი კაცი. არა მარტო მას, სოფელი უიტიოს მის შვილებს, შვილიშვილებსაც კი ეძახდა. თუმცა ზოგი მათგანი უმაღლესდამთავრებულიც კი იყო და უიტიო არასოდეს წარმოეთქვა.

მესჯულემ მსჯავრმდებელს გადახედა და ჰკითხა:

– ხომ არაფერი გნებავთ? – ე. ი. ხომ არ გინდათ რაიმე ჰკითხოთო.

– არაფერი. – ცივად თქვა მსჯავრმდებელმა.

– თქვენ, ბატონებო? – მიუბრუნდა სამსჯავროს წევრებს. პასუხი არ ყოფილა. სამსჯავროს წევრებმა მხოლოდ შეხედეს ერთმანეთს და ამით თქვეს, რომ დომენტიესთან შესაკითხი არაფერი ჰქონდათ.

მესჯულემ ზარს შემოჰკრა და გამოაცხადა:

– მოწმე გვაჯია თურქია! – ზარის შემოკვრა იმას ნიშნავდა, რომ მესჯულემ დომენტიესთან საუბარი დაამთავრა, თან დარბაზი ახმაურებულიყო. დარბაზის დასაწყნარებლადაც საჭირო იყო ზარის შემოკვრა, – ყველა ხვდებოდა, რომ მსჯავრი უკვე გამოტანილი იყო, ხალხის თვალწინ სპექტაკლი იმართებოდა, ვითომ სამსჯავრო იმართებოდა, ვითომ მოწმეებს დაჰკითხავდნენ, ვითომ სამართალს ეძიებდნენ, განა ყველაფერი ნათელი არ იყო? განსასჯელი თვითონ ამბობდა, ვარლამ არავიძე მე ამოვთხარე საფლავიდან და აბიას ღობეზე მე გადავუკიდეო. მოწმეები მაინც შემოჰყავდათ და მაინც ეკითხებოდნენ, თქვენი აზრით, ვინ ამოთხარა ვარლამ არავიძე საფლავიდანო.

ხალდანი მოწმეს ავი თვალით მისჩერებოდა მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ მისგან არაფერს – არც ავსა და არც კარგს არ მოელოდა. გვაჯიას, რა თქმა უნდა, სათქმელი არაფერი ჰქონდა, თუ ჰკითხავდნენ, მოჰყვებოდა იმას, რაც თავისი თვალით ნახა, მაგრამ ამ დროს მოხდა დაუჯერებელი რამ: ჯეგე ხალდანი კედლისკენ მიბრუნდა და სამსჯავროს ზურგი აქცია. დარბაზი ახმაურდა.

– შეხედე, რას შვრება! თავხედი! – გაისმა დარბაზში. მესჯულემ ზარს შემოჰკრა.

– მსჯავრდადებულო ხალდანო! – მრისხანედ დაუძახა.

ეს იყო გაუგონარი ამბავი მაგოგის ქვეყანაში. სასამართლო პრაქტიკაში პირველი შემთხვევა. მსგავსი უტიფრობა მესჯულეს არა თუ ენახა, არც გაეგონა. ვინ გაბედავდა ამას! – არავიძეთში გაბედეს! მესჯულესათვის და მსჯავრდადებულისთვისაც ქვეყანა დაიქცა. არავინ იცოდა, რა მოჰყვებოდა ამას.

– გაიყვანეთ და ჭკუა ასწავლეთ! – ბრძანა მესჯულემ და ზარს შემოჰკრა, პატიმრის წამყვანნი იხმო.

– ეს არ არის სამსჯავრო, ეს არ არის სასამართლო პროცესი, ეს ფარსია! – იყვირა ჯეგე ხალდანმა, – რა საჭიროა ამ უბირი გლეხკაცების დაკითხვა, ამათმა არაფერი არ იციან. მე ვიცი და მე მომისმინეთ!

ვარლამ არავიძემ არავის საპატიმროდან ღამით გააყვანინა პატიმრები და მინდორში თვითონ გაათხრევინა თავიანთი სამარე. ჯალათებმა გაუსამართლებლად დახოცეს ისინი და შიგ ჩაყარეს. ეს მალული სამარხი აფთარმა აღმოაჩინა.

– რაო? – ზარს შემოჰკრა მესჯულემ, – ვინ აღმოაჩინაო? – ვერ გაიგო.

– აფთარმა-მეთქი! – თქვა ჯეგე ხალდანმა, – აფთარმა, მხეცმა. სუნით მოძებნა და მკვდრები მინიდან ამოთხარა. მთელ ქალაქს უჩვენა დახოცილი უდანაშაულო ადამიანები. ჭირისუფლები კი მათ შორეულ გადასახლებაში ეძებდნენ.

დედაჩემი ია ხალდანი ნაცნობებს დაეძებდა, რათა ეშველა მამაჩემისათვის, თურმე უკვე მკვდარი ყოფილა, აფთარმა ამოთხარა მინიდან და მკლავი მოაგლიჯა. აი, ასე უნდა დაგლიჯონ მხეცებმა ვარლამ არავიძის გვამიც.

მესჯულემ ზარს დაჰკრა ხელი და ფეხზე წამოდგა:

– მსჯავრდადებულო ხალდანო! გინდათ თუ არა, ეს სასამართლო საერთოდ დამთავრდეს?!

– არა, არ მინდა!

– არ გინდათ, სწორია, თქვენ გინდათ უსასრულოთ ილაყბოთ, ჩვენ კიდევ სალაყბოდ არ გვცალია.

– ყორნისხევში! – კვლავ დაიგუგუნა ხალდანმა.

– კმარა! – იყვირა მესჯულემ, – გაიყვანეთ პატიმარი! ცხადდება შესვენება!

ამგვარი შესვენება ნიშნავდა – პატიმარი უნდა ეცემათ, ჭკუაზე უნდა მოეყვანათ და შესვენების შემდეგ განეგრძოთ სპექტაკლი-სასამართლო.

მცველები ხალდანს შემოეხვივნენ და ოთახიდან გაიყვანეს.

* * *

აფთარს ტყისკენ მიმავალი გზა ხალხმა რომ გადაუღობა და უკან ყიჟინით და თოფის სროლით გამოუდგა, გეზი პირდაპირ არავისაკენ აუღია, გამოვარდნილა ქალაქისაკენ მომავალ მოასფალტებულ გზაზე, სადაც მანქანების ცუდი მოძრაობაა. ხან ერთ მანქანას გაუგდია წინ, ხან მეორეს, ოსტატ მძღოლებს უცდიათ კიდევაც მოკვლა, მაგრამ აფთარი მარდად გვერდით გასხლტომიათ და მანქანები კინაღამ ამოუყირავებია. პირში ადამიანის მკლავი აქვს გაჩრილი, სამოსის ნაფლეთები მკლავს ზედა ჰკიდია, ჩანს, ახლადდამარხული მკვდრისთვის მოუგლეჯია მკლავი მხეცს. გარბის გააფთრებული და ლაშებიდან დუჟი მოსდის. უკან მანქანები მოსდევენ. ასე შევარდნილა არავში. მთელი ქალაქი ფეხზე დამდგარა. გამოცვენილან წესრიგის დამცველნი, დადევნებიან აფთარს. ქალაქში აფთრის შემოჭრის ამბავი ვარლამ არავიძისთვის მოუხსენებიათ. ვარლამს ციხის მიდამოთა მცველები, ბადრაგები და წესრიგის დამცველნი მოუხსნია სამსახურიდან და ქალაქში და ციხეში სანიმუშო წესრიგი დაუმყარებია. აფთრის უსწრაფესი ადგილზე ლიკვიდაცია უბრძანებია. აფთარი ქალაქის ერთ მყუდრო ქუჩაზე მოუმწყვდევიათ და ავტომატების ჯერით დაუცხრილავთ. მისი გვამი ქალაქიდან გაუტანიათ და ყორნისხევში გადაუგდით.

დავიწყნიათ მოგლეჯილი მკლავის წაღება. ეგებ განგებ დატოვეს, რახან ადამიანის მკლავი იყო, პატრონი მინაში ჩაფლავსო, თუ იფიქრეს, აფთრის გვამთან ერთად არ ნაუღიათ. დარჩენილა ქუჩაში სანდრო ხალდანის მოგლეჯილი მკლავი. დიდხანს გდებულა უპატრონოდ, უადგილო ადგილას, საგანგებოდ მოდიოდნენ სანახავად, დახედავდნენ, თავს გადააქნევდნენ, მუნჯად გაეცლებოდნენ თურმე იქაურობას. ნეტავ არ მენახაო, – მიბუტბუტებდნენ. მანქანები საგანგებოდ ანელებდნენ სვლას, მოგლეჯილ მკლავს აუქცევდნენ და მერე სწრაფად გარბოდნენ. ნეტავ ვისი მკლავია, ნეტავ ვისი მკლავიაო, – მოდიოდნენ და მოდიოდნენ თურმე პატიმართა ჭირისუფლები.

როცა არავის ჭალაში აფთრის მიერ ამოთხრილი მკვდრები შეუთვალიერებიათ, მკლავმოგლეჯილ გვამში სანდრო ხალდანი შეუცნიათ. ამდგარან და იასთვის შეუტყობინებიათ.

გაუგიათ, აგრეთვე, სხვა პატიმართა ოჯახებსაც. ამასობაში ციხის ხელმძღვანელობასაც მიუღია ზომები, არავის ჭალისთვის ალყა შემოურტყიათ. დამჭირველებით ავსებულა იქაურობა, სამშობლოს მოღალატეთა გვამები პატრონებმა არ ნაიღონო.

ია ნივილ-კივილით გაქცეულა თავის ქმრის გვამის შესაკონწიბლად. ჯერ ხელის საძებრად, მოთქმით ჩამოუვლია ქუჩა-ქუჩა, გვიანღა ყოფილა, ვარლამ არავიძეს ბრძანება გაუცია, არავინ მიკარებოდა აფთრის მიერ ამოთხრილ სამშობლოს მოღალატეთა გვამებს. იმ ქუჩაში, სადაც სანდრო ხალდანის მკლავი ეგდო, მცველები ჩაუყენებიათ, გადაუკეტიათ გზა, ხელიც სადღაც გაუქრიათ, იას მოთხოვნაზე, უბრალოდ გაივლიდა იმ ქუჩაზე, სადაც მისი ქმრის მოგლეჯილი მკლავი ეგდო, შეხედავდა, დაათვალიერებდა იმ ადგილებს, დარწმუნდებოდა, რომ მისი ქმრის ხელი იქ უკვე აღარ იყო, სხვას არაფერს ითხოვდა, არ მიუციათ ამის ნება. ნაბრძანებია, ამ ქუჩაზე არავინ გაიაროსო, უთქვამთ და მორჩა. იას ცრემლებისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. პატარა ჯეგეც გვერდით ჰყოლია დედას. ზამთრის პირი ყოფილა, ცივი თოვლჭყაპიანი დღე. იქიდან არავის ჭალაში წასულან, ეგებ იქ მაინც მიგვიშვან გვამებთანო. იქ გვამების მცველებად ხიშტებიანი და ავტომატიანი დამჭირველები დახვედრიან. წესრიგს ამყარებდნენ, ხალხს ტყვიის დაშენით ემუქრებოდნენ, უკან დაიხიეთო. იას იქ თავისი მეზობლები უნა-

ხავს, ქალბატონი ელენე – როსტომ სულხანიშვილის მეუღლე და ქალბატონი თალიკო – გერმანოზ გედევანიშვილის ნათლული. აი, მაშინ მომხდარა ის, რაც დღემდე ახსოვს ჯეგე ხალდანს: იას მეზობლები რომ დაუნახავს, ლოყების ხოკვა დაუნყია და მისასამძიმრებლად მიახლოვებია მათ.

– არ მომეკარო! არ მომეკარო! – უკივლია თალიკოს, ელენესაც პირი გვერდით მიუბრუნებია.

გახევებულა ია. თავის შვილისათვის მოუხვევია ხელი (ალბათ უხერხულობის გამო). რატომ, რა დაგიშავეთო, – უკითხია მეზობლებისთვის.

– შენმა ქმარმა ორი მოხუცი დაღუპა, ცოცხალი დედამიწის ზურგზე როგორ დადიხარო, – მიუხლია თალიკოს.

– წავიდეთ შვილოო, – წაუდუდუნია იას, მოუკიდია შვილისთვის ხელი და მიჰყავს თურმე.

– ცოდვამ გიწიათ, მოღალატე აფთრის კერძი გახდაო! – უკან მიუდევნებია თალიკოს. მომკვდარა ია, თავშალი მაგრად შემოუხვევია, პირისახე შიგ სულ მთლად ჩაუმალია და არავის ჭალიდან პირდაპირ ტყისკენ გაქცეულა. „მოღალატეც ვყოფილვართო“, – მიბუტბუტებდა თურმე და ტიროდა, ტიროდა, ზღვას ერთვოდა მისი ცრემლები, მიარბენინებს პატარა ჯეგეს და გარბის... გარბის... თოვს თურმე უკვე, თოვლჭყაპი თოვლად შეიცვალა, გათოშილი, გალურჯებული, მშიერ-მწყურვალი ჯეგე კვიცივით უკან მისდევს დედას. სად მიდის აქეთ!.. ფიქრობს ბავშვი. იას მაგრად ჩაუბღუჯია ჯეგეს პატარა ხელი და მიარბენინებს თოვაში. ხან აღმართზე გარბიან, ხანაც თავდაღმა ეშვებიან. უცებ იამ ჯეგეს ხელი უშვა. ჩანთაში რაღაცას დაეძებს გაფაციცებული, მოწადინებული, ტირის, ტირის და ეძებს... იპოვა. ამოიღო თოკი, ერთი თოკი ამოიღო, მეორე თოკი ამოიღო, წინასწარ ჰქონდა გამზადებული, შეჩერდა, გამონასკვა ყულფი, ტირის, ტირის და მიდის, მეორე ყულფიც გამონასკვა, უფრო პატარა ყულფი! ეფერება ამ ყულფს, გულში იხუტებს და ტირის, ტირის... ჯეგე ვერ მიმხვდარა, რა უნდა დედას, რისთვის უნდა ეს თოკები. ია მიარბენინებს ყულფებს და გარბის ტყისკენ. თოვს, ცივა. თოვს, ცივა... ჯეგეს გული უკანკალებს სიცივისაგან თუ შიშისაგან?! რაღაც საშინელებას გრძნობს ყმაწვილი, ვერ მიმხვდარა, ვერ გაუცნობიერებია, მაგრამ ეშინია, დედა

რომ ასე გულამოსკვნით, შეუჩერებლად ტირის, ამის ეშინია თუ იმ თოკების ეშინია...

თოვს. ია ერთ ხესთან შეჩერდა. პირდაპირ მიადგა ამ ხეს. ხეც წინასწარ შეურჩევია, მივიდა თუ არა, გადააგდო თოკი, შედგა ჯირკზე. გამონასკვა ხის ტოტზე თოკი, ყულფი დაკიდა, შეამონმა მაგრად ეკიდა თუ არა, ტირის, ტირის... ცრემლები ლოყაზე ჩამოსდის, ნიკაპთან ენასკვება, მეორე ყულფიც დაკიდა და...

– დედა! – იკივლა ბავშვმა. რაღაცას მიხვდა გუმანით, – ჩამოდი ძირს!.. ჩამოდი ჩქარა! – ფეხებზე მოებღაუჭა, – ჩქარაა!.. ბღავის განწირულად ბავშვი. – ჩქარა!.. – გრიალებს ტყიდან ექო. ია იმ ჯირკზე დაეშვა, რომელზედაც იდგა, ჩამოჯდა და ჯეგეს თავზე მოეფერა.

– კარგი, ნუ ტირი, დედა, წადი შინ, შენი სიკვდილი მართლა არ შეიძლება, გონება დავკარგე. ტირის... ტირის ია და შვილის თავს იხუტებს გულში.

– მე დამტოვე აქ... – სლუკუნებს ია, გულს ვერ იმაგრებს.

– არა! – უფრო აღრიალდა ჯეგე, – წავიდეთ სახლში!.. წავიდეთ!.. დედას მუხლებზე მოეხვია და თოვლში ჩაჯდა.

– ადექი ფეხზე, დასველდები! – გონს მოეგო ია და ბავშვი წამოაყენა, შარვალი გაუფერთხა, სველი თოვლის ფიფქით შეფიფქული ქოჩორი შეუმშრალა ცხვირსახოცით. სველი შუბლი და ლოყები მოუწმინდა.

– წავიდეთ სახლში! წავიდეთ! – უთხრა ბავშვმა, მოჰკიდა დედას ხელი და წაიყვანა. წინ ბავშვი, უკან დედა. ჯეგე თითქმის ძალით მიათრევს დედას შინისაკენ. გაოგნებული ია უნებურად, თითქმის გაუცნობიერებლად მიჰყვება ბავშვს. უკვე ჩამობნელებულია, ცივი საღამოა, თოვს, თოვს...

ია და ჯეგე შინისკენ მიდიან. ღამეში გაისმის იას სლუკუნ-სლუკუნი, ქალაქი ელექტრონით გაჩახჩახებულია. ტყიდან ისე მოჩანს, თითქოს იქ, ქალაქში, სინათლეა, სიცოცხლეა, სითბოა და ადამიანი მართლა იქითკენ უნდა წავიდეს. სინამდვილეში იქ სიკვდილია, ვერაგობაა, ღალატია, სულმდაბლობაა, უმეცრებაა ელექტრონით განათებული, მაგრამ ია მაინც იქით უნდა წავიდეს, რადგან გვერდით ჯეგე ჰყავს, სხვა გზა არა აქვს.

დანართი

რეჟისორი მძლავრი

(ჩანაწერების წიგნიდან „ოცი წელი წერაქვში“)

თავისებურად მძლავრია: გაჩვენებს თავს ანგელოზად და არაფერი უნდა ფულის მეტი – სახელიც უნდა, რასაკვირველია, მაგრამ ეს იმისთვის სჭირდება, რომ მეტი ფული გამოსძალოს საზოგადოებას.

ყველა რეჟისორი არ არის მძლავრი და არც ფულის შოვნის სურვილია დიდი ცოდვა, მაგრამ მძლავრობას აქ მეტად თავისებური იერი აქვს. პირველი და მთავარი რეჟისორის – მძლავრის, „იდეოლოგია“ – ფილმი რეჟისორისაა. ამ იდეას ამკვიდრებს ფილმის გადაღების დროს და მას შემდეგაც. თეატრის რეჟისორი უფრო მოკრძალებულია: მთავარია რეჟისორი, პიესას როგორც მინდა, ისე დავდგამ. რისთვის უნდათ ეს „იდეოლოგია?“ – სწორედ სახელისა და ფულის მოსახვეჭად. ახერხებენ კიდეც. დღეს უკვე დამკვიდრებულია აზრი: ფილმი რეჟისორისაა, სპექტაკლში მთავარი რეჟისორია. მგონი, საკუთრებადაც კი გამოაცხადეს ფილმები.

სინამდვილე სულ სხვაგვარადაა. ფილმშიც და სპექტაკლშიც მთავარ როლს მრავალი შემოქმედი ასრულებს: მწერალი, რეჟისორი (როცა რეჟისორი თანაავტორია, ან თავად წერს პიესას ან სცენარს, მაშინ ის რეჟისორი არ არის, მწერალია), მხატვარი, კომპოზიტორი, მსახიობი, კოსტიუმის მხატვარი, გრიმიორი, სცენის მუშა, ზოგჯერ ქორეოგრაფი და ა. შ. – ყველა ერთად ფილმის ავტორია, ფილმი და სპექტაკლი კოლექტიური შემოქმედებაა.

„ტელეფილმთან“ ჩემი შეხვედრა ქართული კინოს ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფურცელია. „ტელეფილმში“ გადაიღეს ფილმი, რომელიც გახდა სიგნალი საბჭოთა კავშირის დანგრევისა. ფილმმა

ყველა ჯილდო და პრემია აიღო და მთელი მსოფლიო მოიარა. ეს ფილმი გახლავთ „მონანიება“.

ფილმის ერთ-ერთი ავტორი ვიყავი მე, ოღონდ ამის თაობაზე „ტელეფილმის“ არცერთმა მუშაკმა არაფერი იცოდა. იცოდა მხოლოდ ნუგზარ ფოფხაძემ – რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის მაშინდელმა თავმჯდომარემ.

ეს ამბავი ასე დაიწყო და წარიმართა: ერთხელ „მნათობის“ რედაქციაში (მაშინ იქ ვმუშაობდი) მოვიდა კინორეჟისორი თენგიზ აბულაძე და მითხრა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა უკვეთავდა მრავალსერიან ფილმს, იმდაგვარს, როგორიც უკვე გადაიღო რეზო ჩხეიძემ და გიგა ლორთქიფანიძემ, და ამისათვის ეძებდა სცენარს.

მე მაშინ ვწერდი დისიდენტურ რომანს, რომელიც ვიცოდი, რომ არასოდეს გამოქვეყნდებოდა. ნელ-ნელა ვაგროვებდი მასალებს, ჯერ პერსონაჟების სახელებიც, ნაწარმოების სათაურიც კი არ მქონდა, მაგრამ სიუჟეტი უკვე მზად იყო, ვაგებდი დოკუმენტურ მასალაზე და ამიტომ ეფექტური მეჩვენებოდა. ბატონ თენგიზს უიმედოდ ვუამბე ჩემი მომავალი რომანის სიუჟეტი. ჩვენ ერთად მუშაობის დიდი გამოცდილება გვქონდა, ყურადღებით მომისმინა, თავიდან ეჭვით შეხედა საფლავიდან ავი კაცის ამოთხრის ამბავს და ჩვენც ასე დავცილდით ერთმანეთს.

მეორე დღეს, შუაღამით დამირეკა და მითხრა: შენი შურისმაძიებელი ისე ამედევნა, მეორე დღეა, ვერ ვიცილებ, რაღაც მოსაწონი ნაამბობში, მგონი, არის, დაწერე განაცხადი და ვცადოთო. დავწერე განაცხადი – სულ თვრამეტი გვერდი გამოვიდა.

როგორც მან მითხრა, განაცხადი წააკითხა რეზო ჩხეიძეს და მოეწონა. თენგიზ აბულაძემ ეს განაცხადი ცეკაში წაიღო. მაშინ ასე იყო: თუ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა მხარს არ დაგვიჭერდა, არ დაგვეხმარებოდა, მოსკოვში ამ სცენარს ვერ დავამტკიცებდით. განაცხადი წაიკითხა ედუარდ შევარდნაძემ და ნება დართო ბატონ თენგიზს, გადაეღო ეს ფილმი, თან ასწავლა როგორ გაეკეთებინა ეს. ფილმი უნდა გადაღებულიყო საქართველოში, მოსკოვის დაუკითხავად. ვინაიდან კინოსტუდიის ყველა სცენარი მოსკოვს უნდა დაემტკიცებინა, ფილმის გადაღება დაევალა საქართველოს ტელევიზიას, კერძოდ, ტელეფილმების სტუდიას.

დაიწყო კონსპირაციული მუშაობა. უშიშროების სახელმწიფო კომიტეტს არ უნდა გაეგო, რა ფილმს ვიღებდით. განსაკუთრებით ჩემი ავტორობა არ იყო სასურველი. ამ დროისათვის უკვე გამოკვეთილი

ანტისაბჭოელი ვიყავი, ყოველ შემთხვევაში უშიშროების სახელმწიფო კომიტეტში ასე ფიქრობდნენ. შეხლა-შემოხლაც მქონდა მათთან.

როცა ბატონი თენგიზი ცეკაში მიდიოდა, მე მას წინასწარ ვუთხარი: თუ გინდა ეს ფილმი გადაიღონ, ჩემი გვარი არსად ახსენო-მეთქი, და მართლაც ასე მოხდა. მან ედუარდ შევარდნაძეს უთხრა, განაცხადი ჩემი დაწერილიაო. როგორც დღეს გამოირკვა, ბატონ ედუარდს თავიდანვე სცოდნია ჩემი ავტორობის შესახებ.

ჩვენ მაშინ ეს არ ვიცოდით.

სცენარზე ჩვენი მუშაობა დღევანდელი თვალთახედვით კომიკურიც კი იყო.

თუ შევიკრიბებოდით, უსათუოდ გვიან ღამით, თენგიზ აბულაძესთან. იმ ოთახში არ ვჯდებოდით, სადაც ტელეფონი იდგა. ბატონი თენგიზი როცა ჩემთან მოდიოდა, ხილიანის ქუჩაზე, ბინაში საერთოდ არ შემოდიოდა, აქ ყველაფერი ჩართულიაო, ჩუმად გამომიყვანდა შინიდან და მივდიოდით „მზიურში", მოვძებნიდით მყუდრო, უკაცრიელ კუთხეს და იქ ვარჩევდით ეპიზოდებს სცენარისათვის. ძირითადად გვეშინოდა ალექსი ინაურის, საერთოდ უშიშროების კომიტეტის. სხვათა შორის, ეს შიში უსაფუძვლო არ აღმოჩნდა, ფილმი ორჯერ იყო დაპატიმრებული.

იყო ასეთი შემთხვევაც: უშიშროების კომიტეტიდან დარეკეს თურმე ჭოლა ჭყონიასთან (მაშინ ის დირექტორის მოადგილე იყო), რა უნდა ნოდარ წულეისკირს თენგიზ აბულაძესთანო. ამან მთლად მოგვიღო ბოლო, უკვე მალული შეხვედრებიც ჭირდა. თენგიზ აბულაძემ გადაწყვიტა, რომ ფილმს ჰყოლოდა ბევრი ავტორი. პირველად შემოგვიერთდა მისი რძალი ნანა ჯანელიძე. მაშინ ის თეატრალური ინსტიტუტის მე-4 კურსის სტუდენტი იყო. სადიპლომო სჭირდება, ბარემ ჩვენთან შეასრულოს ეს სამუშაოო. შემდეგ შემოგვიერთდა რეზო კვესელავა.

მე და თენგიზ აბულაძე საზოგადოებაში ერთმანეთს არ ვესალმებოდით.

ერთხელ ერთად მოვხვდით თბილისში პანაშვიდზე. ვითომ ერთმანეთს არ ვიცნობთ, ცალ-ცალკე ვიდექით ხალხში. ვატყობ, რომ თენგიზი მოუსვენრადაა, ამივლის და ჩამივლის, ამივლის და ჩამივლის. ვიფიქრე, ალბათ რაღაც უნდა მითხრას-მეთქი და გავყევი. როგორც კი დამიმარტოხელა, გამინყრა, – განიშნებ თვალით, თავით, როგორ ვერ ხვდები, რომ შეხვედრა მინდაო.

აი, ასე ვმუშაობდით. კიდევ კარგი, გამოვიდა ის ფილმი...

სცენარი დაიწერა, ფილმი ჩაუშვეს. ახლა ჰონორარი მეკუთვნის, თუმცა არსად, არცერთ დოკუმენტში, ჩემი გვარი არ არის.

კუთვნილი ჰონორარი აკაკი ბაქრაძის ხელით გამომიგზავნეს.

ფილმი რადგან ჩაუშვეს, ახლა მე უნდა დამენიშნოს ხელფასი და გადაღების პროცესში უნდა ვიმუშავო სცენარზე.

გამაფორმეს ლეილა გორდელაძის ფილმზე რედაქტორად და ხელფასს მაძლევდნენ ამ გზით.

დასასრულ, გამოვიდა ფილმი, დიდი წარმატება ხვდა, მაგრამ ჩემი გვარი არ სწერია ეკრანზე.

თენგიზ აბულაძემ გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში უკვე დაუფარავად განაცხადა, რომ ამ ფილმს ჰყავდა მეორე ანონიმური ავტორი – ნოდარ წულეისკირი.

სწორედ ამ დროს ედუარდ შევარდნაძე გადაიყვანეს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად. ახალგამოსული ფილმი „მონანიება“ დააპატიმრეს, აკრძალეს, მაგრამ უკვე გვიანღა იყო, ის მაინც ვრცელდებოდა ხალხში, ვიდეოფირზე ჩუმად გადაღებული. ამასობაში ედუარდ შევარდნაძემ იაკოვლევის დახმარებით (მე ასე ვიცი) შეძლო ამ ფილმის გამოხსნა, ის აჩვენეს მოსკოვში და მოიწონეს.

შემდეგ ფილმმა იმოგზაურა მრავალ ქვეყანაში.

ბოლოს ედუარდ შევარდნაძემ, იმჟამად უკვე როგორც საქართველოს პრეზიდენტმა, აღადგინა სამართლიანობა: უცხოელ კორესპონდენტთან საუბრისას თქვა სრული სიმართლე და „მონანიების“ ერთ-ერთ ავტორს დაუბრუნა ავტორობა. პრეზიდენტის ფონდმა, რომელსაც მაშინ ნუგზარ ფოფხაძე ხელმძღვანელობდა, გამოსცა რომანის პირველი ნაწილი „აფთრები“, სწორედ ის დისიდენტური რომანი, რომლის სიუჟეტზეც დაიწერა „მონანიების“ კინოსცენარი.

სარჩევი

პირველი ნაწილი. ვარლამ არავიძის დაკრძალვა 3

შავი დღე და შავი ღამე 17
მკვდრის საფლავიდან პირველი ამოთხრა 35
მკვდრის საფლავიდან მეორედ ამოთხრა 47
მკვდრის საფლავიდან მესამედ ამოთხრა 56
მოულოდნელი შეხვედრა „დიდმრენველთან“ ღამის სამ საათზე 60
ბრძოლა საფლავისათვის, თანგულიას ამბოხება 64
წყეული ღამე სოფლის სასაფლაოზე 71
ყორნისხევი 78
დასმენა 85
კიდევ ერთი წყეული ღამე არავიძეთის სასაფლაოზე 106
მოქმედება „ქორწილი“ 115
დიდი სამსჯავრო 147

მეორე ნაწილი. ვარლამ არავიძის ცხოვრება 167

ვარლამ არავიძემ პირველი სიტყვა წარმოსთქვა 178
პირველი შეხვედრა აფთართან 187
შეხვედრა აფთართან, რომელმაც გადაწყვიტა სანდროს ბედი 196
საიდუმლო ბჭობა, რომელიც ტრაგიკულად დამთავრდა 207
შეპყრობის შიში, მძიმე მოლოდინი 222
წვერწამახული ნეკისხელა ფანქარი საწამებელ საკანში 240
დედის ნაამბობით, წერილებითა და სხვა საბუთებით
აღდგენილი სისხლიანი წარსული 245

დანართი. რეჟისორი მძლავრი
(ჩანაწერების წიგნიდან „ოცი წელი წერაქვში“) 279

საგამომცემლო ჯგუფი
ვლადიმერ პერანიძე
მართა წიკლაური
ალექსანდრე ჯიქურიძე

გარეკანის დიზაინი
ილია ხელაიასი

გამომცემლობა
ინტელექტი

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №5
225-05-22, 291-22-83, 5(99) 55-66-54
inteleqti@caucasus.net info@intelekti.ge
www.intelekti.ge